

საპარტევლოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა  
ეროვნული ცენტრი

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის  
სახელმწიფო მუზეუმი

დომიტრი ყიფიანი

# თხზულებანი

ათ ტომად

დიმიტრი ყიფიანი

# თხზულეზანი

## ტომი II

კუბლიცისტიკა  
ლიტერატურული წერილები  
სანისტორიო თხზულეზები

შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები,  
კომენტარები და საძიებლები დაურთო  
**თაბაზ ჯოლოგუა**



ეროვნული ბიბლიოთეკის  
გამომცემლობა

თბილისი 2017

დიმიტრი ყიფიანის თხზულებათა ათტომეულის მეორე ტომში შესულია ავტორის პუბლიცისტური, ლიტერატურული და საისტორიო თხზულებები. შემდგომ ტომებში შევა დიმიტრი ყიფიანის ნაწერები ბატონყმობისა და თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შესახებ, იურიდიული თხზულებები, სახელმძღვანელო „ახალი ქართული გრამმატიკა“, რეცენზიები, ავტობიოგრაფიული ნაწერები (მათ შორის, დღიურები და მემუარები), საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები, სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები, დაუმთავრებელი თხზულებები და, დასასრულ, ოფიციალური, საქმიანი და კერძო მიმოწერა.

დიმიტრი ყიფიანის ნაწერები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აქამდე არ გამოქვეყნებულა, მრავალმხრივ საინტერესო მასალაა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის და, ვფიქრობთ, დაინტერესებს როგორც სპეციალისტებს, ისე მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორები:

**ბაბო ბაჟუაშვილი**

**რეზა ბოგია**

ISBN 978-9941-463-37-2 (დიმიტრი ყიფიანი. თხზულებანი)

ISBN 978-9941-27-609-5 (II ტომი)

© თამაზ ჯოლოგუა, 2017



Иванъ Яковлевъ



# სარჩევნი

## პუბლიცისტიკა

ადგილ-მამულის მდგომარეობისათვის საქართველოში.....	11	222
„საზოგადოების“ მიზანთა განხორციელების გზების შესახებ.....	22	230
კავკასიაში მართლმადიდებლობის აღდგენისათვის ...	34	234
საზოგადოებისა და ქვეყნის მომავლისათვის.....	36	238
ისევ „მოსკოვსკი ვედომოსტის“ 194-ე ნომერში გამოქვეყნებული მონინავე სტატიის გამო .....	39	243
პრინციპა ეკატერინე დადიანის შესახებ .....	50	257
ტფილისის გუბერნიის აზნაურობის წინამძღომლისაგან .....	52	263
ქვიშხეთი, 16 აგვისტოს.....	54	267
დავით ალექსანდრეს ძეს მიქელაძეს .....	59	270
„მეომართ ცოლ-შვილისათვის საზრუნველი საზოგადოების“ გამო.....	61	276
ნიკო ნიკოლაძის საპასუხოდ.....	63	277
„ქართული სათეატრო ამხანაგობის“ შესახებ .....	66	278
პასუხი ვლადიმერ მიქელაძეს .....	69	282
ბატონი იანოვსკის ორგვარი შეცოდება.....	72	288
ნაციონალური ჰიპნოტიზმისა და პოლიტიკური ჰალუცინაციების სამყარო .....	77	293
„წერა-კითხვის საზოგადოებაზედ“ .....	93	303
ბატონ გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს .....	96	307
ბანკის საქმეზედ .....	102	321
ხიზანთა საკითხი.....	106	328
პასუხი ილია ჭავჭავაძეს .....	114	330

## ლიტერატურული წერილები

ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალება .....	131	336
ჟურნალ „ცისკრის“ შესახებ.....	136	342

წინათქმა თარგმანისა: ჟანლისი.		
„ზვიმა. ქინაქინის ანბავი“.....	138	343
„რომეო და ჯულიეტას“ თარგმანის ბეჭდვისას		
დაშვებული შეცდომების გამო.....	140	344
გრიგოლ დადიანის იამბიკო .....	145	347
მიტჩელის წასაკითხავები .....	147	350
ჩჷწნი ნაცარ ქეციები.....	150	355
წინათქმა თარგმანისა:		
ჰიუგო. „ოთხმოც-და-ცამეტიდამ“.....	165	362
კიდევ რამდენიმე სიტყვა		
ა. პ. ბერჷეს ხსოვნისათვის.....	167	363

### **საისტორიო თხზულებები**

თამარ მეფის საუკუნე .....	173	366
ნინო – საქართველოს განმანათლებელი.....	177	370
რამდენიმე მოსაზრება		
საქართველოს ისტორიის მასალებზე.....	180	376

### **შენიშვნები და კომენტარები**

ტექსტისათვის .....	219
დამოწმებანი .....	387
შემოკლებანი.....	414
<b>საძიებლები</b>	
პირთა .....	416
გეოგრაფიულ სახელთა .....	509



**კუბლიცისტიკა**



## ადგილ-მამულის მდგომარეობისათვის საქართველოში

წინამდებარე სტატიის საგნად შევარჩიეთ თემა, რომელიც საგანგებო მნიშვნელობისაა და, შესაბამისად, ყურადღებასაც განსაკუთრებულს იმსახურებს. ნათლად და მკაფიოდ რომ წარმოვადგინოთ საქართველოში ადგილ-მამულთან დაკავშირებული ვითარება და საქმის გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებები, აუცილებელია, თუნდაც გაკვირვებით შევეხეთ საკითხს – რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ საქართველოში 1802 წელს<sup>1</sup> და რა ვითარებაა ამჟამად.

საქართველო გარს შემოჯარულ მტრებთან უთანასწორო ბრძოლაში საუკუნეთა განმავლობაში იცავდა თავის სარწმუნოებას, მაგრამ, ამ ბრძოლაში ქანცგანწყვეტილმა, ბოლოს და ბოლოს, თავისი ბედი ერთმორწმუნე და ძლევამოსილი რუსეთის მფარველობას მიანდო. 1802 წლისათვის ამ პატარა სამეფოს მკაფიოდ აჩნდა ღრმა კვალი იმ უბედურებებისა, სპარსელებმა, თურქებმა და ლეკებმა რომ დაატყვევეს თავს. უძველესი, თუმცა დასუსტებული ტახტის მემკვიდრეთა შორის ატყეხილმა შფოთმა და განხეთქილებამ, ცოტა უფრო ადრე ალა-მაჰმად-ხანის შემოსევამ და სამრეწველო თბილისის განადგურებამ, ახალციხის ფაშის მიერ დაქირავებულ ლეკთა განუწყვეტელმა, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ყოველდღიურმა თარეშმა საბოლოოდ გამოაცალა ძალა ქვეყნის მმართველობით სისტემას. შეუძლებელი იყო მოშლილი მეურნეობის აღდგენა იმ პირობებში, როცა გლეხს ხვნის დროს გუთანთან ერთად იარაღიც უნდა სჭეროდა ხელში, როცა ოჯახის პატრონს მზის ჩასვლისთანავე თავისი სახლობა საიმე-

დოდ დაცულ კოშკში უნდა გამოეკეტა, როცა ყველას, ვისაც კი იარაღის ხელში აღება შეეძლო, განუწყვეტილ ტყეებსა და ხევებში მიმოფანტული ლეკებისთვის უნდა ედევნა, როცა ეს ლეკები თვით დიდგვაროვანი ოჯახებიდანაც კი ცოლებსა და ბავშვებს იტაცებდნენ და სარფიანი საქონელივით სპარსეთსა თუ თურქეთში ჰყიდდნენ.

მართვის ფეოდალური წესი კავკასიაში მთელი თავისი ძალმოსილებით ბატონობდა და ეს წესი საფუძვლიანად გამოიყენებოდა როგორც ქართული სამეფოს ბოლო, ისე ახალი მმართველობის პირველ წლებში – ამ პერიოდში კავშირ-ურთიერთობები მთლიანად იარაღის ძალას ემყარებოდა და, შესაბამისად, თავადისა თუ აზნაურის ცხოვრება გამოცდილი მეომრებისაგან შემდგარ მხლებელთა გარეშე წარმოუდგენელი იყო.

თავისთავად ცხადია, მხარის ამგვარმა სავალალო ყოფამ – ასე ვთქვათ, სამოქალაქო ცხოვრების აგონიამ – ყველა იმ მიმართულების დაკნინება გამოიწვია, ხალხის არსებობისათვის რომ არის აუცილებელი: ლიტერატურისა, პოლიტიკისა, ეკონომიკისა, ვაჭრობისა, სოფლის მეურნეობისა. მოიშალა საზოგადოებრივ ფენათა ურთიერთობის წესი და ხალხს თვითარსებობის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად დარჩა სარწმუნოება – ადამიანის ეს ერთადერთი საყრდენი უკიდურესი ძნელბედობის ჟამს. ამგვარ მდგომარეობაში იყო საქართველო 1802 წლამდე.

არ გასულა ნახევარი საუკუნე, რაც ახალი მმართველობა დამკვიდრდა და საქართველოს ყოფა ძირფესვიანად შეიცვალა: გარეშე მტრებს ვერა ვხედავთ, შინააშლილობებს ბოლო მოელო, ლეკები უკვე თავისთვის არიან – თავიანთ მთებში, და იმგვარსავე უბედურებაში იმყოფებიან, რა უბედურებასაც საქართველოში თესავდნენ, მხოლოდ მოსაზღვრე კახეთს თუ მოითარეშებენ ხანდახან. სწავლა-განათლება ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ ქართველ თავადაზნაურობას თავის წრეში უკვე აღარ უწევს თითებზე ჩამოთვლა ისეთი ადამიანებისა, წარმატებით რომ შეუძლიათ თავი გაართვან სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურს. შთამომავლობისათვის განათლების მიცემა ჩვეულებრივ ამბად იქცა.

ასე დამკვიდრდა მხარის დაახლოებით ნახევარსაუკუნოვან ცხოვრებაში კეთილდღეობა; ყოველ შემთხვევაში, ამოიძიკვა ფესვები ბოროტებისა, კეთილდღეობის დამკვიდრებას რომ უშლიდა ხელს.

მას შემდეგ, რაც ჩვენში მიღწეულია საკუთრების დაცულობა და თითოეული ადამიანის პიროვნული ხელშეუხებლობა, როგორმე ადგილიდან უნდა დაიძრას სოფლის მეურნეობის, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამ საფუძველთა საფუძვლის, განვითარების საქმე.

იმ მრავალფეროვან ცვლილებებთან ერთად, ხელისუფლების ძალისხმევით რომ ხორციელდება, გვხვდება სფეროები, რომლებიც თვითდინებაზეა მიშვებული. კერძო სამეურნეო ინიციატივებისა და სახელისუფლებო ინტერესთა თანხვედნილობის გარეშე ძნელი იქნება მხარის მატერიალური ყოფის გაუმჯობესება.

ჩვენი სტატიის თემაც საკითხთა ამ რიგს მიეკუთვნება, კერძოდ, გაუყოფელ მამულებს, ზოგჯერ მთელი გვარის მამულსაც კი, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს საკუთრივ საქართველოში ადგილ-მამულთან დაკავშირებული პრობლემის თავისებურებას.

ვნახოთ, მიწის მფლობელობასთან დაკავშირებით რამ განაპირობა საქართველოში არსებული ვითარება.

საქართველოს ძველი ყოფისა და ზნეობითი პრინციპების შესახებ მეტ-ნაკლებად სანდო – ყოველ შემთხვევაში, სინამდვილესთან საკმაოდ მიახლოებულ – ცნობებს ვპოულობთ ვახტანგ ბატონიშვილის მიერ XVIII საუკუნის დასაწყისში შეკრებილ და გამოცემულ კანონთა კრებულში.<sup>2</sup> აი, რა არის იქ ნათქვამი მამულის გაყოფის შესახებ:

„23. ახლა მაშინდელზე ქართველს ბატონსაც ბევრი ადგილი აკლია და მისი თავადიც მამულზე დამცრობილა, გაყრილა და მისი სიდიდე თვითანვე დაუჩაგრავს... მოსამართლეთ კარგად გასინჯეთ და გამოიძიეთ: როგორც კაცი მამულით, კაცობით, ბატონის სამსახურით, ციხითა, მონასტრით და უფროსის კაცის მოყუსად მოკიდებით ამალდების [და] სისხლი გაუდიდების, ისრე გაყრილა და მამულის მოკლებით სისხლიც მოაკლდების...“

35. დიდებული თავადი ეს არის: გაუყრელი ერთი თავი თვითონ არაგვის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ქსნის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ამილახორი, გაუყრელი ერთი

თავი თვითონ ორბელიშვილი.

როსცა გაუყრელი ყოფილა, – ციციშვილიც ამათთან.

ამათთან კი არა და, – სომხითის მელიქიც ითქმის...

**98.** უკეთუ ძმანი ანუ მამა-შვილნი, ანუ ბიძა-ძენი, ანუ ბიძა-შვილნი, გინა სხვა ნათესავნი, ერთსახლნი და ერთად მემამულენი, ველარ მოთავსდენ და გაიყარნენ, ამ წესითა და რიგით არის მათის დაშორვების რიგი.

როდესაც სახლის ჯალაზნი აიშალნენ და დამდურდენ, მოყვარემან და ყმამ მათი აშლა შეიტყონ, და თითქმის ბატონთანაც მიან-იონ, და მათი საქმე მოკსენდეს, მანამდინ არ გაიყარნენ და ან ისრევ კარგად ერთსახლობა არ მოუკდეს, ნურც ყმასლა არბევენ და ნურც პურსა და ღვინოს ურიგოდ ხარჯვას დაუნყებენ, თორემ, თუ გაყრა მოუკდებისთ, ერთმანეთს უანგარიშებენ და ცუდად არ შერჩებისთ.

როდესაც მაგაზე გამოჩენილი შეიქნან, რომე აიშალნენო და ველარ მოთავსდებიანო, ბატონმა კაცი უჩინოს, ნულარც მამულს არბევინებს, ნულარც ურიგოდ ახარჯვინებს.

ბატონმა უნდა დაიბაროს, უფროსი სწვართოს და დაახედოს, უმცროსი დატუქსოს; თუ ყმანი სჩხუბევდენ, ავად მოეპყრან, ნუ მოიშლებით, ნუ გაიყრებით-თქო; ამგვარები დაახედონ, ურჩიონ თავის მოყურით, კარის კაცით, გაუყრელობას ეცადნენ...

**99.** ადამს აქეთ ქუეყანა გაყრით არის მოშენებული, რომ არ იქნას, არც იქნების...

**100.** გაყრაში ეს ოთხი არის: ს ა უ ფ რ ო ს ო, გ ა ს ა მ ყ რ ე ლ ო, ს ა უ მ ც რ ო ს ო და ს ა შ უ ა ლ ო.

ს ა უ ფ რ ო ს ო ასრე არის და ასრე უნდა. რისაც ან აზნაურისა, ან გლეხისა პატრონნი იყუნენ, უმამულოს, ბოგანოს გარდაისად ყუელა მეფის მდივანსა აანუსხვიონ, იანგარიშონ. რამდენიც კომლი დადგეს, ოცს კომლზე ერთს უკეთესს, რომელიც უნდა, უფროსი გამოირჩევს და ერთს უარესს – სხვა ძმები, რომელიც იმათ უნდათ, იმას მისცემენ. და რამდენიც ოცი კომლი ეყოლების, ყუელაზე ასრე იქმონენ. დარჩების ბოგანო და იმაზედაც ასრე უნდა იქნას. მაგრამე ბოგანო ამას ქუიან, რომე ვენაკი არა ქონდეს...

**101.** გ ა ს ა მ ყ რ ე ლ ო კელმნიფისა არის. რა რომ უფრო-

სი საუფროსოს აღებას გაათავებს, მერმე ოცისთავს, როგორც კელმნიფეს ეპრიანების, იმისთანას გლესს აიღებს, თუ უნდა ერთს ალაგს, თუ უნდა დაფანტვით...

[104<sup>1</sup>]. ზვარსა და ხოდაბუნს გარეთ ბალი, ნისქუილი, ბოსტანი, რაც გლესის გასაყოლად დარჩების რამე, გლესზედ არ დაადვან, ყუელა გასაყოფი არის...

109. ძ ვ ე ლ ი რ ი გ ი ასრე არის. სანამდინ ძმანი ერთად არიან, ჭირი, ლხინი, საშოვარი, უშოვრობა, წანართმევი თუ ნაბოძები, ნაპოვნი თუ დაკარგული, რაც რამ ფერი, ყუელა ერთი არის, ძმურად – უფროსმან – საუფროსო, უმცროსმან – საუმცროსო, ასრე ყოფილა...

115. ...პურს, რამდენიც არიან შვილი თუ შვილიშვილი, ნაბიჭვარი, ყველაზე მისცემენ. ღვინოს, რამდენსაც სახლიშვილს მუშის თავს დგომა შეუძლია, ისრე ბარზედ გაიყოფენ“.<sup>3</sup>

ვახტანგის კანონები მკაფიო გამოხატულებაა იმისა, რომ მამულის გაყოფა-დანაწილება საქართველოში საზიანო საქმედ იყო მიჩნეული, ყველაფერი კეთდებოდა ამგვარი პროცესების შესაფერხებლად და ასეთ ვითარებას ქართველთა უმრავლესობა დღემდე მხარს უჭერს. ქართული კანონმდებლობა ამ გზით ხელს უწყობდა ფეოდალიზმის საფუძვლების შენარჩუნებას.<sup>4</sup>

ჩვენ სხვა დროისათვის გადავდებთ მსჯელობას ფეოდალიზმის გამაძლიერებელი ისეთი სამართლისა და კანონების წარმოშობა მიზეზებზე, რომლებმაც ვნება მიაყენეს სახელმწიფოსა და მის თითოეულ ქვეშევრდომს. ამჟამად შევეხებით მთელს გვარეულობებში მამულის გაუყოფლობის პრინციპსა და იმას, თუ რა გავლენას ახდენს ამგვარი ვითარება როგორც საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე, ისე ხალხის ზნეობით მდგომარეობაზე.

მფლობელობის ისეთ პატრიარქალურ წესს, როცა გვარის უფროსი ერთპიროვნულად და სიტყვის შეუბრუნებლად განაგებდა მთელი გვარის მეურნეობას და როცა იგი გვარის წარმომადგენლებს მამაშვილურად უნაწილებდა მოსავალს, თითქოს მშვიდობიანი, უბრუნველი და დოვლათიანი ცხოვრება უნდა დაემკვიდრებინა. მამულის გაყოფა, პირიქით, წარმოშობდა ზოლმინიანობას,<sup>5</sup> გვარის ერთმმართველი უფროსის არარსებობის გამო

ირღვეოდა ოჯახური კავშირები, იშლებოდა გვარის შემაკავშირებელი ზნეობითი და მატერიალური საფუძვლები, ქონების თანაბარ მფლობელთა შორის – თვით ძმებს შორისაც კი – წარმოიშობოდა მტრობა, აყალმაყალი, სისხლისღვრა.

ვახტანგის კანონები იმასაც ადასტურებს, რომ მეზობლებსა და ნათესავეებს შორის ხშირი იყო თვითნებობა, ურთიერთმტრობა, შურისგება, – და ამ ბოროტებას გაუყოფელი მამულების მფლობელთა უფლებრივი მოუწესრიგებლობა წარმოშობდა.

როცა ქვეყანა მშვიდობიანი ცხოვრებით, სარფიანი ვაჭრობით, უხვი მოსავლით ტკბებოდა, გვაროვნული ქონების მართვა-გამგებლობის პატრიარქალურ წესს მართლაც შეეძლო მოკლე ხანში განემტკიცებინა საქართველოს ძლიერება და კეთილდღეობა. ქვეყანას შეეძლო მიეღწია ისეთი მდგომარეობისათვის, ინტერესებისა და კაპიტალის მაქსიმალური შეერთება-შერწყმის შემთხვევაშიც კი ამაოდ რომ ცდილობდნენ განვითარებული სახელმწიფოები. პირის მიერ სხვა პირის ან სხვა გვარის ქონების ხელყოფისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელი უნდა ეზღო იმ გვარს, რომელსაც დამნაშავე მიეკუთვნებოდა. კანონის წინაშე პასუხისმგებლობის ეს წესი თვითნებობისა და ვნებათაღელვის შემაკავებელი ფაქტორი ხდებოდა და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა კიდევ სახელმწიფოში არსებულ ზნეობით გარემოს. ხოლო დაურღვეველი გადაცდომისათვის დაწესებული სისხლის საზღაური კოლექტიურად უფრო ადვილი გადასახდელი იყო, ვიდრე ცალკე პირისათვის და ეს არ იწვევდა დამნაშავეს ოჯახის გაღატაკებას.

მაგრამ ზოგჯერ მფლობელობის ამგვარი პატრიარქალური წესიდან სარგებლის ნასახიც არ რჩებოდა – არცთუ იშვიათად გვარის მეთაური მოკლებული იყო ისეთ თვისებებს, როგორი თვისებებითაც ჭკვიანი და პატივსაცემი განმკარგულებელი და მიუყერძოებლად მსაჯული უნდა იყოს აღჭურვილი. ამ მიზეზით წარმოშობილი შფოთი, თვითნებობა, ძალმომრეობა, ძარცვა-გლეჯა და მკვლევლობები არყვედა უმაღლესი წოდების ცხოვრებას და სიმართლევც ყოველთვის უფრო ძლიერის მხარეს იყო. ისიც ცხა-



დია, რომ, ერთი მალოროსიული ანდაზისა არ იყოს – „როცა ბატონები ჩხუბობენ, საქოჩრეები გლეხებს ეწვით“.

ადვილი წარმოსადგენია, რა ემართებოდათ ასეთ ვითარებაში გვარის უმწეო წევრებს, როგორ შეიძლებოდა გაუმჯობესებულებული-ყო მამულის საქმე და რაგვარად ნახალისდებოდა ხოლმე შრომა გლეხისა – პირადადაც და თავისი ავლადიდებითაც ბატონს რომ ეკუთვნოდა. არც იმის წარმოდგენა უნდა იყოს ძნელი, როგორ პირობებს შექმნიდა ადგილ-მამულის მფლობელობის ამგვარი წესი ისეთ ქვეყანაში, რომელიც გარეშე მტრების თავდასხმებისა თუ შინაური არეულობების გამო მუდმივ რყევებს განიცდიდა.

მამულის გაუყოფლობის პრინციპმა, რომელიც ვახტანგის კანონებიდან მომდინარეობდა, ახალი ვითარების შესაბამისად სახე იცვალა – გაჩნდა მოთხოვნა, ადამიანს სცოდნოდა, თუ რა საკუთრების პატრონი იყო იგი. ამან სოფლის მეურნეობაში ახალი პრობლემები წარმოშვა. ერთი მხრივ, კერძო ინტერესებით გამონვეულმა წინააღმდეგობებმა, ხოლო, მეორე მხრივ, შეუსაბამობამ ინიციატივასა და ამ ინიციატივის განხორციელებისათვის საჭირო საშუალებებს შორის გამოიწვია სწრაფვა საკუთრების დანაწილებისა და ამ გზით – მეურნეობრიობის გაუმჯობესებისაკენ. ყოველივე ამას ემატებოდა ცალკეული მაგალითები, რომლებიც ვერ თავსდებოდა ქართულ კანონმდებლობაში: ყმების მხრიდან მებატონეზე დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევა – თავისუფლების ძიება<sup>6</sup> და, შესაბამისად, მუშახელის ნაკლებობით გამონვეული ზარალი, რომელიც მებატონეს ადგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მხარეში ამჟამად მშვიდობიანობაა, მიუხედავად მრავალფეროვანი და ხელსაყრელი კლიმატისა, მიუხედავად ნაყოფიერი ნიადაგისა, აქაურები მხოლოდ აუცილებელ – ასე ვთქვათ, საარსებო – საზრდოს მოიწვევენ: პურსა და ღვინოს. პურიც არასოდეს ყოფილა ჭარბად. 1799 წელს, თბილისში რუსების შემოსვლისას,<sup>7</sup> გაჭირვებით ხერხდებოდა სამიათასიანი ჯარის გამოკვება. აქედან მოკიდებული ხელისუფლების ძალისხმევით საქართველოში მინათმოქმედება იმ ზომამდე განვითარდა, რომ ამჟამად საკუთარი პურით 15-ათასიანი ჯარის შენახვა შესაძლებ-

ბელი. ღვინის მხრივ ვითარება არსებითად არ შეცვლილა. მიუხედავად წარმოების პრიმიტიული ხერხებისა, აქაურ ღვინოს კარგი თვისებები აქვს და ადგილობრივად კარგად იყიდება. ამასთანავე, გარდა ქალაქის გარეუბნებში მცირეოდენი ბოსტნეულის მოვლა-მოყვანისა, არ იქმნება ახალი სასოფლო-სამეურნეო მიმართულებები და ამიტომაც მიწის მფლობელები თავიანთი გლეხებიანად ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ ჭარბი მოსავლის მოწევას.

ამასობაში, ბუნებრივია, უმაღლესი წოდების შეგნებაცა და მოთხოვნილებებიც შეიცვალა და გაიზარდა, მფლობელობის სისტემა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობა კი თითქმის იმავე მდგომარეობაში დარჩა, რა მდგომარეობაშიც იგი ასწლეულების წინ იყო.

მამულების უმეტესობა წინანდებურად გაუყოფელია, თუმცა უკვე აღარ არსებობენ გვარის მეთაურები, რომლებიც განაგებდნენ საერთო მეურნეობასა და მოსავალს გვარის წევრთა შორის ანაწილებდნენ. ამჟამად არიან მხოლოდ ოჯახის უფროსები, რომლებიც, ფლობენ რა საერთო-გვაროვნული მამულის ნაწილს, ფიქრობენ იმ სარგებელზე, რომელსაც მათ მამულის ფორმალური გაყოფა მოუტანს, თუმცა ისინიც ისწრაფვიან არა მეურნეობრიობის გაუმჯობესებისაკენ, არამედ ცდილობენ, არსებულ ვითარებაშივე მამულისაგან მაქსიმალურად „გამოწურონ“ არსებობისათვის საჭირო სარჩო-საბადებელი. კერძო ინტერესი, შესაძლებელია, ზოგჯერ ცუდად გაგებულ იქნეს, მათ აიძულებს იფიქრონ – გაუმჯობესებული მამული გაყრის შემთხვევაში იქნებ გვარის სხვა წევრს შეხვდეს და, ამდენად, შრომა წყალში ჩაგვეყაროსო. ადგილ-მამულის ხელშეუხებლობა კანონითაა დაცული, თუმცა ზოგიერთნი ცდილობენ კანონის თავისებურ განმარტებას და ამის საფუძველზე სხვისი საკუთრების ხელყოფას – ჯერ დროებით, შემდეგ კი საბოლოო მითვისებას. ამ ტიპის საქმეებზე აღძრული დავა ადამიანებს უკარგავს მამულის შემდგომი კეთილმოწყობის ყოველგვარ სურვილს, ხოლო დრო, საუკეთესო

---

\* დანარჩენი ჯარისთვის საჭირო პური შემოაქვთ ალექსანდროპოლის, ახალციხის, ერევნისა და იმ მუსლიმური მაზრებიდან, რომლებიც საკუთრივ საქართველოს ფარგლებში არ შემოდის. [დ. ყ.]

კაპიტალი მეურნეობრიობის მოსაწყობად, საქმის გაუმჯობესებასა და სამუშაო ძალების გაძლიერებას კი არ უწყობს ხელს, არამედ – დასუსტებასა და განადგურებას. ხშირია ისეთი დავებიც, რომლებსაც შეუძლებელია სამართლიანობასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს. და ადამიანებიც, რომლებსაც შეუძლიათ მამულის უკეთ მონყობით საკუთარ თავსაც და საზოგადოებასაც სარგებელი მოუტანონ, ცდილობენ თავი აარიდონ ათასგვარ უსიამოვნებასა და დავიდარებას და ცხოვრების სახსარს სამსახურებრივ შრომასა თუ სავაჭრო საქმეებში ეძებენ. ნაკლებად განათლებული თავადაზნაურობა სოფლის მამულებში რჩება და სწორედ მათ შორის ხდება სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებელი ყოველგვარი უწესრიგობა: ჩხუბი, ალიაქოთი, ცილობა, გაუთავებელი სასამართლო გარჩევები. ცხადია, მათ შორის კეთილგანმზრახველი, გონიერი და ალლოიანი ადამიანებიც მოიპოვებიან, მაგრამ ისინიც ან ზოგჯერ ქვენა გრძნობებს დაემორჩილებიან ხოლმე, ან მეურნეობის ახალ წესს კი შეიმუშავებენ, მაგრამ გამოცდილება არ ჰყოფნით მისი განხორციელებისათვის, ან კიდევ თავიანთი ნაკლებუნარიანობის გამო ვერ ახერხებენ მოწეული მოსავლის გასაღებას.

აი, შედეგი იმისა, მამულები გაუყოფელი რომ არის და არც საკუთრების საზღვრებია დადგენილი.

სოფლის მეურნეობისათვის სხვა და არანაკლები ბოროტება ისაა, რომ უმეტესი ნაწილი ქართველი მემამულეებისა – ერთნი არცთუ საფუძვლიანად გააზრებულ წამოწყებათა გამო, მეორენი კი იმის სურვილით, რომ წარმომავლობითი ღირსების შესაფერისად იცხოვრონ – იღებენ ისეთ ვალებს, რომელთა გასტუმრება არ შეუძლიათ და ამიტომ მათი მამულები ხშირად ჩალის ფასად რჩებათ ვაჭართა კლასის წარმომადგენლებს. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, სწყდებიან შემოსავლიან სავაჭრო საქმეებს და ზემოხსენებულ მიზეზთა გამო ვერც მამულის გაუმჯობესებას ახერხებენ. მათ ის შემოსავალიც აკლდებათ, ვაჭრობით რომ მოიპოვებდნენ. ამდენად, სავაჭრო საქმე ხშირად ჰკარგავს უნარიან მოვაჭრეს, თავადაზნაურობის რიგებს კი ახალ-ახალი უხეირო მემამულეები ემატებიან.

ხელისუფლება ცდილობს მეურნეობის გამოცოცხლებას: არიგებს კულტურული მცენარეების თესლს, ქმნის პროდუქტის გასაღების ახალ საშუალებებს, გაჰყავს სავაჭრო-სატრანსპორტო გზები, მოსკოვის სავაჭრო დეპო გვთავაზობს შუამავლობას აქაური პროდუქციის რუსეთში გატანა-გასაღების საქმეში.<sup>8</sup>

რასაკვირველია, მეურნეობის ახალი დარგები რომ შეიქმნას ან ძველი გაუმჯობესდეს, პირველ რიგში, საჭიროა საკუთრების საზღვრების დადგენა, წარმოების წესის განსაზღვრა და, დასასრულ, საქმის ცოდნა, რომლის გარეშეც ნებისმიერი საქმის დაწყება, ამაში ყველა დამეთანხმება, გონივრულ საქციელად ვერ ჩაითვლება.

საზღვრების დადგენის საკითხთან დაკავშირებით ქართველი მემამულეები საქმეში იმდენად ჩახედულნი და გონიერნი კი არიან, რომ ესმით, რამდენად დიდ ზარალს ნახულობენ თავიანთი მამულების გაუყოფლობის გამო. კეთილგონიერებისა და სათანადო სურვილის შემთხვევაში მათ ამ პრობლემის გადაჭრა იმით შეუძლიათ, რომ არ დაელოდონ სახელისუფლებო გადაწყვეტილებებს და პრობლემა მშვიდობიანად გადაჭრან ერთმანეთს შორს. ამისათვის კი საჭიროა ალაგმვა წვრილმანი ვნებებისა, შეწყვეტა ჩხუბისა და დავისა, რომლებიც ხელს უშლის საქმის კეთილად დაბოლოებას. გზები ამოცანის განხორციელებისა თავისთავად გამოჩნდება, თუკი დრო არ დაიხარჯება ამაო და მავნე მეზობლურ დავა-ცილობაში ან კიდევ არაკეთილსინდისიერი საშუალებებით სხვისი საკუთრების მიტაცებაში; ხოლო იმისათვის, რომ შევიძინოთ საქმისათვის საჭირო ცოდნა, ხელისუფლება გვიჩვენებს სათანადო გზებსა და იძლევა საამისო სახსრებს.

ქართველი მემამულეები, ცხადია, უკვე დარწმუნებულები არიან – მათი საერთო ხელმოკლეობა განპირობებულია ჩვენ მიერ დასახელებული მიზეზებითა და კიდევ იმით, რომ ვერ ახერხებენ წინასწარ განჭვრიტონ სხვაობა ხარჯებსა და შემოსავლებს შორის. მათი შემოსავლების ზრდა დამოკიდებულია ერთადერთ და ნაღდ კაპიტალზე – მათსავე ნოყიერ და მოსავლიან მიწაზე. თუ მემამულეები თავად არ მიაქცევენ სათანადო ყურადღებას საკუთარი მეურნეობის გაუმჯობესებას, მიწის დამუშავების

ლონისძიებათა სრულყოფას, არ შექმნიან მოსავლის მოყვანის ხერხებსა და საშუალებებთან დანახარჯის მიმართების მომგებიან სისტემას, ხელისუფლება მხოლოდ თავისი რესურსებით მათ ვერ დაიცავს მეურნეობის შემდგომი რღვევით გამოწვეული შედეგებისაგან. განა დიდი ხანია გასული იმ დროიდან, როცა რუსი თავადაზნაურობა წარმოებას ხელს არ ჰკიდებდა? მაგრამ ახალი დროის მოთხოვნებმა იგი აიძულა, უკუეგდო მანვე ცრურწმენები და ნახეთ, დღეს წარჩინებულთა ფენის რამდენი წარმომადგენელია ძლიერი ფაბრიკანტი თუ მრეწველი. ისინი ჩინებულ მაგალითად გამოადგებიან ქართველ თავადაზნაურობებს. თუკი სპეციალური ცოდნის სიმწირის გამო ქართველ მემამულეთაგან ბევრი ვერ შეძლებს საკუთარი მამულიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას, უკიდურეს შემთხვევაში ის მაინცაა საჭირო, რომ ამგვარი ცოდნა მათს შვილებს მიეცეს. ამაში მათ ხელისუფლება ძლიერ დახმარებას უწევს.

და მაინც, ყველა ინიციატივას, უპირველეს ყოვლისა, წინ უნდა უძღოდეს: მამულების გაყოფა და მიჯნების დადგენა. მუშახელი არის – იგივე გლეხები, რომლებსაც საქმისადმი კეთილგონივრული მიდგომის შემთხვევაში შეუძლიათ როგორც საკუთარი ოჯახის, ისე მეზობლების გამდიდრება. კეთილგონივრული და ყაირათიანი მართვის მაგალითებს ზოგიერთი ქართველის მამულში უკვე ვხედავთ.<sup>9</sup> სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები იშვიათია, მაგრამ იმის მაჩვენებელი კი არის, რომ სასოფლო მეურნეობის გარდაქმნა და ცრურწმენების დაძლევა შესაძლებელია და არც ისე ძნელი, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

ღმერთმა ქნას, ხსენებულ მცირერიცხოვან მემამულეთა მაგალითებმა – პატივისცემისა და მაღლიერების ღირსმა მაგალითებმა – დანარჩენებშიც აღძრას მიბაძვის სურვილი და მათაც შეძლონ სურვილისა და მოქმედების შეკავშირება. მართებლობა კი სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინებით აამაღლებს აქაურთა კეთილდღეობის დონესა და ამით ჩვენი მხარისა და რუსეთის ორმხრივ ინტერესებსაც შეაწონასწორებს.

[1848]

## **„საზოგადოების“ მიზანთა განხორციელების გზების შესახებ**

ჩვენი „საზოგადოება“<sup>1</sup> არსებობის მეშვიდე წელს ითვლის. თავიდან იგი დიდი იმედებით შეუდგა საქმიანობას, თუმცა განვლილი 6 წლის განმავლობაში მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია დასახულ მიზნებს. ამჟამად ახალი პრეზიდენტის, თავად ალექსანდრე ივანეს ძის,<sup>2</sup> ხელში შეგვიძლია ეს მიზნები სრულფასოვნად განვახორციელოთ. თითოეული ჩვენგანისთვის კარგადაა ცნობილი ის თანაგრძნობა, რომელსაც მისი ბრწყინვალეობა<sup>3</sup> იჩენს ჩვენი მხარის საჭიროებათა მიმართ და, მაშასადამე, თითოეული ჩვენგანი დარწმუნებულია – საერთო საქმის წარმატებისათვის იგი არც ახლა დაიშურებს შრომას, შემწეობასა და კეთილგანწყობას, რომელთა გარეშე ვერც ერთი საზოგადო საქმე ვერ გაკეთდება.

ვსარგებლობთ დღევანდელი საზეიმო შეკრებით, მონყალეო ბატონებო, და გულახდილად მოგახსენებთ იმ ხელის შემშლელ დაბრკოლებათა შესახებ, რომელთა დასაძლევად გვჭირდება დახმარება და საერთო აზრის შემუშავება.

მე რომ არა მქონოდა პატივი, დაარსების დღიდანვე ვყოფილიყავი ჩვენი „საზოგადოების“ საბჭოს წევრი, როგორც გარეშე პირს, სამართლიანობის განცდა მიკარნახებდა, ქების სიტყვებითა და მადლიერებით მელაპარაკა „საზოგადოების“ მიერ გაკეთებული საქმეების შესახებ, ჩამომეთვალა ყველა მისი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მიღწევა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის გაუმჯობესება-განვითარების საქმეში.

ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა მეაბრეშუმეობის, მეღვინეობის, ხვნა-თესვის, მებღალეობის, მებოსტნეობის მიმართულებებით.

თუ გავიხსენებთ დადებით შედეგებს, წარმატებით განხორციელებულ წამოწყებებს, – შეიძლება თავი დავიმშვიდოთ, რომ ჩვენი მოქმედებები არ ყოფილა უნაყოფო, განსაკუთრებით, „საზოგადოების“ არსებობის პირველი სამი წლის განმავლობაში. ბოლო 4 წლის საქმიანობამ კი სხვა სახე და ხასიათი მიიღო და იგი გაჯერებული იყო საბრძოლო, ლამის საომარი, სულისკვეთებით, რაც ძლიერ დამაზიანებელია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

მოვალეობა, გამომდინარე ჩემი მდგომარეობიდან, რომელსაც მესამედ მანიჭებს „საზოგადოება“, მოვალეობა საბჭოს წევრისა,<sup>4</sup> მავალდებულებს ვთქვა: რაც უფრო გამახვილებულად წარმოვაჩინებ საქმის წარმატებულ მხარეს, მით უფრო მეტია საფრთხე, ყურადღების მიღმა დაგვრჩეს იმავე საქმის სუსტი მხარეები. ამიტომ თავს ვიკავებ ჩვენი მიღწევების ჩამოთვლისაგან და, ვეთანხმები რა „საზოგადოების“ ნამდვილი წევრის, ბარონ ა. პ. ნიკოლაის, მიერ ახლახან თქვენ წინაშე წარმოთქმულ აზრებსა და შეხედულებებს,<sup>5</sup> ჩემი მხრიდანაც შეძლებისდაგვარად ვისაუბრებ ისეთ გარემოებებზე, რომლებიც ხელის შემშლელია მომავალ წარმატებათა გზაზე.

ამა თუ იმ საქმის ორგანიზება მეცნიერული ცოდნის გამოყენებით, რასაკვირველია, შეიცავს ნათელ მხარეებს და სწრაფად აახლოებს ამ საქმის მუშაკს დასახულ მიზანთან; მიუხედავად ამისა, საერთოდ მეცნიერებისათვის არ არის დამახასიათებელი ნახტომები. პირიქით, უცილობელი პირობა ყოველგვარი ცოდნისა, ყოველგვარი განვითარება-გაუმჯობესებისა – ეს არის ლოგიკაზე დაფუძნებული თანამიმდევრულობა.

ერთადერთი საყვედური, რომელიც შეიძლება საკუთარ თავს ვუთხრათ, ისაა, რომ, გარკვეული აზრით, ჩვენ სწორედ ეს თანამიმდევრულობა უარყვავით. თუმცა აქვე თავის გასამართლებლად ისიც უნდა ვთქვა, რომ გვამოდრავებდა მხურვალე სურვილი, კავკასიის სამეურნეო ცხოვრებაში რაც შეიძლება სწრაფად დაგვემკვიდრებინა დასავლეთში შემუშავებული და ათვისებული რაციონალური წესი მეურნეობრიობისა.

ვითვალისწინებდით რა ჩვენი ნიადაგის ნაყოფიერებას, გვსურ-

და გადმოგველო ყველაფერი საუკეთესო, რაც კი დედამიწის სხვა ნაწილებში გეხვდება – გამოვიწერდით ხოლმე თესლსა თუ ნერგებს, მიწის დასამუშავებელ იარაღებსა თუ მანქანებს, ვწერდით და გამოვცემდით მათი გამოყენებისათვის საჭირო მითითებებსა თუ ინსტრუქციებს, ვამარაგებდით ყოველივე ამით აქაურ მიწის მფლობელებს და ეს ყველაფერი კეთდებოდა უჩვეულო ხელგაშლილობითა და გულითადობით, რადგანაც სწრაფი წარმატების სურვილი გვამოძრავებდა.

შემოვიტანეთ ნიმუშები ყირიმიდან, შვეიცარიიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, ამერიკიდან და ჩინეთიდან, მაგრამ მათგან ბევრმა, საკმაოდ ბევრმა, ვერ გაიხარა ჩვენს მიწაზე. ეს მით უფრო სამწუხარო იყო ჩვენთვის, რაც უფრო ვაკვირდებოდით ახალი მეურნეობის მოწყობის ბრწყინვალე მაგალითებს – საკმარისია გერმანიიდან ან ირლანდიიდან გამოსული ასიოდე ახალმოსახლე სადმე გამოჩნდეს, ხევ-ხუვები იქნება ეს, თუ ამერიკის სავანა, იქ მყისვე აღმოცენდება შესანიშნავი საძოვრებით გარშემორტყმული და თანამედროვე ყოფისათვის აუცილებელი საშუალებებით აღჭურვილი, აყვავებული სოფლები და ქალაქები.

თუმცა ესეც არის: ამ ახალმოსახლეებს თან ჩააქვთ საქმის ცოდნა და არც ადგილობრივ ტრადიციულ მეურნეობასთან უწევთ ბრძოლა – იქ ან არ ხვდებათ მოსახლეობა, ან თუ ხვდებათ, მათ ავიწროებენ და აყრასა და გადასახლებას აიძულებენ.

თუ ახლოდან დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ევროპული საზოგადოებები სიახლეებსა და პროგრესს სოფლის მეურნეობაში ადვილად იზიარებენ და სწრაფად, ყოველგვარი გართულების გარეშე ითვისებენ. ჩვენთან კი დაბრკოლებებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იქ სიახლეები შეუჩერებლად იწერება არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; იქ აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ცოდნის გაღრმავება ისეთი სისწრაფით მიმდინარეობს, ჩვენ წარმოდგენითაც რომ ვერ წარმოვიდგენთ.

ჩვენში მეტისმეტად მწირია – უფრო ზუსტად, საერთოდ არ



არსებობს – შესაფერისი პირობები იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებშიც ევროპიდან გამოსულები სახლდებიან და დაფუძნებისთანავე უაღრესად განვითარებულ სოფლის მეურნეობას ქმნიან; ჩვენში არც ისეთი პირობებია, რა პირობებშიც განუწყვეტლივ უმჯობესდება და ვითარდება სოფლის მეურნეობა, მაგალითად, ბელგიაში, უელსის სამთავროში, რაინისპირა გერმანიაში.

ჩვენში მკვიდრი მოსახლეობა უძველესი, წინარეისტორიული დროებიდან უპირატესად თავს მიწათმოქმედად მიიჩნევს; მაშასადამე, ამ საქმეში დიდ გამოცდილებას ფლობს და ყველა სიახლეს ისე ეკიდება, როგორც მოხუცებული ადამიანი მოეკიდება ყმანვილის რჩევას – უსმენს, მაგრამ არ უჯერებს. მოხუცებულობა მოითხოვს არა მჭევრმეტყველებას საქმის გარეშე, არამედ საქმეს მჭევრმეტყველების გარეშე.

და აი, აქ ჩანს ჩვენი მთავარი ხარვეზი: ჩვენში არა მარტო მწირია სიახლეების დანერგვისათვის აუცილებელი აზრი, არამედ – ეს დიდი მწუხარებით უნდა ვთქვა – თვალსაჩინოებისათვის ასეთი მაგალითების დასახელებაც კი დიდადაა გაძნელებული. მართალია, ნამდვილად იყო ცალკეული წარმატებული მაგალითები, მაგრამ საერთო სურათმა საქმისადმი უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება წარმოშვა. ნება მიბოძეთ, მოწყალო ბატონებო, ორიოდ-სამიოდე ასეთი მაგალითი დავასახელო:

1. 1820-იან წლებში საფრანგეთიდან ჩამოვიდა განსწავლული ნეგოციანტი კასტელა. ერთი მხრივ, მეცნიერული გამოცდილებით, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენი ხელისუფლების მიერ მიცემული დიდი კრედიტით აღჭურვილმა კასტელამ თბილისში ხელი მოჰკიდა ამიერკავკასიაში მებარეშუმეობის გაუმჯობესების ფართომასშტაბიანი გეგმის განხორციელებას. გაჩნდა ამ მიმართულებით მხარის განვითარების დიდი იმედი, მაგრამ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ხაზინა იძულებული გახდა, ფრანგი ნეგოციანტის მიერ ორგანიზებული საქმე თავის გამგებლობაში მიეღო. კასტელას წამოწყება თანდათან ინგრეოდა და მისი აბრეშუმსახვევი ფაბრიკა სახაზინო ქონებად იქცა. კიდევ უფრო საოცარია ბოლო ამ ფაბრიკისა – იგი ამჟამად სასწავლო ბატალიონის ყაზარმაა.

2. თბილისიდან 6-7 კილომეტრით ქვემოთ, მტკვრის ნაპირას, მწირ და უნაყოფო მიწაზე დაარსდა სანიმუშო ფერმა. ამ წამონყებით უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ მეცნიერებით განმტკიცებულ ცოდნას შეუძლია უნაყოფო მიწა სიმდიდრის წყაროდ აქციოს. ფერმის გამართვა და შენახვა ხაზინას უზარმაზარი თანხა დაუჯდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ იგი ჩალის ფასად გაიყიდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამის შემდეგ თბილისთან ახლოს, ავლაბრის გადაღმა, კიდევ ერთი ფერმა გაშენდა. ამ ფერმისაგან ამჟამად დარჩენილია რამდენიმე შენობა, რომლებშიც დავრდომილთა თავშესაფრის მოწყობა იყო განზრახული. და ვინაიდან სანიმუშო ფერმა მეტისმეტად გვჭირდებოდა, ყოფილი აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მეზობლად საკმაოდ დიდ თანხად შეძენილ იქნა ავაქ-ხან მეგრაბოვის ბაღი. ამჟამად ამ ბაღის სახელწოდებაა მებაღეობის სკოლა და ეს სკოლა მებაღეთა გამოზრდას გვპირდება.

3. როგორც აქ ბარონმა ა. პ. ნიკოლაიმ ახსენა, სეტყვა ხშირად მეურნის მთელი წლის ნაშრომს ანადგურებს. ვინაიდან ევროპაში არსებობდა რწმენა სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარის უძლიერესი ეფექტის შესახებ, ერთ-ერთ მამულში დავდგით კიდევაც ასეთი დანადგარი. მაგრამ ისე გამოვიდა, რომ პირველმავე სეტყვამ მხოლოდ და მხოლოდ და მაინცადამაინც მოსავალი მიწის იმ ნაკვეთზე გაანადგურა, რომელიც ამ დანადგარს უნდა დაეცვა.

ასეთი მაგალითები უკიდურესად აღრმავებს სიახლეებისადმი ჩვენი მიწის მფლობელების უნდობლობას.

კითხვას: რატომ მთავრდებოდა ასე სავალალოდ დასახელებული და სხვა მსგავსი წამონყებები და, ასე და ამგვარად, რატომ ისპობოდა მომავალი წარმატებების იმედი? – ვფიქრობ, ასეთი პასუხი უნდა გაცევს: ან საქმეს საკმარისი ცოდნა არ ედო საფუძვლად, ან კიდევ სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი პირობები: ნიადაგის თვისებები, ჩვენი მხარის ცალკეულ ნაწილებში ჰავის სიმშრალისა თუ ტენიანობის ხარისხი, ქარის სიჩქარე თუ ძირითადი მიმართულებები, ადგილობრივი კავ-

შირ-ურთიერთობებისა თუ შრომის პროდუქტის გასაღების თავისებურებები, დასასრულ – ამა თუ იმ ტერიტორიაზე ამა თუ იმ პროდუქტის წარმოების ტრადიციული წესები და საშუალებები. არ იყო სათანადოდ გათვალისწინებული აგრეთვე ხალხის ზნე-ჩვეულებები, რომლებიც ასე ადვილად არ იცვლება ხოლმე, არც მიწის მუშა თუ მიწის მფლობელ კლასთა უნარი, ადვილად შეეთვისებინათ სიახლეები, არც ზოგადად ის კლიმატური თავისებურებები, რომლებითაც ასე მდიდარია ჩვენი მხარე.

თუ თქვენც იტყვიტ, მოწყალეო ბატონებო, სწორედ ამ საკითხების ცოდნა უნდა დასდებოდა საფუძვლად ყველა ჩვენს წამოწყებას, მაგრამ, ესეც უნდა ითქვას – ჩვენ დღესაც არა ვართ საამისოდ მზად, ანუ ჩვენს „საზოგადოებას“ ჯერ კიდევ არა აქვს გააზრებული ის, რაც მისმა თითოეულმა წევრმა, ცალ-ცალკე აღებულმა, ან იცის, ან ადვილად შეუძლია გაიგოს.

ასეა თუ ისე, მეურნეობრიობის გაუმჯობესების საქმემ მაინც უნდა წაიწიოს წინ, თუნდაც კერძო ინიციატივების ხარჯზე – ჩვენს საზოგადოებაში მოიპოვებიან სათანადო ცოდნითა და მოწინავე იდეებით აღჭურვილი ცალკეული ადამიანები, რომლებმაც კონკრეტული საქმეც იციან, ზოგადად საქმის არსშიც ერკვევიან და დროებით წარუმატებლობებსაც არ მოუხრიან თავს.

დიახ! ხელისუფლება ზრუნავს ცოდნისა და განათლების გავრცელებაზე და ამის წყალობით ჩვენ შორის დღეს არიან ისეთი მეურნეები, რომლებსაც ვერაფრით უუწარობას ვერ დავწამებთ. არიან მათ შორის ისეთებიც, რომელთა მიმართ შეუძლებელია პატივისცემით არ განიმსჭვალოთ – თავიანთი სასარგებლო წამოწყებების განხორციელებისას ისინი თამამად უსწორებენ თვალს დაბრკოლებებსა თუ სირთულეებს, თუმცა იმ მიზეზთა გამო, რომლებზეც ქვემოთ მოგახსენებთ, ან მიმდევრების გარეშე რჩებიან, ან კიდევ სამწუხარო მარცხისთვის არიან განწირულნი.

1. გორის მაზრაში თავადმა დავით დიასამიძემ, რომელიც არც ისე გათვითცნობიერებულია მეურნეობის რაციონალურად მართვის თეორიულ საკითხებში, მაგრამ პრაქტიკული ჭკუითაა დაჯილდოებული, თავის საქაშეთის მამულში ისეთი მეურნეობა

მოაწყობ, რომ არა მარტო ბოლო მოუღო მეზობლების ქილიკსა და მისი წამოწყებისადმი აგებულ დამოკიდებულებას, არამედ საქმეში ჩახედული სპეციალისტების ქებაც კი დაიმსახურა. ყველა საკუთარი თვალით ხედავდა შესანიშნავად აწყობილ საქმეს და ყველა დარწმუნდა დიასამიძის წამოწყების გონივრულობაში.

მაგრამ ეს კერძო შემთხვევა სხვებს მაგალითად არ გამოადგათ. ვერავინ მიბაძა მას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მთელი თავისი საქაშეთის მამული თავად დიასამიძეს პირად საკუთრებად ჰქონდა დამტკიცებული, სხვა მამულები კი საქაშეთში არ არის გამიჯნული, მკაფიოდ არ არის განანიღებული მფლობელთა შორის, პატარ-პატარა ნაკვეთებად არის დაშლილი და თანამფლობელთა გაუთავებელი დავისა და შეხლა-შემოხლის საგანს წარმოადგენს.

საჭიროა პირდაპირ ითქვას სიმართლე სოფლის მეურნეობის განვითარების დამაბრკოლებელი ერთი შემაშფოთებელი ვითარების შესახებ – დღემდე თითქმის არც ერთ ქართველ მემამულეს დარწმუნებით არ შეუძლია თქვას, რომ ხვალაც მისი საკუთრება იქნება ის, რომელსაც დღეს ფლობს. დიასამიძე ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისია.

2. 40-იანი წლების დასაწყისში გორის მაზრაშივე თავადებმა ელიზბარ და დიმიტრი ერისთოვებმა საკუთარ მამულში შუშის ქარხანა ააშენეს. ისინი უცდომელი ანგარიშით ხელმძღვანელობდნენ – ამიერკავკასიაში შუშის წარმოება არ არსებობს და, შესაბამისად, შეუძლებელია ეს საქმე წარმატებული არ იყოსო. ამ წამოწყებას შესწირეს მათ მთელი თავიანთი შეძლება, შრომა, დრო, რეალური და საკვებით დამსახურებული სამსახურებრივი პერსპექტივა და საქმე ბოლომდე მიიყვანეს. ეს ქარხანა დღესაც არსებობს. როგორც ქარხნის მშენებლობის, ისე პროდუქციის გასაღების გზებისა და საშუალებების ძიებისას თავადმა ერისთოვებმა მტკიცედ და შეუპოვრად იბრძოლეს მრავალი დაბრკოლებისა თუ სირთულის დასაძლევად.

მაგრამ რასაც გაუძლეს ერისთოვებმა, იმას სხვა ვერ გაუძლებს და მათი საქმე არც ამ შემთხვევაში გამოადგებათ სხვებს მაგალითად.

3. 40-იან წლებშივე მაძიებელი ჭკუის თავადმა სოლომონ გურგენიძემ თავი მოუყარა ცნობებს მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ და თავის მამულში მეღვინეობას, მეაბრეშუმეობასა და მეთამბაქოეობას მიჰყო ხელი. დაწყებული საქმის მასშტაბი აღემატებოდა თავად გურგენიძის შეძლებას. იმ ანგარიშით, რომ რაც მეტია თანხა, მით უფრო ადვილია საქმის წარმატებით დაგვირგვინება, თავადმა გურგენიძემ „პრიკაზიდან“ ვადიანი სესხი აიღო.<sup>6</sup> პირველი ორი წელიწადი მას მართლაც წარმატებას უქადდა, მაგრამ ახალჩაყრილი ვენახი და თუთის ხეები ხარჯს ორ წელიწადში ვერ აანაზღაურებს. ამას ისიც დავუმატოთ, რომ ამ წამოწყების მიმართ მეზობლები იმთავითვე ცუდად განეწყვენენ, არც სხვა ვინმე გამოჩნდა ხელის გამმართავი და თავადი გურგენიძე დაიღუპა – მთელი თავისი სარჩო-საბადებელი დაკარგა.

ძნელი წარმოსადგენია, ახლო მომავალში ვინმემ მიბაძოს თავად გურგენიძის თავისთავად ქების ღირს განზრახვას. და ეს იმიტომ, რომ, ვეჭვობ, ვინმეს გააზრებული ჰქონდეს მისი გაჩანაგების ნამდვილი მიზეზი. ნამდვილი მიზეზი კი „პრიკაზიდან“ სესხის გაცემის მაშინდელ და ახლანდელ პირობებს შორის განსხვავებაში უნდა ვეძებოთ. მაშინ „პრიკაზს“ ერთი პირისთვის შეეძლო მიეცა სესხი მხოლოდ 3 წლით და არა უმეტეს 3 500 მანეთისა. ხოლო ახალი მეურნეობის ასე სწრაფად გამართვა და, შესაბამისად, ვალის დათქმულ ვადაში გადახდა უალრესად ძნელია, მით უფრო, აქაური მემამულეებისათვის.

დღეს ასეთი რამ აღარ მოხდება იმდენად, რამდენადაც სესხის მოცულობა ამჟამად დაგირავებული ქონების ღირებულებით განისაზღვრება და სესხის დაფარვის ვადაც 37 წლამდეა გაზრდილი.

მაგრამ თავად გურგენიძის გაკოტრებამ სხვებზე ისეთი შთაბეჭდილება იქონია, რომ ასეთი წამოწყება ხალხში უკვე უგუნურებად ითვლება.

4. თავადმა გიორგი ამილახვაროვმა, ძველი დროების ადამიანმა, მიუხედავად გარკვეული შიშისა, გადაწყვიტა დაეჯერებინა ჩვენი „საზოგადოების“ რჩევებისათვის და მებოსტნეობისათვის მიეყო ხელი. „საზოგადოების“ მიერ მიცემული თესლით მან დიდი

რაოდენობით მოიყვანა ჩვენში იმ დროისათვის უჩვეულო ბოსტნეული – ყვავილოვანი და ბრიუსელის კომბოსტო. მან და მისმა სწავლულმა მეზღვემ, რომლის სამსახურზე განეული ხარჯი, სხვათა შორის, არც ისე მცირე იყო, წარმოგვიდგინეს ნიმუშები და ჩვენგანაც საკმაოდ რიგიანი წამახალისებელი პრემიები დაიმსახურეს. პრემია მაშინ ჩვენში ბოსტნეულით მოვაჭრე ფრანგ ლუი შარონსაც მიეცა იმის მიუხედავად, რომ შარონს თავისი ბოსტნეულისთვის ცეცხლის ფასი ჰქონდა დადებული – იყო მყიდველი და იყიდებოდა.

მაგრამ ამილახვაროვის საბოსტნე მეურნეობა მდებარეობდა არა აქ, არამედ გორის მახლობლად. იქ კომბოსტოს მოყვარულები არ აღმოჩნდნენ, მოსავლის თბილისში ჩამოტანა კი საკმაოდ ძნელი იყო. თავად ამილახვაროვს ჰქონდა სათანადო ნება, საკუთარ თავში სიახლეების შიში დაეძლია, მაგრამ მისი ეს ნება პირველივე წარუმატებლობის შემდეგ დაიმსხვრა. დარწმუნდა რა, რომ მის მიერ მოყვანილი მშვენიერი კომბოსტო აღარავის სჭირდებოდა და ოხრად უნდა დარჩენილიყო, მან თავის საბოსტნეში კამეჩის ნახირი შეუშვა და ბრიუსელის შესანიშნავი საბოსტნე მეურნეობისაგან ოთარაშენში სევდის აღმძვრელი მოგონებალა დარჩა.

5. ჩვენი „საზოგადოების“ რჩევებითა და წამახალისებელი ღონისძიებებით გატაცებულმა თავადმა დ. ვ. ორბელიანმა თავის ბორჩალოს მამულში, იქ, სადაც მოსავლიანი პურის ყანები ჰქონდა, მეთამბაქოეობას მოჰკვიდა ხელი. ჩვენც ხელი გავუმართეთ ამერიკული თამბაქოს საუკეთესო ჯიშების თესლითა და სწავლული მეთამბაქოეც მივამაგრეთ. თავადმა დიმიტრი ორბელიანმა, რომელსაც ჩვენში ერთ-ერთი საუკეთესო მეურნეობა ჰქონდა, სამი წლის განმავლობაში ამ ახალ საქმეს შესწირა თავისი დრო და მამულიდან მიღებული მთელი შემოსავალი. მოსავალი უხვი და ხარისხიანი მოვიდა, მაგრამ გასაღებას პირველი ორი წლის განმავლობაში ხელისუფლების ენერგიული დახმარება დასჭირდა. მესამე წელს თავადი გასაღების მხრივ შემაშფოთებელ დაბრკოლებებს წააწყდა – ამ წლის მოსავალი სარდაფებში დაუღპა და მისი ჩინებულად მოწყობილი მეურნეობის საქმე ისე წარი-

მართა, რომ თავადი ორბელიანი საბოლოოდ ისევ მამაპაპურ ხვანათესავს დაუბრუნდა.

არის, რასაკვირველია, შემთხვევები, როცა ცალკეული კერძო წამოწყებები ასე სავალალოდ არ დასრულებულა. დავასახელებ რამდენიმე მაგალითს: ბ-ნი მარი და თავადი მ. ერისთოვი გურიაში; თავადი ნ. ჩიჯავაძე და ლ. ქორქაშვილი იმერეთში; თავადები ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, გ. რ. ერისთოვი, კ. მ. ერისთოვი, რ. ი. ერისთოვი, თ. ზ. გურამოვი ქართლში; ს. ი. ანდრონიკოვი, დ. ი. აბხაზოვი კახეთში; ლ. ი. მელიქოვი, ორბელიანოვთაგან ზოგიერთი და ა. ე. გურგინბეკოვი სომხეთში. ესენი და კიდევ არა ერთი და ორი განუწყვეტლივ აუშჯობესებენ საკუთარ მეურნეობებს იმდენად, რამდენადაც კი ეს შეუძლიათ ისეთ პირებს, იმავდროულად სახელმწიფო სამსახურშიც რომ დგანან.

ასეთი ცალკეული პირები ქებას, დახმარებასა და ნახალისებას იმიტომაც იმსახურებენ, რომ ისინი ჩვენ მიერ დასახელებული მაგალითებით გამონვეული ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათს მაგალითს ჯერ კიდევ არ შეუძლია ქართველ მემამულეებში აღმოფხვრას ისეთი თვისებები, როგორებიცაა: უყაირაობა, უზრუნველობა და უგერგილობა სამეურნეო საქმეებში.

ვადასტურებ ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის აზრს იმის შესახებ, რომ ზოგადად აქაური მემამულეები სულაც არა ვართ თავისუფალნი ჩამოთვლილი თვისებებისაგან.<sup>7</sup> ვამბობ ამას, როგორც წევრი „საზოგადოებისა“ და ადამიანი, რომელსაც ვითარების ძირფესვიანად შეცვლა სურს.

იმედს ვიტოვებ, კეთილგანწყობით მოისმენთ ჩემგან, როგორც ქართველისაგან, მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ რა გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული მანამ, სანამ ქართველ მემამულეებს ზემოთ ნახსენებ მანკიერ თვისებათა გამო სამართლიანობის სახელით დავდებთ მსჯავრს.

მიზეზ-შედეგობრიობის გარდაუვალი კანონის მიხედვითა და ქართველი ხალხის ცხოვრების თავისებურებებიდან გამომდინარე, ჩვენში უნდა ჩამოყალიბებულიყო ისეთი ვითარება, რომელიც არაფრით ხელს არ უწყობს მეურნეობის განვითარებას. საუკუ-

ნეთა განმავლობაში ცხოვრების მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო წესით ვცხოვრობდით და, შეუძლებელია, ასეთ ვითარებაში არ შეგვეძინა ისეთი თვისებები, უცხო რომ არის – ყოველ შემთხვევაში, ხელის შემშლელი მაინცაა – მშვიდობიანი სამეურნეო შრომისათვის. ჩვენი მთავარი საქმე რწმენისა და სამშობლოს მტრების წინააღმდეგ გაჩაღებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო. ქართველი მემამულე პირველ რიგში მეომარი იყო. მეომარს კი სიმამაცე და გულუხვობა, ზოგჯერ მფლანგველობაც, მოეთხოვებოდა და არა – მომჭირნეობა და ანგარიშიანობა მეურნეობაში, რომლისთვისაც ის ისედაც ვერ მოიცილიდა. ბრძოლის ველიდან შინისაკენ მომავალი, იგი, რასაკვირველია, თვალს კი გადაავლებდა თავის ველ-მინდვრებს, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ მიწის მუშაკებისთვის ან ქების სიტყვები ეთქვა, ან ალაფიდან რაიმე ეჩუქებინა. ცხენ-იარაღს რომ იყო გადაყოლილი, ეს გარდაუვალი აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და თავისთავად იწვევდა მეურნეობისადმი მის გულგრილობას, ოჯახურ ცხოვრებაში კი იგი მცირედითაც კმაყოფილდებოდა.

მრავალი თაობის მიერ გამომუშავებული ცხოვრების წესის გარდაქმნა ჩვენი მამების თაობაში დაიწყო და იგი პრაქტიკული მეურნეობის გაუმჯობესებისაკენ კი არა, ახალი იდეებისა და აზროვნების ჩამოყალიბებისკენ იყო მიმართული. გაჩნდა სურვილი, გვემსახურა იმ ხელისუფლებისათვის, რომელმაც ჩვენც გადაგვარჩინა საფრთხეებისაგან და ჩვენი რწმენაც იხსნა; სახელმწიფო სამსახურში ყოფნას კი, თავის მხრივ, ის შედეგი მოაქვს, რომ მეურნეობის გაუმჯობესებისათვის დრო აღარ რჩება.

ასე რომ, თუ გვინდა სამართლიანები ვიყოთ, პირველი რიგში, თავი უნდა დავანებოთ ადამიანების გამტყუნებას იმ სისუსტეების გამო, რომლებიც ობიექტური გარემოებებითაა განპირობებული და რომელთაგან გათავისუფლება მათ ისე სურთ, როგორც ავადმყოფს სურს მძიმე სნეულებისაგან განკურნება. ავადმყოფი კი ვერ განიკურნება, თუ მას მკურნალობის ნაცვლად განუწყვეტილ იმას შევასხენებთ, რომ იგი ავადაა.

მე აქ კიდევ ერთხელ დავეთანხმები შეხედულებებს, გა-



მოქმედებს ბარონ ალექსანდრე პავლეს ძის მიერ და, მონყალეო ბატონებო, თქვენი კეთილგანწყობილი ყურადღებით ბოროტად რომ არ ვისარგებლო, ჩემი მოხსენების დასასრულს პირდაპირ შემოგთავაზებთ შემდეგ წინადადებებს:

1. ჩვენი მომავალი მოქმედებები უნდა დავინყოთ აქაურ სოფლის მეურნეობაში შექმნილი ვითარებისა და აქაური პირობების ძირფესვიანი შესწავლით.

2. ამგვარი შესწავლისათვის საჭირო პროგრამის შესადგენად და სათანადო საშუალებების შესამუშავებლად, აგრეთვე, მოპოვებული ინფორმაციის სისტემატიზაციის მიზნით „საზოგადოებასთან“ უნდა დავაარსოთ სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული საგანგებო კომიტეტი და შესაძლებლობების ფარგლებში გამოვყოთ ამ საქმისათვის საჭირო ფულადი სახსრები.

3. ამ პირველი რიგის ამოცანების პარალელურად კვლავ გავაგრძელოთ ზრუნვა მეურნეობის მთავარი დარგების განვითარებაზე, თუმცა ეს უკანასკნელი მაინც მეორე რიგის ამოცანად უნდა დავსახოთ, ხოლო ყურადღება ძირითადად ზემოხსენებული წინადადებების განხორციელებაზე უნდა იქნეს გამახვილებული. მოქმედების შემდგომი გეგმები მუშაობის პროცესში თავისთავად გამოჩნდება.

4. საგანგებო კომიტეტს მუშაობის დასაწყებად უნდა გადაეცეს როგორც ბარონ ა. პ. ნიკოლაის მიერ აქ ნაკითხული მოხსენება, ისე ჩემი წინადადებები, აგრეთვე, ანალოგიური წინადადებები, რომლებიც „საზოგადოების“ საბჭოში შეტანილია ფ. ფ. ბობილევის მიერ<sup>8</sup> და რომელთა ნაკითხვა დროის სიმციროს გამო აქ ვერ მოხერხდა.

დარწმუნებული ვარ, შემოთავაზებული ღონისძიებები დაგვაყენებს ჩვენი მიზნების განხორციელების არცთუ მოკლე, მაგრამ სწორ გზაზე.

[დეკემბერი. 1856]

## კავკასიაში მართლმადიდებლობის აღდგენისათვის

ხელმწიფე-იმპერატორის უმაღლესი განკარგულებითა<sup>1</sup> და იმპერატრიცა მარია ალექსანდრეს ასულის მფარველობით თბილისში არსდება „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“.

„საზოგადოების“ ნამდვილი წევრი გახდება ის, ვინც „საზოგადოების“ წესდებით დადგენილ საწევრო გადასახადს შეიტანს.

წევრებისათვის იქმნება 4 სხვადასხვა ხარისხის სპეციალური სამკერდე ნიშანი. ნიშნის ხარისხი განისაზღვრება ყოველწლიური საწევრო შენატანის ოდენობით.

ასე და ამგვარად, „საზოგადოების“ წევრებს ახლა უკვე არა დაფარულად, არამედ ღვთისა და კაცთა წინაშე ღიად და დაუფარავად შეუძლიათ ემსახურონ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ სჯულს.

კავკასიის არაერთ ნაწილში მართლმადიდებლობა არსებობდა და არსებობს მოციქულთა დროიდან.

საქართველო მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო სისხლიანი მოვლენების არენა, მაგრამ ჯერ კიდევ ანდრია პირველწოდებულის, შემდეგ კი – IV საუკუნეში – მოციქულთა სწორის, წმ. ნინოს, მიერ ნაქადაგებმა რწმენამ შეინარჩუნა თავისი ხელშეუხებელი სინძინდე. მიმდინარე ასწლეულის დასაწყისში ქვეყნის მართვა გადაეცა რუსეთის ხელმწიფეს, მისი მფარველობის ქვეშ მოექცა მართლმადიდებლური სინძინდისა და ჭეშმარიტების დამცველი ქართული ეკლესიაც. მაგრამ იმ მხარეებში, რომლებიც რუსული მმართველობის დამკვიდრებამდე მოსწყდა საქართველოს სამეფოს, ქრისტიანობა ბუნდოვანი მოგონებების ან ზოგიერთი დამახინჯებული წეს-ჩვეულების სახით არის შემორჩენილი.

ადრინდელი ქრისტიანული რწმენის უტყვე მონმეებად კავკასიის მთებსა თუ ხეობებში დღესაც დგას ტაძრები, ეკლესია-მონასტრები, ჯვრები.

საქართველოს სამეფოს შეერთებით რუსეთმა ორგვარი პასუხისმგებლობა იტვირთა: დაიცვას წმინდა სჯული საქართველოში და აღადგინოს მართლმადიდებლური რწმენა იქ, სადაც იგი შერყეულია.

საქართველოში სისხლის ზღვაა დაღვრილი რწმენის გადასარჩენად. დღეს ჩვენი სამოციქულო ეკლესია დაცულია საფრთხეებისაგან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი – ჩვენ ჩვენი ეკლესიის წიაღს დაკარგული შვილები უნდა დავუბრუნოთ.

და ეს უნდა გავაკეთოთ არა ნგრევით, განადგურებით, ერთ ხელში ცეცხლითა და მეორეში მახვილით, არამედ წინ უნდა წავიმძღვაროთ ქრისტეს მოძღვრება, სახარებისეული სიყვარული და ლმობიერება.

სალოცავი ქოხების აგება კი არა, არამედ მიტოვებული ეკლესიების აღდგენა, ახალი ტაძრების აღმართვა, ეკლესიათა შემკობა-გამშვენიერება, მრევლისთვის ღირსეულ მღვდელმსახურთა მივლინება, საეკლესიო წიგნების ადგილობრივ ენებზე თარგმნა, მოზარდებისათვის სამრევლო სკოლების დაარსება – ეს ღონისძიებები მიგვიყვანს წმინდა მიზანთან, რათა განდგომილმა სულიერმა შვილებმა ღვთის ტაძრებში აღავლინონ: „ვითარ საყუარელ არიან საყოფელნი შენნი, უფალო ძალთაო!.. ვირჩიე მე მივრდომად სახლსა ღმრთისასა, უფროის ვიდრელა არა დამკუიდრებად საყოფელსა ცოდვილთასა“.<sup>2</sup>

რადგან რწმენა საქმის გარეშე მკვდარია, აი, დასახულია ის წმინდა მიზანი, რომლის განხორციელებითაც დავამტკიცებთ – სარწმუნოება ჩვენი ცოცხალია და ცხოველმყოფელი.

მშობლიური მართლმადიდებელი ეკლესიის შვილებო, გავუნოდოთ დახმარების ხელი ჩვენს შეცთომილ ძმებს და ღვთისაგან ბოძებული მონაგებიდან გავიღოთ გარკვეული წილი ქრისტეს სიყვარულით გამსჭვალული საქმის სასარგებლოდ.

## საზოგადოებისა და ქვეყნის მომავლისათვის

ჩვენმა ყმებმა თავისუფლება მიიღეს; – იმათის სამსახურის მაგიერად ჩვენ გვეძლევა – ხელმწიფის სიუხვეთაგან ფული.<sup>1</sup>

სამართლით და წინათ-მხედველობის ვალდებულებით რიგი იქნებოდა, რომ ეს ფული სულერთიანად, ან უმეტესი ნაწილი მაინც, შესანახავად გადაგვედვა ჩვენის შვილებისა და მემკვიდრეებისათვის.

მაგრამ იტყვიან რომელნიმე, ამ ჟამად თვითან ჩვენ გვიჭირს საქმეო და ამასთან კანონიც ხომ გვაძლევს ნებასა, ჩვენი საკუთრება როგორც გვინდა, ისე მოვიხმაროთო და ჩვენს შთამომავლობას რომ არა დაუგდოთრა, ვის რა დავა აქვსო.

დიალ მართალი და დიალ საფუძვლიანი იქნება ეს სიტყვა; – მაგრამ ჩვენში მე ისეთი შვილების პატრონი მამა არავინ მეგულება, რომ ამ სიტყვას დაადგეს და შვილებისათვის სულ აღარ იზრუნოს; – არც არა ვინ უშვილო მეგულება ისეთი, რომ იტყოდეს, მე კარგათ ვიყო და ქვეყანა წყალსამც წაუღიაო. –

ამისგამო არა იმათ, არამედ ყოველთავე თავადა-აზნაურთ მოგმართავთ ჩვენი საზოგადოების წევრთა, რომელთაც შეგიძლიათ ნათელის გონიერებითაც ცხადად დაინახოთ და განწმენდილის გულითაც კარგად ასწონოთ, ვის რა ვალდებულება გაქვესთ წინაშე ღვთისა, ან რა პასუხის გამცემნი უნდა იყვნეთ თქვენის შვილებისა, თქვენის საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე, – თუ დღევანდელი ნიჭი უნაყოფოდ მოიხმარეთ.

მე ამას არას დროს არ გეტყვით, რომ რასაც ფულს მოელით, სულ თქვენს შთამომავლობას შეუნახოთ; – არა!.. თქვენ თვითან

დიდად დაგჭირდებათ ფული; მიიღეთ და ღვთის შენევენით მოიხმარეთ თქვენთვის, საკუთრად თქვენის დღევანდელის საჭიროებისათვის, უმეტესი ნაწილი. – მე მხოლოდ ამას გირჩევთ, გთხოვთ და გვევდრებით, რომ ერთი მეხუთედი მაინც გადასდვათ, საკუთრად თქვენთვისვე სახვალიოდ, და თქვენის შვილებისა, შვილის-შვილებისა და უშორესის შთამომავლობისათვის.

აქედამ აი რა შესდგება: თავნი დადგება ოცდა ათი ან ორმოცი ათასი თუმანი, ან ასე ითქვას, – 300 ათასი ან 400 ათასი რუბლი. ამ ფულით შეიძლება და კანონიც გვაძლევს ნებასა, რომ საკუთრად ჩვენი საერთო, სათავადაზნაურო ბანკი გაიხსნას.

ხომ დარწმუნებულნი ბქანდებით ყოველნივე, რომ რაც ახლა ფული გვეძლევა, დიად მალე გაგვიქრება ხელში, და რაც უფრო მალე შემოგველევა, ისე უფრო ადრე სხვა ახალი გაჭირვება დაგვადგება, და, ვინ იცის, იქნება უფრო ძნელი და უფრო უკიდური გაჭირვებაც გაგვიჩნდეს.

სხვაგან თხოვნასა და ფულის გამსესხებლების მიმართვასა ის არ ემჯობინება? უფრო სასარგებლო არ იქნება? რომ საჭირო ფული ჩვენის საკუთარის ბანკიდან გაგვიქონდეს? მეტადრე მაშინ, როდესაც დაწესება სარგებლის რაოდენობისაცა და ვალის გარდახდის რიგისაცა ჩვენზედვე არის დამოკიდებული, რომ როგორც საერთო თანხმობით ვამჯობინებთ, ისე დავაწყობთ?

ახლა თუ ვალი გვმართებს ვისიმე, ხომ უზომოდ ჰმატულობს ეს ვალი; – პრიკაზის ვალი თუ დროზედ ვერ შეგვაქვს,<sup>2</sup> დაგირავებული მამული ხომ გვეყიდება და საუკუნოდ გვეკარგება. – რა დაგვიშლის, რომ ჩვენს ბანკს ისეთი სარგებელი დაუნესოთ, რომ ჩვენთვის სასარგებლო იყოს? რა დაგვიშლის ისეთი კანონები დაუდგინოთ, რომ ჩვენს ბანკში შეტანილი მამული კი არ გვეყიდებოდეს, დროებითად შევიდოდეს ხოლმე ბანკის გამგებელობაში მანამდისინ ვალი გაინმინდებოდეს, – ასე რომ, ვისაც ბანკის ვალი ემართება, ან თვითან იმას, ან იმის შვილსა და შვილის-შვილსა თავისი მამულის დახსნა და გატანა ყოველთვის შეეძლებოდა?

ეს კიდევ არაფერი. მოგეხსენებათ, რომ ბანკშიაც ძალიან ჰმატულობს ფული, მეტადრე მაშინ, თუ ფულის პატრონებმაც

სასარგებლოდ დაინახეს ამ ბანკში შეტანა თავისის ფულებისა. – შესაძლებელია, რომ რვას, ათს, თუ თხუთმეტს ნელინადს ერთი ორად იქცევს ჩვენი აბაზი, ერთი სამად. ან მაშინ რა დაგვიშლის, რომ უკანვე გავიტანოთ ეს დღევანდელი ჩვენი აბაზი, თუ მაინცა და მაინც მოვინდომეთ გატანა, – ან ასე ვჰსთქვათ, – თუ ვერ გამოვიმეტეთ ეს ერთი აბაზი, რომ სამუდამოდ იქ იყოს და იმუშაოს ჩვენის შვილებისა და შთამომავლობისათვის. –

სამუდამოდ გავბედავთ მანეთიდან აბაზის გადადებასა, თუ მხოლოდ დროებით შევიტანთ ჩვენს ბანკში, – ამით ორსავე შემთხვევაში ისეთს წყაროს აღმოვაჩენთ, რომ თ ვ ი თ ა ნ ჩ ვ ე ნ ც გამოგვექონდეს იქიდან ხელის გასამართავი საშუალება ცხოვრებისა და ჩვენის შთამომავლობისათვისაც მოუწყვეტელად იდინოს ამ წყარომ.

და თუ ბანკის შემოსავლისა რომელიმე ნაწილი ჩვენის შვილებისა და შთამომავლობის აღსაზრდელად გადავსდეთ, – მაშინ, – გთხოვთ კარგად დაუფიქრდეთ ამასა, რაოდენად შეიძლებუქვთ თქვენს მამობრივს ვალდებულებასა და რაოდენად ხელს მოუმართავთ მრთელის საზოგადოების განათლებასა!! ხომ კარგად იცით, რომ დღეიდან განათლებაა არის ჩვენი ფეხზედ დამაყენებელი იმედი!

ნუ ასჩქარდებით უარის სათქმელად; აჩქარება მხოლოდ კეთილის საქმისათვის არის კარგი, – და აქ თუ უარი წარმოსთქვით, გამოტყუილი უნდა ვჰსთქვა, რომ ისეთი ცუდი საქმე დაგვემართება ყოველთავე, რომ გამოკეთება აღარას დროს არ შეიძლებოდეს.

როგორც თქვენს ღირსებას შეეფერებოდეს, ისე იფიქრეთ ახლა. მერე, ამ ცოტას ხანში ერთად შევიყრებით და ერთად ვარჩიოთ.

9 ნოემბერი 1864.

ტფილისი

**იხევე „მოსკოვსკიე ვედომოსტის“  
194-ე ნომერში გამოქვეყნებული  
მონინავე სტატიის გამო**

საგაზეთო ცენტრებიდან ამიერკავკასიის ტერიტორიული სიშორე სერიოზული მიზეზია იმისა, რომ [ცენტრალურ] გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები ჩვენთან გვიან აღწევს, ხოლო სოფლებში მცხოვრებთათვის ამგვარი ცნობების დროზე მიღება კიდევ უფრო გაძნელებულია. ასე, მაგალითად, 15 ივლისს გამოსული „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ 154-ე ნომერმა ჩემამდე მხოლოდ სექტემბრის ბოლოს მოაღწია. მაშინვე კალამს მოვკიდე ხელი, რათა ბ-ნი კატკოვისთვის პრესის მეშვეობით გულწრფელი მადლობა გამომეცხადებინა მისი იმ კეთილსინდისიერი, კეთილშობილური და სავსებით სწორ პოზიციაზე დაფუძნებული გამოსმაურების გამო, რომლითაც მან „კოლოკოლში“ გამოქვეყნებულ ვინმე Рию-Нели-ს სტატიას უპასუხა.<sup>1</sup> თუმცა იმის სურვილიც მქონდა, იქვე გამექარწყლებინა ბ-ნი კატკოვის აზრი ჩვენში რაღაც საბედისწერო გაუგებრობათა არსებობის შესახებ. მაგრამ შემდეგ ჩემი ეს კეთილგანწყობა შეიცვალა და დავდექი სულ სხვა აუცილებლობის წინაშე, კერძოდ, მადლობის ნაცვლად სასწრაფოდ უნდა მივყო ხელი დარღვეული ჭეშმარიტების აღდგენას; იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ კორესპონდენტთა მიერ სასტიკადაა შეურაცხყოფილი გაზეთის 194-ე (5 სექტემბრის) ნომერში.

გადავცემ რა პრესას ამ ჩემს სტატიას გამოსაქვეყნებლად, აქვე დავსძენ, რომ სტატიის უშუალო ადრესატი ბ-ნი კატკოვია.<sup>2</sup> ამასთან, გამოვთქვამ რწმენას, რომ ბ-ნი კატკოვი, როგორც კეთ-

ილსინდისიერი, დაფასებული და პოპულარული პუბლიცისტი, გამომიწვდის ხელს და დამეხმარება ჭეშმარიტების აღდგენაში.

თქვენს გამოცემას ბევრი კითხულობს და ამიტომ ჟურნალისტთა შორის მტრებიც ცოტა არაა გყავთ. რატომ აძლევთ მათ ხელში იმ იარაღს, რომელსაც თქვენს წინააღმდეგვე გამოიყენებენ? თქვენ და თქვენს გაზეთს ბრალად გდებენ შეხედულებათა თუ მიმართულების არათანამიმდევრულობას და, თითქოს მათს წისქვილზე წყლის დასასხმელად, 194-ე ნომერში აქვეყნებთ ისეთ შეხედულებებს, რომლებიც სრულ წინააღმდეგობაშია „კოლოკოლის“ სტატიის თქვენეულ, 154-ე ნომერში გამოქვეყნებულ, დასაბუთებულ კრიტიკასთან.

ერთმა აზრმა ადგილი უნდა დაუთმოს მეორე, უფრო დასაბუთებულ, აზრს. ეს საკამათო არ არის. თქვენს კორესპონდენტებში ჩამოყალიბებულ ადრინდელ და ახლანდელ შეხედულებებს შორის არაფერია – უკაცრავად კი ვარ, მაგრამ სრულებით არაფერია – საერთო. ერთადერთი, რაც მათ ერთმანეთთან აკავშირებს, ეს არის სურვილი, ნებისმიერ ფასად დასაბუთდეს, თითქოს ამიერკავკასიაში ჩანს რაღაც სახიფათო პოლიტიკური მისწრაფებები, თითქოს ძლივძლივობით ხერხდება კანონიერი წყობილების მიმართ აქაურთა ანტაგონისტური დამოკიდებულების შეკავება. სწორედ ამას ამტკიცებდა „კოლოკოლში“ „Рио-Нели“.

რაც შეეხება თბილისში 27 და 28 ივნისს განვითარებულ მოვლენებს, ეს საქმე უკვე გამოძიებულია და ხელისუფლებისთვისაა გადაცემული მსჯავრის გამოსატანად, მე კი, ჩემდათავად, შემძლია პრესას ვამცნო ორი რამ:

პირველი – თბილისელ მოქალაქეთა და ამქართა შორის არც ერთს ჯიბეში ჯაყვაც კი არ სდებია. ეს დანამდვილებით ასეა. ამიტომაც მტკიცება, თითქოს მათ ტანსაცმლის ქვეშ იარაღი ჰქონდათ დამალული, პრინციპულად არ არის სწორი.

მეორე – ზუსტად ასეთი, მაგრამ გაცილებით უფრო მშვიდობიანად დასრულებული შემთხვევები თბილისში ადრეც მომხდარა: 1829, 1830, 1853 წლებში. ვიყავი რა მათი თვითმხილველი, დარწმუნებით ვამბობ, რომ ამ შემთხვევებიდან არც ერთს არა-



ვითარი პოლიტიკური საფუძველი არა ჰქონია, არავის აზრადაც არ მოსვლია ხელისუფლების კურსთან დაპირისპირება, არათუ არავინ დალუპულა, საერთოდ არავის არაფერი გაუნადგურებია, უფრო მეტიც – კაპიკის ზარალიც კი არავის განუცდია, თუ არ ჩავთვლით ერთი კერძო პირის სახლში ჩამსხვრეულ შუშებს და ამ შემთხვევაშიც მიზეზი ის იყო, რომ ამ პირით მისსავე წრეში იყვნენ უკმაყოფილონი.

მაშ, რატომ დასრულდა წლევეანდელი ივნისის შემთხვევა სხვაგვარად? ეს კანონით გათვალისწინებული გამოძიებით უნდა დადგინდეს. მაგრამ რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს ეს გამოძიება, თავს უფლებას მივცემ განვაცხადო: იმედია, რომ არავინ, არც აქაური მკვიდრნი, არც ის რუსები, რომლებიც კარგად გვიცნობენ და ასეთები, სამწუხაროდ, საერთო რაოდენობის მცირე ნაწილია, არ უარყოფენ ჩემს სიტყვებს, რომ – შემძლია ეს თამამად ვთქვა აქაური ქრისტიანული მოსახლეობის შესახებ – შეუძლებელია ეჭვის შეტანა ხელმწიფე-იმპერატორისა და არსებული ხელისუფლებისადმი მკვიდრი მოსახლეობის ერთგულებასა და მორჩილებაში.

აქაურ მოსახლეობაში ძიება ახალი იდეებისა, ნაციონალისტური ან სხვა სახის ისეთი პოლიტიკური მისწრაფებებისა, რომლებიც ეწინააღმდეგება ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ კურსს, ნიშნავს – ღვთის გულისათვის, ნუ დამძრახავთ, რომ არ შემძლია, ჩემი ბუნება არ მაძლევს ნებას, თავი შევიკავო ასეთი შედარებისაგან – დაემსგავსო ქმარს, რომელსაც ეჭვი ეპარება თავისი ღვთისმოსავი მეუღლის ერთგულებაში და არა მარტო ეჭვი ეპარება, არამედ ლანძლავს და აგინებს კიდევაც მას ამ ცოდვილიანი საქციელის გამო. სინამდვილეში კი, ღმერთია მოწამე, ცოლი სრულიად უდანაშაულოა. საკითხავი ეს არის: რამდენად კეთილგონივრულია ამ კაცის საქციელი?

სტატიაში ბრალდების სამიზნედ ქუთაისელი ბავშვები გიქცევიათ. ამ ბრალდებას გაყალბებული ფაქტი უდევს საფუძვლად. განცხადება, რომელზეც სტატიაშია ლაპარაკი, ეკუთვნით არა გიმნაზიის მოწაფეებს, არამედ იგი ეკუთვნის ერთ-ერთ მასწავ-

ლებელს. ამ უკანასკნელმა კი მიზანშეწონილად ჩათვალა, დაბალ კლასებში საგნები მხოლოდ ქართულ ენაზე ესწავლებინა მანამ, სანამ ბავშვები იმდენად არ დაეუფლებოდნენ რუსულ ენას, რომ უკვე ამ ენაზე შეიძლებდნენ სწავლის გაგრძელებას. თავისთავად სწავლების ეს მეთოდი შეიძლება სადავო იყოს, ამას არ გამოვრიცხავ, მაგრამ ეს ყველაფერი მიაწერო ბავშვებს და ამის გამო მათ ბრალი დასდო – დაფარული პოლიტიკური მიზნები გამოძრავებთო, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვებს თვალი აუხილო ისეთ რამეზე, რაზეც წარმოდგენა არა აქვთ და ამით ისინი დანაშაულის ჩასადენად მოამზადო? სავსებით ვეთანხმები იმ აზრს, რომ ამ შემთხვევაში ასეთ წინასწარგანზრახულებასთან და, შესაბამისად, არაკეთილსინდისიერებასთან საქმე არა გვაქვს, თუმცა სახეზეა უტაქტობა, წინდაუხედაობა.

თბილისში განვითარებულ ზემოხსენებულ მოვლენებთან დაკავშირებით თქვენს სტატიაში გამოთქმულია ვარაუდი პოლონელთა რალაც ხელმძღვანელი როლის შესახებ. დაგვდეთ პატივი და ერთი გვიბრძანეთ, რა საერთო შეიძლება იყოს ჩვენს ხალხსა და პოლონელებს შორის? რა შეხება შეიძლება არსებობდეს ჩვენს ინტერესებს შორის? ეჭვი არ მეპარება, თქვენ თვითონვე სისულელედ მიგაჩნიათ გავრცელებული ხმები, თითქოს აქაურ სომეხთა მტკიცებით, მათ და პოლონელებს მონათესავე წარმომავლობა აკავშირებთ. არ ღირს, სახელი „ნაპოლეონი“ თქვენი კორესპონდენტების შეშფოთების საგნად იქცეს. ჩვენ მართლაც ვიცნობთ ორ ნაპოლეონს: ერთს ეს სახელი 30 წლის წინ დაარქვეს – მამამისი გამოჩენილი მხედართმთავრების საგმირო საქმეებს კითხულობდა და გადაწყვიტა, თავისი ძისათვის დაერქმია ან სციპიონი, ან ნაპოლეონი, საბოლოოდ კი ეს უკანასკნელი შეარჩია. მეორე შემთხვევა: მამამ შეამჩნია ახალშობილის მსგავსება საკუთარ სახლში კედელზე ჩამოკიდებულ ნაპოლეონ I-ის პორტრეტთან, ამიტომაც ადგა და შვილს ნაპოლეონი დაარქვა.

როგორც ხედავთ, ეს ფაქტიც დამახინჯებულად მოგაწოდეს.

თქვენი სტატია ბლალავს თავად ვორონცოვის მაღალ სახელს. ვორონცოვი ერთობ საპატიო ადგილს დაიჭერს ამიერკავკასიის

ისტორიაში. ადგილობრივი მოსახლეობის ხსოვნიდან მის დამსახურებათა შორის არც ეს დამსახურება წარმოცდება: ამიერკავკასიაში მის ჩამოსვლამდე ადგილობრივ რუს ჩინოვნიკთა უმეტესობის პირით ნათქვამ „ტუზემეცს“ სალანძღავი სიტყვის ელფერი დაჰკრავდა<sup>3</sup> და ამან ჩვენსა და მათს შორის ადვილად შესამჩნევი გაუცხოება წარმოშვა. თავადი ვორონცოვი იღვწოდა ჩვენი დაახლოებისათვის, ჩვენ შორის ურთიერთნდობისა და კეთილგანწყობის დამყარებისათვის, თუმცა ამ საქმეში ხუთ-ექვსკაციანი ქართველთმოდულე „ამხანაგობისაგან“ ფარულ წინააღმდეგობასაც აწყდებოდა. ამ და მსგავსი ამბების გახსენება დამალონებელია ისევე, როგორც დამალონებელია ადამიანის ნატურისათვის დამახასიათებელი გადახრები.

თქვენი სტატია შეურაცხყოფს აგრეთვე „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“, ბრალს სდებს რა ამ „საზოგადოებას“ იმაში, რომ იგი სამურზაყანოელებს, ანუ „სამურზაყანოელ აფხაზებს“, როგორც თქვენ მათ უწოდებთ, წერა-კითხვას ქართულად ასწავლის. ნება მიბოძეთ, როგორც „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისათვის“, სამწუხაროდ, გარეშე პირმა, არა პირადად თქვენი, არამედ თქვენი კორესპონდენტების მისამართით ერთი ასეთი კითხვა დავსვა: საერთოდ იცით კი, რას წარმოადგენს სამურზაყანო და რა ხალხია სამურზაყანოელები?

იყო არცთუ დიდი ხნის წინ ანჩაბაძე ან შარვაშიძე, ზუსტად აღარ მახსოვს, წმინდა ქართული წარმომავლობის გვარის თავადი. ეს მურზაყანი იყო მფლობელი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის მდებარე შავიზღვისპირა მიწა-წყლისა. ქართული სიტყვათწარმოების მიხედვით, მურზაყანის სამფლობელომ მიიღო **სამურზაყანოს** სახელწოდება,<sup>4</sup> ისევე, როგორც ერისთოვების, ყაფლანიშვილების (ორბელიანოვების), ციციანოვების, ბართოვების, ამილახვაროვებისა და ა. შ. სამფლობელოებს უწოდებენ: საერისთავოს, საყაფლანიშვილოს, საციციანოს, საბართიანოს, საამილახვროსა და ა. შ.; იმავე წესით, თქვენ აქ ადგილ-მამული რომ გქონდეთ, მას **ქართულად** საკატკოვო დაერქმეოდა.

ახლა დავსვამთ კითხვა: ვინ არიან სამურზაყანოელები?

ისინი მეგრელები არიან, თუმცა შეიძლება ასეც ითქვას: ისინი მეგრელები კი არ არიან, რამდენადაც ეს მხარე სამეგრელოში არ შედის; არც აფხაზები არიან, რამდენადაც ეს მხარე აფხაზეთში არ შედის; ისინი, მარტივად რომ ვთქვათ, არიან სამურზაყანოელები, რადგანაც სამურზაყანოს ოლქში (ან კიდევ: საბოქაულოში) ცხოვრობენ. ფეშენის ენა – ენა მოდისა მათთვის აფხაზურია, სამწერლობო ენა ქართულია, საერთო-სახალხო და საშინაო ენა კი – მეგრული.

რას წარმოადგენს მეგრული ენა? ესაა მეტ-ნაკლებად თავისთავადი *patois*,<sup>5</sup> მეტ-ნაკლებად დაშორებული პერიფერიული კილო ქართული ენისა. ამ ენაში, ისევე როგორც სამურზაყანოულში, თითქმის ყველა ფუძე, ძირითადი გრამატიკული ფორმები, ბრუნება, უღლება ქართულია. 1850-იან წლებში იქ იყო მცდელობები, ღვთისმსახურება მეგრულ ენაზე შემოეღოთ, მაგრამ ყველა ეს განზრახულება ჩაშალა ენის პროფანაციის საფრთხით გამოწვეულმა შიშმა, რადგანაც თხუთმეტ საუკუნეზე მეტია მართლმადიდებლური ღვთისმსახურება იქ ქართულ ენაზე სრულდება; იმ ენაზე, რომელიც ზოგმა კარგად იცის, ზოგს კი კარგად ესმის. ამასთან, გაკიცხო ქრისტიანობის აღდგენის მიზნით სამურზაყანოელთა შორის ქართული წერა-კითხვის სწავლება, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენს კორესპონდენტებს სამურზაყანოელები შაფსულებსა თუ წებელდელებში ეშლებათ?

თუკი „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მიზანი ისაა, რომ აღმოფხვრას ყოველივე ადგილობრივი, რაც ხელს შეუწყობს ქრისტიანობის აღდგენას და აღდგენის ნაცვლად გადააკეთოს და არსებითად შეცვალოს ყველაფერი: ადამიანები, მათი ენა, მათი დამწერლობა, მაშინ სამურზაყანოელებისათვის ქართული წერა-კითხვის სწავლება მართლაც მკაცრი გაკიცხვის ღირსი იქნებოდა. მაგრამ განა მართლაც ასეა საქმე? საჭიროა კი ღვთისადმი ლოცვა-ვედრება მაინცადამაინც რომელიმე წინასწარგანზრახულ ენაზე აღევლინოს, თუ იქნებ სულერთია, რომელ ენაზე აღევლინება, ოღონდ მლოცველს უნდა ესმოდეს ლოცვის ენა და აზრი? ვერ დავმაღავე: ჩემდათავად უცნაურად მეჩვენება ჩვენს

დროში საკითხის ასე დასმაც კი – ეს დიდი ანაქრონიზმია!<sup>6</sup>

ახლა იმის შესახებ, რაც პირადად მე მეხება. თუმცა ესეცაა: მიჭირს ვიპოვო ურთიერთკავშირი, ერთი მხრივ, ქართული ენის უფლების დაცვასთან სამურზაყანოელებთან მიმართებით ან პირიქით, და, მეორე მხრივ, ჩემს უფლებასთან – ვინოდებოდე ქართველი თავადაზნაურობის წინამძღოლად. პირდაპირ გამონვეული ვარ სათანადო ახსნა-განმარტებებისათვის და ამ გამონვევას მადლიერებით ვლებულობ, რადგანაც ამით საშუალება მეძლევა, პრესის მეშვეობით დაუფარავად გამოვხატო გრძობა-განწყობილებები როგორც პირადად ჩემი, ისე იმ საზოგადოებრივი ფენისა, რომელსაც ამჟამად წარმოვადგენ.

ამის შემდეგ პუბლიცისტიკას, წესით, არ უნდა გაუჭირდეს, გაერკვეს საკითხის გარშემო გამოთქმულ ორ, ერთმანეთისაგან უკიდურესად განსხვავებულ, თვალსაზრისში.

მანამდე კი, ნება მიბოძეთ, თქვენი კორესპონდენტის ტექსტში ერთი შესწორება შევიტანო. იგი ამბობს, რომ მე თავს უფლებას ვაძლევ, საკუთარი ტიტული ასე მოვიხსენიო – ქართველი თავადაზნაურობის წინამძღოლი. ეს მთლად ასე არ არის. მე ჩემს ტიტულს ყოველთვის მოვიხსენიებ ისე, როგორც ის ოფიციალურადაა ფორმულირებული – თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი. ის კი სწორია, რომ, როდესაც ვლაპარაკობ იმ წოდებაზე, რომელსაც წარმოვადგენ ან კიდევ რამეს ვწერ ამ წოდების შესახებ, მე მას ვუნოდებ **ქართულს**. საამისოდ მე ორი მიზეზი გამაჩნია:

1. თბილისის გუბერნიაში არჩევნებში მონაწილეობენ პირები, რომლებსაც დამტკიცებული აქვთ თავადის ან აზნაურის წოდებრივი ღირსება; დამტკიცების საქმე კი ძირითადად ეყრდნობა: ა) თავადთა და აზნაურთა იმ **ქართული** გვარეულობების სიას, რომელიც დართული აქვს ერეკლე მეფისა და იმპერატორ ეკატერინეს მიერ ხელმოწერილ **1783** წლის ტრაქტატს, და ბ) **1801** წლის უზენაეს მანიფესტებს, რომლებითაც განისაზღვრა საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთება რუსეთთან.<sup>7</sup>

თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს საქმეებიდან

ჩანს, რომ ქართველ თავად-აზნაურთა სიაში ჩანერილია სამი-ოთხი აქ მცხოვრები ისეთი რუსული გვარეულობაც, რომელთა წარმომადგენლებიც კითხვაზე, თუ რომელ წოდებრივ ფენას მიეკუთვნებიან, გიპასუხებენ – ქართველი თავადაზნაურობის ფენასო. თუმცა, რამდენადაც მახსოვს, სათავადაზნაურო არჩევნებში მათს არც ერთ წარმომადგენელს დღემდე მონაწილეობა არ მიუღია. ასე და ამგვარად, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის არჩევნებში მხოლოდ და მხოლოდ ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლები მონაწილეობენ. მაგრამ გუბერნიაში სხვა ისეთი წოდებრივი ფენაც ცხოვრობს, რომელთა წარმომადგენლებსაც უზენაესი ხელისუფლებისაგან თავადაზნაურობის უფლებები აქვთ მინიჭებული, თუმცა ჯერჯერობით არ არის გამორკვეული და დამტკიცებული ამ წოდების ცალკეულ წევრთა პიროვნული უფლებები; ამიტომაც ისინი წინამძღოლის არჩევნებში არ მონაწილეობენ და, შესაბამისად, არჩევით თავადაზნაურულ ორგანიზაციაში წარმომადგენელიც არ ჰყავთ. ეს არის უმაღლესი მუსლიმური წოდებრივი ფენა: ბეგები, ალაღარები, ხანების საგვარეულოთა წევრები. გუბერნიაში მათ უკავიათ თბილისის მაზრის ნაწილი და მთლიანად – ელიზავეტპოლის მაზრა. მიუხედავად ამისა, ქართველი თავადაზნაურობის მიერ არჩეული წინამძღოლი ოფიციალურად მთლიანად გუბერნიის წინამძღოლად იწოდება.

2. ესეც რომ არ იყოს, დღეს დასავლეთში კანონიერი წეს-წყობილებისადმი მტრულად განწყობილი ნაირგვარი იდეებისა და თეორიების არსებობის პირობებში, მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, და ამას პირადი გრძნობა-განწყობილებებიც მავალდებულებს, გამოვიყენო ყველა ხელსაყრელი ვითარება, რათა დაბეჯითებით განვაცხადო ქართველი თავადაზნაურობის არსებობის შესახებ. ამასთან: ა) ეს ის თავადაზნაურობაა, რომელიც კანონიერი წეს-წყობილების დაცვისათვის ოცდაორსაუკუნოვან გმირულ ბრძოლაშია გამონრთობილი; ბ) ეს ის თავადაზნაურობაა, რომელსაც ვერც უტოპიურმა შეხედულებებმა, ვერც მატერიალურმა ძალებმა ვერ შეურყია ვერც ქრისტიანული რწმენა, რომელსაც IV საუკუნიდან

ალიარებს, ვერც ერთგულქვეშევრდომობა მეფისა, რომელსაც ქართველი ხალხი ქრისტიანობამდელი დროიდან ამქვეყნიური არსებობის საწყისად მიიჩნევს; გ) ეს ის თავადაზნაურობაა, რომელმაც ხალხთან მჭიდრო ერთობითა და საკუთარ მეფესთან თანხმობით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ნებაყოფლობით გაერთიანებასა და ჩვენში 1801 წლიდან დღემდე არსებული კანონიერი წეს-წყობილების დამკვიდრებას. მერწმუნეთ, დღესაც არ მოიპოვება ბუნებაში ძალა, რომელიც ქართველ თავადაზნაურობას თავისი კანონიერი ხელმწიფე-იმპერატორის ერთგულების გზიდან გადაახვევინებს; დ) ეს ის თავადაზნაურობაა, რომელსაც გააზრებული აქვს – ყველა ის სიკეთე, რომლითაც დღეს სარგებლობს და მომავალშიც ისარგებლებს, უშუალოდ უავგუსტესი მონარქისაგან მომდინარეობს; ე) ეს ის თავადაზნაურობაა, რომელიც ემსახურებოდა, ემსახურება და მომავალშიც ემსახური იქნება თავისი მეფისა, როგორც, მაგალითად, ეს იყო ახლახან დამთავრებულ კავკასიის ომში,<sup>8</sup> აგრეთვე, ყველა იმ ომში, რომლებიც გადახდილ იქნა ჩვენი ქვეყნისადმი მტრულად განწყობილ მეზობელ სახელმწიფოებთან. ვინც თვალს ადევნებდა ამ მოვლენებს, ვინც კითხულობდა ამ მოვლენებთან დაკავშირებულ ბრძანებებს, რელაციებს, უწყებებს, რასაკვირველია, ადვილად გაიხსენებს – ქართველ მოლაშქრეთა რაზმები და ქართული მილიცია<sup>9</sup> ყველგან და ყველა შემთხვევაში მოხსენიებულნი არიან ქება-დიდებათ, აღნიშნულია მათი უჩვეულო თავადადება, მათი საბრძოლო სიმამაცე; და, დასასრულ: ვ) ეს ის თავადაზნაურობაა, რომლის იმედიც უნდა ჰქონდეს იმპერატორს და რომლის ნევრებიც მუდამ დაიცავენ ღირსებას იმ ფენისას, ხელმწიფის სამსახურს რომ უძღვნეს ანდრონიკოვები, არლუთინსკები, ბაგრატიონები, ბებუთოვები, ლორის-მელიქოვები, მელიქოვები, ორბელიანოვები, ჭავჭავაძეები, ერისთოვები და ა. შ.

თქვენი კორესპონდენტის თქმით, სამხედრო სამსახურში იძულებით მყოფი ქართველების საქმეები ხელოვნურადაა გაზვიადებული და პატივდებული; სინამდვილეში კი ისინი ხიშტების ტყეში, ყუმბარების ცეცხლსა და ტყვიების წვიმაში საკუთარი

სისხლის ფასად იბრძოდნენ სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ. ქართველი თავადაზნაურობის წრიდან გამოსული ოფიცრებიდან ან ჩინოვნიკური ფენიდან რამდენს დაასახელებდა თქვენი კორესპონდენტი ისეთს, რომლებიც ან არ იმსახურებენ თავიანთ მდგომარეობას, ან კიდევ ძალით არიან შეყვანილნი სახელმწიფო სამსახურში?

არა, მონყალეო ხელმწიფეო! ეს ის თავადაზნაურობაა, რომლის რიგებშიც ვერ იპოვით ისეთს, ხელმწიფე-იმპერატორისათვის სიცოცხლეს რომ დაიშურებს.

ერთი ნუთითაც არ მინდა იმის თქმა, რომ ქართველ თავადაზნაურობას არა აქვს საკუთარი მოთხოვნილებები, არა აქვს სურვილი, რაიმე ითხოვოს თავისდა სასიკეთოდ. უფრო პირიქით! მაგრამ საქმე ისაა, რომ, ვთქვათ, თუ თავადაზნაურობა საჭიროდ ჩათვლის სამოქალაქო ცხოვრებაში ამა თუ იმ გარდაქმნას, ეს გარდაქმნები უნდა განხორციელდეს მონარქის სურვილისა და განაწყვეტილების საფუძველზე, ამასთან, მონარქის მიერვე განსაზღვრული მიზანშეწონილობისა თუ სარგებლიანობის ფარგლებში.

ქართველი თავადაზნაურობა, ცხადია, უარს არ იტყვის ხელის გამართვაზე, თუკი ამის საჭიროება შეიქმნება. ასეთ შემთხვევაში იგი მიმართავს კიდევაც უშუალოდ ხელმწიფე-იმპერატორს არსებული წესების შესაბამისად და იმ შეგნებით, რომ თხოვნის დაკმაყოფილება გააღრმავებს მონარქის მიმართ თავადაზნაურობის ერთგულქვეშევრდომულ გრძნობას, ხოლო უარის თქმა იმავე გრძნობას იოტისოდენადაც კი არ შეარყევს.

არსებობს საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული, სარწმუნოებისათვის წამებულთა სისხლით განწმენდილი და კანონიერი ხელისუფლების ერთგულებაში გამონრთობილი თავადაზნაურობა და მას **ქართველი** თავადაზნაურობა ჰქვია. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ასეთი თავადაზნაურობა ხსენების ღირსიც არ არის?

მე კი ვფიქრობ, რომ ქართველი თავადაზნაურობის არსებობა შეიძლება უსიამოვნო იყოს მხოლოდ რუსეთში დამკვიდრებული კანონიერი წესწყობილების მტრებისათვის; მოკეთეები კი ჩვენთან მეგობრობისა და ძმობის გრძნობით უნდა იყვნენ შეკავ-



შირებულნი, შესაბამისად, უნდა უხაროდეთ ჩვენი არსებობა.

აი, წმიდათაწმიდა სიმართლე ჩვენ შესახებ და ვერანაირი ტვინის ჭყლეტა მას ვერ დაჩრდილავს. არავის აწყენს, იცოდეს ეს სიმართლე და ამიტომაც იმედს ვიტოვებ, არც ერთი კეთილგანმზრახველი რედაქცია,<sup>10</sup> თვითონ წინამდებარე სტატიის კეთილგანმზრახველი მიზანდასახულობის გამო, უარს არ იტყვის მის გამოქვეყნებაზე.

7 ოქტომბერი. 1865 წ.

სოფ. ქვიშხეთი

## პრინცესა ეკატერინე დადიანის შესახებ

ბატონო რედაქტორო,

თქვენი პრესის თავისუფლების მიმართ პატივისცემის გრძნობა მაიძულებს, ვუპასუხო პრინცესა დადიანის შესახებ თქვენსავე გაზეთში გამოქვეყნებულ ორ სტატიას. იმისათვის, რომ თქვენმა მკითხველებმა ჩემი კომპეტენციის შეფასება შეძლონ, მოგახსენებთ, რომ გახლავართ მთავარ დადიანის სახლის მეურვე,<sup>1</sup> დაბადებით ვარ ქართველი და ვლაპარაკობ იმავე ენაზე, რა ენაზეც ლაპარაკობს სამეგრელოს მოსახლეობა. მე მათთან განუწყვეტელი ურთიერთობა მქონდა ათ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში და შეუძლებელია, არ ვიცოდე მათი აზრები და მისწრაფებები. მეტიც, პატივი მქონდა საკმაო ხანს ვყოფილიყავი კავკასიის საიმპერატორო საბჭოს წევრი<sup>2</sup> და გავცნობოდი ამ ქვეყნის ადმინისტრაციულ აქტებს.

თქვენს პირველ სტატიაში სამეგრელოს პრინცესა მოხსენიებულია როგორც „დადიანი“, მეორეში კი ამტკიცებენ, რომ მისი გვარი არის „დადიან“. აქ საქმე გვაქვს მხოლოდ ქართულ დაბოლოებასთან – წმინდა გრამატიკულ საკითხთან. ნება მიბოძეთ, როგორც ქართველმა, დარწმუნებით ვთქვა: „ნი“ სიტყვის დაბოლოებაა. დადიანების გვარი სამეგრელოს მთავართა გვარია. ადათის თანახმად, იგი ამ ოჯახის ყველა წევრს ეკუთვნის და წარმოადგენს საგვარეულო სახელს.

არაფერს ვამბობ სამეგრელოს მდებარეობაზე,<sup>3</sup> არც ქართველებსა და ჩერქეზებზე.<sup>4</sup> ეს ამბები თქვენს სტატიაში არეულ-დარეულადაა გადმოცემული. აქ იმაზე პასუხით შემოვიფარგლები, რაც პრინცესა

დადიანს ეხება. სამეგრელოს სამთავრო 1804 წელს მთავარ გრიგოლის კეთილი ნებით დაექვემდებარა იმპერატორ ალექსანდრე I-ს. გრიგოლის მიერ წაყენებული პირობები მოწონებულ და მიღებულ იქნა მისი უდიდებულესობის მიერ, რომელმაც სამეგრელოს მთავრის მემკვიდრეები მმართველ დიდებულებად აღიარა. ამ წესითვე იქნა დადასტურებული ჯერ კიდევ მცირეწლოვანი პრინცის, ნიკოლოზის, უფლებები. მტკიცება, დედოფალს იმედი აქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი ვაჟის უფლებებს აღიარებენო, ნაკლებად ლოგიკურია და არ არის სწორი დედოფლის ვაჟთან მიმართებაში. არასოდეს არავის მოსვლია აზრად, შეედავოს მას იმ უფლებებში, რომლებიც დაბადებითვე გააჩნია და სათანადოდ არის კიდევაც დადასტურებული.<sup>5</sup>

[თებერვალი. 1866]

## **ტფილისის გუბერნიის აზნაურობის წინამძღოლისაგან**

ამას წინეთ „დროებაში“ რომ ჩემი განცხადება იყო დაბეჭდილი,<sup>1</sup> იმის დასამატებლად და რაოდენთამე პირთა სურვილისამებრ, ვალად ვრაცხ ეს განმარტებაც გამოვაცხადო:

თვითეული წევრი აზნაურობისა<sup>2</sup> ვალდებულია, რომ დაუყოვნებლად წარუდგინოს უეზდის მარშალს<sup>3</sup> მოწმობა უეზდის ნაჩალნიკისა თავისს საკუთრებაზედ; და კანონი ითხოვს, რომ მამული ასის დღისა მაინცა ჰქონდეს აზნაურსა ანუ თავადსა, რომ საუეზდო შეკრებილებაში შეესვლებოდეს, – და ათასის დღისა მაინცა, რომ საგუბერნიო შეკრებილებაში შეესვლებოდეს, კენჭით რჩევაში მონაწილეობისათვის.

ვისაც თვითონ არ შეუძლია შეკრებილებაში შესვლა კანონიერის მიზეზით, ესე იგი: 1. თუ სამსახურის თანამდებობას ასრულებს; ან 2. ავათ იმყოფება; ან 3. საქმე უწარმოებს სადმე სხვა ქალაქის სასამართლოში, სადაც თვითან იმისი მყოფობა აუცილებელად საჭირო არის; ან 4. თუ მიცვალებული არის ან მძიმე ავთამყოფი ვინმე იმისს უმახლობელესს ნათესავობაში; ან 5. თუ იმისს მამულში დიდი რამ უბედურება მომხდარა და ან 6. თუ ხნიერი არის უმეტეს 60 წლისა; – რაც ამ მიზეზთაგანი აქვს, უეზდის მარშალს დაუყოვნებლად უნდა აცნობოს წერილით.

ამ ვალდებულებათ აღუსრულებლობას თანასდევს ან საყვედური შეკრებილებაში, ან განშორება შეკრებილებიდან, და ან ფულის გადახდევინებაც შეკრებილების განჩინებით.

მცირე მამულის პატრონები საგუბერნიო შეკრებილებაში ჰგზავნიან თავის მაგიერად ვექილებს, რომელთაც აღირჩევენ საუ-

ეზდო შეკრებილებაში.

ქალები თავის ხმას გადასცემენ ვისაც ანდობენ.

თავადს ან აზნაურს შეუძლია თავისი კენჭი მიანდოს მხოლოდ თავისს შვილსა, თუ თვითან იმასაც თავისი საკუთარი ნება აქვს, რომ მონანილეობა იქონიოს შეკრებილების მოქმედებაში. –

[იანვარი. 1870]

## ქვიშხეთი, 16 აპრილი

„დროების“ მე-88 ნომერში იყო მოკლე ამბავი ქვიშხეთის თეატრისა.<sup>1</sup>

ჩვენ ვიყავით ამ თეატრში და სიმართლის ვალი გვანწევს, რომ ამ გაზეთის წამკითხველებს განვუზიაროთ რაცა ვნახეთ და რაც ვიგრძენით.

სპექტაკლისათვის თ. ვასილ სუმბათოვს დაეთმო ზალა თავისს ახალ სასახლეში და ყოველი ხის მასალა სცენისა და სასახლეში სკამებისათვის. სხვა მორთულობა და ზალის გაჩაღება ცალკე შეკრებილი ფულით მოეხერხებინათ. ვინც საქალაქო თეატრში მყოფობას არის შეჩვეული, რასაკვირველია ვერ მოითხოვდა, რომ ასე სხარტულად გაკეთებული დროებითი თეატრი ყოველთურთ შემკობილი და გაბრწყინებული ყოფილიყო. რაც კი აქ საზოგადოება შეკრბა, უმეტესი ნაწილისათვის პირველი იყო თეატრის ნახვა და გარეგანი სიმდიდრის მოლოდინი უეჭველია არა ვის ექნებოდა.

მაშ სალაპარაკოთა გვრჩება სამი საკითხავი: რა წარმოადგინეს; როგორ წარმოადგინეს და რა გრძნობა გამოჰყვა ამ თეატრიდამ გამოსულს საზოგადოებას?

წარმოადგინეს, როგორც 88 ნომერშიაც არის მოხსენებული, „ძალათ ექიმი“<sup>2</sup> და „უჩინმაჩინის ქუდი“.<sup>3</sup>

ჯერ ეს უნდა აღვიაროთ, რომ მოლიერის საცინარი და მახვილ-გონიერებით გამარლიანებული კომედია ქართულის თარგმანით ცოტა არ არის დამახინჯებულია. „ძ ა ლ ა თ ე ქ ი მ ი“, – ან ისევ ასე რო ვჰსთქვათ, ძალათ ოსტატი, ძალათ ვაჭარი, ძალათ მინდორი, ძალათ ქვა, – ნება თქვენია, მაგრამ ქართული არ არის.

ქართულათ ვიტყვით: ძალათ გაექიმებული, ძალათ გაოსტატებული, გავაჭრებული, გამინდვრებული, გაქვავებული. – მაგრამ – ეს კიდევ თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს. მოლიერის კომედიაში, როგორც ბეჯითად გაგვიგონია, თავის უნებურ ექიმად გამოდის ერთი სანყალი ვინმე და ლატაკი შეშის მჭრელი.

რასაც ხალხს მოლიერი თავისი კალმითა ჰხატავდა, იმ ხალხში შეშის მჭრელი კაცი, მეტადრე ნუნუას მუსუსი<sup>4</sup> და სიღარიბეში ჩავარდნილი, ხშირი სანახავი იყო თურმე და ახლაც არის და ოსტატურად გამოხატული ყველას თვალ წინ წამოუდგება მაშინაცა და ახლაცა.

ვისაც ეს ფრანცუზული თხზულება გადმოუქართულებია, იმას შეშის მჭრელის მაგიერად გამოჰყავს მევაქსე!<sup>5</sup> – სად გინახავთ, ღვთის გულისათვის, ქართველებში მევაქსე? მეჯღანე რომ გამოყვანა, კიდევ ჰო, თორემ მევაქსე – საიღამ სადაო!

ახლა ამ მევაქსის ლაპარაკს ათხოვეთ ყური, თითქო ნასწავლსა ჰგავსო და სად უნდა მიეღოს ამას ამდენი სწავლაო, უნებურად უფიქრდებით ამ კითხვასა და თვალ-ყურს რიგიანად ადევნებთ თამაშობასა.

მოლიერის კომედია რომ ისე ხათრიანად ყოფილიყო გადმოთარგმნილი, როგორც ამ განთქმული მწერლის სახელს შეეფერება, წარმოდგენაც უსათუოთ ისე გამამხიარულებელი და ისე საცინარი იქნებოდა, როგორც ნამდვილს თხზულებას შეჰფერის, როგორც ფრანცუზები ჰხარხარობენ ხოლმე.

ქართულს წარმოდგენაში მევაქსე (რომ. ფავლ.<sup>6</sup>) საუცხოოდ თამაშობდა, მაგრამ თვითონ როლი იმისი მეტად გვეუცხოვებოდა. – ქართველი მევაქსის კარგად წარმოდგენა არას ნიჭიერებას არ შეუძლია. მოდი და ნიჭიერებით წარმოგვიდგინეთ, მაგალითად, პარიჟელი მემწვარე, ლონდონელი ჯაშუში, ნეაპოლელი კინტო, ამერიკელი ქურდი. ჩვენში ამისთანა არც არა ვინ არის და არც არა ვინ გვინახავს; მაშასადამე ჩვენში კარგად წარმოდგენა ამათგანის არც ერთისა არ შეიძლება და რაც უნდა ჭკუას ძალა დავატანოთ, მაინც ვერ ვიტყვით, რომანოზმა მემწვარე კარგად წარმოადგინაო, ვიცით, რომ ძალიან კარგათა თამაშობდა და თა-

ვისი როლიც თითქმის კარგათა ჰქონდა გაზეპირებული; მაგრამ შეშის მჭრელს ფრანცუზს კი არ ადგენდა, ქართველს მევაქსეს ადგენდა და ქართველი მევაქსე რომ არსად გვინახავს, როგორც ვსთქვათ, კარგად წარმოადგინაო. ამისთანა როლსა ჰქვიან „უმაღლური როლი“.

ეს პიესა რომ სხვა საქალაქო თეატრში ყოფილიყო სადმე წარმოდგენილი, უსაცილოდ სრული ფიასკო დაემართებოდა, ე. ი. გაცრუვდებოდა, გაშლურდებოდა.<sup>7</sup> აქ კი ძალიან მოგვეწონა; იმიტომ მოგვეწონა, რომ სხვა ქართველი პირები, შიო (ნიკ. ხუდად.<sup>8</sup>) და ლუკა (ალექ. ქორს.<sup>9</sup>) ისე თამაშობდნენ, რომ იმათ მაყურებლებს თეატრში ყოფნა გავიწყდებოდათ. ქართველი შინაყმა, ბატონის ერთგული კაცი ხშირად გვინახავს და პირწავარდნილი შინაყმა მსახურები წამოგვიყენეს თვალ-წინ ამ ნიჭიერმა ყმაწვილმა კაცებმა. ნიკ. ხუდად-მა მეორე პიესაში უფრო გამოიჩინა თავისი ნიჭიერება, მაგრამ აქ რომელი რომელსა ჰსჯობდა, თითქმის ვერ გაარჩევდით.

ქალების როლი ამ პიესაში სამი არის, როგორც მოგეხსენებათ, და სამივე ყიფ-ნის ქალებმა<sup>10</sup> წარმოადგინეს. ელე. დიმ-ის ასულმა<sup>11</sup> განახორციელა მოლიერის მხატვრობა დედაკაცისა, თავისს გაჭირვებასა და სიღარიბეს რომ ქმრის ლოთობას აბრალებს და თავისი დღენი სულ იმას გამოჰკიდებია, რა მოვახერხო, რომ ამ ჩემს უღირსს ქმარს ეს უმსგავსი ლოთობა და ჩემი შეურაცხება მოვაკვეთინო; და თუ ამათს შინაურ ჩხუბსა და ცემა-ტყეპაში მაშველად სხვა გაერია ვინმე, სულ თავსა და ბედს დაანყევლინებს და ხან და ხან სილასაც კარგს გაანწავს, როგორ თუ შენ ცოლსა და ქმარ შუა ეჩრებო; მე რომ ჩემი ქმარი მცემდეს, შენ ვითამ რაო! – მარ. ივა-ს ასულმა<sup>12</sup> გამოგვიხატა გასათხოვარი ქალის გამოძრ-დელი ძიძა და ამ მიზეზით საპატიო ოჯახში გათამამებული პირ მთქმელი დედაკაცი ისეთი, რომ უნებურად გაექიმებული მევაქსე რომ თავხედათ წაეტანებოდა ხოლმე და დიდის სიტკბოებით ეხმაურებოდა, არათუ გასაკვირველი არ იყო, ყველა იტყოდა, მე რომ ამ ექიმისა ვჰყოფილყავ, ეშხი უთუოთ მეც წამიტაცებდაო. – მან. ქოჩ. ასულმა<sup>13</sup> თვალწინ წამოგვიყენა მოლიერის დროის



ყმანვილი ქალი, რომელმაც, აქაო და ვისაც მამაჩემი მაძლევს, ის თავიდან მოვიშორო როგორმეო, თავი მოიმუნჯა, ექიმობის ძალა არას გათქმულს მკურნალს არ გააყვანინა და როდესაც გაექიმებული მევაქსე მიიწვიეს და ამისი დაქრთამვით რომ ქალის სატრფომ ლევანმა გამოლაპარაკების შემთხვევა იშოვნა, – მედგრად გამოუტყდა თავისს მამას, ამას გარდა სხვას ვერავის შევირთავ ქმრათაო. ტყუილი თამაშობა არისო კი არა, სწორეთ ვსწუხდით, რატომ ასე შეუპოვრად უბრუნებს სიტყვას ეს ქალი თავისს მშობელს მამასაო. მეტადრე ამისს სატრფოს რომ შევჭყურებდით, თურმე მართალი ყოფილა, რომ სიყვარული ბრმა არისო, ვამბობდით. – ამ ქალების თამაშობამ სრულებით დაჰფარა თარგმანის ნაკლულევანება. გვარწმუნებენ კი, რომ მართალი თეატრი ჯერ თვალთაც არ უნახავთ სამში ამ ორს ქალსაო.

მეორე პიესა იყო „უ ჩ ი ნ მ ა ჩ ი ნ ი ს ქ უ დ ი“, რუსულიდამ გადმოქართულებული „შაპკა-ნევიდიკა“. მოლიერის კომედიანზედ რომ ლაპარაკი გავბედეთ რამე, ამ პიესაზედ აღარა უნდა ვთქვათ რა. – მაგრამ თამაშობით გამოიჩინეს თავი იმერელმა (კიკნ.<sup>14</sup>) და სხვა ორმა კიდეც ყიფი-ს ქალებმა. საერთო აღგვიარებია, რომ ყიფი-ის ქალებს ძალიანი სათეატრო ნიჭი ჰქონიათ: არა თუ ამ მცირეს კომედიებს, გული დავაჯერეთ ახლა, რომ დიდს თხზულებასაც დაამშვენებენ თავისი წარმოდგენით, კომედია იყოს, გინდა დრამა, მოლიერის თხზულება თუ შექსპირისა. მარ. და სოფ. ტატ-ს ასულნი<sup>15</sup> თამაშობდნენ ერთი მუახლესა და მეორე მოქალაქე სომხის ცოლს; და ისე თამაშობდნენ, რომ ნეტავი ერთი ათად მეტი ყოფილიყო ამათი როლი, რომ დიდხანს გვეყურებინაო, იტყოდით. გიორ. აბაშ-ს<sup>16</sup> თამაშობა გამოვიდოდა ყოვლითურთ საქებარი, გაკეთებული ლიპისათვის რომ არ ეხმარებინა წამ-და-უნუმ თავისი ხელები. ნიკ. ხუდად. და ნიკ. ყიფი.<sup>17</sup> 2 აფიცრებს თამაშობდნენ, როგორც ყმანვილი აფიცრები გინახავთ, სწორეთ ისე.

გათავდა ეს ერთი წარმოდგენა სოფ. ქვიშხეთში და დაიშალა ხალხი. მაგრამ ახლაც ყოველ დღე თურმე კითხულობენ, როდის იქნება კიდეც წარმოდგენაო, ისე მოსწონებიათ იქაურებს თეატ-

რი. შვიდ თუმნამდის დარჩენიათ მოგება სასოფლო შკოლისათვის შესაწევრად. –

თეატრი გაგვიტკუბა, მაგრამ – სათეატრო პიესები? – პიესები, ღვთის გულისათვის პიესები! დაამადღეთ ღმერთსა და გვაკმარეთ გაცვეთილი პიესები! ახლა რიგიანი შესძინეთ რამე ქართულს სცენასა.

პიესები, თქვენი გულისა, ნიჭიერო ქართველებო!

ქვენატკოცა. 1875 16 აგვისტო

## დავით აღმაშენებლის ძის მიქელაქის

მონყალეო ხელმწიფეო!

მესმა ამბავი თქვენ ორმოცის სამასთან შებმისა და მათი გამარჯვებისა.<sup>1</sup>

დიდად ამიღელვა გული მე მოხუცებულს ამ ამბავმა.

მართალია, ძველთაგან არის ნათქვამი: ძალა აღმართსა ჰხნავსო; მაგრამ მე ვსწუხვარ გამარჯვებულთათვის. ძმანი არიან ჩვენნი, – მეცხრამეტე საუკუნეს დამღევის შვილნი, და რათ დაემართათ ასეთი რთული წინდაუხედავობა?

სამასი კაცი, უმაღლესი გონიერების წარმომადგენელი, ყველანი ერთად როგორ წარიტაცოს გულის სიფიცხემ?

კაცმა თუ საქვეყნო საქმეებს ყური რიგიანად ათხოვა, ყოველი მხრიდამ ერთსა და მასვე ხმას გაიგონებს: ნუ ჩქარობთ!

აჩქარება მხოლოდ მაშინ არის საქები და გამოსადეგი, როდესაც მოყვასს შემწეობა სჭირდება, რომ განსაცდელს გადარჩეს და ჩვენის დაუდევნელობით არ წაწყმდეს.

ყოველს სხვა შემთხვევაში საქმეს უნდა დავაკვირდებოდეთ, ჩაუფიქრდებოდეთ.

ის სამასნი ჩვენი მოძმენი თავისს გამარჯვებას რომ დააკვირდებიან, ჩაუფიქრდებიან, დამშვიდებული გონება რას წარმოუდგენს?

– მამულის შვილობა გამოიჩინეთ მაგითიო?

– არა!

– ქრისტიანული გრძნობა წარმოსთქვიითო?

– არა!

– აბა რა ვქმენითო, იკითხვენ, და საქმე უგვანი, უვარგისიო, პასუხ ეყოფათ.

თავისი თანაარსი მსაჯულისაგან, თავისი სინიდისისაგან სხვა პასუხს ვერას გაიგონებენ და ხომ უზომოდ შესწუხდნენ მაშინ, ხომ უწყალოდ დაიქენჯნენ მაშინ ეს სამასნი ჩვენი მოძმენი.

და თუ არ დაუფიქრდნენ საქმეს, – თუ თავის სინიდისს ყური არ ათხოვეს და იმ სიკერპეს დაადგნენ, რომელიც ბავშურად ათქმევინებს: ძალიან კარგად ვინებეთ, რაც ვინებეთო, – მაშინ ხომ უმეტესად შევსწუხდით იმათთვის, რა რომ გული დავაჯერეთ, რომ მგმობელნი ყოფილან ძმობისა და ერთგვაროვნებისა!

დამარცხება-ლა თქვენი სახელოვანი არის ჩვენს პატარა ქვეყანაში და სასიქადულო.

სწორეთ დასალოცავია მოქალაქეობითი ვაჟ-კაცობა, რომელმაც სიმართლის შუქზედ გამოსულ ორმოც ყმანვილ კაცს ბრძოლა გააბედვინა სამასთან, რომელთაც გულ-აშფოთებულებმა ჭეშმარიტების დანახვა არ ინებეს და აღარ მოიგონეს, ან ქრისტიანობა რას ჰქვია, ან მამულის შვილობა!

მიხარის თქვენთვის

თქვენს გულითად პატივისმცემელს

**დიმ. ყიფიანს.**

29 მაისი, 1879

ტფილისი

## „მეომართ ცოლ-შვილისათვის საზრუნველი საზოგადოების“ გამომ

უფალო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთის 220 №-ში კითხვა არის ჩამოგდებული იმ საზოგადოებაზედ, რომელიც ომიანობის დროს არსებობდა თფილისში მეომართ ცოლშვილისათვის საზრუნველად.

ამ კითხვისათვის ჯერ გულითადი მადლობა შეინირეთ ჩემგან, – რადგან ამდენი ხნის მდუმარება ამ საქმეზედ ყველაზედ უმეტესად მე მიმაჩნია სამძიმოდ და ახლა იქნება თქვენის მიზეზით მაინც გამოცხადდეს, რაც არას დროს არა ყოფილა დასამალავი.

და მერე ეს მოისმინეთ:

1877-ში რომ ომი გამოცხადდა,<sup>1</sup> თან დაჰყვა უ მ ა ლ ლ ე ს ა დ დამტკიცებული დროებითი კანონი, რომლის ძალითაც იმპერიის ქალაქებში და გუბერნიებში უნდა შედგენილიყო მეომართ სახლობათათვის საზოგადოების მზრუნველობა.

იმავე 1877-ში, უფ. გუბერნატორის უწყებით და შემწეობით,<sup>2</sup> ჩვენს თფილისშიაც დაარსდა ეს მზრუნველობა და პირველმა საერთო ყრილობამ თავისი გამგეობა შეადგინა.

თავსმჯდომარედ დამნიშნეს მე,

ჩემს ამხანაგად<sup>3</sup> მ. ნ. კუჩაევი,

კასსირად<sup>4</sup> ა. სტ. მატინოვი,

მეორე კასსირად ა. ა. შენინგი,

სეკრეტრად<sup>5</sup> პ. ა. იზმაილოვი

და მეორე სეკრეტრად ლ. ნ. მოძალევსკი.

ხელმწიფა დიდმა მთავრინა ოლგა ფეოდოროვნამ<sup>6</sup> კეთილინება

და ეს მზრუნველობა თავისს უავგუსტესს მფარველობაში მიიღო. კვირისა-და-კვირის თავზედ მისს უმაღლესობას მიერთმეოდა ხოლმე ჩემგან გამგეობის მოქმედების ანგარიში.

ამ მოქმედებით ფულიც საკმაოდ მოგროვდა; შემწეობაც ბევრ-მა მიიღო და შეუნყვეტელი შრომა გვქონდა ყველას, – ა. ს. მატ-ინოვს და პ. ა. იზმაილოვს უმეტესად, – რასაკვირველია ყველას უსასყიდლოდ, მანამდისინ ომიანობა გათავდებოდა და მზრუნ-ველობაც თავის-თავად გაუქმდებოდა.

ფულის საგროვებლად დაბეჭდილი რვეულებიც იყო დარიგებუ-ლი და ზანგანაკებიც, ესე იგი, კრუჟკებიც.<sup>7</sup>

უეჭველია, მე არ მომეთხოვება, რომ ზეპირათა ვსთქვა, ან ფული რამდენი მოგროვდა; ან როგორ იხარჯებოდა; დარჩა რამე თუ არა; თუ დარჩა, სად არის და რამდენი; – რვეულები და კრუ-ჟკები რა იქნა, ისევ მოგვიბრუნეს თუ არა; რვეულების შესწორე-ბით რა აღმოჩნდა; კრუჟკები, საიდამაც ჩვენა გვქონდა ნათხოვნი, ისევ შევუბრუნეთ თუ არა და სხვ. და სხვ.?

საანგარიშო წიგნები კასსირების ხელში იყო; ყოველი მიწ-ერ-მონერა – სეკრეტრების ხელში და მანამდინ მე ქალაქიდამ გამოვიდოდი, ესე იგი ამ წლის 1 ივნისამდინ, ყოველთვის მპირდ-ებოდნენ ჯეროვანი ანგარიშის შედგენასა და გამოცხადებას და ჯერაც არსად არის.

ახლა მე თქვენივე გაზეთის საშუალობით ვჭკითხავ იმათ, და განსაკუთრებით პ. ა. იზმაილოვს, როგორც პირველ სეკრეტარს, – რა მიზეზია, რომ დანვრილებული ანგარიში საზოგადოებას აქა-მომდე არ გამოცხადებია? თვითან მზრუნველობა ხომ დიდი ხანია დაიშალა და აღარც იმისი გამგეობა არის მას აქეთ არსებაში.

სოფ. ქვიშხეთი, 26 ოქტომბერს.

[1879 წ.]

## ნიკო ნიკოლაძის საპასუხოდ

(წერილი რედაქტორს<sup>1</sup>)

მონყალეო ხელმწიფეო!

თქვენი გაზეთის №247-ში გამოქვეყნებული ნ. ი. ნიკოლაძის სტატიის საპასუხოდ,<sup>2</sup> გთხოვთ, ჩემს ორიოდ სიტყვასაც დაუთმობთ ადგილი.

ის, რისი თქმაც ახლა მსურს, წესითა და რიგით, როგორც თბილისის სათათბიროს ხმოსანს,<sup>3</sup> იქვე უნდა განმეცხადებინა, მაგრამ ამას ვერ ვახერხებ, რადგანაც თბილისიდან გასული ვარ.

ქალაქის თვითმმართველობაში ზოგჯერ წამოჭრიან ხოლმე ისეთ საკითხს, რომელიც იქ არმყოფ ხმოსანს აკისრებს ზნეობრივ ვალს, სათათბიროს წევრებსაც და ამომრჩევლებსაც რაიმე ფორმით მშვიდად და მიუკერძოებლად მიაწვდინოს თავისი სათქმელი.

სწორედ ამგვარ საკითხთა რიგს მივაკუთვნებ ამა თვის 5 რიცხვში ბ-ნი ნიკოლაძის მიერ ქალაქის სათათბიროში წამოყენებულ წინადადებას.

უპირველეს ყოვლისა, მეგობრული გრძნობითა და პატივისცემით მივმართავ თვითონ ბ-ნ ნიკოლაძეს და გულახდილად მოვახსენებ, რომ კატეგორიულად არ ვეთანხმები მას. არ ვეთანხმები არც დუმაში ჩამოყალიბებული ჯგუფების მისეულ დახასიათებას, არც მის შეხედულებებს ამ ჯგუფების მიერ დამკვიდრებული ურთიერთობის წესის შესახებ, დასასრულ, არც მის უცერემონიო დამოკიდებულებას ხმოსანთა მიმართ, რომლებმაც, თავის მხრივ, ამგვარივე უცერემონიო ფორმით უკუაგდეს ნიკოლაძის წინა-

დადება. არ ვეთანხმები იმიტომ, რომ ეს ყველაფერი არღვევს სიმშვიდესა და კოლეგიურ დამოკიდებულებას, რომელთა გარეშე ვერ იმუშავენ ისეთი დაწესებულება, როგორსაც ქალაქის სათათბირო წარმოადგენს.

ახლა კი საქმის შესახებ.

ბ-ნმა ნიკოლაძემ განაცხადა, რომ ქალაქის ზემო და ქვემო ნაწილებს შორის არ არის ისეთი კავშირი, როგორც შეეფერება თბილისს, მის ეკონომიკურ, სავაჭრო, ადმინისტრაციულ, სტრატეგიულ და etc, etc, etc<sup>4</sup> მნიშვნელობას. მან ასევე განაცხადა, რომ აუტანელია დღევანდელი მდგომარეობა ძველი ქალაქის შიდა ნაწილისა, „ვაჭრობის ამ საუკუნოვანი კერისა“, და, თუ გვსურს ქალაქის გაჯანსაღება, ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის შემცირება, ვითარება უნდა შეიცვალოს.

ცხადია, ვერავინ იტყვის, რომ ეს ასე არ არის; არავის მოუვა აზრად, ამტკიცოს, რომ სასარგებლო, საჭირო, აუცილებელი არ არის ქალაქის ნაწილებს შორის კავშირის გაუმჯობესება, ახალი კეთილმონყობილი ქუჩის ან თუნდაც ბულვარის გაყვანა. მე, ცხადია, შეურაცხყოფას მივაყენებდი ქალაქის სათათბიროს მთელ პერსონალს, თუ ვიტყოდი, რომ მისი 72 წევრიდან თუნდაც ერთი იქნებოდა ამის წინააღმდეგი.

მაშ, რაშია საქმე?

ბ-ნმა ნიკოლაძემ ამ ძველი და მწვავე პრობლემის მოსაგვარებლად შემოგვთავაზა: გამოვთხოვოთ ქალაქს 12 000 კვადრატული საჟენი მიწის ექსპროპრიაციის უფლება<sup>5</sup> თავისი შენობა-ნაგებობებთანად, ავილოთ ეს შენობა-ნაგებობები ანუ ჭუჭყსა და ლაფში ჩაფლული ქოხმახები, ამ ტერიტორიაზე გავიყვანოთ 400 საჟენი სიგრძისა და 10 საჟენი სიგანის ბულვარი, მის გასწვრივ ჩავყაროთ ჩრდილიანი, თუნდაც ლოჭინის საშინლად ძვირი სანერგიდან ჩამოტანილი ხეები, ბულვარის ორივე მხარეს მიწა დავყოთ ათსაჟენიანი სიგანის ნაკვეთებად და ეს ნაკვეთები გავასხვიოსოთ ახალი შენობების ასაშენებლად.

და ამ მოსაზრებებს ყველანი თოფნაკრავებივით გაემიჯნენ! – ნუთუ იმიტომ, რომ სომხურ ბაზარში მოწყობილი დუქნებიდან და



სანვრილმანოებიდან, რომელიმე ორპირსა თუ ლაილაშშიც რომ აღარ ეკადრებათ, მიღებული შემოსავალი შესაძლოა დღევანდელთან შედარებით სამჯერ თუ ოთხჯერ შემცირდეს?

მე კი ვფიქრობ – არც მეტი, არც ნაკლები – გვანახებებს რაღაც ფუჭი მოჩვენება, რომელმაც, თუ ავად არა ვართ, არ უნდა შეგვაშინოს და ამ საფრთხობელასთანაც უფრო ახლოს უნდა მივიდეთ. დარწმუნებული ვარ, იგი სავსებით უწყინარია და თვით ბაზარში მდგარი სომხებისადმიც კი იმაზე მეტად კეთილგანწყობილია, ვიდრე ამას თვითონ ბ-ნი ნიკოლაძე ვარაუდობდა.

საქმის განხილვაზე მეტი ხომ ჯერჯერობით არც არაფერი მოგვეთხოვება? მაშ, რატომ არ სურთ ჩემს მეგობრებს, დაავალონ სპეციალურ კომპეტენტურ კომისიას, გამონვლილვით შეისწავლოს საკითხი, შეიმუშავოს საფუძვლიანი მოხსენება და მათვე წარუდგინოს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად?

თუკი ამის შემდეგ, მონყალეო ბატონებო, უკუაგდებთ ნ. ი. ნიკოლაძის წინადადებას, უკიდურეს შემთხვევაში, იმ ხალხს, თქვენ რომ უფლებებით აღგჭურვათ, იმათ, ვისი ნდობითაც დღეს სარგებლობთ, ამის თქმის საფუძველს მაინც არ მისცემთ, რომ მოქმედებთ ქალაქის ინტერესების წინააღმდეგ და მხოლოდ ნათესავებისა და ნაცნობებისთვის ეძებთ სარგებელს.

დამიჯერეთ, ასეთი ხმები არა ერთხელ და ორჯერ მომისმენია და ამ ყველაფერს კეთილი ბოლო არ ექნება.

გულწრფელი სურვილი მაქვს, თუნდაც თქვენივე პირადი სარგებლისათვის, აღნიშნული საკითხი თავიდან დააყენოთ სათათბიროს სხდომაზე და რაც უფრო მალე მოხდება ეს – მით უკეთესი. და ამასაც გირჩევთ: ქიშპი და ვნებები დერეფანში დატოვეთ. თუ ხმაური აუცილებელია, ხმაური დერეფანში ჯობია.

14 ნოემბერი 1879.

სოფ. ქვიშხეთი

## „ქართული სათეატრო ამხანაგობის“ შესახებ

მონყალეო ხელმწიფევე, ნიკოლოზ იაკობის ძევე!<sup>1</sup>

„ობზორსა“ და „ტიფლისსკი ვესტნიკში“ მოთავსებული სტატიების გამო<sup>2</sup> ჩემმა ყოფილმა ამხანაგებმა თეატრალური კომიტეტიდან გაზეთ „დროების“ გუშინდელ ნომერში მოათავსეს კოლექტიური წერილი, რომლითაც მაფრთხილებენ, რომ, თუ მე განვიზრახავ საქმის ვითარება განვუმარტო საზოგადოებას, ისინი შემედავებიან სათანადო საბუთებით შეიარაღებულნი.<sup>3</sup>

მეტისმეტად გაცეებული და შეწუხებული ვარ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სტატიას ხელს აწერს თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, რომელსაც, როგორც მე მგონია, არ შეუძლია რაიმე ანტიქართულ საქმეში გაერიოს, ამიტომაც გულწრფელი პატივისცემა მაქვს მისი; იგივე შეიძლებოდა მეტქვა კიდევ ერთის ან ორის შესახებ, მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ ჯიუტობენ სწორედ ისინი, რომელთაც მართებდათ მომხდარი ფაქტის უსიტყვოდ აღიარება.

ჩემი წერილის მიზანი მხოლოდ ამ ფაქტის განსაზღვრაა.

გასული წლის დასაწყისში ქართველმა სცენისმოყვარულებმა გადაწყვიტეს რაიმე სოლიდური საფუძველი ჩაეყარათ მუდმივი დასის არსებობისათვის, რისთვისაც თავიანთი წრიდან გამოჰყვეს სამი-ოთხი კაცი, ხოლო მე მთხოვეს თავმჯდომარეობა, რათა ერთად მიგველო ზომები დასის ჩამოყალიბებისათვის.

ხუთივემ დავიწყეთ განსჯა-განმგებლობა, როგორც კომიტეტმა და, მრავალი თათბირის შემდეგ, ბოლოს, შევთანხმდით, რომ ჩვენ, როგორც კომიტეტს, ფეხქვეშ არ გვქონდა და არც შეიძლებოდა

გვექონოდა არავითარი ლეგალური საფუძველი, საჭირო კი იყო დრამატული საზოგადოების შექმნა. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ მიღებული წესით წესდების დამტკიცებამდე ჩვენი კომიტეტის პერსონალს შეესრულებინა ამხანაგობის ფუნქციები.<sup>4</sup>

თქვენ მიერ შედგენილი წესდების პროექტი, როგორც გახსოვთ, განხილულ იქნა საზოგადოების შექმნის მსურველთა საკმაოდ მრავალრიცხოვან კრებებზე, მოწონებულ იქნა მაისში და მაშინვე გადაეცა გადასანერად, რათა შემდეგ ხელი მოეწერათ და წარედგინათ.

პირველ ივნისს მე თბილისიდან გავემგზავრე, მაგრამ შემდეგ ყოველთვიურად ორი-სამი დღით მაინც ჩამოვდიოდი აქ საქმეებზე; სხვათა შორის, ჩვენი ამხანაგობის საქმეებისათვისაც. რამდენჯერაც მოვიკითხე წესდება, იმდენჯერ დამარწმუნეს, რომ ის ოდნავ შესწორებული, გადანერილი და ხელმოწერილია და იმ პირებისათვისაა გადაცემული, რომელთაც მისი წარდგინების რწმუნება აქვთ.

ამხანაგობის ბოლო თათბირზე ჩემს მუდმივ კითხვაზე: – „სად არის წესდება?“ – მიპასუხეს: თქვენ წარმოიდგინეთ, წესდება დაიკარგა, მაგრამ შემორჩენილია შავი პირი, რომლის მიხედვითაც შეიძლება მისი აღდგენა...

ამ ცნობამ როგორღაც მკაფიოდ წამოჭრა ჩემ წინაშე ის წვრილმანი მიზეზები, რომლებიც, როგორც მე მეჩვენება, ხელს უშლიდა ჩვენი საქმის წარმატებით მსვლელობას.

სხვათა შორის, ისიც გავიხსენე, რომ სექტემბერსა თუ ოქტომბერში ჩემმა ოთხმა ამხანაგმა ჩემ დაუკითხავად კიდევ ოთხი ახალი ადამიანი შემოიყვანა ამხანაგობაში, რითაც, ჩემის აზრით, საქმე მნიშვნელოვნად წინ არ წასულა და აი, მე მოვისაზრე კიდევ ერთი კანდიდატურის წამოყენება. ეს გახლდათ თავ. მიხ. ბებუთოვი, რომელიც ახლოს იცნობს სცენას, ჭეშმარიტად თანაუგრძობს ადგილობრივ თეატრს და თავისი უმნიშვნელო წესიერებით შეიძლება, ჩემის ღრმა რწმენით, ჩვენთვის მნიშვნელოვანი სარგებლობის მოტანას, თუნდაც დრამატული საზოგადოების შექმნამდე.

მაგრამ ჩემი წინადადება უარყოფილ იქნა უმრავლესობით –

შვიდიდან ექვსი ხმით.<sup>5</sup>

*გულზე ხელი დაიდეთ და ისე თქვით – განა არ ჩათვლიდით, რომ ამის შემდეგ ჩემი მხრიდან, უკიდურეს შემთხვევაში, უადგილო შეჩრა იქნებოდა, დავრჩენილიყავი ამგვარი ამხანაგობის შემადგენლობაში?*<sup>6</sup>

ყოველივე ამის შემდეგ კიდეც მე მემუქრებიან რალაც დამამტკიცებელ საბუთებით!

27 თებერვალი

1880 წ.

## პასუხი ვლადიმერ მიქელაძეს

უფალო რედაქტორო!

„დროების“ გუშინდელს 205 ნომერში, მოწინავე ნაწილში, არის დაბეჭდილი ბ. ვლ. მიქელაძის თხზულება, რომლითაც მე გამომითხოვეს, რომ პასუხი ვაგო, რა კომმისია არისო ის კომმისია, რომელშიც მე მაქვს მონაწილეობა.

დიდად ვსწუხვარ, ჭეშმარიტად, ამ ყმანვილი კაცისათვის, რომ ასე წინდაუხედავათ ესაუბრება „დროების“ წამკითხველებს და დამოძღვრების კილოთი ისეთს ამბავს ამბობს, რომლისაც არც თავი გაეგება და არც ბოლო.

უზენაესის ბრძანებით დაარსდა ს.-პეტერბურღში დროებითი უმაღლესი კომისია, სადაც თავსმჯდომარედ არის დანიშნული სახელმწიფო ქონებათ მინისტრი და წევრებათ, სხვათა შორის, ორი წევრი სახელმწიფო რჩევისა.<sup>1</sup> ამისას ბრძანებს ვლ. მიქელაძე, **რალაც** კამისია დანიშნულაო, კნ. მინგრელსკის თაოსნობითაო და სადაური რა არისო.

ამ კომმისიას აქვს მინდობილი, რომ აღხსნას და ჯეროვანის წესით წარუდგინოს უზენაესს მთავრობას, რა მიზეზები აბრკოლებს აქამომდე ხელმწიფე იმპერატორის ბრძანების აღსრულებას, **1867** და **1873** წლებში რომ გამოვიდა,<sup>2</sup> რაც სამეგრელოს მთავარს ადგილ-მამულები ეკუთვნოდა სახასოდ, ან ასე ვთქვათ, კერძო საკუთრებათ, – მთავრის შვილის კნ. ნიკოლოზ მინგრელსკისათვის დაკრძალულ ქმნილიყვნენ<sup>3</sup> საშვილითიშვილო სამკვიდრებელად. – ეს მიზეზები უნდა გამოიკვლიოს კომისიამ, ჩამოსაყენებელი ღონისძიება მოიაზროს და განსაზღვროს, რაც **1867** წლამდის მთავარს ეკუთვნოდა, – იქიდან რა-და-რა უნდა შეირიცხებოდეს ახლა დასაკრძალავ საკუთრებათ, და რა

უნდა გამოირიცხებოდეს თვითან კნ. მინგრელსკისაგან გაცემული, ან სამართლით წაგებული.

ამისას ბრძანებს ვლ. მიქელაძე, კომისია მინგრელსკის თაოსნობით, სასამართლოს განჩინებების დარღვევას თურმე განიზრახავსო და უფლებაც აქვს თურმე ამისიო.

ამას იტყვის ან ისეთი კაცი, რომელსაც სრულიად არა გაეგება-რა თავისი ლაპარაკისა, ან ისეთი, რომელსაც სხვა წადილი არა აქვს-რა იმის მეტი, რომ ამბობება მოახდინოს როგორმე. – პირველს შემთხვევაში ვსწუხვარ ვლ. მიქელაძისათვის, რომ ასე უთავ-ბოლოდ ლაპარაკით გამოჭენდება საქვეყნოდ და თავს ასე უბრალოთ იფაფხავს.

მეორეს შემთხვევაში უფრო ვსწუხვარ, რადგან არ იცის, რა საშინელის პასუხის საგებლად ჰხდის თავისთავს თუ საწადილი აღუსრულდა და ამბობება ჩამოვარდა.

მაგრამ მეგრელების მოლორება თუ ასე ადვილი ჰგონია, სწორეთ საცოდავი ყოფილა ვლ. მიქელაძე.

სად ამოიკითხა მეცნიერმა, რომ შესაძლებელი იყოს სადმე სასამართლოს განჩინების გაუქმება, რომელსაც კანონიერი ძალა მისცემია და სისრულეში მოყვანილა?

რამ აფიქრებინა ამ უჩიტელს, ესე იგი, გიმნაზიის მასწავლებელს, მოძღვარს, რომ უმაღლესი მთავრობა თვითან დაანესებდა ამისთანა უკანონობასა; – და თუ ფიქრად მოუვიდა, – ალტყინებულ გონებას ფიქრად რამდენი რამ მოუვა, ვინ იცის, – რატომ არ ინება, რომ შეემონმებინა როგორმე, გამოეკვლია როგორმე ამისთანა უცნაური ფიქრი?

ახლა იმისს მოთხრობას მიუბრუნდები, – თუ როგორ მოგვითხრობს გუშინდელს ამბევებს, – გუშინდელს ისტორიას.

რუსეთის სასამართლო (ვეჭობ მმართველობა უნდა ეთქვა ვლ. მიქელაძეს) დაარსდა სამეგრელოში 1857-ში და არა 1865-ში.<sup>4</sup>

„მთავრის ცოლი“<sup>5</sup> (ასე ლაპარაკი იქნება ზდილობად მიაჩნდეს ვლ. მიქელაძეს, არ გავიოცებ) რომ მაშინ რუსეთში გადასახლდა თავისი ობლებით, მთავრის ადგილზე და მამულზე (ყმა და მამულზე), აპეკა დაინიშნა და აპეკუნად იყო დიმიტრი ყიფიანიო; და ადგილ-მამულის

აღსაწერად ცალკე კომმისია დაინიშნა, სადაც აპეკის მხრით დიმ. ყიფიანი და ერთი წევრი სამეგრელოს საზოგადოების მხრით იყვნენ.

უმეცრება არის აქ, უცოდინარობა, თუ წინ დაუხედაობა ამ სი-  
ცრუვის მიზეზი, ამის გამოკითხვაში ვერ შევალ და ნამდვილად  
საქმე კი ასე იყო:

მთავრინა თავისი შვილებით რომ რუსეთს მიდიოდა, მაშინ,  
1857-ში<sup>6</sup> ნამესტნიკმა, კნ. ბარიატინსკიმ ორი გარიგება მოახდინა  
ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე: ოპეკის დაწესება მთავრის ყმასა და  
მამულზე და ინვენტარული აღწერილობა ამ ყმა და მამულისა.

ოპეკუნებად დაინიშნენ – ბარონი ნიკოლაი და კნ. დავით ჭავ-  
ჭავაძე.

აღმწერელად შესდგა მრთელი კომმისია.

ამ კომმისიაში მოთავედ მე ვიქმენ დანიშნული, – მაშინ წევრი  
ნამესტნიკის სოვეტისა (რჩევისა)<sup>7</sup> და არა აპეკუნი. ერთი წევრი  
იმ კომმისიისა იყო ნამესტნიკის მხრით; მეორე წევრი ქუთაისის  
გენერალ-გუბერნატორის მხრით;<sup>8</sup> მესამე – სამეგრელოს სოვეტის  
მხრით და მეოთხე – მთავრინას მხრით.

ამ პირთ თანდასწრებით ეკითხებოდა ყოველს სახასო სოფელში  
სოფლის მოხელეებს და კეთილ-სვინდისიან ხნიერს კაცებს, რა იყო  
სახასო საკუთრება მთავრისა, სად რა შენობა იყო იმისი და ვის რა  
გარდასახადი ემართა. რასაც ისინი ფიცით იტყოდენ, ის იწერებო-  
და ინვენტარიაში და დამსწრენიც ყველანი აწერდნენ ხელს.<sup>9</sup>

ეს რომ არ იცოდით, ტყუილა-უბრალოთ ღობე-ყორეს რათ ედე-  
ბოდით, რომ ამ აღწერილობის ბძანებით, აპეკუნი ყიფიანის მონაწ-  
ილეობით იყო შედგენილიო? აპეკუნად დამნიშნეს, მართალია, მა-  
გრამ ორის წლის შემდეგ, როდესაც პირველმა აპეკუნებმა ნიკოლაიმ  
და ჭავჭავაძემ დაახნიეს თავი ამ წარმწყმედელს წოდებასა.

ჩვენში მთვრალი კაცი გარეთ თავს არ გამოჰყოფს, სიმთვრალე  
არა ვინ შეამჩნიოსო და ფხიზელი რომ თავს მოიმთვრალელებდეს,  
რა საქციელია, ღვთის გულისათვის.

29 სექტ. [1880 წ.]

სოფ. ქვიშხეთი

## ბატონი იანოვსკის ორგვარი შეცოდება

ბატონო რედაქტორო!

ჟამთა ვითარებამ ისე მოიტანა, რომ „დროების“ 254 №-ში დაბეჭდილი ს. მ-ის<sup>2</sup> ღია წერილი დღევანდლამდის არა მქონდა წაკითხული.<sup>3</sup>

დღეს რომ წავიკითხე, ჯერ იქამდინ აღმიშფოთდა გული, რომ ზეზე წამოვჭხტი და „როგორ თუ!“-მეთქი, დავიძახე... მაგრამ, როგორც მოხუცებულსა და მრავალგვარად ნაცოდვილევს კაცს შეჰშვენის, მაშინვე დავიმშვიდე გული და საქმეს დავუფიქრდი.

საშინელია ს. მ-ის ღია წერილი; საშინელია, როგორც მგზნებარე წარმოთქმა უსამართლოდ განგმირულის გრძნობისა, როგორც გვემა აღბორგებულის გულისა.

„როგორ თუ“ კი არა, საქმეს თვალი თვალში უნდა გაუყაროთ და როგორც ჩვენს მრავალ-მომთმენლობას შეჰშვენოდეს, როგორც ჩვენს სულის შეუგინებლობას შეეფერებოდეს, ისე უშფოთველად გავსინჯოთ საქმე, **რომელიც ისეთის თვისებისა არის, რომ უსათუოდ უნდა სირცხვილელ იყოს ან ერთი მხარე, ან მეორე.**<sup>4</sup>

რა რომ სიტყვა ითქვა, ითქვა: ან-ლა გადათქმა უნდა, ან-ლა გამტყუნება. სხვა სარჩევი აღარა არის-რა.

– ქუთაისში რომ მასწავლებელთ კრება იყო, – ამბობს ღია წერილი, – იმ კრების მოთავესათვის ბ. კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველს დარიგება თურმე მიეცა, საქმე ისე მოიყვანეთ, რომ სასოფლო სკოლებში რუსული ენის სწავლა პირველივე წლიდამ დაიწყებოდესო და ეს იყო თურმე მიზეზი, რომ იმ კრებაზედ ისე ახირებულად გატრიზავდა პატივცემული გორის სემინარი-



ის დირექტორი სემიონოვიო.<sup>5</sup> – ამას გარდა, სენაკში სასოფლო სკოლის მასწავლებლისათვის უბრძანებია იმას, ბავშვებისათვის რუსული რატომ არ გისწავლებიათ? თქვენ რაღასაც სხვა მიზანს მისდევთ და არა პედაგოგიასაო!<sup>6</sup> –

აუცილებელი დილემა გამოდის ამ ამბავიდან: ან ბ-ნს მზრუნველს არა უნებებია-რა ამ გვარი, – არც იმ დარიგების მიცემა და არც ამ სიტყვების წარმოთქმა; მაშასადამე ღია წერილი სტყუის, საზარელს ცილსა ჰსწამებს ბ. მზრუნველს; – ან არა და ს. მ. ისეთს ამბავს მოგვითხრობს, რომ სწორეთ ჰსმენია და მაშინ ბ. სწავლა-განათლების მზრუნველის ვალია „დროების“ წამკითხველებს გაუუქმოს ეს ამბავი.

ჩვენ მიზეზი არავისა გვაქვს ს. მ-ს სიცრუე დავსწამოთ. მეტადრე ამისთანა დიდათ მძიმე საქმეში.

მაშ ჯერ ზემორე დასახელებულებმა უნდა მოაცილონ ბ. მზრუნველს პასუხისგება და ს. მ-ს სიცრუე დაუმტკიცონ.

– როგორ თუ ჩვენს მოთავსეს ამისთანა უგვანს ცილის-წამებას უბედავთო, – რატომ არ ამბობენ ან ქუთაისის მასწავლებელთ კრების თავსმჯდომარე ბ. მარსოვი, – ან გორის სემინარიის დირექტორი ბ. სემიონოვი? – ამის მეტი ხომ არა დასჭირდებოდათ-რა, რომ ეთქვათ, ჩვენ დარიგება არა მოგვსვლია-რა და რაც ვიმოქმედეთ, ჩვენ თავად ვიმოქმედეთო.

ან რატომ სენაკის სკოლის მასწავლებელი არ ამბობს: არც ჩემთვის და არც ჩემთან სხვისთვის ბ. იანოვსკის ისეთი არა უბრძანებია-რა, რასაც ს. მ. ეწამებაო.\* ამის თქმის მეტი ხომ არცა რა ამას დასჭირდებოდა.

მაგრამ – ესენი მდუმარებენ. მაშ ბ. იანოვსკია იძულებული, ხმა ამოიღოს **და ღია წერილისაგან მიცხებული მნიკვლი განიბანოს იმ უფლების წინაშე, რომელსაც ემსახურება. – ამ მნიკვლის გამბანი და გამრეცხი ერთად ერთი და წყაროა მთელს მსოფლიოში: გულის სინრფელით აღსარება და მოქალაქობითი ვაჟკაცობით**

\* ეს სტევა ბ. სენაკის მასწავლებელმა („დროება“, №259), მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, ამ თქმას ჩვენ ვერ დავერწმუნეთ, ვერ დაუჯერეთ. რედ. [ს. მესხი]

**გამოტეხა – მე ვასრულებ ნებასა მომავლინებელისა ჩემისაო!**

**მაგრამ როგორ იტყვის ამას? ჩემს მომავლინებელს არც დანახვა აქვს, არც დასწავლაო, ეს თუ სთქვა, ხომ მაშინვე პირში ეტაკე-ბიან აქეთ და იქითგან ამნაირი სიტყვებით: „წარვედ პირისაგან ჩემისა, რამეთუ არა უწყი, რასა იტყვი“.**

ცხადია, რომ აქ ცრუ გზაზედ დგომა უმაღლესი მთავრობის ბრალი არ უნდა იყოს.

მაშ სრული ნება გვექნება ვიკითხოთ, ქართული ენის ცოდნამ რა დაუშავა იმ გამირებს, რომელთაც ისახელეს თავი და ასახელეს რუსეთის მხედრობაცა და რუსეთის მმართველობაცა, როგორც ძველს დროებში, ისე ჩვენს მახსოვრობაში? რა დაუშავა ქართველობამ და ქართულის ცოდნამ პავლე ციციანოვსა, პეტრე ბაგრატიონსა, აფხაზოვსა, სავარსამიძესა, გიორგი ერისთავსა, დიმიტრი ორბელიანსა? – ჯერ რომ ქართული იცოდნენ და მერე რუსული, ამითი რუსეთს მტერს ვერ უმარცხებდნენ თუ? ქვეყნებს ვერ უმორჩილებდნენ თუ?

მოსე არლუთაშვილი და ვასილ ბებუთოვი მტერსაც რომ ყოველთვის საოცრად უმარცხებდნენ და ქვეყნებსაც რომ სახელოვანად უმართვიდნენ რუსეთსა; ან გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ლევან მელიქიშვილი, – ვითამ რა შემცოდველნი არიან რუსეთის წინაშე, რომ თავისი ქართველობა არა ჰგმეს და ჯერ ქართული ისწავლეს, მერე რუსული?

ან მიხეილ ტარიელიჩმა ლორის-მელიქოვმა რა შესცოდა ამითი, ქართულის ცოდნამ რა დაბრკოლება მისცა იმ სამხედრო და სამმართველო მოღვაწეობაში, რომელსაც მრთელი რუსეთი შეჰხარის და მრთელი მსოფლიო შეჰკვირვებია?

რა შესცოდეს იმ ქართველებმა, რომელნიც რუსებთან ძმურად ხელი-ხელს გადაბმულნი რუსეთის დიდებისათვის თავისს წმინდა სისხლს ერთად ანთხევდნენ და რუსეთის მხედრობას მოუხედავად მიუძღოდნენ, საითაც მსახურების ვალი იწვევდა?

სამოქალაქო სამსახურის მოხელეებისა რაღა ვსთქვათ? ვინ არ იცის, რომ ათასში ერთს თუ დაგვისახელებენ ვისმე ქართული ენის მცოდნეთაგანსა, რომ შთამომავლობითი პატიოსნება შეგინებულ

ექმნას სადმე.

თუ ამას ვერ დაჰფიქრებიახრთ, რა მნიშვნელობა აქვს თქვენს ქადაგებასა, ქართველობა ჰგმეთ და ქართული ენა დაივიწყეთო, მე გეტყვით:

როგორც სამათემატიკო ჭეშმარიტება, ისეთი არის ეს ჭეშმარიტებაცა, რომ საქართველოს ხალხზედ უფრო ერთგული ტახტისა მრთელს რუსეთს სხვა ხალხი არ ასხია. თქვენ თუ არ იცით ესა, – ჩვენმა სათაყვანებელმა ერთ მთავარმა<sup>7</sup> კარგად უწყის და მისმა უზუნაესმა მმართველობამაც კარგად იცის.

ასე ვართ ქართველები და ასე ვიქნებით, მანამდისინ ჩვენი ხალხოსნობა დაცული გვექნება; და ხალხოსნობა ხომ გამქრალია, სადაც იმისი ენა აღარ არის.

მერე რა ენისას ამბობენ კაცობრიობის მგმობელნი, უნდა გაჰქრესო? იმ ენისას, რომელსაც ლაპარაკობდნენ ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი; რომელზედაც ქრისტიანობას გვიქადაგებდნენ ნინო მოციქულთა თანასწორი და ათცამეტი სირიელნი მამანი; რომელზედაც ჰმწერლობდნენ პოეტნი, როგორც შოთა რუსთველი, ფილოსოფოსნი, როგორც პეტრინი,<sup>8</sup> სჯულისმდებელი, როგორც ვახტანგ; – რომელსაცა აქვს ანბანი, უმარტივესი და უბუნებითესი ყოველთა ანბანთაგან!..

***ახლა მიჰხვდით თუ არა, რასაც თქვენი ქადაგება მოასწავებს? ჩინგის-ხანმა, ლანგ თემურმა, შაჰ აბასმა, ნადირშაჰ ვერ შემუსრა ჩვენი ხალხოსნობა და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ, როდესაც ჩვენ ჩვენის კეთილის ნებით, სიყვარულით და სასოებით მივენდით რუსეთს, რომლისაც გარეშეუნერელი ერთგულება შეურყევლადა გვაქვს გულში ჩანერგილი?!!***

არა, ბატონებო! თუ ღია წერილის აზრი არ დაირღვა, ბ. იანოვსკის ათას წილათ უჯობს, ისევ ამ აზრის შემუსვრა მოახერხოს... თუ ეს აზრი არ შეიმუსრა, ბ. იანოვსკი შემცდარი კი არა, შემცოდავი იქნება ორგვარად: ჯერ რუსეთის წინაშე, რომ ერთი უერთგულესთაგანის ხალხის გაორგულება განუზრახავს, და მერე – მეცნიერების წინაშე, რომ პედაგოგიას ურღვევს დიდი მეცადინეობით შემუშავებულს კანონსა, რომელიცა ჰბრძანებს: „წულსა ყრ-

მას (ესე იგი ყმანვილს<sup>9</sup>) ჯერ საშინაო ენას ასწავლიდეთ და მერე საქვეყნოსაო“.

ეს აზრები წარმომიდგა, ს. მ-ის ღია წერილი რომ წავიკითხე. მაგრამ საქმის გამოკვლევას რომ უფრო გულდასმით გამოვეკიდე, მაშინ ერთი ფაქტი მომაგონდა, აქ, ამ ქუთაისში მომხდარი.

მას აქეთ იქნება ერთი თხუთმეტიოდ წელიწადი.

მოგეხსენებათ, რომ ვისაც თავისი ბუნებითი ენა ვერ შეუსწავლია, სხვა ენას უფრო ვერ შეისწავლის. მაგრამ ეს საზოგადო თვისებაც მოგეხსენებათ ადამიანისა, რომ რასაც უშლიან, იმას უფრო ეტანება.

როგორც მოგახსენეთ, ამ 15 წლის წინათ თვითქმის ყველანი აქ რუსულს ლაპარაკობდნენ, მაგრამ თქვენს მტერს გააგონა ისეთი დამტვრეული ლაპარაკი.

ერთს დიდ-მოხელეთაგანს მოხსენებო: ამა და ამ სასამართლოში მწერლები ხან-და-ხან ქართულად ლაპარაკობენო. დაე-ბარებინა მდივანი და ებძანებინა, არამც და არამც ქართული ლაპარაკი აღარ გაბედონო, თორემ... სულ კუდით ქვას ვასროლინებ, ისეთს საქმეს დავმართებო.

ეს ხმა გამოვიდა თუ არა, ამოიკვეთეს ლაპარაკი, მაგრამ ქართული კი არა, რუსული. – ქართულს რომ მიუდგეს ფეხი და ამ დედა-ენით ლაპარაკში გაიმართნენ, მაშინ დაინახეს, რომ რუსულს თურმე მეტად ამტვრევდნენ და უწყალოდ ამახინჯებდნენ.

ამ მოკლე ხანში გარემოება ისე შეიცვალა, რომ ახლა რუსული კარგათ იმან იცის, ვინც თავისი ქართული იცის კარგათა.

ეს მოვლინება ბუნებითი არის, ყოველგან და ყოველთვის უცვალებელი, – და ეს არის ის ზნეობითი ჩვენი აზარმაცი, რომლითაც უძრავი იძვრის, ურყეველი ირყევა და უშენი შენდება.

ეს რომ გულდანყნარებულმა თვალწინ წამოვიყენე, მივხვდი, რომ სადაც გულს ვიშფოთებთ, ხშირად მოხდება, რომ იქ მაღლობა გვემართოს.

7 დეკემბერს. [1880].

ქ. ქუთაისი

## ნაციონალური ჰიპნოტიზმისა და პოლიტიკური ჰალუცინაციების სამყარო

პერიფერიული და დედაქალაქის<sup>1</sup> პრესა ბოლო დროს არაერთხელ შეეხო აქაურ პირველდანყებით სასოფლო სკოლებში მშობლიური ენის სწავლების საკითხს. ამ თემაზე პოლემიკამ, როგორც საერთოდ გვჩვენია, ისეთი ვნებათაღელვა გამოიწვია, რომ საკუთრივ პრობლემას ხან სად მოისვრიან და ხან – სად: ვთქვათ, პედაგოგიკის სფეროდან ტყუილისა და ფარისევლობის სამყაროში.

დროა ცვადაოთ და გავარკვიოთ, სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე.

ვერც მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებებზე ვიკამათებთ სერიოზულად.

გასული 1880 წლის ბოლოს თბილისურმა გაზეთმა „დროება“ გამოაქვეყნა ს. მ-ის „ლია წერილი ბ. იანოვსკისადმი“.<sup>2</sup> „ლია წერილში“ ნათქვამია, რომ კ. პ. იანოვსკის მოვლინებას აქაური მოსახლეობა იმედით შეხვდა, რადგანაც ბევრი კარგი რამ ჰქონდათ გაგებული მისი ადრინდელი მოღვაწეობის შესახებ. მაგრამ ეს იმედები გაცრუვდაო, – გავრცელებულ ხმებზე დაყრდნობით ამბობს „ლია წერილის“ ავტორი.

კ. პ. იანოვსკიმ გაზეთ „კავკაზის“ 348-ე ნომერში დაბეჭდა „განხილვა“ ს. მ-ის „ლია წერილისა“<sup>3</sup> რომელშიც ყველას, ვინც კი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული სახალხო განათლების სწორად წარმართვით, სთხოვს, ყურადღება დაუთმონ მის ამ „განხილვას“.

მე სისხლხორცეულად ვარ დაინტერესებული ამ საქმით თუნ-

დაც იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, მიმსახურია სასწავლო უწყებაში<sup>4</sup> და, ამას გარდა, ამჟამად თავმჯდომარე ვარ „კავკასიის სამეფის-ნაცვლოში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“.<sup>5</sup> ამდენად, ვალდებული ვარ, ამ საქმეს მივაპყრო მთელი ჩემი ყურადღება, ჩავერიო პოლემიკაში და გამოვთქვა საკუთარი შეხედულება მისი რაობისა და საფუძვლების შესახებ.

ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვი, პრობლემას აქვს ორგვარი – პედაგოგიური და არაპედაგოგიური – საფუძველი, პირველი კატეგორიის საკითხებს (პედაგოგიურს) შეეხები „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარის უფლებით. სახალხო განათლების ნამდვილ და არა მოჩვენებით სარგებლიანობაზე მსჯელობისას პედაგოგიკის ადგილობრივ ავტორიტეტებს დავეყრდნობი, ხოლო თუ მათ შეხედულებებს შორის განსხვავებები იქნება, მაშინ საკითხს რუსული პედაგოგიკის წარმომადგენელთა სამსჯავროზე გავიტან. რაც შეეხება მეორე კატეგორიის საკითხებს (არაპედაგოგიურს), მე მათ განვიხილავ როგორც საქართველოს მკვიდრი და დაბადებითვე ქართველი.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ „განხილვის“ ავტორის, კ. იანოვსკის, მსჯელობა პირველი სტრიქონიდან ბოლო სტრიქონამდე ალბეჭდილია საკუთარი ღირსების შეგნებითა და მშვიდი ტონით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მსჯელობა გაჭიანურებულია, ხოლო გაჭიანურებულ თხრობას ყოველთვის ერთი რისკი ახლავს – შეიძლება რამე წამოგცდეს!

ს. მ-ს „ღია წერილში“ ნათქვამია: „თქვენ ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორს წერილი მისწერეთ და დაავალეთ – გუბერნიის სასოფლო სკოლების მასწავლებელთა ყრილობამ სწავლების პირველი წლიდანვე რუსული ენის შემოღების გადაწყვეტილება უნდა მიიღოს“.

ამის საპასუხოდ კ. პ. იანოვსკი ამბობს: „ამგვარ განზრახვაში არაფერი იქნებოდა ვნების მომტანი, თუმცა თვითონ ფაქტი მოგონილია“.

მოგონილია თუ არა ეს ამბავი, ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც განათლების მზრუნველმა თავისი პირით

განაცხადა – ბავშვებისათვის პირველ წელსვე ერთდროულად მშობლიური და არამშობლიური ენების სწავლება ვნების მომტანი არ იქნებაო.

თავისთავად ჩნდება არსებითი მნიშვნელობის კითხვები, რომლებსაც უკვე რუსი პედაგოგების საყურადღებოდ ვსვამ:

1. თუკი არსებობს წესი, რომ პირველდაწყებითი განათლება ბავშვს მშობლიურ ენაზე უნდა მიეცეს, და თუ ეს წესი პედაგოგიკის მიერ მეცნიერულად დასაბუთებულ ჭეშმარიტებად ითვლება და არა სხვა განზრახვლებად, რომელიც სცილდება პედაგოგიკის ფარგლებს, მაშინ განა ხსენებული, მეცნიერულად დასაბუთებული ჭეშმარიტების შეურაცხყოფა არ იქნება, ბავშვებს, რომლებმაც მხოლოდ საკუთარი საშინაო ენა იციან, სკოლაში შესვლის პირველი წლიდანვე სწავლა მათთვის გაუგებარ ენაზე მოვთხოვოთ?

2. ხომ არ დაარღვევს ასეთი ვითარება კიდევ ერთ საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომლის მიხედვითაც, რაც უფრო **უკეთ** იცი საკუთარი კულტურული ენა,<sup>6</sup> მით უფრო **ადვილია** სხვა კულტურული ენის შესწავლა, ხოლო რაც უფრო საფუძვლიანად იცი ორი ამგვარი ენა, მით უფრო ადვილად დაეუფლები მესამეს და ა. შ.?

3. თუ ეს ყველაფერი სწორია, მაშინ ხომ იმის თქმაც შეიძლება, რომ ბავშვების განვითარებისათვის პედაგოგიური თვალსაზრისით მავნებელი იქნება ერთდროულად ორი ენის სწავლება – საშინაოსი და მისთვის აქამდე უცნობი უცხოურისა, რომელთა შორის, უნდა ითქვას, არ არის არავითარი ისეთი მსგავსება, რომელიც ასე თუ ისე შეამსუბუქებდა ბავშვის მეტისმეტად დაძაბულ გონებრივ შრომას?

„ღია წერილში“ შემდეგ ნათქვამია: „თქვენ ახალსენაკის სოფლის სკოლის მასწავლებელს გამოუცხადეთ თქვენი ძლიერი უკმაყოფილება (ნოემბერში!) იმის გამო, რომ იგი ბავშვებს (სექტემბერში მიღებულ ბავშვებს!) ასწავლიდა **ქართულ ენაზე**; ამასთანავე, იმავე მასწავლებელს უთხარით: „თქვენ, ქართველები, არა პედაგოგიურ, არამედ რალაც სხვა მიზნებს მისდევთ;

თქვენ წინააღმდეგნი ხართ რუსული ენისა. მე არავითარ შემთხვევაში არ დავამტკიცებ მასწავლებელთა ქუთაისის ყრილობის დადგენილებას!“

ამას კ. პ. იანოვსკი თავის „განხილვაში“ წმინდა წყლის ცილისნამებას უწოდებს: „ასეთი სიტყვები მე **არც ერთი მასწავლებლისათვის არც ერთ სასწავლებელში არ მითქვამს**“.

თანამდებობრივი მდგომარეობა კ. პ. იანოვსკისა იმდენად საპატიოა და პიროვნულადაც იგი იმდენად დაფასებულია საზოგადოების მიერ, რომ შეიძლებოდა დაგვეჯერებინა კიდევაც მისი ეს განმარტება და უნდობლად მოვკიდებოდით „ღია წერილის“ ავტორს, მაგრამ პრესაში გამოჩნდა რაღაც განმარტება ახალსენაკელი მასწავლებლისა, რომელმაც თითქოს უარყო „ღია წერილში“ მოხსენიებული ფაქტები.<sup>7</sup> დაიბეჭდა აგრეთვე კოლექტიური განცხადება,<sup>8</sup> რომელშიც ახალსენაკის მაზრის უფროსი, მომრიგებელი მოსამართლე და ქალაქის დეპუტატი დაბეჯითებით ამტკიცებენ – ბ-ნ განათლების მზრუნველს არ უთქვამს ის, რასაც მას ს. მ. მიაწერსო.

ეს განცხადებები რომ არ გამოქვეყნებულიყო, ფაქტების გადამოწმება არ გახდებოდა საჭირო, მაგრამ ისინი გამოქვეყნდა და აი, ფაქტების გადამოწმებას რა სავალალო შედეგები მოჰყვა:

1. ყველა აქაურ სახალხო სკოლაში, ყოველ შემთხვევაში, ქუთაისის გუბერნიაში, სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით არსებობს დირექტორის ხელმოწერით დამოწმებული ზონარგაყრილი ნიგნი,<sup>9</sup> რომელშიც აუცილებლად აღინუსხება სკოლაში მისულ ხელმძღვანელ პირთა ყველა განკარგულება თუ შენიშვნა.

არავინ ამბობს, რომ ახალსენაკის ზონრიან ნიგნში არ წერია კ. პ. იანოვსკის ის შენიშვნები, რომლებზეც ს. მ. თავის „ღია წერილში“ ლაპარაკობს.

2. მაზრის უფროსმა ბებურიშვილმა, მომრიგებელმა მოსამართლე ბერიძემ და ქალაქის დეპუტატმა ჟვანიამ თავიანთი გამოქომაგებით რეპუტაცია შეუღახეს ისეთ საპატიო პირს, როგორსაც სასწავლო ოლქის მზრუნველი წარმოადგენს. ამასთანავე, მათ სა-



კუთარი თავის კომპრომეტირებასაც მიაღწიეს, რამდენადაც თავი წარმოგვიდგინეს ისეთი რამის თვითმხილველად, რისი **თვითმხილველნიც ვერ იქნებოდნენ** – არც ერთი მათგანი თან არ ჰხლებია კ. პ. იანოვსკის, როცა ეს უკანასკნელი ახალსენაკის სკოლას სტუმრობდა და, შესაბამისად, სკოლის მასწავლებელსა თუ სკოლის ზედამხედველთან კ. პ. იანოვსკის საუბარსაც ვერ დაესწრებოდნენ.

ეს ორი ფაქტი გვაიძულებს გადავამოწმოთ, თუ რამდენად მართალია თვითონ კ. პ. იანოვსკი, როცა ამბობს: „ასეთი სიტყვები მე არც ერთი მასწავლებლისათვის არც ერთ სასწავლებელში არ მითქვამს“. გადამოწმებას კი მივყავართ იმ პოზიციამდე, საიდანაც ს. მ-ს შეეძლო მგზნებარე პოლემისტიკის მკაცრი ტონით მიემართა განათლების მზრუნველისათვის: „დიახ, კირილ პეტრეს ძევ! თქვენ მართალი ბრძანდებით! თქვენ ამ სიტყვებით მასწავლებელს კი არ მიმართეთ ან სასწავლებელში კი არ მიმართეთ, არამედ ეს სიტყვები განათლების ინსპექტორს უთხარით ან სკოლის ზედამხედველს სასადილოში, ან – ბუფეტში!“

მაგრამ, იმედს ვიტოვებ, ს. მ-ს აღარ მოუწევს ამ მიმართულებით პოლემიკის გაგრძელება, რადგან ვითარება შორს სცილდება საკუთრივ პედაგოგიკის ფარგლებს და სულ სხვა სფეროში გადადის; იმ სფეროში, რომელზეც საუბარი ქვემოთ გვექნება.

კ. პ. იანოვსკი თავისი აქაური ორწლიანი მუშაობის განმავლობაში ცდილობს პირველდანიყებით სასწავლებლებში სწავლებლისადმი ამგვარი მიდგომა დაამკვიდროს:

„პირველდანიყებით სკოლაში სწავლება **უპირატესად** უნდა წარიმართოს მშობლიურ ენაზე. არარუსი მოსწავლეებისათვის რუსული ენის სწავლებამ ის შედეგი უნდა მოგვცეს, რომ კურსის დასრულების შემდეგ ბავშვმა იცოდეს არა მარტო რუსული წერა-კითხვა, არამედ მას უნდა შეეძლოს წაკითხულის გადმოცემა როგორც მშობლიურ, ისე, **შეძლებისდაგვარად**, რუსულ ენაზეც“.

მიზნის მიღწევა მას ასე წარმოუდგენია:

პირველი კლასის პირველ ნახევარწლეულში სწავლება მთლიანად მშობლიურ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს; მეორე ნახევარწლეულში ყოველდღიურად 30-დან 45 წუთამდე უნდა დაეთმოს იმას, რომ

ბავშვებმა რუსულ ზეპირმეტყველებას ყური მიაჩვიონ; მეორე კლასიდან უნდა დაიწყოს რუსული წერა-კითხვის სწავლება; სწავლების მეორე წელს ოთხი საგნიდან ერთი უნდა დაეთმოს რუსულ ენას; მესამე კლასში კი მოსწავლეს *შეძლებისდაგვარად* უნდა შეეძლოს წაკითხულის რუსულ ენაზე გადმოცემა:

„მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიღებს პირველდანიწყებითი სასოფლო სკოლა სასწავლო დანესებულების სახეს და მოამზადებს მოსწავლეებს საშუალო განათლებისათვის და შეასრულებს აგრეთვე უმაღლესი განათლებისათვის *მოსამზადებელი* საფეხურის ფუნქციას“.

ეს აზრი ზუსტად ჯდება რუსი პედაგოგების მისამართით ჩვენ მიერ ზემოთ დასმული სამი შეკითხვის ფარგლებში, რადგანაც მკაფიოდ ჩანს პირველდანიწყებით სასოფლო სკოლებში არარუსი ბავშვებისათვის მშობლიური ენის პარალელურად რუსული ენის სწავლების მოთხოვნა. იმის მტკიცებას ხომ არ დავინყებთ, რომ სწავლების პირველი ნახევარწლეულის ხსენებას აქ რაიმე მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს?

აქ წინა პლანზე კიდევ ორი პედაგოგიური საკითხი გამოდის:

4. კანონიერია თუ არა მოთხოვნა, პირველდანიწყებითა სასოფლო სკოლამ ისეთი სასწავლო დანესებულების სახე მიიღოს, რომელმაც უმაღლესი განათლებისათვის *მოსამზადებელი* საფეხურის ფუნქცია უნდა შეასრულოს? ანუ საკითხის ასე დასმა ძირეულად ხომ არ ეწინააღმდეგება სასოფლო სკოლის, როგორც დანიწყებითი სასწავლო დანესებულების, შესახებ კანონის მოთხოვნას? და

5. გარკვეულწილად ხომ არ ეწინააღმდეგება ეს მოთხოვნა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წესდებას, რომელიც, რასაკვირველია, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანხმობით, ხელისუფლებამ 1879 წლის 31 მარტს დაამტკიცა?<sup>10</sup>

ხსენებული წესდების მესამე პარაგრაფში ნათქვამია: „საზოგადოება“ თავის მიზანს იმით მიაღწევს, რომ სახალხო სკოლებში პირველდანიწყებით განათლებას უზრუნველყოფს მოსწავლეთათ-

ვის გასაგებ მშობლიურ ენაზე, ამასთანავე, იზრუნებს რუსულის, როგორც სწავლების ენის, ინტერესებზე არსებული კანონმდებლობის შესაბამისად“.

იქნებ ღირდეს, „საზოგადოებას“ მიეთითოს იმ კანონზე, რომლის მოთხოვნაც შესაბამისი იქნება ბ-ნი განათლების მზრუნველის მოთხოვნისა – ე. ი. არარუსი მოსწავლეებისათვის მაინცადამაინც და ყოველ მიზეზს გარეშე სწავლის დაწყებიდან მეორე ნახევარწელშივე რუსული ენის შემოღებისა?

სანამ საკითხი პედაგოგიური ნიადაგიდან სხვა საფეხურზე – პოლიტიკური ჰალუცინაციების სფეროში – გადაინაცვლებს, კიდევ ერთი გარემოება უნდა გაირკვეს.

კ. პ. იანოვსკის თქმით, ის ითვალისწინებს სოფლის მოსახლეობის სურვილს – ჩვენმა შვილებმა პირველდაწყებით სკოლებში რუსული ენაც ისწავლონ. კ. პ. იანოვსკი ამასაც ამბობს – ანალოგიური სურვილი ქართული ეროვნების იმ წარჩინებულ პირებსაც აქვთ, რომლებსაც საზოგადოებაში საპატიო ადგილი უჭირავთ.

ვერაფერს ვიტყვი... იქნებ უკეთესიც იყოს, მწყემსმა ფარას იქით უყოს პირი, საითკენაც თვითონ ფარა მოისურვებს. არც ის ვიცი, რა ხარისხის პედაგოგიური კომპეტენცია აქვთ იმ წარჩინებულ პირებს, რომლებსაც საზოგადოებაში კი უჭირავთ საპატიო ადგილი, მაგრამ პედაგოგიურ საკითხებთან არავითარი შეხება არა ჰქონიათ. და მაინც, ვფიქრობ, თუ მაინცადამაინც პედაგოგიკის საზღვრებიდან გასულ ლანდებს არ დავდევთ, ამ საქმეში ყველაზე კომპეტენტურად მასწავლებელთა ყრილობის ერთსულოვანი გადანწყვეტილებები უნდა მივიჩნიოთ.<sup>11</sup> „პური მეპურეს გამოაცხობინეო“, – ანდაზა გვეუბნება. ამასობაში მასწავლებელთა ყრილობები თბილისში, ქუთაისში ღებულობენ ისეთ გადანწყვეტილებებს, რომლებიც იოტისოდენადაც კი არ არღვევს პედაგოგიის წეს-კანონებს, თუმცა მათ არ იზიარებს კ. პ. იანოვსკი და, ამიტომაც, ამ გადანწყვეტილებებს ძალა და მნიშვნელობა აქვს დაკარგული.

ახლა კი სინდისი მიკარნახებს, გავაფრთხილო მკითხველი, რომ შევდივართ ნაციონალური ჰიპნოტიზმისა და პოლიტიკური ჰა-

ლუცინაციების სამყაროში; რუსული მედიცინის წარმომადგენლები კი გვირჩევენ – ვისაც ჯანმრთელობის საქმე რიგზე ვერა აქვს, მან სანერვიულო საქმეს ხელი არ უნდა მოჰკიდოსო.

„ჩემს თვალსაზრისს მე თანაბარზომიერად ვამკვიდრებ, – ამბობს კ. პ. იანოვსკი, – პირველდანიყებით ქართულ სკოლებშიც, სომხურ სკოლებშიც, თათრულ სკოლებშიც, ინგუშურ სკოლებშიც და ა. შ.“

„ინგუშურ სკოლებშიც და ა. შ.“!

ხომ ატყობთ, რომ ნერვებთან დაკავშირებით აქ რალაც რიგზე ვერ არის? თითქოს იგივე მშვიდი ტონია, მაგრამ უკვე ისმის ვიბრაცია – კულტურულ ენას არასამწერლობო ენაში ურევენ, ენასა და კილოს ერთმანეთს უტოლებენ! თათრულისა და ინგუშურის შეთანასწორება კიდევ ჯანდაბას, მაგრამ ქართული – ინგუშურთან, ან კიდევ, სომხური – ინგუშურთან! რასა ბრძანებთ!

„მე დანაშაულს ჩავიდენდი, – განაგრძობს კ. პ. იანოვსკი, – მხარი რომ დამეჭირა იმ სანყალობელი მდგომარეობისათვის, რომელშიც აქაური პირველდანიყებითი სკოლების უმრავლესობაში რუსული ენაა ჩაყენებული“.

მართლაც, ეს დანაშაული იქნებოდა; მაგრამ სურვილი იმისა, დანაშაული არ ჩავიდინოთ, განა გამორიცხავს სურვილს იმისას, რომ გავერკვეთ – რა ითვლება დანაშაულად, როგორ და რა შემთხვევაში სჩადიან დანაშაულს და რას მივყავართ დანაშაულამდე?!

მიუტევებელ შეცდომას უშვებთ, თუ ფიქრობთ, რომ ნებისმიერი ქართველი, რომელსაც ინტელიგენტობისა რამე სცხია, თქვენზე ნაკლებად წუხს სკოლებში რუსული ენის ისეთი მდგომარეობის გამო, თქვენ რომ „სანყალობელს“ უწოდებთ. მაგრამ, ნაცვლად ვითარების გამოსწორებისა, თქვენ თქვენი საქციელით კიდევ უფრო ამძიმებთ ისედაც დამძიმებულ მდგომარეობას. არჩევანი კი ასეთია: ან უნდა ჩვენს სკოლებში ბუნებრივი და სწორი მეთოდებით დაამკვიდროთ რუსული ენის სწავლება, ან კიდევ ძალადობისა და ზუთხვა-ჩიჩინის შემოღებით ხელი შეუწყობთ საქმის საბოლოო პროფანაციას.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ რაც უფრო საფუძვლიანად იცი შენი მშობლიური ენა – ე. ი. რაც უფრო ღრმად ხარ ჩახედული მშობლი-

ური ენის ფორმებსა და წეს-კანონებში – მით უფრო ადვილად ეუფლები სხვა ენას. როდესაც სწავლის დროს თვითონვე გაქვს საშუალება ორი ენის შედარება-შეპირისპირებისა, გაცილებით ადვილია სხვა, არამშობლიური ენის თავისებურებათა გაგება და ათვისება. სადაც ეს შეუძლებელია, ანუ როცა პრაქტიკულად დაუფლებული ხარ ერთ ენას, ხოლო მეორეზე წარმოდგენა არა გაქვს, და როცა ამ ორ ენას ერთდროულად გასწავლიან, გონების გააზრებული ვარჯიში დაზუთხვად, მექანიკურ გაზეპირებად გადაიქცევა. ეს კი ბავშვის ბუნების დაჩაგვრას, მის დათრგუნვას იწვევს. ეს ერთი!

თუ სავსებით უგულებელვყოფთ ენების სწავლებასთან დაკავშირებულ ფიზიოლოგიურ თავისებურებებს და სოფლის სკოლებში არარუსი ბიჭებისა და გოგონებისაგან მშობლიური ენის პარალელურად რუსულის სწავლასაც მოვითხოვთ, როგორც ეს დღეს ხდება, მაშინ ისიც უნდა ვიკითხოთ: რა საშუალებები გავაჩნია საამისოდ? არა მარტო გადამდგარი უნტერ-ოფიცრები და კაპტენარმუსები,<sup>12</sup> არამედ ისინიც, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს სამასწავლებლო სემინარიები, ვერაფრით თავს ვერ დააღწევენ ადგილის ტკეპნასა და მოჯადოებულ წრეზე ტრიალს, თუ არ ეცოდინებათ თავიანთი მოსწავლეების ენა, ხოლო მოსწავლეებს – მასწავლებლების ენა. ამ მიზეზით არა ერთი და ორი ათეული სკოლა დაიკეტა ქუთაისის გუბერნიაში. იმავე მიზეზით არაერთ სკოლაში უსარგებლოდ იხარჯება სასოფლო საზოგადოებებისა თუ „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ისედაც უმწირესი სახსრები.

ყოველივე ამის ცოდნა აუცილებელია, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ საზოგადოებრივი თუ ხაზინის ფული ჩვენი საბრალო ბავშვების იდიოტიზაციას არ მოხმარდეს და, ამას გარდა, როგორმე რუსული ენაც გამოვიყვანოთ იმ სავალალო მდგომარეობიდან, რომელშიც იგი სასკოლო განათლების სფეროშია ჩაყენებული.

როდესაც ამიერკავკასიაში რეფორმირებული სასამართლო სისტემა მკვიდრდებოდა, შეიკრიბა ერთხელაც ახალ მოსამართლეთა არეოპაგი და განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ენაზე

დაეგზავნათ სოფლის მცხოვრებთათვის სასამართლო უწყებები.

– რასაკვირველია, რუსულ ენაზე, – ამბობდნენ ერთნი.

– მაგრამ მათ ხომ რუსული არ იციან? – ამბობდნენ მეორენი.

– თუ არ იციან, ისწავლონ, – გადაწყვიტეს დანარჩენებმა.

„თუ არ იციან, ისწავლონ!“ – სამართალთან დაკავშირებული პირის მიერ წარმოთქმულ ამ აზრს შეიძლება ჰქონდეს კიდევაც რაღაც საფუძველი, მაგრამ რა გამართლება შეიძლება მოიძებნოს, როცა ამგვარი სიტყვები პედაგოგის ბაგეთაგან წარმოითქმის?

„მე თანამგრძობელი ვარ, – ამბობს კ. იანოვსკი, – **ქართული ენის სრულფასოვანი სწავლებისა** და ქართველი ხალხის გონივრულად განვითარებისა“.

მინამდევთავე დაგვიკრავს! მაგრამ გონებას არ შორდება კიდევ ერთი ანდაზა: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“.

პირველ რიგში, განზე გავწევ ამა თუ იმ ხალხის განვითარების მიმართ გამოხატულ თანაგრძობას. ეს პედაგოგის საქმე არ არის. პედაგოგის საქმე ქართული ენის სრულყოფილი სწავლებაა. უფრო მეტიც: ეს მისი, როგორც თავისი სამშობლოს პატიოსანი შვილისა და თავისი ხელმწიფის ერთგული ქვეშევრდომის, წმიდა-თანმიდა მოვალეობაა.

და შერცხვენილ იყოს ღვთისა და კაცთა წინაშე ყველა, ვინც ეჭვს შეიტანს კ. პ. იანოვსკის გულწრფელობაში.

მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ყველა ჩვენი უბედურება და განსაცდელი ძირითადად ერთი საერთო ფესვიდან, გაუგებრობიდან, არის აღმოცენებული. ეს გაუგებრობა განათლების სფეროშიც დამკვიდრდა, თუ არადა რითი უნდა ავხსნათ შემდეგი ურთიერთსაწინააღმდეგო გარემოებები:

აქაურ პირველდანწყებით სკოლებში სახელმძღვანელოთა ნაკლებობაა. ამის გამო ახალგაზრდა ქალმა ოლლა დიდებულიძემ ვითომც ქართულ ენაზე გადმოიღო არითმეტიკის სახელმძღვანელო ევტუშევსკისა, მაგრამ სინამდვილეში ეს სხვა არაფერია, თუ არა ქართული ენის მასხრად აგდება.<sup>13</sup> მიუხედავად ამისა – უფრო სწორად, საქმის გარემოებათა უცოდინარობის გამო – სასწავლო ოლქის მზრუნველი მეფისნაცვალს უსაბუთებს, თარგმანი

ხარისხიანიაო და აი, ეს წიგნი სახელმძღვანელოდ შეაქვეთ სასწავლებლებში. ცნობა ამის შესახებ, თითქოს წინასწარგანზრახულად, გამოქვეყნებულია გაზეთ „კავკაზის“ იმავე 348-ე ნომერში, რომელშიც კ. პ. იანოვსკის „განხილვა“ დაბეჭდილი და რომელ „განხილვაშიც“ სასწავლო ოლქის მზრუნველი გვიმტკიცებს – **ქართული ენის სრულფასოვნად სწავლების საქმეს თანავუგრძნობო**. თანაც ზემოაღნიშნული ცნობა უშუალოდ მოსდევს კ. პ. იანოვსკის წერილს!<sup>14</sup>

ან კიდევ – ქუთაისის გუბერნიის სასწავლებელთა ყოფილმა დირექტორმა, ბ-ნმა მარსოვმა, კარგად იცის ქართული ენა, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აქაური პირველდანიეებითი სასწავლებლებისათვის. და აი, თითქოს საგანგებოდ, ს. მ-ის „ღია წერილის“ გამოქვეყნებიდან კ. პ. იანოვსკის „განხილვის“ დაბეჭდვამდე მარსოვი **საკუთარი სურვილით** (როგორც ასეთ შემთხვევებში ამბობენ ხოლმე) ბაქოსა და დაღესტნის სასწავლებელთა დირექტორად გადაჰყავთ. იქ იგი, რასაკვირველია, ვნებას ვერ მიაყენებს ხალხთა რუსიფიკაციის საქმეს, რამდენადაც დაცული იქნება იქაური ხალხის ენის ცოდნის უმძიმესი ცოდვისაგან. გამორიცხული არ არის, ამ გადაყვანას სხვა საფუძველიც ჰქონოდა – ბ-ნი მარსოვი ახალსენაკის ამბების თვითმხილველია და, შესაძლებელია, მან ბებური[შვილისა] et tutti quanti-ს<sup>15</sup> მიმხრობას გაჩუმება არჩია.<sup>16</sup>

მოდით, ახლა საკითხს სხვა მხრიდანაც შევხედოთ: განა ქართული ენის სრულფასოვნად სწავლების მიმართ თანადგომის გამოხატულება არ იქნებოდა, საქმე რაციონალურ საფუძველებზე რომ დაგვეყენებინა სხვა, მაგალითად, საშუალო სკოლებში?

ამ კითხვაზე პასუხი აუცილებლად მოითხოვს ჩვენი მხარის ლინგვისტურ თავისებურებათა თუნდაც ზერეულე გადახედვას. აქ სამი კულტურული ენაა გაბატონებულ მდგომარეობაში: ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში – თათრული, დასავლეთ ნაწილში (თბილისის ჩათვლით) – ქართული, ხოლო სომხური ენა ორივე ნაწილშია გავრცელებული.

1840-1850-იან წლებში ამიერკავკასიის ადმინისტრაციაში

გაბატონებული იყო ასეთი აზრი – მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელიც მხარის ქრისტიანულ ნაწილში აპირებდა სამსახურს, **აუცილებლად** უნდა სცოდნოდა ქართული ენა, ხოლო იმას, ვისაც მხარის მუსლიმურ ნაწილში უნდა ემსახურა, უნდა სცოდნოდა თათრული. ნებისმიერი სომეხი, ამიერკავკასიის რომელ ნაწილშიც არ უნდა ეცხოვრა მას, თავის მშობლიურთან ერთად თავისუფლად ფლობდა დასახელებულთაგან ან ერთ, ან მეორე ენას. ამიტომაც საბოლოოდ გადაწყდა: უკლებლივ ყველა სასწავლო დაწესებულებაში ქართული და თათრული ენების სწავლება სავალდებულო ყოფილიყო და ამ საქმეში გამონაკლისი არ დაიშვებოდა.

ბარონი ვრანგელი – გენერალი, რომელსაც **1853-1856** წლების ომის შემდეგ „ბაიაზეთელი“ ეწოდა – მეფისნაცვალ ვორონცოვს ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში თავისი ქალიშვილების ქართული ენის სწავლისაგან განთავისუფლებას სთხოვდა. მე შემთხვევით შევესწარი, თუ რა უპასუხა ვორონცოვმა გენერალ ვრანგელს:

„ძვირფასო ბარონო! თუ თვლით, რომ თქვენს ქალიშვილებს შიდა რუსეთში მოუწევთ ცხოვრება, ვინღა დაგიშლით ისინი პოლტავის, კიევის ან სხვა რომელიმე ინსტიტუტში მიაბაროთ?“

გიმნაზიაში ქართული და თათრული ენების მასწავლებლები თავიანთი სტატუსით უფროს მასწავლებლებთან იყვნენ გათანაბრებულები, ისინი შეჰყავდათ პედაგოგიურ საბჭოში და ამ საგნებში მიღებულ ქულებს როგორც კლასიდან კლასში გადასაყვან, ისე გამოსაშვებ გამოცდებზე ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული, როგორც სხვა სავალდებულო საგნებში მიღებულ შეფასებებს.

დღეს კი რა ხდება? ამ ენებს დღეს ასწავლიან მხოლოდ მსურველებს, მხოლოდ პირველ სამ თუ ოთხ კლასში და მხოლოდ კვირაში ერთ საათს.

თუ სიტყვები – „მე თანამგრძობელი ვარ ქართული ენის სრულფასოვანი სწავლებისა“ – ირონიითაა ნათქვამი, მაშინ გამოტყუილად უნდა განვაცხადო: ეს სხვა არაფერია, თუ არა ჩინგისხანური ირონია.



ყოველივე ზემონათქვამს იმ ფაქტსაც თუ დავუმატებთ, რომ ასეთსავე საცოდავ, დაბეჩავებულ მდგომარეობაშია ჩაყენებული ქართული ენა სასულიერო სასწავლებლებში, რომლებმაც ხალხის მოძღვრები უნდა გამოზარდოს, განა უფლება არ მექნება სავსებით გულწრფელად ვთქვა, რომ საქმე გვაქვს არა თანაგრძობის გამოხატვასთან, არამედ ქართული ენის წინააღმდეგ გამოვლენილ აშკარა მტრობასთან?

საჭიროა თუ არა, ამგვარ მტრობას აპლოდისმენტები ვუძღვნათ, ეს თქვენ თვითონ განსაჯეთ; ერთი კია: თქვენ თქვენთვის დამახასიათებელი ღირსებითა და სიმშვიდით უნდა მოუსმინოთ იმ ადამიანის ხმას, რომელიც პირდაპირ და პატიოსნად გეუბნებათ, რომ ის ქართველია და ფრიად სოლიდური საფუძველიც აქვს, იამაყოს თავისი ქართველობით. და ეს სიამაყე შემდეგი ვითარებითაც არის განპირობებული:

იყვნენ და, შესაძლებელია, ჩვენ შორის დღესაც მოიპოვებინან სხვადასხვა ჯურის ქართველთმოძულები. ისეთებიც გვინახავს, რომლებსაც არც დაუმაღავთ, რომ დასანახავად ვერ გვიტანენ, მაგალითად: არა ერთი და ორი ბართოლომეი, უსლარები, ლევაშოვები; ისეთებიც შეგვხვედრია, რომლებსაც სურდათ, გაეღვივებინათ ჩვენში უკმაყოფილება, მწუხარება, გულისწყრომა. მაგრამ ქართველი ხალხი ზოგადად და, კერძოდ, მისი თითოეული მოაზროვნე წევრი, იმდენად ერთგულია თავისი ხელმწიფისა და მის მიერ დამყარებული წესრიგისა, რომ ამგვარი რწმენა და ერთგულება მომავალშიც არაერთი თაობისათვის იქნება სამყოფი, რათა მტკიცედ დავუხვდეთ ისეთ შეურაცხმყოფელ გამოხდომებს, ახლა რომ გვექნება საუბარი. ჩვენი ერთგულების შესახებ ხელმწიფემ იცის. ჩვენც ვიცით, რომ მას ჩვენი სჯერა. სწორედ ეს არის ის მყარი ნიადაგი, რომელზეც ვდგავარ და მოგახსენებთ იმას, რასაც მოგახსენებთ.

ხალხის ენის ხელყოფა ამ ხალხის არსებობისათვის აუცილებელი წმიდათანმიდის ხელყოფაა. ქართველები ამისგან დაზღვეულნი უნდა ვიყოთ. ამასთან, არც ის დაგავიწყდეთ, რომ ჩვენი დამორჩილება ვერავინ შეძლო, ხოლო რუსეთის მონარქის ქვეშევრდომო-

ბა ნებაყოფლობითა და გააზრებულად გვაქვს მიღებული.

ქართველები მთელი თავიანთი განსახლების საზღვრებში სარგებლობენ იმ სიკეთით, რომელსაც მშვიდობიანი ცხოვრება ჰქვია. მათ მოიშორეს განუწყვეტელი ომები და ვაი-ვაგლახი, რომლებსაც უკანასკნელი ხუთასწლეულის განმავლობაში გარს მოჯარული მტრებისაგან განიცდიდნენ. მათ სავსებით გაცნობიერებული აქვთ, რომ ეს ყოველივე ძლევაგამოსილი და ერთმორწმუნე რუსეთისგან გვაძევს ვალად.

დასასრულ, თქვენ ვერ დაასახელებთ ვერც ერთ ომს, ვერც ერთ სამხედრო ექსპედიციას საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებზე, რომლებშიც რუსების სისხლთან ერთად ქართველების სისხლიც არ დაღვრილა რუსული ინტერესებისვე სასარგებლოდ. მე კი, ჩემდათავად, ქართველთმოძულეთაგან განსხვავებითა და იმის გათვალისწინებითაც, რომ რუსეთის ჯარებს არაერთი სასახელო გამარჯვება ქართველ მხედართმთავართა წინამძღოლობით აქვთ მოპოვებული, ჩვენი თავგანწირვისა და ერთგულქვეშევრდომობის მხოლოდ რამდენიმე მაგალითს დაგისახელებთ.

**1855** წელს გურიაში არც ერთი რუსი ჯარისკაცი არ იყო დარჩენილი. ჩოლოქის მხრიდან კი მტერი გვიტყვდა.<sup>17</sup> ქვეყანას მხოლოდ გურიის მილიცია იცავდა და მასში თითქმის ყველა ის გურული იყო გაერთიანებული, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო. ეს ყველაფერი ოფიციალურად არის დადასტურებული ბაშკადიკლარისა და ქურუქ-დარის გმირის, თავად ბებუთოვის, მიერ. მე სავლელე კანცელარიის დირექტორად ვახლდი,<sup>18</sup> როცა ბებუთოვი **1856** წლის იანვარში, როგორც სამხედრო მეთაური, გმირი გურულების რაზმებს ათვალიერებდა; იმ გმირი გურულებისას, რომელთაც, სხვათა შორის, უსლარები და ლევაშოვები, თავიანთდა სამარცხვინოდ, არაკეთილსაიმედოებად მიიჩნევდნენ.

ან კიდევ:

იმავე **1855** წელს ომერ-ფაშა სამეგრელოში შემოიჭრა.<sup>19</sup> ენგურთან გამართული ბრძოლების შემდეგ ჩვენი ჯარი იძულებული გახდა, უკან დაეხია. სამეგრელოს მილიციას, რომელშიც იქაური თავადაზნაურობა თითქმის გამოუკლებლად იყო გაერთიანებული,

თურქების შემოჭრისა და რუსეთის ჯარის მიერ იქაურობის დატოვების შემდეგ სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ საკუთარი ოჯახების გადარჩენაზე ეზრუნა. მე თვითონ ვესწრებოდი ამ საქმის გარჩევას და იქ თავადმა ბებუთოვმა აღიარა – მეგრელებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათო. უსლარმა კი, რომელიც უკანდახეული ჯარის შტაბის უფროსი იყო, არ დაიზარა, მეგრელებისთვის ტალახი ესროლა და მათთვის ლალატი დაენამებინა.

ამასობაში ჩვენი ჯარი სულ უკან და უკან იხევდა და, გადალახა რა ცხენისწყალი, საერთოდ გავიდა სამეგრელოს საზღვრებიდან. არიერგარდში მყოფმა იმერეთის მილიციის მსცოვანმა მეთაურმა, პოლკოვნიკმა სიმონ წერეთელმა, როგორც კი ცხენისწყლის მარცხენა ნაპირს მიაღწია და ფეხი იმერეთში დადგა, თავის რაზმს უბრძანა: „სდექ! არც ერთი ნაბიჯი უკან! აქ ჩავიხოცოთ, მაგრამ მტერს ჩვენს მიწაზე ნუ შემოვუშვებთ! თავს ნუ შევირცხვენთ ჩვენი ხელმწიფის წინაშე!“ და იქ იდგა მანამ, სანამ ბებუთოვის ჯარი არ გამოჩნდა, შემდეგ კი ამ ჯართან ერთად უკანვე გადალახა ცხენისწყალი, რათა განეგრძო ბრძოლა ომერ-ფაშასთან, რომელიც უკვე თვითონ იხევდა უკან.

გარემოება მაიძულებს, გავიმეორო ჩემ მიერ ჯერ კიდევ კატკოვისათვის ნათქვამი სიტყვები<sup>20</sup>: ხალხი, რომელიც რუსეთს აძლევს ისეთ შვილებს, როგორებიც იყვნენ და არიან ციციანოვები, ბაგრატიონები, ბებუთოვები, არღუთინსკები, ორბელიანოვები, მელიქოვები, ლორის-მელიქოვები; მსცოვან სიმონ წერეთელს; ისეთ მილიციას, როგორიც გურიის მილიცია იყო და ასეთი მებრძოლები საქართველოს სხვა ნაწილებშიც გამოჰყავდათ; ასეთ ხალხს უფლება აქვს მოელოდეს, რომ აღმოიფხვრება ისეთი სავალალო გაუგებრობანი, ჩვენში რომ დამკვიდრდა, მაგალითად, აქაურ განათლების ადმინისტრაციაში და კონკრეტული გამოხატულება ქართული ენის სწავლების საქმეში პოვა.

ახლა სულ რაღაც ორიოდ-სამიოდე სიტყვა საკუთრივ ქართული ენის შესახებ და დავამთავრებ კიდევ.

რუსებს, რომლებმაც იციან ქართული ენა, აქ იშვიათად ნახავთ, მაგრამ ასეთები მაინც მოიპოვებიან და მათ შეუძლიათ დაადას-

ტურონ – ეს ენა გრამატიკული ფორმების მრავალფეროვნებითა და არაჩვეულებრივი მოქნილობით გამოირჩევა. ამას გარდა, ქართულში ყველა ბგერა საკუთრივ თავისი ასონიშნით გამოიხატება და, ამ მხრივ, ჩვენი ანბანი ითვლება ყველაზე სრულყოფილ და მარტივ ანბანად ანბანთა შორის.

ერთიცა და მეორეც ერთობლიობაში განსაზღვრავს ქართული ენის კიდევ ერთ შესანიშნავ თვისებას – მის უჩვეულო სიცოცხლისუნარიანობას. ხალხი დღესაც თითქმის იმ ენით ლაპარაკობს, რა ენითაც X ან XI საუკუნეში ლაპარაკობდნენ. დაახლოებით 200 წლის წინ ქართველები კახეთიდან სპარსეთის სიღრმეში გადაასახლეს, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი დაახლოებით 300 წლის წინ მოსწყდნენ მეტროპოლიას; ამათაც და იმათაც განყვეტილი ჰქონდათ ყოველგვარი კავშირი საქართველოსთან, მაგრამ ენა ყველგან ერთი და იგივეა, დამწერლობა ყველგან ერთი და იგივეა.

ამ ენის დათრგუნვის მცდელობა, საეჭვოა, ვინმეს კაცობრიობისა და მისი ისტორიის წინაშე დამსახურებად ჩაეთვალოს.

რუსული ენა სახელმწიფო ენაა, ამიტომაც სახელმწიფოში მისი ცოდნა ყველას სჭირდება, მაგრამ მიეცით ჩემს შვილებს საშუალება, პირველ რიგში, მშობლიურ ენაში მოლონიერდნენ. ამით მათ მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებთ სახელმწიფო ენის შესწავლისათვის განეულ შრომას. აი, რა იქნება თქვენი ჭეშმარიტი დამსახურება.

12 თებერვალი. 1881 წ.

ქ. ქუთაისი

## „წერა-კითხვის საზოგადოებაზედ“

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი უბოძოთ ამ წერილსა, რადგან საქვეყნო საქმეზედა გწერთ და რაც აქ თქვენ შეგეხებოდეთ, მართალია თუ არა, ესეც დასძინოთ და შესაძლოდ დაინახოთ.

ბევრჯერ გვიკითხავს და სხვებისაგანაც გაგვიგონია, რა მიზეზია, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მმართველობა არავის რას გვატყობინებს და არცარას გაზეთებით აცხადებს, თუ როგორ რას ჰმოქმედებს და როგორ ჰმართავს ამ საქვეყნო საქმესაო. თვითან საზოგადოების თავსმჯდომარესაც თურმე რამდენჯერმე უთქვამს მმართველობის სხდომაში,<sup>1</sup> ჩვენი ყოველი დადგინება და განკარგულება უნდა გამოცხადდებოდეს ხოლმეო, საქვეყნო საქმეში დასამალავი არა უნდა იყოს რაო; თქვენთვისაც თურმე უთხოვნია, ბატ. რედაქტორო, დაბეჭდეთ ხოლმე თქვენ გაზეთში, რასაც მმართველობა გამოგიგზავნისთო და თქვენც გითქვამთ, დიაღ უსასყიდლოდ დავბეჭდავ, რაც კი ამ საქმეზედ დასაბეჭდავად მომივაო.\*

გვესმოდა ესა და გვიკვირდა, რაღა უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ საქვეყნო საქმეზედ დაყენებული პირები მაინც ასე მდუმარებდნენ?

დღეს წავიკითხეთ თქვენი გაზეთის №243-ში მმართველობის „განცხადებანი“<sup>2</sup> და ახლა კი ვხედავთ, რა მიზეზითაც არა იბეჭდებოდა რა: „კი არავის ეგონოს, რომ ვმკვლობელობდეთო“.<sup>3</sup> იქნება

\* ნამდვილია, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობას ჩვენ დავპირდით, რომ უფასოდ დაუბეჭდავთ გაზეთში ყოველ იმათ დადგინებას და გარდანყვეტილებასა.

[„დროების“ რედაქცია].

მართლა? აბა ერთი დაგაკვირდეთ:

1. თქვენს საკუთარს წესდებულებას თუ ჰკითხულობთ ხოლმე<sup>4</sup> **გამგეობა** საიდან გაგჩენიათ, რომ იმის სახელით აცხადებთ 7 საკითხავსა? წესდების მე-12, 16, 18, 19, 20 და 21-რთე მუხლში არის ხსენება **მმართველობისა**; და თუ ამას გარდა **გამგეობაც** არის დაარსებული, რატომ საზოგადოების წევრთ ამისი არა შეგვიტყვიარა?

2. გამგეობა ითხოვს სოფლის სკოლების მასწავლებელთაგან, სხვათა შორის: „რამდენჯერ და როდის მიუღიათ წიგნები და სასწავლო ნივთები **გამგეობისაგან** და რამდენი ეგზემპლარი მოუვიდათ (თუ მიუვიდათ?) თვითოეული სახელმძღვანელოსი და ნივთისა?

თვითონ გამგეობა კითხულობს: იქნება თქვენ მაინც გახსომდეთ და ღმერთს დაამადღეთ, გვითხარით, როდის რა შემოგანიეთო?!

თუ გამგეობა მმართველობის მაგიერად იხსენება, მმართველობას სეკრეტარი ჰყავს<sup>6</sup> და სამწერლო აქვს;<sup>5</sup> ერთს კარგი ჯამაგირი ეძლევა და მეორეს სახარჯო ფული; – რათა თუ საქმე სამწერლოში ისე უთავბოლოთა სწარმოებს, რომ რომელ სკოლას როდის რა გაუგზავნეს, თვითან კი აღარ იციან და ახლა ამათა ჰკითხვენ, როდის რა გამოგიგზავნეთო?

გამგეობისაგან ჩვენ არა მოგვსვლია რაო, რომ გიპასუხონ, მაშინ რაღასა იქთ?

ამა-და-ამ დროს ესა-და-ეს რომ გამოგიგზავნეთ, როგორ მოიხმარეთო, ეს რომ გეკითხათ, კიდევ ჰო; თორემ „როდის რა გამოგიგზავნეთო“; რა საკითხავია? იმათა ჰსცდით, თუ თქვენს დაუდევრობას აშკარავებთ?

3. შემდეგისათვის **გამგეობა** მასწავლებლებს ვალადა ჰსდებს ყოველ წელიწადს მოუთხოვნელად გამოგზავნონ ხოლმე სამს მუხლში მოხსენებული სხვა-და-სხვა ცნობები.

ეს რაღა არის? სასოფლო სკოლების საბრალო ოსტატები

\* ცირკულიარს რომ ყიდფიძე აწერს ხელსა, ეს გვარი წევრთა სიაში ვერსად ამოვიკითხეთ და როგორ არის ამისი საქმე?

[დ. ყ.].

თქვენი ატჩროტების წერას უნდა მოანდომოთ?⁶

თქვენი პირველი ვალია, რომ სკოლებს ხელს უმართავდეთ; მაგრამ იმათი თქვენ წინაშე ვალდებულება გულითადი უფრო უნდა იყოს და არა ბრძანებითი: როდესაც ხელს უმართავდეთ, ან მაშინვე უნდა დაანახვოთ, რასაც ვალსა სდებთ, ან იმათს ნამუსზედ უნდა მიაგდოთ, მოგახსენებენ რასმე თუ არა. თქვენ კი მაინცა-და-მაინც თვალ-ყურის დევნება არ უნდა მოაკლოთ; ტვირთს უნდა შეუმსუბუქებდეთ, რომ დაგიმადლონ და ყოველს გაჭირვებაში გულდანდობით თქვენ მოგმართავდნენ.

დიდად სასურველია, რომ ყოველს სახალხო სკოლას საზოგადოება ისე უყურებდეს, როგორც თავისას; მაგრამ საკუთარიც რომ იყოს, ან მაშინ კი ივარგებს ეგ ბიუროკრატიული კილო, რომლითაც თქვენი ცირკულიარი არის დანერილი?

მმართველობის ბატონო წევრნო! დარწმუნებულნი ვართ, რომ საზოგადოების წევრნი ყველანი გულსმოდგინებითა გთხოვენ, ყოველი თქვენი დადგინება და გადანყვეტილება მაშინვე გამოაცხადოთ ხოლმე, რომ იმათაც შეეძლებოდეთ დროზედ მოგანვდინონ თავისი აზრი და იქნება უმჯობესი გზაც დაგანახვონ.

მმართველობის მეინახეთ გარდა, ვინც წევრთაგანი ამაში ჩვენ არ მოგვიდგება, ალბად თვითან იტყვის.

22 ნოემბერი, 1881 წ.

[ქვიშხეთი]

## ბატონ გაზეთი „კავკაზის“ რედაქტორს

„კავკაზის“ 328-ე №-ში ნათქვამია, რომ ამას წინათ გამოქვეყნებული ცნობა ქართული გრამატიკის გამოცემის შესახებ არ მოსწონებია „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“, რომელსაც გაკვირვება გამოუხატავს – როგორ თუ „კავკაზი“ ქართული მნიგნობრობის წარმატებას თანაუგრძნობსო.

ეს გარემოება ჩემგან მოითხოვს ზოგიერთ განმარტებას და გთხოვთ, ეს განმარტებები თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ.

*„იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ გამომხატურებაში ისმის ძველი სიმღერა, რომელსაც მოსკოვის ერთი გაზეთი წამდაუნუმ მღერის ნებისმიერ ვითარებაში მომხდარი ნებისმიერი შემთხვევის გამო.<sup>1</sup> უმიზეზოდ არაფერი ხდებაო – დააცემინებს სურდოიანი ჩუვაში, ამოიღებს ხმას საკუთარი მიწის შესახებ ბაშკირი თუ საუბარში მისებურად მოუქცევს ბელორუსი – ეს ყველაფერი სეპარატიზმია. ასეთია ამ გაზეთის ბუნება. – მაგრამ როცა ამ სავსებით არაიურიდიულ ჰანგებს იმეორებს ჩვენი „იურიდიჩესკოე ობოზრენიე“;<sup>2</sup> რომლისგანაც, გვაქვს უფლება, მოველოდეთ საქმისადმი უფრო ნყნარ და უშფოთველ დამოკიდებულებას, საკითხი იძენს დელიკატურ ხასიათს.*

*მაშ, ვილაპარაკოთ დელიკატურობის ფარგლებში.*

თუ რომელიმე საზოგადოებას ჰქონია ცხოვრებისა და განვითარების საკუთარი გზა და, თანაც, მნიშვნელოვანი ისტორიული საქმეებიც მოუმოქმედებია, შეუძლებელია, არ ჩამოყალიბებოდა შეგნება – თვითმყოფადი ხალხი ვარ სხვა ხალხთა შორისო. აქედანვე წარმოსდგება მისი სხვათაგან განსხვავებული სახელწოდებაცა და მეტყველებაც. ამგვარ საზოგადოებას დღეს არ შეი-



ძლება სადავოდ ვუქციოთ ხალხად წოდების უფლება. **იქ, სადაც ზედა განყოფილებები ნორმალურ მდგომარეობაშია, ასეთი დავა გადაიქცევა სრულ აბსურდად. მით უმეტეს, თუ ამ ხალხს ჰქონდა და დღესაც აქვს თავისი კულტურა, საკუთარი, და რაც არ უნდა იყოს, საკმაოდ ძველი დამწერლობა.**

ამ საუკუნის დამდეგისათვის საქართველო უკვე მოითვლიდა ისტორიული არსებობის ორი ათას წელიწადზე მეტს და ამ ხნის განმავლობაში ცხოვრობდა მტრული სახელმწიფოებისა და ხალხების გარემოცვაში. იგი მარტოდმარტო ებრძოდა მტერს, მათ შორის, მსოფლიოს დასამორჩილებლად აღძრულ მრისხანე დამპყრობლებსაც. საქართველომ არაერთხელ მიიღო მათი დარტყმა საკუთარ თავზე, არაერთხელ შეაკავა მათი მოზღვავება, რომელიც, ვინ იცის, მთელი ქრისტიანული სამყაროს წინააღმდეგ იყო მიმართული. ამდენად, ამ ქვეყანას თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის როგორც საკაცობრიო ისტორიის, ისე მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე; იმ ეკლესიისა, რომლის სინმინდესაც იცავდა და უძღვნიდა საკუთარი წიალიდან წმინდა მაკურთხეველთა და დიდმოწამეთ.

ყოველივე ამას ქართველებს, როგორც ხალხს, ვერ წაართმევთ. მაშასადამე, ვერც იმის უფლებას წაართმევთ, რომ ერთმანეთში ილაპარაკონ და უზენაესისადმი ლოცვა-ვედრება ალაველინონ თავიანთ მშობლიურ, ასე თუ ისე ძველ, ენაზე. მშობლიური ენა ყოველი ხალხის წმინდათანმინდაა და მის ხელყოფას, გარდა შეურაცხაობისა, შეუძლებელია, რაიმე გამართლება მოეძებნოს. ეს ცხადზე უცხადესი ჭეშმარიტება დღეს ყველგან ესმით, მით უმეტეს, სახელმწიფოთა შორის უფრცეს რუსეთის სახელმწიფოში. **პიროვნების სიცოცხლის ხელყოფა სისხლის სამართლის კანონებით ისჯება, ხოლო ხალხის სიცოცხლის ხელყოფა (რაც გინდათ თქვით და, ენის მოსპობა ხალხის ამოგდებას ნიშნავს) არ შეიძლება სასჯელთა დებულებებში არსებული ხარვეზებით იქნეს გამართლებული.**

ამგვარ მტრობას კიდევ შეიძლება მოეძებნოს რალაც პოლიტიკური გამართლება, როცა დაქვემდებარებულსა და გაბა-

ტონებულს შორის არსებობს ანტაგონიზმი, როცა მათი მისწრაფებები და ინტერესები დიამეტრულადაა ერთმანეთისაგან განსხვავებული, ან კიდევ რელიგიური განდგომილებისა და ზოგიერთ სხვა შემთხვევაში. მაგრამ ასეთ რამეებს ქართველებზე ვერავინ იტყვის. იქ, სადაც ერთი ხალხი ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით დაექვემდებარა მეორეს, პირველთა მხრიდან რაიმე ანტაგონიზმზე ლაპარაკი თავისდათავად უაზრობაა. ხოლო თუ ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობას ჯიუტად ცდილობენ გაბატონებულთა სულმდაბალი მოხელეები, მაშინ კეთილგონიერების ვალი მოითხოვს ჭკუაზე მათ მოყვანას. თორემ, ერთხელაც იქნება, შეიტყობს იმათ საქციელს უმაღლესი ხელისუფლება და მაშინ – ბრალი ვილასი?

რელიგიურ განდგომილებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, როცა არავითარი განსხვავება არაა არც სარწმუნოებრივ დოგმატებში და არც საღვთისმსახურო წეს-ჩვეულებებში. ქართველები იარაღით ხელში თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში იცავდნენ თავიანთ მართლმადიდებლობას, მაგრამ რა დაინახეს – ასეთ დაწოლას ფიზიკურად ვერ გავუძლებთო, ძმური გრძნობითა და ქრისტიანული მინდობით შეაფარეს თავი რუსეთის მართლმადიდებლობას. არავითარ განდგომილებას აქ ადგილი არა აქვს.

ლაპარაკი მისწრაფებათა და ინტერესთა დაპირისპირებაზე ქართველთა მხრიდან შესაძლებელია ერთადერთ შემთხვევაში – თუ ვინმე იტყვის, ქართველები როდისმე მტრობდნენ რუსეთსო, ან კიდევ, როდისმე ისინი ნაკლებად თავდადებულნი იყვნენ თავიანთი მეფის, რუსეთის გვირგვინოსნისა, ვიდრე სხვა მისი უერთგულესი ქვეშევრდომებიო. მაგრამ არც ამგვარი ლაპარაკისათვის არსებობს რაიმე საფუძველი.

ასე რომ, სადაც უზენაესი სიმართლე და სახელმწიფოებრივი კეთილგონიერება სუფევს, არ არსებობს არავითარი საბაბი, ვინმე აბუჩად იგდებდეს მშობლიურ ენას ისეთი მრავალტანჯული ხალხისას, როგორცაა დღეს რუსული სამყაროს წინაშე მდგარი ძველთაგანვე მართლმადიდებელი ქართველობა.

*ერთ გარემოებასაც აღვნიშნავ.*

არ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ სახელმწიფოში ან საზოგადოებაში, ოჯახშიც კი – ყველამ აკეთოს ერთი და იგივე საქმე, თანაც ერთი და იმავე წესით. არ შეიძლება იმ დღესავით ნათელი მიზეზის გამო, რომ საბოლოოდ არავინ არაფერს გააკეთებს. ამით აი, რისი თქმა მსურს: მსოფლიოში არ არსებულა და არც დღეს არსებობს დიდი სახელმწიფო, სადაც არ იქნება მოსახლეობის ეთნიკური ნაირგვარობა. არ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ ისინი ყველანი ცხოვრობდნენ, მოქმედებდნენ და ვითარდებოდნენ ერთ თარგზე გამოჭრილივით: იკვებებოდნენ ერთი და იმავე საკვებით, იმოსებოდნენ ერთი და იმავე სამოსით, ლოცულობდნენ ერთსა და იმავე ენაზე, მიწას ერთი და იმავე იარაღით ამუშავებდნენ. ნუთუ ცხადი არ უნდა იყოს, რომ ამით ქვეყანაში ძალისძალად ითესება ისეთი განხეთქილება, რომელსაც ესლა შეუძლია – ზღვარი დაუდოს საზოგადოებრივ პროგრესს.

#### **ზუსტად იგივე ითქმის ენებზეც.**

სახელმწიფო ენის ცოდნა, როგორც აუცილებელი ცხოვრებისეული ელემენტი, ს ა ქ ი რ ო ა ყველასთვის, ვინც ოფიციალურ სფეროებში ტრიალებს ან კიდევ სახელმწიფო სამსახურისთვის გადაუდვია თავი. ამით სჭირდებათ ხელის შეწყობა, რათა ეს ენა საფუძვლიანად შეისწავლონ. ხელისუფლება ამისთვის ფულს არა ზოგავს, მაგრამ, გარდა ფულისა, ამ საქმეს სხვა რამეც სჭირდება. და აი, აქ სცენაზე გამოდის პედაგოგიკა, თუ არამკითხე „მოღვაწეებმა“ ისიც პროფანაციის მსხვერპლად არ აქციეს. ნამდვილი პედაგოგიკა მოითხოვს, რომ გონების გასახსნელად პირველდნყებითი განათლება ბავშვს უსათუოდ მშობლიურ ენაზე უნდა მიეცეს. რატომ? იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში არ მოხდება ბავშვის ცნობიერების დაჩლუნგება – რაც უფრო უკეთ იცის მოზარდმა მშობლიური ენა, მით უფრო ადვილად აითვისებს იგი მისთვის ს ა ქ ი რ ო მეორე ენის საფუძვლებს, ფორმებსა და წესებს. გონებადამჯდარი ხალხი ამაზე უკვე აღარ კამათობს; **მაგრამ ზოგიერთი იურისტი, და პედაგოგიც, ამტკიცებს – ერთიანი სახელმწიფო ენის დამკვიდრებისათვის აუცილებელიაო, უბრალოდ, ამ სახელმწიფოში არსებული ყველა სხვა ენის მოსპობა, თითქოს ეს**

საჭირო ან სამართლიანი, ან მოსახერხებელი, ან ადვილად მისაღ-  
ნევი იყოს. ასე მსჯელობა შეუძლია მხოლოდ გონებაზე ზღუდულს  
ან იმას, ვისი კეთილსაიმედოობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

თვითონ სახელმწიფოსთვის ძირითადი ენის საფუძვლიანი  
ცოდნის გავრცელება აუცილებელია იმდენად, და მხოლოდ და  
მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას სჭირდება მოხელეები და  
მოსამსახურეები ოფიციალურ დანესებულებათა შეუფერხებელი  
საქმიანობისათვის. ჩვენ ახლახან აღვნიშნეთ პედაგოგიკური ჭეშ-  
მარიტება – უცხო ენის შესწავლა მით უფრო ადვილია, რაც უფრო  
კარგადაა ათვისებული მშობლიური ენა. ამდენად, მშობლიურ  
ენაზე სწავლება დიდად შეუწყობს ხელს ოფიციალური სახელმწი-  
ფო ენის გავრცელებას. ამასთანავე, თუ მოსწავლეს ჯერ დედაე-  
ნას შევასწავლით და მხოლოდ მერე უცხო ენას, ხელისუფლებას  
დაეხარჯება გაცილებით ნაკლები სახსრები და გაცილებით ნაკ-  
ლებად მოხდება ბავშვის გონებრივი შეზღუდვა.

როგორღაც უცნაურია იმის გაფიქრებაც კი, რომ ჩვენს დროში  
ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, ერთი შეხედვით გონებრივად  
მომწიფებულნი რომ ჩანან, მაგრამ ყოველად გაუგებარი გაავებით  
ხედებიან ქართული გრამატიკის გამოსვლას, თითქოს ამ წიგნის  
მიზანი არა საერთო სიკეთის მოტანა, არამედ მათი პირადი კეთ-  
ილდღეობის შერყევა იყოს.

ახლა ორიოდ სიტყვა საკუთრივ „გრამატიკაზე“, რომლის გა-  
მოცემასაც აგრე ამრეზით შეხვდა „იურიდიჩესკოე ობოზრენიე“. ეს  
წიგნი სახელდახელოდაა დაწერილი ჩემი შვილებისთვის (თუმ-  
ცა ესეც უნდა ითქვას – ჩემი ხნის კაცი ყოველ წევრს ახალგაზრდა  
თაობისას ისე უყურებს, როგორც საკუთარ შვილს) და იგი თან-  
ამედროვე ცოცხალი, სასაუბრო ენის წეს-კანონთა გამორკვევას  
ისახავს მიზნად.

ყოველივე ზემოთქმულს უნდა დავსძინო შემდეგი: ქართული  
ენის ანტაგონისტებს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდებათ ალბათ,  
როცა შეიტყობენ, რომ ამ ენას აქვს ისეთი გასაოცარი სახიერე-  
ბა და სიმდიდრე ფორმებისა, ევროპის არც ერთ ძველსა თუ ახალ  
ენას რომ არ მოეპოვება; და ესეც ხომ მნიშვნელოვნად შეამსუბუ-

ქებს ყოველი სხვა ენის საფუძვლიან შესწავლას.

რაც შეეხება ქართულ ანბანს, მიუხედავად იმისა, რომ სამგვაროვანია, იგი ყველაზე მარტივი და, ამდენად, ყველაზე სრულყოფილია იმ ანბანთა შორის, რომლებიც თვალწინ გვიძევს. დიდი ხანია, აღარც ამაზე კამათობს ვინმე.

16 დეკემბერი 1882.

სოფ. ქვიშხეთი

## ბანკის საქმეზე

ბ. რედაქტორო!

თქვენი უპატივცემულის გაზეთის №121-ში მოყვანილმა ბანკის საქმეზედ მსჯელობამ<sup>1</sup> ერთი საოცარი შემთხვევა წამომიყენა თვალწინ, საკუთრად ჩემს ოჯახში მომხდარი. მოურავი გვყავდა, სამაგალითო რამ პატიოსნებითა და ერთგულებით აღსავსე. ოჯახში არავინ იყო ისეთი, რომ იმის კეთილ-სინიდიანიობაზედ ეჭვი ჰქონიყო რამე. ღმერთმა ხომ იცის, რომ მეც სულით და გულით ვიყავ დანდობილი; მაგრამ აკი გამიწყრა ერთხელ ღმერთი და ვიკითხე, ნეტავი ვიცოდე, რა გვაქვს შემოსავალი და რა გვეხარჯება მეთქი? შეჭბა და დაცვა ჩემი სვიმონა, როგორ თუ ანგარიშსა მთხოვენო; მაშ მე აღარ მენდობიანო? თუ აღარ მენდობიან, რაღა დასადგომი ვარ მე აქაო? ვისაო? მეო? მე უნდა მეკითხებოდეს ანგარიში, ამდენი ხანია, რომ ამ ოჯახს შევსწირე ჩემი სიყმეო?.. ერთის სიტყვით, ისეთი ყაყანი და ალიაქოთი შესდგა ჩემს ოჯახში, რომ ვინცა ვინ ვიყავით, თითქმის მუხლ-მოდრეკით დავუნყეთ ვედრება: ნუ, ჩვენო სვიმონა, როგორღაც წამოგვცდა, თორემ შენ როგორ მოგთხოვდით ანგარიშსა, ჩვენს სვიმონასა, ჩვენთვის თავდადებულსა, ჩვენს გამომკვებავსა?!! ბოლოს დაშოშმინდა როგორც იყო ჩვენი სვიმონა და ძლივს-ძლივობით დაწყნარდა ჩვენი ასე ახირებულად ატეხილი სოდომ-გომორაცა.<sup>2</sup>

– მაინც, შეიტყუეთ თუ ვერა, რის პატრონი იყავითო, მკითხავთ თქვენა, ჩემო წამკითხველო.

– თქვენს მტერს ნურა შეუტყვია რა, რომ ჩვენ ვერა შევიტყუეთ რა და ღმერთს რომ ისე არ ენებებინა, რომ რამდენსამე წელიწადს უკან ჩვენი ყოვლად პატიოსანი და ყოვლად შეუგინებელი სვიმონა არ გადაბრუნებულყო და მამა-პაპათ არ გამოსდგომიყო,

საზრდო და შეგვრჩებოდა რამე, თუ არა, არვინ იცის.

საქართველოს თავადაზნაურობა რომ უკიდურს განწირულე-ბაში ვიყავით და რა ქვისათვის გვეხეთქებინა თავი რომ აღარ ვი-ცოდით, ერთს ფიქრს წავანწყდით, მოდი და ჩვენი ბანკი გავხსნათ როგორმე, რომ გაჭირვებაში ხელი მოვითხოთ ხოლმეო!

ეს თუ გვიშველის რასმე, თორემ სხვა სახსარი აღარა არის რა ჩვენთვისაო, ვსთქვით, და როგორც იყო, ათასნაირი ნაილაჯობი-თა და ვაი ვაგლახით, გავხსენით ჩვენი ბანკი, ისევე ჩვენთვისა და იმ ჩვენი მეზობლებისათვის, რომელნიც გარს გვახვევიან.

ჩვენ მაინც ასე გვეგონა:

დავინთეთ ცეცხლი, რაღა?

დავინთეთ, მაგრამ, ხელი მოვითხოთ ხოლმეო კი არა, იმ თავ-ითვე ისე გამოდიოდა, რომ ხელს სხვანი ითბობდნენ და ჩვენ კი უკან-უკანა ვრჩებოდით, პატრონები.

ეს რაღა ღვთის რისხვაა, ვამბობდით. სოფლის მაღაზიისა არ იყოს, ჩვენ მოვხანით, ჩვენ დავთესეთ, ჩვენ დავფარცხეთ; სხვანი კი მკიან და მიირთმევენო?..

– ერთი შეგვატყობინეთ, თქვენი სულის ჭირიმე, ჩვენო მევე-ლეებო, ჩვენო სასიქადულო მოურავებო, რით გვემართება ესა?

– ბატონებო, ახლა ისინი გვეუბნებიან! დიდათ გვაკვირვებს ეგ თქვენი კითხვაო. აგერ ამდენი ხანია ყოველ-ნლივ თავთავისს დროზედ შემოგვაქვს ანგარიში, თავთავისს დროზედა ჰმტკიცდე-ბა და ახლა რომ გვკითხავთ, რა საქციელიაო.

– სად შეგვაქვს და ვინ ამტკიცებსო? დაიღრიალეს ბატონებმა.

– სადა და ზედამხედავს კომიტეტშიო; ვინა და ზედამხედავი კომიტეტიო!

– ახლა თვითონ ჩვენ გვინდა, პატრონებსა, ჩვენ გაგშინჯოთ და თუ დასამტკიცებელია, დავამტკიცოთო...

– თქვენ რა ნება გაქვთო, ბძანეს მოურავებმა.

– როგორ თუ რა ნება გვაქვს? მაშ ჩვენ პატრონები არა ვჰყო-ფილვართო, მიაქუხა ყრილობამ.

– ძლივს არ მიმხვდარხართ! პატრონი კომიტეტის თავსმჯდომარე და ნევრნი არიან; ისინი გვიშინჯავენ ანგარიშსა და ისინი გვომტკიცებენ!

- ბიჭოს!!! ისინი ვილასი დაყენებულნი არიან?
- თქვენი, ბატონებო, თქვენი! მაგრამ...
- რის მაგრამ, რა მაგრამ. კომიტეტის მენახეებო! თქვენა გთხოვთ წარმოგვიდგინოთ ანგარიში, თორემ... მამა არ წამიწყდება და დედა არ მომიკვდება, თქვენს მზესა ვფიცავთ და თქვენი ცოლშვილის სიცოცხლესა, სარევიზო კომისიას დავნიშნავთ ახლავე.
- სარევიზო კომისიასაო, წამოიჭექა თავსმჯდომარემ. ჩვენი გაბეაბრუება გნებავთ, თუ რა არის ეგაო!
- გაბეაბრუება კი არა, ანგარიში გვინდა შევიტყვოთ, ანგარიში, ჩვენი საკუთრებისა.
- გვინდა, არ გვინდა; გვინდა არ გვინდა!!.. ესლა ისმოდა ამ ყრილობაში, ამ აღლაღებულს ორატორიაში.
- ამასობაში გამგეობისა და ზედამხედველობის მენახეებმა ერთმანეთში მოჩურჩულება მოასწრეს და წამოდგნენ ფეხზედ. ფეხზედ რომ წამოდგნენ, მლაღაღებელთ თითქო ზეთი გადაასხესო, დასცხრენ და თავსმჯდომარემ მოახსენა ყრილობას: – ჩვენ სხვა ღონე აღარა გვრჩება რა, უნდა თქვენს სამსახურს თავი დავანებოთ და გეთხოვებით ეს არის. – ახლა ზეთი კი არა, თითქო ტყვია გადაასხესო, ისე გაჰქრა ყოველი ხმა და ყოველი მოძრაობა.
- მეორე დღეს იმავე თავსმჯდომარემ გამოუცხადა ყრილობას: იყავნ ნება თქვენი. თვითან ჩვენ დავნიშნავთ კომისიასა და რაც შეუდგება, თავის დროზედ მოგახსენებთ.
- ცხონებულო ჩემო სვიმონავ! რა იქნებოდა შენც აგრე გეთქვა: იყავნ ნება თქვენი. თვითონ მე მოვითხოვ ჩემგან ანგარიშსა, ოღონდ კი თქვენ ნუ ასტეხთ სოდომსა და გომორას მაგ თქვენს საპატიო ოჯახშიო.
- ასე იყო თუ არა, თქვენ და თქვენი ნამუსი! თქვენა გკითხავთ, ბატონო „დროების“ რედაქტორო,<sup>3</sup> და იმიტომ გკითხავთ თქვენა, რომ თქვენია ჩემი „კავკაზში“ დაბეჭდილის პასუხის დიად მახვილი პასუხი და თქვენა ბძანდებით ბანკის გამგეობის მენახეთაგანი.<sup>4</sup>
- ამასთან თქვენც ეს მოიხსენეთ ჩემგან:
- 1. მე არათუ შარშან პეტერბურლიდამ,<sup>5</sup> – წლეულ ქვიშხეთიდამაც ვაცნობე დამკითხველებს ტელეგრამით, რომ თუ საზოგა-



დოება ჩემთვის კენჭის ყრას ინებებს, უარს არ ვიტყვი მეთქი. მაშინ ბანკის გამგეობის თავსმჯდომარეზედ იყო საუბარი ჩამოგდებულნი, – ილია ჭავჭავაძესა აღარა ჰნებავს დარჩესო, – და წლეულ ზედამხედველი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის თავსმჯდომარეზედ, – კოსტანტინე მამაცაშვილი ავით არისო და იესე ანდრონიკაშვილს არა ჰნებავსო. – კიდევაც რომ მოხდეს ამგვარი კითხვა, კიდევაც დავთანხმდები კენჭზედ და უკენჭობაზედ კი არას დროს, – სწორეთ იმ მიზეზით, რაც თქვენს შორს მჭვრეტელობასა ჰმხილებია: იქნება მაშინ მოვახერხო როგორმე ისეთი წესის ჩამოგდება, რომ საქმე პატრონს ვერ იცნობსო, არ ითქმოდეს.

2. თუ ჩვენში სახელ განთქმული კომიტეტის განაწევარ კომისიას ჩემი „ძვირფასი“ აზრი არ მოვახსენე, საზოგადოებას მაინც რას ემართლებითო, რომ ბძანებთ, – ამ თქვენს ბძანებას რომ რიგიანად დაუფიქრდეთ, დარწმუნებული ვარ, რომ აღარა მკითხავდით.

ჩემი კრიტიკა ახლანდელი ბანკისა და იმის გამგეობისათვის სრულიად არაფერში არ იქნება გამოსადეგი; საზოგადოებისათვის კი იქნება გამოდგეს და მოვახსენებ კიდევც; მაგრამ არა იმ საზოგადოებას, რომელიც განაგებს ახლა ბანკსა, – იმ საზოგადოებას, რომელმაც დააარსა, რომელსაც ეკუთვნის და რომელიც, თუ სამართალი არის სადმე, უნდა განაგებდესცა.

თქვენი გაზეთი რომ მიმაჩნდეს ამ საზოგადოების წარმომადგენელად, თქვენ მოგახსენებდით; მაგრამ არც თქვენი გაზეთი მიმაჩნია, არც გამგეობა ახლანდელი, არც იმაზედ მიჩენილი ზედამხედველი კომიტეტი და არც ამ კომიტეტის განაყოფი სამთა კომისია, – ამ საზოგადოების წარმომადგენელად. ამ საზოგადოების ჩვენებური სახელი არის თავად-აზნაურობა.

საქვეყნო საქმისათვის რომ გული არ მენვოდეს, გაგიჩუმდებოდით, მაგრამ ველარ გაგიჩუმდით და იქნება თქვენი ჭეჭა-ქუხილიც ავიტანო როგორმე.

იმედი მექნება თქვენს მოვალეობას არა უგულებელს ჰყოფთ და სიტყვის გამოუკლებლად დაჰბეჭდავთ ამ ჩემ წერილს თქვენსავე „დროებაში“.

1883 წ. 26-ს ივნისს. ს. ქვიშხეთი.

## ხიზანთა საკითხი

ხიზანთა საკითხზე ამ დღეებში თბილისის პრესაშიც მსჯელობდნენ და ქართველი თავადაზნაურობის სხვადასხვა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეკრებებზეც. უკანასკნელ ორ შეკრებაში მეც მომინია მონაწილეობის მიღება. გამოითქმოდა ნაირგვარი შეხედულებანი იმის შესახებ, თუ რა პასუხი უნდა გასცემოდა შემოთავაზებულ სამ წინადადებას და მყისვე იწყებოდა კითხვებზე პასუხების ჩამოყალიბება. მე არ მქონდა საშუალება, დავსწრებოდი კამათის დასრულებას, თუმცა, ვფიქრობ, შესაძლებელია, ჩემმა აზრმა ასე თუ ისე ხელი შეუწყოს საკითხის გამორკვევას. ამიტომაც ვასრულებ დანაპირებს და თემის გარშემო „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ ფურცლებზე ვისაუბრებ.

კითხვები, რომლებიც ზემოაღნიშნულ შეკრებებზე დაისვა, იყო შემდეგი:

1. აღიარებს თუ არა თავადაზნაურობა ხიზნის არსებობას?
2. ურთიერთობის რა წესი არსებობდა ან არსებობს ხიზანსა და იმ მიწის მფლობელს შორის, რომლის მიწითაც ხიზანი სარგებლობს და რაში გამოიხატება როგორც ერთი, ისე მეორე მხარის უფლებები და მოვალეობები?
3. როგორ აპირებს თავადაზნაურობა *ხიზანთა საკითხის* მოგვარებას?

ეს კითხვები, როგორც მკითხველი ქვემოთ დარწმუნდება, თავისთავად არც ისე მარტივია, რომ მათი განხილვისა და პირდაპირი და დაბეჯითებული პასუხების შემუშავებისას დაბრკოლებები არ წარმოშობილიყო. ჩვენს შემთხვევაში კი

დაბრკოლებებს, ჩემი აზრით, ასეთი გარემოებები წარმოშობს: შეკრების მონაწილეთაგან ერთ ნაწილს კითხვებზე კომპეტენტური პასუხის გაცემა შეუძლია მხოლოდ იმ ტერიტორიასთან დაკავშირებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელზეც მათი ადგილ-მამული მდებარეობს; დანარჩენს კი, რომელთა რაოდენობა შეკრებებზე გაცილებით მეტი იყო, არც ტერიტორიის მხრივ და არც პირადი გამოცდილების მიხედვით არავითარი კომპეტენცია არ გააჩნია. საქმე ისაა, პირველი კითხვა უფრო დეტალურად რომ ყოფილიყო ფორმულირებული, ანუ ზოგადად ხიზნის არსებობა-არარსებობის საკითხი კი არ დამდგარიყო, არამედ – სად, რომელ მხარეში არსებობს ხიზნობის წესი, მაშინ პასუხიც იქნებოდა მკაფიო, პირდაპირი და არც ხიფათის შეგრძნებას გამოიწვევდა. არადა, ბუნდოვანება და ხიფათის შეგრძნებამ მოჭარბებულად იმოქმედა კამათის ხასიათზე. და ეს იმიტომ, რომ საქმის განსახილველად მონვეულთა უმრავლესობა სილნალისა და თელავის მაზრების თავადაზნაურობა იყო. ამ მაზრებში კი მხოლოდ **ტაბარუკები** და **ბოგანოები** არსებობენ<sup>1</sup> და ისინი ხიზნებს ისე ჰგვანან, როგორც საგნებს მათივე ლანდები. და როგორ გინდათ, მინის მფლობელები არ შეშფოთდნენ, როცა მათ ეუბნებიან – შესაძლოა, ლანდები საგნებად იქცნენო!

კითხვა რომ ასე დასმულიყო: აღიარებს თუ არა ქართველი თავადაზნაურობა **ხიზნის** არსებობას და, თუ აღიარებს, კონკრეტულად სად? – პასუხი ერთსულოვანი იქნებოდა: „დიახ! აღიარებს მის არსებობას გორის, დუშეთისა და თბილისის მაზრებში“.

მთავარი აქ ესაა – პირველი კითხვის სწორი ფორმულირება იმთავითვე მოხსნიდა მეორე, ყველაზე რთულ, კითხვასთან დაკავშირებულ უკიდურესად მწვავე ხიფათებსა თუ ბუნდოვანებას და, ამასთანავე, გააადვილებდა პასუხს მესამე კითხვაზე, რომელიც, თავის მხრივ, დიდი სიფრთხილითაა დასმული და არსებითად საქმის მთელ არსს მოიცავს.

აი, ეს წარმოშობს აუცილებლობას გაირკვეს, თუ რას წარ-

მოადგენს *ხიზანი*, როგორც ასეთი. პასუხს ერთნი ეძებენ საქართველოს წარსულში – ისტორიულ წერილობით ძეგლებში ან კიდევ ცდილობენ ეს პასუხი ზეპირგადმოცემებში იპოვონ; სხვებმა კი ლინგვისტურ კვლევებსა და ეტიმოლოგიურ დასკვნებს მიჰყვეს ხელი.

მაგრამ ხიზნობა ხომ, ასე ვთქვათ, ჩვენ თვალწინ წარმოიშვა! ვერც ერთ ისტორიულ საბუთში თქვენ ვერ იპოვოთ პასუხს იმაზე, რაც უცხო და უცნობი იყო ძველი საქართველოსთვის.<sup>2</sup> მელაპარაკებიან ვახტანგ მეფის კანონების შესახებ, მაგრამ ეს კანონები გლეხებთან და ბატონყმობასთან დაკავშირებით მხოლოდ ორ მდგომარეობას ცნობს და დღეს ჩვენ სწორედ ამას ვცდილობთ – ხიზანთა დღევანდელ მდგომარეობას მათი შეჯერებული ვარიანტი მივუსადაგოთ. კერძოდ, ვახტანგის კანონების მიხედვით: გლეხი, რომელმაც სხვის მიწაზე 30 წელიწადი იცხოვრა, საბოლოოდ მკვიდრდება ამ მიწაზე და გლეხი, რომელმაც თრიალეთის საზღვრებში 10 წელიწადი იცხოვრა, ამით თავისი წინანდელი პატრონისაგან თავისუფლებას მოიპოვებს.<sup>3</sup>

ასეთი ვითარება შესაძლებელი იყო ბატონყმობის პირობებში. ამჟამად ეს წარმოუდგენელია და, შესაბამისად, ხიზნების დღევანდელი მდგომარეობის განსაზღვრისას – გამოუსადეგარიც.

რჩება სიტყვის გრამატიკული განმარტება. ახლა ამას მივყოფ ხელს, თუმცა კი მეეჭვება, ეს გზა რამეში გამოგვადგეს.

როდესაც ოჯახს ან თემს ამა თუ იმ მიზეზით აღარ შეუძლია მოცემულ ადგილას ცხოვრება და სხვაგან გადადის, მაშინ იგი, ქართული ენის მიხედვით, *გადაიხიზნება*, ანუ გადასახლდება. თუ ვინმე ვინმეს მიწაზე დასახლდება, ე. ი. *შეეხიზნა*, *შემოეხიზნა*, თავი შეაფარა, შემოეკედლა. დასასრულ, ხალხის სასაუბრო მეტყველებაში სიტყვა *ხიზანი* ნიშნავს *ოჯახს* (სახლეულობას). სანამ ეს ოჯახი ჩემთან აფარებს თავს, ან კიდევ ჩემი მიწით სარგებლობს, იგი თავის თავს უწოდებს – და სხვებიც მას უწოდებენ – ჩემს *ხიზანს*, ანუ ჩემთან დროებით მცხოვრებს, ჩემთან *შემოხიზნულს*.

ასეთი ხიზნის არსებობა გორის, დუშეთისა და თბილისის მაზრებში უდავო ფაქტია. შესაბამისად, პირველ კითხვას შეუძლებელია სხვა პასუხი გაეცეს: „დიახ! თუმცა მხოლოდ თბილისის გუბერნიის ამ ნაწილებში“.

ასეთი პასუხი უცილობლად წარმოშობს საჭიროებას, გარკვეული ცვლილებები შევიდეს მეორე კითხვის ფორმულირებაში.

ხიზნები ეწოდებათ:

ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი ნადელი ან საკუთარი სადგომი, მაგრამ მიწის სიმცირის გამო მას ან თავისი ყოფილი მებატონისაგან იღებენ, ან – სხვა მებატონისაგან და იქ დროებით ცხოვრობენ; ასევე ხიზნებად იწოდებიან ისინიც, რომლებსაც მებატონისაგან მიწა ქირით აქვთ აღებული და საკუთრად არც ნადელი გააჩნიათ და არც ბინადრობა.

როგორც ერთი, ისე მეორე კატეგორიის ხიზნების დამოკიდებულება მებატონეებისადმი განისაზღვრება შეთანხმებული პირობით, რომელიც დაფუძნებულია ორივე მხარის ინტერესსა და სარგებლიანობაზე. ამგვარი ვითარებით განპირობებული სოციალური ყოფა უკანასკნელ დრომდე ორივე მხარისთვის იმდენად ხელსაყრელი იყო, რომ მეტისმეტად იშვიათად – მებატონეს ხიზნისთვის მიწის მიცემაზე უარი ეთქვა. ხიზნებიც იმდენად კეთილსინდისიერად ასრულებდნენ დაქირავებული შრომის პირობებს და თვითონაც იმდენად უზრუნველყოფილნი იყვნენ, რომ საგლეხო რეფორმის დროს თავადაზნაურობის სურვილის თანახმად, დღევანდელი დროებით ვალდებული გლეხები ხიზანთა მდგომარეობაში რომ გადაეყვანათ, ისინი ამას ღვთის წყალობად მიიღებდნენ.

რასაც ახლა ვიტყვი, შეიძლება ხმამაღალ ნათქვამად ჩამთვალოს, მაგრამ ამის თქმის უფლებას მაძლევს ის ოფიციალური როლი, საგლეხო რეფორმის დროს თბილისის გუბერნიაში რომ მქონდა დაკისრებული – თავადაზნაურობის მიერ არჩეული ვიყავი იმ პირად, რომელსაც რეფორმის მოსამზადებელი სამუშაო უნდა ჩატარებინა, ხოლო რეფორმის შემოღებისა და მისი პრაქტიკული განხორციელების პერიოდში ვიყავი გუბერნიის

თავადაზნაურობის წინამძღოლი და საგლეხო საქმეთა თბილისის გუბერნიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. ხსენებულ უფლებას დღესაც ვიტოვებ იმდენად, რამდენადაც დროებით ვალდებული გლეხობის საქმე თავისთავად მიდის იმ მდგომარეობისაკენ, თავის დროზე მათთვის თავადაზნაურობას რომ ჰქონდა გამიზნული. სხვადასხვა სასიკეთო გარემოებამ ხელი შეუწყო მოსახლეობის ზრდას, რის გამოც უკვე შეიმჩნევა სანადელო მიწის ნაკლებობა. ამიტომაც დროებით ვალდებული გლეხის ცხოვრება უკვე ემსგავსება ხიზნის იმ ტიპს, რომელსაც საკუთარი ნადელი და საკუთარი სადგომი აქვს; ეს უკანასკნელი გარემოება კი პირდაპირ უკავშირდება ჩვენ მიერ ზემოაღნიშნულ მესამე კითხვას.

როგორც ერთი, ისე მეორე ტიპის ხიზნის მდგომარეობა მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი ხელშეკრულებით გამოხატულ შეთანხმებაზეა დამყარებული. ერთი ნაწილისთვის ასეთი შეთანხმება წერილობითაა გაფორმებული, სხვები შეთანხმების ზეპირ ფორმას იყენებენ. ხიზნებს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ამჟამად ამ უკანასკნელთ უწოდებენ, ანუ იმათ, ვისაც არც ნადელი აქვთ, არც სხვა ისეთი მიწა, ქირავნობის წესზე რომ არ იყოს დამყარებული, არც ბინადრობა და არც რაიმე წერილობითი გარანტიები.

ახლა კი მოვიდა დრო, ზემოაღნიშნული მეორე კითხვის გამოსარკვევად შევეხოთ იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებსაც შეთანხმება უდევს საფუძვლად. წერილობით გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, მე ასე ვფიქრობ, სიტყვის გაგრძელება არ ღირს, რამდენადაც იქ პირობებიცა და უფლება-მოვალეობებიც თვითონ ხელშეკრულებაშივეა ჩანწერილი; ერთი კია – ასეთი ხელშეკრულება უნდა იყოს ნებაყოფლობითი და კანონის ფარგლებში მოქცეული. ხოლო იქ, სადაც ხელშეკრულება პრიმიტიული ფორმითაა წარმოდგენილი, ანუ არც წერილობითაა გაფორმებული და არ არის დამონმებული არც სოფლის მმართველობის მიერ და არც ნოტარიალური წესით, ასეთ შემთხვევებში შეუძლებელია დავის საგნად იქცეს: ხიზნის უფლე-

ბა – ნებისმიერ დროს დატოვოს სხვისი მიწა და შეწყვიტოს ამ მიწის მფლობელთან ურთიერთობა და მიწის მფლობელის უფლება – ნებისმიერ დროს შეუწყვიტოს ხიზანს მიწით სარგებლობის უფლება. თავადაზნაურთა არაოფიციალურ, კერძო ხასიათის შეხვედრებზე ზოგიერთმა გამოთქვა აზრი, თითქოს მიწის მფლობელებს არასოდეს ჰქონიათ ამგვარი უფლება, მაგრამ, რადგანაც ყველა აღიარებდა ხიზნებთან ურთიერთობის ხელშეკრულებით ფორმას და ამის წინააღმდეგ კრინტიც არავის დაუძრავს, უარყოფა მფლობელის ამ უფლებისა კარგავს ლოგიკურ საფუძველს და მსჯელობას ამ საკითხის შესახებ აზრი ეკარგება.

შემდეგი საკითხი, რომლის თაობაზეც ყველა სოლიდარულია, არის ის, რომ თუკი ვინმეს ოდესმე და რაიმე ფორმით ხიზნობასთან შეხება ჰქონია, მათი უფლებები და მოვალეობები შემდეგ ძირითად წესებზე დაყრდნობითაა განსაზღვრული:

1. თუ ხიზანი მფლობელის მიწას საკუთარი სურვილით დატოვებს, ამასთანავე, თუ მას ამ მიწაზე მფლობელის მასალით აშენებული აქვს რაიმე ნაგებობა ან ხეხილი აქვს გაშენებული და მასზე ხარჯი არ გაუწევია – ამ ნაგებობასაც და ხეხილსაც მიწის მფლობელს უსასყიდლოდ უტოვებს.

2. თუ ხიზანი მიწას ტოვებს მფლობელის ნება-სურვილით, მას უფლება აქვს მიიღოს ნაგებობის ღირებულება მთლიანად და ხეხილისა – ღირებულების ნახევარი, ვისი მასალითა თუ სახსრებითაც არ უნდა იყოს ისინი აგებული თუ გაშენებული.

მართალია, ამ უფლებათა გამოყენების საჭიროება დიდ იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ ამის გამო წესი ვერ გაუქმდება; დიდ იშვიათობას კი იმიტომ წარმოადგენს, რომ, ჯერ ერთი, ბოროტგანზრახული ნაქეზებისა და შეგულიანების არარსებობისა ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, ჯერ კიდევ სოფლის ადვოკატურის უქონლობის პირობებში ამ მეორე შემთხვევის დაშვებაც კი შეუძლებელია, გარდა ერთი გამონაკლისისა – თუ მიწის მფლობელს ეს მიწა სხვა რამისთვის დასჭირდება, რაც ასევე იშვიათი გამონაკლისია.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მეორე კითხვა ამონ ურულად უნდა ჩაითვალოს.

ამისმერე ადვილად გადავივაროთ მესამე – არსებითი მნიშვნელობის – კითხვაზე: როგორ მოვაგვაროთ ხიზანთა საკითხი?

საკითხის არანაირი ფორმულირება არა მქონია მხედველობაში, როდესაც პირველსავე სხდომაზე ვიკითხე: სახელდობრ რაში მდგომარეობს ეს ხიზანთა საკითხი?

მიპასუხეს, რომ განზრახულია ხიზანთა უზრუნველყოფა ყოფილ ყმაგლეხთა მდგომარეობის შესაბამისად. მაგრამ ყოფილი ყმაგლეხობა ჩვენ მაგალითად არ გამოგვადგება. მათი მდგომარეობა და ამ მდგომარეობის განმსაზღვრელი პირობები სხვაგვარი იყო. თავადაზნაურობა ერთ დროს ფიქრობდა, როგორც ეს ზემოთაც ვთქვი, ყმაგლეხის ხიზანთან გათანასწორობას, მაგრამ ეს მაშინ ვერ მოხერხდა. ამასთანავე, არ შეიძლება ამ აზრსაც არ დავეთანხმოთ – ისინი, ვისაც დღეს ვუნოდებთ ხიზნებს, რომელთაც დაუქირავებელ მიწაზე არ გააჩნიათ არავითარი უძრავი ქონება, არ გააჩნიათ ბინადრობა, ხელისუფლებისაგან სავსებით იმსახურებენ ყურადღებასა და მზრუნველობას.

და აი, ასეთი ვითარება წარმოშობს კითხვას:

როგორ მოვაგვაროთ ხიზანთა საკითხი?

რადგან კითხვა დასმულია, ვალდებულება გვანევს, ვუპასუხოთ კიდევაც ამ კითხვას, – ოღონდ ვუპასუხოთ ისე, რომ არ დავარღვიოთ არც სამართლის ფარგლები, არც სამართლიანობის პრინციპი და ბეჯითად მივსდიოთ იმ გზას, რომელზეც პირდაპირ მიგვითითებს კანონი. თუ არ შეგვიძლია, ხიზანი უზრუნველვყოთ სახაზინო მიწით ან მოუხერხებელია მისი ამჟამინდელი საცხოვრებელიდან სხვაგან გადასახლება, ხელისუფლება უდავოდ იტოვებს უფლებას, **კანონის დაცვით მოხდეს გასხვისება იმ მიწისა, რომელიც ხიზნების დასაბინავებლადაა საჭირო.**\*

\* ტ. X. ნაწ. I. სტ. 575 და შემდეგ. [დ.ყ.]



მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ხიზნებთან დაკავშირებული საკითხის – ხიზანთა საქმის – მართებულად გადაჭრა.\*

17 მაისი 1884 წ.

სოფ. ქვიშხეთი

---

\* განგარიშება ექსპრობრაციის [გამოსყიდვის – თ. ჯ.] შემთხვევაში:  
საადგილმამულო შემოსავალი უაღრესად მრავალფეროვანია. საქ-  
ირო იქნება ყველა მამულის შეფასება. აქ მოვიყვან საკუთრივ ჩემი  
მამულის მაგალითს.

ხიზანი სავსებით უზრუნველყოფილი მყავს 10 დღიური მიწით ანუ  
5 დესეტინით. თითოეული დესეტინიდან ვღებულობ: მოსავლის სახით  
6 კოდს – 24 ფუთს; მუშახელი – 8; თუ 1 კოდს შევაფასებთ 3-მანეთო-  
ბაზე, ხოლო მუშას 50-კაპიკობაზე, დესეტინიდან შემოსავალი მექნე-  
ბა 22 მან., 5 დესეტინიდან – 110 მან.; ამ მონაცემების 16<sup>2</sup>/<sub>3</sub>-ზე ნამრავ-  
ლი იძლევა 1833 მანეთს. ამას გამოვაკლოთ 10% ადმინისტრ. ხარჯი  
და 10% დანაკარგი, ე. ი. სუფთა შემოსავალი მრჩება 1467 მან., თუ  
დავაამრგვალებთ – 1460 მან.; თუ ხიზნისთვის 5 დესეტინის გამოსასყი-  
დად 1460 მან. კვალობაზე გამოიყოფა 5+1%-იანი სესხი, მას მოუწევს  
87 მან. 60 კაპ. გადახდა, ანუ წელიწადში 22 მანეთითა და 40 კაპიკით  
ნაკლებისა, ვიდრე დღეს იხდის.

## პასუხი ილია ჭავჭავაძის

I

ბატონო რედაქტორო!

თქვენი პატივცემულ „ივერიის“ ამ თვის 13-ისა და 14-ის ნომრებში დაბეჭდილი არის ორი დიდი მონინავე მუხლი,<sup>1</sup> რომლითაც ტფილისისა და ქუთაისის ბანკების დამფუძნებელნი კარგად საგრძნობელად ვიტყუებთ. „ბანკის მნიშვნელობა თქვენ რა გაგეგებათ, რომ დრტვინვასა ჰბედავთო და ორას-ორასობით და სამას-სამასობით რომ შვილებს გიზდით, ამ სიკეთეს მაინც როგორ ივინყებთო“. ეს აზრი არის იმ ორ ნომერში თავიდაც ბოლომდის გაყვანილი. – იქნება ყოვლად-საფუძვლიანი იყოს ყოველი თქვენი სიტყვა; იქნება მართლად განუზომელი დავალება იყოს ჩვენთვის ჩვენი შვილების მუქთად გამოზდა და გამოზდის შემდეგ უსაზროვოდ რიყეზე გაგდება; – იქნება დიდად შემცდარნი ვიყვნეთ, რომ ამ ჩვენგან დაფუძნებულს ბანკებზედ სამდურავის წარმოთქმასა ვბედავთ ხოლმე; – და იქნება მართლა სრულიადაც არ იყოს ყურადღების ღირსი ჩვენს საკუთრებაზედ ჩვენი ლაპარაკი. მაგრამ რა რომ საქმე გაზეთის საბჭოდ გახდა და ამ გზით საქვეყნოდ გამოვიდა, გამორკვევა საჭიროდ ხდება და საქმის გამორკვევა ხომ, როგორც მოგეხსენებათ, არ შეიძლება, თუ ერთი მხარე თავისას ამბობს და მეორე კი ხმას არ იღებს.

მე გახლავართ ერთი ამ ბანკების დამფუძნებელთაგანი;<sup>2</sup> მგონია სიტყვა არავინ გამიმტყუნოს, რომ ვსთქვა, დამფუძნებლების პირველთაგანი-მეთქი. თქვენ ბრძანდებით ამ ბანკების გამგებელნი და პირად თქვენ, ბატონო რედაქტორო, ამ გამგებლების პირველთაგანი.<sup>3</sup> – ასე ცხადდება ორივე მხარე და ახლა შეიძლება საქმის

რკვევაზედ ვილაპარაკოთ.

თქვენ ბრძანებთ, რომ ჩვენ ბანკისა არა გაგვეგება-რა; იმის დაწყობას და წარმოებას სჭირდება გამოცდილება და ცოდნა და ეს ორივე თქვენს ხელშია; ჩვენ იქამდის უმეტარნი ვართ, რომ ვერას სიკეთეს ვერ ვჭხედავთ და ავჰყოლივართ მხოლოდ იმ კაცობრივს ნაკლულევანებას, რომელიც ყოველსავე გვანუნებინებს და ყოველზედვე სამდურავს გვათქმევინებს; – და ჩვენს ღირსებას უფრო ეშესაბამებოდა, რომ გაეჩუმდებოდეთ და გულ-დამშვიდებით დაუფიქრდებოდეთ, მაღლობა გვმართებს თუ სამდურავი?

ამის პასუხად გაგიკადნიერდებით და ასე მოგახსენებთ: ბანკი ჩვენი დაწესებულია, ჩვენის ხელითა და ჩვენის ფულით არის აშენებული. მართალია თუ არა? ნუ თუ შესაძლებელი უნდა იყოს, რომ კაცი, ამხანაგობა, მთელი თავად-აზნაურობა, ეს ხალხში უმაღლესს საზოგადოებად წოდებული თავად-აზნაურობა აშენებდეს რასმე და არ იცოდეს კი რას აშენებს? რა სათქმელია, ღვთის გულისათვის! – ახალი განსაცდელი საქმე გვედგა მაშინ კრიჭაში, შესაძლებელი იყო ჩვენი ცხოვრების ღონის-ძიება სულ მიგვლებიყო, გამქრალიყო და ყველამ ერთად საჭიროდ დავინახეთ, რომ ერთმანერთისათვის ხელი მიგვეცა და ერთმანერთისათვის მეზობლურად გაგვეძლებინებინა. ჯიბიდან ამოვიღეთ ყველამ, უკიდურესად გაქესატებულ ჯიბიდან, რაღაც საცოდავი ხუთ-ხუთი მანათი და ასე ფულს საკმაოდ ბევრს მოვუყარეთ თავი; ასე დავიდგინეთ, ასე ავიშენეთ ბანკი, რომელიც ორმოცის და სამოცი-ათასის თუმნის ტრიალით ყველას მოგვიხერხებდა გაჭირვებაში ხელის გამართვას. ასე ვიმედოვნებდით იმ საშინელის განსაცდელის აცილებას, რასაც მაშინ უშიშარნი, ჩვენ სწორედ შევუშინდით. – ახლა ჩვენი საკუთრება არის ეს შენობა, ეს ბანკი თუ არა? – ამის მომვლელად, გამგებლად, მეურნედ ჩვენ დაგაყენეთ თქვენ სამნი თუ სხვა ვინმემ?<sup>4</sup> – თქვენ სამნი იმ მიზეზით, რომ ასობით და ათასობით მოურავი სად ვარგებულა, რომ აქ ევარგნა! თქვენ კი, ჩვენო მეურნენო და ჩვენგან დაყენებულეხო, სწორედ ისე გვეკიდებით პატრონებს, როგორც შესაფერისი იქნებოდა მხოლოდ შორეულთათვის, ამერიკელთათვის, მაგალითად,

რომ ჩვენს ქვეყანაში მოსულიყვნენ, ფული მოეტანათ, ბანკი გაეხსნათ და გამოეცხადებინათ: გაიტანეთ, ვისაც რამდენი გნებავდეთ, თქვენის მამულების დანინდრებითო. ჩვენც გავიტანეთ და გავაქვს. ამას კი ველარავინ დავაკვირდით, რომ ეს ამერიკელები უზომო სარგებელს გვახდევინებენ და ალარაფრის გაკითხვაში შედიან, თუ შესატან ვადას გადავაცილეთ როგორმე, ან დავაკელით რამე. ჩვენ რომ ვერ ვიფიქრეთ, თქვენ უნდა გეფიქრნათ, ჩვენს მინისტრებს, რომ ათისა და თორმეტ ასისთავის გადახდა, ესე იგი 10 და 12%-ისა, სასოფლო მამულისაგან ყოვლად-შეუძლებელი არის. ჩვენ რომ ვერ ვიფიქრეთ, თქვენ უნდა გეფიქრნათ, რომ მე თუ მოულოდნელი უბედურება მენია რამე, ცეცხლმა გამანადგურა, სეტყვამ ვენახი თუ ყანა ძირს დამიცა, ჩემს ოჯახს სიკვდილმა გამოუარა, ამ გვარს შემთხვევაში სულის მოსაბრუნებელი ღონისძიება უნდა მქონდეს რამე. ამერიკელების სახარბიელო ჩვენი ცხოვრება კი არ არის, ფულია იმათი. თქვენ ხომ ამერიკელები არა ხართ და ფულიც ხომ სულ თქვენი არ არის!

თქვენ საქმეს ასე გვიხსნით, რომ ფულს რომ გვაძლევთ, სხვებისაგან ვსესხულობთ და იმას გაძლევთო. ვინ რას გასესხებდათ, დახათრიჯამებულნი რომ არა ყოფილიყვნენ,<sup>5</sup> რომ თავის ფულის სარგებლობა იმათ არ დააკლდებათ; არ დააკლდებათ ჯერ ამითი, რომ ჩვენი ბანკი სესხზედ კი არა, ნაღდს ფულზედ არის აშენებული, და მერე ამითი, რომ ჩვენ რომ ჩვენს სესხში 10 და 12%-ს გვახდევინებთ, ისინი 6%-ს გჯერდებიან და როგორ 5-საც არ დაგჯერდებიან, როდესაც 4%-იც სანატრელია იმათთვის. თქვენ თუ ჩვენი საკუთრება თქვენად მიგაჩნიათ, ეს სხვა არის; და თუ არა, თუ ამის დავინწყებას არ ინებებთ, რომ ჩვენგანა ბრძანდებით ჩვენის საზრდოს მომვლელად დაყენებულნი და საქმეც რომ ჩვენზედ უკეთ იცით, რათ არ ინებებთ, რომ სარგებელიც ისე მაინც შეგვიმციროთ, ჩვენის სესხისა და ვალის შემოტანაც ჩვენსავე ხაზინაში ისე მაინც გაგვიადვილოთ, როგორც სახელმწიფო ბანკმა შეუძცირა სახელმწიფო ფულის სარგებელი აზნაურობას და როგორც ვალის გადახდა გაუადვილა. — ამაზედ უნდა წარუდგინოთ პატრონების საზოგადოებას განსახილავად და გარდასაწყვეტად

თქვენი მოსაზრება და არა იმაზედ, როგორც ირონიითა ბძანებთ, ბარემ აღარავის მიეცეს თავად-აზნაურთაგანს ბანკიდამ სესხიო.

ორიოდე სიტყვა დაგირავებულის მამულების გაუყიდველობა-ზედაც.

სრულიად გეთანხმებით, რომ ახლა ყოვლად-უსაფუძვლო იქნება და ყოვლად-შეუძლებელიც არის ისეთი წესის დადგინება, რომ დაწინდრებულ მამულის გაყიდვა არ მოხდებოდეს. მაგრამ დასაგირავებლად რომ ჩემი მამული ნახევარ-ფასად არის დაფასებული და შემოსავლის ნახევარზედ რომ არის წლიური შესატანის ფულის ანგარიში დამყარებული, რომელი გონიერება და სადაური ლოლიკა დაგვიშლის, რომ ეს ვადა-გადაცილებული მამული სრულს თავის შემოსავლით მთლად მიიღოს ბანკმა თავისის დროებითს განკარგულებაში და როდესაც დაინახავს, რომ სრული შემოსავალი ვერ დაჰფარავს ვალსა და ვერ შეამოკლებს ვადას, მაშინ გაჰყიდოს? ამ ზომაში ან რა იქნება ახალი, რომ სხვაგან არსად ყოფილიყოს, ან რა იქნება საწინააღმდეგო ბანკის ინტერესისა?

დროებითად ამ გვარი მამულების მოვლა და შემოსავლის მიღება თუ ბანკისათვის მოუხერხებელი იქნება და არც დამფასებლების კომისიას მიენდობა, შეიძლება ცალკე ადმინისტრაცია დაინიშნოს; ამ ადმინისტრაციისთვის სანდო კაცებს ვერ ვიშოვნითო, ამას ნუ ბძანებთ ღვთის გულისათვის და მრთელს აზნაურობას ამისთანა შეურაცხებას ნუ მიაყენებთ. ადმინისტრაციამ სრულის შემოსავლის 60 ან 70% ბანკს აძლიოს ვალის გასტუმრებამდის და დანარჩენი ზოგი თავისის მოსაქმობას მოახმაროს, ზოგი პატრონს გაუზიაროს, რომ შიმშილმა არ მოუღოს ბოლო. – თუ ამ რიგად ვალის გასტუმრება მოხერხდა, მამული პატრონსვე დაუბრუნე, ან მისს მემკვიდრეებს; ამათ მაინც რას ვემართლებით; და თუ არ მოხერხდა, მაშინ გაყიდეთ, ვინ-ღა რას იტყვის.

ერთი გულითადი ვედრება კიდეც: ძმანი ხართ ჩვენი და ძმობა გაგვიწიოთ ის ემჯობინება თქვენთვისაც; ჩვენთვის ხომ რაღა თქმა უნდა.

16 მაისი 1886 წ.

ქუთაისი

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ იმედი ვიქონიო, რომ ამ უკანასკნელს ჩემს პასუხსაც უშოვით ადგილს თქვენს პატივცემულს „ივერიაში“; – და ამ თხოვნას ერთს სხვა თხოვნასაც დავრთავ, ასოთ-ამწყობლებს შემავედროთ იმდენი პატივი მცენ, რომ ჩემი მართლწერა, მოსწონთ თუ არ მოსწონთ, არ შემიშალონ.

ნათქვამია ჩვეულება სჯულთ უმტიციცესიაო; მაგრამ ადვოკატური ოსტატობა დამშვიდებულ პოლემიკას უნდა ეუცხოვებოდეს; თუ არა, შესაძლებელია ხასიათები შეიცვალოს და ვექილმა, ნაფიცმა თუ უფიცმა, პატრონობა დაიჩემოს. სწორედ მართალია, თქვენ არც თავად-აზნაურობა გიხსენებიათ, არც ბანკის დამფუძნებელთ საზოგადოება; – მაგრამ თქვენ რომ „ივერიის“ 102 №-ში სათავად-აზნაურო სკოლების მნიშვნელობაზედ ბძანებთ, ეს მნიშვნელობა *ბევრს* ჩვენგანს გონებაში ვერ მოუთავსებიაო და... არა ერთხელ... გამოლაშქრებულან ბანკებსა და მათს მნიშვნელობაზედო, – ვინ არიან ეს *ბევრი* ჩვენგანი, თუ არ იგინივე ბანკის დამფუძნებელნი, – და რა განმარტებდა ბანკებზედ მათს სამდურავსა, – მათს რისხვასა და წყრომას, – თუ არ გულითადი მწუხარება, რომ ბანკების საქმე ისე არ მიდის, როგორც იმედი გვქონდა? – 103 №-ში რომ ბძანებთ, ყველანი იძახიან ბანკი გვლუპავსო, ვინ არიან ეს *ყველანი*, თუ არ იგინივე ამ ბანკის პატრონები, დამფუძნებელნი? ამას თუ იტყვით, რომ აქ თავად-აზნაურობა არ იგულისხმებო, მაშ სხვას ვის რა საქმე აქვს, ან ვის რა მიზეზი აქვს დამდურებისა? – საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმაა ბანკის შესახებო, ბძანებთ; მაშ სჩანს თავად-აზნაურობა, ბანკის დამფუძნებელნი, არც აქ იგულისხმებიან. – კრებამ დაადგინოსო, ირონიით რომ ბძანებთ, რომ თავად-აზნაურსა და ერთობ *ქართველს* აეკრძალოს ბანკიდამ სესხის გატანაო, თუ არც ეს არის პირ-და-პირი მითითება ჩვენს საზოგადოებაზედ და ჩვენის ბანკის პატრონებზედ, – ერთობ ქართველს თუ აეკრძალა, ჩვენ ყველას აგვეკრძალება, სხვას ვისა? ვიზედ არის თქვენი ლაპარაკი? – რომელნიც ამბობენ, მამულებს ნუ გვიყიდნიან და სხ. და სხვ... ამ

აზრის პატრონებისას და იმათი ბევრი მომხრეებისას ბძანებთ, ან სულ არ ესმისთ, რა არის კრედიტი, ან განგებ თვალ-დახუჭულნი არიანო, – თუ არც აქ არის ცხადი გამოთქმა, რომ ამშენებლები რას აშენებდნენ, არ იცოდნენო, – ჩვენ სულ აღარა გვეთქმის-რა იმის მეტი, რომ თქვენი სიტყვა მონა ყოფილა თქვენი და საითაც ინებებთ პირს იქით აქნევიანებთ. მამულების გაყიდვაზედ და გაუყიდველობაზედ რასაც თქვენა ბძანებთ, თუ თქვენი ნება მექნება, პირ-და-პირ მოგახსენებთ, რო უთავბოლოობა სწორედ აქ არის. მრავალი საქმეა ქვეყნიერებაში, რომ პირველ გაგონებაზედ ადამიანს სიზმარი ეგონება, მაგრამ ნამდვილად კი არსებობს. 103 №-ის სათაურშივე სწერთ, არც ერთს წუნის მდებელს არ გამოუთქვამს, რა მიზეზითა სწუნობს ჩვენს ბანკებსაო. მე ვიდე თავს ეს გამოთქმა და მიზეზებიც მოგახსენეთ, როგორც ერთმა მეპატრონეთაგანმა, და სურვილიცა, რომლის მოზიარენი დიად მრავალნი არიან ჩვენში; – და თქვენ როგორ მიიღეთ ჩემი მოხსენება? – საწყენად! რათა? სამჯობინარი იქნება, რომ გულ-დამშვიდებით გადიკითხოთ ეს მესამე თქვენი წერილიცა, 111 №-ში დაბეჭდილი. მაშინ გამოცხადდება, რომ ჩვენი ვალი არის დაუფარავად წარმოვსთქვათ თქვენ წინაშე ყოველი ჩვენი აზრი და ჩვენი სურვილი ჩვენი ბანკების შესახებ და თქვენი ვალი არის ყურადღებით მოისმინოთ ჩვენგან წარმოთქმული, და თქვენი გამოცდილება, თქვენი ცოდნა მოახმაროთ ჩვენი საკუთრების წარმართვას ჩვენის სურვილისამებრ, როგორც ჩვენი არსებობისათვის ემჯობინებოდეს; და თქვენი დიკტატორული კილო კი უნდა მოიკვეთინოთ. ეს სიტყვა არ უნდა იწყინოთ ჩემგან: სხვა არა იყოს-რა, ხნიერებით მაინც ერთი-ორად უფროსი ვარ თქვენზედ.

26 მაისი 1886 წ.

ქ. ქუთაისი

### III

#### ბატონო რედაქტორო!

პირ-და-პირი და გულ-ახსნით ლაპარაკი არა თუ საჭიროა, როგორც თქვენა ბძანებთ, – პატიოსნობისა და კეთილშობილობის აუცილებელი ვალია ყოველს შემთხვევაში, უმეტესადრე საზოგადო, საყოველთაოვ საქმეში. თვით ჭეშმარიტებაა, რასაც თქვენ ამ ვალზედ ამბობთ; მაგრამ აქ უნებლიეთ მაგონდება ერთი პატრის მოძღვრება, რომელიც თავის მრევლს უქადაგებდა: „შეუდგებოდეთ არა მოქმედებასა ჩემსა, არამედ მოძღვრებასა ჩემსაო“. რამდენჯერ არის ეს ქადაგება ჩემთვის თვალ-წინ წამოსაყენებელი თქვენს გუშინდელს „ივერიის“ მე-112 №-ში, პირ-და-პირ და გულ-ახსნით მოგახსენებთ.

1) თქვენ ბძანებთ: ... თავად-აზნაურობას გულს ჰფხანდენ იმითი, რომ კომლზედ სამოცი თუმნის გამოტანას ჰპირდებოდნენო. – ჩვენში ბატონ-ყმობაზედ მინერ-მონერის მწარმოებელი მე ვიყავ, საზოგადოებისაგან დასაქმებული და მე ვიყავ მთავრობის წინაშე მოხსენების შემდგენი და მე გარწმუნებთ, რომ არა თუ სამოცისა,\* არც თხუთმეტი თუმნის ხსენება სრულიად არსად ყოფილა. ხსენება იყო მხოლოდ იმაზედ, რომ სენატის გარდანყვეტილებით იმერეთში ორს მებატონეს, სოკოლოვსა და ნულუკიძეს, მიეცა, ყმობის გაუქმების წინეთ, უსამართლოდ განთავისუფლებული გლეხების სამაგიერო სულზედ თერთმეტი თუმანიო.<sup>6</sup> მაგრამ ჩვენც ამდენი მოგვეცესო, ერთსაც არავის უხსენებია. გასაკვირველი კი არ უნდა იყოს, რომ მაგალითად მოყვანილი თერთმეტი თუმანი თქვენმა ბანკის საქმობაში გავარჯიშებულმა კალამმა სამოცად აქცია; – მაგრამ მართალი კი არ არის.

2) მე ვამბობ, „იმ იმედით დავიდგინეთ და ავიშენეთ ბანკი, რომ ორმოცის თუ სამოცი ათასი თუმნის ტრიალით გაჭირვებაში ყველასათვის ხელის გამართვა მოხერხებულიყო-მეთქი“. ამ სიტყვებს თქვენ იმითი მიმტყუნებთ ახლა, რომ ჩემგან შედგენილს ბანკის

\* მონმად მოგვეყავს ნევრნი თავად-აზნაურთა კრებისანი, რომლის წინაშეცა ბატონ-ყმობის საქმის პირველ ხანებში ეს წარმოითქვა.

რედ. [ი. ჭავჭაძე].



პროექტში მევე შევიტანე 38 და 39 მუხლი, რომელთა ძალითაც ჯამი საკრედიტო ფურცლებისა არ უნდა აღემატებოდეს ათზედ მეტად ბანკის ძირის ფულსაო. ახლა ცოტაოდნად ამაზედ ინებეთ დაკვირვება: ხომ **ბანკს** უნდა ეტრიალებინა ჩვენი ფული? ხომ სწორეთ ბანკის დაფუძნებაზედ იყო ლაპარაკი? გეგულუბათ კი სადმე ისეთი ბანკი, რომ ბანკურად ატრიალოს ფული, თუ საკრედიტო ფურცლების გამოცემის ნება არ ექმნება? აქ მე მწამებთ უმეცრებას, თუ ღართს თქვენ ისხამთ სინათლისაგან მოსარიდებლად? თქვენ ბძანებთ, რომ ამ გამოცემის ნება მთავრობამ უარჰყო; მაგრამ რომ მიეცა ბანკს ეს უფლება და ძირის ფულის ღირსეულობა რომ ერთი ათად იქცა, – როგორ-ღა მოჰხდა?

3) თქვენს მეთერთმეტე წლის ანგარიშში მოყვანილი არის ტრიალი ექვსს მილიონზედ მეტი ფულისა; ამისას რასა ბძანებთ, იმ ორმოცი თუ სამოცი ათასი თუმნის ტრიალი არ არის ამ სუმის წარმომადგენელი? თუ იქნება ესეც თავით-თვისით ჩასახვისაგან იყოს მომდინარე? – არა, ბატონო რედაქტორო! აქაც ისე უმტყუნნია თქვენთვის სიმართლესა, როგორც იქ, სადაცა ბძანებთ, მთავრობამ უარ-ჰყო (მთავრობის უარყოფა აქ ნალაპარაკვეს სრულიად არაფერში არ შეეხება); როგორც იქ, სადაც ბძანებთ, ვილაც სამოცი თუმნის იმედს აძლევდა აზნაურობას კომლზედაო; როგორც იქ, სადაც აზრი მოგყავთ, რომ ორმოცი თუ სამოცი ათასი თუმნით ბანკში ხელს ვერ გავიმართავთო.

ერთი დიდი ღვანლი და დიდი დავალება კი უნდა აღვიარო ქართველთ თავად-აზნაურებისათვის ბანკისაგან. რაც ამ ბანკიდა ამ სესხი არის გასული, რაც თავად-აზნაურებზედ არის, ერთი სამად და ოთხათ რომ სხვათაგან არ იყოს გატანილი და ათი თუ თორმეტი პროცენტი მარტო ჩვენ გვმართებიყო, ჩვენს მტერსა და ორგულს ნუ მოჰღებია ისე სასწრაფოდ ბოლო, როგორც ჩვენ მოგვეღებოდა.

საჭიროა, დიდად საჭიროა საქმის გამორკვევა; და გირჩევთ,

\* არ გვესმის ამ სიტყვებით რის თქმა ჰსურვებია. ვინც გამოიცნოს, ვთხოვთ გვაუწყოს.

რედ. [ი. ჭავჭაძე].

როგორც გულითადი მეგობარი, უფრო საფუძვლიანად ილაპარაკოთ, უფრო დამშვიდებით.

ჩემი აზრის დასკვნა არავისთვის არ არის დასამალავი:

სესხის სარგებელი ჩვენ, ფულის პატრონებს, მოგვეთხოვებოდა იმ ზომით, რა ზომითაც სახელმწიფო ბანკი სთხოვს აზნაურობას სახაზინო ფულზედ;

ჩვენ, ფულის პატრონებს, ზოგიერთს შემთხვევაში ისეთი შალავათი გვეძლეოდა, როგორსაც ის ბანკი აძლევს თავის მოვალეებს, ფულის არა-პატრონებს;

და 3. ჩვენი ვადა-გადაცილებული მამულები ჯერ თქვენს გამგებლობაში მიიღეთ (ამისთვის გამოსადეგი კაცი ჯერ ღვთის ბეგერია ჩვენში), და თუ ვალის განმენდა უიმედოდ აღმოჩნდა, – ამას ხომ დროით დაინახავთ, მაშინ აიღეთ და გაყიდეთ.

ამ სამს მუხლზედ არის ჩვენი გაცხარებული კამათობა; და როგორც უნდა იყოს გაცხარებული, მე ამ სამი მუხლიდამ ვერ გამომიყვანთ.

28 მაისი 1886 წ.

ქუთაისი

ეს წიგნი რომ გამოსაგზავნად მომზადებული და ხელ-მოწერილი მქონდა, „ივერიის“ მე-113 №-იც მომივიდა. ამ ნომერშიაც განაგრძობთ თქვენს პასუხის გებას, – მაგრამ როგორ? ისეთს კილოზედ გადასულხართ, რომელიც ზღვეს არღვევს, ძველებური ქართული ზრდილობისათვის უზრდელობისაგან დასაცველად დადებულსა. ამ საზღვრის გადათელვასა და ჩემს ასე უწყალოდ განკილვას გაბედვინებთ თქვენ თავ-შეუკავებელი წყრომა და ეს წყრომა მე გაბედვინებს იმის მოხსენებას, რაც ერთხელ ძველმა ბერძნებმა შეჰბედეს თურმე თავისს ღმერთსა: „იუპიტერო! სტყუვი და იმიტომ სწყრებიო“.<sup>8</sup> – ქუხილი თქვენ ხელთ არის და თვითან თქვენვე რომ განიცადოთ ამ ქუხილის ამაოება, მე აქ განმარტებით წარმოვსთქვამ ჩემს აზრსაც და იმისს საფუძველსაც; თქვენსა და ჩემს მომხრეებს აღარა მგონია გაუჭირდეთ სინათლეზედ გამოსვ-

ლა, რომელსაც თქვენ მეტად განზე უდგებით.

**1885 წ. 3** ივნისს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა წესდებულე-ბა სახელმწიფო აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისათვის. ამ წესდებულების **30** მუხლის ძალით სესხის ვადა ინიშნება, სურვილისამებრ, ან **48** წელიწადი და **8** თვე, – ან **36** წ. და **7** თვე.

**47** მუხლი აწესებს, რომ „სესხის გამტანნი ვალდებულნი არიან ვადის გათავებამდე აძლიონ ბანკს ყოველს ექვს თვეზედ: **1)** სარგებელი  $2\frac{1}{2}\%$ ; **2)** ვალის გასაქრობად – **48** წლის ვადისა  $\frac{1}{4}\%$ , და **36** წლისა  $\frac{1}{2}\%$  და **3)** ბანკის სამმართველოდ და სამზადისი თანხის შესადგენად  $\frac{1}{8}\%$ . ამას გარდა სესხის გამტანნი იხდიან ერთ დროებითად, დაწინდრების დროს  $\frac{1}{4}\%$  მისაღები ფულიდამ.

**52** მუხლი აწესებს: „რასაც მოვალენი ვადაზედ შესატანს ვერ შეიტანენ, ის მათზედ დარჩენილად დაითვლება. ამ დარჩენილზედ გადაჰხდებათ ჯარიმა, პირველ ორ თვეს, თვეში  $\frac{1}{2}\%$  და შემდეგ თვეში **1%**.

რაც ამ ორს მუხლებში გარდასახადის ზომა არის დაწესებული, ამ ზომით გადახდევინებას ვითხოვ ჩვენგან ჩვენი ბანკისათვის; და ამას რომ ვითხოვ, ვემყარები შემდგომს მოსაზრებაზედ: სახელმწიფო რჩევის გარდაწყვეტილებით ამ ახალს სააზნაურო ბანკს უწინდელმა საზოგადო სახელმწიფო ბანკმა ასესხა სათანხოდ\* სამი მილიონი მანეთი. – ჩვენ, თავადაზნაურებმა, თვითან შევიტანეთ სათანხოდ ჩვენი საკუთარი ფული. იმ ბანკის ვალის გასტუმრებისათვის თუ ერთი ზომაა აზნაურთათვის დადგენილი, – რა მოსაზრებამ, რა მსჯელობამ, რა სინიდისმა უნდა დაგვიშალოს, რომ ჩვენც, ჩვენი ბანკის ჩვენი ჯიბიდან ამოღებული ფულით დამფუძნებლებმა, ესევე, და არა ამაზედ ნაკლები ზომა დავანესოთ? – ეს არის *პირველი* მუხლი ჩემის თხოვნისა. – ახლა *მეორე* მუხლი. – იმავე წესდებულების **54** მუხლში სწერია:

„ვინიცობაა, თუ დაწინდრებულ მამულებს უცნაური რამ უბედ-

\* სათანხოდ კი არა, პირველ ხანებში სახარჯოდ. სახარჯო ფული და სათავნო, ანუ სათანხო ერთი და იგივე არ არის.

რედ. [ი. ჭავჭაძე].

ურება ენია, შეიძლება მოვალეებს შვება მიეცეთ ვადაზედ შესატანი ფულის გადახდაში. ეს შვება შეიძლება მდგომარეობდეს სამის წლით დადროვებაში არა უმეტეს ორის ნახევარ წლის შესატანისა და იმ პირობით, რომ ეს ვალი გასტუმრებული იქმნეს თანასწორი სანახევარწლო გარდასახადით, – ან არა და ერთის წლით დადროვებაში თავის ვადაზედ შესატანი გარდასახადისა. ამ ვალზედ მოვალე იხდის 6%-ს დაწესებული ჯარიმის მაგიერად“.

ფინანსთ მინისტრისაგან 4 დეკემბერს 1885 წ. ამ ბანკის დარიგებაში, 46 მუხლში სწერია: „იმ უბედურებათ რიცხვში, როდესაც მამულის პატრონებს ნება ეძლევათ შვება ითხოვონ, – დაითვლებიან: ცეცხლით გადაწვა; წყლით წალეკა; სეტყვა; საქონლის ჭირი; ჭინახულის მოუსვლელობა; ყანების გაფუჭება ჭიისაგან, თავისაგან და სხ. მოვალეს მემკვიდრეთათვის იმისი სიკვდილიც საკმაო მიზეზია შალავათის თხოვნისა“.

ამ წყალობას ხაზინის ფულით აშენებული ბანკი თუ არ იშურებს მთელის იმპერიის აზნაურობისათვის, ჩვენ ვის რა დავუშავეთ ისეთი, რომ თავში გვცემდნენ, როგორა ჰბედავთ, რომ თქვენი ბანკიდან ამისთანა წყალობას ითხოვთ? მერწმუნეთ, რომ ამერიკელი კაპიტალისტები უფრო მეტს ლმობიერებას გვიჩვენებდნენ.

თუ ჩემი თხოვნის ორი მუხლის ამ გვარმა განმარტებამ თქვენს მგრძნობელობას და თქვენს გონიერებას თავი ვერ შეაფარა, რალა იმედი უნდა ვიქონიო, რომ მესამე მუხლი შეწყნარებული იქნება. მაგრამ მე ჩემსას მაინც ვიტყვი. საერთო ყრილობაზედ თუ იმდენი ხმა მომემხრობა, რომ კანონიერი გარდანყვეტილების თვისება დასჩემდეს, – მაშინ თქვენ ან აღასრულებთ ამ გარდანყვეტილებას, ან არა და ჩამოგვეცლებით. და თუ არა – იყავნ ნება თქვენი. ქვეყნის სასარგებლოდ რომ ვამბობდე რასმე, თქვენგან მაინც რათ უნდა ვიყო საგიობელი! – ახლა ერთი საკითხავი.

– ვადა გადაცილებული მამულები იყიდებოდა, ზოგი ვერ გაიყიდა და დარჩა ბანკსა. 6 თვის განმავლობაში ბანკმა როგორც იქნება უნდა გაყიდოს. მანამდისინ გაჰყიდდეს, რას უშვრებით? სანდო კაცს აბარებთ, რომ მოუაროს, შემოსავალი ილოს და ბანკს აძლიოს. ეს ასეა დაწესებული. აბა ერთი ცოტა წინ გადაადგ-

მევენეთ ფეხი ამ წესსა და ის მამულებიც მიაჩემეთ, რომელიც ჯერ გასასყიდათ არ დაგინიშნავთ, მაგრამ ვადა კი გადაცილებული აქვთ. მამულები ხომ ისე ფასდება, რომ ნახევარი შემოსავალი უნდა ჰყოფავდეს წლიურს გარდასახადსა? ერთი სანდო კაცის მაგიერად სამი აირჩიეთ უეზდში და იმათ მიანდეთ ეს ვადა გადაცილებული მამულები, იმ პირობით, რომ ყოველი შემოსავალი იმათ იღონ და იმ შემოსავლიდამ 50%-ს მაგიერ 70% აძლიონ ბანკს, 15% თავისს გამგებლობას მოახმარონ და 15% პატრონს აძლიონ. – ერთი მამულის შემოსავლის 15% უეჭველია ყველას ეცოტავება, მაგრამ უეზდში რამდენიც ამ გვარი მამული იქნება ამ გასამგებლოდ მისაღები, მაშინ 15% ყველასაგან ბევრს შეადგენს და ბევრიც აღმოჩნდება სანდო პირი, რომელიც ამ გამგებლობაში მონაწილეობას არ მოერიდება. პირველს ნახევარ წელიწადსვე აღმოჩნდება, სასარგებლო იქნება ეს ბანკისათვის, თუ არა?

თუ სასარგებლო იქნა, – ვალი რომ სულ გადახდება, მამული პატრონსვე დაუბრუნეთ, ან იმისს მემკვიდრეებს; თუ არა და გაყიდეთ; ვითამ ბანკს დარჩენია და მერე 6 თვის ვადაზედ გაყიდულა.

რა არის აქ, ღ-თის გულისათვის, თქვენი გულის სახეთქი? რა არის ბანკისათვის საზარალო?

თუ არაფერი, მაშ ამ აზრის წარმოთქმისათვის რათ არღვევთ ჩვენს ძველებურსა და განთქმულს ზრდილობასა?

ეს არის *მესამე* მუხლი ჩემის აზრისა და ამით ვათავებ თქვენთან კამათობასაც.

29 მაისი 1886 წ.

ქუთაისი

ბოდიშს ვიხდი ამ ჩემის ნაწერის წამკითხველებთან, რომ ვათავებ მეთქი, ვსთქვი და კი ვერ გავათავებ. იმ დღესაც მომივიდა ივერია №115, რომელშიაც თქვენ განაგრძობდით, ბატონო რედაქტორო, თქვენ ჩემზედ გვრგვინვა-ჭყეპასა და შემდეგს ნომერშიაც მპირდებოდით ლაპარაკსა. მეორეს დღეს, 30 მაისს დროებითად ბინის გამოცვლა მომიხდა და მე-116 ნომერი ძლივს გუშინ მივიღე. ამ ნომერშიაც ვერ ათავებთ თქვენს წყრომას; მაგრამ მე ველარ მოგყვებით. რა კვალსაც თქვენ ადგიხართ, იმ კვალზედ დგომა მე არ შემფერის. თქვენი მრავალ-მეტყველება იქნება ძალიან წარმტაცებელი იყოს, იქნება თქვენს სხვა-და-სხვანაირს სწავლასა და განვითარებას ამონებდეს; მაგრამ მე ჩემი დიდხნიერის გამოცდილებით ამას გაგიბედავთ და მოგახსენებთ, რომ მრავალ-მეტყველება ვერ დაჰფარავს ვერც უზედლობას, ვერც დედაბრულს ლაქლაქსა; დაჰფარავს მხოლოდ სიმართლის ნათელს, რომლისაც გამოჩენას სინდისიერად უნდა ვსცდილობდეთ. პირმოთნეობა, მლიქვნელობა, მხიბლავობა მე ჩემს სიცოცხლეში არას დროს არ მიხმარია, რადგან ჩემთვის საჭირო არას დროს არ ყოფილა და გარწმუნებთ, რომ არც არას დროს მომავალში ვიხმარო, როგორც უნდა გამიჭირდეს. რა რომ ვაცხადებ, რომ არც ამაში მწადას თქვენ შემოგეცილოთ, – ახლა ვსცდი ეგების სინათლე მივაყენო როგორმე იმ საქმეს, რომლის გამოისობით თქვენ თქვენის ფიქრით მე გამთელეთ და ეს არის მიწასთან გამასწორეთ. რაც უნდა პირს გვარიდებდეთ და ზურგს გვიქცევდეთ, რამდენსაც უნდა შხეფს გვესვრიდეთ მკვახე სიტყვებისას ან **ალჯებრაულის**\* მრიცხველობისას, ყოვლად შეუძლებელია ჩვენი შეტაკების საგანი ნათლად არ დაინახოთ, თუ თქვენი აღშფოთებული გულის დამშვიდება იქამდის მოახერხეთ, რომ წაიკითხოთ და ერთს წამს დაუფიქრდეთ, რასაც ეხლა მე, თქვენი შხეფით განუწვილი, მაინც თქვენდა სასარგებლოდ მოგახსენებთ.

\* პირ-შეუბრუნებლად ამტკიცებთ, რომ სხვათა მეცნიერებათა შორის მათემატიკაშიაც ყოფილხართ განვითარებული; მაგრამ ეს არაბული სახელი იქნება გეგონოთ ა ლ ლ ე ბ რ ა დ ინერებოდეს, და იმიტომ მომყავს, როგორც არაბულად ინერება.

[დ. ყ.]

ეს გახლავთ ორი ფაქტი ერთმანერთთან შესაწონი, ერთმანერთთან დასაახლოვებელი და შესატაკებელი, რომ თქვენი მსხნელი სინათლე გამოკვესდეს.

მე ვიყავ ერთხელ მენგრელიის მთავრის აპეკუნად.<sup>9</sup> – იქაურმა მმართველობის მოხელეებმა და სხვებზედ უფრო მეტად ერთმა ვინმე ბ. ბოროზდინმა, ისეთი წინააღმდეგობა გამიწიეს, რომ საქმემ მიაწია კავკასიის კომიტეტის განხილვამდე. – ოც-და-ხუთი წელიწადია მას აქეთ. შარშან ერთს რუსულ ჟურნალში იბეჭდებოდა იმ ბ. ბოროზდინის მოთხრობა, რომელშიაც ამბობს: „უფ. დიმ. ყიფიანმა ისეთი უგუნური მოთხოვნილება გამოაცხადა მაშინ, რომ უსაცილოდ ადგილობრივს მმართველობას წინააღმდეგობა უნდა გაენიაო“. მეორე თუ მესამე გვერდზედ იგივე ბოროზდინი ასე განაგრძობს: „მაგრამ პეტერბურგს წავიდა ყიფიანი, იქ სახელმწიფო რჩევას გაასინჯა საქმე და რჩევამ ყოველი მისი მოთხოვნილება სამართლიანად აღიარაო“.<sup>10</sup> –

ახლა რომ გკითხოთ, ვიზედ იხმარა უშვერი სიტყვა ბოროზდინმა მეტი, – შეჭველია თქვენ ასე მიპასუხებთ: უფრო სახელმწიფო რჩევაზედო!

აბა ამ საქმეს შემდეგიც შეუწონეთ.

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და რუსეთის თავადაზნაურობისათვის საადგილ-მამულო ბანკის დაწესება პბრძანა. სამოლარეთ-უხუცესობამ, ან ასე ვსთქვათ, ფინანსთ სამინისტრომ, შეადგინა ამ ბანკის წესდებულება; მისმა დიდებულებამ დაამტკიცა და შარშან იწყო ამ ბანკმა თავისი მოქმედება საევეროპო რუსეთში.

ახლა მე რას ვითხოვ? რა პირობითაც ეს სახელმწიფო ფულით აშენებული ბანკი რუსეთის თავადაზნაურობას აძლევს სესხსა, – ჩვენმა, ჩვენის ფულით აშენებულმა ბანკმა ჩვენც იმისთანავე პირობით გვაძლიოს სესხი მეტი! –

ეს არის ჩემი თხოვნა, თუ არა?!

ეხლა რომ მომდგომიხართ და თქვენს გულშიაც რომ გგონიათ, დედა-მინასთან გავასწორეთ ეს ყიფიანო, მე ვარ აქ თქვენგან განქიქებული, თუ სხვა ვინმე?

კეთილ ინებეთ გონზედ მობძანება და იკმარეთ ეს ჩემგან.  
ჩვენი საკითხავების პასუხებს ვერ გვაძლევს ყიფიანიო – თუ  
ბძანებთ, მე მოგახსენებთ: ვერ კი არა, **არ** გაძლევთ, ამიტომ რომ  
მაგ გვარი საკითხავების წარმოთქმა შეეფერება მხოლოდ მეორე  
კლასის მოწაფეს და პასუხსაც ამხანაგი თუ აგებს, თორემ რაღა  
დროს თქვენგან სკოლური ცელქობაა.

15 ივნისი 1886 წ.

ს. ქვიშხეთი



**ლიტერატურული წერილები**



## აღექსანდრე ჭავჭავაძის ბარდაცვალება

უჩვეულო, დღიური ამბებისგან გამორჩეული მოვლენა პატარა ქალაქებში სწრაფად ვრცელდება ხოლმე. თბილისი პატარა ქალაქად აღარ ჩაითვლება – დღეს აქ რწმენით, ეთნიკური წარმომავლობითა თუ ენით ერთმანეთისაგან განსხვავებული 52 000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, თუმცა ერთი ამბავი, რომელიც 6 ნოემბერს, დილის 9 საათზე მოხდა, ელვის სისწრაფით მოეფინა მთელ ქალაქს და ნახევარ საათში მის შესახებ უკვე ყველა ფენამ, ყველა ოჯახმა იცოდა. ხალხი დამნუხრებული, გულმოკლული იყო და ბევრს თვალთაგან ცრემლი სდიოდა.

– რა გატირებს? – ეკითხებოდნენ ერთს.

– რა გატირებს? – ეკითხებოდნენ სხვებს.

– ჭავჭავაძე გარდაიცვალა! თავადი აღექსანდრე ჭავჭავაძე, ჯერ კიდევ გუშინ ასე მხნედ და ხალისიანად რომ გამოიყურებოდა. ჭავჭავაძე, ვისთვისაც დროს ვერაფერი დაეკლო და ვისაც ქართველები თავიანთ სიამაყედ და მშვენებად მიიჩნევდნენ.

ენტო ლამპარი გასხვივოსნებული, მაგრამ დაბერა ქარმა და ჩააქრო იგი. დულდა ცხოვრება ჭავჭავაძისა, მაგრამ უნია მოულოდნელმა სიკვდილმა – ვერც ძვირფას ადამიანებთან გამოთხოვება შეძლო და ვერც დალოცვა ხალხისა, რომელსაც იგი გულით უყვარდა.

სამსახურმა დაკარგა ღირსეული გენერალი, თბილისმა – სამაგალითო ოჯახისთავი, საქართველომ – დიდი პოეტი.

გავიხსენოთ მისი, როგორც გენერლის, სასახელო საქმეები, თუკი რამის გახსენების თავი გვექნება ახლა.

1827 წელს, ერევნის ალების შემდეგ, იგი სომხეთის ოლქის უფროსად დაინიშნა. დასრულებულიც კი არ იყო სპარსეთთან ომში გამარჯვება, თურქეთთან ომმა იფეთქა. ამიერკავკასიის სამხედრო ძალები ახალციხისა და ერზურუმისკენ დაიძრნენ. ახალი ომის ასპარეზს ჩამოცილებული თავადი ჭავჭავაძე ერთი მუჭა ძალებით იცავდა ოლქს ქურთების თარეშისა და თურქეთის საზღვრებიდან განხორციელებული თავდასხმებისაგან. ჩვენს ხელისუფლებას ასე მოკლე დროში არ შეეძლო სათანადო წესრიგი დაემყარებინა სპარსეთისთვის წართმეულ მხარეში, მით უმეტეს, ჯარები სხვა მხარეს იყო გადასროლილი. ასეთ დროს თავადმა ჭავჭავაძემ გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნია ქურთების მკაცრად დასჯა, თავისი ბატალიონით სდია მათ, შეიჭრა თურქეთის ტერიტორიაზე, მიაღწია ანატოლიის სიღრმემდე, სადაც ჩვენი ჯარების მდგომარეობის შესახებ ყურმოკვრით თუ იცოდნენ, ხოლო ახალციხის ალების ამბავი საერთოდ არ ჰქონდათ გაგონილი. თავადი ჭავჭავაძე ყოველ ნაბიჯზე ამარცხებდა მტერს. მან მიმოფანტა მოულოდნელი თავდასხმით დეზორგანიზებული მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგე, რომელსაც შეიძლება არც ჰქონოდა შემჩნეული თავდამსხმელთა მცირერიცხოვნობა. ასე შეიმუხრა გენერალ-მაიორ ჭავჭავაძის მეთაურობით ბაიაზეთის ციხესიმაგრე „თეთრი მეფის“ ასობით ჯარისკაცის მიერ. „ყოჩაღ ჭავჭავაძე!“ – წამოიძახა ერევნის, ახალციხის, ერზურუმისა და ვარშავის ბრძოლების გმირმა, როცა მისი პატაკი წაიკითხა.<sup>1</sup>

ბოლო ხანს, 1838 წლიდან, თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე გენერალ-ლეიტენანტის ჩინით იყო ამიერკავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს წევრი, აქტიურად მონაწილეობდა საბჭოს მუშაობაში, ხოლო 1843 წლიდან მართავდა ამიერკავკასიის საფოსტო სამსახურს. მისი გამორჩეული ღვაწლი დაფასებული იყო „თეთრი არწივის“, წმ. ვლადიმირის II ხარისხისა და წმ. ანას I ხარისხის ორდენებით. მის მკერდს ამშვენებდა აგრეთვე მედლები სამამულო ომში გამარჯვებისა და პარიზის ალებისათვის.<sup>2</sup> იმ დროს იგი ჯერ მარკიზ პაულუჩის, ხოლო შემდეგ ბარკლაი-დე-ტოლის ადიუტანტი იყო.

როგორც სამაგალითო ოჯახისთავი, იგი მომაჯადოებელი იყო. ამ შესანიშნავი ოჯახიდანაა გამოსული ორი ჩვენი სიქადული, მისი ორი ქალიშვილი: ნინო ალექსანდრეს ასული – გრიბოდოვის გულის რჩეული და ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადიანი – წოდებით, ღირსებით, გარეგნობით, სულით ნამდვილი არისტოკრატი, სამეგრელოს მთავრის მეუღლე.

აქაურ მკვიდრთაგან ეს იყო ერთადერთი ქართული ოჯახი, რომელშიც ჩრდილოეთიდან თუ დასავლეთიდან ჩამოსული სტუმრები პოვებდნენ წმინდად დაცულ პატრიარქალურ სტუმარმასპინძლობას, შერწყმულს განათლებული ევროპის წეს-ჩვეულებებთან, გულთბილობასა და გულითადობასთან, სიწრფეღესთან და ამიტომ ამ ოჯახის მიმართ ყველას მოწინებელი დამოკიდებულება ჰქონდა.

ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძისადმი სიყვარულსა და პატივისცემას განაპირობებდა მისი ჭკუა-გონება, გულმართლობა და თავაზიანობა ამ სიტყვების ფართო მნიშვნელობით. კენინა სალომე ივანეს ასული,<sup>3</sup> უბედური ქვრივი, უყვარდათ იმ სიკეთისა და კეთილშობილების გამო, რომლებითაც იგი არ ჩამორჩებოდა თავის მეუღლეს; სიყვარულით იყვნენ გარემოსილნი მათი შვილებიც, რომლებიც ოჯახს სიხარულსა და სიცოცხლის ხალისს ანიჭებდნენ.

როგორც პოეტს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს მოპოვებული ჰქონდა საყოველთაო-სახალხო აღიარება, რამდენადაც ეს შეიძლება ითქვას დედამიწის ისეთ უმცირეს კუთხეზე, როგორსაც საქართველო წარმოადგენს. ყოველი ქართველისთვის მეტად თუ ნაკლებად ცნობილი ისეთი სიმღერების ორი მესამედი მაინც, გრძნობისა და აზრის აღმალღებულობით რომ გამოირჩევა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებზეა შექმნილი. მისი შემოქმედება ძირითადად ორიგინალურია, მაგრამ მასში მოიპოვება საადის, ჰაფეზის, პუშკინის, ჰიუგოს, გოეთეს შესანიშნავი თარგმანები სპარსული, რუსული, ფრანგული და გერმანული ენებიდან, რომლებსაც ალექსანდრე ჭავჭავაძე მშობლიურ ენასავით ფლობდა.<sup>4</sup> ამას გარდა, მან ქართულ, ამ უაღრესად პოეტურ, ენაზე გადმოიღო და

მძლავრად ააჟღერა არაერთი კლასიკური ქმნილება, რომელთაგან ჩვენ თვითონ გვქონდა შესაძლებლობა წაგვეკითხა „ალზირა“ ვოლტერისა, „ფედრა“ რასინისა, „სინა“ კორნელისა.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა მისი ჩამომავლობის შესახებ. მამამისი, თავადი გარსევან ჭავჭავაძე, როგორც მეფე ერეკლეს გენერალ-ადიუტანტი, თავად ბაგრატიონ-მუხრანელთან ერთად 1783 წელს აღჭურვილი იყო რწმუნებით, ეწარმოებინა მოლაპარაკებები თავად პოტიომკინ-თავრიზელთან ჩვენთვის მნიშვნელოვანი 1783 წლის 24 ივლისის ტრაქტატის გასაფორმებლად.<sup>5</sup> ამის შემდეგ გარსევან ჭავჭავაძე მეფე გიორგის მიერ ს.-პეტერბურგში სრულუფლებიან ელჩად იმ დროს იყო დანიშნული, როდესაც ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობის საქმე – რუსეთის სახელმწიფოსთან საქართველოს შეერთება – წყდებოდა. ალექსანდრე ჭავჭავაძეს თავისი სიყმაწვილის ადრეულ წლებში მეფე ერეკლესგან ნაბოძები ჰქონდა გენერალ-ადიუტანტის მემკვიდრეობითი ხარისხი.

გასაკვირი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის ხასიათი: არავის ახსოვს მისგან არასაკადრისად მოპყრობა; მის ჭკვიანურ, იმპროვიზებულ, შემოქმედებითი ბუნებით აღბეჭდილ საუბრებში ვერ წააწყდებოდი დამსწრეთათვის უხერხულ ან იქ არმყოფთა ღირსების შემლახველ პასაჟს. ნებისმიერ ცხოვრებისეულ ვითარებაში იგი ინარჩუნებდა სულის სიმტკიცეს. ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ უმტყუნა ბედმა და რა ცხოვრებაში? – 60 წლის ასაკშიც კი იგი გამოირჩეოდა ჭაბუკური სულისკვეთებითა და ჯანის სიმრთელით. – საზოგადოებაში მის გამოჩენას უცნობთა წამოძახილი მოჰყვებოდა ხოლმე: „რა ახალგაზრდა გენერალი!“

5 რიცხვში, შუადღის პირველი საათისთვის, გამოვიდა იგი სახლიდან მაღალ საზოგადოებაში მიღებული ეტიკეტის შესასრულებლად,<sup>6</sup> 5 წუთის შემდეგ კი ცოცხალმკვდარი შეიყვანეს ოჯახში: ცხენმა მეეტლეს აღვირი წაართვა, განსვენებულმა სცადა, მეეტლეს მიშველებოდა, მაგრამ ეტილიდან გადმოვარდა და მიწას თავით დაენარცხა. სამედიცინო საშუალებებს არ შეეძლო მისთვის არც სიცოცხლის შენარჩუნება და არც გონზე მოყვანა.

19 საათის განმავლობაში ჯერ კიდევ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანი, მაგრამ მან მხოლოდ ერთი სიტყვის წარმოთქმა შეძლო: „არაფერია!“; 6 ნოემბერს კი, დილის 9 საათისთვის, მის შესანიშნავ, ძვირფას ოჯახში მოთქმა-გოდება გაისმა.

ტირიან არა მხოლოდ ერთ ოჯახში, არამედ – თბილისის მრავალ ოჯახში; – იტირებენ თბილისის ფარგლებს გარეთაც, შესაძლებელია, თვით ჩრდილოეთშიც, სადაც მას ბევრი გაიხსენებს გულისტკივილით, მაგრამ მათგან ორს სხვებზე მეტად დაენწევა გული: მის უფროს ქალიშვილსა და ერთადერთ ვაჟს, კაპიტან დავით ჭავჭავაძეს. ისინი ველარ იხილავენ თავიანთ ძვირფას მამას!<sup>7</sup>

ადვილი წარმოსადგენია, რამდენი ადამიანი მოაწყდებოდა მის გასვენებას! თითქმის მთელი თბილისი მიაცილებდა ძვირფასი, ყველასგან პატივცემული ადამიანის ცხედარს ჯერ ტაძრისაკენ, შემდეგ კი – კახეთის საგუშაგომდე.<sup>8</sup>

[ნოემბერი. 1846]

## ჟურნალ „ცისკრის“ შესახებ

ჩვენს ჟურნალს, ვფიქრობ, ორგვარი ინტერესი უნდა ჰქონდეს: ინტერესი ლიტერატურული და ინტერესი მეცნიერული. პირველ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ მკითხველები, განსაკუთრებით, მკითხველი ქალები საქართველოში,<sup>1</sup> იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში; მეორე შემთხვევაში – საქართველოს გარეთ მცხოვრებნი, რომელთაც აინტერესებთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ყოფა, ჩვენი ისტორია.

ამიტომ ჟურნალში დაიბეჭდება ლექსები, მოთხრობები და სხვ.; – საჭიროა დაიბეჭდოს აგრეთვე შემეცნებითი<sup>2</sup> მასალა: სწავლებანი, მსჯელობანი, ფაქტები.

სახელდობრ:

პირველი კატეგორიის მკითხველებისთვის – გარდა ორიგინალური თუ ნათარგმნი ლექსებისა, მოთხრობებისა, ანექდოტებისა – უნდა დაიბეჭდოს მასალა ყველაფერზე, რაც მათთვის საინტერესო და საგულისხმო იქნება: ცხოვრების თანამედროვე წესი, გემოვნება, მოდა, აღმოჩენები, ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებები; განსაკუთრებით – ახლანდელი ომი.<sup>3</sup> კარგი იქნება, თუ გავაშუქებთ ამ ომის მიმდინარეობას დაწყებიდან დღემდე, მის შემდგომ განვითარებას. ამას გარდა, უნდა გამოქვეყნდეს ცნობები აქაურ მკვიდრთა სამსახურებრივ მდგომარეობაზე: მათ დანიშვნა-განწესებებზე, საქმიანობაზე, დაჯილდოებებზე და ა. შ.

მეორე კატეგორიის მკითხველებისთვის: ჩვენი ძველი და თანამედროვე ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალა, გამოკვლევები, გუჯრები, სიგელები და საერთოდ ჩვენი ძველი აქტები, არქეოლოგიური ცნობები, ძველი თხზულებები. აგრეთვე, საქმიანი



კრიტიკა, რა საგანსაც არ უნდა შეეხებოდეს იგი.

ამიტომ:

1. ჟურნალს უნდა დაერქვას არა „ცისკარი“, არამედ, უბრალოდ, „თბილისის ჟურნალი“, რამდენადაც სწორედ თბილისია ძირითადი წყარო ყოველგვარი ინფორმაციისა: აქაურთათვის – საგარეო საქმეებისა, გარეშეთათვის – ჩვენი საშინაო საქმეებისა.

2. ჟურნალში გამოქვეყნებულ პირველი კატეგორიის მასალაში უმკაცრესად უნდა იქნეს დაცული ცოცხალი მეტყველების, ე. ი. გამართული სასაუბრო ენის წეს-კანონები; პროზაულ ნაწარმოებებში დაცული უნდა იყოს მოქმედ გმირთა მეტყველების თავისებურებები. მეორე კატეგორიის მასალაში – განსაკუთრებით იმ მასალაში, რომელშიც სიძველეებზე იქნება საუბარი – თხრობა უნდა წარიმართოს მწიგნობრული ენით. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ჩვენი მკითხველები, რომელთა რაოდენობა, ესეც უნდა ითქვას, საკმაოდ მცირერიცხოვანი იქნება, მწიგნობრულ ენას უკეთ გაიგებენ. აქტები და ძველი თხზულებები ყოველგვარი ცვლილების გარეშე უნდა დაიბეჭდოს.

3. რედაქცია უნდა დაკომპლექტდეს რამდენიმე რედაქტორისგან: ერთნი შეარჩევენ პირველი კატეგორიის მასალას, მეორენი – მეორე კატეგორიისას, თუმცა მათაც უნდა ჰყავდეთ ერთი საერთო რედაქტორი.

ჟურნალთან დაკავშირებულ ლიტერატურულ საკითხებს უნდა წყვეტდეს რედაქცია, რამდენადაც მის ღირსებებზე როგორც თანამედროვეთა, ისე შთამომავალთა თვალში პასუხისმგებლობა სწორედ რედაქციას ეკისრება. შესაფერისი გარეგნული სახის უზრუნველყოფა უნდა დაეკისროს გამომცემელს. მანვე უნდა იკისროს ჟურნალის მატერიალური უზრუნველყოფა: პირველ რიგში, საჭიროა სახსრები, აგრეთვე – მუშახელი.

[ნოემბერი. 1854]

## **წინათქმა თარგმანისა: ჟანლისი. „ზვიმა. ქინაქინის ანხაპი“**

საყვარელო ძმაო თეიმურაზ!<sup>1</sup> შენი წიგნი მომივიდა და სხვათა შორის ამასაცა მწერ, რისგან არისო, რომ სადაც რა ამერიკის ან-ბავი ამომიკითხავს, იქაური ხალხი ყოველთვის ინდოელებად იხსენიება და სად ამერიკა, სად ინდოეთიო?

მე როგორც გამიგონია, – ქრისტოფორე კოლომბი დასავლეთის უკიანეს რომ მიეცა, სხვანი აღმოსავლეთით მიდიან ინდოეთსა და აცა თუ მე დასავლეთით არ მივიდეო, იარა, იარა და ამერიკას წააწყდა. – რაც მაშინ იქ ხალხი ნახეს, ინდოელები ესენი არიანო, ჰსთქვეს და დარჩათ მას აქეთ ეს ერთი საზოგადო სახელი იქაურს მეზატონეებსაცა: კაციკებსა თუ ინკებსა, და იმათს ქვეშევრდომებსაცა, პ ე რ უ ლ ე ბ ს, მ ე ხ ი კ ე ლ ე ბ ს, ნ ე რ ე ზ ე ბ ს, ი რ ო კ ე ლ ე ბ ს, ს ი მ ი ნ ო ლ ე ბ ს, და სხვას ყველასა, ვინცა ვინ იქ იყვნენ. – ჩვენსას რომ ანბობენ, ყველანი ქართველები არიანო, ქართლები, კახელები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სვანები, აფხაზები, თუ გინდ აჭარლებიცა, ჩვენ ესეც გვიკვირს ხოლმე, თუმცა შეცთომა კი მაგდენი არა არისრა, ყველანი ერთის შთამომავლობისანი მაინცა ვართ და ერთის ენით ვლაპარაკობთ. აფხაზებსა და სვანებს გარდა ლაპარაკში ზოგან და ზოგან დიდი ცვლილება არის, მართალია: დიახ ბატონო, ჰო ბატონო, ქო ბატონო, კი ბატონო; – ან: აქ მო, აქ მობძანდი, აქანა მობძანდი, აქანეი მოჰრთე, აშ მორთი, – მაგრამ დედა-ენა კი ერთია. – ზეით დასახელებულს ამერიკელებს, როგორც ჩვენ სპარსული არ გვესმის და ლეკური, ისე ერთმანეთისა არა ესმითრა, მაგრამ რაკი მეცნიერებაზედ თავდადებულმა ევროპელებ-

მა ერთხელ და ერთხელ ამერიკელებს ინდოელები უწოდეს, რალა გადაათქმევინებდათ. განა არა, იცოდნენ და აღიარებდნენ კიდევცა, შემცდარნი ვართო, მაგრამ მეცნიერებამ თუ ერთხელვე დაიყინა რამე, ძნელადლა მოიკვეთინებს. იმდენი დღეგრძელობა მე და შენა გვექონდეს, რამდენი სხვა შეცთომილებითაც ესახელებინოთ იქ თავი ჩვენს ევროპელებსა და რამდენი სანუხარი საქმე იმათ იქ მოეხდინოთ. შიგა და შიგ კი ზოგი ერთი ისეთი საქმეც მომხდარა ღვთის წინაშე, რომ იტყვის კაცი...

ეჰ! ბარემ ერთს ისტორიულს ანბავს გიანბობ, და ალბათ შევიტყობთ, რასაც იტყვი.

რასაკვირველია გახსომს, ჩემო თეიმურაზ, რომ სულ პირველად ვინც ამერიკა აღმოაჩინა და დაიპყრა, ისპანიელები იყვნენ ისინი. კორტეზისა და პიზარროს ანბები რომ დაწულილებით მოისმინო, ზღაპარსიტყვაობა გეგონება და იტყვი, ნეტავი ზოგი მაინც სიცრუე იყოს და სხვა არა მინდარაო.

ისპანიელები შევიდნენ იქა მეთხუთმეტეს საუკუნეში, 1492 წელსა, – და ახლა რომ ანბავს გიანბობ, ეს მოჰხდა მეჩვიდმეტეს საუკუნეში; ორასი წელიწადი თუა მასაქეთ.

ინდოელები, – ახლა რალა გაეწყობა, ჩვენც ასე უნდა ვჰსთქვათ-ხოლმე, – ინდოელები ბოროტებით გულსავსენი იყვნენ მაშინ თავისს ახალს ბატონებზედა. მამაპაპათაგან გაგონილი მრავალი საქმე წარმოუდგებოდათ თვალწინ ისპანიელების უღთობისა და უზომო მტარვალობისა. ემონებოდნენ მართალია, და დამორჩილებულნი კი არა ყოფილან. – არ ვიცი ამ ჰაზრს შენც ასე გაჰყოფ თუ არა: ისპანიელებმა რომ იარაღით დაიპყრეს ის ქვეყანა, ხალხიც იარაღისავე შიშით დაიმონეს და არა იმ უფლების სიმართლითა, რომელსაც ნებით ემორჩილება ხალხი. ემონებოდნენ მეთქი, ამ მიზეზით ვანბობ. –

ქვენატკოციოთ.  
19 ივლისი 1859.

**„რომეო და ჯულიეტას“  
თარგმანის ბეჭდვისას დაშვებული  
შეცდომების ბამო**

უფალო რედაქტორო!

რუსულად ითქმის: „კალმით ნანერსა ცულით ველარ ამოსთლიო“. – ქართულად ამ არაკს შეიძლება თუნდ რუქას ნათქვამად დავამატოთ?: „სტამბით ნაბეჭდსა ეჩოთიც ველარ ამოსჭრიო“. – ჩემი ნათარგმნი რომეო რომ „ცისკარში“ დაგიბეჭდიათ, – ბეჭდვაში იმდენი შეცდომა მოსულა, რომ ზოგან აზრიც შეცვლილა. – ჩემი საკუთარი თხზულება რომ ყოფილიყო, მაგდენს არ გამოვეკიდებოდი; მაგრამ შექსპირის თხზულების გადასხვაფერება რუსთველის თხზულების გადასხვაფერებაზედ ნაკლებად აღარ ჩავარდება. – შეცდომის გასწორებას რადგან სხვა აღარა მოეხერხებარა, ბოდიში მაინც მოვიხადოთ როგორც ცისკრის წამკითხველთა წინაშე, ისე და უმეტესადაც სახელოვანის შექსპირის ხსენების წინაშე; რაც რამ შეცდომა მოგვსვლია, სახელდობრ აღვიართ და იქნება ჩვენის ჟურნალის მექონმა თვითან ინებოს ვინმემ გასწორება, ჩვენ მოვახსენოთ როგორც უნდა. –

- |                        |   |               |
|------------------------|---|---------------|
| 62 – 13 – ქუენის       | – | ქუეენის       |
| 63 – 8 – БенедісіТе    | – | Benedicite    |
| 67 – 6 – ბებერს        | – | ბებერი        |
| 69 – 10 – გადიხადოს    | – | მოიხადოს.     |
| 75 – 15 – ყმანვილ-კაცი | – | ყმანვილი კაცი |

უკანასკნელს სამს მოქმედებაში

	არის:	უნდა იყოს
129 გვერდზედ 10 სტრიქონში	– პატივის ცემის	–პატივისცემით
„ – 25	– უკანასკნელს – დააშ- უერინა	– დააშუებინა
132–15	– პატივოსნებითის	– პატიოსნებითის
„ – 25	– შემოგეტრფოდეს	– შემოგტრფოდეს
138 – 6	– ლექსი	– ლექსში
139 – 2	– წყულზედა,	– წყულზედა; –
141 – 20	– რომეო,	– რომეო;
142 – 19	– მთავრის	– მთავარს
143 – 3	– ყმანვილკაცი	– ყმანვილი კაცი
„ – 6	– ექორწინა	– ექორწინა
„ – 26	– ამტურევს	– ამტურევ
146 – 4	– სანთელის	– სანთლით
„ – „	– ცოლსა რომ	– ცოლს რომა
147 – 25	– გინუტევო	– განუტევო
149 – 13	– ამაზედ,	– ამაზედ. –
150 – 2	– მე, თუ მკითხეთ	– მე თუ მკითხეთ
151 – 3	– დარწმუნებულ ვარ,	– დარწმუნებული ვარ,
152 – 14	– ამა ანგარიშით	– ამ ანგარიშით,
156 – 14	– სწორეთ	– სწორე
„ – 22	– ამ ქალაქში	– ამ ქალში
157 – 15	– განძრახუა	– განზრახვა
„ – 16	– სადღაური	– სადაური
159 – 4	– ყმანვილ	– ყმანვილი
160 – 1	– განსაცდელში	– განსაცდელში.
„ – 16	– ვიფიქრო რომ,	– ვიფიქრო, რომ

„ – 25	– ველარ არჩიორა,	– ველარა არჩიო-რა,
164 – 5 და 6	– – შეურაცხებაა ეგ ლექსი	– შეურაცხება ეგ ლექსია
165 – 15	– განგვაშველებს	– გაგვაშველებს
166 – 10 და 11	– დახრწნილს	– დახრწნილის
168 – 21	– ოსტაცობას	– ოსტატობას
169 – 13	– ლავრენტმა	– ლავრენტიმ
170 – 7	– მოვასწრობთ;	– მოვასწრებთ;
171	– უკანასკნელს– შესა- ძლებელია!	– შეუძლებელია!
174 – 13	– ჰგონიათ!	– გგონიათ!
177 – 25	– სიცოცხლე	– ცოცხალი
„ – 26	– ჩემსთვისა.	– ჩემთვისა.
178 – 1	– განამა თან გაგიტანა	– განამა და თან გაგიტანა
„ – 2	– იყო ასეთი	– იყო, რომ ასეთი
„ – 10	– ჰფიქრობთ	– ჰფიქრობთ
„ – 17	– თუ არა	– თუ არ
„ – 18	– თუ არა	– თუ არ
180 – 5	– მოლანდებასა	– მოლანდებას
„ – 14	– თავისა	– თავისს
„ – 18 და 19	– აჩრდილიცა სიზმარი,	– აჩრდილიცა, სიზ- მარი,
„ – 19	– გულის	– გულს
182 – 2	– შენთან	– შენთანა
„ – 3	– დამრღუე-	– დამარღუე-
„ – 7 და 8	– მოსილისა მაშვრალს	– მოსილსა, მაშვრალს
„ – 10	– ძველების	– ძველებს
„ – 14	– კოლობი	– კოლოფები, –
„ – 18	– არეული დარეული	– არეულ-დარეული

184 – 13	– მომყიდე,	– მოგყიდე,
„ – 21	– იოანე ბერია.	– იოანე ბერი.
186 – 20	– სასაფლიოზედ	– სასაფლაოზედ
187 – 3	– ჰსუფვევს	– ჰსუფვევ
„ – 26	– ჩემსთვის	– ჩემთვის
188 – 1	– აკგუნო	– აკგუნო
„ – 3	– დრო არის მაგრამა	– დრო არის, მაგრამ
„ – 20	– ძელსა.	– ძეგლსა.
„ – 23	– ქვეყანაზედ?	– ქვეყანაზედა?
„ – 26	– გაღიმებულს	– დაღებულს
189 – 7	– სულწაწყმენდილო!	– სულო წაწყმედი- ლო!
„ – 10 და 11	– მაგისტვისაცა	– მაგისტვისა
„ – 12	– განვლტო	–
„ – 15	– მშიშროება ამ ფიქრ- მან	– მონინება ამ ფიქრ- ში
„ – 21	– განმშორდი,	–
„ – 23	– მტერი აქა	– მტერი აქ
„ – 26 და 27	– უგრძნობელის კაცის მონყალებითა	– გრძნობა-მიღებუ- ლის კაცის წყალო- ბითა
190 – 2	– მონყალებაცა.	– წყალობაცა.
„ – 4	– გაგყევარ?	– მოთმინებისაგან გაგყევარ?
191 – 24	– მერე	– მე
192 – 15	– უკანასკნელ კოცნა	– უკანასკნელი ამ- ბორი
„ – 26	– უა	– რა
„ – 27	– მატყვევებს	– მატყუევებს
193 – 9	– სიკვდილი	– სიკვდილს
194 – 3	– რომელსაც	– რომლისაც
195 – 16	– მოყავთ	– მოჰყავთ

196 – 1	– დონნა მის	– დონნა მისი
„ – 11	– დაკლვილიო!	– დაკლულიო!
„– უკანასკ- ნელს	– გათენებაზედ	– განთიადზედ
197 – 3	– რალა უბედურება კიდევ	– რალა უბედურებაა კიდევ
„– ბოლოდამ 2	– დავწერე	– დავსწერე
198-თავიდან 2	– განმდევნი,	– განმდევნი;
„ – 18	– მომიტანა წუხელის.	– მომიტანა.
199 – 13	– ის წიგნი,	– ეს წიგნი,
„ – 21	– აღარ გამოვიდარა,	– აღარა გამოვ- იდარა,
„ – 24 და 25	– – შევატყობინო	
200 – 10	– უთანხმოებას	– უთანხმოებას
201 – 7	– ჰსწერს,	– ჰსწერია,
დამატება ში <sup>3</sup>	– ვჰთართმნიდით	– ვსთარგმნიდით
– 1		

[1859]



## ბრიგოლ დადიანის იამბიკო

უფალო რედაქტორო!<sup>1</sup>

იამბიკო არის ლექსთა-შენობა, თავ და პირველად საბერძნეთში შემოღებული. მგზნებარე იყო მზე იქაურის საუბრისა და მოჩრდილებას ყველანი ისე ეტანებოდნენ, როგორც ჩვენ მკათა-თთვის სიცხეში ვეტანებით ხოლმე. სარკმელს იქ არ გამოჰსჭრიდნენ, – აქ მაინც მოგვასვენოს, ამ იამბიკოში, გარდამეტებულმა სინათლემო.

ანტონი ქათალიკოზმა რომ იამბიკოს შენებას საქართველოში მიჰყო ხელი,<sup>2</sup> მზე საუბრისა აქაც ისე მგზნებარეებდა, რომ საამო იქნებოდა ხოლმე ხან და ხან მოჩრდილებულში მოსვენება ალტყინებულისა და მაშვრალის ფიქრისათვის.

ახლა ყოვლით კერძო მოღრუბლილვია ჩვენი საუბარი: სინათლეს ვეძებთ განმამხნეველს, განმაცხოველებელს. – იამბიკოში რომ შევიხედავთ, ბნელა აქაო ვიტყვით და გამოვალთ ისევ; იმდენი მოთმინება არა გვაქვს, რომ შევსდგეთ, თვალი გავიტყვოთ და გავიცადოთ ყოველი შინაგანი მშვენება და ხელოვნებითი მოწყობა ამ უსარკმლო იამბიკოსი. – ნეტავი იმასა, ვინც შეაჩერდება: ის ჰნახავს მაშინ ამ შენობის სიმაღლეს, სივჰრცეს და შინაგანს მშვენიერს მოწყობილობას, – სადაც მნათობი აზრი ისე განისვენებს, როგორც იმისს დაუფასებელს ღირსებას შეეფერება; – და ვინც თვალშეუჩრველს სიბნელეს შეუშინდება, აქ არა ყოფილარაო, იტყვის და გამოვა გარეთ. ნუ დავიტრაბახებთ, რომ ჩვენ ამ უკანასკნელთაგანნი არ ვიყვნეთ. სარკმელი თუ გამოვჰსჭერით, შენობას წავახდენთ და თუ არ გამოვჰსჭერით, დავრჩით ისევ ისე უმეცრათა, როგორც ვიყავით. არშაკუნის სახლის სანახავათ რომ

შევიდეთ<sup>3</sup> და ამ სახლს არც ერთი კარი და არც ერთი ფანჯარა სინათლისათვის ღია არა ჰქონდეს; ან ალექსანდრე თარხნის-შვილმა რომ თავისს სასახლეში შეგვიყვანოს<sup>4</sup> და სინათლეკი არ საიღამ შეუშვას, რაღასა ვნახავთ; მშვენიერი რამ კი თურმეა ორივე თვალთათვის. ეს კოლხიდელის იამბიკოც ყოვლად მშვენიერი რამ არის ფიქრისა და გონებისათვის; მაგრამ იამბიკო... იამბიკო ვერ შეითვისა ჩვენმა ჰაერმა, ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ლექსთა-წმასვნამ;<sup>5</sup> იმისი სარკმლის გამკეთებელი ხურო ჩვენს ქვეყანაში არავინ მეგულება. – ანტონი ქათოლიკოზისა, დავით ალექსიშვილი მესხისა, პეტრე ლარაძის იამბიკოებში იპოვება ზოგი და ზოგი ამ ჩვენის სასიქადულო კოლხიდელის იამბიკოს მსგავსი, მაგრამ ისინიც განუცდელნი გვრჩებიან, რადგან სინათლეზედ ღარიბათა ვართ ამ ჩვენს ცადაღრუბლულს მწიგნობრობაში. უნდა კი უსათუოდ დავვიბეჭდოთ: ვინ იცის, იქნება დღეს-ხვალ ისე გამოუდაროს ჩვენს ცისკარსა,<sup>6</sup> რომ გაგვიადვილდეს ნახვა და გამოცდა ამ იამბიკოს ყოვლის ღირსებისა, ისე გამოუდაროს, რომ მძივი დავინახოთ და ფეხით არავის ვათელვინოთ.

თქვენი პატივისმცემელი **ბაქარ ქართლელი**<sup>7</sup>

9 ფებერვალს. 1860 წელსა.

ქვენატკოცა

## მიტჩელის წასაკითხავები

უფალო რედაქტორო!<sup>1</sup>

თქვენი „*მოამბის*“ პროგრამმა რომ წავიკითხეთ,<sup>2</sup> რა საკვირველია გვიამებოდა, რადგან იმედი მოგვეცა, რომ ჩვენი მნიგნობრობაც გაჰვრცელდება და ყოველივე შესამეცნებელი და გამოსადეგი ცოდნა ჩვენს ქვეყანას უფრო ადვილად მოეფინება. ერთმა საქმემ კი შეგვაფიქრა ცოტა-ხანს: პროგრამაში ადგილი არა ჰსჩანს სწავლასა და ხელოვნებაზე რაც დაინერება, სად უნდა იბეჭდებოდეს. – მაგრამ რადგან ვიცოდით, რომ ჟურნალს შესაბამი ღირსება არ ექნება, თუ ისე გამოვა, რომ სამეცნიერო იმაში არა იყოს რა, გამოვიკითხეთ საქმე და შევიტყუეთ, რომ არა თუ დაჰბეჭდავთ ამ-გვარს თხზულებასა, განზრახვაც თურმე გქონიათ, რომ როგორც შეიძლებოდეს ისე განმარტივდეს თქვენს ჟურნალში კილოშესამეცნებელი, – ისე იწერებოდეს რაც კი სწავლაზე და ხელოვნებაზე დაინერება, რომ ვისაც წაკითხვა არ უჭირს, იმას აღარც გაგონება გაუჭირდებოდეს, – ამ ამბავმა სწორეთ დაგვიტკბო გული და ღმერთსა ვჰთხოვთ, რომ კეთილს განზრახვაში ხელი კეთილად წარგემართოსთ.

ერთხელ ამხანაგები და მეგობრები თქვენი „*მოამბის*“ ამბავში ვიყავით და ვჰთქვით, რომ თუ კაცი ვინმე ქართველთაგანი, თქვენი ხელის გამართვის შემძლებელი, თქვენს მოხმარებას მოერიდოს, – თავისს მშობელს ქვეყანას ამითი მაინც არ ემსახუროს და კეთილ მოსახმარებლად მიღებული თავისი ანაბარი, თავისი ნიჭი, ტალანტი უსარგებლოდ მიწაში ჩაჰფლას, – სათაკილომცა ყოფილა ქვეყანაზედ იმისი ყოფნაო.

ეს ითქვა თუ არა, მაშინვე მომატანეს: მაშ ნულარც შენ დაიზა-

რებო და შარშანწინ რომ მიტჩელის წასაკითხავები გამოვიდა ასტრონომიაზე,<sup>3</sup> ძალიან კარგი წიგნიაო. აიღე და ქართულათა ჰსთარგმნე „*მოამბისათვისაო*“; მაგრამ ესეთის კილოთი ჰსთარგმნე, რა კილოთიც ილაპარაკებდი სალაპარაკოდ რომ გამხდარ-იყო და რა კილოთიც თვითან იმ ამერიკელს პროფესსორს ულაპარაკნია სასაუბრო და სახალხო ენითაო.

სიტყვაში რომ მომასწრეს, რაღა გამეწყობოდა და თავს-ვიდე ეს შრომა „*საქართველოს მოამბისათვის*“. – უნდა კი ახლავე აღვიარო, რომ ეს ერთი საქმე მეტად ძნელი რამ დამსაქმეს მეგობრებმა. თვითან საგანი არის განუზომელად მაღალი და იმაზედ საუბარი კი ისე დაბლა უნდა დავიყვანო, რომ გაგონება და შემეცნება არც სწავლულს გაუჭირდეს და არც უსწავლელსა. ჩემის მხრით მე ამაზე მეტს ვერას დაგპირდებით, რომ ყოვლის ჩემის შეძლებითა და ღონისძიებით ვეცადო ისეთი ლექსი არა შემომეპაროს რა,<sup>4</sup> რომ სხვა უფრო ადვილი გასაგონი ვიცოდე და ის არ ვიხმარო. მაგრამ – გარიგება ფულსა ჰსჯობიაო – იტყვიან და მეც ერთი პირობა დამადებინეთ ამ თავითვე:

ვარსკვლავთ-მრიცხველობა, ვარსკვლავთ-სიტყვაობა, ასტრონომია, ისეთი სწავლაა, როგორც მოგეხსენებათ, რომ ყოვლად-უსათუოა ყოველი ამ სწავლით მიგნებული კანონი; ისეა უსათუო და უეჭველი, როგორცა, ვჰოქვათ, ორჯელ ორი ოთხი არის; ამიტომ რომ ყოველი ასტრონომიული შემეცნება მათემატიკურს დამტკიცებაზედ არის დაფუძნებული. მაგრამ ვისაც თავისი ჭკუის შეურყველობის იმედი არა აქვს; – ვინც განუზომელს, მოუფიქრებელს სიდიდეს მედგრად, უშიშრად ვერ შეჰხედავს; ვინც იტყვის, რაგინდ კარგს ხომალდში ვიჯდე, მაინც ვერ გავბედავ და ვერათუ ოკეანეს, ზღვასაც ვერ მივანდობ ჩემს თავსა, თუკი ნაპირებს ველარსაიდამ დავინახამო, – ღვთისგულისათვის ნუ დაინყებს ამ წიგნის კითხვასა; – თუ არა, – კაცის გონებისაგან ყოვლად მიუწდომელი საშინელი ძლიერება შემოქმედისა; ყოვლად-საკვირველი სიბრძნე, რომლითაც მსოფლიო არის დამყარებული; სიკჰრცე ყოვლად-უკიდური, რიცხვი ყოვლად-უთვალავი, სიდიდე ყოვლად განუცდელი, ყოველივე რაც ამ გვარი ამ ჩემს

ნათარგმნში ამოიკითხება, ისე დაამცრობს, ისე დაამდაბლებს, ისე დასთრგუნავს კაცის გონებასა, რომ თვითან ეს გონება რომ განუზომელად ძლიერი არის, დიდად შეძრწუნდება, დაიბნევა და გზა-კვალს ველარ გაიგნებს.

და ვინც კი სარწმუნობას შეურყევლად ადგია, ვისაც გონება ისე აქვს შეზავებული, რომ რამდენიც უნდა საკვირველება საკვირველებას დაჰყვეს, მაინც არ შეირყევა აღსარება იმისი, რომ ღმერთი არის ყოვლის-შემოქმედი, ყოვლის დამმყარებელი, ძლიერებით ყოვლად-გარეშეუწერელი, – ყოველ ზომასა და განსაზღვრებას გარეშე-მყოფი; ან ასე ვჰთქვათ: ვინც კი გულში იტყვის, – მართალია, არა ვარ რა წინაშე ღვთისა და არარაობა-ზედ მეტათაც რომ დავმცირდე მის წინაშე, არც ეს შემაშინებს; მაგრამ არსება ვარ ისეთი, რომ შემძლია იმისაგან მონიჭებული გონიერებით იმისი ძლიერება ვიკვლიო უკუნისამდეო, – იმან კი აიღოს ეს წიგნი და უშიშრად ყურადღებით იკითხოს.

ცოდვა და მაღლი ასე მოგვიხდია ამ თავითვე. განსაკუთრებით თქვენ, უფალო რედაქტორო, ამასა გთხოვთ, რომ ბეჭდვაში არა შეიცვალოს რა, არც მართლ-წერა ჩემი,<sup>5</sup> არც ლექსი და არც აზრი: რადგან შესაცვლელი თუ გასასწორებელი რაც იქნება, კრიტიკის საქმე იქნება და ამ წიგნის თარგმნა მგონია ღირსი იყოს კრიტიკისა.

დეკემბერი 1862.  
დაბა ზუგდიდი.

## ჩუწნი ნაცარ ქექიეზი

ნაცარ ქექიეზი. — ანბანთ განჩინება. — გამოცხადება  
ანბანთ განჩინებისა.

მეცხრამეტე საუკუნეში, სირცხვილიც კია, ჩუწნი, ქართველებმა, არ ვიცოდეთ, ვინ სად როგორ არის, რასა ფიქრობს, რასა მოქმედებს და რას მიელტვის. დიახ, ჩუწნი ვხედავთ როგორათაც ევროპიელებთ უყჳარსთ თავიანთი მშობელი მამული და ცდილობენ მისს ამაღლებისათუს, ძლიერებისათუს და დიდებისათუს; ვხედავთ, როგორათაც ისინი მოუღალავად მიელტვიან გონების განათლებასა, გულის განვითარებასა, ხელოვნების გამშუწნიერებასა, და როგორათაც, ამიტომ შეუპოვრად და თავშენირულობით ებრძჳან ბუნებასა, გამოიკჳლევენ იმისს კანონებსა და ჰპოებენ რა იმისს საიდუმლოებასა, გაავრცელებენ მით სწავლასა. სწავლა ნათელია და გვიჩუწნებს კაცის დიდს დანიშნულებასა.

ისტორიით და გამოცდილებით ვიცით, რომ მაგალითი დაბადავს ჯერ მიბაძვასა, მერმე თუთ მიმბაძავი გაოსტატდება და შეიქმნება სხუწბისათუს მაგალითი. ევროპიელების მაგალითი გვასწავლის, რომ კაცმა უნდა მოუღალავად ამუშაოს გონება და კელი, და უფრო საზოგადო სარგებლობისათუს. ნურავინ შეშინდება ფიქრით, რომ ისი დაჰკარგავს საკუთარს სარგებლობასა, თუ საზოგადო სარგებლობისათუს ღვანლს დასდებს. არა, ეგრე არ არის, ნაყოფი ერთის მხრით დიდად შეემატება მამულსა, მეორეს მხრით გადიქცევა პატრონისვე საკუთრებად და მით ისარგებლებს ისი.

ყოველივე მზათა გვაქჳს ევროპიელებისაგან მოფიქრებული,

გაკეთებული და საქმეში შემოტანილი. ჩუწნ და, რომელთაც არასფერზე შრომა არა გაგვინევიარა, გვრჩება მხოლოდ, რომ ეს მზათ შემუშავებული მივითუსოთ ჩუწნ სასარგებლოთ. ჩუწნ მოგვინდება არც მეთადი იმ შრომისა, რომელიც ევროპიელთ გასნიეს. იმედი მაქუს, ყველა დამეთანხმოს ამაზედ, იმიტომ რომ თავდაპირუწლი მოძებნა, მოპოება, გაკეთება და გამშუწნიერება საგანისა უფრო ძნელია, ვიდრე გაცნობა და მითვისება ამ საგანისა სწავლით.

ეხლა მოვიხედოთ ჩუწნსკენ. ღმერთო ჩემო, რასა ვხედავ! რა უბედურნი ვართ! ყველას სძინავს! არავისი გონება და კელი არა მუშაობენ! ყველა მიემზგავსება იმ ყრმასა, რომელიც გულაღმა ინჭა ყურძნის ქუწუშ და ნატრობდა, რომ ყურძენი თუთან ჩავარდნოდა პირში. ყრმას სურვილი მაინცა ჰქონდა; ჩუწნლა განა სურვილიც კი გვაქუს, რომ სწავლა თავისთავათ ჩაგვივარდეს თავში, გულში და კელებში! თუთქოს ჩუწნ მოველით, რომ სხუანი დაგვიღეჭენ და პირში ძალათ ჩაგვიღებენ მძინარეებს, როგორც ძუძუთა ყრმასა, ასე რომ ჩაყლაპის მეტი სხუა შრომა არა მოგვინდებარა. უ. ჯიმშერიძემ ეს მძინარობა ქართველისა გამოგვიხატა „კაცია ადამიანში“<sup>1</sup> მაგრამ „კაცია ადამიანის“ სურათში მე ვხედავ უფრო ნასწავლ ქართველებსა, ვინამ უსწავლელებსა. თუძცა ეს აზრი ეწინააღმდეგება უ. ჯიმშერიძესა, ამას მე ადულათ დაგიმტკიცებთ.

ჩუწნ მთავრობას აქუს დადგენილი მრავალი სხუა და სხუა სასწავლებლები, სადაც ნამდულათ რომ მზათ დაუღეჭენ და პირში მიაძღვევენ, ვისაც სურს, ყოველ გვარ სწავლასა და ხელოვნებასა. რასაკურველია ყველას არ შეუძლიან ისწავლოს სასწავლებელში. რავდენიმე ათასში ერთს შეხუდება ეს ხვედრი და ამ ერთმა უნდა მოჰფინოს სწავლის ნათელი დანაშთენ რავდენიმე ათასსა, როგორათაც ჩუწნი მზე მისცემს ნათელსა თავისს სისტემის მნათობებსა. ვიცი, მკითხველი ამაზედ დამეთანხმება; მაგრამ მკითხველი იმაზედაც უნდა დამეთანხმოს, რომ ზოგიერთი ნასწავლი ქართველები სწავლის ნათელს არ მოგვიფენენ (ზოგი ერთები იმათგანნიკი გამოჰსცემენ ნათელის მაგიერ ბნელსა, – დახედეთ უბედურებასა! ვითამ რათ გვიცნეს ჩუწნ ბრმათ!). პირ დაუფერე-

ბლივ ვიტყვ; ეს უფლები აგრე რიგათ წინ ვერ წაუვლენ „კაცია ადამიანის“ გმირსა. ისინიც, როგორც ლუარსაბ, სთვლიან ბუ-ზებსა, ზრუნვენ საკუთრათ თავიანთ მიუცელზედ და სხვს ჭკუით. ცოდნის გამოსაჩინად (!) ჩუწნში იმათ აურჩევიათ ორი საგანი: ერთი მიუცთომელი დიდი, რომელიც სრულიად არ გაეგებათ და რომელსაც სხვს ჭკუით სჭურეტენ (თავიანთი კი ტუნს იქით მიუ-ფარავთ) და მეორე ფრიად მდარე, რომელზედაც სჯას ჯერ აგრე რიგათ არა ვსაჭიროებთ. ესე იგი, საცოდავი ასოები: **ჟ, ზ, ჯ, ა, კ, შ და ჭ**. დაფიქრდით, მკითხველო, და წარმოიდგინეთ, თუ რა უზომო უფსკრული ძევს ამ ორ საგანთ შუა! ერთი არის მიუცთომელი მაღალი, მეორე თვალით უჩინარი მდარე; სადღა მიუმაღავთ საშუალი საგნები, რომელნიც ჩუწნთვს უფრო საჭირონი არიან. მაინც რას უნდა მივაჩემო ამ გუარი გმირობა? – ნაცარ-ქექიაობას ხომ არ თამაშობენ!? – თქუწნ, მკითხველო, როგორც გნებავ-დეთ ისე გადაწყვიტეთ ეს წინადადება, მეკი ამას მოგახსენებთ, რომ გამოლაშქრება მთელის საომარ იარაღითა ასოებზედ: **ჟ, ზ, ჯ, ა, კ, შ და ჭ** მიეთსება ნაცარქექიასა, ანუ „კაცია ადამიანის“ გმირსა, რომელიც არის იგივე ნაცარქექია. ვიცი, ზოგიერთნი ამ ჩემის განჩინების წარმოთქმისათვს შემრისხვენ, გარდამეკიდები-ან, მომრყვნიან, მაგრამ მე იმათ უპასუხებ, რომ ჩუწნ გვეჭირება ნათელი ჰსწავლისა და არა ომი ამ ასოებთან. ეს ომი ჯერ კიდევ გადანყვეტილი არ არის; არ ვიცი, ვინ ვის დაამარცხებს; ესკი, რომ იმ შუდმა ასოებმა კიდევ დასძლიონ მტრები. რაო, არა გჯერ-ათ? მაშ წაიკითხეთ „ანბანთ განჩინება“, რომელიც მე აქ სიტყვა სიტყვთ გადმოვწერე.

ეს განჩინება დაიწყება ასე:

„ამას წინათ ანბანთ წინამძღვარმა – ა – შეკრიბა თავისი მოძმე-ნი და მთელ შეკრებილებაში სთქუა:

„ძმანო და მეგობარნო! დღეს მე მოგიწვიეთ თქუწნ ერთობლივ მოსალაპარაკებლად და გადასაწყვეტელად საგნისა, რომელიც შახება ზოგიერთ ჩუწნ მოძმეებსა. თქუწნ კარგა მოგეხსენებათ, რომ რავდენიმე ქართველები სდევნიან ჩუწნ საყვარელ ძმებსა: **ჟ, ზ, ჯ, ა, კ, შ და ჭ** და ცდილობენ განსდევნონ ესენი ჩუწნის კრებისა-



გან. კადნიერება იმათი იქამდინ მისწუდა, რომ ისინი აღარა ხმა-რობენ ამ ასოებსა, თუმცა გარდანწყვეტა ამ საქმისა აგრე რიგათ ადული არ არის და ეკუთვნის საკუთრათ ჩამომავლობასა. როდესაც წარმოვიდგენ თქვენს თოვლივით გათეთრებულ თმასა და ამასთანავე თქვენს დაუბერებელ სიჭაბუკესა, ვფიქრობ ხოლმე, რომ ჩვენ გვაქვს მონიჭებული უკუდავ-უბერებლობა, ქართველებიკი წინდაუხედავით და გამოუკუწლეველად არღვევენ ბუნების სჯულსა და თავისთავათ, ძალის-ძალათ აბერებენ ჩვენ საყუარელ ძმებსა: **ჟ, ლ, ჯ, ა, კ, შ და ჭ**, განგებ, რომ გამორიცხონ ესენი ჩვენის კრებიდამ. (ამ დროს შექმნეს ჩოჩქოლი და დრტუნვა ასოებმა: ე, ვ, ი, ფ, ხ და ჰ). მეორეს მხრით ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ იქნება ქართველები მართალნიც იყვნენ და არა სცდებოდნენ. ეს ეჭვ უმეტესად გამიცხოვლეს უუ. ე, ვ, ი, ფ, ხ და ჰ, რომლებმაც აშკარათ გამოაჩინეს დრტუნვით ჩემის აზრის წინააღმდეგობა. ამიტომაც გთხოვთ, საფუძვლიანათ და უთჟალღებოთ<sup>2</sup> მოვიფიქროთ ამ საგანზედ და ყოვლის სიმართლით გადავსწყუტოთ: უნდა დარჩნენ თუ არა ჩვენ კრებაში ასოები: **ჟ, ლ, ჯ, ა, კ, შ და ჭ?** ამასაც გთხოვთ, ყმანჯლებო, რომ ჩვენ სჯაში შურს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგან შური დააბნელებს თჟალსა და ცხადად არ დაანახვებს ჭეშმარიტებასა“.

ამის შემდეგ წამოდგინენ: ე, ვ, ი, ფ, ხ და ჰ, და ერთ პირათ სთქვენს: უ. ჩუბინოვმა, თ. ილია ჭავჭავაძემ და დავ. ყიფიანმა საფუძვლიანათ დაამტკიცეს,<sup>3</sup> რომ **ჟ, ლ, ჯ, ა, კ, შ და ჭ** ჩვენში სრულიად მეტნი არიან, და მართალიც არის, საჭირონი აღარ არიან ესენი, ნამეტნავათ, როდესაც ჩვენ აქა ვართ: **ლ**-ს მაგიერ **ე**, **ჟ**-ს მაგიერ **ვ**, **ჯ**-ს მაგიერ **ვი**, **ა**-ს მაგიერ **ჰი**, **კ**-ს მაგიერ **ხ**, **შ**-ს მაგიერ **ჰოი** და **ჭ**-ს მაგიერ **ფ**. დასამტკიცებლად ამისა მოგახსენებთ, რომ უუ. ჩუბინოვმა, ჭავჭავაძემ და ყიფიანმა თავიანთ თხზულებაებში, ნამეტნავათ „საქართველოს მოამბეში“, არ იხმარეს ეს ასოები; ამათ მიბაძეს მრავალმა, და ამითი ვითამ რა წახდა!

ამათ წინააღმდეგ უპასუხეს: **ჟ, ლ, ჯ, ა, კ, შ და ჭ** ცალ-ცალკე:

**ჟ**-მ. „თქვენ, უუ. **ე, ვ, ი, ფ, ხ** და **ჰ**, ვერ შეიგენით, ან არ გინდათ შეიგნოთ ბრძნული რჩევა წინამძღუარისა. ჩემი გამორიცხ-

ჭა გსურსთ მხოლოთ სიშურით; ამიტომ რომ თქვენ კარგა იცით, როგორც არის საქმე და მომატიებულის თავის მოყვარებით ჰფარავთ ჭეშმარიტებასა. უუ. ჩუბინოვსა, ჭავჭავაძესა და ყიფიანსა სწადსთ ჩემი განდევნა უფრო იმიტომ, რომ იქნება დაახლოვებით არ იციან ბუნება ქართულის ენისა.<sup>4</sup> სხუშმალა წინააღმდეგობითკი არ გამომრიცხეს მე „საქართუშლოს მოამბეში“, არამედ მოკლებულებით,<sup>5</sup> რომ ესიამოვნებინათ უ. ჭავჭავაძესათუს. დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ მე არა მაქუშს უგუნური თავის მოყვარება: ჩემთუს სულ ერთია ვიყო თუ არ ვიყო წერილებში; ამიტომ რომ მინამ ქართული ენაა, მეც ვიქნები, მხოლოდ ეს არის სანყენი, რომ ზოგიერთებს თავი გამოუდვიათ და ჰსჯიან იმ საგანზედ, რომელიც სრულიად არ გაეგებათ (აბყდება გამამხნევებელი ტაშის ცემა). უ. ჩუბინოვი ამბობს, რომ მე ვარ ვითომც იგივე ვ. მაშასადამე ჩემი ყოფნა უსარგებლოა. უ. ჭავჭავაძე ამ აზრისაა, მხოლოთ აი როგორი დამტკიცება მოჰყავს: იქნებოა ძუშლად ქართველები ისე ლაპარაკობდნენო, რომ მე საჭირო ვიყავ ხმარებაში; ესლალა, რადგანაც ისე ლაპარაკობენო, რომ მე აღარა ვსჩანვარ, ამიტომაც მე უნდა მოვეკვეთო სიცოცხლესა. უ. ყიფიანი აჭრიალებს, აღრიტინებს, აკვნესებს ქართულსა და მდევნის მე და მდევნის აი როგორის შოლტითა: ის ამბობს, რადგან ქართულ წერილებში ერთ-და-იგივე სიტყვაში მე ვხმარებულვარ და არ ვხმარებულვარ, ამიტომაც მე ღირსი ვარ განდევნისა. განალა კიდევე შეიძლება ამაზე უსაფუძვლო დამტკიცებაები!.. გავსინჯოთ თუთ საქმე:

მე დავიბადე ქართულს ენასთან, რომელიც უჩემოთ არც ყოფილა, არც არის. ბუნება და თუსება ამ ენისა მოითხოვდა ჩემს ყოფნასა. ქართული ენა მოქნილია და რბილი. ეს თუსება ამშუწნიერებს ენასა, რომელიც, ამის-გამო, სმენისთუს სასიამოვნოა, მაგალითად ავილოთ სიტყვა: „ექუსი“. ამ სიტყვაში ქართველი გამოსთქუამს არც მთლივ უსა, არც მთლივ ვსა; გამოსთქუამს ნახევრად უსა და ნახევრად ვსა, ასე რომ, ამ ორივე ასოების ხმა გამოიცელება ნაზათ. რომელ ქართველს შეუძლიან გამოსთქუას ძალ დაუტანებლივ ასე: „ექუსი“ ანუ „ექუსი“. ესე იგი მაგარის და გახევებუ-

ლის ასოებით **ჭ**-თ ანუ **ჭ**-თ. ყველამ კარგად იცით, რომ სიტყუას: „ექუსი“ როგორც ქართველი გამოიტყუს, ისე ვერც თათარი, ვერც რუსი და ვერც ევროპელი კაცი ვერ შეიძლებენ გამოთქმას, და თუ გამოათქმევიანებთ ასე: „ექესი“ ანუ „ექუსი“, მაშინ კი გამოიტყვან: მაგრამ ყურებსკი დაგიკანკრენ. თათარს ვერა დროს ვერ გამოათქმევიანებთ ასე: „ექესი“, ანუ „ექუსი“; ის იტყვის „ექესი“, ამიტომ რომ უჭირდება გამოთქმა **ჭ**; **უ**. ჭავჭავაძე ამის წინააღმდეგ ამბობს, რომ თუ ძალდატანებით **ჭ** ვიტყვი, მაშინ ორი **ჭჭ** გამოვაო. ამით **უ**. ჭავჭავაძე კი არ არღვევს ჩემ აზრსა, უფრო დაამტკიცებს იმას: იმის სიტყუით ძალდატანებით არ უნდა გამოითქვას **ჭ**, რომ ორი **ჭჭ** არ გამოვიდეს; მაშასადამე სიტყუაში: „ექესი“ ასო **ჭ** ძრიელ რბილად უნდა გამოითქვას, ასე რომ ნახევარ **ჭ** გამოდიოდეს, და რადგან ნახევარი ასო არ შეადგენს მთელ ასოსა, ასოკი უთუოთ მთელი უნდა იყოს, ამიტომაც საჭიროა ნახევარი **ჭ** შესრულდეს ნახევარ უნათ, როგორც თუკება ენისა მოითხოვს სიტყუაში: „ექესი“; ბუნებით საკუთრად **ჭ** არ გამოვიტყვი და დაუმატებთ **უს** ნახევარ ნაწილსაცა, ასე: „ექუსი“. ნიშნათ ამ სახით გამოთქმისა მე ვარ ამორჩეული.

იქნება მიპასუხოს ვინმემ: რუსებს **ლ** არა აქუსთო, მაგრამ **ლ** გამოიტყვანო **ღ**-დ; სწორედ ასე ქართველიც, სიტყუაში: „ექესი“ ბუნებით გამოიტყვასო **ღ** რბილად. მე გიპასუხებთ: მართალია რუსები **ლ** გამოიტყვან **ღ**, მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ასოს **ღ** მთლათ და მაგრა გამოიტყვან, ქართულ სიტყუაში ლა: „ექუსი“, თუ ჩემ მაგიერ იხმარებენ **ღ**, მაშინ ამ ასოს წაიკითხვენ და გამოიტყვან მაგრა, ამიტომ რომ მთელი ასო უნდა გამოითქვან. ამ შემთხვევაში, რასაკურველია, მაგიერ ნარნარის და სასიამოვნო სიტყუას: „ექუსი“, იტყვან ტლანქად და უსიამოვნოთ: „ექესი“. ვისაც გნებავსთ წააკითხეთ „საქართველოს მოამბე“ და მასთანვე ყური დაუგდეთ თქუწნს გულსა და ყურებსა და წამკითხველის პირისახესაცა; თქუწნ მამინ შენიშნავთ, თუ როგორათაც წამკითხველი ღრეჯით და ვაივაგლახით წაიკითხავს და როგორათაც იმისი წაიკითხული უსიამოვნოთ მოხვდება თქუწნს გულსა და სასმენელსა, ვერავინ დამაჯერებს, რომ წამკითხველი (ნამეტნავათ

თუ ახალ მოსწავლე ყმანვილიც არის) წაიკითხავს არა ისე, როგორც ბუნება გამოათქმევინებს, ესე იგი ნახევარ **უ** და ნახევარ **ვ**. მე გამოავათქმევინე რავდენიმე ყრმათა ზეპირ მრავალი სიტყუჭები, რომლებშიაც მთლათ **ვ** არ უნდა გამოეთქუათ, და იმათ კანონიერათ გამოსთქუჭს; მერმე იმათვე წაიკითხეს ისევე სიტყუჭები „საქართველოს მოამბეში“, – ყურმა ნუ გაიგონოს, როგორც იმათ წაიკითხეს! უ. ჭავჭავაძე სცდება, როდესაც ფიქრობს, რომ ძალ დატანებით თუ ვინმემ გამოთქუა **ვ**, ორი **ვინი** გამოვავ. ასე არ გახლავს, მოწყალენო კელმნიფენო, ორი **ვინი** კი არ გამოვა, მხოლოთ რადგან **ვ** მთლათ ანუ მაგრა არ უნდა გამოითქუას, მთლათ ლა იმისი გამოთქმა გაუჭირდება ქართველსა, ამიტომაც **უ**. ჭავჭავაძეს ეჩუჭნება, ვითომც ორი **ვე** გამოდიოდეს. ვინ ვერ გაარჩევს ორ **ვე**, ანუ ორ ასოს სიტყუჭში „ჩემმა, ექვსი, მისს“ და სხ! მე ვკითხავ **უ. ვ**-სა, უ. ჭავჭავაძე, ამ შემთხვევაში რათ ჩაგვაგონებს, **ვ**-ი ძალ დაუტანებლივ უნდა გამოვსთქუათო? რატომ ამასვე სხუა ასობეზედაც არ გვირჩევს! – ეტყობა, მიზეზი ყოფილა, რომ **ვ** ზოგიერთ სიტყუაში თავისუფლათ ვერ გამოვსთქუამთ, და თუ გამოვსთქუამთ, უთუოთ ისე, როგორც მე მოგახსენეთ, ე. ი. ნახევარს **უ** და ნახევარს **ვ**.

მეუბნებიან: ყველა წერილსა ამ რიგსა თუ იმ რიგსა ქართველი ბუნებით წაიკითხავსო ისე, როგორც თუსება მოითხოვსო; რახან ეგრეა, მაშ რალა გიშლისთ სწორეთ ისე სწერონ ქართულათ, როგორც ქართველი გამოსთქუამს, და არა ისე, როგორც ნებავსთ უუ. ჭავჭავაძესა და ყიფიანსა! **ვ** გახევებულია, მოურბილებელია, როდესაც თუთონა ზის; საჭიროა შუაზე გაიხეთქოს ზოგიერთ სიტყუაში და ამის ერთ ნახევარს მიეშველოს იმოდენივე ნაწილი უ-სა, რომ ეს სიტყუა ბრანგული და ყორანული არ გამოვიდეს.<sup>6</sup> სომეხი სიმღერაში და ლაპარაკში ამბობს: „აქვს“, ქართველიკი: „აქუს“. ყური დაუგდეთ, რომლის გამოთქმა უფრო ნაზი და სასიამოვნოა? კიდევ თქუწნ როგორ გამოიტყუთ სიტყუჭსა: „გამოსთქუამს“ თუ „გამოსთქვამს“? „გუხმარობენ“ თუ „გვხმარობენ“? გადამიწყტეთ: რომელი უფრო თქუწნთან ახლოა და რომელი უფრო ნაზი და სასიამოვნოა?.. ხედავთ, როგორ მავნებელია

ბუნების წინააღმდეგობა? მავნებელია, დიახ. ჯერ ჩქონ ქართული წიგნები, დაწერილები ახალ კანონების მიხედვით, სამჯერ-ოთხ-ჯერ არ წაგვიკითხავს და ამიტომ შეგვიძლიან ქართულათ ნავიკითხოთ ზოგიერთების შანჭრაქული წერილები,<sup>7</sup> და თუ ოთხჯერ გადავიკითხავთ, მაშინ, გარწმუნებთ, ჩქონგან ქართულს წარწარს ეწას ველარ გაიგონებთ; თქქონ გაიგონებთ გახვევებულ ეწასა. ნუ გიკურსთ ეს, ჩქონ ლაპარაკი გვისწავლია ბუნებით და არა წერილებით; როდესაც წერილები გავრცელდება და იმათით დაგვჭირდება სწავლა ლაპარაკისა, აბა მაშინ გაგვიჯობდება ეწა. თუ ჩქონ ასე დაგვემართება, წარმოიდგინეთ, ახალ მოსწავლეთ, წამეტწავათ ყმანვილებს, რალა მოუვათ! ერთის სიტყვით ქართული ეწა სამოც წელიწადს უკან სრულიად გაჯობდება.

უ. დავ. ყიფიანი ჩაგვაგონებს, რომ სამღრთო წერილში მე ერთი და იგივე სიტყვაში ხან ვიხმარები და ხან არ ვიხმარები – მართალია, იპოვით სიტყუწასა, რომელშიაც მე ხან არ ვიხმარები, მაგრამ ამისწანა მაგალითი, რომელიც მომხდარა უთუოთ შეცდომით, ხშირი არ არის. ხშირათ, აწუ სრულიად უხმარებლობა არის მავნებელი, თორე იშუათათ სადმე შეცტომა უჩინარია და სრულიად უწნებელია. დაჩქწული ეწა კანონიერათ გამოიტყვს. ძწელი ის იქწება, რომ მრუდეთ დაჩქწული ეწა კანონიერათ ველარ გამოიტყვს სიტყუწასა.

მოგახსწნებთ მაგალითს: ამ ოცდა ხუთის თუ ოცდა ათის წლის წინათ, ფრანცუზებს უწდოდათ შაემოკლებიწათ თავიწნი წერა და კითხვა. ყველას მოგეწსწნებათ, როგორც დაიწწრება და წაიკითხვს ფრანციციული, შუდი აწუ რვა ასო დაიწწრება, გამოიიტქმის კი სამის აწუ ოთხის ასოებით. ფრანციციუებმა დიდ ხანს იფიქრეს, აიღეს – დაიღეს, რვა გვერდზედ გადააბრუნეს და გადმოაბრუნეს ეს საგანი, – იმათი ცდა ის იყო, რომ სიტყუა იმ ასოებით და იმდენის ასოებით დაეწწრათ, როგორც და რავდენ ასოებით გამოიიტყვან, და ბოლოს დარწმუნდენ ამის შეუძლებლობაზედ. როდესაც გამოიიტყვან ფრანციციულ შუდ ასოვან სიტყუას, გეგონებათ, თუთქოს, სამ-ასოთი გამოიიტყვანო, მაგრამ თუ კარგა ყურს დაუგდებთ ბუნებით ფრანციუსსა, მაშინ დაიწახავთ, რომ ისი შუდ-

სავე ასოებს გამოიტყვს, ეს კი, რომ კარგი მახული სმენა უნდა გქონდეს, რომ შედივე ასო გაიგონოთ; ამიტომ რომ დანაშთენ ოთხს ასოებთ ძლიერ ნაზათ გამოიტყვს. ეს წარმოდგება იქიდამ, რომ ხშირათ ერთი ხმა (звук) შესდგება ორის და სამის ასოებისაგან და ამიტომაც ეს ასოები ერთ ასოთ გამოითქმიან, მაგრამ იმ სახით, რომ ამ ერთს ასოში ორისა და სამის ასოების ხმა უჩინრად მოისმის, როგორც ქართულს სიტყვაში: „ექქსი“, ნაწილები უ და ვ ცოტ-ცოტათ მოისმიან. ამ მიზეზით უფრო ფრანცუზებმა ამათ თავი აღარ შეიწყინეს და საჭიროთ დაინახეს ძწლთაგანვე შემოღებული წერა და კითხვა.

ლათინურ და ნემენცურ ენებში ორი ასო ერთ ასოთ გამოითქმის, მაგრამ დღესაც ორის ასოების მაგიერ ერთ ასოს არა ხმარობენ – მკითხვენ, რატომ ქართველები კი ვ და უ არ გადააბმენო და ერთ ასოთ არ იტყვანო? რა საჭიროა ორი ასოს გადაბმა, როდესაც ეს ქართულ წერილში სრულიად არ შეიძლება, და როდესაც ჩემით გამოითქმიან როგორც რიგია?!

ეხლანდელ დროს რავდენიმე ახალ ნორჩებმა რუსებმა მოინდომეს ამოკვეთა წერილში რავდენიმე რუსულ ასოებისა, შეიძლება ამოკვეთა იმ ასოებისა, გარდა ჰ და ხ; დანაშთენი ლა ასოები, მაგალითათ ხ სრულიად საჭირო არ არის, ც და ზ მაგიერ შეიძლება იხმარონ e, რადგანაც ც და ზ მოუგონიათ რომელიმე სიტყვების გამოსარჩეველად. როგორც ქართველებს შამოულიათ ეგრეთჲ სიტყვების გასარჩეველად ხ და კ, მაგრამ რუსების მაგალითი ქართველებთან არ მოვა, სხუა ხმარება ასოებისა სიტყვების გასარჩეველად, სხუა ასოების ხმარება სიტყვების გამოსათქმელად. მაგალითად, „ხელი“ (ასო<sup>8</sup>) და „ხელი“ (გიჟი) – ამ სიტყვების მნიშვნელობას ყველა მიხუდება აზრით, მაშასადამე ასო კ აგრე რიგათ საჭირო არ არის. მაგრამ რომ სიტყვა ბუნებით გამოითქვას, საჭიროა ხმარება იმ ასოსი, რომელიც აჩუწნებს ამ რიგათ სიტყვს გამოთქმასა.

მე რომ არ ვყოფილვიყავ ქართველ მწერლებისაგან შობილი, უთუოთ ეხლანდელი ნასწავლი ქართველები ჩემ ყოფნის საჭიროებას დაინახავდნენ და შესწამებდნენ მათ „რეტიანობასა“

მოუფიქრებლობისათვის. ეხლავა, რადგან ძუძუმა მწერლებმა მომიფიქრეს მე, ისინივე, ამისგამო, ხადიან მათ „რეტიანებად“. საკურველი არა არისრა: სოფელი წინააღმდეგობაზედ არის დაფუძნებული, მეცხრამეტე საუკუნელა – უარისყოფელობაზედ. ნეტავი, თქუნიის სიცოცხლით, უარისყოფელები მიხუდნენ მაინც ავტორიტეტების აზრსა, მიზეზსა და გარემოებასა... და... რაღა გამოვაშკარაოთ! „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.<sup>9</sup>

რა მაგ სიტყვის პასუხია და უ. დავ. ყიფიანის მოძღვრებამ ძლიერ გასჭრა. ვინ მოიფიქრებდა, რომ ჩემი გულითადი და თანაშენირული მეგობარი მილალატებდა. მე წავიკითხე „საქართველოს მოამბეში“ ამ ჩემის მეგობრის ქმნილება, რომელშიაც ავტორი ადგილ-ადგილ კარგა ენაწყლიანობს, მაგრამ წაკითხვაში მისი მჭევრმეტყუწილი სიტყუწები ეკალივით მედებოდნენ ენაზედ. ეჰ, საყურელო! პირმოთნეობა არის სისუსტე ხასიათისა. რათ მილალატე! რათ ულალატე ჭეშმარიტებასა! ვისაც ძღუწნი უძღუწნი გულითა, განა ღირდა იმათ! რა შეიძინე? ისი, რომ დაიბეჭდა შენი ქმნილება? ვსთქუათ, და რა გამოვიდა? ისი, რომ შენმა ქმნილებაამ ენა დამიგლიჯა?..

ეხლა ვიტყვ ორიოდე სიტყუას ჩემს გულითად საყურელს მეგობარზედ **მ**, მაგრამ ვხედავ თუთან **მ** გამზადებულა სათქმელად სიტყუსა და მე დავჩუმიდები.

ადგა **მ** და დაიწყო:

„მონყალენო ხელმწიფენო! აქამდინ ჩუწნ ვცხოვრებდით ერთათ, განუყრელათ. დღეს ვხედავ, უ. **ე** მენწინააღმდეგება და ცდილობს ჩემი ადგილი დაიჭიროს, თუთქოს ჩუწნ კრებაში მაგას ადგილი არა ჰქონდეს. მე დევნა ბოროტისაგან არ მიკურს: მე მიკურს მხოლოთ, რატომ აქამდისინაც ჩემმა მტერმა დევნა არ დამიწყო. მაგრამ მე არავის არ მეშინიან და იმედი მაქუს, ჩემის ადგილიდამ ვერავინ დამძრავს; მე ვიქნები მარად თქუწნთან, ვინამ თქუწნ იქნებით ქართულ ენაში და ეს ენა სხუა სჯულისა არ გახდება მე დარწმუნებული გახლავარ, რომ **ე** ჩემ ადგილს ვერა დროს ვერ დაიჭერს, მევი მაგის ადგილს მრავალ შემთხუწვაში დავიჭერ. თქუწნს შეუცთომელ გონიერებას ვერწმუნები, იმედი მაქუს ჩემის მოპირდაპირის მტრათ

არ დამინახავთ და მოისმენთ ჩემ საბუთებს სრულის ყურადღებით.

ერთნი მოგახსენებენ, ვითომც მე ვიყო იგივე ე, სხუანი – ვითომც ქართველებს უნინ არა ჰქონოდესთ **ე**, და მე ვყოფილვარ იმისს მოადგილეთ; შემდგომლა, როდესაც **ე** მოუპოვნიათ, მე, როგორც უსარგებლო თქუწნ კრებიდამ არ ამოუშლივართ. არც ერთი აზრი არ არის საფუძვლიანი ქართულ ენაში უამასოთ: **ე** არა დროს არა ყოფილა, ამიტომ რომ მე ჩემის ხასიათით შამეძლო დამეჭირა და დღესაც დავიჭერ **ე**-ს ადგილს მხოლოდ რავდენიმე ქართულ სიტყუწბში საკუთრად, სადაც **ე** ჯგუფთს შეუდგება **ე**; მაგ: „ჩუწნ“, აქ **ე**-ს ადგილს მე დავიჭერ, სიტყუაში ლა: „სიმტიკიცე“ – მე არ შემეძლიან დავიჭირო **ე**-ს ადგილი. შემომხედეთ, დაინახეთ ჩემი გამოსახულობა და დარწმუნდით, რომ ჩემი გამომსახველები ბრძენნი ყოფილან და არა „რეტიანები“. მე ვარ გამოსახული ფრთის მზგავსათ. რათა? იმათა, რომ მე ზოგიერთ სიტყუწბში მოუხეშავს **ე** ვამტვრევ მრავალ ნაწილათ, ვასუსტებ, ვარბილებ, ვანაზებ და გავშლი, როგორც ფრთა გაიშლება, რომლისგამო ქართული სიტყუა მშუწნიერდება დიახ, მე ვარ ფრთასავით გამშლელი **ე**-სა. სჩანს, რომ მე **ე**-ზედ უნინ არა ვყოფილვარ და იმისი ადგილი უიმისოთ არა მჭერია. ამ ჭეშმარიტებაზე დარწმუნდებით კიდევ მით, რომ განსაკუთრებით **ე** ჯგუფთს მოუჯდება გვერდით, ვ-საც ამიტომ, რომ ამ ასოსთან **ე** ვერ დაჯდება, თორე გამოვა, მაგ., „ჩუწნ“, ესე იგი, მოუხეშავი **ე**-ნი გაატლანქებს სიტყუასა: მეკი გავშლი ჰაერში **ე**-სა და სიტყუა გამოითქმის ბუნებით ქართულათ. თუ ზოგიერთ შემთხვევაში მე დავიჭერ **ე** ადგილს და გავშლი მას, მაშ სჩანს, რომ მე არა ვარ იგივე **ე**, როგორც ამტიკიცებენ ზოგნი, მაშასადამე ჩემი ხმარება წერილში საჭიროა.

მაგალითს, ნამდვლ მაგალითს მოგახსენებთ: მე შევხვედრივარ უცხო ქუწყნის კაცსა, ქართული ენის კარგა მცოდნესა, რომელსაც ვერ ეძლო, – ენის გაუტეხელობით, გამოეთქო სიტყუწბი: „ჩუწნ“, „თქუწნ“ და სხ. ისე ნარნარათ და თავისუფლათ, როგორც ქართველი გამოიტყვს ძალდაუტანებლივ. ისი ამ სიტყუწბის გამოთქმაში ძალს იტანდა, ტუჩებს იგრეხდა, რისყოფით, რისამბით იტყოდა ხოლმე ასე: „ჩუწნ“, „თქუწნ“ და სხ. სწორეთ მიბძანეთ, გაშლა, თავ-



ისუფლათ და ნაზათ წარმოთქმა ე სიტყვებში: „ჩქნ, თქქნ“ და სხ. სჯობია და უფრო სასიამოვნოა სმენისათვის, თუ შანჭრაქულათ გამოთქმა ასე: „ჩვენ, თქვენ“ და სხ. თუ არ მერწმუნებით, აიღეთ „საქართველოს მოამბე“, წაიკითხეთ სწორეთ ისე, როგორც სწერია და – მაშინ დამეთანხმებით, რომ ე სრულიად ვერ დაიჭერს ჩემ ადგილსა. უფრთხილდით, – ეს თქქნი მოვალეობაა, – რომ ქართული ენა ოდესმე არ გაშანჭრაქედეს.

იქნება მკითხონ: თუთან შენ ჟ და შენ თავს არა ხმარობო ზოგიერთ სიტყვაში, მაგ. შენ სწერო: „საქართველო“, გამოიტყვო: „საქართულო“? – მართალია ეს შენიშვნა, მაგრამ ეს შეცთომით არ მამსვლია: მე განგებ ასე დავწერე, რომ თუთან თქქნ მიგექციათ ამაზედ ყურადღება. მე უფრო საჭიროს და ნამდვლს ურჩევ „საქართულოს მოამბელებსა“. ეს უფლები, რომელნიც ძლიერ სწყალობენ ჰს, ამ ასოს წარამართ (მეტის სიყუარულით თუ მოსდისთ!) ხმარობენ და მით ხშირად ამახინჯებენ სიტყვასა. საცა საჭიროა, არა სმენ ჰ, საცა სრულიად არ მოუხდება სიტყვასა, იქა სმენ; სჯობს, ამ საგანზედ მიაქციონ თავიანთი ყურადღება, – ეს უფრო დიდ სარგებლობას მისცემს იმათ, ვიდრე ჩემზედ ყურილი.

კიდევ მეტყვან: არავინ იცისო კანონები, რომელ სიტყვაში უნდა იხმარონ, ან არ იხმარონ ჟ და ზ, ამიტომ რომ ყველამ გაიადვლესო დასმა ჟ მაგიერ ვ და ზ მაგიერ ე – ამ მიზეზით ვერავინ გამართლდება. „საქართველოს მოამბელებმა“ ჰს ხმარება სრულიად არ იციან, მაგრამკი ხმარობენ, თუმცა წარამართ. მაშ რაღა, ჰ გარდავაგდოთ? – რა სამართალია! ყველა ქართულმა ბუნებით იცის, რომელ სიტყვაში ვს და ეს თავისუფლათ ვერ გამოიტყვს, საჭიროა მხოლოდ წერაში ყური ადვენოს და ისე დასწეროს, როგორც თუთან სრულიად ძალდაუტანებლივ გამოიტყვს სიტყვასა.

სუს, სუს, შე რუტინისტოვო! დაცინებით შემომიტყვს ვინმე: შენ ძქწლი კაცი ხარო და ყოველივე ძქწლი გიყუარსო; ახალი, ახალი მდგომარეობა გვინდაო. – კეთილი. მაგრამ ყველა ახალი

---

\* რუტინისტი – ძქწლი აზრების მიმდევნი.

არც არის გამოსადეგი და სასარგებლო, არც სამუდამოთ დასარჩენი. მეორეს მხრით, ვინ ჩაგაგონათ, რომ მე ვიყო დაძულებული? არა, მე ყოველთვის ყმანული ვარ, თუმცა წვერი და თმა დიდი ხანია გამითეთრდა. იმისთანა ახალი მოიგონეთ, რომ ჩემსავით უკუდავ-უბერებელი დარჩეს. მე რომ ძალათ მამკლათ და დამმარხოთ, ვინ იქნება თავს-მდები, რომ ჩამომავლობა ჩემს ყოფნას საჭიროთ არ დაინახავს და მკუდრეთით არ აღმადგენს!..“

**ჯ**მ სთქჳა:

„ძმანო და მეგობარნო! მუზიკაში სალამურს უმთავრესი ადგილი უჭირავს, თანასწორათ სკრიპკისა.<sup>10</sup> ბედნიერია ის ენა, რომელიც მომშტუნოა. ქართული ენა სწორეთ მომშტუნოა. აიღეთ მაგალითად სიტყვები: „ფქული, შული, თუს“ და სხ. ამ სიტყვების გამოთქმაში ქართული უშტუნს და სმენისათვის უკეთესი სალამური აღარ შეიძლება. თუ ჩემ მაგიერ გამოიტყვან **ვ**, მაშინ გამოვა უმსგავსება. განგებ გამოთქუთ ასე: „ფქვილი, შვილი, თვისი“ და სხ., თუ არ დარწმუნდეთ ამათ უმზგავსობაზე. მაგრამ თუ გენებებათ ნახდენა ქართულის ენისა, მე მზათ გახლავარ გავიდე ამ ბრწყინვალე საზოგადოებისაგან. მშუდობით ბძანდებოდეთ, მხოლოთ, ამ ჩემს უკანასკნელ ჟამს ვედრებითა გთხოვთ, ჰკითხოთ, ჩემ სახსოვრათ, „საქართველოს მოამბესა“, სადაური ქართულიათქო: „იფ“, რომელსაც ხშირათ ხმარობს ისი თავისს სტრიქონებში? ის გადამითული ქართული ხომ არ არისთქო, რომლის „გრამატიკის კანონებისათუს“ უ. ყიფიანი მასალებს გვიმზადებსთქო? მამილოცავს ეხლანდელი ცვლილება. დიდი ცვლილება მოხდა, რასაკურველია, დიდის გონებისაგან, ეხლაკი მშუდობით; ღმერთსა ვსთხოვ, თქუნს მაინც ერთობლივ შერჩეთ დიდ რეფორმატორებსა“.

„მოითმინეთ ყმანვილო. – უთხრეს **ჯ**: ქართულის ენის სალამურსა არა აქუს უფლება, დაუტეოს ჩუნნი საზოგადოება თავისის ნებით, დაბძანდით თქუნს ადგილს და კარგა მუხლები მოიკეცეთ“.

**ჟ**. „მე ვარ შემოკლებული **ჰი**; მაშასადამე შეიძლება აღარ ვიყო თქუნს კრებაში“.

**კ**. „სწორეს მოგახსენებთ, მე ვარ თქუნსში შემოყვანილი ზოგი-

ერთ სიტყუბის გასარჩევლად, – მაგ. „ხელი“ (ასო) და „ხელი“ (გიჟი), – თორე ჩემში სხუა საჭიროება არა რა იპოება, რადგან აზრით ყველა მიხუდება, სიტყუა „ხელი“ ლექსში რასაც ნიშნავს, ამიტომ მე ამ უამიდამ საუკუნოთ გამოგეთხოვებით“.

**ჭ.** „ამბობენ, ვითომ მე ვიყო შემოკლებული: **ჭოი**. ეს მართალია, მხოლოთ ნახევრათ. ქართულებს ეჭირებოდათ გამოეთქუათ ამ სამ ასოებში: **ჭოი**, ასო **ი** შემოკლებით, ანუ ნანყვეტათ, როგორც რუსული **ჩ**. რადგან ამისთანა (**ჩ**) ქართულს ენაში არ იყო, ამიტომაც მე მომიფიქრეს, მაგრამ უნდა გაგიტყდეთ, რომ მხოლოთ ამ ერთ შემთხუვისათუ ვარ მე დაბადებული. ეხლა **ჭოი**, აღარ სადმე იხმარება ქართულ წერილებში; მაშ მე მეტი ვარ თქუწნი“.

**ჭ.** „მე ვარ ევროპიელი და არა თქუწნის ქუწყნისა, მე სრულიად არა ვსაჭიროებ გავიდგა ფესვი საქართუწლოშიაცა. ნახევარ საუკუნეა, რაც მე შემომახეტეს თქუწნი და შემომახეტეს უთუოთ იმ აზრით, რომ საქართუწლო განათლდეს ევროპიასავით. აზრი კარგია, და ქართულებიც თუ არას მოიპოვებდნენ ჩემის შემწეობით, ჩემგნით ვნებას არა ნახავდნენ. ფრანცუზებს ჰქონდათ თავისი საკუთარი **კ**, მაგრამ რუსული **к**-ც გადიტანეს თავიანთში. ქართულები იტყუნ: „ფილოსოფია, ფიზიკა“ და სხ. მაგიერ ამ სახით გამოთქმისა, რომ იტყოდნენ: „ფილოსოფია, ფიზიკა“ და სხუა ამ გვარ ტეხნიკურ სიტყუბსა, მგონია ქართულები უფრო გაამუწუნიერებდნენ თავიანთ ენასა და ევროპასაც დაუახლოვებოდნენ. უ. **ფ**-ს პატივისმცემელი ვარ, მაგრამ, თუ სისწორით ვიტყუ, ისი ჩემს ადგილს ვერ დაიჭერს. ნურავინ იტყუს, რომ ქართუწლი გლახი მე ვერ გამომიტყუს. როდესაც წიგნს ისწავლის, კარგა გამომიტყუს. რუსეთშიაც ბევრ ხალხს არ შეეძლოთ ჩემი გამოთქმა და დღესაც უსწავლელ გლახებს არ შეუძლიანთ, მაგრამ ვინც გამოცნა, კარგა გამომიტყუს, მაგრამ ვისაც მე არ უნდივარ, ის მე უფრო არ მინდა. თუ თქუწნი არ შემეხვენებით, მე მით უმეტეს არ შეგეხვენებით. მთელი ევროპა, ამერიკა, ზოგიერთი ნაწილები აჭრიკისა და ავსტრიისა ხელში მიჭირავს; ნუ თუ ვიკადრებ, თავი მოვიმდაბლო და აზიას შევეხვენო! სად არის ჩემი გუდა-ნაბადი?!“

ანბანთ კრებამ აილო-დაილო და დაანესა შემდეგი:

„**ჭ**, **ღ**, **ჯ** საჭირონი არიან წერილში, **ჭ** დროებით დარჩეს ჩუქნი-ში, მანამ ლიტერატორები მაგის სარგებლობასა ანუ ურგებობას დაინახავენ, თუმცა **ღ**, **ქ** და **ჭ** საჭირონი აღარ არიან, როგორც თუთონვე ამბობენ, მაგრამ ესენი უნდა გამოირიცხნენ ჩუქნის კრებიდამ მაშინ მხოლოდ, როდესაც ამათ სრულიად აღარ იხმარებენ სამლო და საერო წერილებში. – უ. დ. ყიფიანის „გრამატიკის მასალები“ საქართველოს ბანს უკან და კარს უკან.

ამ ანბანთ განჩინებას გამოუცხადებ სრულიად საქართველოსა.

1 იანვარს 1864 წ.

სოფ. საყურის-გორა

## **წინათქმა თარგმანისა: ჰიუგო. „ოთხმოც-და-ცამეტიღამ“**

ჯერ გამომკრების სიტყვა

ამ მოკლე დროში შესრულდება ასი წელიწადი მასაქეთ, რაც ფრანცუზებმა თავის ქვეყანაში აღრეულობა მოახდინეს. – ეს იყო 1789-ში და ისტორიაში დაერქვა ამ აღრეულობას პირველი, ანუ დიდი რევოლიუცია ფრანცუზებისა. – სულერთიანად გადააბრუნა ამ აღრეულობამ ყოველი მაშინდელი წყობილობა – სარწმუნოება, საზოგადოება, ხელმწიფობა და სჯულთ-მდებელობა. თავის მთავრს, ლუი XVI-სა, და დედოფალს, მარი-ანტუანეტას, თავი მოჰკვეთეს; მცირე წლოვანი მემკვიდრე იმათი, – დოფინი, ტამპლში დაამწყვდიეს და გილიოტინაღამ\* მდინარეები აადინეს ადამიანის სისხლისა. თავზარი დასცეს მთელს ევროპას.

უკვდავი ვიქტორ ჰიუგო ამ თხზულებით ცხოვლად გვიხატავს, რა მდგომარეობაში იყო ფრანცია ოთხ წელიწადს უკან 1793-ში. ამ მიზეზით თვითონ თხზულებას დაერქვა ოთხმოც-და-ცამეტი.

შემოკლებით მოვიყვანოთ ეს მოთხრობა, მანამდინ ჩვენს სათარგმნელს მივატანდეთ.

ფრანციას განაგებდნენ მაშინ სამინი: რობესპიერი, დანტონი და მარატი.

---

\* თავის კვეთა მეტად გახშირებული იყო მაშინ, მაგრამ რადგან ლაპარაკი სულ კაცობრიობაზედა ჰქონდათ და კაცთ-მოყვარეობაზედ, საჭიროდ დაინახეს, რომ ტანჯვა მაინც შემცირებულიყო და იარაღი მოიგონეს, უცბად, უწვალებლად თავის მომკვეთი და დაარქვეს გილიოტინა, მომგონის სახელი, რომელიც იყო დოქტორი გილიოტენი.

[დ. ყ.]

მაგრამ ესენიც კი, ხან ცხადად, ხან ფარულად, სხვა-და-სხვა წყობილებას ექვემდებარებოდნენ.

უძლიერესი ამ წყობილებათაგანი იყო ხალხის რჩეულთა კრება, რომელსაც დაერქვა კონვანსიონი (convention – გარიგება, შეკრულობა; რუსულად – КОНВЕНТ).

იმას გარეშეთ იყვნენ: საზოგადოების დამხსნელი კომიტეტი (comité de salut publique), საეპისკოპოზო (l'Éveché) და სხვა რამდენიმე წყობა-ყრილობა.

თითქმის მთელი ევროპა ებრძოდა მაშინ ფრანციას და ფრანცია ებრძოდა თავისს დედა-ქალაქს, პარიზს.

ბოლოს ფრანციამ აჯობა ევროპას, მაგრამ ფრანციას პარიჟმა აჯობა.

27 ოკტომბერი 1883.

ს. ქვიშხეთი

## **კიდევ რამდენიმე სიტყვა ა. პ. ბერძენის ხსოვნისათვის**

წლებთან ერთად, ამბობენ, გრძნობებიც ჩლუნგდება, მაგრამ, მიუხედავად ჩემი ასაკისა, ადოლფ პეტრეს ძე ბერძენს მოულოდნელმა სიკვდილმა გული მწუხარებით დამიმძიმა. რომ არაფერი ვთქვათ მისი დამსახურების შესახებ მეცნიერებასა და ლიტერატურაში, პირადად მე მისი სახით დავკარგე მეგობარი და 30 წლის წინანდელი სამსახურიდან შემორჩენილი თითქმის ერთადერთი ამხანაგი; ეს 30 წელი კი, ღმერთმა უწყის, როგორ შემოგვეფანტა. მხოლოდ იგი მაგონებდა 1856 წლის სამსახურებრივ ამბებს, რომლებშიც ერთად ვმონანილეობდით. ნება მიბოძეთ, განსვენებულის ხსოვნის პატივსაცემად გავიხსენო ზოგი რამ, რაც მეხსიერებას შემორჩა.

ჩვენ მაშინ კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოში ვმსახურობდით: მე კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის მოვალეობას ვასრულებდი,<sup>1</sup> ის კი, განსვენებული ადოლფ პეტრეს ძე, მდივნის თანაშემწე იყო – ახალგაზრდა, ზრდილობიანი, მეტისმეტად მორიდებული, თუმცა განათლებითა და მორალური ღირსებებით იგი მთელი თავით მაღლა იდგა თავის თანამოსამსახურეებზე, ხოლო მისი თავმდაბლობა იმდენად გულწრფელი იყო და იმდენად ბუნებრივად გამომდინარეობდა მისი ხასიათიდან, რომ მხოლოდ განუწყვეტელი სამსახურებრივი ურთიერთობისას თუ შეამჩნევდით ამ ადამიანის განსაკუთრებულ ღირსებებს. თუ როგორი ხშირი და მჭიდრო იყო ჩვენი სამსახურებრივი ურთიერთობა, ეს ნათლად ჩანს იმ მაგალითით, რომლის შესახებაც აქვე მოგახსენებთ: მრავალმხრივი განათლება, რიგიანი

წარმომავლობა, ახალგაზრდული, როგორც უკვე ვთქვით, ასაკი, ამასთანავე, მრავალფეროვანი მეცნიერული ინტერესები და კვლევები, რაზეც, როგორც შემდეგ გაირკვა, იგი სამსახურის შემდეგ საათების კი არა, მხოლოდ წუთების დათმობასა თუ ახერხებდა, ეს ყველაფერი მას სრულ უფლებას აძლევდა, თავისი თანამოსამსახურეებისათვის მიეზაძა. არადა, ადოლფ პეტრეს ძე მეფისნაცვლის კანცელარიის ერთადერთი ჩინოვნიკი იყო, რომელიც სამსახურში მხვდებოდა, როცა იქ მივდიოდი და რჩებოდა, როცა იქაურობას ვტოვებდი.<sup>2</sup>

დაე, კეთილმონყალე მკითხველი ამ ფაქტის მოხმობას ნუ ჩამითვლის საკუთარი თავის ქებად – კანცელარიაში მე, ჩვეულებრივ, მივდიოდი დილის 6 და ნაშუადღევის 5 საათზე, ხოლო იქიდან მოვდიოდი ნაშუადღევის 3 და ღამის 11 ან 12 საათზე. და ამას არ ვაკეთებდი ხელმძღვანელობის მიმართ პირფერობის გამო. თუ ვინმე პირფერობას ჩემი ხასიათისთვისებად ჩათვლის, მათ საყურადღებოდ ვიტყვი, რომ მაშინ იქ არც არავინ იყო ისეთი, ვისაც მივეპირფერებოდი – მეფისნაცვალი, როცა მისი კანცელარიის დირექტორის მოვალეობას ვასრულებდი, საერთოდ არ იმყოფებოდა თბილისში<sup>3</sup> და ანგარიშსაც მხოლოდ საკუთარ თავს თუ ჩავაბარებდი. მიუხედავად ამისა, კანცელარიაში ვშრომობდი ძალების სრული მობილიზებით და იმის შეგნებით, რომ მუშაობა ოდნავადაც კი არ უნდა შეფერხებულიყო. ამას მავალბებდა შეგნება სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისა და მიზანი სამშობლოს კეთილდღეობისა. ამიტომაც მიმაჩნდა, რომ თავაულებელი შრომა იყო ჩემი ყოვლად აუცილებელი ვალდებულება. ჩემდამი დაქვემდებარებული ყოველი ჩინოვნიკი წუნდაუდებლად მუშაობდა, მაგრამ არც ის იქნებოდა სამართლიანი, მთელი თავიანთი დრო მათ კანცელარიაში გაეტარებინათ. ამიტომ, როგორც კი თანამდებობრივი ადგილი ჩავიბარე, თანამშრომლებს მაშინვე გამოვუცხადე, რომ სამსახურში ყოფნის ადრინდელი, ანუ კანცელარიაში მოსვლა-წასვლის, წესის შეცვლა არ ევალბებოდათ და არც ის მოეთხოვებოდათ, საღამოობით სამსახურში ყოფილიყვნენ.



ამგვარი ვითარებით ისარგებლა ყველამ და არ ისარგებლა მხოლოდ ერთმა – ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე განათლებულმა ადოლფ პეტრეს ძემ. გასაგებია, რომ სამსახურში ყველაზე ხშირი ურთიერთობა მასთან მიწევდა და მისი უჩვეულოდ ბეჯითი შრომის შედეგებითაც ყველაზე უხვად მე ვსარგებლობდი. და რაც უფრო ვუახლოვდებოდი ერთმანეთს, მით უფრო სასიამოვნო ხდებოდა ჩვენი ურთიერთობა, მით უფრო ღრმავდებოდა ჩვენ შორის ურთიერთპატივისცემა და, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჩვენი თანამშრომლობა სულ რამდენიმე თვეს გაგრძელდა და მას შემდეგ მთელი 30 წელიწადი გავიდა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეს ურთიერთპატივისცემა იოტისოდენადაც კი არ გაფერმკრთალებულა. ბოლო დროს ჩვენ იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს, თუმცა ეს შეხვედრება ადასტურებდა ჩვენი მეგობრობის ურღვევობასა და მზაობას, ერთმანეთისთვის გულთბილად ჩამოგვერთვა ხელი.

სამწუხაროა, დიდად სამწუხაროა! აღარც ეს მეგობარი შემრჩა, სამსახურის გულითადი ამხანაგი ჯერ კიდევ 1856 წელს! ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ დიდი დარტყმა იქნებოდა ჩემთვის ცნობა იმის შესახებ, რომ გარდაიცვალა ა. პ. ბერჟე, რომლის სახითაც მისმა მეგობრებმა და მეცნიერებამ კავკასიის შესახებ უდროო და მძიმე დანაკლისი განიცადეს.

[1886]



საინსტიტუტო თხზულებები



## თამარ მეფის საუკუნე

ადამიანის ცხოვრებაში არის ასაკი, რომელსაც „შესაძლებლობათა გაფურჩქვნის“ პერიოდს უწოდებენ. ამ დროს პიროვნების ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება მაქსიმუმს აღწევს. ხალხის ცხოვრებაში არის ასაკი, როცა ეს ხალხი თავისი პოლიტიკური აღზევების უმაღლეს საფეხურს აღწევს და ამას „ოქროს საუკუნეს“ უწოდებენ. ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში კონკრეტული პიროვნებისა თუ მთლიანად ხალხის განვითარების დონე შეფარდებითია, თუმცა როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მკაფიოდ გამოიკვეთება ხოლმე განვითარებულობის ისეთი ხარისხი, რომელიც მეტ-ნაკლები ბრწყინვალეობით გამოირჩევა და რომლის დაძლევა უკვე აღემატება პიროვნებისა თუ ხალხის შესაძლებლობებს.

პიროვნება სიცოცხლის ბოლომდე ინახავს მოგონებებს იმ საგმირო საქმეების შესახებ, „შესაძლებლობათა გაფურჩქვნის“ პერიოდში რომ ჩაუდენია; ხალხი კი თავისი „ოქროს საუკუნიდან“ იმ წინაპართა სახელებს იხსენებს, რომელთა საგმირო საქმეებიც სხვა ისტორიულ თუ ლეგენდურ მოვლენებზე უფრო მეტად ედება საღბუნად მის პატრიოტულ გრძნობებსა და ეროვნული ღირსების განცდასაც აღამაღლებს. – როცა შთამომავლები თავიანთ მონათხრობში საკუთარი წინაპრების „შესაძლებლობათა გაფურჩქვნის“ პერიოდში ჩადენილ საქმეებს გაზვიადებული ბრწყინვალეობით წარმოაჩენენ, ჩვენ ამას უნდობლად ვეკიდებით. როცა შთამომავალთა მონათხრობში წინაპართა სასახელო საქმეები წინასწარგანზრახულადაა დაკნინებული, ეს ჩვენს უკმაყოფილებას იწვევს. რაც შეეხება მთხრობელს, რომელიც ისტო-

რიული მოვლენების შესახებ გვიამბობს, ჩვენ მასზე წარმოდგენას იმის შესაბამისად ვიქმნით, თუ რამდენად შეძლებს იგი ხალხის ცხოვრებაში პიროვნების წარმოჩენას.

საქართველოსთვის „ოქროს საუკუნე“ თამარის მეფობის ხანაა. მართალია, ბევრი მეფის – ვახტანგ გორგასალთა, დავით აღმაშენებელთა, არა ერთი და ორი გიორგის, დიმიტრის, ალექსანდრესა და სხვ. – სახელები ქართველთა შეგნებაში გარდასულ დღეთა გმირულ საქმეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ, აბა, ჰკითხეთ პირველსავე ქართველს, რომელიც შეგხვდებათ გნებავთ კახეთში, გნებავთ შავი ზღვის სანაპიროებზე, ყაზბეგის მისადგომებთან, ქართლში, ერთი სიტყვით, სადაც არ უნდა შეგხვდეთ:

– ვინ განადიდა საქართველოს სახელი? ვინ განავრცო მისი საზღვრები? ვინ დათრგუნა ქვეყნის მტრები? ვინ განამტკიცა მართლმადიდებლობა?

დაუყოვნებელი პასუხი იქნება: – თამარმა!

– ვინ აღმართა ამ მაღლობზე ეს ტაძარი? ვინ ააგო ეს ციხე-ბურჯი?

ჰკითხეთ ნებისმიერი ძეგლის შესახებ, რომელიც ქართველთა ძველი დიდების დასტურად ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ და მაშინვე გიპასუხებენ:

– თამარმა!

– გქონიათ რაიმე სახის ლიტერატურა? – იკითხავთ თქვენ.

– როგორ არა, გქონია! რუსთაველი, ჩახრუხაძე, აბდულ-მესია,<sup>1</sup> სარგის თმოგველი, პეტრინი... აი, ჩვენი ლიტერატურის კორიფეები.

– როდის ცხოვრობდნენ ისინი და რით გამოიჩინეს თავი?

– თითქმის ყველანი ცხოვრობდნენ თამარის დროს და მოღვაწეობდნენ მის კარზე. რუსთაველი ავტორია ვეფხვის-ტყაოსნისა, ჩახრუხაძე თამარიანისა, აბდულ-მესია ავტორია...

– და ესენი რა ნაწარმოებებია?

– ვეფხვის-ტყაოსანი პოემაა, რომელიც ჩვენში სარგებლობს ხალხის ისეთი სიყვარულით, როგორი სიყვარულითაც უსარგებლიათ როდისმე უდიდეს პოეტთა საუკეთესო ქმნილებებს. მთელს

საქართველოში ვერ იპოვით, უკიდურეს შემთხვევაში, კეთილშობილი გვარის ოჯახს მაინც, განსაკუთრებით კი ქალებს (არსებითად ისინი შეადგენენ ჩვენში მკითხველ პუბლიკას), რომელშიც ზეპირად არ ეცოდინებათ მთელი გვერდები პოემისა, ზოგ შემთხვევაში, მთლიანად პოემაც კი თავიდან ბოლომდე. თამარიანი სწორუპოვარი ქმნილებაა წარმოსახვის მრავალფეროვნებით, რითმათა განსაცვიფრებელი სიმდიდრით, სიტყვათა საკვირველი, უმაგალითო თამაშით. ეს ყველაფერი დაწერილია თამარის ეპოქაში; იმ ეპოქაში, რომელსაც მიეკუთვნებიან ჩვენი საუკეთესო მხატვრები, საუკეთესო ფილოსოფოსები, ხუროთმოძღვრები, მათემატიკოსები. თამარის ეპოქა ჩვენი სიამაყეა, ჩვენი სახელია, ჩვენი დიდებაა. უკეთესი ხანა ჩვენი ცხოვრებისა, უბრალოდ, არ არსებობს, – ამას გეტყვით ნებისმიერი ქართველი, ქალაქელი იქნება იგი თუ მთებში მცხოვრები.

დასასრულ, სახელი თამარისა, რომელსაც ხოტბა შეასხა სამმა პოეტმა – მართალია, არცთუ მრავალრიცხოვან მკითხველთა წრეში ცნობილმა,<sup>2</sup> მაგრამ მაინც სამმა დიდმა პოეტმა – საქართველოში იქამდეა განდიდებული, რომ ყველაფერს, რასაც კი გამოიჩეულობის ბეჭედი აზის, სწორედ მის ეპოქას მიაკუთვნებენ.

სხვა ქვეყნებში ასეთი პიროვნებები გვიანდელი ხანის პოეტებში წარმოშობენ აღმაფრთოვანებულ იდეებს, მთხრობლებში – აღმალლებულ და კეთილშობილურ აზრებს, ისტორიკოსებში – სწრაფვას მათი სახელის განდიდებისაკენ, თითოეულ ადამიანში – მათი სიდიადისადმი მონიწილებულ დამოკიდებულებას. ჩვენში კი რა ხდება? – ჯერ არ მომხდარა, შვილებს მამები მასხრად აეგდოთ, მაგრამ გამოჩნდა ერთი სხვა სახის მაგალითი.

ბ-ნი ევლახოვი, იცავს რა საკუთარ თარგმანს ბ-ნი დ. ჩ-ის<sup>3</sup> კრიტიკისაგან, უარყოფს თამარის ეპოქის სიდიადეს,<sup>4</sup> ამასთანავე, არ ასახელებს არა მარტო უკეთეს ეპოქას, არამედ მნიშვნელობით მის თანასწორსაც კი. მე აქ არაფერს ვამბობ იმაზე, თუ როგორ წამოსცდა მას – ვეფხვის-ტყაოსანს საქართველოში ცოტანი კითხულობენ და ცოტას თუ გაეგება მისიო.<sup>5</sup>

ბ-ნი მაისუროვი, მოგვითხრობს რა ვარდციხის ინტრიგებ-

ზე, ლაფს ასხამს თამარის უმნიცკლო სახელს: მას ისეთ ამბებს მიანერს,<sup>6</sup> რომელიმე მარგარიტა ბურგუნდიელსა და la tour de Nesle-ს რომ უკავშირდება<sup>7</sup> ან კიდევ ერთ ბნელით მოცულ პირს, გადმოცემის მიხედვით, იმ კოშკში რომ ცხოვრობდა, რომლის ნანგრევები მცხეთასთან, საფოსტო გზის პირას მოჩანს და თავისი სახელწოდებით დედაბერს უკავშირდება – მას ბებრისციხეს უწოდებენ.<sup>8</sup>

ბ-ნები მაისუროვი და ევლახოვი ნიჭიერი, იმედის მომცემი ახალგაზრდები არიან, მაგრამ ტალანტი ადამიანს ჭარბად არ ეძლევა – მას დამუშავება სჭირდება, შრომა, განათლების მეშვეობით განვითარება და განწმენდა.

ბ-ნი მაისუროვის მოთხრობის „ვარდციხე“ შეფასებისას – თუ არაფერს ვიტყვით ამ არაისტორიული მოთხრობის ძირითად იდეასა და ენის მიმართ გამოვლენილ მცირე-მცირე შეცოდებებზე – უნდა ითქვას, რომ მასში არის გრძნობათა სინაფელით აღბეჭდილი და, ზოგ შემთხვევაში, მარჯვედ დანერგილი ეპიზოდები.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით იმავს ვერ ვიტყვით ბ-ნ ევლახოვზე, რომლის თხზულებებიც აქა-იქ თუ შეგვხვდრია.

გავბედავთ და ორივეს ერთ გულწრფელ, მეგობრულ რჩევას მივცემთ, თუკი ისინი ამ რჩევას შესაფერისი ღირსებით მიიღებენ: საკითხის სათანადო შესწავლის გარეშე ნუ გამოაქვეყნებენ საკუთარ საისტორიო შეხედულებებს, რამდენადაც დღესდღეობით მკითხველ წრეებში ცოდნა ჩვენი ისტორიისა მწირია და, შესაბამისად, გაადვილებულია ამა თუ იმ საკითხის გარშემო მკითხველთა შეცდომაში შეყვანა. ორივე, რასაკვირველია, დამეთანხმება, რომ საკმაოდ ძნელია – იყო ვეფხვის-ტყაოსნის მთარგმნელი და თამარისდროინდელი მოვლენების მთხრობელი. სხვა მხრივ, ყველას სურვილია, მათ მიაღწიონ იმ დონემდე, რომ ერთი საქმეც ადვილად გამოუვიდეთ და – მეორეც.

[1846]



## წინა – საქართველოს განმანათლებელი

საქართველოს ეკლესია ყოველწლიურად ზეიმით მიაგებს პატივს თავისი განმანათლებლის, წმ. ნინოს, ხსოვნას. ყოველ 14 იანვარს თბილისის სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დიდძალი ხალხი იკრიბება და წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ მოწინებულ გრძობით მჭიდროდ გარს ერტყმის ჯვარს. ეს ჯვარი სინდინდეა – ძვირფასი თითოეული ქართველისათვის; იგი სიძველეა – მოწმე იმ მოვლენებისა, 14 საუკუნეზე მეტი ხნის წინ რომ მოხდა.

წმ. ნინოს სასწაულებრივი ღვაწლის აღნიშვნა საზეიმო წირვით წელიწადში ერთხელ ხდება. ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების ზედმიწევნით აღდგენისათვის კი ჩვენ ხელთა გვაქვს ან აღმოსავლური ფერადოვნებით შეზავებული და, ამდენად, ნაკლებად სანდო და დამაჯერებელი ზეპირგადმოცემები, რომლებიც ისტორიას თავის ჩარჩოებში აქცევს, ან კიდევ ვახტანგ V-ის<sup>1</sup> და მისი შვილის, ვახუშტის, მათიანეები. თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც დაბრკოლებებს ვაწყდებით: ნაბეჭდი მათიანეები არ მოგვეპოვება, ხელნაწერები ცოტაა, მათგან სანდონი და სარწმუნონი – კიდევ უფრო ნაკლები.

ვახტანგმა საქართველოს მათიანის ანუ „ქართლის ცხოვრების“ შედგენისას გამოიყენა მის დროს არსებული ყველა მათიანე და „ცხოვრებანი“, მცხეთისა და გაენათის გუჯრები, მეფეთა წყალობის წიგნები, სომხეთისა და სპარსეთის ისტორიის მასალები. მისი ნაშრომ-ნაღვანის განხილვა-შეჯერება და გაცხრილვა მოხდა ვახტანგის თანამედროვე სწავლულ კაცთა მიერ. ეს გარემოება თხზულების ვახტანგისეულ დასათაურებაში ჩანს.<sup>2</sup> ვახტანგს

ზოგჯერ უჭირს თავის შეკავება. იგი ენერგიული ადამიანია – არ შეუძლია ზოგიერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი პოეტურად არ შეალამაზოს, არ შეუძლია ზოგიერთ ამაღელვებელ ეპიზოდს დი-ალოგური ფორმა არ მისცეს. იგი მეფეა, მონაცვლე სახელოვანი მეფეებისა, ბუნებითაც მგზნებარე წარმოსახვის ადამიანია და ამიტომაც ზოგჯერ უნებურად წინაპართა პოეტიზაციას ცდილობს. პოეტიზებული ისტორია კი უმეტესწილად კარგავს თავის ნამდვილობას.

ვახუშტი, მისი შვილი, მომდევნო და უკანასკნელი ჩვენი მემატიანე, საქმეს უფრო ცივი გონებით ეკიდება, მისი ნაწერი გრძნობებისაგან თავისუფალია, სისტემურია. ვახტანგი პოეტი-ისტორიკოსი იყო, ვახუშტი – ჩვეულებრივი ისტორიკოსი, ჩვეულებრივი მემატიანე. ვახტანგისგან მან ამოიღო ყველაფერი, რაც ზედმეტად მოეჩვენა, რასაც ფანტაზიის ბეჭედი ემჩნეოდა, რაც ფერადოვანი იყო და თავისუფლად სუნთქავდა და, შესაბამისად, პირველი მათიანე მნიშვნელოვნად შეამოკლა კიდევც.

დიდია დღეს წინოს მიმართ ინტერესი ამიერკავკასიაში მცხოვრებ რუსთა შორის. წინოს ისტორია თითოეული ჩვენი თანამედროვე ქართველის ინტერესის საგანიცაა. თვითონ ეს ისტორიაც ისეთი ენერგიითაა სავსე, ისეთი მაღალი სულიერებითა და პოეტურობით არის აღბეჭდილი, რომ, რასაკვირველია, მკითხველს ურჩევნია წაიკითხოს ვახტანგის გავრცობილი – თუნდაც პოეტიზებული – მონათხრობი. შემოკლებულ აღწერაში კი გამოტოვებულია ბევრი ისეთი რამ, რაც, მართალია, ავტორს არაარსებითად მიუჩნევია, მაგრამ ფასეულია მკითხველისათვის და, განსაკუთრებით, მკვლევართათვის. არსებობს სხვა წყაროებიც, რომლებშიც გვხვდება მეტ-ნაკლებად სანდო ცნობები წმ. წინოს შესახებ, მაგრამ ეს საეკლესიო წიგნებია და მხოლოდ მკვლევრებისთვისაა ხელმისაწვდომი.

ამიტომაც უმჯობესად მიგვაჩნია, წმ. წინოს ცხოვრების გადმოცემისას ვახტანგისეული თხზულება იქნეს გამოყენებული. მაგრამ, სანამ ამ საქმეს შევუდგებოდეთ, თუნდაც გაკვირით უნდა შევეხოთ ვახტანგის წინათქმას, რომლითაც იწყებს იგი წმ. წინოს

ცხოვრების აღწერას. აქ გადმოცემული ცხოვრება, – წერს ვახტანგი, – სიკვდილის წინ თვითონ წმ. ნინოს მიერაა მოთხრობილი. ხოლო მისი მონათხრობი ჩაინერა ლეთისმოსავმა მეფის ასულმა, წმ. ნინოს მოწაფე სალომე უჯარმელმა – უფლისწულ რევის ცოლმა და სომეხთა მეფე თრდატის ასულმა.<sup>3</sup> ამგვარი წინათქმა აქ წარმოდგენილ თხზულებას მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს...

[1849]

## რამდენიმე მოსაზრება საქართველოს ისტორიის მასალაზე

წინათქმის ნაცვლად  
(ნაწყვეტი წერილიდან გრაფ ვ. ა. სოლოგუბისადმი)

რუსეთის ისტორიულმა ქრონოლოგიამ თავის ფურცლებზე აღბეჭდა ისეთი მოვლენები, როგორებიცაა 1783 წელს მეფე ერეკლეს მიერ რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება, ხოლო 1800 წელს – ქართული სამეფოს შეერთება რუსეთთან.

ისტორიაში მოხსენიებული იქნება ამ მოვლენებთან დაკავშირებული ცალკეული დეტალები და ჩვენი მომდევნო თაობები შეიტყობენ, რომ საქართველო საკუთარი მეფისა და ხალხის სურვილით შეუერთდა რუსეთის სახელმწიფოს.<sup>1</sup> მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი მოხსენიებული იქნება გაკვრითა და სასხვათაშორისოდ ვლადიმირის, ივანე მრისხანის, ბორის გოდუნოვის, ალექსი მიხეილის ძის, პეტრე დიდის სახელებთან დაკავშირებული მოვლენების თხრობისას.<sup>2</sup> საქართველოს სახელს წაანყდებიან სხვა, იმ ძველი თუ ახალი ხალხების ისტორიებშიც, რომელთა ფორმირება კაცობრიობის აკვნის მოსაზღვრე ქვეყნებში მოხდა.<sup>3</sup> თუმცა საეჭვოა, შთამომავლებმა საყვედურით არ მოგვიხსენიონ, თუ ჩვენ ხელიდან გავუშვებთ შესაძლებლობას და არ შევიტანთ საკუთარ წვლილს საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში; იმ ქვეყნის შესწავლაში, რომლის ბედი თუნდაც იმიტოა საინტერესო, რომ იგი ისტორიაში ცნობილი პირველი სამეფოების თანადროულად წარმოიშვა და 22 საუკუნის განმავლობაში გაუძლო სახელმწიფოთა წარმომშობ თუ დამამსობელ

დროსა და მოვლენებს. იმ უძველესი მონარქიებიდან, რომელთა არსებობასაც მოესწრო – დაწყებული ნინევიიდან, ასურეთიდან, ფრიგიიდან, ბაქტრიიდან – მხოლოდ საქართველომ შეინარჩუნა XIX საუკუნემდე **დამოუკიდებლობა** და, წარმართთა, ცეცხლთაყვანისმცემელთა და მაჰმადიანთა გარემოცვაში მოქცეულმა, გადაარჩინა თხუთმეტსაუკუნოვანი **მართლმადიდებლობა**.

დღეს, ისლამის მიერ ქრისტიანობისათვის გამოცხადებული გააფთრებული ბრძოლის პირობებში, საინტერესო და საგულისხმო იქნება დაწვრილებითი ისტორიული ცნობები იმ ერთი მუჭა ქრისტიანი ხალხის შესახებ, რომელიც ათას ხუთასი წლის განმავლობაში განიცდიდა ჩინგიზ-ყაენების, თემურლენგების, შაჰ-აბასებისა და სხვა დამპყრობელთა გამანადგურებელ დარტყმებს. მაგრამ სად არის ეს დაწვრილებითი ცნობები? მხოლოდ და მხოლოდ საისტორიო მასალებში, რომლებიც ან ძნელადაა ხელმისაწვდომი, ან მწირადაა შესწავლილი.

მე ვფიქრობ, თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, შეძლებისდაგვარად შეეწიოს საქართველოს ისტორიის წარმოჩენის საქმეს, შეავსოს არსებული მასალები, გამოთქვას საკუთარი შეხედულებები, რათა გააადვილოს სამომავლო შრომა – ადრე თუ გვიან საქართველოს ისტორია სისტემური სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

---

საქართველოს ისტორიის ამსახველ მასალებში ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს ვახუშტი ბატონიშვილის მათიანეს, რომელიც საიმპერატორო აკადემიის წევრმა მ. ი. ბროსემ<sup>4</sup> **1849-1850** წლებში ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოსცა სანქტ-პეტერბურგში.<sup>5</sup> ფრანგული გამოცემის თითქმის ყოველი გვერდის ნახევარი გამომცემლის შენიშვნებს უჭირავს. ამას გარდა, მის მიერვე გამოქვეყნებულია in 4<sup>o</sup> **494**-გვერდიანი წიგნი, რომელშიც შესულია დამატებითი საისტორიო მასალები და განმარტებანი: *Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie*. S.-P. 1851.<sup>6</sup>

ეს გამოცემები მოიცავს საქართველოს ისტორიის პირველ ნაწილს – 1469 წლამდე. ბროსე გვპირდება, რომ თანდათანობით უკვე საკუთარი თხზულების სახით საქართველოს ისტორიის მეორე ნაწილსაც (ანუ საქართველოს ახალ ისტორიას) გამოაქვეყნებს.

ამ სახით გამოცემული *Histoire de la Géorgie* საკუთრივ ისტორიად ჯერ ვერ ჩაითვლება. მართალია, მასში მ. ი. ბროსეს მიერ გამოთქმულია დიდად საყურადღებო შენიშვნები და შეტანილია მეცნიერულად დამუშავებული დამატებანი, მაგრამ არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვს მეტ-ნაკლებად საფუძვლიან შესწავლას.

შეუძლებელია სევდა არ მოგანვეთ, როცა ხელს ჰკიდებთ ისტორიის იმ საწყისების გამორკვევას, რომელთა ნამდვილობა ბავშვობიდანვე გონებაში გაქვთ ჩაბეჭდილი და აღმოჩნდება, რომ საჭიროა შეცვლა და ხელყოფა იმ სიმართლისა, ანგარიშმიუცემლად რომ გინდოდათ დაგეგვრებინათ. ჩვენთვის, ქართველებისათვის, აქამდე მართალი და ხელშეუხებელია ვახუშტის მატიანეში წარმოდგენილი დასაბამი ჩვენი ისტორიისა და ამავე მატიანეში მოცემული ცალკეული ცნობები. მაგრამ ისტორიას აქვს თავისი სიმართლე და მას სრულებით არ აინტერესებს ჩვენი სურვილები თუ წარმოდგენები, იგი დაუნდობელია ჩვენი მიკერძოებული გრძნობებისა და დამოკიდებულებების მიმართ. მარტივი მსჯელობითაც კი ხდება შეცვლა და უკუგდება ყოველივე იმისა, რაც არ შეესაბამება სიმართლეს.

ამიტომაც ღრმა სინანულით უნდა ვთქვა, რომ აკადემიკოს ბროსეს მიერ უაღრესი მეცნიერული სიზუსტით გამოცემულ ვახუშტის თხზულებასა და ამ თხზულების შემავსებელ დამატებით მასალებში, ისევე, როგორც სომეხ და სხვა ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში – მაგალითად, ვახტანგ მეფის, გოგიჯანოვის, ხიტროვისა და სხვ. თხზულებებში – ხშირად გვხვდება არა მარტო არაზუსტი ცნობები, არამედ დაუჯერებელი ამბებიც.

ნებისმიერი, მეტად თუ ნაკლებად ძველი, ხალხის ისტორიის დასაბამი, რასაკვირველია, ერთობ ბუნდოვან, მითოლოგიურ გადმოცემებს უკავშირდება. ამ მხრივ, ჩვენს ისტორიკოსებს

საქმეს უადვილებს თვალსაზრისი საყოველთაო ისტორიული საწყისების შესახებ – კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი ყველა სამეფო ბიბლიური ნოეს შთამომავალთა მიერაა დაფუძნებული და ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ვახუშტი და სხვა ქართველი თუ სომეხი მემკვიდრეები ქართველების მამამთავრად პირდაპირ თარგამოსს, იაფეტის შვილიშვილს, ასახელებენ. საამისოდ ისინი იყენებენ შესაქმეს მეთავე თავის მესამე მუხლსა და პარალიპემონის პირველი თავის მეექვსე მუხლს, რომლებშიც ნათქვამია: „იაფეტის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, ელისა, თობელი, მოსოხი, თირასი. გომერის ძენი: ასქანაზი, რიფათი, **თარგამოსი**“.

მონობა, დავუშვათ, დამაჯერებელია, მაგრამ როგორ უნდა აიხსნას ამის მომყოლი მონაცემები? სახელდობრ:

თარგამოსს ჰყავდა 8 ძე: ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვკანოსი, ჰეროსი, ლეკოსი, კავკასოსი და ეგროსი.

ამათგან **ქართლოსს**, ქართველთა უშუალო მამამთავარს, ჰყავდა 5 ძე: მცხეთოსი, გაჩიოსი, გარდაბოსი, კახოსი და კუხოსი.

და, დასასრულ, ამათგან მცხეთოსს ჰყავდა 3 ძე: უფლოსი, ოძრხოსი და ჯავახოსი.

საკმარისია დავაკვირდეთ უკლებლივ ყველა სახელის დაბოლოებას, რომ ეჭვი შევიტანოთ ზემოაღნიშნულ მონაცემთა ნამდვილობაში – სახელთა ამგვარი დაბოლოებები არ არის დამახასიათებელი არც ქართული, არც სომხური ენებისათვის და მიუთითებს მათს ბერძნულ წარმომავლობაზე. ბერძნული ენა კი შორეული მომავალია იმ ეპოქისათვის, რომელსაც ნოეს უახლოესი შთამომავლობა მიეკუთვნება.

ეჭვს არ იწვევს, რომ ნოეს შთამომავლობა მართლაც არსებობდა, მაგრამ მათი სახელები, როგორც ჩანს, დავიწყებას მიეცა და შემდეგ ისინი ცნობილ გეოგრაფიულ სახელებს დაუკავშირეს. ამასთანავე, ზოგ შემთხვევაში ამგვარი კავშირები მთლად სარწმუნო არ ჩანს.

მაგალითად:

1. ქართლოსს, თარგამოსის ძეს, ისტორიკოსები მიიჩნევენ მდინ-

არე *არმაზის* ნაპირას ქალაქ *ქართლის* დამაარსებლად. ცნობები ამგვარი ქალაქის არსებობის შესახებ კი არც სხვა წერილობით წყაროებში და არც ზეპირგადმოცემებში არ დასტურდება. ისედაც, ეს ამბავი დაუჯერებელია იმდენად, რამდენადაც:

ა) ისტორიკოსების თქმით, როდესაც ქართლოსმა ეს ქალაქი დააარსა, მას საკუთარი სახელი *ქართლი* დაარქვა. მაგრამ *ქართლოსის* გარდაქმნა ქართლად ქართული ენის წეს-კანონთა მიხედვით არაბუნებრივია; ამას გარდა, *ქართლი* ძველად აღნიშნავდა სრულიად საქართველოს მთელი თავისი გეოგრაფიული სიგრძე-სიგანით. გვიანდელ ხანებში ქართლი უკვე ქვეყნის ორ ნაწილს აღნიშნავდა: იმას, რომელიც თანდათანობით ჩამოყალიბდა საათაბაგოდ, ანუ ახალციხის საფაშოდ ძველი ლაზიკითურთ და იმ ტერიტორიას, რომელიც ამჟამად გორის მაზრას მოიცავს. ამ ნაწილებიდან ერთს ერქვა *ზემო ქართლი*, მეორეს – *ქვემო ქართლი*. ამჟამად ეს უკანასკნელი დასახელებები ხალხში გორის მაზრის დასავლეთი ნაწილისა და თბილისის მაზრის იმ ნაწილის აღსანიშნავად იხმარება, რომელიც გორის მაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიას ესაზღვრება.

ბ) ამბობენ, რომ ქალაქი ქართლი ქართლოსმა მდინარე *არმაზის* ნაპირას ააშენა, მაგრამ შეუძლებელია, ქართლოსის დროს რომელიმე მდინარე არმაზად ყოფილიყო სახელდებული – იმავე ისტორიკოსთა ცნობით, სიტყვა „არმაზი“ პირველად ქართლოსის ცხოვრებიდან თითქმის 2 000 წლის შემდეგ წარმოითქვა და წარმოთქვა იგი ფარნავაზმა, პირველმა ქართველმა მეფემ, რომელმაც აღმართა კერპი და მას, როგორც ამბობენ, თავისი სპარსული სახელი, არმაზი, უწოდა.<sup>7</sup> არ არსებობს საფუძველი, არ ვირწმუნოთ ამ უკანასკნელი ცნობის სისწორე მანამ, სანამ დამაჯერებელი ჩანს არმაზის დაკავშირება ორმუხდთან, აურმაზთან ან ორმუხდასთან. ფარნავაზი კი ქრისტეს დაბადებამდე სულ რაღაც 300 წლით ადრე ცხოვრობდა. მანამდე აქაურთა შორის სიტყვა არ თქმულა არც არმაზზე, არც ორმუხდზე და, შესაბამისად – ვერც მდინარესა და ვერც სხვა რამეს *არმაზი* ვერ დაერქმეოდა.

მდინარე არმაზის ნაპირას გაშენებულ ქალაქ ქართლში ის-



ტორიკოსები, ალბათ, გულისხმობენ ქალაქ *არმაზს*, *არმაზციხეს*, სტრაბონის *არმოზიკას*, პტოლემეაიოსის *არმაკტიკას*, პლინიუსის *არმასტიხს*, ანუ *Hamastis*-ს; გადმოცემის მიხედვით, არმაზი მდებარეობდა მდინარე მტკვრის ნაპირას, დღევანდელ მცხეთაში, კაზაკთა საგუშაგოს დასავლეთით, სიმაღლეებზე. კლაპროთის მიხედვით, იგი იწყებოდა მტკვრისა და არაგვის შესართავის პირდაპირ აღმართული მთის წვერზე, გაშლილი იყო ქედის კალთამდე და მთავრდებოდა ზემო ავჭალის პირდაპირ, იქ, სადაც ნაქულბაქევი და გლუკია. თუმცა ასეთი ადგილი, გლუკი, აქ არ არსებობს და, როგორც ჩანს, სომხური სიტყვა *გლუხი*, რაც ნიშნავს *სათავეს*, დასაწყისს ან კიდეც – ქედის ბოლოს, კლაპროთს შეცდომით გეოგრაფიულ პუნქტად მიუჩნევია.

ერთი სიტყვით, როგორც არ უნდა ყოფილიყო ეს ქალაქი ან მისი ადგილმდებარეობა, მისთვის სათავეს დამდებად ითვლება იგივე ფარნავაზი, რომელმაც დააარსა იგი არმაზის მისადგომებთან და სახელადაც არმაზი უწოდა.

2. წინააღმდეგობრივია ისტორიკოსთა მოსაზრებები მაშინაც, როდესაც ამბობენ, რომ ქალაქი *მცხეთა* აშენებულია მცხეთოსის, ქართლოსის ძის, მიერ. ამ ქალაქის კვალი დღესაც აშკარად და მკაფიოდ ჩანს ამჟამინდელ სოფელ მცხეთის მიდამოებში; და ეს მაშინ, როცა ადამიანი არმაზქალაქის ნაშთებს ძლივძლივობით თუ აღმოაჩენს. მცხეთოსი, როგორც ითქვა, საქართველოში არმაზის ხსენებამდე 20 საუკუნეზე მეტი ხნით ადრე ცხოვრობდა. მაშ, რით უნდა აეხსნათ ეს ყველაფერი, თუ არა იმ მოსაზრების გამეორებით, რომლის მიხედვითაც, ნოეს შვილთა და შვილიშვილთა სახელები გვიანაა შეთხზული უკვე არსებულ ქალაქთა და მხარეთა სახელების მიხედვით? ყოველ შემთხვევაში, მცხეთის დაარსება გარდასულ დროთა უშორეს წყვიდადში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ გაცილებით უფრო ახლო ხანებში, იმ დროს, როცა ჩვენთვის ცნობილი მბრძანებლები ტახტზე ადიოდნენ, თავზე სამეფო გვირგვინს იდგამდნენ და მირონს იცხებდნენ. მცხეთა (*Muxem*) ხომ ქართულად, გრამატიკის ენაზე თუ ვიტყვით, სხვა არაფერია, თუ არა სიტყვა *მირონცხების* ბრძანებითი კილოთი წარმოდგენი-

ლი ზმნური ფორმა – *მცხეთ*. ამასთანავე, ამ ქალაქში არსებულ საკრებულო ტაძარში, როგორც ფიქრობენ, დამარხულია უალრესად მნიშვნელოვანი სინმინდე – უფლის უკერველი კვართი. ღვთისმოსავი სიდონიას ძმა მაცხოვრის ჯვარცმის დროს იერუსალიმში იმყოფებოდა და იქიდან ქრისტეს კვართი ჩამოიტანა. სიდონიამ ძმას კვართი გამოართვა, გულში ჩაიკრა და სული განუტევა. იგი კვართთან ერთად დამარხეს. საფლავზე ამოვიდა ხე, რომლისგანაც მირიანის მეფობის დროს უფლის სახლისთვის მთავარი სვეტი გამოჭრეს. სვეტი სასწაულმოქმედი გამოდგა – მისგან დიოდა წმინდა მირონი, რომლითაც მეფეთა მირონცხება ხდებოდა. მცხეთა სწორედ ამას ნიშნავს – *მცხეთ მირონი*.

3. ასეთსავე წინააღმდეგობას ვაწყდებით მცხეთოსის ძე *უფლოსის* შემთხვევაშიც. თითქოს უფლოსმა საკუთარი სახელი დაარქვა კლდეში ნაკვეთ *უფლისციხეს*. ქართული ენის გრამატიკის იმავე წეს-კანონთა მიხედვით, რომლებიც ზემოთ უკვე ვახსენეთ, *უფლის* – ეს არის სიტყვა *უფალი* ნათესაობით ბრუნვაში. მაგრამ, თუ სახელის *უფლისციხე* წარმომავლობას *უფლოსს* დაუვკავშირებთ, მაშინ მივიღებთ არა *უფლისციხეს*, არამედ *უფლოსისციხეს*. ზოგიერთი თანამედროვე მწერალი წარსულის ამ ბრწყინვალე ძეგლს მართლაც *უფლოსისციხეს* უწოდებს, მაგრამ ამით მათ სურთ გაამართლონ თვალსაზრისი იმ ისტორიკოსებისა, რომლებიც უფლისციხის წარმოშობას მაინცადამაინც *უფლოსის* სახელს უკავშირებენ. სინამდვილეში კი არც ხალხის მეტყველებაში, არც ხალხურ გადმოცემებში არსად არ დასტურდება ფორმა *უფლოსისციხე* – ყველგან სწორი ფორმა *უფლისციხე* გვხვდება.

ნოეს შვილთა და შვილიშვილთა შორის არ იხსენიებიან არც ჩერქეზოსი, არც აფხაზოსი, არც ავაროსი, თვით დაღესტანოსიც კი, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, დროში შეუსაბამობის გამო ვერასგზით ვერ მოხერხდება მათი დაკავშირება ქალაქებისა და მხარეების სახელებთან. ერთი სიტყვით, ჩვენ არ ვიცით, სინამდვილეში ვინ იყვნენ დამაარსებელნი ჰაიასტანისა, ქართლისა, ჯავახეთისა, კახეთისა, კუხეთისა, ბარდავისა, მოვაკანისა, ეგრისა, მცხეთისა, უფლისციხისა და ა. შ.

ზოგიერთ მწერალთან კიდევ ერთ საგულისხმო ცნობას ვპოულობთ – მცხეთის ტახტზე ასული ქართლოსის ძე მცხეთოსი, ასევე მცხეთოსის ძე უფლოსი და მათი მომდევნოები იყვნენ **მამასახლისები**.

ეს როგორ? ქართლოსი, ძე თარგამოსისა, ხომ იაფეტის შვილთა შვილი იყო – მისი მხოლოდ და მხოლოდ მეოთხე თაობის შთამომავალი! ნუთუ ნოეს შთამომავლობა ისეთი არაბუნებრივი სისწრაფით გამრავლდა, რომ მეხუთე თაობის პირობებში ხალხების სამართავად უკვე სამეფო ტახტები ყალიბდებოდა? თვით იდეა ტახტის წარმოშობისა, უნდა ვიფიქროთ, უცხო იყო წარღვამდელი მოსახლეობისათვის და განა უცნაური არ იქნებოდა, ტახტის იდეა ამ საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენის შემდეგ ასეთი სისწრაფით გაჩენილიყო? საქმე ის არის, რომ ისედაც შეუძლებელია **მამასახლისის** შინაარსობრივი დაკავშირება ტახტთან. **მამასახლისი** ნიშნავს ოჯახის უფროსს, გვარის მეთაურს, ან კიდევ: ამ სიტყვის ყველაზე ფართო ან ისტორიული მნიშვნელობით – გვარის დამფუძნებელს, მამამთავარს, grave-ს.<sup>8</sup> სხვაგვარად როგორღა იქნებოდა იმ დროს, როცა არ არსებობდა მართვის სხვა სისტემა, გარდა პატრიარქალურისა? როცა არ იყო სხვა საზოგადოებრივი კავშირები, გარდა ნათესაურისა, გვაროვნულისა? საქართველოში ტახტი, როგორც ძალაუფლების გამოხატულება, ქრისტეს დაბადებამდე 300 წლით ადრე დაფუძნდა და პირველი, ვინც ამ ტახტზე ავიდა, იყო ფარნავაზი. ამ დროისათვის ახალი მმართველობითი იერარქიის სათავეში მართლაც წოდებრიობითი **მამასახლისი** იდგა, მაგრამ ფარნავაზი ტახტზე დაჯდა არა როგორც **მამასახლისი**, არამედ როგორც **მეფე**. ხოლო ფარნავაზი, როგორც დარიოსის შვილიშვილი თუ ნათესავი, მეფობის არსში კარგად იყო გარკვეული. სიტყვა **მეფე**, თავის მხრივ, წარმოდგება სიტყვისაგან **მეუფე**, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს გაბატონებულ ძალაუფლებას. ფარნავაზ I-ის შემდგომ ხანებშიც კი, როცა მმართველებს აღარ ჰქონდათ მეფის ტიტულის ტარების კანონიერი საფუძველი და ამიტომ ქვეყანას ტახტზე აუსვლელად მართავდნენ, ისინი ქვეყანაში **მეუფებდნენ**, ანუ ბატონობდნენ,

როგორც, მაგალითად: სტეფანოზი, ადარნასე, იოანე, ჯუანშერი...

ჩვენი მიამიტი ბუნების გამო წესად გვაქვს, გამონაგონს ფაქტის მნიშვნელობა მივანიჭოთ. ეს თვალნათლივ ჩანს იმაშიც, რომ დიდი ხანია მივიჩვიეთ – და ამას საკუთარ თავზეც ვამბობ – ლეგენდები თუ თქმულებები ხშირად რეალურ ისტორიულ მოვლენებად მივიჩნით; მაგალითად, ლეგენდა იმის შესახებ, რომ ქართველ არისტოკრატიას სათავე დაუდეს აზონის მეომრებმა. აზონი კი მაკედონელ მხედართმთავარ ალექსანდრე დიდს დაპყრობილი ქართლის მმართველად ჰყავდა დანიშნული.<sup>9</sup> ფარნავაზმა ქართლიდან აზონი განდევნა, თუმცა აზონის მეომრები აქვე დარჩნენ, მნიშვნელოვანი პრივილეგიებითაც აღიჭურვნენ და უმაღლესი სოციალური ფენაც ჩამოაყალიბეს – **აზონაურები**, ანუ **აზნაურები**. თუკი ამ ისტორიას კრიტიკულად მოვეკიდებით, რაღაც უცნაურ ვითარებას მივიღებთ: ფარნავაზი აზონს აუჯანყდა, წაართვა მას ალექსანდრე მაკედონელის მიერ მინიჭებული ძალაუფლება, თუმცა თავის ახალშექმნილ სამეფოში არა მარტო ხელშეუხებლად დატოვა აზონის მეომრები, არამედ ამ მეომრებისაგან საკუთარ პერსონასთან და სამეფო ტახტთან დაახლოებული ფენა შექმნა. თუკი ეს ასობით მეომარი – არსებითად ერთადერთი დასაყრდენი – აზონს განუდგა და ფარნავაზს მიემხრო, მაშინ რა ძალებით ებრძოდა აზონი ფარნავაზს? ან კიდევ, რა აუცილებლობამ აიძულა ფარნავაზი, დასაყრდენგამოცლილი და ხალხისთვის საძულველი ადამიანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის ასურელებისთვის მიემართა, როგორც ეს ჩვენს მატყანეებშია ნათქვამი?<sup>10</sup>

უკიდურეს შემთხვევაში, ბუნებრიობას მოკლებული ჩანს ის მნიშვნელოვანი პრივილეგიები, რომლებიც ებოძა ქვეყანაში მტრის ერთადერთ ძალასა და დასაყრდენს. შესაბამისად, გვაქვს თუ არა ქართველ თავადაზნაურობას საკმაო საფუძველი ვთქვათ – ჩვენს **ნოდებრივ** მოდგმას დასაბამი აზონელებმა, აზონის მეომრებმა მისცესო?

ისიც ცხადია, რომ ჯერჯერობით ქართული სიტყვის, **აზნაურის**, წარმომავლობას სხვაგვარი ახსნა არ ეძებნება. მაგრამ ამგვარი

ახსნის საფუძვლიანობაში დარწმუნებული რომ ვიყოთ და ისიც დავიჯეროთ, ქართველი თავად-აზნაურები მაკედონელი მეომრების ჩამომავლები არიანო, პირველ რიგში, უნდა დავასაბუთოთ – მართლაც იმყოფებოდა თუ არა აქ აზონი თავისი რაზმითა და სიმართლეა თუ არა ის, რომ აზონი განდევნეს, მისი მეომრები კი არა მარტო დატოვეს აქ, არამედ ისინი მნიშვნელოვანი ფუნქციებითაც აღჭურვეს. გარდა თითქმის ყველა აქაური მემატინის ტექსტებში დაცული ცნობისა, ამის დამადასტურებელი სხვა წყარო ჩვენ არ მოგვეპოვება.

კიდევ უფრო მეტი არეულობა შემოაქვს ისტორიულ გადმოცემას, რომელიც ფარნავაზის ხანას უკავშირდება და ქართული ანბანის წარმოშობას ეხება.

ჩვენთან დღემდე ხმარებაშია ორი ალფაბეტი: საეკლესიო და საერო, რომელთა შორის თითქმის არავითარი მსგავსება არ არის.

საეკლესიო ანბანის შეთხზვა მიენერება წმ. მესროპს, რომელმაც V საუკუნეში სომხური ანბანი შექმნა.<sup>11</sup> ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ეჭვი გაქრება, თუ ერთდროულად დავხედავთ, ერთი მხრივ, ქართულ საეკლესიო, ხოლო, მეორე მხრივ, სომხურ დამწერლობებს.<sup>12</sup> ხოლო რაც შეეხება ქართულ საერო დამწერლობას, მას არავითარი მსგავსება არ გააჩნია სომხურთან და – გარდა ორი ასოს (ⴓ და ს) მსგავსებისა – თვით ქართულ საეკლესიო დამწერლობასთანაც.

ქართული საერო დამწერლობა, რომელსაც *მხედრულს* უწოდებენ, შექმნილია ფარნავაზ მეფის დროს, თუმცა ძნელია ამ მოსაზრების უტყუარობის დამტკიცება. ამასთანავე, ვერც იმ თვალსაზრისს მივანიჭებთ რაიმე მნიშვნელობას, თითქოს მხედრული 1312 წელს იყოს შექმნილი – ჯერ ერთი, იმ უბედურ ეპოქაში ქართველები ვერ მოიცლიდნენ ანბანის შესაქმნელად და, ამას გარდა, თავადმა ბარათაევმა ნუმიზმატიკურ მასალაზე დაყრდნობით ეჭვმიუტანლად დაასაბუთა მხედრული დამწერლობის არსებობა ჯერ კიდევ VII საუკუნეში.<sup>13</sup>

გადმოცემის მიხედვით, მესროპისეული საეკლესიო ანბანი მეფე არჩილმა შემოიღო 430-იან წლებში და ამას რელიგიური

ხასიათის მოტივაცია ჰქონდა. წმინდა ნიგნები და საღვთისმეტყველო სჯანი უნდა გადმოცემულიყო არა ხალხისათვის გასაგები, არამედ – ახალი დამწერლობით; მაშინ, როცა ჭეშმარიტი სარწმუნოებისაგან განდრეკა შეინიშნებოდა, ყველას უნდა დაენახა, რომ ცრუმოდღვრებანი არ იწერებოდა საეკლესიო ანბანით. სასულიერო ხასიათის ყველა ნიგნი, რომელიც საერო ანბანით იყო დაწერილი, დაწვეს და ისინი ახალი ანბანით დაწერილი ნიგნებით შეცვალეს. ამ საშუალებით აღმოიფხვრა ის გადახრები, ხალხის რწმენაში რომ იყო შეპარული. ასე და ამგვარად, მხედრულმა დამწერლობამ, რომელიც საეკლესიო ანბანის შემოღებამდე ყველა სფეროში იყო გაბატონებული, თავისი ადრინდელი მდგომარეობა მხოლოდ საერო ლიტერატურაში შეინარჩუნა. ზემოაღნიშნული გადმოცემა უდავოდ მართებული ჩანს და ფაქტის მნიშვნელობასაც იძენს იმდენად, რამდენადაც, მართლაც, არჩილის მეფობის დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრის კვერთხი ერგო ეპისკოპოსს, რომელსაც ერთნი უწოდებენ *მოზიდანს*, სხვები – *მუშიდომს*. იგი ზოროასტრიზმის ფარული მიმდევარი, ანუ *მუზიდი*<sup>14</sup> აღმოჩნდა. მის მიერ ხალხში საკუთარი ვინაობის გაუმჟღავნებლად გავრცელებულ ნაწერებში ჭეშმარიტი რწმენა ზოროასტრიზმით იყო შერყვნილი. როცა ეს მზაკვრობა გამომჟღავნდა, მოზიდანის დროს შექმნილი ყველა ტექსტი დაწვეს და ისინი ახალი, მესროპისეული, ანბანით დაწერილი ტექსტებით შეცვალეს.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგები ხდება, საიდან წარმოიშვა ზოგიერთი მეცნიერის მიერ შემუშავებული თვალსაზრისი: თუ ქართული საერო დამწერლობა (მხედრული) შეიქმნა XIV საუკუნეში, ხოლო V საუკუნეში განადგურებული მოზიდანისეული ტექსტები არ იყო შესრულებული იმ დამწერლობით, რომლის კვალიც შემორჩენილია VII საუკუნის მონეტებზე, მაშასადამე, ქართველებს, გარდა ორი ცნობილი ალფაბეტისა, მესამე ალფაბეტიც უნდა ჰქონოდათ. ამასთანავე, ისიც უნდა დასაბუთებულიყო, რომ ზემოაღნიშნულ მონეტებზე საერთოდ არ დასტურდება *მხედრულის* კვალი.

ამას გარდა, ზოგიერთი მემატეიანე დაბეჯითებით ამასაც კი

ამბობს – არა მარტო საეკლესიო სომხური, ქართული საერო ანბანიც მესროპმა შექმნაო, თუმცა თვითონ სომხებს საგანგებო საეკლესიო ანბანი არცა აქვთ და არც არასოდეს ჰქონიათ.

აი, ასეთი შეუსაბამობებია ქართველ მემკვიდრეთა ცნობებში ქართველი ხალხის, ქართველი თავადაზნაურობის, ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ.

წინააღმდეგობრივი და ურთიერთშეუსაბამოა სხვადასხვა ეპოქაში ხალხის ცხოვრებასა თუ მეფეთა მოღვაწეობასთან დაკავშირებული არა ერთი და ორი ცნობა. იმავდროულად, მკვლევანებში ჩვენი ისტორიის ცალკეული მოვლენების შესახებ არის უაღრესად საინტერესო გადმოცემები, ცნობები თუ მინიშნებანი, მაგრამ შეუძლებელი ხდება მათი ნამდვილობის დასაბუთება, მათ სანდოობაში დარწმუნება კრიტიკული მიდგომისა და ქართველებთან მეტად თუ ნაკლებად დაკავშირებული სხვა ქვეყნების ისტორიებთან შედარება-შეჯერების გარეშე.

ყურადღებას გავამახვილებ რამდენიმე საკითხზე:

I. ხალხის გონებრივ შეძლებაზე, ანუ იმ გარემოებაზე, რომლითაც ამ ხალხის ზნეობრივი განვითარების ხარისხი განისაზღვრება.

II. ხალხის ფიზიკურ შეძლებაზე, რომლითაც განისაზღვრება ამ ხალხის საშინაო ცხოვრების განვითარებისა და ადმინისტრაციული თვითარსებობის ხარისხი, აგრეთვე – მდგრადობის ხარისხი გარეშე ფაქტორებთან შეჯახებისას.

უფრო მკაფიოდ რომ გამოჩნდეს ხალხის ცხოვრების ეს ორი უარსებითესი მახასიათებელი, საჭიროდ მიმაჩნია მათი დაყოფა ცალკეულ ნაწილებად და ასეთ შემთხვევაში ხუთი ძირითადი საკითხი გამოიკვეთება:

1. რაგვარია სასულიერო ცხოვრების განვითარების ხარისხი?
2. რაგვარია საერო ცხოვრების განვითარების ხარისხი?
3. რა ლიტერატურის პატრონია ეს ხალხი?
4. რა ტერიტორიაზე იყო განფენილი სამეფო თავისი უმაღლესი განვითარებისა და უკიდურესი დაცემის პერიოდებში?
5. საკუთარი სამეფოს საზღვრებს მიღმა რომელ ქვეყნებს სწვდებოდნენ ქართველები სამხედრო თუ სავაჭრო თვალსაზრისით?

ცხადია, საგაზეთო სტატიაში მე არავინ მომთხოვს ამ საკითხების გამონწვლილვით ანალიზს. ამიტომაც აქ ერთადერთი მიზანი მამოძრავებს: მომავალ მკვლევართა ყურადღება მივაპყრო ჩვენი წარსულის მეტ-ნაკლებად ღირსშესანიშნავ მხარეებს, შევეხო ცალკეულ გარემოებებს, მოვიყვანო მონაცემები მათი შემდგომი დამუშავების მიზნით.

## 1. სასულიერო ცხოვრების შესახებ

ქრისტიანობამდელ ქართველთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ მწირი ცნობები გვაქვს. ძნელი წარმოსადგენია, ფარნავაზ პირველამდე ხალხში ასე თუ ისე ჩამოყალიბებული საერთო რელიგია ყოფილიყო გავრცელებული. ითვლება, რომ იმდროინდელი ხალხის ზნე და ადათ-წესები სასტიკი და დაუნდობელი იყო. ჩვენი ისტორიკოსები მათ კაციჭამიობაშიც კი სდებენ ბრალს და მიუთითებენ იმ თქმულებაზე, რომლის მიხედვითაც, მოსახლეობის ერთ ნაწილს მეორისაგან ვალად ადამიანთა სხეულები მოეთხოვებოდა, თუმცა ისტორიკოსთა მეორე ნაწილი ამას უფრო მარტივად – სისხლის აღების წესით – ხსნის.<sup>15</sup> ამბობენ, მაკედონელის მიერ დაწესებული მმართველობა ცდილობდა, აქაურთა შორის ბერძნულ ღმერთთა თაყვანისცემა შემოეღო. მართლაც, ქართული მითოლოგია ამ დროიდან უფრო მკაფიო სახეს იძენს, თუმცა ბერძნულ მითოლოგიასთან მას მეტად სუსტი კავშირები აქვს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ და ბერძნულ მითოლოგიებს შორის მაინც შეინიშნება ზოგიერთი თანხვედნილობა. ასე, მაგალითად: „ჯაფ-მთაზე ან იალბუზზე კლდეზეა მიჯაჭვული გმირი და იქვე ახლოს მიყუდებულია მისი ჯავარდენი. ამ ჯავარდენით გმირს ადვილად შეუძლია რკინის ჯაჭვის განყვეტა, მაგრამ ჯაჭვი მოკლეა და ლეკვი დღედაღამ ლოკავს მას. როცა ჯაჭვი ლოკვისაგან იქამდე გაიღვევა, რომ შესაძლებელი ხდება მისი განყვეტა, რაღაც დიდმალი ძალა ჯაჭვს მყისვე პირვანდელ მდგომარეობაში აბრუნებს. ასე იტანჯება გმირი, ასე დაუსრულებლად იტანჯება მისი ლეკვი“.



ამ ტანჯულ გმირში – ქართველთა ამირანში – შეუძლებელია არ ამოვიცნოთ ბერძენთა პრომეთე. შესაძლებელია, ბოროტ და კეთილ სულებთან დაკავშირებით კიდევ მოიძებნოს უფრო სუსტი თანხედენილობანი იმ დასავლურ და აღმოსავლურ ლეგენდებს შორის, რომლებიც, ასე ვთქვათ, ხელიხელჩაკიდებულნი მოდიან დროის სიღრმიდან. ეს ბოროტი და კეთილი სულები კი არიან: დევები, ჯინები, ქაჯები, ფერიები, აიერები... მაგრამ საკუთრივ ქართულ პოლითეიზმში არ ჩანს ბუნებრივ ძალთა ისეთი მრავალფეროვნება, რომელიც განსაზღვრავს როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური პანთეიზმის ძირითად იდეასა და არსს. მართალია, ქართველთა იმ ღვთაებებიდან, რომლებიც ფარნავაზის დროიდანაა ცნობილი, ზოგიერთი ემთხვევა ბერძნულს – მაგალითად, **აფროდიტოს** – მაგრამ უცნობია, ჩვენს ხალხში კონკრეტულად რას განასახიერებდნენ ისინი, რა იდეის გამო სცემდნენ მათ თავჯანს. ძველი ქართველების ღვთაებებისა მხოლოდ სახელები ვიცით: არმაზი, ზადენი, გაცი, გაიმი, აფროდიტოს და კიდევ რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვანი ღვთაება. ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში დაცული გადმოცემები იძლევა ასეთი ძირითადი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას:

ქართველთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებში არ დასტურდება არც დასავლურ და არც აღმოსავლურ ღვთაებათა პირდაპირი ანალოგები. აქ ვერ შეხვდებით იდეებს, რომელთა დაკავშირება მოხერხდება ბუდასთან, ბრაჰმასთან, შიგემუნისთან და სხვ.; ვერ შეხვდებით ზევსს, იუპიტერს და სხვ.; ქართველების თავჯანისცემა არმაზისადმი, ზადენისადმი და სხვ. დაფუძნებული იყო არა იმდენად რწმენაზე, რამდენადაც დაწესებაზე, ხელისუფალთა ნება-სურვილზე. ამდენად, წარმართულ ღვთაებათა მიმართ ქართველთა სარწმუნოებრივი დამოკიდებულება ვერ იქნებოდა მტკიცე და შეუვალი. სამაგიეროდ, სახარების სიტყვას აქ ნოყიერი ნიადაგი დახვდა.

ეკლესიური გადმოცემით, საქართველოში წმინდა რჯულის გავრცელების მისია ღვთისმშობელს ერგო, ხოლო ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის მიერ დაწყებული ამ

დიადი საქმის აღსრულება წილად ხვდა სხვა ქალს – მოციქულ-თასნორ წმ. ნინოს, წმ. დიდმონაშე გიორგის ნათესავს. ყოველივე ამის გამო ქართველები ქვეყნის მფარველად მარადქალწულ მარიამს მიიჩნევენ, პატრონად კი – წმ. გიორგის. ბევრი ამით ხსნის თვით სახელის *Грузия* წარმომავლობას და აქ გაკვრითა და ორიოდ სიტყვით ამ საკითხსაც შევეხები.

ერთნი ამბობენ, რომ რუსეთში სახელი *Грузия* თათრულიდან შევიდა: გეორგია – გიურჯი – გიურძი – გიურზი – გრუზი. სხვებს ეს სახელი პირდაპირ გამოჰყავთ სიტყვიდან *გეორგია*, როგორც ბერძნები გვინოდებდნენ იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ძირითადად მინათმოქმედებას მისდევდა. ამ ორი ვერსიიდან რომელია სარწმუნო – ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. თავად ქართველი ისტორიკოსები ამა თუ იმ წყაროზე დაყრდნობით საქართველოს გეორგიასაც უწოდებენ, ამასთანავე, უწოდებენ *ივერიასაც* და ამ უკანასკნელი სახელის წარმომავლობაზეც ორი ვერსია არსებობს: მას საფუძვლად უდევს გამარჯვების გამომხატველი ქართული ყიჟინა – *ი! ვერიე!*<sup>6</sup> ან კიდევ რომელიღაც გადამწყვეტი მნიშვნელობის გამარჯვება, ქართველებს მდინარე *ვერის* ნაპირას რომ მოუპოვებიათ. დარწმუნებით კი იმის თქმა შეიძლება, რომ ხალხის მეტყველებაში ჩვენს ქვეყანას ყოველთვის *საქართველო* ერქვა, ხოლო ჩვენი ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა საკუთარ თავს უწოდებდა მხოლოდ და მხოლოდ *ქართველს* და სხვას არაფერს.

ვუბრუნდები ძირითად საკითხს.

წმ. ნინოს მიერ გამოჩენილი მოციქულთა სადარი გმირობა IV საუკუნის მეორე ათწლეულით თარიღდება. მისი მოძღვრების მიმდევარი გახდა მეფე მირიანი მთელი თავისი ოჯახითა და წარჩინებულთა ფენით. ამ მხრივ, საგულისხმოა თვით სახელწოდება იმ ადგილისა, სადაც მათი ნათლისღების საიდუმლო აღსრულდა – *მთავართა სანათლავეი*. VI საუკუნის შუახანებში, ფარსმან VI-ის მეფობისას, საქართველოში ჩამოვიდა 13 ასურელი წმ. მამა. საქართველოს ეკლესიის ამ მანათობელმა ვარსკვლავებმა ხალხში გაავრცელეს ჭეშმარიტი რწმენა და განამტკიცეს მართლმადიდე-

ბლობის საფუძვლები.

ეპოქა ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელიდან მოკიდებული ვიდრე წმ. ნინოსა და ასურელ მამებამდე – იოანე ზედაზნელსა და მის თანამოღვაწეებამდე, რასაკვირველია, ხასიათდებოდა შინაგანი რყევებით, მაგრამ მთავარი ამოცანა მაინც მტერთა განუწყვეტელი თავდასხმების მოგერიება იყო. საქართველოში – ერთი მუჭა, თუმცა მედგარი ხალხის სამკვიდრებელში – შემოჭრილან სკვითები, ხაზარები, ჰუნები, არაბები, თურქ-სელჯუკები, ცეცხლითა და მახვილით აპირებდნენ ქვეყნის მოსრვა-განადგურებას პომპეუსი, ჰერაკლე კეისარი, მურვან ყრუ, ჩინგიზ-ყანი, თემურლენგი, შაჰ-ისმაილ სოფი, შაჰ-თამაზი, ალა-მაჰმად-ხანი... ესენი ყველანი და, მათ შორის, მტაცებელი ლეკები იპყრობდნენ, ამცირებდნენ, ხშირ შემთხვევაში, თითქმის ფიზიკურად ანადგურებდნენ საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს. მაგრამ 15 საუკუნის განმავლობაში ზოროასტრიზმთან თუ ისლამთან თავგანწირულ ბრძოლაში ვერავინ შეძლო ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის მოსპობა, მისი მეფეებისათვის გვირგვინის მოხდა, მართლმადიდებლობის შერყევა.

საქართველოს ეკლესიის საძირკველი განუწყვეტლივ ირწყვებოდა ერთგული შვილების სისხლით; იგივე ეკლესია მართლმადიდებლობის თანამდგომთა, ღვანლის დამდებ მღვდელმთავართა და მონაშეთა სახით ამრავლებდა წმინდანთა დასს. უმაგალითო ბრძოლაში ქართველებმა წმინდად და ხელშეუხებლად შეინარჩუნეს სახელმწიფოებრივი თვითარსებობა და ჭეშმარიტი რწმენა, სანამ ღვთის კურთხევით ეს ერთი მუჭა ხალხი რუსული მართლმადიდებლობის საფარქვეშ არ მოექცა. უკანასკნელმა ქართველმა მეფემ ქვეყნის ბედი რუსეთის თვითმპყრობელი ხელმწიფის სულგრძელობას მიანდო – ნებაყოფლობით გადასცა მას თავისი თითქმის ოცდაორსაუკუნოვანი გვირგვინი.<sup>17</sup> ამით მან ძლევამოსილი დამცველი მოუპოვა მეფეთა ერთგულებაში გამობრძმედილ ქართველ ხალხსა და მის რწმენას, ხოლო აქაურთა ჭეშმარიტი რწმენის გამოხატულებაა ის, რომ მეოთხე საუკუნიდან მოკიდებული ქართველმა მართლმადიდებელმა ხალხმა ქალაქებ-

ში, სოფლებში, მათა წვერებზე, ხეობათა სიღრმეებში აღმართა მეტად თუ ნაკლებად შთამბეჭდავი ტაძრები, შეამკო ისინი ძვირფასი მორთულობით და ამ ტაძრებში დღემდე აღავლენს უზენაესისადმი ლოცვა-ვედრებას; ამასთანავე, დგას იმ რუსი მხედრობის მხარდამხარ, რომელმაც ქრისტიანობის სასტიკ მტრებზე გამარჯვება შეაძლებინა.

ქრისტიანული მოძღვრების ისტორიაში ქართველთა საგმირო საქმეებს საპატიო ადგილი უნდა მიენიჭოს. კაცობრიობის ისტორიამ უნდა თქვას, რომ ქართველი ხალხის რწმენა აღბეჭდილია იმ ქეშმარიტებით, რომელიც, მაღლობა უფალს, სასწაულებს მოგვივლენს ხოლმე.

აი, მასალა განსჯისათვის ჩვენ მიერ წამოჭრილი პირველი საკითხის გარშემო.

გადავდივარ მეორე საკითხზე.

## **2. საერო ცხოვრების შესახებ**

საქართველო პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დიდხანს თუ მცირე ხანს განიცდიდა ზოროასტრიზმის, განსაკუთრებით კი – დამპყრობელ მუსლიმთა ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებების გავლენას. შეუძლებელია, უცხოტომელთა ბატონობას ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათსა თუ ურთიერთობის წესზე თავისი კვალი არ დაეტოვებინა. თუმცა ეს მხოლოდ კვალია უცხო გავლენებისა, ხოლო საფუძველი და ყველაზე მეტად განვითარებული დომინანტები ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ბუნებრივია, უნდა განესაზღვრა ისეთ ფაქტორებს, რომლებსაც თვითონვე შეიმუშავებდა ამ მტრულ და მისდამი მუდმივი აგრესიით განწყობილ გარემოცვაში მოქცეული, განმარტოებაში მყოფი ეს ქრისტიანი ხალხი. ქართველებს დამოუკიდებლად უნდა ჩამოეყალიბებინათ თანაცხოვრების ისეთი პირობები, რომელთა მეშვეობითაც შეძლებისდაგვარად დაუპირისპირდებოდნენ ქრისტიანული რწმენის მაღალზნეობრიობასთან შეუთავსებელი ადათისა

თუ წეს-ჩვეულებების შემოჭრას. რა გამართლება შეიძლებოდა ჰქონოდა ქრისტიანის თვალში, ერთი მხრივ, ცეცხლთაყვანისმცემელთა იმ აღმაშფოთებელ ჩვეულებას, რომლის მიხედვითაც, ქმრის ცხედართან ერთად მისი ცოლიც ცოცხლად უნდა დაენვათ, ხოლო მეორე მხრივ – მუსლიმი ქალის დაბეჩავებულ, დამამცირებელ, ადამიანური ღირსების უარყოფელ მდგომარეობას?

ქართული საერო შეგნება ქალთან მიმართებაში უნდა დამყარებოდა ქრისტიანულ თვალსაზრისს, მასში უნდა ასახულიყო მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ყოველი ადამიანი ღვთის მიერ გაჩენილია სიხარულისა და მეგობრობისათვის და ღმერთმა ადამიანი თვის ხატად შექმნა. ამგვარ პირობებში ქართველებს, უბრალოდ, არ შეეძლოთ თაყვანი არ ეცათ ნინოს, თამარის, ქეთევანის წმინდა და ნათელი სახელებისათვის და უძველესი დროიდანვე თავიანთი ძალისხმევა არ მიემართათ ქალის აღზრდისა და განათლებისაკენ – იმ ქვაკუთხედისაკენ, რომელზეც არის დაფუძნებული ამქვეყნიური ადამიანური სიკეთე და კეთილდღეობა.

ამასთანავე, თავისთავად ცხადია, ქალის განვითარებულობის ხარისხით შეიძლება ზოგადად ხალხის განვითარებულობის ხარისხიც განისაზღვროს.

იმ ისტორიული ფაქტების ნათელსაყოფად, რომლებზეც აქ მაქვს ლაპარაკი, დავიმოწმებ ქართველ დიდგვაროვანთა ოჯახებში ორივე სქესთან დაკავშირებულ ვითარებას.

დიდგვაროვანი ქართველი ქალიშვილის აღზრდა ხდებოდა ოჯახში და ამ საქმეს უშუალოდ დედა ან უახლოესი და უხუცესი ნათესავი ქალი ხელმძღვანელობდა. ოჯახშივე ხდებოდა ქალიშვილის შეგნების ჩამოყალიბება და ზნეობრიობის განვითარება – იგი სწავლობდა წერა-კითხვას, ხელგარჯილობას, საოჯახო საქმეებს. წიგნიერების საფუძველთა საფუძველს წმინდა წერილის კითხვა წარმოადგენდა. ეს კი, გარდა ენის წეს-კანონთა პრაქტიკული დაუფლებისა, განაპირობებდა რელიგიურ წარმოდგენებზე დაუფნებული ცოდნის განვითარებას. საკუთრივ მწერლობაში დასახელოვნებლად ქალიშვილს წასაკითხად აძლევდნენ ცნობილ პოეტთა ქმნილებებს, ისტორიულ თხზულებებს, თხრობითი ხასი-

ათის მხატვრულ ტექსტებს. ტექსტების კითხვა ძირითადად შინაურ წრეში ხდებოდა და მას ოჯახის მამაკაცი წევრებიც შეუერთდებოდნენ ხოლმე, ცხადია, როცა ეს უკანასკნელნი საგარეო, საომარი თუ სამოქალაქო საქმეებისაგან თავისუფალნი იყვნენ. არაზნეობრივი შინაარსის წიგნები არც არსებობდა.

შეუძლებელი იყო, ამ გზით გაკეთილშობილებულ ქალს არ გაეკეთილშობილებინა საზოგადოების სხვა წევრები და, თანდათანობით – მთლიანად საზოგადოებრივი თანაცხოვრება.

წიგნური ცოდნა, რომელიც შინააღზრდას ედო საფუძვლად, თავისთავად ცხადია, არ იყო მხოლოდ და მხოლოდ ქალთა ფენის კუთვნილება – სასულიერო წრეები, სამეფო კარზე თანამდებობის მქონე პირები, სწავლულნი, რასაკვირველია, უწიგნურნი ვერ იქნებოდნენ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენში – ყოველ შემთხვევაში, ვახტანგ სჯულმდებლამდე მაინც – თითქმის არ იყო სტამბები, რათა ცოდნა ხალხშიც გავრცელებულიყო. რაც შეეხება ქალებს, ამა თუ იმ ფორმით, მეტად თუ ნაკლებად ლიტერატურასთან დაკავშირებული იყო *ყველა* – უბრალოდ, ვერ იპოვით ტრადიციული წესით აღზრდილ ქართველ ქალს, რომელიც თავისუფლად და გამართულად არ წერს ქართულ სალიტერატურო ენაზე.

ეს არის ფაქტი, რომლისგანაც არანაკლები მნიშვნელობის სხვა ფაქტი გამომდინარეობს: დიდგვაროვანი ქართველი ქალი, მიჩვეულია იგი ხალხში ტრიალსა თუ პირველად ხვდება საზოგადოებაში, თავისუფალია არა მარტო პროვინციული, არამედ ხანგრძლივი ოჯახური აღზრდით გამოწვეული შებოჭილობისაგან და საზოგადოებაში გამოჩენისთანავე თავისი თავდაჭერილობით, სინატიფით, შესაფერისი ქცევით ღირსეულ ადგილს იკავებს. ეს კი, თავის მხრივ, იმით უნდა აიხსნას, რომ ქართველ ქალებში ბუნებრივად არის მოცემული უაღრესად განვითარებული ტაქტი.

ალბათ, უხეშ შეცდომად არ ჩაგვეთვლება, თუ ამას ყველაფერს დავუკავშირებთ იმ მიზანს, რა მიზანსაც ქალთან მიმართებაში ძველი ქართული პედაგოგიკა ისახავდა – რწმენისა და დამოუკიდებლობისათვის განუწყვეტლივ ბრძოლაში მყოფი ხალხი

ქალებს ოჯახური სიმშვიდითა და მყუდროებით უნდა გაემხნევე-ბინათ. ქალში შთანერგილი იყო განსაკუთრებული პატივისცემა ნათესაური კავშირების მიმართ, ნათესაურ კავშირთა სინმინდის შეგნება, უალრესად გამახვილებული გრძნობა მოვალეობისა, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივი და პირადული კეთილდღეობის მიღწევა.

ასე და ამგვარად, ცოლი საქართველოში დიდი ხანია გამო-სულია მონური მდგომარეობიდან. ქრისტეს მოძღვრების მიხედ-ვით, ქალი არის თავისი ქმრის გონიერი და სათუთი მეგობარი და, ამასთანავე, ქალს მამაკაცთა ურთიერთობებში მშვიდობისმყ-ოფლის ფუნქციაც აქვს დაკისრებული. ასეთი ფორმით გადმოე-ცა ახალ თაობას ძველი ქართული საერო ცხოვრების ერთ-ერთი თავისებურება, რომელიც, ცხადია, საკმაოდ ჩამორჩება ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის დღევანდელ გაგებას, მაგრამ ესეც უნდა ითქვას – ისტორიულად საქართველოში სწორედ ქალი განაპირობებდა იმ მჭიდრო სახალხო ერთობას, რომლის მოშლა ვერანაირმა გარეშე ძალამ ვერ შეძლო.

ახლა კი, მოვხაზე რა ქართველთა ზნე-ჩვეულებების ზოგიერ-თი დამახასიათებელი ნიშანი და წარმოვადგინე კიდევ მასზე ჩემი ზოგადი დაკვირვებები, გადავდივარ მესამე საკითხზე, რომელიც, თავის მხრივ, წინარე განხილულ ორ საკითხთან მჭიდროდაა და-კავშირებული.

### **3. ხალხის ლიტერატურის შესახებ**

სანამ საკუთრივ ლიტერატურაზე ჩამოვარდებოდეს სიტყ-ვა, აუცილებელი მგონია, გაირკვეს ქართულ ენასა და მნიგნო-ბრობასთან დაკავშირებული ზოგიერთი არსებითი მნიშვნელო-ბის საკითხი.

ქართული ენის შესახებ სამეცნიერო წრეებში ორი საკმაოდ ავტორიტეტული შეხედულება არსებობს. ამ შეხედულებებიდან ერთი, უახლესი, ქართულ ენას ძველი სპარსული ენის დიალექ-

ქტთა ჯგუფს მიაკუთვნებს.<sup>18</sup> ეს მოსაზრება დაფუძნებულია ორ სიტყვაზე: *ხარი (сари)* და *ფური (фур)*; სპარსულ ენაზე ფრიგია ნიშნავს – *ხარისა (бывающий)*, ხოლო ფრიგიის მთავარი ქალაქი *სარდი – ფურისა (коровий)*. თუკი მთელი ენობრივი მარაგიდან ორი სიტყვა საკმარისია ენათა წარმომავლობის გამოსარკვევად, ისლა დამრჩენია ვთქვა, რომ *корова* ქართულად *ძროხაა*, თუმცა შეიძლება ასეც ვთქვათ – *ფური*; ხოლო რაც შეეხება სიტყვას *ხარი*, იგი ქართულ ენაზე სულ სხვა რამეს ნიშნავს – *მარგილს (кол, тычина)*. რამდენადაც ეს უკანასკნელი შეხედულება ახალია, სულ ცოტა ხნის წინაა გამოთქმული და, ამდენად, სათანადოდ არ არის დამუშავებული, ჩემდათავად, მის დაწვრილებით განსჯაში ვერ შევალ.

მეორე – ადრინდელი და უფრო გავრცელებული – თვალსაზრისის მიხედვით, ქართული ენა მიეკუთვნება სანსკრიტული წარმომავლობის ინდოგერმანული, ანუ ინდოევროპული ენების ოჯახს.<sup>19</sup> ამ თვალსაზრისს საფუძვლად უდევს:

ა) ქართული და სანსკრიტული ასოების მსგავსება.

ბ) არსებითი სახელების, ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხისა და ნაცვალსახელების ფორმათა მსგავსება სანსკრიტულის ფორმებთან.

გ) კავკასიის ყელზე გადიოდა ის მიგრაციული გზა, რომელიც დასავლეთევროპული ენების შემქმნელმა ხალხმა გაიარა.

უალრესი მნიშვნელობის მქონე შედარებითი ენათმეცნიერების მიხედვით, საკითხის გარკვევისას მთავარი საყრდენი სწორედ ეს ფაქტორებია.

მაგრამ განა ეს საყრდენი ისეთივე სიმტკიცისაა დღეს, როგორც იყო მაშინ, როცა წარმოიშვა თეორიები ინდოგერმანიზმზე, ინდოსლავიანიზმზე და საერთოდ ინდოევროპეიზმზე? ბევრია კი ამ თეორიების ისეთი თავგამოდებული დამცველი დღეს, როცა ამ თეორიებითა და მისგან გამომწვეული სიახლეებით გატაცებამ ადგილი დაუთმო დამჯდარ ანალიზს, რომლის მიხედვითაც, ინდოეთი, თუნდაც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ვერ იქნებოდა კაცობრიობის ვერც აკვანი და ვერც ის ცენტრი,



საიდანაც ხალხები დანარჩენ მსოფლიოში მიმოიფანტებოდნენ? ხომ არ მიგვიყვანს ეს გარემოება ახალ შეხედულებამდე, რომლის მიხედვითაც, სანსკრიტი დასავლური ენებისათვის იმავე ალბათობით შეიძლება იყოს სათავის დამდები, რა ალბათობითაც ამგვარი წინაპარი ენა შეიძლება იყოს სპარსული, არაბული, სომხური ან ქართული? ან კიდევ: ხომ არ აღდგება ძველი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ენები, ისევე როგორც ხალხები, მსოფლიოში განიფანტნენ არარატის მიდამოებიდან – ჩვენი ბიბლიური აკვნიდან, ტიგრს, ეფერატს, არაქსსა და ორონტს შორის რომ მდებარეობს? ყველა ამ კითხვას ღიად ვტოვებ ჩემი შეზღუდული ერუდიციის გამო და ყურადღებას მივაპყრობ ისეთ საგულისხმო და ხელშესახებ საკითხს, როგორცაა ასოების გრაფიკული მსგავსება.

ყურადღების მიღმა ვტოვებ ყოველგვარ შემთხვევითობებს და შევეხები მხოლოდ ნამდვილ მსგავსებებს.

ქართულში არსებობს ორი სრულიად განსხვავებული დამწერლობა:

**მხედრული** (ანუ მეომრული) – საერო, და

**ხუცური** (ანუ სამღვდელო) – სასულიერო; აქვეა გაერთიანებული **ასომთავრული**, ანუ სათავო ასოები.

პირველი დამწერლობის სახელწოდებაში ჩანს ერთ-ერთი სანსკრიტული დამწერლობის, სახელდობრ, **ფეჰლევის (पेह्लवी, পেჰლევийский)**, ანალოგია:

**მხედარი** (мхедари) მეომარს ნიშნავს.

**Пеглви, пеглеван**, ისევე როგორც **ბაჰადერ (bahader), ბაჰადურ (bahadur)** სპარსულად ნიშნავს მეომარს, ღონიერს, გოლიათს.

ასე შემოვიდა ქართველთა მეტყველებაში სიტყვები: **ფალავანი (палавани), ბაადური (баадური)** – ძალგულოვანი, მეომარი.

ძველი სპარსელები **ფეჰლევის (пегльвийский)** მხედრულ (მეომრულ) დამწერლობას უწოდებდნენ და ასევე მხედართა (მეომართა) დამწერლობას უწოდებდნენ მას ინდოელებიც – **გოსვანზარი (госванзарский)**.

სპარსელთა მიბაძვით ფარნავაზმა, დარიოსის ახლო ნათესავმა, მხედართათვის შექმნა დამწერლობა და მას მხედრული უწოდა,

თუმცა აქ ანალოგია მხოლოდ სახელწოდებაშია.

ქართულ მხედრულში 39 ასოა.<sup>20</sup> ამათგან ალფაბეტის უკანასკნელი ასო **ძ** სულ ცოტა ხნის წინ იქნა შემოღებული უცხო სიტყვათა მართლწერისათვის – ქართული სიტყვებისათვის იგი საჭირო არ არის. დანარჩენი 38 ასოდან, რომელთა არსებობა 22 საუკუნეს მოითვლის, მხოლოდ და მხოლოდ ასო **თ** ამჟღავნებს მსგავსებას ფეჰლევის ԷԴ-სთან და, განსაკუთრებით – ბირმულ 𑌕-სთან.

არის კი 38 ასოდან ერთადერთის მსგავსება საკმარისი საბუთი, ვამტკიცოთ ერთი რომელიმე ენის წარმომავლობა მეორე ენიდან? არა მგონია, შესაძლებელი იყოს ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა.

ახლა ვნახოთ **ხუცური** ანბანი.

**ხუცურში** ასოთა რაოდენობა, ალფაბეტში მათი რიგი და სახელწოდებები ემთხვევა **მხედრულს**, მაგრამ **ხუცურში** უკვე ოთხი ასოა, რომლებიც ამჟღავნებს აშკარა მსგავსებას სხვა დამწერლობებთან:

ჯ (ღ)	მაგრაულთან -----	ჯ
-	პენჯაბურთან -----	ბ
-	დევანაგართან -----	ს
ს (პ)	ფეჰლევისთან -----	წ
-	ბირმულთან -----	ს
ჟ (ქ)	დევანაგართან -----	ჩ ჩ
ყ (ყ)	მულტანურთან -----	ჯ

**ხუცური** შედგენილია ქრისტეს აქეთ V საუკუნეში საერო ანბანის ჩასანაცვლებლად და სასულიერო შინაარსის ტექსტების ამ ახალი ანბანით დასაწერად. ამ დროისათვის ცნობები ინდოეთის შესახებ უკვე საკმაოდ იყო გავრცელებული, წმ. მესროპს შეეძლო ამით ესარგებლა, რათა მოესპო ყოველგვარი მსგავსება ახალ საეკლესიო და ძველ საერო ასოებს შორის და ამით მოეშალა ხსენ-

ებაც კი მობიდანისეული ტექსტებისა.

დაგვრჩა კიდეც ერთი მოსაზრება ქართულისა და სანსკრიტის ნათესაობის შესახებ – სახელთა და ნაცვალსახელთა ფორმების მსგავსება. მაგრამ ჩვენ ვერ შევალთ საკითხის სიღრმისეულ განსჯაში: ჯერ ერთი, მსგავსად ამ საკითხით დაინტერესებულთა უმრავლესობისა, ცოტა რამ ვიცით საკუთრივ სანსკრიტის ენობრივი ფორმების შესახებ. ამას გარდა, მეცნიერული განსწავლულობით გამორჩეული ავტორი ამ უკანასკნელი შეხედულებისა<sup>21</sup> (მგონი, მისი დასახელების საჭიროებაც კი არ არსებობს), ქართული სახელებისა და ნაცვალსახელების ფორმებზე მსჯელობისას ისეთივე წარმატებით პოულობს ანალოგიებს ბერძნულთან და სპარსულთან, როგორც სანსკრიტთან. ჩემდათავად ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დედამიწის ზურგზე ვერ იპოვით ორ ისეთ ენას, რომელთა შორის შეუძლებელი იქნება რაიმე საერთოს მოძებნა. ამჟამად ვერა, მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლება დავასაბუთო და წარმოვადგინო ქართული ენის ცალკეულ ფორმათა განსაცვიფრებელი მსგავსება ისეთ ენებთან, რომლებთანაც ქართულს შეუძლებელია რაიმე სახის ფილოლოგიური სიახლოვე ჰქონდეს.<sup>22</sup>

ასე და ამგვარად, სამივე ის არგუმენტი, რომელთა მიხედვითაც ქართულს ინდოევროპული ენების ოჯახს მიაკუთვნებენ, საეჭვოა და, შესაბამისად, აღნიშნული თვალსაზრისი, ჩანს, საფუძველსაა მოკლებული; ამასთანავე, ვერც იმის პერსპექტივას ვხედავ, აღნიშნულ თვალსაზრისს სხვა რაიმე დამატებითი საფუძველი გამოუჩნდეს. ამიტომაც ვფიქრობ: ქართულმა ენამ – მიიღო და შეითვისა რა სპარსული, არაბული, ბერძნული, ლათინური, თურქული და, ბოლოს, სლავური თუ რუსული სიტყვები – უძველესი დროიდანვე შეინარჩუნა საკუთარი ბუნება. იგი დღემდე რჩება თვითმყოფ ენად და პირდაპირი ნათესაობით არ არის დაკავშირებული არც ერთ იმ ენასთან, რომელზეც ლაპარაკობდნენ ან ლაპარაკობენ არათუ დაშორებული ქვეყნების, არამედ თვით კავკასიის ხალხებზეც კი. ხოლო რაც შეეხება ქართული ენის წარმოშობას, ეს საკითხი იმგვარივე ბუნდოვანებითაა მოცული, როგორი ბუნდ-

ოვანებაც ახლავს თვითონ ქართველების წარმოშობის საკითხს. მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ქართველები ისეთივე ქართველებად დარჩნენ, როგორებიც იყვნენ ქრისტეს დაბადებამდე 300 წლის წინ, ფარნავაზის მეფობის ხანაში.

ახლა რაც შეეხება ქართულ ლიტერატურას...

ლიტერატურის რომელი დარგი განვითარდებოდა სხვაზე მეტად იმ ქვეყანაში, რომელშიც ხალხი განუწყვეტლივ და თავგანწირვით იბრძოდა რწმენისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის:

სიტყვის ძალა, სიტყვაკაზმულობა განვითარების უმაღლეს ხარისხს, პირველ რიგში, სასულიერო მწერლობაში აღწევს.

წმინდა წიგნები ქართულად თარგმნილია საუკეთესო და, ამასთანავე, ამაღლებული სტილით. წმინდა მამათა მოძღვრებანი და ქადაგებანი – როგორც საერთოდ საღმრთო წერილი – გამსჭვალავენ მკითხველისა თუ მსმენელის გონებას მაღალზნეობრივი ზრახვებით. ამ თარგმანთა ენა, მიუხედავად ცალკეული ფორმებისა თუ კონსტრუქციული მოძველებულობისა, დღესაც გასაგებია თითქმის ყოველი ქართველისათვის.

ამას მოსდევს საერო, კერძოდ, თხრობითი ლიტერატურა. საგმირო რომანების, მოთხრობების, ზღაპრების მიზანდასახულობა იყო მკითხველში ვაჟკაცური სულისკვეთების აღზრდა, ვაჟკაცობისაგან განუშორებელი კეთილშობილების შთანერგვა და ეს ყველაფერი გადმოცემულია სადა, მსუბუქი და მიმზიდველი ენით. მიუხედავად შესამჩნევი კონსტრუქციული სირთულისა და ძირითად გრამატიკულ წეს-კანონთა, ასე ვთქვათ, მოუხელთებლობისა, ქართული ენა რომანებში – მაგალითად, **ვისრამიანსა** და **ამირან-დარეჯანიანში** – ისეთ სიმსუბუქესა და სისადავეს აღწევს, რომ ნებისმიერ ქართველს, რომელსაც 39 ასოს თავ-თავის ადგილზე ხმარება შეუძლია, აფიქრებინებს – ასე ხომ მეც თავისუფლად დავწერო.

დღეს შექმნილი ენობრივი ვითარება იძლევა უკმაყოფილების საფუძველს: ზეპირი მეტყველება – მოქნილი, მწყობრი, ლაღად მდინარი, ქალაღზე გადატანისას რალაცნაირად ბლანტი, მძიმე

და არაბუნებრივი ხდება, გადის თვით სასულიერო და ბელეტრისტული ტექსტებისათვის დამახასიათებელი ენობრივი ჩარჩობიდან, ანუ ჩამორჩება ცოცხალი სასაუბრო ენის განვითარებას და მიემსგავსება იმგვარ მთვლემარე ენას, დღეს რომ „მნიგნობრულს“ უწოდებენ.

პოეზიის ენას შესანიშნავი ღირსებები აქვს: ფორმათა და ენობრივ მიმოქცევათა არაჩვეულებრივი სიმდიდრე, სინონიმთა სიუხვე, ფიქსირებულ მახვილთა უქონლობა, აზრის დაუზიანებლად სიტყვის ბოლო მარცვლებით თავისუფლად ვარიირების შესაძლებლობა, განსაცვიფრებელი ჰარმონიულობა, მეტრული, ცეზურული და რითმული ორგანიზაციის სიმსუბუქე და სინატიფე. ყოველივე ამის გამო ქართული ლექსთწყობა უსაზღვროდ მრავალფეროვანია.

უნიჭო ლექსთა მჩმახველებს, როგორც ყველგან, ჩვენს ლიტერატურაშიც უხვად შეხვდებით. რასაკვირველია, ამან მისცა საბაბი ვოლტერს, რომ სადღაც ეთქვა – ქართველ პოეტებს, ჩვეულებრივ, აზრი რითმის სამსხვერპლოზე მიაქვთო. მაგრამ ამას ხომ ვერ ვიტყვით ჩვენს ძველ, სახელგანთქმულ პოეტებზე: რუსთაველზე, თმოგველზე, ჩახრუხაძეზე, შავთელ-აბდულმესიაზე; ვერც ბესიკ გაბაევიზე, ჭავჭავაძეზე, ორბელიანზე, ბარათოვიზე, ერისთოვიზე, თვით პრიმიტიულ ფერშანგოვიზეც კი; ვერ ვიტყვით სხვა უახლესი პერიოდისა თუ დღეს მოღვაწე პოეტებზე. ამათ შემოქმედებაში ვერ იპოვით პოეტურ ქმნილებას, რომელსაც სიამოვნებით არ წაიკითხავთ და რომელიც თქვენს გულსა და გონებას სინათლეს არ მოჰყვინს.

ქართული ენა, რომელიც სამგვაროვანი დამწერლობითაა წარმოდგენილი, ლიტერატურული თვალსაზრისით დიდი ხანია, მაღალ დონეზეა დამუშავებული. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ უცხოური ენების მეტად თუ ნაკლებად მცოდნე ქართველების შეხედულებით, არ არსებობს აზრი, რომლის ქართულ ენაზე მკაფიოდ და ნათლად გამოსატყა გაძნელებდა. პოეტური ტექნიკის, ფორმათა ნაირგვარობისა და გამომსახველობითი სიმდიდრის მაგალითად დავიმონებთ ჩახრუხაძისა და შავთელის თხზულებებს – ორივე

წარმოადგენს თამარის აპოლოგიას და მიეკუთვნება იმავე თამარის ეპოქას, XIII საუკუნეს. პირველი მათგანი შეიცავს 115, მეორე კი – 107 ათმარცვლიან ოთხტაეპედს. ეს სალექსო ფორმა, როგორც ამბობენ, არაბული პოეზიდანაა ნასესხები. ორივე თხზულება გამორჩეულია სიტყვათა თამაშითა და პოეტური უღერადობით.

დავიმოწმებთ შავთელის თხზულების მე-3 სტროფს:

ქე ადამისი, მსგავსად ამისი, ვისცა ეხილვონ, მამცნონ სად არი?  
ლმერთმან სამოთხით მოგვცა სამ-ოთხით, ეთებრ მბრწყინვალე,  
მზეებრ სად არი!  
აღმოსავლეთით და დასავლეთით, სამხრით ჩრდილომდის  
ჰპოვონ, სად არი?  
ზესკნელს ქვესკნელით და გარესკნელით, უკანასკნელით  
უფსკრულ სად არი?

ანუ:

Дщерь Адамову, ей подобную, если знает кто, пусть укажет – где?  
Её Бог нам дал, благо райское: как эфир чиста, как звезда светла!  
Восток или запад, юг или север, пусть укажут нам, где ей равная,  
В высях-ли, долу-ль, вне-ли пределов, пусть укажут нам ей подобную.

ან კიდევ – ჩახრუხადის თხზულების 22-ე სტროფი:

სიუხვით ზღვებრი, სიმართლით ცებრი, მდაბლად მონყალე,  
ჭვრეტად წარწარი,  
მძლეთა მძლეველი, თვით უძლეველი, კედრით კედრამდის  
მძლედ სასმენარი;  
ასეთი ესე არს ეს მონესე, ჯვართაც ღვთითგან მიმომთმინარი.  
დიდსა მსაჯულსა ამტკიცებს ჰსჯულსა, ლმერთმან მით მოგცა  
მისი საქწარი.

ანუ:

Щедра как море, чиста как небо, кротка как милость, на взгляд вся нежность.  
Разя героев, сама всех выше; победоносна над всеми всюду.  
Установляя в делах порядок, несёт крест Божий с Его смиреньем;  
И утверждая судью в законе, правит здесь властью, Богом ей данной.

ქართველებმა უნდა ვისურვოთ, რომ ეს ორი პოეტური ქმნილება გამოიცეს გამართულად, სწორი სიტყვათწყობით, რამდენადაც სიტყვათა განუწყვეტელი თამაშის პირობებში მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გამოვიტანთ აზრს სწორად.

აი, მაგალითად, ჩახრუხაძის სტროფი, რომლის შინაარსობრივი გაგება ძნელია იმიტომ, რომ სიტყვათა წყობა ასეა წარმოდგენილი:

არამედ გარე, არამედ გარე, თვით და ხალიფას,  
გამკიცხოვნებად.  
მეტყვის მით ენოს, მეტყვის მით ენოს, წყვდიად რომელ ჰსჩანს,  
ვარდი თოვნებად.  
არა ქამანდა, არა ქამანდა, არა ნარგისთა, შამბი მავნებად.  
ეგე ნათელი, ეგე ნათელი, რა ნახოს მზესა აქვს ბნელოვნებად.

ყოველგვარ ბუნდოვანებასა და გაუგებრობას ავიცილებთ თავიდან, თუ იმავე მონაკვეთში სიტყვებს ასე გავაწყობთ:

არა მედგარე, არამედ გარე თვით და (ვა) ხალიფას  
გამკიცხოვნებად.  
მეტყვის მით ენოს, მეტყვის მითენოს, წყვდიად რომელ ჰსჩანს  
ვარდი თოვნებად.  
არ აქა, მანდა, არა ქამანდა, არა ნარგისთა შამბი მავნებად.  
ეგ ენათ ელი, ეგე ნათელი რა ნახოს მზესა აქვს ბნელოვნებად.

ქართულ ლიტერატურაზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო გარემოება: მიუხედავად მოსაზრებისა ქართული

ენის სანსკრიტიდან წარმომავლობის შესახებ, მიუხედავად სანსკრიტთან და ბერძნულთან ცალკეულ ენობრივ ფორმათა მსგავსებისა, ქართულ ლიტერატურაში ჩვენს დრომდე დრამატურგიას ვერ შეხვდებით. ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველებს – ითვისებდნენ რა სანსკრიტისა და ბერძნულის ენობრივ ფორმებსა და, შესაბამისად, იცნობდნენ ამ ენებზე შექმნილ ლიტერატურას – არ შეეთვისებინათ დრამატული მწერლობა და საკუთარ ლიტერატურაში არ შემოეტანათ ამ ენებზე შექმნილი დრამატული ნაწარმოებების თუნდაც თარგმანები. საქართველოს ცხოვრებაში დრამა ყოველდღიურად თამაშდებოდა – დიდი მოურავის ცხოვრება, მაგალითად, თავისთავად მაღალმხატვრული დრამის სიუჟეტს წარმოადგენს. ქართველთა ზნე-ჩვეულებებში უხვადაა საოხუნჯო და კომიკური ელემენტები. ჩვენს ენაში თითქმის ყველაზე მეტადაა შესაძლებელი ოსტატური კვანძის აგება სიტყვების თამაშსა და, აქედან გამომდინარე, ათასგვარ გაუგებრობებზე. მიუხედავად ამისა, სცენისათვის განკუთვნილი ნაწარმოებები ჩვენში მხოლოდ ახლა ჩნდება – XIX საუკუნის შუა წლებში. მიუხედავად ტრადიციის არარსებობისა, ამ მიმართულებით პირველმა ცდებმა გვიჩვენა: თუკი თავადმა ერისთოვმა თავის ორიოდ-სამიოდე პიესაში შეძლო წარმოეჩინა ცხარე იუმორით შეზავებული ცოცხალი სახეები ჩვენი თანამედროვეებისა, თუკი დვანაძემ და აბრამიძემ ისე, რომ ადრე სცენაზე ფეხიც კი არ ჰქონდათ დადგმული – შესაძლებელია, მანამდე ნანახიც კი არ ჰქონოდათ თეატრი – შეძლეს ასე ლაღად განესახიერებინათ სცენური პერსონაჟები, ეჭვი არაა, ხალხში ყოველთვის არსებობდნენ ერისთოვების, დვანაძეების, აბრამიძეების პერსონაჟთა მსგავსი ტიპები. არადა, ქართველებს, რომლებიც მშობლიურ ენაზე კითხულობდნენ ბიტპას,<sup>23</sup> ქილილა და დამანას, ტროას დაქცევის ამბავს ანდა კვინტუს კურციუსს, არათუ არ კითხულობდნენ ბერძნულ ენასა თუ სანსკრიტზე დაწერილ დრამას ან კომედიას, არამედ არაფერი სმენიან რომელიმე სუდრაკისა თუ ესქილეს არსებობის შესახებაც კი.

აი, განსაკუთრებით რა გვაიძულებს, რომ ეჭვქვეშ დავაყენოთ ქართული ენის ნათესაობა ინდოგერმანულ ენებთან, სანამ



მითითება ორიოდ-სამიოდე შემთხვევითი გრაფიკული მოხაზულობისა თუ ბგერის მსგავსების შესახებ არ შეიცვლება არსებითი ხასიათის თანხვედნილობათა დასაბუთებით.

დაგვრჩა სასწავლო-საგანმანათლებლო და საენათმეცნიერო ლიტერატურა...

ეს ის სფეროებია, რომლებიც დღემდე არასახარბიელო რეპუტაციას უქმნის ზოგადად ქართულ მნიგნობრობას. ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას თვით ქართველებიც კი უფრთხიან. ღრმა პატივისცემას გამოვხატავთ იმ პირთა მიმართ, რომლებიც საფუძვლიანად შეისწავლიან ქართულ ენას, თუმცა ამგვარ პირთა რაოდენობა მეტისმეტად მცირეა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენში მიღებულია – მეცნიერების ენა უნდა იყოს ღვლარჭნილი, მძიმე, ბუნდოვანი. სწავლულის საპატიო სახელს ქართველი ხანდაზმულობაში თუ ეღირსებოდა და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ყმანვილობიდანვე უარს იტყოდა ახალგაზრდული ასაკისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა სურვილსა თუ გატაცებზე. მდგომარეობითა და ცხოვრების წესით განსაზღვრული ცივი მედიდურობა სწავლულს ხელს უშლიდა ესაუბრა ემოციურად, გატაცებით, თითქოს წართმეული ჰქონდა სიხარულისა თუ მწუხარების გამოხატვისა და დროსტარება-შექცევის უფლება და ცხოვრობდა ასე – მუდამ გახევებულ-გაშეშებული.

საგანმანათლებლო სფეროში ამჟამად შექმნილი ვითარება ქართული მნიგნობრობის ამ ბნელ მხარესაც შეეხო, თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ქართველოლოგი ჯიუტად განაგრძობს ძველი, სქოლასტიკური სტილის დაცვასა და გაბატონებას. იმედია, რომ ცოცხალი სამეცნიერო ენა მოიპოვებს გარკვეულ უფლებებს, უკიდურეს შემთხვევაში, პირველდნყებითი განათლებისათვის განკუთვნილ საკითხავებში ან წმინდა ბელეტრისტული მიზნებისათვის მაინც.

#### **4. სამეფოს საზღვართა შესახებ**

ქართველი ხალხის ხანგრძლივ ისტორიას სამი ყველაზე კაშკაშა სახელი ანათებს: ვახტანგ გორგასალი, წმ. დავით აღმაშენებ-

ლი და თამარი.

თამარ მეფის ხანა უდავოდ არის აპოგეა კავკასიაში ქართველთა ბატონობისა.

საზოგადოდ პოლიტიკური განვითარების ყველაზე მაღალ ხარისხს საქართველომ ამ სამი მეფის ხელში მიაღწია. დიდება თამარისა – შესაძლებელია იმიტომ, რომ ჩამოთვლილთაგან ბოლოს იმეფა – იმდენად ელვარეა, რომ მის წინაშე ფერმკრთალდებიან არათუ ნაკლებად განთქმული მეფეები (მაგალითად, დიმიტრი თავდადებული, არა ერთი და ორი: გიორგი, ბაგრატი, ალექსანდრე თუ ერეკლე...), არამედ თვით გორგასალი და წმ. დავითიც კი.

თამარ მეფის სახელთან დაკავშირებულ თქმულებებსა თუ გადმოცემებში თავს იყრის ყველაფერი, რაც მეტად თუ ნაკლებად შთამბეჭდავია ჩვენს ისტორიაში. იგი ჩვენი ისტორიის ღირსშესანიშნავი ეპიზოდების, ლეგენდების უბადლო გმირია. ისტორიას უმაღლეს ხარისხში აჰყავს თამარის მეფობის ხანა. შესაძლოა, ეკლესიას იგი თავისი ღვთისმოსაობისა და უმნიკვლო ზნეობის გამო წმინდანთა დასში ჩაერიცხა,<sup>24</sup> მაგრამ შემაფერხებელ გარემოებად იქცა წმინდა წყლის პოლიტიკური მიზეზი, რომლის მიხედვითაც, მეფის მორალურ ვინაობას ერთი ბენო მნიკვლიც კი არ უნდა მისცხებოდა. იგავები, ზღაპრები თითქოს იმისთვის არსებობს, რომ დაამტკიცოს: შეუძლებელია ჩვენმა ადამიანურმა ბუნებამ სრულყოფილებას მიაღწიოს; თვით სინათლევ კი წარმოშობს ბნელს; არ არსებობს ჭეშმარიტება, რომლის ხელყოფას ადამიანის ენა ვერ შეძლებს. – ლეგენდებში, იგავებში, ზღაპრებში თამარი ზოგჯერ გაიგივებულია რომანტიკული თავგადასავლების პერსონაჟთან; იგი წარმოჩენილია ისეთი ქალის განსახიერებად, თავიანთი ადამიანური შეცოდებებითაც რომ გაითქვეს სახელი.

მაგრამ დიდი თამარის წმინდა ხსოვნა დღემდე ხელშეუხებლად და დაცული იმდენად, რამდენადაც ამ რანგის ისტორიული გმირი – გადაფარავს რა ყველა სხვა სახელს – თავის თავში დიდი ხნის წინათ დავიწყებულ ისტორიულ გმირთა სახელებს, საქმეებ-

სა და ხსოვნასაც „შეითავსებს“ ხოლმე.

ქართულ მატრიანეთა კრებული, მიუხედავად იმისა, რომ მას ვახტანგ VI-ისა და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ისეთი მრავლისმეტყველი სათაური ეწოდა, როგორცაა „ქართლის ცხოვრება“,<sup>25</sup> სინამდვილეში თავისი ხასიათით მეფობათა უბრალო ჩამოთვლაა, უმეტესწილად იმის აღნიშვნაა, რომ ესა და ეს აღესრულა ამა და ამ დროს, მანამდე სვებედნიერად ან შფოთიანად იმეფა ამდენსა და ამდენ ხანს და მემკვიდრე მისი იყო ესა და ეს. გამონაკლისის სახით მხოლოდ ზოგიერთი მეფის მოღვაწეობაა შედარებითი სისრულით აღწერილი, მაგრამ აქაც უმეტესად ზღაპრული გმირობის სულისკვეთება ჭარბობს, როგორც, მაგალითად, ვახტანგ გორგასლის ეპიზოდში. ხოლო უკანა პლანის მოღვაწეები – პიროვნებები, რომლებმაც ტახტისა და მამულის სასარგებლო რაიმე საგმირო საქმით აღბეჭდეს თავიანთი სახელი ხალხის ხსოვნაში – იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ჩანან ჩვენს საისტორიო წყაროებში. ამგვარ გამონაკლისად უნდა ჩავთვალოთ თამარის ხანა, რომელსაც მიეკუთვნება ჩვენთვის ცნობილი თითქმის ყველა სახელოვანი ლიტერატურული თუ სამხედრო ფიგურა. მაგალითად: შოთა რუსთაველი, სარგის თმოგველი, იოანე-აბდულმესია, ანუ მონა ქრისტესი, იოანე პეტრიწი, სარგის, ზაქარია და იოანე მხარგრძელები. ისინი უკლებლივ თამარის ეპოქის მოღვაწეები არიან, თუმცა ერთ მათგანზე ერთ-ერთი წყარო მიუთითებს – თამარის ბაბუის აღმზრდელიაო.<sup>26</sup>

თამარის მეფობა ვრცელდებოდა კასპიისპირეთიდან პონტომდე და ვოლგიდან არაქსამდე. აი, რა არის ნათქვამი თამარისდროინდელი სამეფოს შემადგენელ ნაწილებზე – თამარ მეფე თარგამოსის რვა შთამომავლიდან შვიდი შთამომავლის სამფლობელოს ფლობდა (ჰაოსის გამოკლებით). ეს სამფლობელოები კი ასე ნაწილდებოდა:

## **1. ქართლოსის ნაწილი**

**აღმოსავლეთით:** მდინარე ბერდუჯის (დებედა, ბორჩალო) პირას მდებარე მცირე მთიდან ხუნანამდე, ანუ მტკვრისციხემდე,

გუგულის მწვერვალი და ტბები, სპერის ზღვად წოდებული.

**სამხრეთით:** მდინარე არაქსიდან შავ ზღვამდე გადაჭიმული მთიანეთი.

**ჩრდილოეთით:** კავკასიის მთები და ლადოს მთა კასპიის ზღვამდე.

**დასავლეთით:** ლიხის ქედიდან იმ მთიანეთამდე, რომელიც ტაო-კლარჯეთიდან შავ ზღვამდე სწვდება.

## **2. ბარდოსის ნაწილი**

**აღმოსავლეთით:** არაქსი.

**სამხრეთით:** მთიანეთი არაქსიდან შავ ზღვამდე.

**დასავლეთით:** ბერდუჯისპირა მთა.

**ჩრდილოეთით:** მტკვარი. აქაა ქალაქი ბარდა, ანუ ბარდავი.

## **3. მოვაკანოსის ნაწილი**

**აღმოსავლეთით:** კასპიის ზღვა.

**სამხრეთით:** მტკვარი.

**ჩრდილოეთით:** კავკასიონი.

**დასავლეთით:** დიდი და პატარა ალაზნის შესართავი.

## **4. ჰეროსის ნაწილი**

**აღმოსავლეთით:** კავკასიონი.

**სამხრეთით:** მოვაკანის საზღვარი.

**დასავლეთით:** მტკვარი.

**ჩრდილოეთით:** ხუნანი, გუგულის ტყე და ტბა, კავკასიონამდე.

## **5. ლეკოსის ნაწილი**

**აღმოსავლეთით:** კასპიის ზღვა.

**სამხრეთით:** კავკასიონი და კავკასოსის საზღვარი.

**ჩრდილოეთით:** „დიდი მდინარე“ (ვოლგა) ხაზართა ქვეყანაში.

**დასავლეთით:** მდინარე ლომეკი (თერგი).

## **6. კავკასოსის ნაწილი**

მდინარე ლომეკიდან კავკასიონის დასავლეთ კიდეზე, ანუ შავ ზღვაზე.

## **7. ეგრისის ნაწილი**

**აღმოსავლეთით:** ლიხის ქედი.

**ჩრდილოეთით:** კავკასიონი.

**დასავლეთით:** შავი ზღვა და მცირე მდინარე ხაზარეთი (უნდა ვიფიქროთ – ყუბანი).

**სამხრეთით:** ლაღოს მთა.

ყველა ამ სამფლობელოს ერთი ხელი მართავდა როგორც თამარის, ისე ზოგიერთი მისი მომდევნო მეფის – მაგალითად, გიორგი VI-ის – დროს.<sup>27</sup> მაგრამ არ შეიძლებოდა ასეთი კავშირი არ დარღვეულიყო ნაკლები ძალმოსილების მეფეთა ხელში – თამარის ხანა კი აღარ განმეორებულა.

ეს უზარმაზარი სამეფო – უზარმაზარი იმდენად, რამდენადაც შავი ზღვიდან კასპიის ზღვაზე მთელ კავკასიაზე იყო გადაჭიმული – უკანასკნელი ექვსი საუკუნის განმავლობაში გარეშე თუ შინაურ მტერთაგან განუწყვეტელი თავდასხმებისაგან ირყეოდა, თანდათანობით იშლებოდა და საბოლოოდ მცირე ერთეულებად დაქუცმაცდა. ამ დაშლილ-დაქუცმაცებულ ერთეულთა კვლავ გაერთიანება მხოლოდ რუსეთს შეეძლო. თამარისდროინდელი სახელმწიფოსგან ჩამოშორებული ტერიტორიების აქ ჩამოთვლა რამდენიმე გვერდს დაიჭერდა.

საქართველოს სამეფომ უკიდურესი დაქვეითება XVIII საუკუნეში განიცადა. საკუთრივ ქართველობა ამ ეპოქაში გაფანტული იყო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სამ სამეფოსა და ასევე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ოთხ სამთავროში: ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, აფხაზეთსა და სვანეთში. ადრინდელი საქართველოს დანარჩენი ნაწილები ან თურქთა და სპარსელთა უღლის ქვეშ მოექცა, ან კიდევ ამ ტერიტორიებზე ახალი სახანოები თუ თემები (მთიანეთში) წარმოიშვა.

გასული საუკუნის შუა ხანებში ქართლისა და კახეთის სამე-

ფოები ერეკლე II-ის სკიპტრის ქვეშ გაერთიანდა.

ერეკლე II-ის ხანგრძლივმა მეფობამ ჩრდილოკავკასიელ მთიელთა, თურქთა და სპარსელთა წინააღმდეგ განუწყვეტელ ბრძოლაში ჩაიარა. ამ ბრძოლებში მას ბრწყინვალე გამარჯვებები აქვს მოპოვებული; მაგალითად: აზატ-ხანის წინააღმდეგ ერევნის სი-ახლოვეს, ახალციხის ფაშას წინააღმდეგ ანჟურთან, განჯის ხანის წინააღმდეგ ელიზავეტპოლთან... მიუხედავად ამისა, ჩვენი საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როცა ერეკლე II-ისა და მისი მემკვიდრის, უკანასკნელი მეფის, გიორგი XIII-ის,<sup>28</sup> აგრეთვე ხალხის სურვილით ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფო რუსეთის სახელმწიფოს შეუერთდა, მისი საზღვრები საკმაოდ შეკვეცილი იყო:

**აღმოსავლეთით:** პირიქითი ალაზნის ქედი.

**სამხრეთით:** ყოფილი კუხეთი; იმჟამად ლეკების მიერ დაპყრობილ-დამონებული საინგილო და სახანოები: შექისა, ყარაბაღისა და განჯისა.

**დასავლეთით:** თურქეთი, რომელიც უშუალოდ მოებჯინა ადრინდელი შუა ქართლის საზღვრებს.

**ჩრდილოეთით:** ვახანის ქედიდან დარიალის ხეობამდე და თუშ-ფშავ-ხევსურეთი.

XIX საუკუნის გარიჟრაჟს ეს მცირე სამეფო შინააშლილობებით, დასუსტებული მმართველობითი სისტემით, გარეშე მტერთაგან მუდმივი რბევა-თარეშითა და ძარცვა-გლეჯით განაძებული შეხვდა; შუადღეს კი იგი დოვლათით სავსე და საშინაო ცხოვრებაში მშვიდობის შუქით განათებული ხვდება, თუმცა იმ მოქუფრულ ღრუბელსაც ემსგავსება, ჭექაქუხილიან სასჯელად რომ უნდა დაატყდეს მართლმადიდებლობის მტრებს. ეს უკანასკნელი გარემოება კი მოლონიერებულ ქართველობას მტერთან ბრძოლაში ძველი დიდების აღდგენის პერსპექტივასაც უქმნის.

გადავდივარ ბოლო საკითხზე – მეტად თუ ნაკლებად დაშორებულ ქვეყნებთან ქართველთა **საგარეო ურთიერთობებზე**.

აღმოსავლური სახელმწიფოების: სპარსეთის, თურქეთის, სომხეთის, არაბეთის ხალიფატის, აგრეთვე: ბიზანტიის მონარქიისა და პონტოს სამეფოს, რომის, ვენეციის, პიზის ისტორიკოსები მეტ-ნა-

კლებად გვერდს ვერ აუვლიდნენ ქართველებს, რომლებთანაც ამ ქვეყნებს სამხედრო თუ პოლიტიკური, ასე ვთქვათ, ინტერესთა შეჯახებები აკავშირებდა.

მაგალითად, V საუკუნეში ვახტანგ გორგასალი მართლმადიდებლობის დაცვისა თუ მოკავშირეთა დახმარების მიზნით ჯარით იყო მიმდგარი პონტოს სინოპის კედლებს, იარაღით იკაფავდა გზას ანატოლიაში, პალესტინაში, ინდოეთში. ჩვენი მემკვიდრეების მიხედვით, ვახტანგი აბაშეთში, ანუ ეთიოპიაში, იმავე აბისინიაშიც კი იბრძოდა.

ვოლნეის თქმით, ქართველი მამლუქები რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ფლობდნენ ფარაონებისა და პტოლემეების სამეფოებს.

ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში ქართული სახელმწიფოს წონამ და მნიშვნელობამ ჯვაროსნები აიძულა, ბიზანტიის იმპერატორისა და საქართველოს მეფისათვის დაეთმოთ ანტიოქიაში მოპოვებული საეკლესიო სინმინდეები. მიშოს სიტყვებით, ჯვაროსნებს არ სურდათ ამ ორი ძლევამოსილი მონარქიდან, რომლებიც მათ აურაცხელ განძეულობას სთავაზობდნენ, რომელიმეს სახით ახალი მტერი შეეძინათ.

დასასრულ, საკუთარი თვალთ მატყვს ნანახი ერეკლე მეფის სიგელის ასლი – მადრასში შესანიშნავი ქართული კალიგრაფიით დანერილი და ერთ-ერთი იქაური ევროპული საკონსულოს მიერ დამონმებული: ერეკლე თავადობასა და საქართველოში საკმაოდ ვრცელ დასახლებულ მამულს უბოძებს ვინმე შამირს, მადრასის მკვიდრს, იმ დამსახურების გამო, რომელიც ინდოეთთან დაკავშირებულ საქმეებში შამირსა და მის წინაპრებს მიუძღოდათ და მიუძღვით ერეკლესა და მისი წინამორბედების წინაშე.<sup>29</sup>

ეს არის ფაქტი, რომელიც ადასტურებს საქართველოს ურთიერთობას ინდოეთთან,<sup>30</sup> მაგრამ რა ხასიათისა იყო ეს ურთიერთობა – სამხედრო თუ სავაჭრო – ცნობილი არ არის ან ცნობილია მეტიმეტად ვინრო წრისათვის.

ეს სახელდახელო მიმოხილვა საქართველოს ისტორიის გვიჩვენებს, რომ უძველესი სამეფოებიდან, კაცობრიობის ის-

ტორიისათვის ცნობილი უძველესი ხალხებიდან XIX საუკუნისათვის მხოლოდ ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა თვითარსებობა. საქართველოს თავზე გადაიარა პოლიტიკურმა ქარიშხლებმა, რომლებიც ამსხვრევდა ძლევამოსილ სახელმწიფოებს, დამბობილთა ნანგრევებზე აღმოცენდებოდნენ ახალი სახელმწიფოები, თავის მხრივ, ისინიც ირღვეოდნენ და მხოლოდ საქართველომ გაუძლო ყოველივე ამას.

ვფიქრობთ, მარტო ეს არის საკმარისი, საისტორიო კვლევებში გამოვლინდეს სათანადო ინტერესი და კეთილგანწყობა იმ ხალხის ბედის მიმართ, რომელიც ოც საუკუნეზე მეტხანს შეუდრეკლად უმკლავდებოდა მსოფლიო ქარტეხილებს და, ბოლოს, საუკუნეობრივი უბედურებებით ქანცგანყვეტილმა, ნებაყოფლობით მიაყრდნო თავი ერთმორწმუნე რუსეთს.

ჩემ მიერ მოხმობილი *მასალის* კრიტიკულ დამუშავებას სარგებლობის მოტანა შეუძლია ხელისუფლებისთვისაც და მეცნიერებისთვისაც. წარსულის ცოდნა ხელისუფლებას დაეხმარება, მკვიდრი და წარმატებული საფუძველი შეუქმნას იმ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებამ ხალხს კეთილდღეობა უნდა მოუტანოს. მეცნიერებას კი ეს *მასალა* დაეხმარება, შეავსოს და გაამთლიანოს ისტორიის ის მონაკვეთები, რომელთა შესახებ მეტ-ნაკლებად სანდო, თუმცა მწირი ცნობები მოგვეპოვება.

დასახული მიზნის მიღწევა მხოლოდ ძალების კონსოლიდაციითაა შესაძლებელი. კერძო პირთაგან, ვინც თავის სიცოცხლეს ამ საქმეს უძღვნის, მხოლოდ მ. ი. ბროსეს დასახელება შეგვიძლია. მისგან მომავალშიც ბევრს მოველით და თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ღირსეული პატივი მივაგოთ მ. ი. ბროსეს კეთილშობილებით აღბეჭდილ შრომას, მის ღვაწლს კეთილი სიტყვებით მომავალი თაობები მოიხსენიებენ. ადამიანის არსებობის გამართლებაც ამაში უნდა ვეძებოთ.

[1854]



**შენიშვნები და კომენტარები**



## ტექსტისათვის

თხზულებათა II ტომში შესულია დიმიტრი ყიფიანის პუბლიცისტური, ლიტერატურული და საისტორიო თხზულებები.

დიმ. ყიფიანის ტექსტები ხშირად არ იბეჭდებოდა, ამიტომ „ნაბეჭდში“ მითითებული გვაქვს არა მხოლოდ პირველნაბეჭდი და ავტორის სიცოცხლეში გამოცემული ტექსტები, არამედ – ჩვენთვის ცნობილი პუბლიკაციებიდან უკლებლივ ყველა.

ე. ნ. პასპორტში ვუთითებთ მონაცემებს ტექსტის ხელნაწერის, პუბლიკაციის, სათაურის, თარიღისა და დაწერის ადგილის, ავტორისეული ხელმოწერის შესახებ. როცა ეს მონაცემები ტექსტში არ არის (ვთქვათ, ტექსტი დაუსათაურებელია ან დაუთარილებელია და სხვ.), ასეთ შემთხვევაში შესაბამისი მითითება პასპორტში გამოტოვებულია და აუცილებელ განმარტებებს შენიშვნებსა და კომენტარებში ვიძლევიტ. როცა პასპორტში მითითებული არ არის „ნაბეჭდი“, ეს იმას ნიშნავს, რომ ტექსტი ხელნაწერის საფუძველზე პირველად წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება.

ტექსტების ნაწილი დათარიღებულია ავტორის მიერ. ასეთის არარსებობის შემთხვევაში კვლევით დადგენილ თარიღს ვიძლევიტ კვადრატულ ფრჩხილებში. დაწერის თარიღი კვადრატულ ფრჩხილებშია მაშინაც, როცა საკითხის გარშემო არ მოგვეპოვება რაიმე ხელმოსაჭიდი მონაცემი და მას (ტექსტს) ვათარიღებთ პირველნაბეჭდის მიხედვით. სათანადო მონაცემები – ტექსტი პირველნაბეჭდის მიხედვით თარიღდება თუ თარიღი კვლევით დგინდება – შენიშვნებსა და კომენტარებშია მოცემული. თუ ავტორს თარიღთან ერთად ტექსტის დაწერის ადგილიც აქვს

მითითებული, მოგვყავს ორივე მონაცემი.

დიმ. ყიფიანი 1860-იანი წწ. ბოლომდე იყენებდა ძველ, ე. წ. ფუნქციადაკარგულ, ასოებს (ზ, ძ, ჯ, კ, შ; აგრეთვე – ჟ). იგი მიიჩნევდა, რომ ეს ასოები ქართულ ენას მოქნილობასა და მუსიკალობას სძენდა, თუმცა საბოლოოდ დაემორჩილა ილია ჭავჭავაძის (ზოგადად „თერგდალეულთა“) მიერ განხორციელებულ ცნობილ რეფორმას და 1860-1870 წწ. მიჯნიდან ამ ასოებს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, უკვე აღარ ხმარობდა. **წინამდებარე გამოცემაში ძველი ასოები შეცვლილია და სიტყვები ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვითაა გადმოცემული** (ქუჭყენის – ქვეყნის, გვაქუს – გვაქვს, კელოვნებითი – ხელოვნებითი, გონებისათჳს – გონებისათვის და სხვ.). გამონაკლისს ვუშვებთ ერთადერთ შემთხვევაში. ეს არის თხზულება „ჩუწნი ნაცარ ქექიები“. საქმე ისაა, რომ ამ თხზულების რაობა და მიზანდასახულობა სწორედ ძველი (ფუნქციადაკარგული) ასოების შენარჩუნების სურვილითაა განპირობებული და, შესაბამისად, ხსენებულ გამონაკლისს აქ თავს ვერ ავარიდებდით.

დიმ. ყიფიანის ტექსტებში ხშირად გვხვდება პარალელური ფორმები, დაკავშირებული: ა) პირის ნიშნებთან (მოუყვევი/ მოუყვევი, შეუდექი/ შეეუდექი...); ბ) ნაწილაკებთან (გვეხარჯება მეთქი, პირველთაგანი-მეთქი; იყოსლა, იყოს-ლა...); გ) ცალკეულ სიტყვებთან (ამბავი/ანბავი, საზოგადოება/საზოგადოობა, ზრდილობა/ზდილობა...) და სხვ. ასეთ შემთხვევებში (და ზოგადადაც) უარს ვამბობთ ე. წ. ენობრივი უნიფიკაციის პრინციპზე და დიმ. ყიფიანის მართლწერასა და პუნქტუაციას ვტოვებთ უცვლელად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აშკარაა ლაფსუს კალამი ან კორექტურული ხარვეზი. უნიფიკაციაზე უარის თქმა იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ დიმ. ყიფიანი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების პროცესში და გვსურს, ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენაში მისი მონაწილეობის კვალი არ წაიშალოს.

არქაული ან იშვიათად ხმარებული სიტყვები წინამდებარე ტომში შესულ თხზულებებში ხშირად არ გვხვდება. ამიტომაც

მოიხსნა ტომისთვის ლექსიკონის დართვის საჭიროება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ასეთ სიტყვებს შენიშვნებსა და კომენტარებში განვმარტავთ.

შენიშვნებსა და კომენტარებში არ ვიძლევიტ მონაცემებს ტექსტში ნახსენებ პირთა შესახებ (გარდა ცალკეული აუცილებლობისა, როცა ესა თუ ის პირი ნახსენებია: ან მხოლოდ სახელით, ან მხოლოდ გვართ, ან ინიციალით/ინიციალებით, ან კიდეც, როცა კონტექსტი მოითხოვს აუცილებელ განმარტებას). მონაცემები პირთა შესახებ გაგვაქვს პირთა ანბანურ-ანოტირებულ საძიებელში. ამით თავი ავარიდეთ ხშირ გამეორებებს, მნიშვნელოვნად განიტვირთა სამეცნიერო აპარატი და, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც გაცილებით უფრო მოსახერხებელი უნდა იყოს, პირთა შესახებ მონაცემები აქა-იქ კი არ ეძებოს, არამედ ნახოს ანბანურ რიგზე დალაგებულ პირთა ანოტირებულ საძიებელში.

გეოგრაფიული სახელები საძიებელში არ შეგვაქვს ორ შემთხვევაში: ა) წიგნებისა თუ პერიოდიკის გამოცემის ადგილი (თბილისი, ქუთაისი, Тифлис, Москва, Санкт-Петербург, St. Petersburg და სხვ.); ბ) როცა ესა თუ ის გეოგრაფიული სახელი პერიოდული გამოცემის სახელწოდებადაა გამოყენებული („ივერია“, „Кавказ“, „Закавказье“ და სხვ.).

**ადგილ-მამულის მდგომარეობისათვის  
საქართველოში (გვ. 11-21)**

**ხელნაწერი:**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №91.  
შავი. უცნობი ხელით გადაწერილი. შიგადაშიგ ნასწორები  
დიმ. ყიფიანის მიერ. ხელმოწერელი. უთარილო. რუსულ  
ენაზე. ფ. 8 (იქვეა – საქ. №90 – ამ ტექსტის შესავალი ნაწ-  
ილი. შავი. ავტოგრაფი. ხელმოწერელი. უთარილო. რუსულ  
ენაზე. ფ. 2).

**ნაბეჭდი:** „Кавказ“, 10 იანვარი, 1848, №2.

**სათაური:** О состоянии имений в Грузии.

**ხელმწიფი:** Д. Кипиани.

არც ხელნაწერ ტექსტსა და არც ნაბეჭდს თარიღი არ უზის.  
**ვათარიღებთ პირველნაბეჭდის მიხედვით.**

ხელნაწერში (ძირითადადშიც და ავტოგრაფულ 2-ფურცლიან მო-  
ნაკვეთშიც) სათაური ოდნავ განსხვავებულია – „Состояние имений  
в Грузии“ („ადგილ-მამულის მდგომარეობა საქართველოში“).

დიმ. ყიფიანი იყო პირველი, „რომელმაც პრესაში ნათლად და  
გარკვევით უარყო საქართველოს ძველი წყობილების ფეოდა-  
ლური სისტემა, რაიმე სარგებლიანობა ახალ სამოქალაქო პე-  
რიოდში და მოითხოვა ამ წყობილებიდან დარჩენილი ნაშთების  
აღმოფხვრა“ (ხუნდაძე 1936: 35). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ  
**ისტორიულ კონტექსტში** დიმ. ყიფიანი ზოგადად პოზიტიურად  
აფასებდა ფეოდალიზმის როლს საქართველოს პოლიტიკური,  
სოციალური, ეკონომიკური ცხოვრების მონესრიგებასა და გან-  
ვითარებაში. გარეშე მტრების დამანგრეველი შემოსევებისა და  
სისხლისმღვრელი შინააშლილობებისგან დაუძლურებულ (ანარ-

ქიულ მდგომარეობაში მყოფ) ქვეყანაში ფეოდალიზმმა, დიმ. ყიფიანის შეხედულებით, მოაგვარა სოციალურ-წოდებრივი ურთიერთობები და მისცა მას კანონით განმტკიცებული სახე, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა სოციალურ ურთიერთობათა სტაბილიზაცია (იხ. წინამდებარე გამოცემის I ტომში შესული თხზულება „ამ მთისა, იმ მთისა და სხვათა შორის წოდებრიობისათვის ამიერკავკასიაში“ – ყიფიანი 2016: 110-111, 118-128; საქართველოში ფეოდალიზმის გენეზისის, დამკვიდრებისა და ადგილობრივი სპეციფიკური თავისებურებების შესახებ დიმ. ყიფიანის შეხედულებები იხ. აგრეთვე: ყიფიანი 1930: 124-125; ყიფიანი 1990: 141-143; ჩხეტია 1950: 207-225). მაგრამ დროთა განმავლობაში შეიცვალა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება და პირობები. რუსული მმართველობის დამკვიდრებამ მოსპო ჩვენში როგორც გარეშე მტრის თარეში, ისე შინააშლილობებიც. ამ ახალ პირობებში კი საჭირო და შესაძლებელი გახდა ერთმმართველობისა და ერთიანი მემამულური მეურნეობრიობის დამკვიდრება, რამაც, თავის მხრივ, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ტრადიციული სისტემის ძირეული ტრანსფორმაციის აუცილებლობა წარმოშვა. ყოველივე ამას კი ხელს უშლიდა ფეოდალური სისტემის ნაშთები პარტიკულარული სულისკვეთებითა და გვაროვნული საკუთრების არსებობით. დიმ. ყიფიანისთვის „კერძო საკუთრების პრინციპი ურყევ საფუძველს წარმოადგენდა ცხოვრების წარმატებისა და წინმსვლელობისათვის: ეს იყო ახალი მემამულის თვალსაზრისი, ფეოდალურ აპეკისაგან განთავისუფლებულ მოწინავე წოდების იდეოლოგია“ [ხუნდაძე 1936: 42; სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით დიდად საყურადღებო გვეგონია 1860 წელს ოკტავ ფეიეს\* რომანის დიმ. ყიფიანისეული ქართული თარგმანის სქოლიოში მთარგმნელის მიერ გაკვრით ნათქვამი: „ჩვენც გვიახლოვდება ისეთი დრო, რომ ურიგო არ იქნება ვიცოდეთ, ფერმერობა რას ნიშნავს“ – ფე-

\* ქართულ და რუსულ ლიტერატურაში ეს გვარი სხვადასხვა ფორმით გვხვდება: ფელიეტი, ფელიე, ფეიე, ფულიე, ფიოლა, ფურიკი, Фѣлье, Фѣйе... ფრანგული დანერელობაა – Feuillet.

ლიეტი [ფეიე] 1860: 113). დიდად საყურადღებო გვეგონია აგრეთვე გრ. თოდუას თვალსაზრისი: „დ. ყიფიანი მთელი სახალხო მეურნეობის ერთობლივ ევროპეიზაციის იდეას ქადაგებდა. მან ნათლად შეიძინო ევროპული ყოფის ძირითადი მხარეები, მისი წარმოებრივი მიღწევებისა და განათლების მნიშვნელობა. ჯერ კიდევ 1848 წელს, როცა ჩვენში ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი ძალიან მცირე იყო, დ. ყიფიანი ეპოქის პროგრესულ მოთხოვნათა დონემდე ამაღლდა და ქართველ თავადაზნაურობას კაპიტალისტური მენარმეობის განვითარებისაკენ მოუწოდა“ (თოდუა 1987: 31)].

ვფიქრობთ, სწორედ „სახალხო მეურნეობის ერთობლივ ევროპეიზაციის იდეისა“ და „ქართველი თავადაზნაურობისათვის კაპიტალისტური მენარმეობის განვითარებისაკენ მოწოდების“ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული როგორც მოცემული, ისე წინამდებარე ტომში წარმოდგენილი მომდევნო ტექსტის („საზოგადოების“ მიზანთა განხორციელების გზების შესახებ“) ძირითადი იდეა და მიზანდასახულობა (საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: უთურაშვილი 1989: 23-31, 48-54).

დასასრულ, სიმ. ხუნდაძეს მითითებული აქვს (ხუნდაძე 1936: 190; ხუნდაძე 1941: 49), რომ ეს ტექსტი (ან რომელიღაც სხვა ტექსტი ანალოგიური სათაურით – „Состояние имений в Грузии“) დიმ. ყიფიანმა უფრო ადრე, 1844 წელს, გამოაქვეყნა პერიოდულ გამოცემაში „Журнал министерства государственных имуществ“ (кн. XXVIII. 1844, გვ. 83-91), თუმცა, როგორც ჩანს, თვითონ სიმ. ხუნდაძის ან რედაქტორის/გამომცემლის მიერ (ორივე წიგნი ავტორის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა) აქ შეცდომაა დაშვებული – ჟურნალის არც ამ და არც სხვა ნომრებში იგი არ აღმოჩნდა.

<sup>1</sup> (გვ. 11) „რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ საქართველოში 1802 წელს...“ – იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფო, როგორც ცნობილია, 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით გააუქმა, თუმცა თბილისში ტექსტი მანიფესტისა მოგვიანებით, 1802 წლის 12 აპრილს, გამოცხადდა, „ხოლო საქართველოს ახალმა [რუსულმა – თ. ჯ.] მმართველობამ მოქმედება დაიწყო 1802



ნლის 8 მაისიდან“ (ბერძენიშვილი 1965: 261). როგორც ჩანს, ამ-  
იტომ იღებს დიმ. ყიფიანი საქართველოში რუსული მმართველო-  
ბის ათვის ნერტილად 1802 წელს.

<sup>2</sup> (გვ. 13) „ვახტანგ ბატონიშვილის მიერ XVIII საუკუნის დასაწყ-  
ისში შეკრებილ და გამოცემულ კანონთა კრებულში“ – ავტორს  
მხედველობაში აქვს ვახტანგ VI-ის თაოსნობითა და უშუალო  
მონაწილეობით 1705-1708 წწ. შედგენილი სამართლის წიგნთა  
კრებული, რომელიც, გარდა ქართლისა, დანარჩენ ქართულ სამე-  
ფო-სამთავროებშიც მოქმედებდა. რუსული მმართველობის დამ-  
კვიდრების შემდეგაც ჩვენში კარგა ხანს „ვახტანგის კანონები“  
გამოიყენებოდა, თუმცა იმავდროულად რუსი ჩინოვნიკებისა და  
სასამართლო მოხელეების ხელში მრავალი დაბრკოლებისა და უს-  
ამართლობის წყაროც ხდებოდა. ამის შესახებ დიმ. ყიფიანს თავის  
„მემუარებში“ უწერია: „საქართველოს მეფე ვახტანგის კანონები,  
რომლებითაც ადგილობრივ მთავრობას ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ უნდა  
ეხელმძღვანელა, არ იყო რუსულ ენაზე გადათარგმნილი და მხ-  
ოლოდ 25 თუ 30 წლის შემდეგ გადათარგმნეს და დაურიგეს მთავ-  
რობის პირებს, – ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ რას სჩადი-  
ოდნენ ყველა ის ტიტულიარნი სოვეტნიკები, რომელთ ხელში იყო  
ხალხის ბედი, რომელთაც ამ ხალხისა არა ესმოდათ-რა და თვით  
ხალხსაც იმათი არა ესმოდა-რა“ (ყიფიანი 1990: 140-141).

ტექსტი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულისა იხ. სა-  
მართლის ძეგლები 1963; დიმ. ყიფიანის მიერ 1852 წელს დაწ-  
ერილი რეცენზია ვასილ სარაჯიშვილის მიერ თარგმნილი „ვახ-  
ტანგის სამართლის“ შესახებ იხ.: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ.,  
№242; გოზალიშვილი 1951: 82.

<sup>3</sup> (გვ. 15) მონაკვეთი „ამაჟლის გაყოფის“ შესახებ, რომელიც  
დიმ. ყიფიანის ტექსტში რუსულ ენაზეა, ჩვენ ვახტანგ VI-ის სა-  
მართლის წიგნთა კრებულის ი. დოლიძისეული პუბლიკაციიდან  
გვაქვს გადმოღებული (იხ. სამართლის ძეგლები 1963: 487, 490,  
507-508, 510-512).

<sup>4</sup> (გვ. 15) „ამაჟლის გაყოფა-დანაწილება საქართველოში სა-  
ზიანო საქმედ იყო მიჩნეული... ქართული კანონმდებლობა ამ

**გზით ხელს უწყობდა ფეოდალიზმის საფუძვლების შენარჩუნებას** – „მამულის გაყოფა-დანაწილების“ შესახებ სხვა ტექსტში („ამ მთისა, იმ მთისა და სხვათა შორის წოდებრიობისათვის ამიერკავკასიაში“) დიმ. ყიფიანს უწერია: „...დანაწილების ამგვარი სისტემა ჩამოყალიბებულია ვახტანგ მეფის სამართლის წიგნში, როგორც ფარული იდეა ნათესაური საწყისების შენარჩუნებისა, როგორც სამფლობელოთა დაშლის შემაკავებელი უმთავრესი საშუალება. და თუ დაშლა მაინც გარდაუვალი გახდებოდა, ამ შემთხვევაშიც საკუთრების გაყოფის დადგენილ-დაკანონებული წესები არსებობდა. ასე, მაგალითად, გაყრის დროს გასაყოფი საკუთრების ერთი ნაწილი, რომელსაც **გასამყრელო** ეწოდებოდა, უშუალოდ მეფის მფლობელობაში გადადიოდა. გაყრილ ძმებს შორის უფროსი პირველ რიგში ღებულობდა მეკომურ გლეხთა საუკეთესო ნაწილის მეოცედს საკუთარი არჩევანით, რასაც ემატებოდა უარესი ნაწილის მეოცედი ძმების სურვილისამებრ. უმცროსი ძმა ღებულობდა მეოცედს უარესი ნაწილისას და მასვე რჩებოდა მამისეული სახლ-კარი. რაც შეეხება შუათანა ძმებს, ისინი, ყველა ერთად აღებული, ღებულობდნენ მეკომურ გლეხთა მეოცედს. რაც დარჩებოდა, ის უკვე თანაბრად ნაწილდებოდა უკლებლივ ყველა ძმაზე. ქალიშვილებს უძრავი ქონებიდან წილი არ ერგებოდათ, რათა გვარის საკუთრებას გარეშე მოწილე არ გასჩნოდა. იმავე მოსაზრებითვე ამათში ითვლებოდნენ საგვარეულო ოჯახის წევრი ქვრივი ქალებიც“ (ყიფიანი 2016: 127).

<sup>5</sup> (გვ. 15) „**ზოლმინიანობა**“ – დედანში: **черезполосность**, რაც მოძველებული ფორმაა; ამჟამად: **чересполосность (чересполосица**: ეტმონაცვლეობა, **ზოლმინიანობა** – რუსულ-ქართული ლექსიკონი 1983: 833); **ზოლმინიანობა** ნიშნავს, როცა ერთი პირის (ან ერთი მეურნეობის) კუთვნილი მიწები ცალკეულ ნაკვეთებად (ზოლებად – **ზოლი** ... ვინრო და გრძელი ფართობი სხვადასხვა დანიშნულებისა – ქეგლ 1955: 167) არის გაფანტული სხვათა საკუთრებაში არსებულ მიწებს შორის და ხშირად დავის საგნად იქცევა ხოლმე.

<sup>6</sup> (გვ. 17) „**ყმების მხრიდან მებატონეზე დამოკიდებულებისა-**

**გან თავის დაღწევა – თავისუფლების ძიება** – „ყმების მხრიდან... თავისუფლების ძიების“ შესახებ 1863 წელს დიმ. ყიფიანს უწერია: „1812-მდის საქართველოში გასაგონათაც არ გაგონილა, რომ თავისუფლება ეძიებინოს ვისმე ყმათაგანს ბატონისაგან.“ მერე და მერე, რა რომ ეს უცნაური საქმე გახშირდა და იქამდის გამრავლდა, რომ თვით უმაღლესი ჩვენი მთავრობა შეიყვანა ზრუნვაში, რომ მოსპობილიყო როგორმე მიზეზი ამ საქმეებისა, თავით თვისით წარმოდგენენ სხვა უჩვეულო მაგალითებიცა, გულისწყრომა, ერთის მხრით, განდრეკილება ვალდებულებისაგან, მეორეს მხრით, და უსიამოვნება ურთიერთას შორის მყუდროების ნილ“ (ჩხეტიანი 1950: 208). მოგვიანებით იმავე საკითხზე თავის „მემუარებში“ დიმ. ყიფიანი წერს: „რუსეთის ბატონ-ყმობის უფლება და საქართველოს ბატონ-ყმობის უფლება ერთმანეთს ეთანხმებოდნენ მხოლოდ ერთში: ყმის ყიდვასა და გასყიდვაში. ბატონისა და ყმის ურთიერთშორის დამოკიდებულება ისტორიული მდგომარეობის მიზეზით საქართველოში სულ სხვა იყო. არც სამ-სამი დღის მუშაობისა ბატონისათვის, არც ყალანისა (ბეგარის – თ. ჯ.), არც ხარკის გადახდისა, როგორც რუსეთში იყო, საქართველოში არა იცოდნენ რა. აქაურ ჩინოვნიკებს კი ვერ შეეგნოთ, რომ საქართველოს ყმასა და ბატონს შორის დამოკიდებულება ისეთი არ იყო, როგორსაც ისინი იცნობდნენ რუსეთში: აქაურ წოდებათა შორის

\* შ. ჩხეტიანს პუბლიკაციაში: „...თავისუფლება არ (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.) ეძიებინოს ვისმე ყმათაგანს ბატონისაგან“. აქ ან ავტორისეული ლაფსუს კალამია, ან – პუბლიკატორს აქვს შეცდომით ჩამატებული არ ნაწილაკი. ავტორისეულ რუსულ პარალელურ ტექსტში აზრი ასეა ფორმულირებული: „До 1812 года в Грузии не было и слыхано о том, чтобы крестьянин отыскивал свободу от своего господина“ (ჩხეტიანი 1950: 208). ანალოგიურ აზრს გამოთქვამს დიმ. ყიფიანი უფრო ადრე, 1847 წელს, დაწერილ ტექსტში, რომელიც ბატონყმურ ურთიერთობებს ეხება – ჩვენი [რუსული – თ. ჯ.] მმართველობის დამყარებამდე გლეხის მიერ თავისუფლების ძიების დამადასტურებელი საბუთები არ მოგვეპოვებო („По делам видно, что отыскивание свободы крестьянами в Грузии, до открытия нашего управления, было вовсе неизвестно“ – ჩხეტიანი 1950: 57).

თ. ჯ.

დამოკიდებულება იყო პატრიარქალური და ოჯახური. ფეოდალური წეს-წყობილებისა ხომ წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ამან გამოიწვია ისეთი ამბები, რომელთაც წინაპრები არ მოსწრებიან. შეუდგნენ ყ მ ო ბ ი დ ა ნ თავის დაღწევას და იმდენმა საქმემ მოიყარა თავი, რომ სასამართლოები გაივსო. მათი განხილვაც იმ დროის საქმეთა განხილვის წესით მიდიოდა და ათს, ოცს წელიწადს გასტანდა ხოლმე, სანამ საბოლოოდ გადაწყდებოდა. როდესაც გათავდებოდა, ორივე მხარე, მომჩივანიც და მოპასუხეც, მთლად განადგურებულნი და გაღატაკებულნი რჩებოდნენ. ბატონისა და ყმის შორის უწინდელი სიამტკებოლობა სიმძულვარედ გადაექცათ, ისე რომ ბატონის მოკვლაც ხშირი გახდა, ხანდახან მთელი ოჯახობითაც. ამას, რასაკვირველია, მოსდევდა საჩივარი კაცის მკვლელობაზე, მკვლელების დასჯა სხეულით, ჯგუფობით გაგზავნა ციხბირში საკატორღო სამუშაოზე; ერთი სიტყვით, ოჯახური მდგომარეობა გლეხისაც და ბატონისაც, ასის წლობით რომ მტკიცეთ ჰქონდათ დაცული გარეშე მტრებისაგან, ახლა მთლად მოისპო, დაერღვათ და დაექცათ ამ ახალი მფარველი ტიტულიარნი სოვეტნიკების მონყალებით“ (ყიფიანი 1930: 125; ყიფიანი 1990: 142-143).

<sup>7</sup> (გვ. 17) „**1799 წელს, თბილისში რუსების შემოსვლისას...**“ – რუსეთის ჯარი (ეგერთა პოლკი) გენერალ ივ. ლაზარევის მეთაურობით თბილისში 1799 წლის 26 ნოემბერს შემოვიდა. პლატონ იოსელიანის მიხედვით, „მეფე (გიორგი XII – თ. ჯ.) განვიდა ცხენითა საბურთალოს, მიბრძანდა და ნახა; დაიკრა მუზიკა, გამოეჭიმა ჯარი; ღენერალმან მოართვა რაპორტი რუსულად და ქართულად დაწერილი. – მიახლოვდა მეფე და უბრძანა მალღის ხმითა: „გამარჯვება ქრისტეს მოყვარესა მხედრობასა“. მაშინ შეჰკვილა ჯარმან სიმრთელე მეფისა, რუსთა ჩვეულებითა...“ (იოსელიანი 1936: 183) და ა. შ.; სხვათა შორის, რუსის ჯარის პურით გამოკვებასთან დაკავშირებით, რასაც დიმ. ყიფიანი ახსენებს, იმავე პ. იოსელიანს უწერია: „სადგურად ჯარსა დაუნიშნეს საბურთალო ახლოს მტკვრისა, 12 ხაბაზნი აცხობდნენ ჯარისათვის პურსა თფილისს და გოდრებით ურმითა მიაქვდათ. მესამე დღესა სალ-

დათა თვით იწყეს ცხოვა პურისა ფერში მომჟავოდ: ვერ იამათ ჩვენებურად მცხვარი პური“ (იოსელიანი 1936: 183).

<sup>8</sup> (გვ. 20) „**მოსკოვის სავაჭრო დეპო გვათავაზობს შუამავლობას აქაური პროდუქციის რუსეთში გატანა-გასაღების საქმეში**“ – სიტყვას „დეპო“ XIX ს. რუსეთში „კომპანიის“ მნიშვნელობითაც ხმარობდნენ. ასე, მაგალითად, 1830-იან წლებში ამიერკავკასიაში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის შეიქმნა „კავკასიის სავაჭრო დეპო“ (გუგუშვილი 1979: 261). რაც შეეხება აქ ნახსენებ „მოსკოვის სავაჭრო დეპოსა“ და მის შემოთავაზებას, ეს უნდა იყოს 1847 წელს მოსკოველი ფაბრიკანტების მიერ წამოწყებული, მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის მიერ ნახალისებული და იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ მოწონებული, ხოლო შემდეგ პრაქტიკულადაც განხორციელებული ინიციატივა ამიერკავკასიაში ისეთი „რუსულ მანუფაქტურულ ნაკეთობათა დეპოს“ დაარსების შესახებ, რომელიც, ერთი მხრივ, რუსული საქონლით მოამარაგებდა აქაურ მოსახლეობას, ხოლო, მეორე მხრივ, აქედანაც გაიტანდა პროდუქციას რუსეთის ბაზარზე (საკითხის შესახებ იხ. გუგუშვილი 1979: 272-285).

<sup>9</sup> (გვ. 21) „**კეთილგონივრული და ყაირათიანი მართვის მაგალითებს ზოგიერთი ქართველის მამულში უკვე ვხედავთ**“ – მამულის „კეთილგონივრულად“ და „ყაირათიანად“ მმართველ ქართველთა შესახებ იხ. წინამდებარე ტომში შესული ტექსტი „საზოგადოების“ მიზანთა განხორციელების გზების შესახებ“ (გვ. 27-28,31).

**„საზოგადოების“ მიზანთა განხორციელების  
გზების შესახებ (გვ. 22-23)**

**ნაბეჭდი:**

ჟურნ. „Записки Кавказского общества сельского хозяйства“. 1857,  
№1. განყ. II. გვ. 46-59.

О путях к достижению цели Общества. [Тифлис: 1857]. 14 გვ.

**სათაური:** О путях к достижению цели Общества.

**ხელმოწერა:** Действ. чл. К.О.С.Х. Д. **Кипиани** [„კავკასიის სოფლის  
მეურნეობის საზოგადოების“ ნამდვილი წევრი **დ. ყიფიანი**].

პირველნაბეჭდს (აგრეთვე ბროშურას, რომელიც ჟურნალში გამოქვეყნებული ტექსტის ამონაბეჭდია), დართული აქვს სქოლიო: „ნაკითხულია კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საერთო კრებაზე 1856 წლის 27 დეკემბერს“. **ტექსტს ამ მონაცემის მიხედვით 1856 წლის დეკემბრით ვათარილებთ.**

<sup>1</sup> (გვ. 22) „ჩვენი „საზოგადოება“ – იგულისხმება „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“ („Кавказское общество сельского хозяйства“), რომელიც მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის ინიციატივით 1850 წლის თებერვალში დაარსდა (პირველი პრეზიდენტი იყო მ. ვორონცოვი. „საზოგადოებამ“ მოგვიანებით მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით გახსნა თავისი ფილიალები. იარსება 1918 წლამდე).

„კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“ მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის (მებაღეობა-მევენახეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, მებამბეობა, მეფუტკრეობა და სხვ.) აღორძინებასა და განვითარებას, ახალი მანქანა-დანადგარების შემოტანასა და დანერგვას, არსებული სარწყავი სისტემების სრულყოფასა და ახლის შექმნას, უცხო ქვეყნების გამოცდილების დანერგვასა და საზღვარგარეთიდან სპეციალისტების მოწვევას, საუკეთესო ჯიშის თესლისა და ნერგების შემოტანასა და გავრცელებას, საოჯახო მრეწველობისა და ხელოსნობის წახალ-

ისებასა და სხვ., საერთოდ ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში მეურნეობრიობის ევროპეიზაციას („საზოგადოების“ შესახებ იხ.: ქსე 1980: 309-310; სიტოვსკი 1875; იოსელიანი 1901; გუგუშვილი 1959; გუგუშვილი 1965; ჭავჭავაძე 1956<sup>2</sup>: 257-262; ნიკოლაძე 1964<sup>3</sup>: 263-273).

<sup>2</sup> (გვ. 22) „ამჟამად ახალი პრეზიდენტის, თავად ალექსანდრე ივანეს ძის...“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკი, რომელიც 1856-1862 წწ. „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ პრეზიდენტი იყო.

<sup>3</sup> (გვ. 22) „მისი ბრწყინვალეობა“ – იგულისხმება მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკი.

<sup>4</sup> (გვ. 23) „მოვალეობა საბჭოს წევრისა“ – დიმიტრი ივანოვი „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ დაარსების დღიდანვე მისი მმართველი საბჭოს წევრი იყო. ამის თაობაზე 1850 წლის 6 აპრილს იგი ბორის გაბრიელის ძე ჭილაშვილს სწერს: „ამ დღეებში მეფისნაცვალმა იწევა საკუთარ სახლში გაეხსნა... კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“ (ჩანს, თებერვალში დაარსებულმა „საზოგადოებამ“ პრაქტიკულად მუშაობა მოგვიანებით დაიწყო – თ. ჯ.) და მე პატივი მერგო, გავმხდარიყავი ამ საზოგადოების ნამდვილი წევრიცა და მმართველი საბჭოს წევრიც. ეს ჩემთვის მით უფრო სასიამოვნოა, რომ იქაც და იქაც ხალხი თვითონ მეფისნაცვალმა დანიშნა“ (ივანოვი 25343: 2). 1866 წ. დიმიტრი აირჩიეს „საზოგადოების“ ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 1868 წ. 31 მაისს, მაშინდელი პრეზიდენტის, იული ვიტეს, გარდაცვალების შემდეგ – პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად. 1869 წ. 27 თებერვალს ჩატარდა მორიგი არჩევნები, რომელზეც პრეზიდენტად ალ. ნიკოლაი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად ისევ დიმიტრი ივანოვი იქნენ არჩეულნი, 1872 წ. 8 მარტის არჩევნებში დიმიტრი ივანოვის სახელი უკვე აღარ ჩანს (სიტოვსკი 1875: 184-185), თუმცა იგი „საზოგადოების“ რიგით წევრად რჩება (სიტოვსკი 1875: 411), 1872 წ. 5 ნოემბერს კი „საზოგადოების“ მმართველობა დიმიტრი ივანოვს გადაეცა. იგი მუშაობისათვის საგანგებო მადლობას უხდის (ივანოვი 321). უნდა ითქვას ისიც, რომ დიმიტრი ივანოვის მკვლევარ-

ბისა და მისი ცხედრის საქართველოში ჩამოსვენება-დაკრძალვის დღეებში „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ“ თავისი მოამაგის ხსოვნას სათანადო პატივი მიაგო (საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 107, 121, 137-142).

„კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში“ დიმ. ყიფიანის მოღვაწეობისა და, კერძოდ, წინამდებარე ტომში შესული მისი მოხსენების შესახებ იხ.: იოსელიანი 1901: 7-12; ხუნდაძე 1936: 44-45; თოდუა 1987: 30-32; უთურაშვილი 1989: 50-53; ჯოლოგუა 2002<sup>6</sup>: 217-218.

<sup>5</sup> (გვ. 23) „ა. პ. ნიკოლაის მიერ ახლახან თქვენ წინაშე წარმოქმულ აზრებსა და შეხედულებებს“ – ალ. ნიკოლაის მოხსენების ტექსტი იხ. ნიკოლაი 1857: 3-45.

<sup>6</sup> (გვ. 29) „პრიკაზიდან“ ვადიანი სესხი აიღო...“ – „პრიკაზი“ („Закавказский приказ общественного призрения“; „ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულება“), მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის ინიციატივით „საქართველო-იმერეთის პრიკაზის“ (შემოკლებულად – „თბილისის პრიკაზი“) ბაზაზე დაარსებული საკრედიტო დაწესებულება (ერთგვარი საადგილმამულო ბანკი), რომელიც იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა 1848 წლის მაისში დაამტკიცა, ხოლო ოფიციალურად 1849 წ. 1 თებერვალს გაიხსნა. „პრიკაზი“ ითვალისწინებდა თავადაზნაურობის მიერ უძრავი ქონების დაგირავებას, ხოლო აღებული სესხით მამულების უკეთ მოწყობას. ინიციატივის გაცხადებული მიზანი იყო, თავადაზნაურობას თავი დაეღწია მევახშეების უზომო პროცენტებისა და მიწების მასობრივი გაყიდვისაგან. ქართველი თავადაზნაურობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა „პრიკაზში“ მამულები მართლაც დააგირავა, მაგრამ იქ აღებული ფული გაფლანგა და საბოლოოდ განაგებულ დარჩა („პრიკაზზე“ იხ. გუგუშვილი 1956: 265-307).

<sup>7</sup> (გვ. 31) „...აქაური მემამულები სულაც არა ვართ თავისუფალნი ჩამოთვლილი თვისებებისაგან“ – ბარონი ალ. ნიკოლაი თავის მოხსენებაში ქართველთა ყველა ფენის სამეურნეო უნარის მიმართ უაღრესად კრიტიკულადაა განწყობილი. ამგვარ კრიტიკულ დამოკიდებულებას კი იმით ამართლებს, რომ სამსახურე-



ბრივადაც და კერძო ცხოვრებითაც აქაურობასთან არის დაკავშირებული (იგი მეუღლე იყო სოფიო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულისა), არსებითად აქაური მემამულეა (ლოჭინში სასოფლო მეურნეობა ჰქონდა) და ამიტომაც არის დაინტერესებული სოფლის მეურნეობის განვითარებითა და აქაურთა კეთილდღეობით (ნიკოლაი 1857: 43), თუმცა საქართველოს ერთგან „ყოფილს“ უწოდებს („...бывшая Грузия“ – ნიკოლაი 1857: 6), წუხს, თბილისის მაზრაში ბევრი გამოუყენებელი და დაუმუშავებელი მიწაა, ხალხი არც საკმარისია და არც სათანადოდ შრომისმოყვარეო და გამოსავალს მიწების კოლონიზაციაში ხედავს – რუსები და უცხოელები უნდა ჩამოვასახლოთ (ნიკოლაი 1857: 29). რაც შეეხება დიმ. ყიფიანის ტექსტის მოცემულ მონაცემებს, ეს არის პასუხი ალ. ნიკოლაის შემდეგი მოსაზრებებისა: „ვაჭართა კლასს, აქაურთა სიღარიბის მთავარ მიზეზს, მეწარმეთა ამხანაგობები უნდა დავუპირისპიროთ. სამწუხაროდ, ახლო ხანებში ქართველი მემამულეები ამას ვერ შეძლებენ, რამდენადაც ეს საქმე ნდობასა და კეთილგანწყობაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ქართველ თავადაზნაურობაში კი – ერთ გვარეულობაში იქნება ეს თუ სხვადასხვა გვარეულობათა შორის – საუკუნოვანმა შუღლმა და ცილობამ მხოლოდ შური და უნდობლობა დათესა ... უყაირათობა ქართველი ხალხის ყველა ფენის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. მემამულეებს, რომლებსაც ფული სჭირდებათ, გამანადგურებელი გარიგებებისაგან [ვაჭარ-მევახშეებისაგან – თ. ჯ.] თავის დაღწევის ერთადერთ გზად „პრიკაზში“ მამულის დაგირავება და სესხის აღება ესახებათ ... ქართველ მემამულეებს შეიძლება ბრალად წავუყენოთ გარკვეული უზრუნველობა და საქმეში ერთსულოვნების არარსებობა. მათივე საერთო თუ კერძო სარგებლიანობისათვის კი საჭიროა, დაივიწყონ უძველესი დროებიდან მომდინარე ანგარიშიუცემელი შუღლი და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული უნდობლობა“ (ნიკოლაი 1857: 31, 38, 44).

<sup>8</sup> (გვ. 33) „შეტანილია ფ. ფ. ბობილევის მიერ“ – ფედოტ ბობილევის მოხსენების ტექსტი იხ. ბობილევი 1857: 7-14.

**კავკასიაში მართლმადიდებლობის  
აღდგენისათვის (გვ. 34-35)**

**ხელნაწერი:**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი, საქ.  
№322. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ხელმოუწერელი. უთარი-  
ლო. ფ. 2 (იქვეა ტექსტის შავი. ისიც: ავტოგრაფი. რუსულ  
ენაზე. ხელმოუწერელი. უთარილო. ფ. 2)

**ნაბეჭდი:**

Платонов А. И. Обзор деятельности Общества восстановления  
православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг. Тифлис:  
Издание совета Общества. 1910, გვ. 101-103.

წმინდა დიმიტრი ყიფიანის არქივიდან (მასალა „კავკასიაში  
ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ისტორიისათ-  
ვის). პუბლიკაცია მოამზადა თ. ჯოლოგუამ. ყურნ. „მაყვ-  
ლოვანი“. 20 დეკემბერი, 2014, №4, გვ. 17-18.

**სათაური:** О восстановлений православия на Кавказе.

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენე-  
ლი საზოგადოების“ („Общество восстановления православного  
христианства на Кавказе“) დაარსების იდეა, წყაროების მიხედვით,  
მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკის ეკუთვნის (1857 წ.)  
და ამ იდეის განხორციელებაში მონაწილეობდა კავკასიის რო-  
გორც სასულიერო, ისე სამოქალაქო ხელისუფლება [ეგზარქოსი  
ისიდორე (ნიკოლსკი. 1844-1858); მეფისნაცვალ ალ. ბარიატინ-  
სკი. 1856-1862]. პრაქტიკულად კი „საზოგადოება“ იმპერატორ  
ალექსანდრე II-ის მიერ 1860 წ. 9 ივნისს დამტკიცებული წეს-  
დების საფუძველზე დაარსდა და დახურვამდე (1917) ენერგიუ-  
ლად ახორციელებდა მისიონერულ მიზანს: სხვა აღმსარებლობის  
მიმდევართა ქრისტეს სჯულზე მოქცევას, განდრეკილ შვილთა  
(მათ შორის, რუს სექტანტთა) დაბრუნებას მართლმადიდებლო-  
ბის წიაღში, ძველი ეკლესია-მონასტრების აღდგენასა და ახალ  
ტაძართა აგებას, მათ შემკობას, ქალთა და ვაჟთა სასულიერო

სასწავლებლების დაარსებასა და მოვლა-შენახვას, წმინდა წიგნებისა და რელიგიური ხასიათის ტექსტების, აგრეთვე, სასულიერო სახელმძღვანელოების ბეჭდვა-გავრცელებასა და სხვ.; დაფინანსების წყარო იყო როგორც ხაზინის ფული, ისე – შემოწირულებები („კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ შესახებ იხ. პლატონოვი 1910). „საზოგადოების“ საქმიანობა კავკასიას მთლიანად მოიცავდა და მისი მუშაობის ინტენსიურობისა და მასშტაბის წარმოსადგენად აქ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ – 1892 წელს „საზოგადოების“ ძალისხმევით ქრისტიანულ-მართლმადიდებლური წესით ნებაყოფლობით მონათლნენ: სოხუმის ეპარქიაში 241 მუსლიმი, 29 კათოლიკე და 6 ებრაელი; საინგილოში 61 ქართველი მუსლიმი; ჩრდილოეთ ოსეთში 23 წარმართი და სხვ. (იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი 1896: 448-449).

„საზოგადოების“ საქმიანობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა XIX საუკუნის ქართული და კავკასიის რუსული პრესა („დროება“, „ივერია“, „მწყემსი“, „Кавказ“ და სხვ.). აქვე უნდა ითქვას, რომ „საზოგადოების“ მუშაობის ზოგიერთი მიმართულება ვერ ასცდა კავკასიის ხალხთა რუსიფიკაციის სახელმწიფო პოლიტიკას. ასე, მაგალითად, 1864 წელს „საზოგადოებამ“ კირილიცაზე დაყრდნობით თბილისში გამოსცა „სვანური ანბანი“ („Лушну анбан. Сванетская азбука“; შემდგენელი – ივ. ბართოლომეი; საკითხის შესახებ იხ. ნიჟარაძე 1891) და ეს ნაბიჯი, ცხადია, ქართველთა საერთო-ეროვნული თვითშეგნების დასუსტებისკენ იყო მიმართული.

„ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ წესდება, როგორც ითქვა, ალექსანდრე II-მ 1860 წლის 9 ივნისს დაამტკიცა. იმპერატორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ წესდებას თან ერთოდა პროექტი რუსი ხალხისადმი მოწოდებისა („...воззвание к русскому народу“) – მონაწილეობა მიელოთ ამ „წმინდა საქმეში“ (პლატონოვი 1910: 101). ალექსანდრე II-ის მიერ მოწონებული და დამტკიცებული ტექსტი მოწოდებისა, რომელიც 1910 წელს

ა. პლატონოვმა თავის წიგნში სრულად დაიმონმა, იმეორებს დიმ. ყიფიანის ხელნაწერ ტექსტს. რა იძლევა საფუძველს, ეს ტექსტი დიმ. ყიფიანის თხზულებად მივიჩნიოთ?

ერთი შეხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ დიმ. ყიფიანმა, როგორც „საზოგადოების“ საქმეებითა და წარმატებით დაინტერესებულმა პირმა, მონოდების ტექსტი გადმოიწერა და შეინახა, მაგრამ ასეთ ვარაუდს აქარწყლებს ის, რომ დიმ. ყიფიანთან ტექსტის ორი ვარიანტია – შავი და თეთრი და მათში გვხვდება რედაქციული განსხვავებები (მთავარ განსხვავებას ქვემოთ შევხვებით). მართალია, არაარსებითი, მაგრამ არაერთი განსხვავებაა დიმ. ყიფიანის ტექსტის თეთრსა და იმპერატორის მიერ დამტკიცებულ ნაბეჭდ ტექსტს შორისაც. მაგალითად:

**დიმ. ყიფიანის ხელნაწერი (კურსივი ყველგან ჩვენია):**

„Звание действительного члена *приобретает тот, кто будет вносить ежегодную сумму...*“, „...проповеданного здесь еще Андреем Первозванным“, „...перевести на местные языки церковные книги“ და ა. შ.

**ალექსანდრე II-ის მიერ დამტკიცებული მონოდება:**

„Звание действительного члена *приобретают те, которые обяжутся вносить для достижения святой его цели, ежегодную сумму...*“, „...проповеданного здесь еще *апостолом* Андреем Первозванным“, „...перевести на местные языки церковно-*богослужебные* книги“ და ა. შ.

ცხადია, დიმ. ყიფიანს იმპერატორის მიერ დამტკიცებული ტექსტი რომ **გადმოიწერა**, ტექსტებს შორის ამგვარი განსხვავებები არ იქნებოდა. რაც მთავარია, დიმ. ყიფიანის ხელნაწერის შავში არის მონაკვეთი, რომელიც არ არის არც მის მიერვე გადათეთრებულ ტექსტში და არც – ალექსანდრე II-ის მიერ დამტკიცებულ მონოდებაში. კერძოდ, მონოდებაში დამონმებულ ფსალმუნის მონაკვეთს დიმ. ყიფიანის ხელნაწერის შავში მოსდევს სიტყვები: „...но враждебному настроению народов кавказских православная Россия должна противопоставить мирное учение любви и мира. А

успеху этого учения необходимы жертвы не от правительства России, а от самой России, от сынов ея, от соединенного направления частных приношений“ [„კავკასიელ ხალხთა (ჩრდილოკავკასიელები იგულისხმებიან – თ. ჯ.) მტრულ განწყობილებას მართლმადიდებელმა რუსეთმა სიყვარულისა და მშვიდობის მოძღვრება უნდა შეაგებოს. ხოლო ამ საქმის წარმატებისათვის აუცილებელი შენირულება არა რუსეთის ხელისუფლებისაგან, არამედ სრულიად რუსეთისა და მისი შვილებისაგან უნდა მოდიოდეს, კერძო შესანიშნავებისაგან უნდა შედგებოდეს“]. ასე რომ, **დიმ. ყიფიანს მონოდების ტექსტი პირდაპირ გადმონერილი კი არა აქვს, არამედ უმუშავია მასზე.**

ამასთანავე, პასუხი უნდა გაეცეს კითხვასაც: მონოდების პროექტი (ისევე, როგორც წესდება), ცხადია, თბილისში დაინერგობდა, მაგრამ რატომ მაინცადამაინც დიმიტრი ყიფიანის მიერ?

საქმე ის არის, რომ დიმ. ყიფიანი ამ დროს მეფისნაცვლის საბჭოს წევრია და, შესაბამისად, ამ პროცესის („საზოგადოების“ დაარსების) მონაწილეა; მონოდების ტექსტში უნდა ყოფილიყო (და არის კიდევაც) ისტორიული ნაწილი (იმპერიის ამ მხარეში ქრისტიანობის შემოსვლა, დამკვიდრება და სხვ.), ხოლო ამ საქმისათვის დიმ. ყიფიანზე უკეთეს კანდიდატს ვერ მოძებნიდნენ, რამდენადაც იგი მაშინ კავკასიის სახელისუფლებო ელიტის წარმომადგენელი იყო, თანამედროვეთა შორის საქართველოსა და კავკასიის ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა და, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველოს (მათ შორის, საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლა-დამკვიდრების) ისტორიის შესახებ კავკასიურ პრესაში („Кавказ“, „Закавказский вестник“) არაერთი ნაშრომი ჰქონდა გამოქვეყნებული, მათ შორის, „ქართლის მოქცევის“ თარგმანი (Нина – Просветительница Грузии. „Закавказский вестник“, 1849, №№12-18; ვრცლად დიმ. ყიფიანის 1840-1850-იანი წწ. საისტორიო ნაშრომებზე იხ. ჯოლოგუა 2016).

ზემოჩამოთვლილ გარემოებათა გამო, ვფიქრობთ, **ალექსანდრე მეორისთვის წარდგენილი და მის მიერვე დამტკიცებული მონოდების ტექსტის ავტორი დიმიტრი ყიფიანია.**

<sup>1</sup> (გვ. 34) „ხელმწიფე-იმპერატორის უმაღლესი განკარგულებითა...“ – იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II.

<sup>2</sup> (გვ. 35) „ვითარ საყუარელ არიან საყოფელნი შენნი, უფალო ძალთაო!.. ვირჩიე მე მივრდომად სახლსა ღმრთისასა, უფროის ვიდრელა არა დამკუიდრებად საყოფელსა ცოდვილთასა“ (დედან-ში: „Господи, любим мы благолепие Дома Твоего и место жилища Славы Твоя. Желаем лучше быть у порога дома Божия, нежели жить в шатрах нечестия“) – დიმ. ყიფიანი იმონუმებს მონაკვეთს ფსალმუნ-ნიდან (83: 2, 11).

### საზოგადოებისა და ქვეყნის მომავლისათვის (გვ. 36-38)

#### ნაბეჭდი:

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლისაგან. სა-ზოგადოდ თავად-აზნაურობის წევრთა მიმართ. ტფილისი: 1864. 4 გვ.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლის აზრი, შეს-ახებ თავად-აზნაურობის ბანკისა. „ცისკარი“, 1864, ნოემბერი [№11], გვ. 10-17.

დიმ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები და ბოლოსიტყვა დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: ლომისი. 1995, გვ. 64-69.

ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. XX (ტომის შემდგენელი: ა. ბაქრაძე, თ. ჯოლოგუა). ტომის რედაქტორი თ. ჯოლოგუა, მისივე შენიშვნებითა და ბოლოსიტყვით. თბილისი: ნაკადული. 2003, გვ. 269-271.

„დიმიტრი ყიფიანი – 200“. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 833-834.

**სათაური:** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლის-  
აგან. საზოგადოდ თავად-აზნაურობის წევრთა მიმართ

**თარიღი და ადგილი:** 9 ნოემბერი 1864. ტფილისი.

**ხელმოწერა:** ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურობის მარშა-  
ლი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი\* **დიმიტრი ყიფიანი**

პირველნაბეჭდი, რომელიც აქ გადმოგვაქვს, ორფურცლიანი გამოცემაა, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის“) ბლანკიან ქალაღებუა (№228) დაბეჭდილი და თავადაზნაურობისადმი „მარშლის“ ოფიციალურ მიმართვას წარმოადგენს.

აქვე საგანგებოდ აღვნიშნავთ შემდეგ გარემოებას:

იმის გამო, რომ მაშინ „ცისკრის“ პუბლიკაცია პირველნაბეჭდად და არა ავტორის, არამედ რედაქციის მიერ დასათაურებულად მიიჩნეოდა, დიმ. ყიფიანის თხზულებათა ზემოთ მითითებულ (1995 წლის) კრებულში ტექსტი თვითონ თხზულებიდანვე ამოღებული სიტყვებით დავასათაურეთ – „საზოგადოებისა და ქვეყნის მომავლისათვის“. ამის შემდეგ თხზულება ამ სათაურით კიდევ რამდენჯერმე დაიბეჭდა და ამ სათაურითვე შევიდა სალიტერატურო მიმოქცევაში. ამიტომ წინამდებარე გამოცემაშიც იმავე სათაურს ვტოვებთ.

ყურნალ „ცისკრის“ პუბლიკაციას წინ უძღვის რედაქციის წინათქმა:

„ჩვენმა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალმა უფალმა დიმიტრი ყიფიანმა გამოუცხადა საზოგადოდ თავად-აზნაურობის წევრთ ერთი ჰაზრი, რომელიცა თუ შეს-

\* ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის (Действительный статский советник) ხარისხი, რომელიც დიმ. ყიფიანს 1854 წლიდან ჰქონდა მინიჭებული (შეესაბამებოდა გენერალ-მაიორის სამხედრო და კონტრადმირალის საზღვაო ჩინებს) რუსეთის იმპერიის რანგთა ტაბელში თავისი მნიშვნელობით მეოთხე იყო კანცლერის (Канцлер), ნამდვილი საიდუმლო მრჩევლისა (Действительный тайный советник) და საიდუმლო მრჩევლის (Тайный советник) შემდეგ (ბროკჰაუზი-ეფრონი 1901: 440). „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს“ ზოგჯერ „სამოქალაქო გენერალს“ უწოდებდნენ.

რულდა, მაშინ არ არის ეჭვი ჩვენი ქართველობა გადასდგავს დიდს ბიჯს“ („ცისკარი“, 1864, №11, გვ. 10).

პუბლიკაციის ბოლოში (გვ. 17-18) „ცისკრის“ რედაქცია დიმ. ყიფიანის ამ მიმართვას უწოდებს „ჩინებულ... კაცობრიობის ფეხზედ დამაყენებელ აზრს“ და დასძენს:

„რომელი ქართველი იქნება, რომ დიდის აღტაცებით არ დათანხმდეს და თუ მართლა ეს უბედურება გვეწვივა, და რომელმანმე ჩაშალა ეს დიდებული აზრი, მაშინ თითოთ საჩვენებლები უნდა შევიკმნეთ და ამ ჩვენს ყურნალსაც ნულარავინ ნუ დაემდურება, რომ თქვას რამე. მაგრამ, არა, ღმერთმა გვაშოროს. ან რა, ხომ კარგათ ვიცით, როგორც თვითან უფ. ყიფიანიც ამბობს, ეს ფული რაც უნდა ბევრი მოგეცეთ, ზოგს შინამდინაც არ მიგყვებათ. რა კარგი იქნება, რომ შავი დღისათვის ორიოდე შაური გვექნება? რა საქები იქნება და რა მოწინებით წარმოსთქვამენ ის შვილები, ის შვილის-შვილები, რომელნიცა მიიღებენ იმ უკუგდებულს ფულებითგან განათლებასა“.

უფრო ადრე (1864 წლის 31 აგვისტოს) დიმ. ყიფიანმა ანალოგიური წინადადებით თბილისის გუბერნიის მაზრათა წინამძღოლებს მიმართა (იხ.: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №270; საქართველო 1916; ჩხეტია 1850: 322-324). ეს მიმართვა ავსებს (ზოგ შემთხვევაში აზუსტებს და აკონკრეტებს კიდევაც) წინამდებარე ტომში შესულ ტექსტს, ამასთანავე, საინტერესო მასალას იძლევა თვითონ თხზულების ისტორიისათვის და ამიტომ მას აქ უშუალოდ დედნიდან (ავტოგრაფული ხელნაწერიდან) მცირეოდენი შემოკლებით ვიმომენტებთ:

„კაცობრიობისათვის და ხელმწიფის ერთგულებისათვის დიდი მსხვერპლი გვეთხოვება: ჩვენი ბატონყმობის საქმე, ანგარიშით, ამ მომავალს ნოემბერში უნდა დაბოლოვდეს. – კეთილგონიერება გვაწევს, რომ ახლა განსაკუთრებითი ყურადღება ჩვენის შვილების აღზრდაზე მივაქციოთ, რადგან ჩვენს წარსაგებელს ისე ვერა აღადგენსრა და ვერა შეავსებსრა, როგორც ჰსწავლა და განათლება ჩვენი შთა-



მომავლობისა. – აქ გვჭირდება სხვა მსხვერპლი საკუთრად ჩვენის საზოგადოების სარგებლობისა და არსებობისათვის. ტფილისის გიმნაზიის პანციონში შესაყვანად ირიცხება ასამდის კანდიდატი; ინსტიტუტშიაც\* ირიცხება ოთხმოცდა ათზედ უმეტესი, – და ამათაგანი იქნება შევიდნენ წელიწადში ათ ათი ან თორმეტ თორმეტი. – დანაშენთ გარდა სხვანი რამდენნი რჩებიან კიდევ შინ უსწავლელნი, რომ პატრონებს არა აქვსთ ღონე თავისის ხარჯით იმათის აღზრდისა; – და ახლა ბატონყმობის საქმის შემდეგ რამდენთ უფრო გაუჭირდებათ, – ეს თქვენის უეზდის მიხედვით თქვენ კარგათ მოგეხსენებათ. –

სხვა მრავალს მსხვერპლთან გაგზედოთ ერთი ისეთი მსხვერპლიცა, რომ ჩვენს ძველის დროიდგან განთქმულს ქველის მოქმედებასა და კეთილშობილობის ღირსებას შეეფერებოდეს და ერთი ერთმანერთს ხელი გაუმართოთ ჩვენის შვილებისა და შთამომავლობისა ჰსწავლასა და განათლებაზედ; – დროებითი სარგებლობა ქვეშევურდოთ სამუდამო სარგებლობას. –

საჭირო არის ფული და საჭირო არის ზრუნვა. –

ფული ჩვენ გვეძლევა ყმების სამსახურის სამაგიეროდ, ბევრი მოგვეცემა თუ ცოტა, ხელმწიფე იმპერატორის წყალობის ზომაზედ არის დამოკიდებული; რაც მოგვეცემა, აქედან გადავსდვით წილი რომელიმე, რომ ამ წილმა იტრიალოს ჩვენს

\* იგულისხმება ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი, რომელიც თბილისში 1840 წელს დაარსდა, ფაქტობრივად კი მუშაობას 1842 წლიდან შეუდგა. ინსტიტუტი, თავის მხრივ, 1830 წელს დაფუძნებული „მცირენაწილიან კეთილშობილ ქალწულთა პანსიონის“ ბაზაზე შეიქმნა (თავზიშვილი 1974: 264-265; ქსე 1975: 389). უნდა ითქვას, რომ ეს არ ყოფილა „ინსტიტუტი“ ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, ანუ – უმაღლესი განათლების კერა. ეს იყო დახურული ტიპის ქალთა საშუალო სასწავლებელი პანსიონით, რომელშიც ასწავლიდნენ ელემენტარულ საგნებს, აგრეთვე, რუსულ და ფრანგულ ენებს, ხატვას, მუსიკას, ცეკვას, არისტოკრატიული და სახელმწიფო მოხელეთა ოჯახებიდან გამოსული გოგონებისათვის აუცილებელ ევროპულ ეტიკეტსა და მანერებს (თავზიშვილი 1974: 265-266). ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი დაიხურა 1918 წელს.

საზოგადოებაშივე და იმის სარგებელით შევიყვანოთ გიმნაზიაშიც და ინსტიტუტშიაც ჩვენი ქალები და ვაჟები, ზოგი გაჭირვებულისა და ზოგი შემძლე დედამამის შვილები; – და ვალებიც გავისტუმროთ.

მანათიდამ რომ ერთი აბაზი დავსთმოთ, მაშინ შევიძლებთ ვალების გასტუმრებასაცა, რომელიც არის ათას სამას თუმნამდის, – და ას ორმოცდა ათამდის ქალებისა და ვაჟების აღზრდასაცა.

ჩვენი საქმე ამითი ერთს კარგს ნაბიჯს გარდასდგამს დანინაურების გზაზედ; და – საქმე ხომ მოგეხსენებათ, პირველი ნაბიჯია.

მზრუნველობა, ზედამხედველობა, კეთილზნეობის დანერგვა ამ ჩვენს ახალთ მოსწავლეთა შორის ვალად დავსდოთ ჩვენგანვე აღმორჩეულს პირებს, რომელნიც ტფილისში ჰმსახურებენ. –

ამაზედ დანვრილებითის პროექტის შედგენა, მმართველობის წინაშე შუამდგომლობა, და სხვა საქმის დასაწყობი განკარგულება, სხვათა შორის ესეცა, რომ თავნი მარად ხელუხლებელად იყოს და იმისი სარგებელი მხოლოდ ამ საქმეს ჰხმარდებოდეს, ეს ყოველივე საკუთრად ჩემი ვალი არის. დანესებას შევადგენ და თავის დროზე გაგაშინჯებთ.

მხოლოდ მანათზედ აბაზი დავსთმოთ იმ ფულიდამ, რაც ყმების სამსახურის სამაგიეროდ გვებოძება. –

ამას მე ვითხოვდი საზოგადოებისაგან დიდის ვედრებით, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენს საზოგადოებას თხოვნა კი აღარ უნდა ამისი, მხოლოდ მოგონება უნდა; წინააღმდეგობას თუ ინებებს ვინმე, მე ამას ვერას დროს ვერ ვიფიქრებ და ქართველთ კეთილშობილებას მე ამას ვერა ვჰკადრებ ... თვითან ჩვენი მარშალი რას იმეტებსო, თუ იკითხა ვინმემ, – მე დიდის სიამოვნებით გადავსდებ ნახევარს იმ ფულიდამ, რაც ჩემსა და ჩემის ძმების ოჯახს შეხვდება, ე. ი. 50%-ს. ერთი სიტყვით, რასაც უეზდის შეკრებილება დაანესებს, მეც სიხარულით

თანაწარვხდები, ოღონდ ნაკლები არ იყოს მანათხედ აბაზი-  
სა...

31 აგვისტო 1864 წ.“

<sup>1</sup> (გვ. 36) „ჩვენმა ყმებმა თავისუფლება მიიღეს... ჩვენ გვეძლე-  
ვა – ხელმწიფის სიუხვეთაგან ფული“ – „ყმების თავისუფლებაში“  
იგულისხმება 1864 წლის საგლეხო რეფორმა (ბატონყმობის გაუ-  
ქმება აღმოსავლეთ საქართველოში; რეფორმის პროცესში დიმ.  
ყიფიანის ადგილისა და როლის შესახებ იხ. ჩხეტია 1950). რაც  
შეეხება „ხელმწიფის სიუხვეთაგან“ ფულის ბოძებას, აქ ავტორს  
მხედველობაში აქვს იმპერატორ ალექსანდრე II-ის დავალებით  
ხელისუფლების მიერ 1864 წლის 13 ოქტომბერს გამოცემული  
„მთავარი დებულება“. „დებულების“ მიხედვით, აღმოსავლეთ  
საქართველოს თავადაზნაურობისათვის გლახთა განთავისუ-  
ფლების საკომპენსაციოდ ორი მილიონი მანეთი გამოიყო (ამ საკ-  
ითხისა და დიმ. ყიფიანის ინიციატივის შედეგების შესახებ იხ.  
თელია 1989: 14-31).

<sup>2</sup> (გვ. 37) „პრიკაზის ვალი თუ დროზედ ვერ შეგვაქვს“ – „პრიკა-  
ზის“ შესახებ იხ. აქვე, კომენტარები ტექსტისა „საზოგადოების“  
მიზანთა განხორციელების გზების შესახებ“ (გვ. 232).

ისევ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ 194-ე ნომერში  
გამოქვეყნებული მონინავე სტატიის გამო (გვ. 39-49)

**ხელნაწერი:**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი, საქ.

№78. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 13.

**ნაბეჭდი:** „Кавказ“, 24 ოქტომბერი-5 ნოემბერი, 1865, №83.

**სათაური:** Ещѣ по поводу передовой статьи 194 № „Моск. Ведомостей“.

**თარიღი და ადგილი:** 7 ოქტომბერი 1865 წ. სოფ. ქვიშხეთი.

**ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

მიხეილ კატკოვის მონინავე წერილი გამომხაურებაა თბილისის ამქართა 1865 წლის 27-28 ივნისის საპროტესტო მღელვარებისა („ამქართა აჯანყებისა“), რომელიც ხელისუფლების (ქალაქის თავის) მხრიდან ძველი გადასახადების გაზრდისა და ახალი გადასახადების შემოღების გამოცხადებას მოჰყვა. უნდა ითქვას, რომ დიმიტრი ივანის თავის წერილში შერბილებულად აქვს წარმოდგენილი მღელვარების მასშტაბი – ამ საპროტესტო გამოსვლაში ათი ათასამდე ადამიანი (ხელოსნები, მეეტლეები, თულუხჩები, შავი მუშები და სხვ.) მონაწილეობდა და იგი შეტაკებებით, მეთაურთა დაპატიმრებითა და მათი ნაწილის გაციმბირებით დასრულდა (წყაროები და ლიტერატურა საკითხის შესახებ იხ.: ანთელავა 1970: 252-256).

თვითონ მ. კატკოვის წერილი, რომლის პასუხსაც დიმიტრი ივანის წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს, არა მარტო სარწმუნო მასალაა ავტორის – შოვინისტურად განწყობილი რუსული პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეების იდეოლოგისა და ერთ-ერთი მეთაურის – წარმოსადგენად, არამედ იგი ზოგადად რუსიფიკატორული პოლიტიკის დასახასიათებლადაც საინტერესო მასალას იძლევა. ამიტომ მ. კატკოვის ამ წერილს ვიმონუმენტო სრულად (თარგმანი ჩვენია):

„მოსკოვი. 4 სექტემბერი.

ქვემოთ, „უკანასკნელ ფოსტაში“, ვბეჭდავთ ცნობას იმის შესახებ, რომ 15 აგვისტოს თბილისში გამოცხადდა გენერალ-ადიუტანტ ორბელიანისადმი მისი იმპერატორობითი უმაღლესობის, კავკასიის მეფისნაცვლის, რესკრიპტი, რომელიც ჩვენ მიერ გუშინნინ იყო გამოქვეყნებული. ასე და ამგვარად, დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს საქმე, რომელსაც არსებითად არ ჰქონია პოლიტიკური მნიშვნელობა და სერიოზული მასშტაბი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ შეიძინა, რომ გაშმაგებული ბრბო 27 ივნისს მთელი დღის განმავლობაში ქალაქის ერთი ბოლოდან მეორისაკენ დაძ-

რწოდა, უწესრიგობებს იწვევდა და ამ საქმეში არავითარ წინააღმდეგობას არ წასწყდომია. თბილისის კეთილგონიერი მცხოვრებლები კმაყოფილნი დარჩებიან საქმის ამგვარი დაბოლოებით – მათი სურვილი ახლა ის იქნება, რომ არეულობის მიზეზები და გარემოებები ამომწურავად იქნეს გამოკვლეული და უავგუსტეს მეფისნაცვალს ჯეროვნად მოხსენდეს.

იყო თუ არა რაიმე არსებითი ხასიათის მიზეზები, რომლებმაც ქალაქის თავისა და, განსაკუთრებით, თბილისის გუბერნატორის წინააღმდეგ სახალხო მღელვარება გამოიწვია? რომელი მხრიდან იყო მცდელობა, ესარგებლა მღელვარებით და არეულობა გამოეწვია? ვის მიერ იყო დაბეჭდილი და ვინ იყო გამავრცელებელი ფურცლებისა გადასახადების დანესების შესახებ ქათმებზე, ქამრებზე და ა. შ.? არაერთი მონაცემის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თვითონ ამ მღელვარებში არაფერი იყო პოლიტიკური, მაგრამ განზრახვა და უკმაყოფილების მიზეზი იმ პირებისა, რომლებმაც შემოხსენებული ფურცლები დაბეჭდეს, მხოლოდ ხიდებზე გადასახადი და, საერთოდ, საქალაქო მეურნეობა არ უნდა ყოფილიყო. მათ, როგორც ჩანს, პოლიტიკური ბოროტგანზრახულობა ამოძრავებდა.

ჩვენ ერთხელ უკვე მოგვიხდა ლაპარაკი ამიერკავკასიის საქმეებში გამომჟღავნებულ ზოგიერთ საწყის სიმპტომზე. ამ სიმპტომთა უარყოფა შეუძლებელია, თუმცა ისიც დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ ისინი ამჟამად აღარაა ხიფათის მომტანი. იქაურ პირობებში არ ჩანს პოლიტიკური მღელვარების ნიშნები, მაგრამ თუ ასეთი ნიშნები ხანდახან მაინც იჩენს თავს, ეს არის ანარეკლი ჩვენი არაჯანსაღი ზოგადი მდგომარეობისა. ასეთი არაჯანსაღი მდგომარეობა კი არის არა მხოლოდ უკანასკნელი წლების შედეგი, არამედ შედეგი გაცილებით უფრო ხანგრძლივი დროებისა. იქ, ისევე როგორც დანარჩენ რუსეთში, დღევანდელ თაობას უწევს, ზღოს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მშობლების შეცდომებიც. იყო დრო – და ეს დრო იყო არცთუ შორეულ წარ-

სულში – როცა რუსებსა და კავკასიის არარუს მოსახლეობას შორის არავითარი გაუგებრობა არ არსებობდა. ამ მხარეში რუსობას უცილობლად ეჭირა უპირატესი მდგომარეობა და ამგვარი ვითარება ყველას ბუნებრივად მიაჩნდა იმდენად, რამდენადაც სწორედ რუსული ძალებით მოხერხდა იქაურობის გამოხსნა შინაური ანარქიისა და ნახევრად ველური ყოფისაგან – რუსეთის წყალობით დამკვიდრდა იქ მშვიდობა და უსაფრთხოება, რუსული სისხლის მეშვეობით აღორძინდა იქ ახალი ცხოვრება, მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ გაეხსნათ იქაურებს გზა ცივილიზაციისა და კეთილდღეობისაკენ. რუსეთმა იქ შეიტანა ზოგადად რუსებისთვის ორგანულად დამახასიათებელი გულის სითბო და სიახლოვე ადგილობრივ მოსახლეობასთან. დაბალი წოდების სომხებს, ქართველებს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმებსაც კი უყვართ რუსი ჯარისკაცი და რუს მმართველსაც უფრო ენდობიან, ვიდრე ნებისმიერ სხვას. რუსული ენა სწრაფად მკვიდრდება ამიერკავკასიის მოსახლეობაში და თბილისშიც, უბრალო ხალხში ნებისმიერი მოზარდი ლაპარაკობს რუსულად. სულ რაღაც 15 წლის წინ ჩვენ ასეთი ვითარება არ გექონია. ასეთია მოვლენათა ბუნებრივი განვითარება და, რომ არა ჩვენივე შეცდომები, ყოველივე ეს საყოველთაო ხასიათს მიიღებდა...

თუ ამ შეცდომებს ჩავუღრმავდებით, აუცილებლად ერთ მთავარ შეცდომასთან, ჩვენს საშინაო პოლიტიკაში ნაციონალური სულიკვეთების სისუსტესთან, მივალთ. რაც უფრო ყურადღებით დავაკვირდებით საკითხს, მით უფრო აშკარად გამოჩნდება სახელმწიფო ორგანიზმზე ამ მიზეზის დამლუპველი და მომშხამავი გავლენა. ამ გავლენამ წარმოშვა აზრი, რომ საჭიროა ადგილობრივები ხელოვნური საშუალებებით მოვიზიდოთ სამსახურში და არა მარტო წავახალისოთ ჯილდოებით მათი ნამდვილი დამსახურებები, არამედ მათ მიმართ თავაზიანობაც გამოვიჩინოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი რუსები კი არა, ადგილობრივები („ტუზემცები“) არი-

ან. ამანვე წარმოშვა ის აზრიც, რომ თურმე შიდა გუბერნიების ძირძველი თავადაზნაურობა კი არ უნდა გავაძლიეროთ, არამედ – განაპირა მხარეების სხვატომელი თავადაზნაურები; უფრო მეტიც, შევექმნათ თავადაზნაურული ფენები ისეთ განაპირა მხარეებში, რომლებშიც ისინი ცოტანი არიან და ამ ახალშექმნილი ფენის წარმომადგენლებს რუსებთან შედარებით უპირატესობაც კი მივანიჭოთ, ამასთანავე, შთავუნერგოთ აზრი, რომ თვითონ არიან იქაურობის ბატონ-პატრონები. ამგვარი ღონისძიებები სრულებითაც არ წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნასა თუ სურვილს. პირიქით, მოსახლეობის უმრავლესობა ამგვარი ღონისძიებებისაგან ყველგან ზარალდება, ხოლო საკუთრივ ამიერკავკასიაში თვითონ თავადაზნაურობა ჩიოდა იმის გამო, რომ ახალ ფენას მათ გვერდით აყენებდნენ.

მოსახლეობა, რომელიც დაემორჩილა რუსეთს და კმაყოფილებით ექვემდებარება რუსების გამგებლობას, დიდხანს ვერ ეგუებოდა ვალდებულებას, უფროსებად არარუსები ჰყოლოდა. მაშ, რაღა საჭირო იყო ასეთი არაპოპულარული და უადგილო ზომების მიღება? სხვა არაფრისთვის, თუ არა იმ დროს მოდაში შემოსული თეორიის პრაქტიკაში დასამკვიდრებლად. თავადი მიხეილ ვორონცოვი იყო სახელმწიფო მოღვაწე – განათლებული, კეთილგანმზრახველი, შორსმჭვრეტელი და ეს გამოჩნდა კიდევაც, როცა დაიწყო ზრუნვა სამხრეთის სარკინიგზო ხაზის გაყვანაზე. თუმცა მის გონებაში ადგილი არ აღმოჩნდა იმისთვის, რასაც ნაციონალური პოლიტიკა ჰქვია. მას თვითონ არ მიაჩნდა თავი რუსად. ლიბერალიზმმა მის არსებაში რუსის სახელი უგულვებელყო. სადაც არ უნდა ყოფილიყო მმართველად, ყველგან არეულ-დარეულ ვითარებას ტოვებდა. თავისი მოქმედებებით – ვთქვათ, ასეთით: ალუპკაში, თავისი სახლის მახლობლად, შესანიშნავი მეჩეთი ააშენა, და ეს მაშინ, როცა მცირე ზომის მართლმადიდებლური სალოცავი მოშორებით იყო შეფარებული – მან თვით ყირიმელი თათრების მდგომარეობა იქამ-

დე მიიყვანა, რომ ისინი სიამაყით აცხადებდნენ: „მე რუსი კი არა, თათარი ვარ!“ ასეთივე სახელისუფლებო სისტემა შექმნა ვორონცოვმა მისთვის ჩაბარებულ ახალ მხარეში, სადაც მისი ერთ-ერთი პირველი ღონისძიება სომხური ჟურნალის დაარსება იყო (რასაკვირველია, ხაზინის ფულით).

შედეგები ასეთი მმართველობითი სისტემისა თვალწინ გვაქვს. იგი ფართოდ გავრცელდა მთელს რუსეთის სახელმწიფოში და მმართველობის ყველა მიმართულებაში აისახა. სადღა არ ეძებდნენ ადგილობრივ არარუს ელემენტს, რათა მასში განკერძოებული ცხოვრებისკენ სწრაფვა გაეღვივებინათ, რუს ხალხზე უპირატესობის ყალბი, საკუთრივ მისთვისა და სახელმწიფოსთვის დამღუპველი შეგნება გაეღვივებინათ. რუსი ყოველივე ცუდის, დამცირებულის, დაჩაგრულის სინონიმად იქცა.

ვინ არ იცის, რომ კავკასიაში რუსული მმართველობის დამყარებამდე იქ არათუ ცივილიზაცია, თვით ელემენტარული უსაფრთხოებაც კი არ არსებობდა? არ არსებობდა არათუ რუსეთისათვის დამახასიათებელი უმაღლესი ფორმა მმართველობისა, არამედ მეტ-ნაკლებად ანყობილ ადმინისტრაციასთან მიმსგავსებული რამეც კი. ვინ არ იცის, რომ კავკასიაში პირველი სკოლა რუსული ხელისუფლების მიერ არის დაარსებული? რუსეთის დამკვიდრებამდე იქ არც გზები იყო, არც ვაჭრობა; ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის წინ იქაური სოფლის მოსახლეობა თითქმის მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა, გაიგონებდნენ თუ არა ლეკების, სპარსელებისა თუ თურქების შემოსევის ამბავს, მყისვე ბედის ანაბარა მიაგდებდნენ თავიანთ საცხოვრებლებს და ტყეებსა თუ მთებში გარბოდნენ. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ამ მხარეში ცივილიზაციას ჰგავს, რუსეთის ნამოქმედარია და შედეგია რუსეთის ბატონობისა. ყველაფერს – დაწყებული რელიგიის ხელშეუხებლობიდან და ქონებრივი თუ პიროვნული უსაფრთხოებიდან, რიონზე ამჟამად არსებული ნაოსნობითა და მშენებარე რკინიგზით დამთავრებული – ამიერკავკასია-



ის მხარე რუსეთის მმართველობას, რუსულ ცივილიზაციას უნდა უმაღლოდეს.

და ყოველივე ამის შემდეგ რას ვხედავთ? ადგილობრივ ახალგაზრდობაში გაჩნდა წრეები, რომლებშიც გაძლიერებულია ნარმოდგენილი აზრი ქართული, სომხური, თვით მუსლიმურისაც კი, დამოუკიდებელი სამეფოების შექმნის შესახებ. იმპერატორ ნაპოლეონის, ნაციონალური იდეების მფარველისა და ქომაგის, სახელი ამ წრეებში უაღრესად პოპულარულია და ბევრი მათგანი უკვე საკუთარ შვილებს ნაპოლეონს არქმევს. ბევრი იხსენებს და რაღაც მნიშვნელობასაც აძლევს ოციანი წლების უაზრო შეთქმულებას, რომელიც აგრეთვე განაპირა მხარეების იმდროინდელი პოლიტიკური მფარველობის შედეგი იყო. ცოტა ხნის წინ ქუთაისის გიმნაზიის აღსაზრდელებმა გამოაცხადეს სურვილი – გიმნაზიაში სწავლება ქართულ ენაზე უნდა იყოს და დირექტორიც, ინსპექტორიცა და მასწავლებლებიც ვინმე სხვა კი არა, ჩვენებურები უნდა იყვნენო. აგერ, სომხები ხლართავენ ინტრიგას – თბილისის გიმნაზიაში სომხურ ენას იგივე უპირატესობა უნდა მიენიჭოსო. სამურზაყანოს ოლქში, დასავლეთ კავკასიაში, „ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომელიც ფლობს საკმაოდ სერიოზულ – სხვათა შორის, წმინდა წყლის რუსული წარმომავლობის – სახსრებს, თითქმის ყველა მის მიერ დაარსებულ სკოლაში სწავლა შემოიღო არა რუსულ ენაზე, რომლის დაუფლებაც, როგორც ითქვა, ძალიან უნდა იქაურ უბრალო ხალხს, არა ადგილობრივ კილოზეც კი, არამედ ქართულ ენაზე. ქართული ენა კი არაფრად არგია სამურზაყანოს ოლქის აფხაზ მოსახლეობას, რომელიც საკუთარი უფლებების დაცვისას, თავის მხრივ, ვერც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს დაეყრდნობა, რამდენადაც იგი საკუთარ თავს ქართველი თავადაზნაურობის წინამძღოლს უწოდებს.

ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარების შესახებ ცნობები ჩვენ გვაქვს ადგილობრივი წყაროებიდან; ამასთანავე, არა-

ვითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი ან მიკერძოებულები არიან, ან განგებ ამახინჯებენ ფაქტებს. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ისიც დავადასტუროთ, რომ ყველა ეს ცნობა გამომხატულებათა თანადგომისა და ერთგულებისა უავგუსტოესი მეფისნაცვლისადმი, რომელიც მოწოდებულია, ებრძოლოს მის სამეფისნაცვლოში განვითარებულ სამწუხარო მოვლენებს. იმ იდეებმა და მისწრაფებებმა, რომლებსაც მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებიან ჩვენი სახაზინო სკოლები, ამიერკავკასიაში მახინჯი ნაყოფი გამოიღო; მით უმეტეს, ეს ნაყოფი ნახევრად ველურ წიაღშია აღმოცენებული. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი სიმართლეა; ასევე უდავო და უეჭველია ისიც, რომ პოლონური რევოლუციური ანარქია, როგორც ყველგან, ამიერკავკასიაშიც ამას ყველაფერს თავის სასარგებლოდ იყენებს. ჩვენი წყაროები დანამდვილებით ამბობენ, რომ სწორედ ამიერკავკასიელი პოლონელები ხელმძღვანელობენ იმ წრეებს, რომლებშიც ყალიბდებიან **ახალგაზრდა საქართველო** და **ახალგაზრდა სომხეთი** და რომ განსაკუთრებით ამ უკანასკნელისკენ არის მიმართული პოლონელ მემამბოხეთა ყურადღება. ამ წრეებში უკვე 1863 წელს გამოითქმებოდა თანაგრძნობა პოლონეთის შეიარაღებული აჯანყების მიმართ. იმ დროს თბილისში მყოფი ზოგიერთი მოსკოველი სომეხი რუსული პატრიოტული გრძნობების გამომჟღავნების გამო მწვავე გამოსდომების ობიექტად იქცა – მათ არწმუნებდნენ, რომ პოლონელთა გაკიცხვა სომეხთა მიმართ გამოჩენილ ღალატს ნიშნავს, რომ პოლონელები თავიანთი წარმომავლობით სომეხთა მონათესავე ხალხია, რომ ამიერკავკასია უფრო პოლონური მიწაა, ვიდრე – რუსული, რომ სწორედ ამიტომ რუსეთში კალენდარი მხოლოდ რუსულ ენაზე, თბილისში კი რუსულ და პოლონურ ენებზე გამოიცემა და, დასასრულ, რომ თბილისის სამხედრო სასწავლებელში მოსწავლეებს თითქოს თვით ხელმძღვანელობისგან ჰქონდეთ აკრძალული კითხვა **მოსკოვსკიე ვედომოსტისა**, რომელსაც მოსკოველი სომეხები

გულუბრყვილოდ იმონებდნენ თავიანთი პოზიციის დასაცავად. როგორ ჰგავს ეს ყველაფერი ნაცნობ ხრიკებს! ამგვარ ხრიკებზე მეტყველებს ისიც, რომ თბილისის 27 და 28 ივნისის არეულობებში ზოგიერთი ისეთი გარემოება გამოვლინდა, დასავლეთ ევროპის რევოლუციური პრაქტიკისთვის რომ არის დამახასიათებელი; ვთქვათ: სომხურ ენაზე დაბეჭდილი ფურცლები, რომლებიც რამდენიმე დღით ადრე მიმოფანტეს და რომლებშიც დამახინჯებულად და გაზვიადებულად იყო წარმოდგენილი განზრახული საგადასახადო სისტემა; არეულობის პირველ დღეს მემამბოხეებს, როგორც გვწერენ, ადგილობრივი ჩვეულების საწინააღმდეგოდ იარაღი ტანსაცმლის ქვეშ ჰქონდათ დამალული და ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ მათ მეთაურები ეუბნებოდნენ: **უიარაღობს არ გესვრიანო...**“ (კატკოვი 1897: 553-555; სხვათა შორის, მ. კატკოვის ეს წერილი, უცნობი ხელით სრულად გადანერილი რუსულ ენაზე, დაცულია ხეც-ში – დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1932, ფ. 6).\*

დიმ. ყიფიანის წერილი მიხეილ კატკოვს უპასუხოდ არ დაუტოვებია; კერძოდ, 14 ნოემბერს დაწერილ და იმავე „მოსკოვსკიე ვედომოსტიში“ გამოქვეყნებულ მორიგ მონიწივე წერილში (1865, №250) იგი წერს (თარგმანი ჩვენია):

\* აქ ნახსენები „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა/მისი უაგვუსტოესობა“ არის კავკასიის მეფისნაცვალი (1862-1881), დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე (ივნისის არეულობის დროს მის მოვალეობას გრიგოლ ორბელიანი ასრულებდა); თბილისის გუბერნატორი კი – ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე, რომელიც თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ კონსტ. ორლოვსკის თბილისში არყოფნის გამო გუბერნატორის მოვალეობას ასრულებდა; მის. ვორონცოვის „პირველ ღონისძიებად“ დასახელებული სომხური ჟურნალი სინამდვილეში არის გაზეთი „კოვკას“ („კავკასია“), რომელიც 1846-1847 წწ. გამოდიოდა თბილისში; რაც შეეხება „ახალგაზრდა საქართველოს“, ამ ფარული საზოგადოების შესახებ კონკრეტულ დოკუმენტურ მასალას ჩვენ არ ვიცნობთ (საკითხის გარშემო იხ. ბენდიანიშვილი 1980: 123-124). „ახალგაზრდა საქართველოს“ შესახებ უწერიათ ნ. ნიკოლაძესა (ნიკოლაძე 1962ა: 249) და ა. გერცენს (ნიკოლაძე 1962ა: 547-548)].

„ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართული პატრიოტიზმი სხვა არაფერია, თუ არა – რუსული პატრიოტიზმი... არც ქართულ და არც სომხურ ნაციონალიზმს ამიერკავკასიაში ჩვენ არ ვაღიარებთ. ჩვენ ვთვლით, რომ რუსობისგან ქართველებისა და სომხების განკერძოებისაკენ სწრაფვის გაღვივება ერთიანი რუსი ხალხის განუყოფლობის წინააღმდეგ მიმართული ბოროტგანზრახულობაა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სომხური ან ქართული ნაციონალიზმის გამომხატველ სიმბოლოთა შექმნის მცდელობა ან უგუნურებაა, ან – ბოროტი განზრახვა... თავადაზნაურობა თავადაზნაურობაა და იგი პოლიტიკური ორგანიზაციაა. თავადაზნაურობის ესა თუ ის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი წარმომავლობისა, მაგრამ ეროვნება თვითონ ინსტიტუტისა განსაზღვრულია იმ სახელმწიფოთი, რომელსაც ეს თავადაზნაურობა ეკუთვნის. რამდენადაც ოდესღაც არსებულმა ქართულმა სამეფომ, რომელსაც ჰყავდა თავისი უმაღლესი ხელისუფლება და თავისი თავადაზნაურობა, შეწყვიტა არსებობა, ამით ქართველი თავადაზნაურობა თავისთავად იქცა ყოფილ ქართულ თავადაზნაურობად და მის ადგილზე წარმოიშვა რუსი თავადაზნაურობა, რომლის მდგომარეობა ამჟამად არა ყოფილი სამეფოს, არამედ ახალი ადმინისტრაციული დანაწილების პრინციპებითაა განსაზღვრული.

რაოდენ ქების ღირსი განზრახულობითაც არ უნდა ხელმძღვანელობდეს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის პატივცემული წინამძღოლი, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმოთქმული მისი სიტყვები ქ ა რ თ უ ლ ი თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა არის არამართებული და არის შეცდომა“ (დამოწმებული გვაქვს წიგნიდან: ხუნდაძე 1941: 56; სრულად იხ. კატკოვი 1897: 725-730).

მ. კატკოვს გაზეთ „კოლოკოლში“ ხელმოუწერელი ტექსტით ნიკო ნიკოლაძემაც უპასუხა (Из Грузии. „Колокол“, 15.XI, 1865, №208) და, თუ დიმი. ყიფიანს თავდაცვითი პოზიცია უჭირავს, თუ

იგი გამოხატავს პოლიტიკური სისტემისადმი ერთგულებასა და ამ პოზიციიდან ცდილობს მ. კატკოვის ბრალდებათა დარღვევას, ნ. ნიკოლაძე, პირიქით, დაუფარავად მსჯელობს იმის შესახებ, რომ რუსების მიერ კავკასიაში დამკვიდრებული „მონღოლური მიდრეკილების“ ფორმები და მეთოდები მმართველობისა ყოვლად მიუღებელი აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის: „ადგილობრივი მკვიდრნი არ ლაპარაკობენ, რომ მონღოლები და სპარსელები სჯობიან რუსებსო, მაგრამ ისინი არ მალავენ, რომ რუსები ვერ სჯობიან ადგილობრივ მკვიდრთ და, რომ ამიტომ არ უნდა მიეცეთ კავკასიაში რუსებს უპირატესობა ადგილობრივ მკვიდრთა საზიანოთ“ (ნიკოლაძე 1962<sup>ბ</sup>: 312). ამას გარდა, ნ. ნიკოლაძე აშკარად გამოხატავს სიმპათიას პოლონელთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ და აღნიშნავს, რომ „სომეხი და ქართველი ახალგაზრდობა გამოსთქვამენ თავის თანაგრძნობას პოლონელებისადმი... ამ თანაგრძნობის წარმოშობა შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობის გრძნობით“ (ნიკოლაძე 1962<sup>ბ</sup>: 310). ასე რომ, მ. კატკოვის წერილის დი. ყიფიანისეულ და ნ. ნიკოლაძისეულ შეფასებებში მკაფიოდაა ასახული პოლიტიკურ პოზიციათა განსხვავებულობა და, რაც მთავარია – იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის **დიფერენცირების** პროცესი; კერძოდ, პოლიტიკური სისტემის მიმართ უფროს და უმცროს თაობათა დამოკიდებულების მკვეთრი **პოლარიზაცია** (ნ. ნიკოლაძის ტექსტი სიმ. ხუნდაძის შენიშვნებით იხ. ნიკოლაძე 1931: 358-364, 449-451).

<sup>1</sup> (გვ. 39) „კოლოკოლში“ გამოქვეყნებულ ვინმე **Рио-Нели-ს სტატიას უპასუხა** – იგულისხმება ნიკო ნიკოლაძის მიერ „Рио-Нели“-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „გლახთა განთავისუფლება საქართველოში“, რომელიც დაიბეჭდა ა. გერცენისა და ნ. ოგარიოვის მიერ ემიგრაციაში გამოცემულ (ლონდონი, ჟენევა; 1857-1867) რევოლუციურ გაზეთში „კოლოკოლ“ (Освобождение крестьян в Грузии. „Колокол“. 15.VI, 1865, №198; 1.VII, 1865, №199). წერილში ნ. ნიკოლაძე აკრიტიკებს საქართველოში წინა (1864)

წელს განხორციელებულ საგლეხო რეფორმას, ხოლო რეფორმის პროექტის ავტორის, დიმ. ყიფიანის, შესახებ წერს: „...კმაყოფილი იყო მხოლოდ ბ. დიმ. ყიფიანის მსგავსი რამდენიმე პირი; მათ გლახთა ცხოვრების რეფორმა მარჯვე პროექტებისა ან „კეთილგონიერი რჩევის“ სამაგიერო წარჩინებისა და დაჯილდოვების სათავედ მიიჩნის. მაგრამ ამ ვაჟბატონებზე ლაპარაკიც კი არა ღირს“ (ნიკოლაძე 1962<sup>ა</sup>: 263-264; საკითხის შესახებ იხ.: ნიკოლაძე 1931: 172, 409-419; ნიკოლაძე 1962<sup>ბ</sup>: 19-20, 530-531).

უნდა ითქვას, რომ მოგვიანებით ნ. ნიკოლაძემ თავისი დამოკიდებულება დიმ. ყიფიანის მიმართ რადიკალურად შეცვალა – 1875 წელს გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკის“ ფურცლებზე მას ქება-დიდება უძღვნა და გაკვრით 1864 წლის საგლეხო რეფორმაში დიმ. ყიფიანის მონაწილეობის საკითხსაც შეეხო („ახლოვდებოდა გლახთა რეფორმა, სასურველი თავადაზნაურთათვის, მაგრამ მათი არსებითი ინტერესების შემხები. თავადაზნაურობა მიხვდა, რომ მისი ინტერესების სადარაჯოზე საჭირო იყო ისეთი ადამიანის დაყენება, რომელიც შეძლებდა ამ ინტერესების გაგებას და მათ დაცვას წოდებრივი ფანატიზმის გარეშე, წმინდა სახელმწიფოებრივი ხასიათის ეკონომიური პრობლემის მარტო ერთი წოდების ხარჯზე გადაჭრის გარეშე. თავადაზნაურობა შეჩერდა დ. ი. ყიფიანზე და, საგუბერნიო კომიტეტის დაარსების ნაცვლად, მას ერთს მიანდო თბილისის გუბერნიაში გლეხობის რეფორმის საფუძვლების მთელი დამუშავება“), ხოლო ზოგადად დიმ. ყიფიანის გადანყვეტილებათა მოტივაცია ასე ახსნა: „ის ყოველთვის ხელმძღვანელობდა არა პირადი გამორჩენით, არა შეხედულებათა სივიწროვით, არამედ იდეალისტური აზრით, რომ რაკი იკისრა რაიმე ინტერესების დაცვა, უნდა დაეცვა ისინი თუნდაც საკუთარი თავის საზიანოდ“ (ნიკოლაძე 1875; ნიკოლაძე 1962<sup>ბ</sup>: 309, 311).

<sup>2</sup> (გვ. 39) **„გადავცემ რა პრესას ამ ჩემს სტატიას გამოსაქვეყნებლად, აქვე დავსძენ, რომ სტატიის უშუალო ადრესატი ბ-ნი კატკოვია“** – მიხეილ კატკოვის ტექსტი გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ მონინავე (სარედაქციო) სტატიასა და ამიტომ ხელმოუწერელია. დიმ. ყიფიანმა, ჩანს, დარწმუნებით არ იცის

ტექსტის ავტორის ვინაობა, ამიტომ ახსენებს წინა აბზაცში ჭეშმარიტების შეურაცხმყოფელ „კორესპონდენტებს“, ხოლო მ. კატკოვს უშუალოდ იმიტომ მიმართავს, რომ ამ დროს სწორედ იგი იყო „მოსკოვსკი ვედომოსტის“ რედაქტორი და განსაზღვრავდა კიდევაც გაზეთის ხასიათს, მიმართულებასა და იდეოლოგიურ პოზიციას.

<sup>3</sup> (გვ. 43) „ტუზემეცი“ (რუს. Туземец) – ადგილობრივი მკვიდრი, აბორიგენი, ავტოქთონი, „მკუდრი მის ქუეყნისა, იქაური, მუნეზური“ (ჩუბინაშვილი 1973: 568). გარკვეულ კონტექსტში იძენდა შეურაცხმყოფელ (დამამცირებელ) მნიშვნელობას და ნიშნავდა ადგილობრივ (თავდაპირველ, ძირძველ), თუმცა ცენტრიდან დაშორებული და ნაკლებად ცივილიზებული ქვეყნის (ტერიტორიის) მკვიდრს.

<sup>4</sup> (გვ. 43) „მურზაყანის სამფლობელომ მიიღო სამურზაყანოს სახელწოდება“ – „სამურზაყანოს სახელწოდება“ მომდინარეობს მურზაყან შარვაშიძისგან (და არა მურზაყან ანჩაბაძისგან, როგორც ავტორი ვარაუდობს), რომელმაც ეს ტერიტორია „1705 [წელს] მემკვიდრეობით მიიღო“ (ქსე 1985: 37).

<sup>5</sup> (გვ. 44) Patois (ფრანგ.) – ლინგვისტური ტერმინი, რომელიც ნიშნავს დიალექტს, კილოს/კილოკავს, სპეციფიკურ ადგილობრივ (პერიფერიულ) მეტყველებას.

<sup>6</sup> (გვ. 45) დიმ. ყიფიანის წერილს (კერძოდ, იმ მონაკვეთს, რომელიც სამურზაყანოსა და სამურზაყანოელებს ეხება) გამოეხმაურა რუსი ექიმი, ანთროპოლოგი და პუბლიცისტი ივანე პანტიუხოვი, რომელიც იმ დროს კავკასიაში მსახურობდა და რომლის პასუხი ტიპური რუსიფიკატორის პოზიციას გამოხატავს: დიმ. ყიფიანის წერილი უგულისყუროდ (დაუდევრად; небрежно) არის დაწერილი, ავტორი ფაქტებსაც აყალბებს, თანაც ავტორიტეტის პოზიციიდან გვესაუბრება, სინამდვილეში კი სამურზაყანო იმთავითვე აფხაზეთის განუყოფელი ნაწილი იყო, ქართული ელემენტის გაძლიერების მიუხედავად დღემდე სამურზაყანოელთა ზნე-ჩვეულებები უფრო აფხაზურია, ვიდრე მეგრული, მეგრულად მხოლოდ სამეგრელოს მოსაზღვრე ტერიტორიაზე (საბერიოსა და ნაბაკევი)

ლაპარაკობენ, ქართული ენის საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქ სრულიად უმნიშვნელოა (ничтожны) და ვერც განვითარების საფუძვლად გამოდგება, სამურზაყანოელებს რუსული ენა იმდენად უნდათ და იმდენად სჭირდებათ, რომ თუკი იქ პარალელურად რუსულ და ქართულ სკოლებს გავხსნით, ქართულ სკოლაში ბავშვს არავინ მიიყვანს, ღვთისმსახურების ქართულ ენაზე შესრულებით ხალხის ვერც რელიგიურ გრძნობას გავაძლიერებთ და ვერც ზნეობით აღზრდას მივაღწევთ, მით უმეტეს, აქაური სამღვდლოება უმეტესად, ამიტომ ცივილიზაციის სასიკეთოდ ამ ველურ მხარეში თუნდაც ორიოდ-სამიოდე რუსი მღვდელი უნდა მივაგვლინოთ, რათა მათმა არა იმდენად ერუდიციამ, რამდენადაც მორალურმა ავტორიტეტმა იქაურობაზე კეთილნაყოფიერი გავლენა იქონიოს, რუსული ენის დამკვიდრება სამურზაყანოში პროგრესის ერთადერთი გზაა და სხვაგვარად მხოლოდ ობსკურანტებსა და ფანატიკოსებს შეუძლიათ იფიქრონ (პანტიუხოვი 1865).

<sup>7</sup> (გვ. 45) „...მანიფესტებს, რომლებითაც განისაზღვრა საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთება რუსეთთან“ – ავტორს მხედველობაში აქვს პავლე I-ის 1800 წლის 18 დეკემბრისა და ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტები, რომელთა ძალითაც უქმდებოდა ქართლ-კახეთის სამეფო და იგი რუსეთის უშუალო შემადგენლობაში შედიოდა. ამ ფაქტს, დიმი. ყიფიანის შეხედულებით, საფუძვლად ედო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის, „სათხოვართა პუნქტები“, რომლის მიხედვითაც, ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი ფორმალურად კი რჩებოდა, მაგრამ ფაქტობრივად და არსებითად ქვეყანაში რუსეთის უშუალო მმართველობა მყარდებოდა. სწორედ აქედან მომდინარეობს დიმი. ყიფიანის მიერ აქ და არაერთ სხვა ტექსტში სხვადასხვა ვარიაციით ნახსენები „საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთება რუსეთთან“ (უფრო ვრცლად საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2016: 407-409).

<sup>8</sup> (გვ. 47) „ეს იყო ახლახან დამთავრებულ კავკასიის ომში“ – იგულისხმება 1817-1864 წლების „კავკასიის ომი“ (Кавказская война) – რუსეთის იმპერიის მიერ გაჩაღებული მრავალწლიანი ომი



ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად.

<sup>9</sup> (გვ. 47) „**ქართველ მოლაშქრეთა რაზმები და ქართული მილიცია**“ – მილიცია (ლათ. militia – მხედრობა) მთავრობის მიერ საგანგებო ვითარებაში ფორმირებულ არარეგულარულ (მათ შორის, მოხალისეებისაგან შემდგარ) სახალხო ლაშქარს, ხოლო მილიციელი სახალხო მოლაშქრეს ნიშნავს.

<sup>10</sup> (გვ. 49) „**არც ერთი კეთილგანმზრახველი რედაქცია**“ – „კეთილგანმზრახველი“ (Благонамеренный) აქ ხელისუფლებისა და პოლიტიკური სისტემის ერთგულს ნიშნავს (**კეთილგანმზრახველი, კეთილგანმზრახველობა** – მეფის მთავრობის თვალსაზრისზე მდგომი, თვითმპყრობელობის ერთგული – ქეგლ 1955: 1124).

### პრინცესა ეკატერინე დადიანის შესახებ (გვ. 50-51)

#### ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი, საქ. №438. გაზეთიდან ნინო ჭილაშვილ-ყიფიანის ხელით გადმოწერილი. ფრანგულ ენაზე. ფ. 2.

#### ნაბეჭდი:

გაზ. „L'Evenement“ [„მოვლენები“]. 27 თებერვალი-11 მარტი, 1866, №127.

დიმიტრი ყიფიანის შენიშვნა ფრანგულ გაზეთში. პუბლიკაცია მოამზადეს თ. ჯოლოგუამ და ც. ბიბილეიშვილმა. ფრანგული ტექსტი თარგმნა ც. ბიბილეიშვილმა. „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“, 2014, №3-4, გვ. 70-76.

**სათაური:** Monsieur le rédacteur [ბატონო რედაქტორი].

ნინო ჭილაშვილ-ყიფიანის მიერ გადაწერილ ტექსტში არც ხელმოწერაა და არც თარიღია მითითებული. **ვათარიღებთ პირველნაბეჭდის მიხედვით. დასათაურება ჩვენია.**

დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანთან ერთად პარიზში იმყოფე-

ბოდა „1866 წლის დამდეგს“ (ყიფიანი 1990: 131). მათი იქ ყოფნის დროს პარიზის გაზეთში „L'Evenement“ („მოვლენები“) გამოქვეყნდა ორი პუბლიკაცია ეკატერინე დადიანის შესახებ, რასაც იმავე გაზეთში დიმი. ყიფიანის წინამდებარე შენიშვნა მოჰყვა. როგორც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმი. ყიფიანის არქივში დაცული საბუთებით ირკვევა, გაზეთის სამივე ნომრის ამონაჭრები დიმი. ყიფიანს 1866 წლის მარტის პირველ რიცხვებში პარიზიდან იმჟამად პეტერბურგში მყოფი შვილისთვის – ნიკოლოზისთვის, ამ უკანასკნელს კი ქვიშხეთში დედისთვის, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანისთვის, გამოუგზავნია (საქ. №1500, ფ. 2; №1835, ფ. 2); ნინოს კი, რომელიც თავისუფლად ფლობდა ფრანგულ ენას, თავის მხრივ, სამივე პუბლიკაცია გადმოუწერია. ვინაიდან ზემოხსენებული ამონაჭრები დაკარგულია და ვერც ფრანგული გაზეთის ჩვენთვის საინტერესო ნომრები მოვიპოვეთ, „L'Evenement“-ში გამოქვეყნებული ტექსტები ნინო ჭილაშვილ-ყიფიანის ხელნაწერიდან გადმოგვაქვს (სამივე ტექსტი ფრანგული ენიდან ც. ბიბლიეშივილის მიერაა თარგმნილი):

„გუშინ ლუვრის სასახლეში პრინცესა დადიანმა გამართა მეფლის ვინრო წრეში, რომელსაც განსაკუთრებით ბევრი რუსი დიდებული ესწრებოდა. პრინცესა დადიან ან დადიანი (ზუსტად არ ვიცით) ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო და პარიზში ნაკლებად ცნობილი ადამიანია. ამიტომ ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება, მივანოდოთ რამდენიმე ცნობა მის შესახებ.

პრინცესა დადიანი გახლავთ ყოფილი დედოფალი სამეგრელოსი, მკვდარ ზღვასთან მდებარე პატარა სამეფოსი, რომელსაც ირგვლივ კავკასიონის ქედი აკრავს. რაბინული ტრადიციის მიხედვით, სწორედ იქ მდებარეობს მიწიერი სამოთხე.

სამეგრელოს სამეფო მრავალი წლის წინ მიიერთა რუსეთმა იმ პირობით, რომ მოგვიანებით მისი მმართველის, პრინცესა დადიანის, იმჟამად მცირეწლოვან ვაჟს დაუბრუნებდა.

გადაყენებულმა პრინცივსამ საფრანგეთს შეაფარა თავი. იგი დასახლდა პარიზში, სადაც განსაკუთრებული მზრუნველობითა და დიდი გულმოდგინებით შეუდგა აღზრდას თავისი ვაჟისას, რომელიც, თავის მხრივ, იმედოვნებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს წინაპართა ტახტს დაიბრუნებს. მაშინდელი ბავშვი დღეს 17-18 წლის ყმაწვილია, ახლახან დაასრულა სწავლა და, როგორც ჩანს, სრულყოფილი მონარქის ყველა ღირსება აქვს ათვისებული. დედამისი, პრინცესა დადიანი, ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა და ძალიან ლამაზი ქალია. იგი ყველაზე სრულყოფილი კავკასიური ტიპის ადამიანია და არ უნდა აგვერიოს ქართულ ტიპში. ქართველი არის ქერა, მოხდენილი, ნატიფი და უფრო ლამაზი, ვიდრე – მომხიბვლელი; კავკასიური ტიპი კი პირიქით – მალალი, შავგვრემანი, ტანსრული, ნათელი სახის, ცოცხალი და ცეცხლოვანი შავი თვალებით, ვაჟკაცური და ძლიერი; ქართველი კი – უფრო გამჭრიახი და დახვეწილი. კავკასიური რასა მებრძოლი და გულადი რასაა, ქართველი კი – ნაკლებად ვაჟკაცური და ნაკლებად უდრეკი.

სამეგრელო, ალბათ, ის ქვეყანაა, სადაც მამაკაცური სილამაზე ყველაზე მეტადაა გავრცელებული და გამოკვეთილი. ამ პრივილეგირებული ხალხის უფლებააყრილი სუვერენი პარიზში ცხოვრობს, თითქმის უცნობია პარიზელთათვის და, ცხადია, დანარჩენი ფრანგებისთვისაც. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველებისთვის საინტერესო იქნება ინფორმაცია ამ არაჩვეულებრივ ადამიანზე, გმირ დედაზე, რომელიც თავდადებულია თავისი ვაჟის მიმართ, ძლიერია და მომხიბვლელი იმის მიუხედავად, რომ დაკარგა გვირგვინი, წინათ მის შუბლს რომ ამკობდა“.

„L'Evenement“, 3-15 თებერვალი, 1866, №103.

„ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მოვიხსენიეთ სამეგრელოს ყოფილი დედოფლის, პრინცესა დადიანის, მიერ გამართული მეფლისი. ამასთან დაკავშირებით ვწერდით, რომ სამე-

გრელოს სამეფო რამდენიმე წლის წინ მიიერთა რუსეთმა იმ პირობით, რომ ერთ მშვენიერ დღეს პრინცესა დადიანის იმჟამად მცირეწლოვან ვაჟიშვილს დაუბრუნებდა. გადაყენებულმა დედოფალმა საფრანგეთს შეაფარა თავი. მაშინდელი მოზარდი ახლა 17-18 წლისაა, ახლახან დაასრულა სწავლა და, როგორც ჩანს, სრულყოფილი მონარქის ყველა თვისება შეიძინა.

ამასთან დაკავშირებით, ბ-ნმა ალექსანდრე დე მილერმა მოგვმართა მეტად საინტერესო წერილით, რომელიც წარმოადგენს ამ ან უკვე არარსებული პატარა სამეფოს მოკლე და მშვენიერ ისტორიას. მიუხედავად ლაკონიურობისა, წერილში მოთხრობილი ამბავი სცდება ჩვენი გაზეთისთვის საჭირო მოცულობას, ამიტომაც ვერ შევძელით მისი გამოქვეყნება. თანაც იგი მჭიდროდ უკავშირდება საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს, რომელთა განხილვის უფლება ჩვენ არ გაგვაჩნია. ბ-ნი ა. დე მილერი კარგად უნდა იცნობდეს რუსეთისა და, კერძოდ, „კავკასიის ომის“ ისტორიას. ქედს ვიხრით მისი ერუდიციის წინაშე და მოკრძალებით ვაღიარებთ, რომ უახლესი ისტორიის ეს საკითხები ჩვენთვის მხოლოდ ზედაპირულადაა ცნობილი.

გთავაზობთ გამოგზავნილი ინფორმაციის რეზიუმეს:

პრინცესა დადიან (და არა დადიანი) რუსეთმა კი არ გადააყენა, არამედ იგი ფეოდალური უღლით გათანგულმა საკუთარმა ქვეშევრდომებმა გადააყენეს. მან რუსეთის მთავრობისგან მიღებული სუბსიდიით თავი საფრანგეთს შეაფარა. და ბოლოს, მისი ვაჟიშვილის დაბრუნება სამეგრელოს ტახტზე წარმოადგენს პრობლემურ საკითხს ბევრი მიზეზის გამო, რომელთაგან უმთავრესია სამეგრელოს გადანყვევტილება, აღარ ჰყავდეს უშუალო სუვერენი.

მადლობას მოვასხენებთ ბ-ნ ალექსანდრე დე მილერს საინტერესო ინფორმაციის მონოდებისათვის“.

„L'Evenement“, 15-27 თებერვალი, 1866, №115.

რაც შეეხება ალექსანდრე დე მილერს, თუ ეს ალექსანდრე კარლის ძე მილერია [Александр Карлович Миллер; „რუსეთის მცოდნე“ სხვა ალექსანდრე მილერს (მხედველობაში გვაქვს XIX საუკუნე) ჩვენ არ ვიცნობთ], იგი რუსეთის ქვეშევრდომი სამხედრო პირი (გენერალ-მაიორი; გარდ. 1886) იყო და, ბუნებრივია, რუსეთსაც კარგად იცნობდა და „კავკასიის ომსაც“. ასეთ შემთხვევაში ადვილი გასაგები ხდება, თუ რატომ ცდილობს გაზეთისთვის „საინტერესო ინფორმაციის“ მიმწოდებელი ალ. დე მილერი, პრობლემა სამეგრელოში არსებული შიდაკონფლიქტით ახსნას და შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა არა რუსეთის ხელისუფლებას, არამედ ეკატერინე დადიანსა და მის ქვეშევრდომებს დააკისროს.

<sup>1</sup> (გვ. 50) „გახლავართ მთავარ დადიანის სახლის მეურვე“ – დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანის მამულებისა და მისი შვილის, ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრის, ნიკოლოზ (ნიკო) დადიანის (მინგრელსკის), მეურვე იყო 1859-1867 წლებში. ამ საკითხზე დიმ. ყიფიანს თავის ბროშურაში „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ უწერია: „1859-დამ 1867-მდის აპეკუნად ვიყავ მთავრის სახლის საკუთრებაზედ კანონის ძალით, და 1867-დამ ამ 1868-ის აგვისტომდის იმავე საკუთრების მმართველად, პატრონებისაგან რწმუნების წერილების ძალით ... დავდეგ აპეკუნად 1859-ის წლის აპრილის თვეში ... ვიყავ სრულის უფლების მექონ აპეკუნად 1867-ის იანვრის 4-მდის“ (ყიფიანი 1869: 4-6; იხ. აგრეთვე: ყიფიანი 1868: 4-6).

<sup>2</sup> (გვ. 50) „საკმაო ხანს ვყოფილიყავი კავკასიის საიმპერატორო საბჭოს წევრი“ – დიმ. ყიფიანი „კავკასიის საიმპერატორო [მეფისნაცვლის, კერძოდ, მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის – თ. ჯ.] საბჭოს წევრი“ იყო 1857 წლის 9 აპრილიდან (დაამტკიცეს 8 მაისს) 1862 წლის 21 ივნისამდე (იხ. დიმ. ყიფიანის ნამსახურობის ნუსხა – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 105, 108).

<sup>3</sup> (გვ. 50) „არაფერს ვამბობ სამეგრელოს მდებარეობაზე“ – „L'Evenement“-ის 3-15 თებერვლის პუბლიკაციაში (იხ. ზემოთ) წერია – სამეგრელო „მკვდარ ზღვასთან მდებარე პატარა სამეფო“ არისო.

<sup>4</sup> (გვ. 50) „...არც ქართველებსა და ჩერქეზებზე“ – წინა პუბლიკაციებში ჩერქეზების ხსენება არ არის, რაც გვაფიქრებინებს, რომ წინო ჭილაშვილ-ყიფიანს „L'Evenement“-ის პირველი ორი პუბლიკაცია ან არაზუსტად აქვს გადმონერილი, ან – არასრულად.

<sup>5</sup> (გვ. 51) „...იმ უფლებებში, რომლებიც დაბადებითვე გააჩნია და სათანადოდ არის კიდევაც დადასტურებული“ – დიმი. ყიფიანის მოსაზრება, ნიკო დადიანს მთავრის უფლებას ვერ შეედავებოიანო, არ გამართლდა. 1867 წლის 4 იანვარს ნიკო სრულწლოვანი გახდა და გარემოებებმა აიძულა, იმავე დღეს იმპერატორ ალექსანდრე მეორისთვის უქვეშევრდომილესი მოხსენებით მიემართა მთავრის უფლებებზე ნებაყოფლობით უარის თქმისა და სამეგრელოს სამთავროს რუსეთის უშუალო გამგებლობაში გადაცემის შესახებ:

„თქვენო იმპერატორობითო დიდებულეზავ! დღეს შესრულდა დღე, როდესაც სრულწლოვანი გავხდი თქვენი ცხონებულის მამის, იმპერატორ ნიკოლოზის 1853 წ. საინვესტიციურო გრამატას ძალით. ამ გრამატას და თქვენი იმპერატორობითი დიდებულების რესკრიპტის მიხედვით, რომელიც ჩემს მშობელს უბოძეთ 7 სექტემბერს 1857 წ., მე შემეძლო დავბრუნებულყავი ჩემს მფლობელობაში. მაგრამ იქ მალე გლესთა რეფორმა უნდა განხორციელდეს. ამ რეფორმას მოჰყვება ძირითადი ცვლილება ეკონომიურ და ადმინისტრაციულ პირობებისა. და მე ვიცი სურვილი თქვენი იმპერატორობითი დიდებულებისა, რომ სამეგრელოს მმართველობაც იმავე საფუძველზე დაწესდეს, რა საფუძველიც დამყარდა დანარჩენ ამიერ-კავკასიაში. მაგრამ თქვენს წინაშე, ხელმწიფევე, არ დავმალავ, რომ საშინლად მეძნელება გავშორდე მამაპაპეულ ტახტს, რომლის კანონიერება 1804 წ. სახელმწიფოებრივ აქტით დამტკიცებული იყო ჯერ თქვენის მამის მიერ, მერე თქვენ-მიერადაც, ხოლო, რათა ავასრულო თქვენი სურვილი, უუავგუსტეველო ხელმწიფევე, თქვენდამი უსაზღვრო ნდობით გამსჭვალული, არაფრის წინაშე არა ვდგები – არც ჩემ წინაპართა იმედების გაცრუება მაშინებს, არც ჩემი ოჯახის ინტერესი და მომავალი – სამე-

გრელოს მთავრის უფლებები მომირთმევია თქვენი უმაღლესი ტახტის ფეხთა ქვეშ, ჩემი სრულწლოვანების დღეს. და მხოლოდ თქვენს გულს, რომელიც ღმერთის ხელშია, შეუძლია დააფასოს მნიშვნელობა ამ ჩემის განცხადებისა. ამის შემდეგ მემამულედ ვიქნები იმ მამულში, რომელიც პირადად მე მეკუთვნის, რომელიც დღემდე განსაკუთრებულ თქვენი დიდებულების ბრძანებით დაარსებულ „ოპეკის“ ხელში იყო. ამ მამულის გამგებლობაში შევალ, როგორც კი დამთავრდება გლეხთა რეფორმა და დამყარდება იქ საზოგადო წესი. ხოლო ამისათვის გამოვიტხოვ თქვენს ნებართვას“ [რუსული ენიდან თარგმნილია არჩილ ჯორჯაძის მიერ – იხ. ჯორჯაძე 1989: 546-547; ხეც-ში, დიმ. ყიფიანის არქივში (№442. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1), დაცულია ნიკ. დადიანის ამ მოხსენების პროექტი, რომელიც დიმ. ყიფიანის ხელითაა ნაწერი და 1867 წ. 4 იანვრითაა დათარიღებული].

სხვათა შორის, ამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ ა. ჯორჯაძე დასძენს: „ამ დროიდან სამეგრელოც ის არის, რაც საქართველოს დანარჩენი პროვინციები, და რაკი მოხდა ის, რაც მოხდა საქართველოში, სამეგრელოც ვერ ასცდებოდა ამ გზას...“ (ჯორჯაძე 1989: 547).

### **ტფილისის გუბერნიის აზნაურობის წინამძღომლისაგან (გვ. 52-53)**

**ნაბეჭდი:**

„დროება“, 22 იანვარი (3 თებერვალი), 1870, №3; „დროება“, 5 (17) თებერვალი, 1870, №5; „დროება“, 19 თებერვალი (3 მარტი), 1870, №7 (ერთი და იგივე ტექსტი რამდენჯერმეა გამოქვეყნებული).

**სათაური:** ტფილისის გუბერნიის აზნაურობის წინამძღომლისაგან.

**ტექსტი ხელმოუწერელი და დაუთარილებელი. ვათარილებთ პირველნაბეჭდის მიხედვით.**

დიმ. ყიფიანი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად“) პირველად 1864 წლის 16 თებერვალს აირჩიეს, იმპერატორმა ალექსანდრე II-მ კი იგი ამ თანამდებობაზე იმავე წლის 15 მარტს დაამტკიცა (იხ. დიმ. ყიფიანის ნამსახურობის ნუსხა. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 81; თვითონ დიმიტრი სხვა თარიღს, „აპრილის დამლევს“, ასახელებს – ყიფიანი 1990: 118. უნდა ვიფიქროთ, „აპრილის დამლევს“ დამტკიცების ქალაქი მოვიდა პეტერბურგიდან თბილისში).

მეორედ დიმიტრი თბილისის გუბერნიის „მარშლად“ 1867 წლის 4 მაისს აირჩიეს (დროება 1867<sup>ა</sup>); იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ ამ თანამდებობაზე იგი დამტკიცებულ იქნა იმავე წლის 18 ივნისს (დროება 1867<sup>ბ</sup>). ვინაიდან თავადაზნაურობის წინამძღოლის არჩევნები სამ წელიწადში ერთხელ უწევდა, მომდევნო არჩევნები 1870 წლის გაზაფხულზე უნდა ჩატარებულიყო. დიმ. ყიფიანის, როგორც „ტფილისის გუბერნიის აზნაურობის წინამძღომლის“, წინამდებარე ტექსტი სწორედ იმ არჩევნებთანაა დაკავშირებული, რომელიც თბილისში 1870 წლის მაისში ჩატარდა. ამ დროს კი ახლო ხანებში ალექსანდრე II-ის ჩამოსვლას ელოდნენ (ჩამოვიდა 1871 წლის შემოდგომაზე) და ქართველი არისტოკრატის ერთ ნაწილს უხერხულად მიაჩნდა, თავადაზნაურობის სახელით იმპერატორს უბრალო აზნაური წარსდგომოდა. მიუხედავად საზოგადოების – მათ შორის, დიდგვაროვანთა – უმრავლესობის დაბეჯითებული თხოვნისა, დიმიტრიმ მესამე ვადით „მარშლობაზე“ მტკიცე უარი თქვა. ვახტანგ თულაშვილის თქმით, „დიმიტრი ყიფიანი ამ საქმეში თავს ასე იმართლებდა: ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ხელმწიფე იმპერატორი მოწყალეობას რასმე უბოძებს საქართველოსაო, და თუ ვინცობაა, ეს იმედი არ გამართლდა, საზოგადოება მე დამაბრალებს, შენ რომ არა ყოფილიყავი მარშლად, იქნება ასე არ დაგვმართნოდაო. ან, ვინ იცის, იქნება მართლა ჩემი მარშლობა შეიქმნას მიზეზი იმ-



ისი, თუ ვინიცობაა, ხელმწიფემ არავითარის მოწყალების მოცე-  
მა არ ისურვა და გამოვალ დამნაშავე საზოგადოების წინაშეო“  
(თულაშვილი 1895: 47; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 47).  
თვითონ დიმი. ყიფიანმა კი ყრილობის დანყებისთანავე (6 მაისს)  
წარმოთქმულ სიტყვაში თავისი უარი ასე ახსნა (სიტყვა წარ-  
მოთქმულია რუსულ ენაზე. თარგმანი ჩვენია):

„თქვენმა წარმომადგენელმა ნამდვილი მოჩვენებითისაგან  
უნდა განასხვავოს და მონარქის მზერა ჩვენი ეკონომიკური  
ყოფის იმ მხარეებისკენ მიმართოს, სადაც ნამდვილად გვი-  
ჭირს და განკურნება მხოლოდ მონარქიულ გულუხვობას  
შეუძლია. ძლიერ ვშიშობ, რომ მე ამას ვერ შევძლებ. მე ამას  
ვამბობ როგორც თქვენი წინამძღოლი, ამასთანავე, როგორც  
აზნაური და სავსებით გულწრფელი და გულღია ვარ თქვენ  
წინაშე:

თქვენი იმედებისა და სურვილების განსახორციელებლად  
აუცილებელია არჩევანი ჩემზე ღირსეულ კანდიდატზე  
შეაჩეროთ; ისეთზე, რომელიც ჩემზე უკეთ გაუწევს სამსახ-  
ურს ჩვენი საერთო მიზნების განხორციელებასა და ჩვენი  
საჭიროებების მოგვარებას.

მე რაც შემეხება, მგონი არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ  
თქვენს შორის ძნელად მოიძებნება ისეთი ადამიანი, ჩემზე  
მეტად რომ იყოს საერთო ინტერესების ერთგული. თქვენ  
იცით – მე არასოდეს ამირიდებია თავი საზოგადოების  
სამსახურისათვის. გპირდებით, მომავალშიც ჩემი ცოდნა და  
უნარი ჩვენს საზოგადოებასა და ჩვენს მხარეს მოხმარდება.  
მე გუბერნიის წინამძღოლის წოდების გარეშეც გავაგრძელ-  
ებ საზოგადოებისათვის მსახურებას“ (ყიფიანი 284).

<sup>1</sup> (გვ. 52) „ამას წინეთ „დროებაში“ რომ ჩემი განცხადება იყო  
დაბეჭდილი...“ – ავტორს მხედველობაში აქვს მის მიერვე „დროე-  
ბაში“ გამოქვეყნებული შემდეგი „განცხადება“:

„აზნაურობის კენჭით აღრჩევა დაიწყება ამ წლის 1-ს  
მაისს და უეზდის შეკრებილებანი სამის თვის წინათ, ესე იგი

1-ს თებერვალს.

ამის გამო ვალად ვრაცხ მოვავგონო უფალთ თავ-ად-აზნაურთ საზოგადოების წევრთა, რომ მხედველობაში იქონიონ ყოველთავე კანონები, რომლითაც დაწესებულია ვალდებულება და პასუხის გება ყოველთა, მონაწილეობაზედ საზოგადო საქმეთა და აღრჩევაში; და უმეტესად მუხლნი მესამე ტომის, აღრჩევით სამსახურის დებულებისა: 34-37; 52, 54, 74-78; 80-84, 87, 88, 94-96, 101-105, 117, 121, 122, 135 და 138; და მეთხუთმეტე ტომისა: 1959, 1961, 1965-1967“ [დროება 1870<sup>ა</sup>; დროება 1870<sup>ბ</sup>; განცხადების მეორე ნაბეჭდში (დროება 1870<sup>ბ</sup>) მცირეოდენი ცვლილებებია შეტანილი და, როგორც ბოლო პუბლიკაციას, აქ მას ვიმონებთ].

<sup>2</sup> (გვ.52) „თვითეული წევრი აზნაურობისა“ – „აზნაურობა“ აქ ნიშნავს არა კონკრეტულ წოდებას („აზნაური... თავადზე დაბლა მდგომი“ – ქეგლ 1950: 173), არამედ ზოგადად წარჩინებულ ფენას – თავადაზნაურობას („აზნაური... წარჩინებული წოდებისა ან გვარისა, დიდებული...“ – აბულაძე 1973: 3; „აზნი: დიდგვარი, წარჩინებული; აზნაური, ე. ი. აზნთაგანი, დიდებული, გვაროვანი...“ – ჩუბინაშვილი 1984: 12).

<sup>3</sup> (გვ. 52) „უეზდის მარშალს“ – „უეზდი“ (რუს. уезд) – მაზრა; „მარშალი“ – აქ: თავადაზნაურობის წინამძღოლი [„მარშალი – ... თავად-აზნაურთა წინამძღოლი რუსეთის დასავლეთ გუბერნიებსა და საქართველოში ოქტომბრის რევოლუციამდე“ (ქეგლ 1958: 72)]. ასე რომ, სიტყვას „მარშალი“ რუსეთში არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სამოქალაქო მნიშვნელობაც ჰქონდა და იხმარებოდა შინაარსით – „წინამძღოლი“/„მთავარი განმკარგულებელი“/„გამრიგებელი“/„რიგის მიმცემი“ (Главный распорядитель) [„Маршал – ... წინამძღოლი ვითართამე შეკრებულთა მრავალმრიცხველთა ერთა“ (ჩუბინაშვილი 1971: 512)].

\* „უმეტესად მუხლნი მესამე ტომის... და მეთხუთმეტე ტომისა...“ – იგულისხმება „რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის“ („Свод законов Российской империи“) შესაბამისი ტომები.

## ქვიშხეთი, 16 აგვისტოს (გვ. 54-58)

**ნაბეჭდი:** „დროება“, 20 აგვისტო, 1875, №94.

**სათაური:** ქვიშხეთი, 16 აგვისტოს.

**თარიღი და ადგილი:** 16 აგვისტო 1875. ქვენატკოცა.

**ხელმოწერა:** ბ. ქ.

„ბ. ქ.“ არის შემოკლებული ვარიანტი დიმ. ყიფიანის ძირითადი ფსევდონიმისა „**ბაქარ ქართლელი**“. ფსევდონიმით „ბ. ქ.“ ავტორს ეს ერთადერთი ტექსტი აქვს გამოქვეყნებული. რაც შეეხება თავ-ად წარმოდგენას, ს. გერსამიას თქმით, „ეს იყო პირველი წარმოდგენა, რომელიც გაიმართა სოფ. ქვიშხეთში“ (გერსამია 2011: 134).

<sup>1</sup> (გვ. 54) „**დროების**“ მე-88 ნომერში იყო მოკლე ამბავი **ქვიშხეთის თეატრისა**“ – „დროების“ ამ ნომერში დაბეჭდილია ცნობა: „ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ სოფ. ქვიშხეთში, სურამის ახლოს, ქართული წარმოდგენა ყოფილა იქაური საზაფხულო შკოლის სასარგებლოთ. წარმოდგენიანთ „ძალათ ექიმი“ და „უჩინ-მაჩინის ქუდი“. ამბობენ, ხარჯს გარდა, ამ წარმოდგენიდან, რომლის თაოსნობა ელენე ყიფიანისას უკისრნია, შკოლას ექვს თუმნამდი დარჩენია“ (დროება 1875).

<sup>2</sup> (გვ. 54) „**ძალათ ექიმი**“ – მოლიერის პიესა (Le Médecin malgré lui), ქართულ ენაზე თარგმნილ-გადმოკეთებული გიორგი ერისთავის მიერ [მოლიერის ეს პიესა პირველად გ. ერისთავის ძმამ ივანე (ოქრო) ერისთავმა თარგმნა სათაურით „უნებურათ ექიმი“ და იგი გიორგი ერისთავის თეატრში 1852-1853 წწ. თეატრალურ სეზონზე დაიდგა – გერსამია 1950: 132].

<sup>3</sup> (გვ. 54) „**უჩინმაჩინის ქუდი**“ – გ. ერისთავის კომედია (პირველად 1852 წელს გამოიცა – ერისთავი 1852). დ. გამეზარდაშვილის თქმით, იგი „წარმოადგენს ნ. ვ. ლეონტიევის ერთმოკმედებიანი ვოდევილის („Шапка невидимка“) თარგმან-გადმოკეთებას“ (გამეზარდაშვილი 1956: 344).

<sup>4</sup> (გვ. 55) „**ნუნუას მუსუსი**“ – ღვინის გადამეტებულად მოყვარ-

ული (ნუნუა: ჩჩვილთ ენით ღვინო... – ჩუბინაშვილი 1961: 321; ნუნუა: იგივეა, რაც ღვინო – ქეგლ 1958: 1520).

<sup>5</sup> (გვ. 55) „გამოჰყავს მ ე ვ ა ქ ს ე!“ – გ. ერისთავის მიერ გადმოკეთებულ პიესაში მთავარი გმირი თათუა (ნაცვლად მოლიერისეული ტყის მჭრელი სგანარელისა) ვაქსს – ტყავის ფეხსაცმლის გასანმენდ-გასაპრიალებელ საცხს – ამზადებს და საკუთარ დუქანში ყიდის [„ძალათ ექიმი“ პირველად 1866 წელს ჟურნალ „ცისკარში“ (№7, გვ. 1-34) გამოქვეყნდა მთარგმნელის მიუთითებლად].

<sup>6</sup> (გვ. 55) „რომ. ფავლ.“ – ეს ის რომან (რომანოზ) ფავლენიშვილი უნდა იყოს, რომელზეც სოფრომ მგალობლიშვილს უწერია: „[სოფ. ტყვიავში მცხოვრები იასე რამანის-ძე ფავლენიშვილის] ოჯახი გათქმული იყო განათლებითაც, შვილები სოციალისტ-ხალხოსნები იყვნენ. ერთი შვილი მისი, სტუდენტი რამანი, დაჭერილი იყო პეტერბურგში, ციხეში დაჭლექდა, როგორც იყო ავადმყოფი დაიხსნეს და სახლში ეღირსა სიკვდილი“ (მგალობლიშვილი 1938: 178). თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ შედგენილი რევოლუციონერ-ხალხოსანთა ერთ-ერთი სიის მიხედვით, პეტერბურგის სამედიცინო აკადემიის სტუდენტი, აზნაური რომან ფავლენიშვილი, რომელსაც კურსი არ დაუსრულებია, 1877 წლის 10 მაისს გარდაცვლილა [თავამაიშვილი 1974: 72; სხვათა შორის, იმავე სიაში რ. ფავლენიშვილს მოსდევს დიმ. ყიფიანის ქალიშვილი – ელენე ყიფიანი-ლორთქიფანიძე, რომელსაც ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის 1000 მანეთი დააკისრეს (თავამაიშვილი 1974: 72). ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობდნენ დიმიტრის დანარჩენი შვილებიც: ნიკოლოზ და კოტე ყიფიანები. კოტეს თავდაპირველად საცხოვრებელი ადგილიდან (იმ დროს ქვიშხეთში ცხოვრობდა) გაუსვლელობის ხელწერილი დაადებინეს (თავამაიშვილი 1974: 73), შემდეგ კი ერთთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს (შველიძე 1960: 167; მგალობლიშვილი 1914), ნიკოლოზი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა (შველიძე 1960: 167); იმავე მიზეზით რეპრესიები შეეხო ელენეს ქმარს – ანტონ ლორ-თქიფანიძეს (შველიძე 1960: 167). ყოველივე ამის გამო ელენე და ანტონ ლორთქიფანიძე-ები, აგრეთვე, ნიკ. ყი-

ფიანი ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის საბჭოდან გარიცხეს [ამ საკითხზე მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსის, პეტრე პეშჩუროვის, 1880 წლის 17 ნოემბრის წერილი (თქვენი შვილები და სიძე ადრე დანაშაულებრივი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები იყვნენ, ახლაც პოლიტიკურად არაკეთილსამედონი არიან, მათი დარჩენა სკოლის საბჭოში შეუძლებელია და იძულებითი ზომები რომ არ დაგვჭირდეს, მეფისნაცვალმა [მიხეილ ნიკოლოზის ძემ], რომელმაც პეტერბურგიდან სათანადო ცნობები მიიღო, დამავალა გადმოგცეთ კონფიდენციალური თხოვნა, დაარწმუნოთ თქვენი შვილები და სიძე, ნებაყოფლობით დატოვონ საბჭო] და დიმ. ყიფიანის პასუხი (გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ეს ყმანვილური გატაცება იყო, ამ ადამიანების ზნეობა და სახელი დღემდე უმნიშვნელოა და მოჩვენებითი სინამდვილედ არ უნდა წარმოვაჩინოთ) იხ. ჩხეტია 1947: 361-362.

<sup>7</sup> (გვ. 56) „**გაცრუვდებოდა, გაშლურდებოდა**“ – განზილდებოდა, გამოსულელდებოდა (შლუ: „ჭკუანაკლები“ (საბა), სულელი, რეგვენი... – ქეგლ 1962: 1419).

<sup>8</sup> (გვ. 56) „**ნიკ. ხუდად.**“ – ექიმი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ნიკოლოზ ხუდადოვი.

<sup>9</sup> (გვ. 56) „**ალექ. ქორს.**“ – ?

<sup>10</sup> (გვ. 56) „**ყიფ-ნის ქალებმა...**“ – იგულისხმებიან ელენე დიმიტრის ასული, მარიამ (მაშო) ივანეს ასული და მან[ანა(?)] ქოჩოს ასული ყიფიანები.

<sup>11</sup> (გვ. 56) „**ელე. დიმ-ის ასულმა**“ – ელენე დიმიტრი ყიფიანის ას. ლორთქიფანიძე.

<sup>12</sup> (გვ. 56) „**მარ. ივა-ს ასულმა**“ – მსახიობი მარიამ (მაშო) ივანეს ას. ყიფიანი.

<sup>13</sup> (გვ. 56) „**მან. ქოჩ. ასულმა**“ – მანანა (?) ქოჩოს ასული [ყიფიანს] უნდა ნიშნავდეს.

<sup>14</sup> (გვ. 57) „**კიკნ.**“ – კიკნაძე (?).

<sup>15</sup> (გვ. 57) „**მარ. და სოფ. ტატ-ს ასულნი**“ – „მარ.“ – მარიამს, „სოფ.“ – სოფიოს, ხოლო „ტატ-ს“ ტატიშვილს უნდა ნიშნავდეს.

<sup>16</sup> (გვ. 57) „**გიორ. აბაშ.**“ – მსახიობი. 1882 წლის „დროება“ იუნ-

ყებოდა – 15 დეკემბერს არწრუნის თეატრში „თ. გიორგი აბაშიძის დებიუტისათვის ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება“ გ. სუნდუკიანის „პეპო“ და „მეჯლისი“ – „ოპერეტკა“ იტალიელი მომღერლებით (დროება 1882). შესაძლებელია, ეს გ. აბაშიძე იყოს XVIII ს. ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწის ვახუშტი აბაშიძისა და ანუკა ვახტანგ VI-ის ას. ბატონიშვილის შთამომავალი გიორგი აბაშიძე, რომელმაც 1889 წ. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკას ანუკა ბატონიშვილის „მზითვის წიგნი“ გადასცა (ივერია 1889).

<sup>17</sup> (გვ. 57) „ნიკ. ყიფი.“ – ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი.

### დავით ალექსანდრეს ძეს მიქელაძეს (გვ. 59-60)

**ნაბეჭდი:** „დროება“, 1 ივნისი, 1879, №113.

**სათაური:** თ. დავით ალექსანდრეს ძეს მიქელაძეს.

**თარიღი და ადგილი:** 29 მაისი, 1879. ტფილისი.

**ხელმოწერა:** დიმ. ყიფიანი.

დიმ. ყიფიანის წერილის ადრესატი **დავით (დათა) ალექსანდრეს ძე მიქელაძე (1843-1918)**, თვალსაჩინო ფიგურაა XIX ს. II ნახევრისა და XX ს. დასაწყისის ქართულ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. იგი იყო ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ჯერ პეტერბურგის, შემდეგ პარიზის უნივერსიტეტებში, თუმცა არც ერთი არ დაუმთავრებია. „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის მონაწილე, სამოციანელთა თანამოაზრე და თანამებრძოლი. „მეველეს“ (ეს მისი ძირითადი ფსევდონიმია), „დ. ზურაბისშვილის“, „კულაშელისა“ და სხვ. ფსევდონიმით ქართულ პრესაში („ივერია“, „დროება“, „აკაკის კრებული“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.) აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის (ძირითადად, პუბლიცისტურ) თხზულებებს. 1873 წ. პარიზში ნ. ნიკოლაძესა და პ. იზმაილოვთან ერთად გამოსცემდა ემიგრანტულ ჰექტო-

გრაფიულ გაზეთ „დროშას“ (იხ. შარაძე 2001: 3-13). 1873-1874 წწ., დიდად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო გაზეთ „დროებაში“, 90-იან წწ. აქტიურად თანამშრომლობდა „ივერიაში“ (ლასხიშვილი 1992: 90-94). 1879 წ. ქუთაისში გაზეთ „რიონის“ გამოცემა სურდა, თუმცა ხელისუფლებისგან ნებართვა ვერ მიიღო (ტაბიძე 1986ა: 136-139).

1895 წ. დავით მიქელაძე საცხოვრებლად გადავიდა ქუთაისში, სადაც მუშაობდა შავი ქვის მრეწველთა საბჭოში (1900 წლიდან), ხოლო 1910-1916 წწ. იყო ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დირექტორი. თარგმნა და 1908 წ. ქუთაისში გამოსცა ლევ ტოლსტოის „მეუფება წყვილიადისა“ (ლ. ტოლსტოისა და დ. მიქელაძის მიმონერის შესახებ იხ. გოზალიშვილი 1990: 261-264). დ. მიქელაძის პიესა „ხაფანგი“ 1901 წ. ზესტაფონში დადგეს (ყვირილის-პირელი 1901; ს-ძე 1901).

დავით მიქელაძე გარდაიცვალა ქუთაისში, იქვე, მწვანეყვავილაზეა დაკრძალული (დ. მიქელაძეზე იხ. აგრეთვე: ცაიშვილი 1962: 23-31; მალრაძე 1963; თავბერიძე 2009; ჩხეიძე 2011: 32-45).

<sup>1</sup> (გვ. 59) „მესმა ამბავი თქვენ ორმოცის სამასთან შებმისა და მათი გამარჯვებისა“ – ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის 1879 წლის აპრილ-მაისის ყრილობაზე ზედამხედველმა კომიტეტმა დასვა საკითხი, გადაედოთ „ორასიოდე მანეთი ორი გლეხიკაცის შვილისთვისა შესასრულებლად სწავლისა რუსეთის უმაღლეს სასწავლებელშიდა“. ამ იდეას დაუპირისპირდა და ინიციატორებს უსაყვედურა ადვოკატმა მიხეილ დარახველიძემ, რომელსაც ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი, „მაგრამ ღვთის მადლითა და განათლების წყალობითა, ვერ დაიმონავა ამ ბოროტმა სულმა ზოგიერთი კეთილშობილნი და გონიერნი ახალგაზრდანი, რომელთაც დავით მიქელაძის პირითა მოახსენეს პირ-და-პირ განრისხებულ საზოგადოებასა შემდგომი:

– ჩვენ გვრცხვენია, ბატონებო, რომ ამისთანა საყვედური წარმოითქვა ამ ჩვენ კეთილშობილ საზოგადოებაში მიხაილ დარახველიძისაგანა, რომელსაც ასე დაუფიქრებლად თანაუგრძნობს

თავად-აზნაურობა... ამ საყვედურსა თქვენ უცხადებთ ზედამხედველ კომიტეტსა ორასი მანეთის თაობაზედ, რომელიც მას მიუწოდებია ორიოდე გლეხიკაცის შვილისათვის, რომელთაც დასჭირებიათ ამგვარი შეწევნა სწავლის შესასრულებლად იმ მაღალ სასწავლებელში, სადამდინაც მიუხწევიათ იმათ თავიანთი ბეჯითობითა და შრომითა. – სირცხვილია, ბატონებო, ეს; სირცხვილი კეთილშობილ საზოგადოებისათვის ესრედი საყვედური ამგვარი საქმისათვის! ათასი წელიწადი მუქთად გვემსახურებოდა, მუქთად გვარჩენდა ჩვენ ეს გლეხკაცობა თავის ოფლითა, და თქვენ, კეთილშობილნო, ასე დასტირით იმ ორას მანეთსა, რომელიც მთელი ჩვენი საზოგადოების მხრითა დახარჯულა ამ გლეხი კაცის შვილზედა, იმ ჩვენივე მამულის შვილზედა! სირცხვილია ეს, ბატონებო, სირცხვილი ჩვენი საზოგადოებისათვის!..“

გადაწყდა კენჭისყრა. „დარახველიძემ გამარჯვა სამასი კენჭითა. დავით მიქელაძისაგან გამოცხადებულ ნამდვილ კეთილშობილურ გრძნობასა ამოუვიდა მხოლოდ ორმოციოდე კენჭი...“

„დროების“ ანონიმი ავტორის თქმით, „თუ ნაძრახ სიცოცხლესა სჯობიაო სახელოვანი სიკვდილი, მიხეილ დარახველიძის სასირცხო გამარჯვებასა ათასჯერ უფრო უნდა სჯობდეს და კიდეც სჯობია დავით მიქელაძის სახელოვანი დამარცხება.

გამარჯვებულ სარდალსა ხელში ეჭირა დროშა, რომელზედაც ეწერა შავის მელნითა: „კეთილშობილის და გლეხის შუა უკავშირობაო!“

დამარცხებულ სარდალს ეჭირა ხელში დროშა, რომელზედაც ბრწყინვალე და ნათელი ასოებითა ეწერა: „კეთილშობილ და გლეხ შუა ძმობაო და მამულის ყოველ საზოგადო საქმეში ერთად ჰყოფნაო!“ –

საკვირველი იყო! ადვოკატი მიხეილ დარახველიძე, აზნაურიშვილი, თითქო თავილობდაო გლეხი კაცი შვილის გარევესა ჩვენ კეთილშობილების საზოგადოებაში, მაშინ როდესაც თავადიშვილი დავით მიქელაძე, ლუბერნიის მარშლად ნამყოფი კაცის შვილი, ძმურად ხელს უშვერდა გლეხ კაცობასა, და თითქო ეუბნებოდა კეთილშობილურ მაღალ-გრძნობითა ამ გლეხ კაცის შვილსა:



„ერთად, ძმაო, ერთად სიცოცხლე და სიკვდილიო!“ (დროება 1879; სხვათა შორის, ამ ყრილობაზევე დადგა საკითხი ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მმართველად დიმ. ყიფიანის არჩევის შესახებ, თუმცა ყრილობის მონაწილე ნიკოლოზ ყიფიანმა განაცხადა: „მამაჩემისგან მე მაქვს მონდობილი განცხადო თანხმობა, ან უთანხმოება მის კანდიდატატ ნამოყენებაზე. იმას არა ჰსურს, რომ მისი კანდიდატურის ნამოყენებით რაიმე უკმაყოფილება მოჰხდეს თქვენში და განხეთქილება. არ ჰსურს მას კენჭი იყაროს...“ – ჭიჭინაძე 1879; აიორჩიეს ნიკ. ლობერიძე – თ.ჯ.).

დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი გამომხატურებაა ამ „**ორმოცის სამასთან შებმისა**“ და „**ორმოცის**“ მორალური გამარჯვებისა.

რამდენიმე დღეში „დროების“ ფურცლებზე დავით მიქელაძემ უპასუხა დიმ. ყიფიანს და ეს პასუხი აქ სრულად მოგვყავს:

„მონყალეო ხელმწიფეო!

წუთიერი გამარჯვება, უმრავლესობის უგუნურებაზედ წაქეზება და მით სახელის მოპოვება, არაოდეს არ სწერებულა ჩვენს დროშაზედ.

ჩვენ, მართალია, დამარცხებული ვართ დღეს, ამგვარივე დამარცხება მოგველის იქნება ხვალაც, მაგრამ უმაღლესი და უკეთილშობილესი პრინციპი კი ჩვენსკენ არის! ჩვენ ვემსახურებით იმ აზრს, რომ საზოგადოებაში ძმობა და სამართლიანობა დამყარდეს. დარწმუნებული ვართ, ვინც კი წამდვილად ქვეყნისათვის გულის შემატკივარია, ვინც საქართველოს ერის ბედნიერებას ჰფიქრობს, – იმათ ჩვენი მხარე უჭირავთ. ეს ბევრია შემდეგისათვის.

თავადაზნაურობამ, ზოგიერთი წვრილმანი ეგოისტების წყალობით, ისეთი დანაშაულობა ჩაიდინა, რომლის გაადვილება შეუძლებელია. მან ვერ გამოიჩინა – როგორც მშვენივრად ბრძანებთ თქვენ – ვერც ქრისტიანული გრძნობა, ვერც მამულის შვილობა, ვერც ერთგვაროვნობის და ძმობის მეგობრობა, როდესაც თავის სასტიკ გადაწყვეტილებას ადგენდა.

დავსძენ მეც: თავად-აზნაურობამ ვერ გამოიჩინა ის მცირე გაგებაც, რომელიც დაანახვებდა მას, თუ როგორი საჭირო და სასარგებლო არის თითონ მისთვის ძმურად ხელის მიწოდება ხალხისთვის.

საზოგადოება, რომელსაც თითო-ორ-ორი კაცი არ ეყოლება, რომელთაც ამგვარი სამწუხარო შემთხვევების დროს შეეძლოს აღამაღლოს თავისი ხმა და პირ-უთნეველად უთხრას ამ გზა-დაბნეულ საზოგადოებას ჭეშმარიტება, ასეთი ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა და ხალხი შიდ მცხოვრები მხეცებათ! მაგრამ ჯერ ჩვენი საქმე აქამდის არ მისულა.

ბედნიერი ვართ, რომ სწორეთ თქვენ, რომელსაც ერთობ კარგათ გიცნობსთ ჩვენი სამშობლო ერთ-გული მოღვაწეობისათვის მრავალ-გვარ საქვეყნო ასპარეზზე; თქვენ, რომელსაც ყოველთვის გეკუთვნოდათ ახალგაზდობის თანაგრძნობა და ღრმა პატივის-ცემა, გამოჩნდით გამომაფხიზლებელად იმ წოდებისა, რომლისგანაც თითონ თქვენ გამოსულხართ.

ვინ იცის, იქნება ის კედელი, რომელიც ასე ხელოვნურად აღაგეს ზოგიერთთა ჩვენთა ამხანაგთა ჩვენსა და თავად-აზნაურობის უმრავლესობის შორის, ვინ იცის, ვამბობ მე, იქნება ეს კედელი თქვენი პატივცემული ხმის წინ დაინგრეს სამუდამოთ? ხშირად ერთი კაცი ათას კაცად ღირს და ერთი სიტყვა – ათი ათას სიტყვათ!

დარწმუნებული ვარ, სწორეთ ეს ძვირფასი სიტყვა იქმნა წარმოთქმული თქვენგან ამ შემთხვევაში.

თქვენი მარადის ერთგული

დავით მიქელაძე.

1879 წ. 2 ივნისს. სოფ. კულაში“ (მიქელაძე 1879).

დასასრულ, იმასაც დავსძენთ, რომ „დროების“ ზემოთ დამონ-მებულ პუბლიკაციაში (დროება 1879<sup>ა</sup>) ნახსენები „**ლუბერნიის [თავადაზნაურობის] მარშლად ნამყოფი**“ მამა დავით მიქელაძისა იყო გვარდიის პოლკოვნიკი **ალექსანდრე მიქელაძე**, რომელიც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშა-

ლი“) იყო 1864-1867 წლებში და რომელიც 1875 წლის 23 დეკემბერს კულაშიდან პათეტიკური წერილით ულოცავს დიმ. ყიფიანს თბილისის ქალაქის თავად არჩევას (ვიმონმებთ სრულად):

„თქვენო აღმატებულება

დიმიტრი ივანეს ძევ!

დღეს მივიღე კონსტანტინე მამაცოვის წიგნი, რომელიც მწერს თქვენს აღრჩევაზედ ტფილისის ქალაქის თავად. მე არ შემეძლო გავჩუმებულვიყავ ესრეთის სანეტარო ქართველთათვის შემთხვევაზედ, ამისთვის ვკადნიერებ მოგილოცოთ ეს ახალი დარწმუნება მოქალაქეთა თქვენზედ. თუმცა ესრეთის დარწმუნებითა თქვენ საქართველოშიდ სიყრმიდგანვე სარგებლობდით, და ჭეშმარიტათცა გეკუთვნოდათ ვითარცა ერდგულსა მამულის შვილსა და შემოსილსა ყოვლის კაცთადმი საკუთვნელის ღირსებაებითა აქსიოს! აქსიოს! აქსიოს! და ვსთხოვ უზენაესსა არსებასა განაგრძოს წელნი ცხოვრებისა თქვენისანი, რომელთა ნამყოფსა კეთილსა, რომელსაც ესრედ მტკიცედ აქუს გართული მისი თქვენშიდ, დასცალდეს გამოღება სასარგებლოთ მამულისა თქვენისა და ძეთა მისთა და მით უკვდავ იქმნეს საკუთრად სახელი თქვენი. „რომელნი ესვენ უფალსა, წყალობა გარე მოადგეს“.

დავშთები თქვენის აღმატებულების

უუმორჩილესი მოსამსახურე

თ-დი ა. მიქელაძე

21 დეკემბერი. 1875 წ.

ს. კულაში“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1490; იქვეა დიმ. ყიფიანის მინაწერი: „23 დეკ. 1875. პასუხი იმავე დღეს“).

**„მეომართ ცოლ-შვილისათვის საზრუნველი  
საზოგადოების“ გამო (გვ. 61-62)**

**ნაბეჭდი:** „დროება“, 30 ოქტომბერი, 1879, №224.

**სათაური:** უფალო რედაქტორო!

**თარიღი და ადგილი:** 26 ოქტომბერს. [1879]. სოფ. ქვიშხეთი.

**ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ვათარიღებთ პირველნაბეჭდის მიხედვით. **დასათაურება ჩვენია.**

დიმ. ყიფიანის ეს წერილი არის პასუხი „დროებაშივე“ გამოქვეყნებული ტექსტისა (ვიმონმებთ სრულად):

„შარშან ზამთარში, როდესაც ომიანობის შემდეგ ამდენი ქვრივ-ოხერი და გაჭირებული დარჩა, სხვათა შორის თფილისშიაც შესდგა კერძო საზოგადოება ამ „მეომართ გაჭირებულ ცოლ-შვილთა შესანევენლად“. თუ არ ვცდებით, ამ საზოგადოების თავს-მჯდომარედ ამორჩეული იყო მაშინდელი ქალაქის თავი პატივცემული დ. ი. ყიფიანი, იმის ამხანაგად უფ. მოდზალევსკი და საზოგადოების სეკრეტრად უფ. იზმაილოვი. საზოგადოება აგროვებდა ფულს თავის მიზნისათვის, წევრებს დაურიგეს დაბეჭდილი კრუჟკები და დავთრები და სხვა. მას აქეთ ამ საზოგადოების სრულიად არა ისმის-რა. არსად არ შევხვედრივართ ამ საზოგადოებისაგან გამოცემულ თავის მოქმედების ანგარიშსა – თუ რამდენი მოაგროვა იმან ფული და რამდენი დაურიგა მეომართა გაჭირებულ ოჯახებს თავის მიზნის აღსასრულებლად. ჩვენის აზრით, რიგი და წესი იყო, რომ საზოგადოების გამგეობას ანგარიში გამოეცხადებინა და შეეტყობიებია თავისი მოქმედება იმ პირთათვის, რომელთაც იმას ამ ქველ საქმეში ხელი მოუმართეს...“ (დროება 1879<sup>ბ</sup>).

სხვათა შორის, 1876 წლის 24 მაისიდან დიმ. ყიფიანი იყო აგრეთვე „დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცებზე მზრუნველი საზოგადოების“ კავკასიის საოლქო მმართველობის წევრი

(ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №37, ფ. 1) და 1879 წლის 5 ივნისს მას ამ ორგანიზაციამ წითელი ჯვრის ნიშანი უბოძა [მოწმობა (Свидетельство) იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №37, ფ. 1].

<sup>1</sup> (გვ. 61) „1877-ში რომ ომი გამოცხადდა...“ – იგულისხმება რუსეთ-ოსმალეთის 1877-1978 წწ. ომი, რომელშიც გაიმარჯვა რუსეთმა და ამ გამარჯვების შედეგად საქართველოს თავისი ისტორიული ნაწილები (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი, ოლთისი...) დაუბრუნდა.

<sup>2</sup> (გვ. 61) „უფ. გუბერნატორის უწყებით და შემწეობით...“ – 1877 წელს, როცა რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო, თბილისის გუბერნატორი იყო ბარონი მაქსიმილიან ოსტენ-საკენი.

<sup>3</sup> (გვ. 61) „ჩემს ამხანაგად...“ – „ამხანაგი“ აქ „მოადგილეს“ ნიშნავს.

<sup>4</sup> (გვ. 61) „კასსირად“ – „მოლარედ“ (რუს. кассир – მოლარე).

<sup>5</sup> (გვ. 61) „სეკრეტრად“ – „მდივნად“ (რუს. секретарь – მდივანი).

<sup>6</sup> (გვ. 61) „ხელმწიფა დიდმა მთავრინა ოლგა ფეოდოროვნამ...“ – კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის მეუღლე ოლგა თეოდორეს ასული.

<sup>7</sup> (გვ. 62) „...ზანგანაკებიც, ესე იგი, კრუჟკებიც“ – „ზანგანაკი“ – ?; „კრუჟკა“ (რუს. кружка) – ყულაბა.

### ნიკო ნიკოლაძის საპასუხოდ (გვ. 63-65)

#### ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი, საქ. №96. შავი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 2.

ნაბეჭდი: „Кавказ“, 16 ნოემბერი, 1879, №249.

სათაური: Письмо к редактору [წერილი რედაქტორს].

თარიღი და ადგილი: 14 ნოემბერი 1879. სოფ. ქვიშხეთი.

ხელმოწერა: Дим. Кипиани.

წინამდებარე ტომში გადმოღებულია პირველნაბეჭდი. და-

სათაურება ჩვენია (ხელნაწერის შავის სათაურია – „Господину редактору газеты „Кавказ““).

<sup>1</sup> (გვ. 63) „...რედაქტორს“ – გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორ-გამომცემელი ამ დროს იყო ეთნოგრაფი და ჟურნალისტი ნიკოლოზ ილიას ძე ვორონოვი.

<sup>2</sup> (გვ. 63) „ნ. ი. ნიკოლაძის სტატიის საპასუხოდ“ – იგულისხმება ნ. ნიკოლაძის სტატია „Деятельность Тифлисской думы (письмо к редактору „Кавказа“)“ [„ტფილისის სათათბიროს საქმიანობა (წერილი „კავკაზის“ რედაქტორს“)], რომელიც გაზეთ „კავკაზის“ 1879 წლის 13 ნოემბრის 247-ე ნომერში გამოქვეყნდა და რომელშიც მწვავედ არის გაკრიტიკებული როგორც ზოგადად თბილისის სათათბირო, ისე სათათბიროს ცალკეული წევრები (უნდა ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძის ამ წერილში დიმ. ყიფიანი ნახსენები არ არის).

<sup>3</sup> (გვ. 63) „როგორც თბილისის სათათბიროს ხმოსანს“ – დიმ. ყიფიანი 1875 წ. დეკემბრიდან 1879 წ. იანვრამდე თბილისის ქალაქის თავი იყო. ამის შემდეგ იგი ერთხანს თბილისის სათათბიროს ხმოსნად დარჩა.

<sup>4</sup> (გვ. 64) „etc, etc, etc“ (ლათ.) – და ა. შ. და ა. შ.

<sup>5</sup> (გვ. 64) „12 000 კვადრატული საჟენი მიწის ექსპროპრიაციის უფლება“ – „ექსპროპრიაციაში“ აქ იგულისხმება მიწის ჩამორთმევა სასყიდლით (სათანადო ანაზღაურებით), „საჟენი“ კი ძვ. რუსული სიგრძის საზომი ერთეულია; უდრიდა 2 მეტრსა და 13,36 სანტიმეტრს.

### „ქართული სათეატრო ამხანაგობის“ შესახებ (66-68)

ნაბეჭდი:

„Обзор“, 28 თებერვალი, 1880, №433.

ნ. ნიკოლაძე. თხზულებათა სრული კრებული. დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით. ტ. VIII (1880-1883 წწ.).

ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი. 2003, გვ. 89-90.

სათაური: „Милостивый государь, Николай Яковлевич!“ („მონყალეო

ხელმწიფე, ნიკოლოზ იაკობის ძე!“).

**თარიღი:** 27 თებერვალი 1880 წ.

**ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

ჩართულია გაზ. „ობზორში“ ნიკო ნიკოლაძის მიერ ხელმოუწერლად გამოქვეყნებულ წერილში „Грузинский театральный комитет“ („ქართული თეატრალური კომიტეტი“) (ნიკოლაძე 1880<sup>ა</sup>; ნიკოლაძე 2003: 84-94).

ტექსტი გადმოგვაქვს ნ. ნიკოლაძის თხზულებათა VIII ტომიდან (მთარგმნელის ვინაობა პუბლიკაციაში მითითებული არ არის).  
**დასათაურება ჩვენია.**

<sup>1</sup> (გვ. 66) „ნიკოლოზ იაკობის ძე“ – იგულისხმება გაზეთ „ობზორის“ რედაქტორ-გამომცემელი ნიკო ნიკოლაძე.

<sup>2</sup> (გვ. 66) „ობზორსა“ და „ტიფლისსკი ვესტნიკში“ მოთავსებული სტატიების გამო – ავტორს მხედველობაში აქვს:

ა) ნ. ნიკოლაძის მიერ გაზეთ „ობზორში“ გამოქვეყნებული სერია წერილებისა „Грузинский театральный комитет“ (ნიკოლაძე 1880<sup>ა</sup>; ნიკოლაძე 1880<sup>ბ</sup>; ნიკოლაძე 1880<sup>გ</sup>; გაგრძელდა დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტის გამოქვეყნების შემდეგაც: ნიკოლაძე 1880<sup>დ</sup>; სხვათა შორის, დიმ. ყიფიანი იყო ნ. ნიკოლაძის „ობზორის“ დამფუძნებელი „საგამომცემლო ამხანაგობის“ წევრი – იხ. მაჭავარიანი 1954: 155; ნიკოლაძე 1966: 643).

ბ) გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკში“ („Тифлисский вестник“) გამოქვეყნებული ხელმოუწერელი წერილი „ტიფლისი, 23 თებერვალს“ (ტიფლისსკი ვესტნიკ 1880).

დასახელებულ წერილებში საუბარია „თბილისის თეატრალურ კომიტეტში“ (უნდა იყოს: „ქართული სათეატრო ამხანაგობა“) შექმნილ ვითარებასა და, მათ შორის, დიმ. ყიფიანის მიერ პროტესტის ნიშნად „კომიტეტის“ დატოვებაზე.

<sup>3</sup> (გვ. 66) „გაზეთ „დროების“ გუშინდელ ნომერში მოათავსეს კოლექტიური წერილი...“ – იგულისხმება „დროებაში“ 1880 წ. 26 თებერვალს (№44) დაბეჭდილი წერილი, რომლის ადრესატიცა

„ტიფლისკი ვესტნიკის“ იმდროინდელი დროებითი რედაქტორი გიორგი ჩიქოვანი (Временный редактор Чикоани):

„ბ-ნო რედაქტორო!

დღევანდელს „თფილისის მოამბის“ [„Тифлисский вестник“ – თ. ჯ.] ნომერში დაბეჭდილია სტატია, რომ პატივცემული დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანი გამობძანდა ქართული სათეატრო კომიტეტიდამაო იმ მიზეზისა გამო, რომ მისგან წარმოდგენილი თ. მიხეილ ბებუთოვი კომიტეტმა თავის წევრად არ ჩარიცხაო.

რადგანაც ქართული სათეატრო კომიტეტი არ არსებობს და არის მხოლოდ ქართული სათეატრო ამხანაგობა და ხსენებული გაზეთის ცნობა უსათუოდ ამ ამხანაგობას შეეხება, ამისათვის გთხოვთ თქვენს პატივცემულს გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი გარდამწყვეტილება ამხანაგობისა: მართალია, ბატ. დ. ი. ყიფიანმა წარმოადგინა ამხანაგობაში მისაღებად თ. მიხეილ ბებუთოვი; მართალია, წარმოდგენილება დ. ი. ყიფიანისა არ შეინწყნარა ამხანაგობამ და ისიც მართალია, რომ დ. ი. ყიფიანმა სიტყვით გამოაცხადა ამხანაგობიდამ გავდივარო. ვიდრე თვითონ პატივცემული დ. ი. ყიფიანი არ მოინადინებს, რომ სამწუხარო გარემოება საზოგადოებისაგან გარჩეული იქმნას და ამ წადილს ბეჭედით არ გამოჰსთქვამს, იმ დრომდე ქართული სათეატრო ამხანაგობა არ მიაქცევს არავითარს ყურადღებას იმ ჭორებს, რომელსაც, იმედია, ჩვენი გაზეთები ამ საგანზედ გამართვენ. ხოლო როცა თვითონ ბატ. ყიფიანი მოინადინებს, რომ ამ საქმის გარემოებამ საზოგადოების ყურამდე მიაღწიოს, მაშინ ამხანაგობა მოვალედ ჩასთვლის თავის თავს ყოველიფერი ჯეროვანის საბუთებით აცნობოს საზოგადოებასა თქვენის, ბატონო რედაქტორო, პატივცემულის გაზეთის შემწეობით.

**ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ავალიშვილი, თ. დავით ერისთავი, ი. მაჩაბელი, დ. სარაჯოვი, გ. თუმანიშვილი, ი. ბაქრაძე** (დროება 1880<sup>o</sup>).



<sup>4</sup> (გვ. 67) „მიღებული წესით წესდების დამტკიცებამდე ჩვენი კომიტეტის პერსონალს შეესრულებინა ამხანაგობის ფუნქციები“ – თეატრალურ მოღვაწეთა მიერ 1878 წელს შეიქმნა „სათეატრო კომიტეტი“ (თავმჯდომარე – დიმ. ყიფიანი, წევრები: ი. ბაქრაძე, ნ. ავალიშვილი, გ. თუმანიშვილი, პ. უმიკაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, არ. ქუთათელაძე – იხ. გერსამია 2011: 135). 1879 წელს „კომიტეტი“ „ქართულ სათეატრო ამხანაგობად“ გადაკეთდა (დაემატნენ: ი. ჭავჭავაძე, დ. ერისთავი, ივ. მაჩაბელი) და თავმჯდომარედ ისევ დიმ. ყიფიანი დარჩა.

დიმ. ყიფიანი ამ საქმეს 1880 წლის თებერვალში ჩამოსცილდა (იხ. მომდევნო კომენტარი).

ტექსტში ნახსენები „წესდების“ პროექტი შეადგინა ნ. ნიკოლაძემ, საბოლოო რედაქციის შემუშავებაში კი მონაწილეობა მიიღეს დიმ. ყიფიანმა და ი. ჭავჭავაძემ (გომართელი 1966: 127; კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ნიკოლოზის ძის, მიერ დამტკიცებული წესდების ტექსტი იხ.: დროება 1881<sup>ა</sup>; დროება 1881<sup>ბ</sup>).

„ქართული სათეატრო ამხანაგობის“ საქმიანობა საბოლოოდ 1881 წ. 18 (30) იანვარს „ქართული დრამატიული საზოგადოების“ დაარსებით დაგვირგვინდა [თავმჯდომარე – ილია ჭავჭავაძე, თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე) – აკაკი წერეთელი, ხაზინადარი – გიორგი თუმანიშვილი, მდივანი – კოტე ყიფიანი (დროება 1881გ)]. „საზოგადოება“ „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართული თეატრის საქმეს მეთაურობდა, ხელმძღვანელობას უწევდა და განაგებდა“ (გერსამია 2011: 136; „ქართული დრამატიული საზოგადოების“ შესახებ იხ.: კიკნაძე 1981; ჯანელიძე 1990: 262-276).

<sup>5</sup> (გვ. 68) „ჩემი წინადადება უარყოფილ იქნა უმრავლესობით – შვიდიდან ექვსი ხმით“ – „ქართული სათეატრო ამხანაგობიდან“ დიმ. ყიფიანის წასვლის მიზეზები „დროებაში“ ასეა განმარტებული:

„[1880 წლის 21 თებერვალს] დ. ი. ყიფიანმა შემოიტანა სამი წინადადება: 1) დეკლამაციის და დიქციის კლასები, რომელიც იმას წინადასაჭიროდ დაინახა ამხანაგობამ, მოსკობილ იქმნასო; 2) „ოჯახის ასულის“ ავტორს გ. წერეთელს

ათი თუმანი ჯილდო მივცეთო და 3) თ. მიხეილ ბებუთოვი ამხანაგობის წევრად მივიღოთო. ამხანაგობამ არც ერთი წინადადება არ შეიწყნარა ... მაშინ დ. ი. ყიფიანმა გამოაცხადა, რომ ამას იქით თქვენთან ყოფნა არ შემიძლიანო და მაშინვე წაბძანდა. თუმცა ზოგნი გაჰყვნენ და ჰსთხოვეს დაბრუნება, მაგრამ აღარ ინება“ (ერთი ამხანაგთაგანი 1880; იხ. აგრეთვე: ობზორ 1880).

რაც შეეხება გიორგი წერეთლისათვის პრემიის მინიჭებას, „სათეატრო ამხანაგობის“ სხდომაზე ამ საკითხს დიმ. ყიფიანი იმ გადწყვეტილების საფუძველზე დასვამდა, რომელიც „ამხანაგობამ“ აღნიშნულ ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე მიიღო: „ქართულის თეატრის ამხანაგობა ამით აცხადებს, რომ ყოველს ავტორს, ვისი პიესაც სცენაზედ ღირსეულად აღმოჩნდება, მიეცემა შემწეობა ათ თუმნამდინ...“ (დროება 1880<sup>6</sup>); ინიციატორი პრემიის დაარსებისა იყო დიმ. ყიფიანი, ხოლო პრემია პირველად, ნაცვლად დიმ. ყიფიანის მიერ დასახელებული გ. წერეთლისა, „ამხანაგობამ“ ავქცაგარელს მიანიჭა პიესისათვის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ (გერსამია 2011: 133).

<sup>6</sup> (გვ. 68) „*გულზე ხელი დაიდეთ და ისე თქვით ... დავრჩენილიყავი ამგვარი ამხანაგობის შემადგენლობაში?*“ – კურსივით აღნიშნული ეს მონაკვეთი ტექსტისა არის პირველნაბეჭდში, თუმცა გამორჩენილია ნ. ნიკოლაძის თხზულებათა VIII ტომში. ჩვენ თავდაპირველი ვითარება აღვადგინეთ.

### პასუხი ვლადიმერ მიქელაძეს (გვ. 69-71)

**ნაბეჭდი:** „დროება“, 5 ოქტომბერი, 1880, №210.

**სათაური:** უფალო რედაქტორო!

**თარიღი და ადგილი:** 29 სექტ[ემბერი]. სოფ. ქვიშხეთი.

**ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

### დასათაურება ჩვენია.

1880 წელს პეტერბურგში შეიქმნა ნიკო დადიან-მინგრელსკის მემკვიდრეობითი ქონების (მაიორატის) გამომრკვევი დროებითი სახელმწიფო კომისია, რომელშიც დიმ. ყიფიანი, როგორც წლების განმავლობაში სამეგრელოს სამთავრო ოჯახის მამულებისა და ქონების მეურვე და, ამდენად, საკითხში საფუძვლიანად გარკვეული პირი, წევრად მიიწვიეს. ხელფასი რომ დაენიშნათ, იგი ფორმალურად სახელმწიფო ქონების სამინისტროში გააფორმეს. 1880-1882 წწ. დიმ. ყიფიანი ორჯერ იმყოფებოდა პეტერბურგში, თუმცა ხელფასის საქმე ბიუროკრატიულ ლაბირინთებში გაიხლართა და დიდი წვალეებისა და ვნებათაღელვის შემდეგ იგი 1882 წლის ივნისში დავით ჩუბინაშვილისაგან ნასესხები ფულით დაბრუნდა შინ. ამ თემაზე დიმ. ყიფიანს უწერია თავის „მემუარებში“ (ყიფიანი 1990: 85-96; საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: ყიფიანი 2012: 261-273; დოკუმენტური მასალა იხ.: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№490-504; მიმოწერა კომისიის მდივან თ. სმირნოვსა და დიმ. ყიფიანს შორის იხ. იქვე, საქ. №№792, 793, 1628-1631).

დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი სწორედ ამ კომისიას ეხება და წარმოადგენს პასუხს პუბლიცისტ ვლადიმერ მიქელაძის წერილზე „სამეგრელოს საქმეები“ (მიქელაძე 1880<sup>ა</sup>), რომელშიც ავტორი წერს: „სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის შვილმა ნიკო დადიანმა, მინგრელსკიმ, მეგრელებს ტყავის გაძრობა მოუწოდომა: მთელ თავად-აზნაურობას დაუნყო მამულების თაობაზე დავა... ეხლა, როგორც გვესმის... რალაც კომისია დანიშნულა ნ. მინგრელსკის მამულების ცნობაში მოსაყვანად. ამბობენ, კომისიას უფლება აქვსო, სამსაჯულოების გადანყვეტილების დარღვევისაო და საკუთრების განსაზღვრისაო... რადგან ეს კომისია ნიკო მინგრელსკის თაოსნობით არის გამოგზავნილი, ამისათვის საგულისხმოა, რომ ის მთავრის შვილის ინტერესების დამფარველი იყოს... ბატ. დიმიტრი ყიფიანი მონაწილეობას მიიღებს ამ კომისიაში; ურიგო არ იქნება ნამდვილად აგვიხსნას და შეგვატყობინოს – თუ რა მიზანი აქვს კომისიას და რა საფუძველზედ უნდა იქნეს დამყარებული იმის მუშაობა. ჩვენ ვისურვებთ მხოლოდ, რომ სამეგრელოს

თავად-აზნაურების ინტერესები იქნეს კანონიერად დაცული და ხელ-უხლები“.

დიმ. ყიფიანის პასუხს ვლ. მიქელაძემ კიდევ ერთი წერილით უპასუხა – „ბ. დიმიტრი ყიფიანს“ (მიქელაძე 1880<sup>ბ</sup>): „მე იმას არ ვიტყვი, რომ თქვენ საქართველო არ გიყვარდესთ; მაგრამ მე ვერავინ დამაჯერებს, რომ თქვენ, წინანდელ შთამომავლობის შვილებს, უფრო შეგტკივოდესთ გული ჩვენის ქვეყნის ბედზე და უბედობაზე, ვიდრე ჩვენ – ამ დროის შვილებს. თქვენ საზოგადოდ დიდს რალაც ვალს გვაბადლით, თითქო დიდი რამ მოღვაწეობა მიგიძლოდესთ სამშობლოს წინაშე. ბევრი ვსძებნეთ ჩვენს წასრულ ცხოვრებაში, მაგრამ თქვენგან გაკეთებული „ბევრი“ ვერა ვნახეთ-რა; როცა ჩვენ ცხოვრებაში ფეხი შევდგით, თქვენი ნამოქმედარი არა გვიპოვნია-რა... [მამულისადმი] თქვენი ერთგულების ნაყოფი აქამომდე არ გვინახავს, აწი კი საეჭვოა: დრომ სხვა მოთხოვნილებანი მოიტანა, სხვა მიმართულებისა და სხვა ძალ-ღონის კაცებს თხოულობს...“ დასასრულ, ვლ. მიქელაძე ირონიულად დასძენს: „როცა კომმისიამ მუშაობა დაიწყო, თქვენ კომმისიის ნამოქმედის ანგარიში წარუდგინეთ საზოგადოებას, და დაიფარეთ ის უსაფუძვლო ჰაზრის შედეგენისაგან. ამითი დაიმსახურებთ თქვენ მადლობას განსაკუთრებით მეგრელებისას, რომელთაც, ცოტა არ იყოს, გული იჭვნეულათ აქვთ თქვენზედ შემდეგ იმისა, რაც თ. ნ. მინგრელსკის მამულს მართავდით და არა-ნაკლები ერთგულება გამოიჩინეთ მეგრელებისა, ვიდრე თვითან თ. ნ. დადიანმა, ალბათ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის ბედნიერება გწადდათ“.

დიმ. ყიფიანის წერილის ადრესატი **ვლადიმერ სიმონის ძე მიქელაძე (1856-1926)** იყო პოეტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი (ფსევდ.: „დავინწყებული მწერალი“, „ვლ. კულაშელი“ და სხვ.), პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ერთ-ერთი დამაარსებელი და მმართველი, ი. ჭავჭავაძესა და ნ. ნიკოლაძესთან დაახლოებული პირი. მისი ნიჰილისტური დამოკიდებულება დიმ. ყიფიანისა და მისი მოღვაწეობის მიმართ,

ჩანს, ახალგაზრდული სიფიცხის გამოვლენა და „მამებისა“ და „შვილების“ ცნობილი ბრძოლის გვიანდელი გამოძახილია. სინამდვილეში ვლ. მიქელაძე მრავალმხრივი მოღვაწე და გულწრფელი პატრიოტი იყო და ამის საილუსტრაციოდ აქ მხოლოდ ერთ მაგალითს დავიმონუმებთ – 1895 წელს, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მმართველობის არჩევნებზე (აქ იგი ილია ჭავჭავაძეს უჭერდა მხარს) კრების ერთ-ერთმა მონაწილემ ვლ. მიქელაძეს „ჩვენთვის უცხო“ (ე. ი. იმერეთიდან მოსული) უწოდა. ვლ. მიქელაძემ ამ პროვოკაციას ღირსეული პასუხი გასცა და მის ამ პასუხს დარბაზი ოვაციითა და „ვაშას“ ძახილით შეხვდა: „მთელი საქართველო ჩემი ქვეყანაა. ყველგან მაქვს ალაგი და ყველგან გაფრინდები, როცა ჩემი წმინდა მოვალეობა მოითხოვს: ჩემი მოვალეობაა ჩემი ქვეყნის სამსახური და სადაც-კი ქართული ენა ისმის, ყველგან ჩემი ქვეყანაა, ყველგან მოვალე ვარ, ჩემი აზრი ვთქვა, ჩემი ძალა, ღონე და ცოდნა მსხვერპლად მოვიტანო... იმერეთისა და ქართლ-კახეთის შუა გაყრის საზღვარს არა ვდებ: იქაც ჩემი ქვეყანაა და აქაც და ყველგან ერთნაირის ძალით, ღონით და სურვილითა და მეცადინეობით ვიმოქმედებ, თუ ღმერთმა შემაძლებინა. ეს არის ჩემი საღმრთო მოვალეობა“ [ივერია 1895<sup>1</sup>; ილია ჭავჭავაძის გამოხმაურება განკერძოებულობის გამომხატველ ამ „შემადრწუნებელ“ (ილიას შეფასებაა) ფაქტზე („...დეე ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა“) იხ. ივერია 1895<sup>2</sup>].

აქვე დავიმონუმებთ გიორგი ლასხიშვილს, რომელიც ქებით იხსენიებს ვლადიმერ მიქელაძეს, პოზიტიურად აფასებს მის მოღვაწეობას, თუმცა იქვე დასძენს: „საქმის საფუძვლიანად და ღრმად შესწავლა მაინცადამაინც არ ეხერხებოდა“ (ლასხიშვილი 1992: 246; ვლ. მიქელაძეზე იხ. აგრეთვე: სიგუა 1986; ხუციშვილი 1969: 118-122; მიქაძე 1998: 142-144).

<sup>1</sup> (გვ. 69) „თავსმჯდომარედ არის დანიშნული სახელმწიფო ქონებათ მინისტრი და წევრებათ, სხვათა შორის, ორი წევრი სახელმწიფო რჩევისა“ – იგულისხმებიან კომისიის თავმჯდომარე

ანდრეი ლივენი და კომისიის წევრები: პავლე კლუშინი და ეგორ სტარიცკი (ყიფიანი 1990: 85).

<sup>2</sup> (გვ. 69) „ხელმწიფე იმპერატორის ბრძანების აღსრულებას, 1867 და 1873 წლებში რომ გამოვიდა“ – იგულისხმება იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანებები სამეგრელოს ყოფილი სამთავრო მამულების ნიკო დადიან-მინგრელსკის საკუთრებაში დამტკიცების შესახებ. 1867 წლის ბრძანების შესახებ დი. ყიფიანს უწერია: „1867-ში გადასწყდა მენგრელიის მთავრის საქმე: სრულ-ასაკოვანმა თავის ნებით დასთმო თავისი ნოდება და ამისთვის ხელმწიფე იმპერატორმა საკუთარი მამული საუფროსოდ, საშვილიშვილოდ დაუშტკიცა და ამას გარდა უბოძა ერთი მილიონი მანათი, – რომლისათვის, მანამდისინ თავნი მიეცემოდეს, ხაზინიდან ეძლევა სარგებელი ხუთიათასი თუმანი – 50 000 რ[უბლი]“ (ყიფიანი 1869: 22).

<sup>3</sup> (გვ. 69) „დაკრძალულ ქმნილიყვნენ“ – დაცული (შენახული) ყოფილიყო (დაკრძალვა: გაფრთხილება, დაცვა, შენახვა... – აბულაძე 1973: 112; დაკრძალვა: დაცვა, შენახვა – ქეგლ 1953: 477).

<sup>4</sup> (გვ. 70) „მმართველობა... დაარსდა სამეგრელოში 1857-ში და არა 1865-ში“ – სამეგრელოში რუსეთის „მმართველობა“ 1857 წელს იმ პირობით დაარსდა, რომ ეს იქნებოდა დროებითი ღონისძიება და მხოლოდ ტახტის მემკვიდრის სრულწლოვანებამდე გაგრძელდებოდა. იმავე წლის 26 სექტემბრის რესკრიპტით ალექსანდრე II-მ სამეგრელოს დროებით მმართველად გენერალი ნიკ. კოლიუბაკინი დანიშნა და ამით არსებითად ბოლო მოეღო სამეგრელოს სამთავროს ისედაც შეზღუდულ უფლებებს (ორჯონიკიძე 1970: 221).

<sup>5</sup> (გვ. 70) „მთავრის ცოლი“ – იგულისხმება ეკატერინე დადიანი.

<sup>6</sup> (გვ. 71) „მთავრინა თავისი შვილებით რომ რუსეთს მიდიოდა, მაშინ, 1857-ში“ – 1857 წელს ეკატერინე დადიანი იძულებული გახდა, მიეღო პეტერბურგში „მინვევა“, რომლის ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ალექსანდრე II-ის სურვილი, „ახლოს ჰყოლოდა მცირეწლოვანი მთავარი და თვალყური ედევნებინა მის აღზრდისათვის“ (ბოროზდინი 1934: 159; ყიფიანი 1990: 70); სამეგრელოს დედოფალმა სამშობლო შვილებიანად 1857 წლის

25 ოქტომბერს დატოვა (ბოროზდინი 1934: 164) და სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ 1868 წელს, სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ, შეძლო [უფრო ადრე, 1856 წლის აგვისტოში, ეკატერინე დადიანი მოსკოვში იყო მიწვეული ალექსანდრე II-ის კორონაციაზე, საიდანაც რუსეთის ახალმა იმპერატორმა იგი პეტერბურგში მიიწვია და სამეგრელოს დედოფალი მაშინ იქ 1857 წლის გაზაფხულამდე დარჩა (ბოროზდინი 1934: 68-71)].

<sup>7</sup> (გვ. 71) „...**მაშინ წვერი ნამესტნიკის სოვეტისა (რჩევისა)**“ – დიმ. ყიფიანი ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭოს წვერი გახდა 1857 წლის 9 აპრილს, ხოლო იმავე წლის 8 მაისს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ იგი დაამტკიცა ამ თანამდებობაზე (იხ. დიმ. ყიფიანის ნამსახურობის ნუსხა – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 105). 1859 წლის იანვარში მთავარსამმართველოს საბჭო კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოდ გადაკეთდა, დიმიტრი ავტომატურად გახდა მისი წვერი (იქვე, ფ. 107) და ამ თანამდებობაზე დაყო 1862 წლის 21 ივნისამდე (იქვე, ფ. 108). უნდა ითქვას, რომ თანამდებობიდან იგი სწორედ ეკატერინე დადიანის ინტერესების დაცვისთვის დაითხოვეს (დათხოვნის გარემოებებზე იხ. ყიფიანი 1990: 73-75; ოფიციალური მიმოწერა საკითხის შესახებ იხ. ჩხეტია 1950: 120-122).

<sup>8</sup> (გვ. 71) „**ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მხრით...**“ – ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ამ დროს (1856-1860 წწ.) იყო კავალერიის გენერალი გიორგი რევაზის (რომანის, რომანოვის) ძე ერისთავი.

<sup>9</sup> (გვ. 71) მეურვეობასთან („აპეკასთან“) დაკავშირებულ გარემოებებზე თვითონ დიმ. ყიფიანის ნაწერები იხ.: ყიფიანი 1868; ყიფიანი 1869; ყიფიანი 1990: 70-75, 80-96 [სხვათა შორის, დაცულია ეკატერინე დადიანის მიერ 1857 წლის 19 აგვისტოს დაწერილი საინტერესო ტექსტი სამეგრელოს სამთავრო სახლის ქონებრივი უფლებების შესახებ – „სიმართლე მამულთა ზედა სამეგრელოს სამთავრო სახლისა“, რომელშიც ვკითხულობთ (ვიმონმებთ ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებს): „სრულიად მენგრელია შეადგენს შთამომავლობითს საკუთრებასა სამთავრო სახლისასა ... თვინი-

ერ მთავრისა არავის მცხოვრებთაგანსა არა ქონდა და არა აქუს სამენგრელოშიდ საკუთრება; მთავრის მნებებლობაზედა იყო დამოკიდებულ წყალობად ანუ ჩამორთმევად ყ[ოვლ]ის გვარის საკუთრებისა; არაოდეს და არავისგან არ მიიღებოდნენ არა ვითარი წინააღმდეგნი პასუხი ამგუარსა განკარგულებაზედ მთავრისა ... ყოვლი უმცირესი გვერდ-ავლა ამა არსებულთა ჩვეულებათა და უფლებათა დაფუძნებულთა არსებულთა აქ კანონზედა საქართველოს მეფის ვახტანგისათა მიუცილებლად აზიანებს სარგებლობათა სამთავრო სახლისათა ... ძნელია, რომ გაიყოს საზოგადო მმართველობა სამთავრო მმართველობიდან, ხოლო წინაამღედეგ შემთხვევაში ყოველი გამოცვლა ანუ გარე განხთომა ამა წესთაგან შეადგენს უკვე მიუცილებელსა ზიანსა სარგებლობათა სამენგრელოს სამთავრო სახლისასა...“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №382. პირი. უცნობი ხელით ნაწერი. ფ. 2)].

### **ბატონი იანოვსკის ორგვარი შეცოდება (გვ. 72-76)**

#### **ხელნაწერი:**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი, საქ.

№97. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 2.

#### **ნაბეჭდი: „დროება“, 12 დეკემბერი, 1880, №262.**

დიმ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები და ბოლოსიტყვა დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: ლომისი. 1995, გვ. 30-38.

ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. XX (ტომის შემდგენელი: ა. ბაქრაძე, თ. ჯოლოგუა). ტომის რედაქტორი თ. ჯოლოგუა, მისივე შენიშვნებითა და ბოლოსიტყვით. თბილისი: ნაკადული. 2003, გვ. 92-96.

დიმ. ყიფიანი. წერილები. წინასიტყვაობა რ. ამალაბეღისა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2010, გვ. 28-33.



„დიმიტრი ყიფიანი – 200“. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 823-829.

**სათაური:** ბატონო რედაქტორო! (სარედაქციო სათაური – „დიმიტრი ყიფიანის წერილი“).

**თარიღი და ადგილი:** 7 დეკემბერს. [1880]. ქ. ქუთაისი.

**ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

დანერის წელს ვუთითებთ ხელნაწერის მიხედვით (7 დეკემბ. 1880. ქუთაისით). **დასათაურება ჩვენია.**

ტექსტს რედაქციის მიერ დართული აქვს სქოლიო: „ეს ჩინებულ წერილი, ჩვენდა-უნებურად, სწორეთ ისე და უნაკლულოდ ვერ იბეჭდება, როგორც პატივცემულ ავტორმა გამოგვიგზავნა“.

მართლაც, „დროების“ პუბლიკაციაში არ არის – უნდა ვიფიქროთ, ცენზურის ჩარევის გამო – ზოგიერთი ხელნაწერისეული მონაკვეთი. დიმ. ყიფიანის თავდაპირველი (მისი ხელიდან გამოსული) ტექსტი ავტოგრაფულ ხელნაწერზე დაყრდნობით ჩვენ მიერაა აღდგენილი. ხელნაწერში არსებული, თუმცა ნაბეჭდში დაკლებული მონაკვეთები წინამდებარე პუბლიკაციაში კურსივითაა აღნიშნული. რაც შეეხება ხელნაწერსა და ნაბეჭდს შორის გრამატიკულ-ორთოგრაფიულ თუ სტილურ განსხვავებებს, აქ უპირატესობას ნაბეჭდ ტექსტს ვანიჭებთ.

<sup>1</sup> (გვ. 72) „**ბატონო რედაქტორო!**“ – ამ დროს (1880-1881 წწ.) გაზეთ „დროებისა“ და ჟურნალ „ივერიის“ რედაქციები გაერთიანებული იყო და ორივე გამოცემას, როგორც რედაქტორები, ხელს სერგეი მესხი და ილია ჭავჭავაძე აწერდნენ (ივერია 1880: 3-4), თუმცა პრაქტიკულად გაზეთს ს. მესხი უძღვებოდა, ჟურნალს – ი. ჭავჭავაძე. დიმ. ყიფიანის წერილის ადრესატია სერგეი მესხი.

<sup>2</sup> (გვ. 72) „**დაბეჭდილი ს. მ-ის...**“ – ს. მესხის წერილი, რომლის გამოხმაურებასაც დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს, გამოქვეყნდა ავტორის ფსევდონიმით „ს. მ.“

<sup>3</sup> (გვ. 72) „**ღია წერილი დღევანდლამდის არა მქონდა ნაკითხ-**

ული“ – დიმ. ყიფიანს მხედველობაში აქვს ს. მესხის „ღია წერილი ბ. იანოვსკისადმი“, რომელშიც წერილის ავტორი ადრესატს, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ კ. იანოვსკის, მიმართავს – მზრუნველად თქვენს დანიშვნას იმედით შევხვდით, გვეგონა პედაგოგიური მიზნებით ჩამოხვიდოდით, თავიდან მართლაც ასე ჩანდა, თუმცა „ჩვენდა-სამწუხაროდ ამ უკანასკნელს დროს რაღაც სხვა ხმები გვესმის და სხვა ნაყოფს ვხედავთ თქვენის მოქმედებისას...“ შემდეგ ავტორი მსჯელობს იმ ორი ფაქტის შესახებ, რომლებზეც დიმ. ყიფიანს აქვს ყურადღება გამახვილებული (კ. იანოვსკის წერილი ქუთაისში ჩატარებული მასწავლებელთა კრებისადმი და მისივე სიტყვა წარმოთქმული ახალსენაკის სკოლაში). დასასრულ, ს. მესხი დასძენს: „და თქვენ გნებავსთ ახლა, რომ სოფლის შკოლების საშვალეებით უეცრად მოსპოთ ხალხის ენა და უცხო ენაზე აგვალაპარაკოთ? და თქვენ გნებავსთ, რომ ერთის თვალის დახამხამებაში ხალხმა დაივიწყოს ის, რაც ორი ათასი წლის განმავლობაში სისხლის ღვრითა და ტანჯვა-წვალებით შეუძენია და ძვირფას საუნჯეთ გარდმოუცია თავის შთამომავლობისათვის? და თქვენ გნებავსთ, რომ ამგვარ ხალხმა ერთის სიტყვით მიატოვოს თავის გვარ-ტომობა?.. ქართველების სურვილი იგივეა, რაც ყველა ხალხებისა: დაიცვან თავისი სამშობლო ენა, მამული, სჯული და სარწმუნოება. ეს სურვილი, მგონია, კანონიერია და ყოველი მმართველობა ეხმარება ხალხს ამაში. თქვენი სურვილი კი, რომ ქართველებს ქართული დაავიწყოთ, რომ პირველ-დანყებით შკოლებში შესვლის უმაღლვე ყმანვილებმა უცხო ენაზე სწავლა დაიწყონ, ეს სურვილი წინააღმდეგია, როგორც სახელმწიფო ინტერესისა, აგრეთვე, რასაკვირველია, ნამდვილი და პოლიტიკა აურეველის პედაგოგიურ ჭეშმარიტებისა“ (მესხი 1880; მესხი 1964: 337-338).

კ. იანოვსკის უპასუხოდ არ დაუტოვებია ს. მესხის „ღია წერილი“ (იხ. იანოვსკი 1880), რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა დიმ. ყიფიანის კიდევ ერთი პოლემიკური წერილი, რომლის გამოქვეყნებაც ავტორმა ვერ შეძლო (იხ. დიმ. ყიფიანის მომდევნო ტექსტი წინამდებარე გამოცემაში – „ნაციონალური ჰიპნოტიზმისა და პოლი-

ტიკური ჰალუცინაციების სამყარო“).

<sup>4</sup> (გვ. 72) „რომელიც ისეთის თვისებისა არის ... ან ერთი მხარე, ან მეორე“ – როგორც ზემოთ ითქვა, წერილი სრულად არ დაბეჭდილა. აქ და ქვემოთ: კურსივით აღნიშნული მონაკვეთები ჩვენ მიერ დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული ხელნაწერის მიხედვითაა აღდგენილი.

<sup>5</sup> (გვ. 72) „გატრიზავდა პატივცემული გორის სემინარიის დირექტორი სემიონოვი“ – გორის საოსტატო სემინარიის დირექტორის, დიმიტრი სემიონოვის, „გატრიზავების“ (განზილებების, მისი არაფრად ჩაგდების) შესახებ ს. მესხის წერილში ვკითხულობთ: „ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ აზრი, რომელსაც გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი ბ. სემიონოვი იცავდა ასე უბედურად და უნაყოფოდ ქუთაისის მასწავლებელთა კრებაში, რომ სოფლის შკოლებში პირველ წელიწადსვე უნდა დაიწყო ქართველ ბავშვებმა რუსული სიტყვების გაზეპირებაო, – ჩვენ ვიცით, ვამბობთ, რომ ეს აზრი თქვენი (კ. იანოვსკის – თ. ჯ.) აზრი იყო და არა საკუთრივ ბ. სემიონოვისა“ (მესხი 1964ა: 336; ქუთაისში ჩატარებულ მასწავლებელთა კრებაზე დიმ. სემიონოვის გამოსვლის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: მესხი 1880<sup>ბ</sup>; მესხი 1964<sup>ბ</sup>: 329-332). თვითონ დიმ. სემიონოვი პრინციპულად უარყოფდა ქართული ენის მიმართ არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას და ამის შესახებ მას „დროებაში“ სპეციალური წერილიც აქვს გამოქვეყნებული (სემიონოვი 1880; „პირველ-დანყებითი სწავლა ყველა საგნებისა ქართულს სახალხო სკოლებში უეჭველად უნდა იყოს სამშობლო ენაზედ; ეს ისეთი აზრია, რომელსაც არავითარი დამტკიცება არ ეჭირება“, – კატეგორიული ფორმით ამბობს ამ წერილში დიმ. სემიონოვი და დასძენს: „ქართველებისათვის გულ-წრფელად სიკეთე მსურს და ყოველ-გვარი წარმატება ქართულ ლიტერატურისა“; ამასთანავე, რედაქციას სთხოვს წერილის დაბეჭდვას, რათა: „სვინდისი დავიმშვიდო როგორც ჩემის შაგირდების წინაშე, რომელნიც დღესაც ადრინდულად მიყვარს, აგრეთვე საზოგადოების წინაშე, რომლის აზრი ჩემთვის ძვირფასია, და ადგილობრივ პრესის წინაშე, რომლის დაბეჭდილ სიტყ-

ვას პატივსა ვსცემ“). წყაროებისა თუ ლიტერატურის მიხედვით, დიმიტრი სემიონოვი მართლაც პატივს სცემდა ქართველ ხალხსა და მის კულტურას, გამოირჩეოდა ლიბერალური შეხედულებებით და გორის საოსტატო სემინარიის მოსწავლეთა – მათ შორის, ვაჟა-ფშაველას – მიმართ ზრუნვასა და გულის სითბოს იჩენდა (კეკელიძე 1955: 18-27; ბეჟიტაძე... 1986: 51-53, 56-58, 74-76, 82-83, 200-201; მგალობლიშვილი 1938: 91 და სხვ.).

<sup>6</sup> (გვ. 73) „**თქვენ რალასაც სხვა მიზანს მისდევთ და არა პედაგოგიასაო!**“ – ს. მესხის წერილში ეს ფაქტი ასეა გადმოცემული: „დროების“ წინანდელ (253) ნომერში მოყვანილი იყო თქვენი (კ. იანოვსკის – თ. ჯ.) სიტყვა ახალ-სენაკის სკოლის მასწავლებლისადმი. მოყვანილი იყო, თუ როგორ გაუჟავრდით თქვენ ამ მასწავლებელს იმისთვის, რომ რატომ წელს ენკენისთვეში შემოსულ ბავშვებს რუსულად არ ასწავლიო, არამედ ქართულადო. „მე შევნიშნეო, ბრძანეთ თქვენ, რომ თქვენ, ქართველები, რალაც სხვა მიზანს მისდევთ და არა პედაგოგიასაო! თქვენ წინააღმდეგი ხართ რუსულსაო! ქუთაისის მასწავლებელთა კრების გარდაწყვეტილებას მე არასოდეს არ დავამტკიცებო“ და სხვა“ (მესხი 1964<sup>2</sup>: 337). უნდა ითქვას, რომ ახალსენაკელი მასწავლებელი, რომელიც აქაა ნახსენები, არის ბესარიონ ლომინაძე, რომელმაც უარყო კ. იანოვსკის მიერ მისთვის ნათქვამი სიტყვები (ლომინაძე 1880), თუმცა დიმიტრი სემიონოვის წინამდებარე ტექსტზე დართული სქოლიოს მიხედვით, ეს უარყოფა „დროების“ რედაქციისთვის „სხვა-და-სხვა მიზეზების გამო“ დამაჯერებელი არ აღმოჩნდა.

<sup>7</sup> (გვ. 75) „**ჩვენმა სათაყვანებელმა ერთ მთავარმა**“ – იგულისხმება რუსეთის იმპერიის იმპერატორი ალექსანდრე II.

<sup>8</sup> (გვ. 75) „**როგორც პეტრინი**“ – ნაბეჭდში არის **პატრიცი**, რაც კორექტურაა; ხელნაწერში **პეტრინია**.

<sup>9</sup> (გვ. 76) „**ესე იგი ყმანვილს**“ – ეს განმარტებითი ხასიათის ფრაზა, ჩანს, რედაქციის მიერაა ჩამატებული; ხელნაწერში იგი არ არის.

**ნაციონალური ჰიპნოტიზმისა და პოლიტიკური  
ჰალუცინაციების სამყარო (გვ. 77-92)**

**ხელნაწერი:**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი, საქ.  
№98. უსათაურო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 20.

**ნაბეჭდი:**

„Закавказье“, 23 აგვისტო, 1912, №189; 24 აგვისტო, 1912, №190.  
შ. ჩხეთია. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობაზე. „საინ-  
ტორიო მოამბე“. [ტ.] 3. 1947, გვ. 363-371.  
დიმ. ყიფიანი. ნაციონალური ჰიპნოტიზმისა და პოლიტიკური  
ჰალუცინაციების სამყარო. თარგმანი და პუბლიკაცია თ. ჯო-  
ლოგუასი. ჟურნალი „NAEC.გე“, ივლისი, 2014, გვ. 38-45.

**თარიღი და ადგილი:** 12 თებერვალი 1881 წ., ქ. ქუთაისი.

**ხელმოწერა:** Дим. Кипиани.

პირველნაბეჭდში („Закавказье“) წერილი დათარიღებულია 1881 წ. 13 თებერვლით, რაც, ჩანს, შეცდომაა – ავტოგრაფულ ტექსტში, აგრეთვე, შ. ჩხეთიას პუბლიკაციაში 1881 წ. 12 თებერვალი წერია. პირველნაბეჭდი რედაქციის მიერ ასეა დასათაურებული: „Материалы для биографии Д. И. Кипиани. Д. И. Кипиани о родном языке в школе“. იქვეა რედაქციის მიერვე დართული სქოლიო: „ეს უსათაურო სტატია, თეთრად გადაწერილი თვითონ დ. ი. ყიფიანის ხელით, განსვენებულის ხელნაწერებშია ნაპოვნი“ („Закавказье“, 1912, №189).

გადმოღებული გვაქვს პირველნაბეჭდი, მხოლოდ, როგორც ითქვა, დაწერის თარიღია გასწორებული (12 თებერვალი, ნაცვლად 13 თებერვლისა). **დასათაურება ჩვენია.**

<sup>1</sup> (გვ. 77) „დედაქალაქი“ – იგულისხმება რუსეთის იმდროინდელი დედაქალაქი პეტერბურგი (სანქტ-პეტერბურგი).

<sup>2</sup> (გვ. 77) „დროებაში“ გამოაქვეყნა ს. მ-ს „ღია წერილი ბ. იანოვსკისადმი“ – იგულისხმება სერგეი მესხის მიერ „დროებაში“

გამოქვეყნებული „ლია წერილი ბ. იანოვსკისადმი“ (მესხი 1880<sup>3</sup>; მესხი 1964<sup>3</sup>: 335-338). „ლია წერილის“ შესახებ იხ. წინამდებარე ტომში შესული ტექსტი დიმ. ყიფიანისა – „ბატონი იანოვსკის ორგვარი შეცოდება“.

<sup>3</sup> (გვ. 77) „კ. პ. იანოვსკიმ... დაბეჭდა „განხილვა“ ს. მ-ის „ლია წერილისა“ – ავტორს მხედველობაში აქვს კ. იანოვსკის მიერ „კავკაზში“ გამოქვეყნებული (იანოვსკი 1880) და შემდეგ „დროების“ მიერ თარგმნილი და გადმობეჭდილი საპასუხო წერილი (იანოვსკი 1881<sup>3</sup>), რომელშიც ავტორი უარყოფს ს. მესხის მიერ მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს, დასასრულ, ს. მესხს აძლევს რჩევებს (მეტი პატივისცემით მოეპყროს ჭეშმარიტებას, გადაამოწმოს ფაქტები, „ეცადოს მართებულათ შეეხოს კაცის პიროვნებას“, „უყვარდეს თავისი ენა, თავისი სამშობლო და თავისი ხალხისნობა გონიერის და არა ბრმა სიყვარულით, არა ცარიელის სიტყვებით, არამედ საქმიანად“ და სხვ.) და მენტორული კილოთი დაასკვნის: „მე დარწმუნებული ვარ, რომ როდესაც ბ. ს. მ. შეითვისებს ღირსებას, რომელნიც ეთანხმებიან ზემო მოყვანილ სურვილსა, მაშინ ის შეიქნება პატივცემული ყველა გონიერი კაცისაგან და განსაკუთრებით მომეტებულათ თავის თანამემამულეთაგან...“ (იანოვსკი 1881<sup>3</sup>).

<sup>4</sup> (გვ. 78) „მომსახურია სასწავლო უწყებაში“ – დიმ. ყიფიანის მოღვაწეობა სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში ხანგრძლივი და მრავალფეროვანი იყო. ახალგაზრდობის წლებში იგი მასწავლებლობდა თბილისის გიმნაზიაში (1830-1832), სადაც ასწავლიდა არითმეტიკას, გეოგრაფიას, ქართულ და რუსულ ენებს, აგრეთვე, სუფთა წერას; 1840-1860-იან წწ. იგი იყო კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოს წევრი, „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის“ წევრი და „კომიტეტის“ ქართული ენის განყოფილების თავმჯდომარე, თბილისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველი და სხვ. (საკითხის შესახებ, აგრეთვე წყაროები და ლიტერატურა იხ. ჯოლოგუა 2002ა: 186-206).

<sup>5</sup> (გვ. 78) „თავმჯდომარე ვარ „კავკასიის სამეფისნაცვლოში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა-

**დოებისა**“ – დიმ. ყიფიანი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, წესდების ავტორი და პირველი თავმჯდომარე (1879-1882; „ქმნ-კგ საზოგადოების“ დაარსებასა და მუშაობაში დიმ. ყიფიანის მონაწილეობის შესახებ იხ.: გოგებაშვილი 2007: 95-98; თულაშვილი 2007: 48-51; უთურაშვილი 1989: 117-121; ჯორჯაძე 1989: 532-539).

<sup>6</sup> (გვ. 79) „**კულტურული ენა**“ – ავტორი აქ გულისხმობს ენას, რომელსაც სამწერლობო ტრადიცია აქვს.

<sup>7</sup> (გვ. 80) „**განმარტება ახალსენაკელი მასწავლებლისა, რომელმაც თითქოს უარყო „ღია წერილში“ მოხსენიებული ფაქტები**“ – იგულისხმება ახალსენაკელი მასწავლებელი ბესარიონ ლომინაძე, რომელმაც „დროების“ ფურცლებზე უარყო კ. იანოვსკის მიერ გამოთქმული უკმაყოფილება, ბავშვებს ქართულ ენაზე რატომ ასწავლითო და უარყო აგრეთვე იანოვსკის ნათქვამი – „ქუთაისის მასწავლებელთა კრების გარდამწყვეტილებას არ დავამტკიცებო“ (ლომინაძე 1880). თუმცა სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ, მიუხედავად, როგორც ჩანს, იძულებითი უარყოფისა, თვითონ ბ. ლომინაძე ამ და მისივე ზოგიერთი სხვა პუბლიკაციის მიხედვით (მაგალითად: ლომინაძე 1882), პატრიოტული სულისკვეთების ადამიანი ჩანს: „იანოვსკიმ სთქვა, რომ, ჩემის აზრით, რადგანაც მეგრელების დედა-ენა მეგრული არისო, ამისათვის შეიძლებოდაო მეგრულიდამ პირ-და-პირ რუსულზე გადასულიყავითო. მე კი ვამტკიცებდი, რომ, თუ ქართული არ შეისწავლეს ბოვშებმა, ისთე რუსულზე გარდასვლა არ შეიძლება მეთქი, რადგანაც ქართულ ენაზე წარმოებს მწერლობა და ეს ენა უნდა ჩაითვალოს მეგრელების დედა-ენათ, როგორც მექონი ანბანისა და საზოგადოთ ძირითადი ენა ყველა ქართველებისა. აი რა ბაასი გვქონდა ჩვენ ერთი-მეორეს შუა და ის კი არ უთქვამს ბატ. იანოვსკის: „როგორ თუ ქართულ ენას ასწავლითო!“ (ლომინაძე 1880).

<sup>8</sup> (გვ. 80) „**დაიბეჭდა აგრეთვე კოლექტიური განცხადება**“ – ეს „კოლექტიური განცხადება“ გაზ. „კავკაზში“ გამოქვეყნდა (ბეზურიშვილი... 1881). იგი სრულად დაიმონმა ს. მესხმა თავის წერ-

ილში „მეცამეტე გოჭები“:

„წავიკითხეთ-რა ქართული გაზეთის „დროების“ №254 წინა სტატია ამ გაზეთის რედაქტორის ს. მესხისა და ამასთანავე კავკასიის სამასწავლებლო მაზრის [თარგმანში აკლია სიტყვა – მზრუნველის. დედანში: „...попечителя Кавказского учебного округа“ – თ. ჯ. ] ბ. იანოვსკის პასუხი ამ სტატიაზედ, დაბეჭდილი „კავკაზის“ №348-ში, ჩვენ ქეშმარიტების აღსადგენელად ამით ვამტკიცებთ:

1. რომ ბ. იანოვსკის, ახალ-სენაკის ნორმალურ სკოლის დახედვის დროს, არასოდეს არ უთქვამს მასწავლებლის ბატ. ლომინაძისათვის ის სიტყვები ქართველების შესახებ, რომელსაც მას ს. მესხი აბრალებს, და

2. რამდენათაც ჩვენ ვიცით, სამეგრელოს ხალხს ყოველთვის ჰსურდა და ახლაც ჰსურს, რომ რუსული ენა ქართულთან ერთად ასწავლონ იმათ შვილებს სკოლაში შესვლის პირველ დღიდანვე და ამ შემთხვევაში ის (ე. ი. სამეგრელოს ხალხი) სრულებით არ არის ს. მესხის აზრისა.

სენაკის უეზდის უფროსი **ბებურიშვილი**, სენაკის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე **ივ. ბერიძე**, დეპუტატი დ. ახალ-სენაკისა **ლუკა ჟვანია**. 30 დეკ. [აბა]. სენაკი“ (მესხი 1881; მესხი 1964<sup>ა</sup>: 339).

<sup>9</sup> (გვ. 80) „**ზონარგაყრილი წიგნი**“ – დაწესებულების დანომრილი სააღრიცხვო ჟურნალი, რომელზეც გაყალბების თავიდან ასაცილებლად გარეკანზე ლუქით დაბეჭდილი ზონარია გაყრილი.

<sup>10</sup> (გვ. 82) „**ხელისუფლებამ 1879 წლის 31 მარტს დაამტკიცა**“ – „ქმნ-კგ საზოგადოების“ წესდების დამტკიცების ისტორიის შესახებ ვახტანგ თულაშვილს უწერია:

„თითქმის ოთხი თვე ვატარებდი ამ წესდებას ხელის მოსაწერად იმათთან, ვინც კი ტფილისში ცხოვრობდა. შემდეგ წესდება გადავეცი დიმ. ყიფიანს და 24 ივნისს 1878 წ. წარდგენილ იქმნა იგი მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად. ახლა ის გვანუხებდა, რომ მთავრობას მალე დაემტკიცებინა; თუმ-



ცა ბევრსა ვცდილობდით, მაინც დამტკიცებამ ძალიან დაიგვიანა – ცხრა თვეზე მეტმა გაიარა (დამტკიცდა 31 მარტს 1879 წ.). მიზეზი ის იყო, რომ ძალიან დიდი ბაასი გამოიწვია ამ წესდების მესამე მუხლმა, რომელშიაც მოხსენებულია: „საზოგადოება თავისს მიზანს იმითი მიაღწევს, რომ სახალხო სკოლებში დასაწყისს სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზედ, რომელიც ესმით მოსწავლეებს“ და სხვ. ჩვენი წესდება მთავრობამ გადასცა კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველს თავისის აზრის გამოსათქმელად. იქამად ძველი მზრუნველი ნევეროვი გამოსცვალეს და წავიდა აქედგან, ახალი კი ჯერ არ იყო დანიშნული. მისს თანამდებობას ასრულებდა ნ. დ. მოძალევესკი,\* რომელსაც მე კარგად ვიცნობდი და არ ვასვენებდი – ძალას ვატანდი, მალე წარედგინა მთავრობისათვის თავისი აზრი. მოძალევესკიმ მოითხოვა ზემოხსენებულ მუხლის შეცვლა, ამიტომ ჩვენ, წესდების შემდგენლები, იძულებულნი ვიყავით, ზოგიერთი რამ დაგვეთმო მესამე მუხლში მოხსენებულიდან და ამ მიზეზით წესდების ზოგიერთი ფურცლის გადაწერა დაგვჭირდა. შემდეგ მოძალევესკიმ ორჯელ კიდევ მოითხოვა ამავე მუხლის გადაკეთება, მაგრამ ჩვენ აღარ დავთანხმდით და პირდაპირ ვუთხარით, რომ შეგიძლიანთ თქვენი აზრი წარუდგინოთ მთავრობას და, თუ ის არ დაამტკიცებს, დაე, ნუ დაამტკიცებს, ჩვენ კი მაგ მუხლს ველარ შევცვლით, რადგანაც მაგ მუხლის შეცვლით საზოგადოებას წაერთმევა ღონისძიება, თვისი დანიშნულება აღასრულოსო და სხვ. და სხვ. ცოტა ხანს შემდეგ კავკასიის ნამესტნიკის მთავარსამმართველომ თავის მხრივაც მოითხოვა ამ მესამე მუხლის შეცვლა. ამაზე დიმიტრი ყიფიანმა 25 მარტს 1879 წ. წარადგინა ჩვენ მიერ ერთად შედგენილი განმარტების ქალაღდი და არ გავიდა ერთი კვირა (31 მარტს, რომ წესდება დამტკიცდა“ (თულაშვილი 1895: 51-52; თულაშვილი 2007: 50-51).

\* უნდა იყოს: ლ. ნ. მოძალევესკი.

„ქშნ-კგ საზოგადოების“ წესდების შემუშავება-დამტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებზე იხ. აგრეთვე: გოგებაშვილი 1990: 254-257; ტექსტი წესდებისა და დამფუძნებელ წევრთა სია იხ.: წესდებულება 1879; ნანიტაშვილი... 2004: 131-147.

<sup>11</sup> (გვ. 83) **„ყველაზე კომპეტენტურად მასწავლებელთა ყრილობის ერთსულოვანი გადანყვეტილებები უნდა მივიჩნიოთ“** – ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობამ, რომელიც 1880 წელს ჩატარდა, ი. გოგებაშვილის თქმით, ასეთი გადანყვეტილება მიიღო: „სოფლის სკოლებში დაიდოს ოთხი წლის კურსიო, სწავლა ყველა საგნებისა ქართულ ენაზე იყოსო თავიდგანვე დაწყებული ბოლომდინ და რუსული წიგნის სწავლება მესამე წლიდგან დაიწყოსო“ (მესხი 1964<sup>ა</sup>: 449; თვითონ ყრილობის შესახებ იხ.: „დროება“, 1880, №№204-206, 208, 209; იმავე ყრილობასა და მასთან დაკავშირებულ პოლემიკაზე იხ. ხუნდაძე 1951: 92-102).

<sup>12</sup> (გვ. 85) **კაპტენარმუსი** (ფრანგ. capitaine d'armes) – უნტერ-ოფიცერთა რანგის ჩინი/თანამდებობა რუსეთში; ძირითადად სამეურნეო საქმეები ებარა.

<sup>13</sup> (გვ. 86) **„სინამდვილეში ეს სხვა არაფერია, თუ არა ქართული ენის მასხრად აგდება“** – ოლა დიდებულის თარგმანის (ეგტუშევსკი 1880) გამოცემას ქართულ პრესაში მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. მაგალითად, „ივერიის“ რეცენზენტის თქმით, „ოლ. დიდებულისას გადმოუთარგმნია ეგტუშევსკის წიგნი, მაგრამ ვაი ასეთ გადმოთარგმნას!.. ამ წიგნის მთარგმნელი როგორც ეტყობა, თავის ჯიბის გადიდებას უფრო თანაუგრძნობს, ვიდრე ყმანვილების ნორჩის გონების გავარჯიშებას ... ჩვენ გვსურს დავაბრკოლოთ ამ წიგნის გავრცელება ხალხში და მით ცოტათი მაინც დავუკარგოთ ზოგიერთებს სურვილი, თავის უნმიდურ განზრახვით შეეხონ იმისთანა წმიდა საგანს, როგორც არის ხალხის განათლება“ (ივერია 1881: 148-151); ილია ჭყონიას აზრით კი – „პატივცემულს მთარგმნელს სრულიად არ სცოდნია ქართული ენა და ისე მიუყვია ხელი ამ უმაღურ შრომისათვის. თითქმის ყველა ტერმინები, როგორც არითმეტიკურნი, ისე სხვებიც ქართულის ასოებითაა დაწერილი და სიტყვები კი

რუსულია. მაგ. მთარგმნელი მუდამ ხმარობს: ზადაჩა, ტაბლიცა, არშინი, დიუმი, შოსსე, პრიანიკი, ბოჩკა, სუტკი, პარახოდი და სხვა მრავალნი, რომელნიც საყოველღეო ცხოვრებაში იხმარებიან და რომელთ ქართული სახელები სამი წლის ბავშვებმაც კი იციან. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ერთობ ხშირად ეს ძალად გაქართულებული სიტყვებიც არ არიან კანკლედობის კანონისამებრ ნახმარნი და ზმნებიც ბევრგან შეცდომითაა დაუღვლილებულნი, და მაშინ იტყვიტ, სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ამ თარგმანის გამოცემა თუ არა“ (ჭყონია 1880). უნდა ითქვას, რომ თვითონ ო. დიდებულიძეს კრიტიკა უპასუხოდ არ დაუტოვებია: „ჩემთვის საკმაოა, რომ ამ არითმეტიკაზედ, როგორც კავკასიის სასწავლებლების კამიტეტმა, ისე თვით მისმა უმაღლესობამ კავკასიის მთავარ-მართებელმა, შეადგინეს კარგი აზრი, ასე რომ ის მიიღეს მდაბალ სასწავლებლებში სახელმძღვანელოთ (უსარგებლო შრომა არც ამ პატივს ეღირსება)“, ამიტომ ჩემს დამცირებას უპასუხოდ დავტოვებ და, ამას გარდა, ამ შრომით მატერიალური სარგებელიც ბევრი არაფერი მიმიღიაო (დიდებულიძე 1881; იხ. აგრეთვე: დიდებულიძე 1880).

<sup>14</sup> (გვ. 87) **„ზემოაღნიშნული ცნობა უშუალოდ მოსდევს კ. პ. იანოვსკის წერილს!“** – ცნობა, რომელიც „უშუალოდ მოსდევს კ. პ. იანოვსკის წერილს“, ასეთი შინაარსისაა: „გვაცნობებენ, რომ დიდმა მთავარმა – კავკასიის მეფისნაცვალმა – კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წარდგინებით ევტუშევსკის არითმეტიკულ ამოცანათა კრებული (задачник), ქართულ ენაზე თარგმნილი ოლლა დიდებულიძის მიერ, არითმეტიკის სახელმძღვანელოდ დაამტკიცა ქართული მოსახლეობისათვის განკუთვნილი პირველდანიყებითი სასწავლებლებისათვის“ (კავკაზ 1880).

<sup>15</sup> (გვ. 87) **et tutti quanti** (იტალ.) – და ყველა დანარჩენის.

<sup>16</sup> (გვ. 87) **„ბ-ნმა მარსოვმა... მიმხრობას გაჩუმება არჩია“** – ვასილ მარსოვის ბაქოში გადაყვანას „დროება“ არაერთხელ გამოეხმაურა: „ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენში და ყველას სამწუხაროთ დარჩა აქაურ სახალხო სკოლების დირექტორის ბატ. მარსოვის გადაყვანა. სამწუხაროდ დარჩა იმიტომ,

რომ ბატ. მარსოვი მცოდნე იყო ჩვენი ხალხის ენისა, ხასიათისა და ყველას მიუდგომელ კაცად, კარგ პედაგოგათაც მი-აჩნდათ. სხვა-და-სხვა რალაცაებს ამბობენ ამის გადაყვანის მიზეზებს; მაგრამ ამაზე ლაპარაკს ჯერ-ჯერობით თავი დავანებოთ. მარსოვის ადგილზე დაუნიშნავთ ვილაც არლოვი, რომელმაც თავის წინა-მოადგილესავით არა თუ ქართული იცის, არამედ მისი ხსენებაც კი, დაცინვით, ღიმილსა ჰგვრი-სო...“ (ჭყონია 1880<sup>3</sup>).

ვ. მარსოვი ქუთაისსა და ქუთაისლებს 1881 წლის 7 თებერ-ვალს დაემშვიდობა. „დროებას“ არც ეს ფაქტი დაუტოვებია უყურადღებოდ:

„დიდად სამწუხარო გასაგონი იყო მისი [ბაქოში] გადაყ-ვანის ამბავი ყველა იმ პირთათვის, ვინც მას იცნობდა და ვისაც ჩვენი სახალხო სკოლების კეთილი სურდა ... რით დამისახურა მან საზოგადოების უყურადღება? მკითხავთ თქვენ. აი რით: ის თავის ხელქვეშე მასწავლებლებს ექცეოდა მამა-შვილურად; ყველანი მას უყურებდნენ მამასავით. სწავ-ლის საქმეს უყურებდა პედაგოგიურის მხრით. პოლიტიკური მხარე პედაგოგიაში, რომლითაც სხვა დირექტორები აღჭურ-ვილნი არიან თავიდან ფეხებამდისინ, იმას არ ჰქონებია სახე-ში. იმის მიზანი იყო პედაგოგიური და არა სხვა. თავისი ჰაზ-რი და მიმართულება იმან აშკარად გამოაჩინა უკანასკნელ მასწავლებელთ შეკრებილებაზე ქუთაისში. დიდი გასაკვირ-ველი საქმე კი არა ჩაუდენია-რა; მხოლოდ მასწავლებელთ გა-მოთქმულ ჰაზრზე თანახმა გახდა. მისი ჰაზრი და დათანხმება იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ სკოლებში ქართულ ენაზე ყოფილიყო სწავლება და რუსული ენის სწავლება დანყებუ-ლიყო მესამე წლიდან. მე მგონია, ამ ჰაზრის წინააღმდეგი არ უნდა იყოს პედაგოგი; მაგრამ ჩვენში, საუბედუროთ, ჯერეთ ზოგიერთი ვაჟბატონები უკუღმა ჰსჯიან. ძლიერ გასაკვირ-ველი იყო, რომ მან გაბედა წალმა გამოთქმა ამ აზრისა, მა-გრამ კარგა ფასად კი დაუჯდა ეს წალმართიანი მსჯელობა!.. ერთი მიზეზი ბ. მარსოვის აქედამ გადაყვანისა კიდევ ის იყო,

როგორც სჩანს, რომ იმან ქართული იცოდა! ბაქოსაკენ კი არავინ ქართული არ იცის!..“ (იმერელი 1881).

ქუთაისთან გამომშვიდობების შემდეგ მარსოვს ყვირილაში, სადგურში, დახვდნენ იქაური მასწავლებლები და თავიანთ მოამბაგეს თბილი სიტყვებით მიმართეს, რაზეც მარსოვმა უპასუხა:

„ძლიერ ვსწუხვარ, რომ ასე მალე ვშორდები ამ მხარეს და არ მომეცა დრო, რომ ჩემი დანყებული საქმის ნაყოფი მეხილა მევე. ვსწუხვარ ამასთან, რომ ჩემი პირდაპირი შეხედულება საქმისა და პედაგოგიურ ჰაზრზე დადგომა ზოგიერთებისაგან შეირაცხა წინააღმდეგ ჰაზრად...“ (იმერელი 1881).

რამდენიმე დღის შემდეგ კი მარსოვი, როგორც ჩანს, იძულებული გახადეს, „დროებაშივე“ უარეყო ხმები ბაქოში მისი ძალდატანებით გადაყვანის შესახებ (მარსოვი 1881; ვიმონმებთ სრულად):

„თქვენი პატივცემული გაზეთის მე-31 ნომერში იყო ნათქვამი რამდონიმე სიტყვა იმის შესახებ, რომ მე ძალ-დატანებით და ჩემდა უნებურად გადამიყვანეს ქუთაისის გუბ[ერნიის] სახალხო სკოლების დირექტორის თანამდებობიდად. უმორჩილესად გთხოვთ, ამ საგნის შესახებ გამოაცხადოთ, რომ ძალდატანებით და ჩემ-და-უნებურად ქუთაისიდან არავის არ გადაუყვანივარ და ვერც გადამიყვანდნენ. ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რომ ჩემის მხრითაც დიდი მადლობა გამოუცხადო, როგორც ქუთაისის გუბერნიის საზოგადოებას, აგრეთვე ჩემ ხელ-ქვევით მყოფ სოფლის მასწავლებლებს, რომელთაც დიდი თანაგრძნობა და დახმარება აღმომიჩინეს ჩემის მძიმე თანამდებობის აღსრულების დროს.

### ვ. მარსოვი“.

<sup>17</sup> (გვ. 90) „1855 წელს... ჩოლოქის მხრიდან კი მტერი გვიტევა და“ – ჩოლოქის ბრძოლა („ყირიმის ომის“ დროს) გენერალ ივანე ანდრონიკაშვილის მეთაურობით ცოტა უფრო ადრე – 1854 წლის ივნისში – მოხდა და ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გურულმა მოლაშქრეებმა ისახელეს თავი (ქსე 1987: 146-147). ტექსტში ნახსენები „მილიციის“ შესახებ იხ. აქვე: გვ. 257.

<sup>18</sup> (გვ. 90) „მე სავლელე კანცელარიის დირექტორად ვახლ-

დი...“ – ომერ-ფაშას წინააღმდეგ მებრძოლი ვასილ ბებუთოვის კანცელარიის დირექტორად დიმ. ყიფიანი დაინიშნა 1855 წლის ნოემბერში და ამ თანამდებობაზე მან მომდევნო წლის თებერვლამდე დაყო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., №29, ფ. 102). ამის შესახებ დიმ. ყიფიანს თავის „მემუარებში“ უწერია: „1856 წ. მე ვიყავი გურიაში... თ-დ ვას. ოს. ბებუთოვთან, მისი მოძრავი კანცელარიის დირექტორად და რაზმის ხაზინადრად; მაშინ გურიაში რუსის ერთი მხედარიც აღარ იყო. გურულები თვითონ იფარავდნენ თავსაც და ჩვენი რაზმის ზურგსაც თათრების მოწოლისაგან“ (ყიფიანი 1990: 38; უფრო ვრცლად იხ. ყიფიანი 1990: 58-59).

<sup>19</sup> (გვ. 90) „1855 წელს ომერ-ფაშა სამეგრელოში შემოიჭრა“ – „ყირიმის ომის“ (1853-1856) მიმდინარეობისას თურქებმა ომერ-ფაშას ჯარი საქართველოსკენ გადმოისროლეს – 1855 წლის სექტემბერში ისინი სოხუმში გადმოსხდნენ, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში ომერ-ფაშა შეიჭრა სამეგრელოში, აიღო ზუგდიდი, გადაწვა დადიანების სასახლე, მოაოხრა ახლომახლო სოფლები, მაგრამ გენერლისა და პოეტის, გრიგოლ დადიანის, საერთო ხელმძღვანელობით გაშლილ პარტიზანულ ბრძოლებს ვერ გაუძლო, ამასობაში თურქებმა ყარსი დათმეს და ომერ-ფაშაც იძულებული გახდა, უკუქცეულიყო, შემდეგ კი საერთოდ დაეტოვებინა საქართველო (იხ.: ბოროზდინი 1934: 19-51; ორჯონიკიძე 1970: 211-215). დიმ. ყიფიანი, როგორც წინა კომენტარში ითქვა, ამ მოვლენებში მონაწილეობდა როგორც გენერალ ვ. ბებუთოვის საველე („სალაშქრო“) კანცელარიის დირექტორი, აგრეთვე, ხაზინადარი.

<sup>20</sup> (გვ. 91) „ჯერ კიდევ კატკოვისათვის ნათქვამი სიტყვები...“ – ავტორს მხედველობაში აქვს წინამდებარე ტომში შესული პუბლიცისტური წერილი „ისევ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ 194-ე ნომერში გამოქვეყნებული მოწინავე სტატიის გამო“.

## „წერა-კითხვის საზოგადოებაზედ“ (გვ. 93-95)

### ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. სერგეი მესხის არქივი, საქ.

№71. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 2.

ნაბეჭდი: „დროება“, 1881, 25 ნომბერი, №246.

სათაური: ბატონო რედაქტორო!

თარიღი და ადგილი: 22 ნომბერი, 1881 წ. [ქვიშხეთი].

ხელმოწერა: ერთი 126 შემდგენთაგანი.

ნაბეჭდში მითითებულია დაწერის თარიღი (22 ნომბერი, 1881 წ.), ხელნაწერში კი – თარიღიცა და დაწერის ადგილიც (ქვიშხეთი).

ტექსტი „დროებაში“ გამოქვეყნებულია სარედაქციო სათაურით „წერა-კითხვის საზოგადოებაზედ“ (როგორც ზემოთ გვაქვს მითითებული, საკუთრივ დიმ. ყიფიანის წერილი ასე იწყება – „ბატონო რედაქტორო!“) და მას წინ უძღვის რედაქციის წინათქმა, რომელშიც „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობის მიმართ იგივე საყვედურია გამოთქმული, რაც – დიმ. ყიფიანის წერილში. ვინაიდან სარედაქციო სათაური ემთხვევა დიმ. ყიფიანის ტექსტის შინაარსს, საკუთრივ დიმიტრის წერილშიც სარედაქციო პუბლიკაციის სათაური დავტოვეთ.

ფსევდონიმით „ერთი 126 შემდგენთაგანი“, გარდა წინამდებარე ტექსტისა, არსად არაფერი გამოქვეყნებულა. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მიხედვით, ეს ფსევდონიმი იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის [ანალიტიკური ბიბლიოგრაფია 1952: 623 (9409)], თუმცა დიმ. ყიფიანის ავტორობა ეჭვს არ იწვევს: ხელნაწერი ტექსტი დაწერილია დიმ. ყიფიანის ხელით, დაწერილია იგი მის მშობლიურ ქვიშხეთში და, რაც მთავარია, გაზეთში გამოსაქვეყნებლად გამიზნულ დიმ. ყიფიანის ავტოგრაფულ ტექსტს იქვე დართული აქვს პირადი წერილი „დროებას“ რედაქტორ სერგეი მესხისადმი:

„უძვირფასესო სერგი სვიმონიჩი,  
იქნება ამითი მაინც ეშველოს რამე საქმესა, გთხოვთ  
თქვენს გაზეთში დამიბეჭდოთ, რასაც ამ წერილთან გიგზა-  
ვნით; – და იმაზედაც თქვენი სიტყვა დასძინეთ, მართალია  
თუ არა, რაც აქ იხსენიება, რომ თავსმჯდომარეს თქვენთვის  
ეთხოვოს და თქვენც უარი არ გეთქვათ.

ჩემი პსევდონიმის გამოცხადება მგონია საქმისათვის არ  
ივარგებდეს.

თქვენი გულითად პატივისმცემელი  
დიმ. ყიფ.“

ფსევდონიმის შერჩევა კი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ  
„ქშნ-კგ საზოგადოებას“ 126 დამფუძნებელი წევრი („შემდგენი“) ჰყავდა და, მათ შორის და პირველ რიგში, დიმ. ყიფიანი (სია დამ-  
ფუძნებელი წევრებისა იხ. ნანიტაშვილი... 2004: 141-147).

<sup>1</sup> (გვ. 93) „საზოგადოების თავსმჯდომარესაც თურმე რამდენ-  
ჯერმე უთქვამს მმართველობის სხდომაში“ – „საზოგადოების  
თავსმჯდომარეში“ აქ იგულისხმება თვითონ ავტორი ტექსტისა –  
დიმ. ყიფიანი, რომელიც „ქშნ-კგ საზოგადოებას“ თავმჯდომარე-  
ობდა 1879-1882 წლებში. ხოლო საკუთარ ვინაობას აქ ავტორი  
იმიტომ მალავს, რომ, როგორც ეს ს. მესხისადმი მიწერილი და  
ჩვენ მიერ ზემოთ დამონმებული წერილიდან ჩანს, დიმ. ყიფიანს  
არ სურდა, წერილის ავტორის ვინაობა გამომჟღავნებულიყო.

<sup>2</sup> (გვ. 93) „თქვენი გაზეთის №243-ში მმართველობის „განცხ-  
ადებანი“ – დიმ. ყიფიანის წინამდებარე თხზულება პასუხია  
„ქშნ-კგ საზოგადოების“ გამგეობის მიერ „დროებაში“ (1881, 20  
ნოემბერი, №243) გამოქვეყნებული ტექსტისა „განცხადებანი“,  
რომელსაც აქ სრულად ვიმონმებთ:

„თბილისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებ-  
ის გამგეობა თხოვს სოფლის სკოლების მასწავლებელთ, რაც  
შეიძლება მალე აცნობონ პასუხი შემდგენის საგნების შესახებ:

1) რამდენჯერ და როდის მიუღიათ წიგნები და სასწავლო



ნივთები გამგეობისაგან ღარიბ მოსწავლეთათვის დასარიგებლად?

2) რამდენი ეგზემპლიარი მოუვიდათ თვითოეული სახელმძღვანელოსი და ნივთისა?

3) როგორ მოახმარეს სკოლას გამგეობისაგან შემოწირული ნიგნები და ნივთები?

4) რამდენი მონაფე ქალი და ვაჟი სწავლობს ამ ყამად სკოლაში?

5) რამდენი ღარიბი ურევია?

6) რა ნიგნები და ნივთები არის უფრო საჭირონი სკოლისათვის და

7) რამდენი ეგზემპლიარი თვითეული სახელმძღვანელოსი და ნიგნისა უნდა იქმნას გამოგზავნილი სკოლაში ღარიბებისათვის დასარიგებლად.

ყოველი ამისი პასუხი ეჭირვება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ახლავე; შემდეგისათვის კი გამგეობა სთხოვს სოფლის სკოლების მასწავლებელთ ყოველს წელიწადს პირველის მარტისათვის მოუთხოვნელად გამოგზავნონ ხოლმე შემდეგი ცნობები:

1) რამდენი მონაფეა თქვენს სკოლაში (ქალი და ვაჟი)?

2) რამდენი მათგანი ღარიბია იმდენად, რომ სრულიად არ შეუძლიან საკუთარის ღონისძიებით მოიპოვოს ნიგნები და სხვა სასწავლო ნივთები?

3) რა ნიგნები და რა ნივთები და რამდენი უნდა იქმნას გამოგზავნილი სკოლის ღარიბთათვის?

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა სთხოვს სკოლის მასწავლებელთ, არ დაუგვიანონ ამ წერილის პასუხი, რომელსაც გამოგზავნიან შემდეგის ადრესით:

В Тифлис. В канцелярию Тифлисского Общества Распространения Грамотности среди Грузинского населения наместничества Кавказского. Овражская улица, дом №9 Паресова.

თავსმჯდომარის ამხანაგი ილ. ჭავჭავაძე  
საქმეთა მწარმოებელი გრ. ყიფშიძე“.

<sup>3</sup> (გვ. 93) „კი არავის ეგონოს, რომ ვმკვლობლობდეთო“ – „მკვლობელი“: კოჭლი (ორბელიანი 1965: 493), კუტი (ჩუბინაშვილი 1961: 285). ჩანს, ავტორი ამით ამბობს: არავის ეგონოს, საქმეს გამართულად ვერ ვუძღვებოდეთო, საქმეში მოვიკოჭლებდეთო.

<sup>4</sup> (გვ. 94) „წესდებულებას თუ ჰკითხულობთ ხოლმე“ – „ქმნ-კგ საზოგადოების წესდება („წესდებულება“) იხ. ნანიტაშვილი... 2004: 132-141.

<sup>5</sup> (გვ. 94) „მმართველობას სეკრეტარი ჰყავს და სამწერლო აქვს“ – „ქმნ-კგ საზოგადოების“ მდივანი („სეკრეტარი“) ამ დროს იყო ალექსანდრე სარაჯიშვილი. წინამდებარე პუბლიკაციაში დიმიტრი ფიანის 1881 წ. 14 ნომერს ქვიშხეთიდან თბილისში სწერს ალ. სარაჯიშვილს (წერილი რუსულ ენაზეა. ვიკონკრეტში შემოკლებულად):

„თავს უფლებას ვაძლევ განმეორებით, ამჯერად წერილობით, უმორჩილესად გთხოვთ ის, რის შესახებაც ადრე პირადად გელაპარაკეთ:

1. შეუდექით „საზოგადოების“ მმართველობის წევრ-მდივნის მოვალეობის შესრულებას.

2. მმართველობის ყველა გადაწყვეტილების შესახებ მეტ-ნაკლებად დაწვრილებითი ცნობები მიაწოდეთ გაზეთ „დროებას“, რომლის რედაქტორმა და ჩვენი „საზოგადოების“ ფრიად პატივისცემმა წევრმა სერგეი სიმონის ძე მესხმა არაერთხელ პირადად აღმითქვა, რომ უსასყიდლოდ დაბეჭდავს ჩვენთან დაკავშირებულ მასალებს; და

3. „საზოგადოების“ წევრებისათვის სპეციალური ბროშურის სახით ან სხვა რაიმე ფორმით დაბეჭდეთ ზედმიწევნით სრული ცნობები იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა აქამდე ჩვენს მმართველობაში.

წლიური ანგარიში ვერ მოიცავს ყველაფერს, ხოლო „საზოგადოების“ წევრებმა უნდა იცოდნენ, რას აკეთებს მათ მიერ არჩეული მმართველობა ან რა განზრახვებები აქვს მას.

ამ თხოვნით მოგმართავთ, როგორც „საზოგადოების“ მმართველობის მდივანს. ამასთანავე, შემატყობინეთ, როდიდან შეუდგებით ჩემი, როგორც თავმჯდომარის, მოთხოვნას.

ნათა შესრულებას და ისიც, თუ რა დაბრკოლებებს წააწყდებოთ მოვალეობის შესრულების დროს“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №788, ფ. 2; ჩხეტია 1947: 375-376).

იმავე წლის 29 ნოემბრის საპასუხო წერილით ალ. სარაჯიშვილი ატყობინებს დიმ. ყიფიანს – „ქშნ-კვ საზოგადოებამ“ გადანწყვიტა, თავისი დადგენილებები გამოაქვეყნოს თვეში ერთხელ, ხოლო 1882 წლის მაისისთვის მოამზადოს „საზოგადოების“ სამი წლის ანგარიში (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1617, ფ. 1). რაც შეეხება სიტყვას „სამწერლო“, იგი ნიშნავს კანცელარიას (**Канцелярия**: სამწერლო – ჩუბინაშვილი 1971: 426; **სამწერლო**: ... канцелярия – ჩუბინაშვილი 1984: 1098).

<sup>6</sup> (გვ. 95) „ატჩოტების წერას უნდა მოანდომოთ?“ – „ატჩოტი“ (რუს. Отчет): ანგარიში/ანგარიშგება.

### ბატონ გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს (გვ. 96-101)

#### ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი, საქ. №100. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 4.

#### ნაბეჭდი:

„Д. И. Кипиани просит нас напечатать следующую заметку“. „Кавказ“, 5 იანვარი, 1883, №4.

დიმ. ყიფიანის შენიშვნა სამშობლო ენაზედ. „დროება“, 8 იანვარი, 1883, №4.

„ჩვენს გაზეთში იყო ამას წინად...“. „დროება“, 16 იანვარი, 1883, №10.

შ. ჩხეტია. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობაზე. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 3. 1947, გვ. 377-380.

დიმ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები და ბოლოსიტყვა დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: ლომისი. 1995, გვ. 39-48.

ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა.

ბაქრაძე, რ. თვარაძე, ტ. XX (ტომის შემდგენელი: ა. ბაქრაძე, თ. ჯოლოგუა). ტომის რედაქტორი თ. ჯოლოგუა, მისივე შენიშვნებითა და ბოლოსიტყვით. თბილისი: ნაკადული. 2003, გვ. 96-101.

დიმ. ყიფიანი. წერილები. რ. ამაღლობელის წინასიტყვაობით. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2010, გვ. 34-40. „დიმიტრი ყიფიანი – 200“. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 829-831.

**სათაური:** Господину редактору газеты „Кавказ“.

**ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

ნაბეჭდ ტექსტებში არც თარიღი და არც დაწერის ადგილი არ არის მითითებული, თუმცა ეს მონაცემები (**16 დეკემბერი 1882. სოფ. ქვიშხეთი**) მითითებულია ხელნაწერში.

პრესაში გამოქვეყნდა დაბრკოლებებისა და ცენზურული ჩარევის შემდეგ. წერილის ისტორიასთან დაკავშირებული ქრონოლოგია იწყება „დროებაში“ 1882 წლის 4 დეკემბერს (№254) გამოქვეყნებული მოკლე ინფორმაციით:

„მოკლეს ხანში გვექნება ახალი ქართული ღრამატიკა. უხუცესი წარმომადგენელი ჩვენი ლიტერატურისა და ერთი პატიოსანი მოღვაწეთაგანი ამ ასპარეზზე დიმიტრი ივანესძე ყიფიანი ადგენს ქართულს ღრამატიკას. ღრამატიკა, როგორც გვაცნობეს, იბეჭდება პეტერბურღში“.

„ღრამატიკაში“ აქ იგულისხმება დიმ. ყიფიანის მიერ 1882 წელს სანქტ-პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სტამბაში დაბეჭდილი „ახალი ქართული გრამატიკა. სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის“, რომელსაც დართული აქვს „შემოკლებული ლექსიკონი სიტყვებისა, რაც ძვირათლა იხმარება ქართულს ლაპარაკსა და წერაში; – ან რაც სხვა ენებიდამ არის შემოტანილი“ (ყიფიანი 1882: 139-197).

„დროებას“ იმავე წლის 6 დეკემბერს გაზეთი „კავკაზი“ გამოეხმაურა (ვიმონებთ სრულად):

„როგორც გაზ. „დროება“ იუწყება, ქართული გრამატიკული ლიტერატურა ახლო მომავალში ახალი ნაშრომით გამოდრდება. ქართული ლიტერატურის ერთ-ერთმა უხუცესმა და პატივსაცემმა მოღვაწემ დ ი მ ი ტ რ ი ი ვ ა ნ ე ს ძ ე ყ ი ფ ი ა ნ მ ა უ კ ვ ე შ ე ა დ გ ი ნ ა ქ ა რ თ უ ლ ი გ რ ა მ ა ტ ი კ ა, რომელიც ამჟამად პეტერბურგში იბეჭდება. ეჭვი არ არის, რაც კი რამ ამ სფეროში აქამდე შექმნილა, ყველაზე წარმატებული ცდა ბ-ნი ყიფიანის გრამატიკა იქნება და არა მარტო იმიტომ, რომ დღეს ბ-ნი ყიფიანი ყველაზე უკეთ არის დაუფლებული ქართულ ენას, არამედ იმიტომაც, რომ იგი დიდი ხანია ქართული ენის გრამატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს. არსებობს საფუძველი იმედი ვიქონიოთ, რომ ბ-ნი ყიფიანის ნაშრომში ჩვენ დავინახავთ მშობლიური ენის ორიგინალურ ფორმათა ისეთ ახსნა-გააზრებას, როგორსაც ვერ ვხედავთ სხვა მოღვაწეებთან, რომელთა გრამატიკული თხზულებები სხვა არაფერია, თუ არა ევროპულ გრამატიკათა ფრაგმენტული გადმოღება ან სულაც ზედმინევენითი თარგმანი. და ეს მაშინ, როცა ქართულ ენას არც თავისი კონსტრუქციით, არც თავისი ფესვებით არაფერი აქვს საერთო ევროპულ ენებთან“ (კავკაზ 1882).

„კავკაზის“ ცნობას კრიტიკული შენიშვნით გამოეპასუხა თბილისში გამომავალი ყურნალი „იურიდიჩესკოე ობოზრენიე“ (ვიმონმებთ სრულად):

„323-ე ნომერში „კავკაზი“ გამოხატავს კმაყოფილებას ბ-ნი ყიფიანის გრამატიკის მოსალოდნელი გამოცემის გამო. „გვაქვს საფუძველი, იმედი ვიქონიოთ, – გახარებულია გაზეთი, – რომ ბ-ნი ყიფიანის ნაშრომში ვიხილავთ მ შ ო ბ ლ ი უ რ ი ენის ორიგინალურ ფორმათა ახსნა-გააზრებას“. შესაძლებელია, ვიხილოთ კიდევაც, მაგრამ ეს იქნება მომავალში; ახლა კი საინტერესო იქნებოდა გაგვეგო, როდის აქეთ გახდა ამ მხარეში გამომავალი ერთადერთი რუსული, თანაც ოფიციალური, თანაც ხაზინის ხარჯით გამოცემული

გაზეთისთვის ქართული ენა მშობლიური?“ (იურიდიჩესკოე ობოზრენიე 1882: 480).

„იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ ეს გამოხდომა „კავკაზმა“ უპასუხოდ არ დატოვა (უნდა ვიფიქროთ – როგორც ამ, ისე „კავკაზში“ გამოქვეყნებული წინა ტექსტის ავტორი გაზეთის იმჟამინდელი რედაქტორი დავით ერისთავია). „კავკაზის“ 11 დეკემბრის პასუხში ვკითხულობთ (ვიმონმებთ სრულად):

„ჩვენი გაზეთის 323-ე ნომერში გაზეთ „დროების“ ინფორმაციაზე დაყრდნობით იმედი გამოვთქვით, რომ გამოსაცემად მომზადებული გრამატიკა ბ-ნი დ. ი. ყიფიანისა შესატყვისი იქნება ქართული ენის მოთხოვნებისა, რამდენადაც ღრმად პატივცემული ავტორი სამართლიანად ითვლება მ შ ო ბ ლ ი უ რ ი ენის საუკეთესო მცოდნედ. ნებისმიერი მიუხედავად მკითხველი მიხვდებოდა, რომ საუბარი იყო ქართული ლიტერატურის უთვალსაჩინოეს მოღვაწეზე – დ. ი. ყიფიანზე და იმ უცილობელ ფაქტსაც გაიაზრებდა, რომ იგი საუკეთესო მცოდნეა თავისი მშობლიური – ე. ი. ქართული – ენისა. მიუხედავად ამისა, „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ აზრად მოსვლია, ამ საგაზეთო შენიშვნაში დაენახა ჩვენი მისწრაფება, „ერთადერთ რუსულ, თანაც ოფიციალურ“ გაზეთს თ ა ვ ი ს მ შ ო ბ ლ ი უ რ ე ნ ა დ ქ ა რ თ უ ლ ი მ ი ე ჩ ნ ი ა. ყურნალი გაკვირვებულია იმით, რომ ჩვენ თანავუგრძნობთ ქართული ლიტერატურის წარმატებას. ვარწმუნებთ პატივცემულ ყურნალს, რომ კიდეც არაერთხელ დარჩება გაკვირვებული იმის გამო, რომ კულტურის განვითარების საქმეში ჩვენ არაერთხელ გამოვეუცხადებთ თანავგრძნობას არა მარტო ქართველებს, არამედ სომხებს, თათრებს, ებრაელებს. მაგალითად, ცოტა ხანში ჩვენს მკითხველებს ვაუწყებთ სასიამოვნო ამბავს, რომ ბ-ნები შმულ შმულიჩი და სტეფანსონი წერენ ისტორიულ თხზულებას ებრაულ ენაზე, რაც ფასდაუდებელი შენაძენი იქნება მ შ ო ბ ლ ი უ რ ი (შმულიჩისა და სტეფანსონისათვის, ცხადია) ლიტერატურისათვის. უნდა ვიფიქროთ,

ბ-ნი სტეპანოვის ორგანო აქაც შენიშნავს მზაკვრულ განზრახვას, „ერთადერთმა რუსულმა, თანაც ოფიციალურმა“ გაზეთმა მ შ ო ბ ლ ი უ რ ენად ებრაული აქციოს. დაე, იხაროს ჩვენს პალესტინაშიც შჩედრინისეულმა „სტატისტიკამ“ (კავკაზ 1882<sup>ა</sup>).\*

რამდენიმე დღის შემდეგ (16 დეკემბერს) უკვე დიშ. ყიფიანმა დაწერა წინამდებარე წერილი და იგი გამოსაქვეყნებლად გაუგზავნა „კავკაზის“ რედაქტორს – დავით ერისთავს, რომლისგანაც 20 დეკემბრით დათარიღებული პასუხი მიიღო (წერილი რუსულ ენაზეა):

„ღრმად პატივცემულო დიმიტრი ივანეს ძე!

მივიღე თქვენი შესანიშნავი სტატია ქართული ენის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი კალმით დაწერილი ნები-სმიერი მასალის დაბეჭდვა ჩემი განსაკუთრებული სიამაყის საგანია, ამ შემთხვევაში მოკლებული ვარ სიამოვნებას, ჩემ მიერ გამოცემული გაზეთი თქვენი ამ სტატიით დავამშვენო. „იურიდიჩესკოე ობოზრენიესთან“ დაკავშირებული შენიშვნის გამოქვეყნების შემდეგ მე საყვედური მივიღე მთავარმმართველობისაგან და მირჩევენ, აღარ შევეხო ამ დელიკატურ საკითხს. ასეთი შესანიშნავი წერილის საზოგადოების ყურადღების მიღმა დატოვებაც დიდად სამწუხარო იქნებოდა. ამიტომ სასურველია, ეს სტატია თქვენ თვითონ გაუგზავნოთ გაზეთ „გოლოსის“ რედაქციას, რომელიც,

\* „ჩვენს პალესტინაში“ („...в наших палестинах“) – „ჩვენში“, „ჩვენს მხარეში“. მყარი შესიტყვება „Наши палестины“ რუსულ ენაში სწორედ ამას ნიშნავს [„Местность, край (преимущ. о своем, родном)“ – უშაკოვი 1939: 22; ნ. ჩუბინაშვილთან – „Палестина: სივრცე ადგილისა, ვაკე, ბარი“ (ჩუბინაშვილი 1971: 129)]. რაც შეეხება „შჩედრინისეულ „სტატისტიკას“, ავტორი, ჩანს, გულისხმობს მ. სალტიკოვ-შჩედრინის მოთხრობას „კეთილგონიერი კურდღელი“ („Здравомысленный заяц“), რომელშიც გადმოცემულია ამბავი, თუ როგორ შეაჭმევინა თავი მელას ცხოვრების ფილოსოფიაზე განუწყვეტილ მოლაყებ კურდღელმა. ტექსტის დასაწყისში ცხოვრების უსამართლობის შესახებ კურდღლის მსჯელობას მოსდევს ფრაზა: „სტატისტიკური ცხრილები, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან რომ გამოდის... აქ კურდღელს ჩვეულებრივ ჩაეძინებოდა, რადგანაც სტატისტიკას ისეთი თვისება ჰქონდა, რომ გონებაში ხდებოდა ინვევდა“ (სალტიკოვ-შჩედრინი 1950: 64).

უნდა ვიფიქროთ, სიამოვნებით გამოაქვეყნებს მას.\*

გიდასტურებთ გულწრფელ პატივისცემას

თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე

თ-დი **დ. ერისთავი** (ციფიანი 1325; ჩხეტია 1947: 380).

დ. ერისთავის ტექსტს, რომელიც გაზ. „კავკაზის“ ბლანკზეა დაწერილი, ახლავს დიმ. ციფიანის მინანერი (პასუხის შავი; რუსულ ენაზე) – დათარიღებული 22 დეკემბრით (დაწერის ადგილი მითითებული არ არის):

„მაღლობას მოგახსენებთ, ძვირფასო თავადო, ჩემი სტატიის დაბრუნებისთვის. ე. ი. კატკოვური მოდგმა („КАТКОВСКАЯ КЛИЧКА“) იმდენად ძლიერია, რომ მთავარმმართველობაც კი მის ხმას არის აყოლილი. დიდი წინასწარმეტყველება არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ ეს გზა სიკეთემდე არ მიგვიყვანს. მე კი აქამდე მეგონა, მთავარმმართველობას სიკეთისაკენ მივყავდით. განა შეიძლება თანაუგრძნობდე საქმეს, რომელიც თავისთავად უაზრობამდე მისული ზნე-დაცემულობაა?“ (ციფიანი 1325; ჩხეტია 1947: 380).

ასეთ გართულებულ ვითარებაში დიმ. ციფიანმა 28 დეკემბრის წერილით ქვიშხეთიდან მიმართა დიმიტრი სტაროსელსკის, რომელიც იმ დროს იყო კავკასიის მთავარმმართველობის სამოქალაქო ნაწილის უფროსი, ასრულებდა მთავარმართველის მოვალეობას და, იმავდროულად, ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოსაც განაგებდა:

„მონყალეო ხელმწიფეო

დიმიტრი სიმონის ძე

---

\* რეფორმისტული სულისკვეთების ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი „გოლოს“ („Голос“) ა. კრაევსკის რედაქტორობით პეტერბურგში გამოდიოდა 1863-1883 წლებში. მას ჰქონდა სპეციალური განყოფილება (Кавказское отделение), რომელშიც კავკასიასთან დაკავშირებული საკამოდ თამამი ტექსტები იბეჭდებოდა.



ბევრი საქმე გაქვთ, მაგრამ დაბეჯითებით გთხოვთ, გამონახოთ 5 წუთი და წაიკითხოთ თანდართული სტატია.

თუ ამის შემდეგ თქვენ, როგორც მთავარმმართველობის უფროსი და მთავარმართველის მონაცვლე, გულზე ხელის დადებით იტყვი, რომ საჭირო და შესაძლებელია მისი გამოქვეყნება, შეატყობინეთ ამის შესახებ „კავკაზის“ რედაქციას, რომელიც, როგორც ვიცი, უამისოდ არ აპირებს მის დაბეჭდვას.

ხოლო თუკი თქვენ ამ, ჩემი აზრით, წმინდა საქმეზე უარს მეტყვი, უბრძანეთ, ჩემი სტატია უკანვე დამიბრუნონ“ (ყიფიანი 100; ჩხეტია 1947: 379-380).

დიმ. სტაროსელსკიმ, რომელსაც, გარდა სამსახურებრივი მდგომარეობისა, საქართველოსთან ოჯახური გარემოებებიც აკავშირებდა (ილია ჭავჭავაძის ქვისლი იყო – ცოლად ჰყავდა ეკატერინე თადეოზის ასული გურამიშვილი) და ქართველთა საზოგადოებრივი პრობლემებიც შეძლებისდაგვარად გულთან მიჰქონდა, ჩანს, გაითვალისწინა დიმ. ყიფიანის თხოვნა და სტატია, მართალია, შემოკლებულად, მაგრამ მაინც გამოქვეყნდა (კავკაზ 1883<sup>3</sup>). პირველნაბეჭდს ვიმონწმებთ სრულად:

„В №328 „Кавказа“ говорилось, что помещенное пред тем известие о печатающейся грузинской грамматике не понравилось „Юридическому Обозрению“ и оно высказало свое удивление, как это „Кавказ“ может сочувствовать грузинской литературе?

Это вызывает некоторые с моей стороны объяснения и прошу вас поместить их в вашей-же газете.

Если данное людское общество жило и развивалось само по себе и притом совершало еще какие-либо деяния исторического характера, то у этого общества не могло не образоваться, также само по себе, сознания, что оно из других подобных обществ выделилось как особый народ, – а с этим сознанием не могло не образоваться и своего особого наименования, и своего особого говора.

Грузия исторически существовала, как изолированное среди враждебных ей племен царство, в течении слишком двух тысячелетий, до

самого нынешнего столетия. В своем единоборстве с этими племенами, а по временам и с грозными мировыми завоевателями, она приняла на себя не один их удар, выдержала не один их напор, предназначавшийся, быть может, и остальному христианскому миру. Она имеет, таким образом, свои самобытные заслуги и пред историей православной церкви, чистоту которой охраняла, давая ей из своей среды святых подвижников в святителях и великомучениках.

Этого нельзя оспаривать у грузин. В таком случае нельзя оспаривать у них, как у народа, и права продолжать говорить у себя дома и возносить молитвы к Верховному Заправителю судеб мира на более или менее древнем родном своем языке. Родной язык – важная святыня для всякого народа; а всякое посягание на народную святыню не может ничем быть оправдываемо, кроме одной лишь невменяемости. Это само сабою понимается везде, а в особенности в обширнейшем из государств – Русском государстве. Некоторое оправдание могло бы существовать, в смысле политическом, в антагонизме между подвластным и господствующим племенами, в религиозном фанатизме, в диаметральной противоположности стремлений и интересов и в иных подобных положениях; но к грузинам неприменимо ни одно из них: где одно племя добровольно подчинилось, по собственному свободному побуждению, другому племени, – там антагонизм немислимая уже аномалия со стороны подчинившегося; а если упорно вызывают его низшие агенты господствующего племени, то добросовестность обязывает всякого предупредить их, чтобы были благоразумны: не то узнает-же когда-нибудь об их проделках высшая власть – и тогда кому придется горе горевать?

Религиозный фанатизм и того невозможнее, где нет ни малейшей розни ни в догматах, ни в обрядах веры. Грузины охраняли свое православие с оружием в руках в течении пятнадцати веков; но физическая сила начинала одолевать их в они, с чувством братства и христианского доверия, прибегли под охрану русского православия. Никакому фанатизму нет тут места.

Противоположность стремлений и интересов можно было-бы

предполагать со стороны грузин в одном случае, – если бы представлялась какая-нибудь возможность сказать, что грузины *когда-нибудь* враждовали против России, или, даже, что они были *когда-нибудь*, в отношении к своему Царю-Венценосцу России, менее верны, чем вернейшие из его верноподданных, но сказать это с каким-нибудь основанием – не представляется никакой возможности.

Таким образом, в мире верховной правды и государственной благожелательности нет никакого повода относиться неприязненно к языку такого многострадального народа, каким предстает русскому миру древне-православные грузины.

Государственный язык *необходим*, как жизненный элемент, всем, кто вращается в сфере официальной, или кто посвящает себя делу правительственного служения. Им надобно помочь приобрести основательное знание этого языка. Правительство наше и не щадит на это издержек. Но, кроме денежных затрат, нужно на это нечто и иное. Вот это нечто и может дать одна педагогика, если она не будет профанируема непризванными деятелями. Чистая педагогика требует, чтобы первоначальное научное развитие давалось детям на их родном языке. Только тогда и возможно для них образование без притупляющего труда, – так-как чем основательнее знает учащийся свой родной язык, чем легче ему усвоить себе правила и формы другого *необходимого* ему языка. Люди мыслящие об этом уж не спорят.

Теперь два слова о грамматике, появление которой встречается так нелюбезно со стороны „Юридического Обозрения“. Она набросана мною наскоро для моих детей (впрочем, человек моих лет на все подростяющее поколение смотрит как на своих детей) и имеет в виду, в действительно, законы лишь живой речи. К этому могу прибавить здесь одно, что антагонисты грузинского языка будут, мне кажется, не мало удивлены, узнав, что он обладает такою своеобразием и таким богатством форм, каких не представит ни один из древних и новых языков Европы; а в этом важное облегчение для основательного изучения всякого другого языка. Что-же касается до алфавита грузинского, – то никто не спорит уже и о том, что, несмотря на его тройственность, он

проще и тем самым совершеннее других известных нам алфавитов.

**Димитрий Кипиани“.**

„დროებამ“ სასწრაფოდ თარგმნა და გადმობეჭდა „კავკაზის“ პუბლიკაცია (დროება 1883<sup>ა</sup>), მაგრამ სახელდახელო თარგმანში ზოგიერთი შეუსაბამობა გაიპარა და ამიტომ იგივე „დროება“ რამდენიმე დღის შემდეგ მცირე წინათქმით ბეჭდავს წერილის ავტორისეულ თარგმანს (დროება 1883<sup>ბ</sup>), რომელსაც აქ რედაქციის წინათქმითურთ სრულად ვიმონებთ:

„ჩვენს გაზეთში იყო ამას წინად (№4) „კავკაზიდამ“ გადაბეჭდილი პატივცემულის დიმ. ყიფიანის შენიშვნა სამშობლო ენის შესახებ; რადგან თარგმანში ზოგიერთი უნებლიედი შეცდომა მოგვევლია, ამის გამო, ავტორის თხოვნით, ხელ-მეორედ ვბეჭდავთ ამ შენიშვნას, რომლის თარგმანი ახლა ჩვენ თვითონ ავტორისაგან მივიღეთ:

„კავკაზის“ 328 №-ში იყო ცნობა, რომ „იურიდიკულს მიმოხილვას“ არ მოსწონებოდა იმას წინეთ მოყვანილი ამბავი, რომ ახალი ქართული გრამმატიკა იბეჭდება თურმე პეტერბურღშიო და თავისი განკვირვებაც წარმოეთქვა, როგორ თუ რუსულ გაზეთს „კავკაზს“ ქართული მნიგნობრობის შესამატი ამბავი მოსაწონად მიუღლიაო.

ეს ითხოვს ჩემგან რამდენსამე განმარტებას და გთხოვთ თქვენსავე გაზეთში დამიბეჭდოთ.

ერთხელ თუ საზოგადოებას რომელსამე თავის-თავად უცხოვრია და წარმატების გზასა მდგარა, და ამასთან თუ საისტორიოთაც უმოქმედნია რამე, შეუძლებელია, რომ ამ საზოგადოებაში არ დაბადებულყო, თავის-თავადვე, შეგნება, რომ სხვა საზოგადოებათაგან ცალკე ხალხადა ვართ ახლა გამორკვეულნიო და რა რომ ეს ითქმოდა, უსაცელოდ უნდა დაჰყოლოდა ამას განსაკუთრებული თავისი სახალხო სახელიცა და თავისი საკუთარი მეტყველებაცა.

საქართველო ისტორიულად სცხოვრებდა, როგორც ერთი მტერთა შორის ცალკე გამდგარი სამეფო და არსებობდა ისე ორიათას წელიწადზედ მეტს ამ ას წლოვანი საუკუნეს

დამდეგამდის. მარტოდ-მარტო ებრძოდა მტერსა, რომელიც ყოველის მხრით გარს ეხვია და, იმათ გარდა, სამრთელ ქვეყნო დამპყრობელთ მხედართ მთავართაცა, – და აიტანა არა-ერთი დაკვეთება იმათი, შეუმაგრდა არა-ერთხელ იმათ-გან ზედა დასხმას, რომელიც, ვინ იცის, იქნება სულ მთლად ქრისტიანობასაც ემუქრებოდა. ამითი სამსოფლიო ისტორიასთანაც მიუძღვის საქართველოს ღვანლი და მართლმადიდებლობასთანაც, სინამდის რომ იცავდა იმისას თავისი შვილების მოღვაწეობით, რომელთაგან გამოდიოდნენ წმინდა მაკურთხეველნი და დიდნი მონამენი.

ამისი ეჭვი არ შემოიტანება ქართველებზედ. მაშ არც ეს ეჭვი შემოიტანება, რომ უფლება ჰქონდეთ თავისი ძველებური დედა-ენა იხმარონ შინაურ უბნობაშიაც და ლოცვა ვედრებაშიაც, რომელსაც აღუვლენენ სამსოფლიო საქმედ უზენაესს განმგებელს. დედა-ენა დიდად წმიდა სალოცავია ყოველი ხალხისათვის; და ამ გვარის სამღვთო სინამდის შეხებას ხომ განმართლება არა აქვს-რა, თუ არ ერთი უსაკობის (დედანი: невменяемость – შეურაცხაობა – თ. ჯ.) მიზეზით. ეს თავის-თავად იგულისხმება ყოველგან და უმეტესად ხელმწიფობათა შორის ყოველის უდიდესს რუსეთის ხელმწიფობაში. – მოხერხდებოდა კიდევ როგორიმე პოლიტიკური გამართლება, რომ ან წინააღმდეგობა ყოფილიყო რამე მორჩილსა და მფლობელს ნათესავთა შორის; – ან სარწმუნოებითი განდგომილება შეუპოვარი; – ან სხვა-და-სხვა ისეთი რამ ერთმანერთზედ დაშორებული მიმართულება, რომ რაც ერთს არგებს, ის მეორეს აწყენდეს; – და ან სხვა ამ გვარი რამე მიზეზი; მაგრამ ქართველებს ამისთანა მიზეზი ვერც ერთი ვერ მოგვეკარება. სადაც ერთი ტომი მეორეს ნება-ყოფლობითა და თავისი საკუთარი სურვილით დაუხელქვეითდა, იქ იმისაგან მფლობელის წინააღმდეგობა ყოველად მოუფიქრებელია; და თუ მფლობელის მდაბალი მოხელეები მაინცა და მაინც იმას ადგანან, რომ ეს წინააღმდეგობა გამოინვიონ როგორმე, მაშინ კეთილ სვინდისიანობა ყველას ვალადა

გვდებს გავაფრთხილოთ ისინი, რომ გონიერებას დაადგენ; თორემ ერთხელაც არის გაიგებს იმათს საქციელს უმაღლესი მთავრობა და მაშინ – ბრალი ვილასი?

სარწმუნოებითი განდგომილება ხომ უფრო შეუძლებელია, სადაც განსხვავება არა არის-რა არცა რწმენაში და არცა წესში. ქართველები ათას ხუთასის წლის განმავლობაში ხელ შეიარაღებულნი ვიფარავდით ჩვენს მართლ-მადიდებლობას; მაგრამ ძალა აღმართა ხნავსო, ამისი არ იყოს, საქმე რომ გაგვიძნელდა, რუსეთის მართლ-მადიდებლობას შევეფარენით ძმურის გრძნობით და ქრისტიანული მინდობილებით. – განდგომილებას რაღა ადგილი უნდა ჰქონდეს აქა.

მიმართულებისა და ლტოლვის სხვა-და-სხვაობა ჩვენის მხრით საფიქრებელი იქნებოდა ერთად ერთს შემთხვევაში, შესაძლებელი რომ ყოფილიყო როგორმე საფუძვლიანად თქმა, ქართველებს მტრობა ჰქონიათ როდისმე რუსებისაო, – ან, თუნდა ესეც, ქართველები თავისი მეფის, რუსეთის გვირგვინოსნის ერთგულნი ისე ვერა ყოფილან როდისმე, როგორც სხვა იმის უერთგულესი ქვეშევრდომებო, მაგრამ ან ამისი თქმა რა საფიქრებელია.

ამ სახით, სადაც კი უზენაესი სიმართლე ჰსუფევს და ხელმწიფობის კეთილ მოსურნეობა, – არა არის რა მიზეზი, რომ მტრულად ეკიდებოდეს ვინმე ისეთი მრავალ-წამებულის ხალხის ენას, რა ხალხადაც რუსთ-ქვეყნის წინაშე ვდგევართ ძველთაგანვე მართლ-მადიდებელი ქართველები.

სახელმწიფო ენა *საჭიროა*, როგორც სიცოცხლის ღონე, ყველასათვის, ვინცა ვინ სამმართველებო წრეში იმყოფება, ვისაც თავი გადაუდვია მმართველობის სამსახურისათვის. ამათ უნდათ შემწეობა, რომ საფუძვლიანი სწავლა შეიძინონ ამ საერთო ენისა. არც კი მმართველობა ჰზოგავს, რაც ამას ხარჯი მოუნდება; მაგრამ ფულის ხარჯს გარდა, აქ სხვა რამ არის კიდევ საჭირო, – და ამ სხვისა რისამე მოცემა შეუძლია მხოლოდ პედაგოგიას, თუ უწვეველმა მოსაქმებმა ისიც არ

გაანზილეს. წმინდა პედაგოგია ითხოვს, რომ პირველ-დან-ყებითი სწავლა და გონების გახსნა ყმანვილისა ემყარებოდეს იმის დედა-ენაზედ. მხოლოდ მაშინ შეიძლება ყმანვილების გამოზდა გონების დაუჩაგრავად, ტვინის გამოუთქვეფავად; ამიტომ რომ ვინც უფრო ღრმად იცის თავისი დედა ენა, იმისთვის უფრო ადვილია შესწავლა სხვა **საჭირო** ენისა. დამფიქრებელნი ამაზედ აღარსად ბაასობენ.

ახლა ორიოდ სიტყვა გრამმატიკაზედ, რომლის გამოსვლას აგრე ამრეზილად უყურებს „იურიდიკული მიმოხილვა“. – ეს წიგნი სხარტულად არის დანერილი ჩემი შვილებისათვის (მაგრამ ჩემის ხნის კაცი ყველა ახალ თავობას ისე უყურებს, როგორც თავის შვილებს) და მართლა, ირკვევს ახლანდელის, სასაუბრო ენის კანონებს.

შემიძლია აქ მხოლოდ ეს დავსძინო კიდეც, რომ ქართული ენის მოძულეებს ცოტად არ გაუკვირდებათ, მგონია, როდესაც შეიტყობენ, რომ ამ ენასა აქვს ისეთი რამ თვით-სახოვნება და აუარებელი სიმდიდრე სიტყვათ-მოყვანილობისა, რომ ვერ წარმოადგენდეს იმისთანას ვერც ერთი ძველთა თუ ახალთა ევროპის ენათაგანი; და ამაში ხომ დიდი შემსუბუქება არის ყოველი სხვა ენის სწავლისათვის.

რაც შეეხება ქართულს ანბანს, აღარცა ვინ ამაზედ ბაასობს ახლა, რომ, თუმცა სამგვაროვანია, – მაგრამ უფრო მარტივია და მაშასადამე უფრო სრული ყველა სხვა ანბანზედ, რაც კი თვალწინ გვიძევს.

### **დიმიტრი ყიფიანი“.**

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ავტოგრაფული ხელნაწერი შავია, თუმცა, ჩანს, იგი ადრე გადათეთრებული იყო და მოგვიანებით ავტორს ამ გადათეთრებულ ვარიანტზე (უნდა ვიფიქროთ, დიმ. სტაროსელსკისთან მიმონერის შემდეგ) კვლავ უმუშავია: შეუცვლია ზოგიერთი პასაჟი, პოლემიკური სიმწვავის შესარბილებლად აქა-იქ ამოულია ცალკეული მონაკვეთები, რომელთაგან ზოგიერთი ისევ აღუდგენია და სხვ.; ჩვენ ნაბეჭდი

– როგორც რუსული, ისე ქართული – ვარიანტებისა და ავტოგრაფული ხელნაწერის შეჯერების გზით ტექსტი აღვადგინეთ, რამაც, თავის მხრივ, მისი თავიდან თარგმნა მოითხოვა. **წინამდებარე პუბლიკაციას საფუძვლად ხელნაწერი უდევს; ხელნაწერში არსებულ, მაგრამ ნაბეჭდში დაკლებულ მონაკვეთებს ვბეჭდავთ კურსივით.**

<sup>1</sup> (გვ. 96) „**მოსკოვის ერთი გაზეთი წამდაუნუმ „მღერის“...**“ – იგულისხმება გაზეთი „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ (1756-1917), ყოველდღიური (1859 წლიდან) საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი, გავლენიანი და პოპულარული გამოცემა რუსეთის იმპერიაში. 1863 წელს გაზეთს ხელახლა ჩაუდგა სათავეში მიხეილ კატკოვი და იგი რუსული შოვინისტური იდეოლოგიის საყრდენად და პოპულარიზატორად აქცია [მ. კატკოვი გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორი მწინამდევ იყო (1851-1856). საერთოდ უნდა ითქვას, რომ მ. კატკოვი 1863 წლამდე მხურვალე ქომაგი იყო რუსეთში სიტყვის თავისუფლებისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტთა შემოღება-დამკვიდრებისა; ენერგიულად მოქმედებდა პრესის ცენზურის წინააღმდეგ და სხვ.; 1863 წლის იანვარში იგი, როგორც ითქვა, დაბრუნდა „მოსკოვსკიე ვედომოსტიში“, იმავე დღეებში დაიწყო პოლონეთის 1863-1864 წწ. აჯანყება და, აქედან მოკიდებული სიცოცხლის ბოლომდე მ. კატკოვი რუსული დიდმპყრობელობის აპოლოგეტი და იმპერიაში გაერთიანებულ არარუს ხალხთა ნაციონალური ინდივიდუალობის ყოველგვარი გამოვლენის დაუძინებელი მტერი გახდა].

<sup>2</sup> (გვ. 96) „**იმეორებს ჩვენი „იურიდიჩესკოე ობოზრენიე“**“ – ყოველკვირეული ჟურნალი „იურიდიჩესკოე ობოზრენიე“ („Юридическое обозрение“. 1881-1886) თბილისში გამოდიოდა [ზემოთ ნახსენები სტეპანოვი (ალექსანდრე ვასილის ძე. 1845-1887) ამ ჟურნალის რედაქტორი იყო; აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ წყაროებისა და ლიტერატურის მიხედვით, ალ. სტეპანოვი ზოგადად ასიმილაციური პოლიტიკის მომხრე არ ჩანს. მაგალით-



ად, გაზეთ „ივერიაში“ მისი დამოკიდებულება ნაციონალური საკითხისადმი ასეა გადმოცემული: „ჩვენის აზრითო, – სწერდა იგი, – ყოველს ერს ბუნების მიერ მინიჭებული აქვს უფლება, რომ თავისის გენიის თვისებურობა და ნიჭი განივითაროს; რამდენადაც უფრო ფართო და თავისუფალი იქმნება ეს განვითარება, იმდენად უფრო ძვირფასს განძს შესძენს იგი (ეროვნება) საკაცობრიო და საეროვნო სულის სალაროსო“ (ივერია 1897)].

### ბანკის საქმეზედ (102-105)

#### ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიძ. ყიფიანის არქივი, საქ. №106. შავი. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 2.

#### ნაბეჭდი:

„დროება“, 29 ივნისი, 1883, №124.

შ. ჩხეტია. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობაზე. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 3. 1947, გვ. 386-388.

დიძ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები და ბოლოსიტყვა დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: ლომისი. 1995, გვ. 49-56.

ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, ტ. XX (ტომის შემდგენელი: ა. ბაქრაძე, თ. ჯოლოგუა). ტომის რედაქტორი თ. ჯოლოგუა, მისივე შენიშვნებითა და ბოლოსიტყვით. თბილისი: ნაკადული. 2003, გვ. 101-104.

დიძ. ყიფიანი. წერილები. წინასიტყვაობა რ. ამალღობელისა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2010, გვ. 41-46.

„დიმიტრი ყიფიანი – 200“. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: 2014, გვ. 829-831.

სათაური: ბ. რედაქტორო! (სარედაქციო სათაური – „წერილი რედაქტორთან“).

თარიღი და ადგილი: 1883 წ. 26-ს ივნისს. ს. ქვიშხეთი.

**ხელმოწერა:** თქვენი გულითადი პატივისმცემელი **დიმიტრი ყიფიანი**.

გადმოგვაქვს პირველნაბეჭდი. ვიმეორებთ შ. ჩხეტიასეულ დასათაურებას – „**ბანკის საქმეზედ**“ (ჩხეტია 1947: 386). დიმ. ყიფიანის მიმართვის ადრესატია „დროების“ იმჟამინდელი რედაქტორი ივანე მაჩაბელი.

იმ საკითხის შესახებ, რომლის გარშემოც დიმ. ყიფიანს პოლემიკა აქვს გამართული, ლევან ყიფიანს უწერია:

„1883 წლის 1 მაისს (**უნდა იყოს: 31** მაისს. იხ. დროება 1883<sup>ა</sup>– თ. ჯ.) სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საერთო კრებამ გადაწყვიტა, შეექმნა სამი პირისგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაეკისრებოდა:

1. ბანკის არსებობის 8 წლის განმავლობაში საქმისწარმოების, ანგარიშგებათა, აგრეთვე, საბანკო ოპერაციების მიმდინარეობის გადასინჯვა. ეს ყოველივე მიზნად ისახავდა ახალი მონაცემების საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების შეტანას როგორც მოქმედი წესდების ცალკეულ მუხლებში, ისე ბანკის მმართველობის პრაქტიკულ საქმიანობაში.

2. ბანკში დაგირავებული მამულის შეფასების ისეთი წესების შემუშავება, რომელშიც უწინდელზე უფრო სრულად იქნებოდა გათვალისწინებული ადგილობრივი თავისებურებები როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

3. ისეთი უფლება-მოვალეობების ჩამოყალიბება, რომლებიც სესხის ამღებს გაუადვილებდა, ერთი მხრივ, კრედიტის აღებას და, მეორე მხრივ, ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

4. ისეთი პირობების განხილვა და გამორკვევა, რომელიც განამტკიცებდა ნდობას ბანკისადმი და ამ მხრივ დააყენებდა მას იმ სიმაღლეზე, წესით რომ უნდა სჭეროდა კიდევაც ფინანსურ წრეებში. კომისიას მიენიჭა კოოპტაციის უფლება.

5. კომისია ვალდებული იყო, შეემონებინა წინა წელიწადში დაგირავებულ მამულთა შეფასების სისწორე და ისიც

გამოერკვია, თუ ვის უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა მოსალოდნელ ზარალზე.

კომისია მიმდინარე საბანკო ოპერაციათა განხილვისას აღჭურვეს ყველა იმ უფლებით, რომელიც საბანკო-სარევიზიო კომისიას ჰქონდა – წინასწარი გაფრთხილების გარეშე ბანკის დავთრებისა და სალაროთა შემოსემების ჩათვლით“ (ყიფიანი 1912; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 131-132).

კრებამ კომისიაში სამი პირი აირჩია: დავით ყიფიანი, გიორგი თარხან-მოურავი (თარხნიშვილი) და გიორგი თუმანიშვილი. „სამთა კომისიამ“ მუშაობაში დიმი. ყიფიანის მიწვევა ჩათვალა საჭიროდ და ამ მიზნით დავით ყიფიანმა მას 1883 წ. 15 მაისს თბილისიდან ქვიშხეთში თანამშრომლობის თხოვნის წერილი გაუგზავნა (დავ. ყიფიანის წერილი იხ. კავკაზ 1883<sup>3</sup>; დედანი იხ. ყიფიანი 1683). დავით ყიფიანმა ადრესატისგან კატეგორიული უარი მიიღო:

„თქვენი წერილი ამ თვის 15[-ისა] მივიღე, რომელშიაც მკითხავთ: შემძლიან, თუ არა, ან რა მონაწილეობას მივიღებ სამის პირისაგან შემდგარ კომისიაში.

თავს ვიხრი ამ არაჩვეულებრივ მოვლენის წინაშე, რომ „სამთა კომისია“ მე მთელის თავად-აზნაურთა ბანკის ინიციატორად და მისი კეთილდღეობა ჩემთვის სასურველად მიაჩნია, მაგრამ:

მე არ თანავუგრძნობ თბილისის თავად-აზნაურთა ბანკის ეხლანდელს მიმართულებას, ამიტომ, რომ მე მინდოდა ბანკის დაარსება მინის მფლობელთა და მინის მუშაკთათვის და ეხლანდელი ბანკი ხელს უწყობს უფრო ქალაქის სახლებლის პატრონებს; მის დამფუძნებელთ კი, ე. ი. თავად-აზნაურრობას, კრედიტი გაძნელებული აქვს, მინის მუშაკისათვის კი ხომ სრულიად დაკეტილია ბანკის კარები. ამისთანა ბანკის ინიციატორად (მოთავედ) მე თავის დღეში არა ვყოფილვარ; უფრო ნაკლებ თანავუგრძნობ სამ პირთაგან შემდგარს კომისიას, რადგან ის არის ნაწყვეტი იმავე ზედამხედველის კომიტეტისა, რომელიც, იმის მაგიერ, რომ თხოულობდეს

ბანკის ყველა საქმეების განხილვას, როგორც ფორმითაც უნდა მოხდეს ეს განხილვა, რასაც შეუძლია მისი რეპუტაციის აწევა და დამკვიდრება, ყოველ გვარს წინააღმდეგობას უწევდა საზოგადო ყრილობის სურვილს და ბოლოს დასთანხმდა კომისიის დანიშვნას, მხოლოდ იმავე ზედამხედველის კომიტეტის წევრთაგან შემდგარს.

მე ჩემს დღეში არა მქონია ნიჭი, ვისურვო წარმატება იმ პირთა და იმ დაწესებულებათათვის, რომელთაც არ თანავუგრძნობ. ეს იყო მიზეზი, რომ ბანკის გახსნისთანავე მე უარ-გყავი ყოველივე მონაწილეობა ზედამხედველის კომიტეტის მოქმედებაში, თუმცა მას ჰნებავდა ვეგულებინე მის წევრად. ეს არის მიზეზი, რომ ეხლაც გადაჭრილ უარს ვაცხადებ და მისს საქმეებში არაფერს მონაწილეობას არ მივიღებ. ამ სამ პირთა კომისიას ისე ვუყურებ, როგორც ფრაქციას (ნაწილს) იმავე ზედამხედველის კომიტეტისას“ [დანერილია ქვიშხეთში, დათარიღებულია 1883 წ. 20 ივნისით. გამოქვეყნდა გაზ. „კავკაზში“ (კავკაზ 1883<sup>ა</sup>), ითარგმნა და გადმოიბეჭდა „დროებაში“ (დროება 1883<sup>ა</sup>). აქ ამ უკანასკნელ პუბლიკაციას ვიმონმებთ. დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული ხელნაწერის შავი (რუსულ ენაზე) იხ. ყიფიანი 802; გადათეთრებული ტექსტი დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, სიმონ ხუნდაძის ფონდში. გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე შ. ჩხეტიას (ჩხეტია 1947: 385)].

მთელი ეს ისტორია იმით დამთავრდა, რომ „სამთა კომისიამ“ საფუძვლიანად შეისწავლა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ცხრანწლიანი მუშაობა და შედეგები 1884 წლის მაისში მოხსენების სახით წარუდგინა თავადაზნაურობის კრებას (საკითხის შესახებ იხ. თელია 1989: 109-116; ხსენებული კრების ვრცელი ანგარიში იხ. დროება 1884<sup>ა</sup>; ი. ჭავჭავაძის სიტყვა კომისიის მუშაობის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ იხ. დროება 1884<sup>ა</sup>).

დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილს მკაცრი პასუხით გამოეხ-

მაურა ი. ჭავჭავაძე (ჭავჭავაძე 1883: 129-139; ჭავჭავაძე 1955: 260-269), მოგვიანებით კი, 1886 წელს, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საკრედიტო პოლიტიკის გარშემო პოზიციათა განსხვავებულობა ორი მოღვაწის მწვავე პოლემიკაში გადაიზარდა (იხ. აქვე: დიმ. ყიფიანის წერილების სერია „პასუხი ილია ჭავჭავაძეს“).

<sup>1</sup> (გვ. 102) „...გაზეთის №121-ში მოყვანილმა ბანკის საქმეზედ მსჯელობამ“ – იგულისხმება გ.ზ. „დროების“ პუბლიკაცია (დროება 1883<sup>ა</sup>), რომელიც ხელმოუწერელია (როგორც დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილით ირკვევა, მისი ავტორი „დროების“ იმჟამინდელი რედაქტორი ივ. მაჩაბელია) და რომელშიც გადმოცემულია „სამთა კომისიის“ შექმნის მოკლე ისტორია, ჩართულია დიმ. ყიფიანის ზემოთ დამოწმებული წერილი დავით ყიფიანისადმი და დართული აქვს დიმ. ყიფიანის პოზიციის რედაქტორისეული შეფასება (იხ. ქვემოთ – კომენტ. 4).

აქ გასარკვევი რჩება ერთი საკითხი: „დროების“ 1883 წლის 25 ივნისის 121-ე ნომერში რედაქტორად მითითებულია სერგეი მესხი, თუმცა ეს საქმის მხოლოდ ფორმალური მხარეა – ავადმყოფობის გამო „1883 წლის მაისის პირველ რიცხვებში ს. მესხმა სამუდამოდ დატოვა „დროება“ (ბოცვაძე 1968: 70), მანამდე კი ემოციური ტექსტით „ჩემს მკითხველს“ დაემშვიდობა საზოგადოებას (მესხი 1883; მესხი 1964<sup>ა</sup>: 413-415). ს. მესხის შემცველი ივ. მაჩაბელი „დროებას“, როგორც რედაქტორი, ხელს აწერს 1883 წ. 122-ე ნომრიდან.

<sup>2</sup> (გვ. 102) „ძლივს-ძლივობით დაწყნარდა ჩვენი ასე ახირებულიად ატეხილი სოდომ-გომორაცა“ – „სოდომ-გომორა“, გარდა ბიბლიური შინაარსისა (გარყვნილების ცოდვა), „უნესრიგობის, ალიაქოთის, აურზაურის“ მნიშვნელობითაც იხმარება (შავიშვილი 1975: 100). უნდა ითქვას, რომ სხვა ენებშიც – მაგალითად, რუსულ ენაში – სიტყვა „სოდომი“, გარდა იმავე ბიბლიური შინაარსისა, გამოხატავს აგრეთვე „უნესრიგობას, ხმაურს, განამანას“ („Содом ... Крайний беспорядок, сильный шум, суматоха“

– უშაკოვი 1940: 353).

<sup>3</sup> (გვ. 104) „თქვენა გკითხავთ, ბატონო „დროების“ რედაქტორო“ – გაზეთ „დროების“ რედაქტორი ამ დროს, როგორც ზემოთ ითქვა (კომენტ. 1), ივ. მაჩაბელია.

<sup>4</sup> (გვ. 104) „თქვენია ჩემი „კავკაზში“ დაბეჭდილი პასუხის დიალ მახვილი პასუხი და თქვენა ბძანდებით ბანკის გამგეობის მენინახეთაგანი“ – „კავკაზში“ დაბეჭდილ პასუხში“ დიმ. ყიფიანი გულისხმობს გაზ. „კავკაზის“ 1883 წლის 141-ე ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციას, რომელიც ეხება „სამთა კომისიის“ შექმნას და მასში ჩართულობას: ა) დავ. ყიფიანის წერილი დიმ. ყიფიანისადმი; ბ) დიმ. ყიფიანის პასუხი დავ. ყიფიანისადმი (კავკაზ 1883<sup>ბ</sup>); „დიალ მახვილ პასუხში“ კი იგულისხმება დიმ. ყიფიანის პოზიციის ივ. მაჩაბლისეული შეფასება:

„რასაკვირველია, ძალად თანაგრძნობის აღძვრა იმ საქმისადმი, რომელსაც არ თანაუგრძნობ, ძნელია, მაგრამ ერთი რამ გვაკვირვებს პატივცემულის დ. ი. ყიფიანის წერილში. კომისია ზრდილობიანის წერილით სთხოვს მას მონაწილეობა მიიღოს წესდების შეცვლასა და მსესხებელთა მდგომარეობის გაადვილებაში და პატივცემული დ. ყიფიანი პასუხად უგებს: მე არ მივიღებ მონაწილეობას, რადგან წესდება ცუდად არის შედგენილი და სოფლის მამულის პატრონებს ბანკიდან ფულის აღება გაძნელებული აქვთო. კომისიის წევრთ შეუძლიანთ ბ. დ. ყიფიანს მიუგონ – ჩვენც იმიტომ გთხოვთ რჩევას, რომ წესდება სასიკეთოდ შეიცვალოს და მსესხებლებს გაუადვილდეთ, როგორც სესხის აღება, ისე სარგებლის გადახდაო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როდესაც შარშან ბ. დიმ-იტი. ყიფიანმა ტელეგრამით თანხმობა გამოაცხადა ბანკის გამგეობის თავმჯდომარეობაზედ კენჭის ყრისა (თუმცა თავის წერილში ბძანებს, რომ თავის დღეში არ თანაუგრძნობდი და განზე ვუდექ იმ ბანკს, რომელიც ახლა არსებობსო), – ეს თანხმობა მხოლოდ იმიტომ გამოაცხადა, რომ როგორც გამგეობის თავმჯდომარეს, ბანკის წესდების შეცვლაზედ

გავლენა ჰქონოდა; მაგრამ ამაზედ დარწმუნებული ვართ, რომ როგორც უმთავრეს მრჩეველს იმ კომისიისას, რომელმაც ბანკის მოქმედება სრულიად უნდა გადასინჯოს და წესდება შესაფერისად უნდა შესცვალოს, – კიდევ უფრო მეტი გავლენა ექნებოდა ბანკის საქმეებზედ. მაშ რადა სთქვა უარი პატივცემულმა დ. ი-ქემ ყიფიანმა უბრალო რჩევის მიცემაზედ, – ჩვენ არ გვესმის.

როგორც წერილიდამა სჩანს, ბ. დ. ყიფიანს ძვირფასი რჩევა უნდა ჰქონდეს მოსაცემი, მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ საზოგადო აზრებით იცილებს თავიდან ამ მოვალეობას საზოგადოების წინაშე. ჩვენ ბედნიერნი ვიქნებოდით, რომ საზოგადო აზრები წვრილს შენიშვნებად დახურდავებულიყო და ბანკის წესდების ყოველივე მუხლი, რომელიც მავნებლად მიაჩნია, ბ. ყიფიანს უწყალოდ კრიტიკის ქვეშ გაეტარებინა. თუ კომისია ღირსი არ არის ამ ცნობების შექენისა, საზოგადოებას, გვგონია, არა დაეშავებინოს-რა, და იმედი გვაქვს, პატივცემული ავტორი წერილისა გულში არ ჩაიმარხავს და საზოგადოებას მაინც გაუზიარებს თავის ცოდნისა და გამოცდილების ნაყოფს“ (დროება 1883<sup>ა</sup>).

<sup>5</sup> (გვ. 104) „**მე არათუ შარშან პეტერბურლიდამ... – 1882 წლის** იანვრიდან ივნისამდე დიმიტრი ყიფიანი პეტერბურგში იმყოფებოდა ნიკო დადიან-მინგრელსკის მაიორატთან დაკავშირებული საქმეების გამო (1880-1882 წწ. დიმიტრი იყო წევრი დროებითი სახელმწიფო კომისიისა, რომელიც პეტერბურგში, სახელმწიფო ქონების საქმეთა სამინისტროში, იყო დაარსებული და სამეგრელოს მამულებზე ნიკო დადიანის უფლებების განსაზღვრას ისახავდა მიზნად. ამ საქმეზე პეტერბურგში ყოფნის შესახებ თვითონ დიმიტრი ყიფიანს უწერია თავის „მემუარებში“ – ყიფიანი 1990: 80-96; იხ. აგრეთვე: ყიფიანი 2012: 263-273, 330-338).

## ხიზანთა საკითხი (106-113)

**ნაბეჭდი:** ჟურნ. „Юридическое обозрение“. 24 მაისი, 1884, №165, გვ. 97-102.

**სათაური:** Хизанский вопрос.

**თარიღი და ადგილი:** 17 მაისი 1884 წ. სოფ. ქვიშხეთი.

**ხელმოწერა:** Дмитрий Кипиани.

1864 წლის საგლეხო რეფორმა ხიზნებს არ შეეხებია. შესაბამისად, პრობლემა სამართლებრივად არ მოგვარებულა და ამიტომ საკითხმა დიდხანს შეინარჩუნა სიმწვავე, ხოლო 1880-იანი წწ. იგი სპეციალური მსჯელობის საგნად იქცა. დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი ამ საჯაროდ გამართული დისკუსიის ნაწილია (ი. ჭავჭავაძის შეხედულებები ხიზნების საქმის შესახებ იხ. ჭავჭავაძე 1956<sup>ბ</sup>: 113-177; საინტერესოა სიმ. ხუნდაძის შეხედულება: „80-იან წლებში ხიზანთა საკითხში დ. ყიფიანისა და ი. ჭავჭავაძის პროგრამა შეხვდა ერთი მეორეს“ – ხუნდაძე 1936: 151).

საჟურნალო ტექსტს წინ უძღოდა მიმოწერა დიმ. ყიფიანისა და თბილისის გუბერნატორ ალ. გროსმანს შორის. კერძოდ, 1884 წ. 22 აპრილს გუბერნატორი დიმიტრის სთხოვს, მონაწილეობა მიიღოს ხიზანთა საკითხის განხილვაში (ყიფიანი 356; ჩხეტია 1947: 398), რასაც მოჰყვა დიმ. ყიფიანის პასუხი ქვიშხეთიდან (მიმოწერა რუსულ ენაზეა): „დიდად ვწუხვარ, მაგრამ ამჟამად თბილისში ჩამოსვლა არ შემიძლია. თუ ჩემი აზრი ხიზანთა შესახებ საქმისათვის სასარგებლოდ მიგაჩნიათ, შემიძლია ეს აზრი წერილობით მოგაწოდოთ; ამისათვის კი თუნდაც მცირე ხნით დამჭირდება, ხელთ მქონდეს ცნობები საქმის არსის შესახებ და საგუბერნიო საკრებულოს დასკვნა“ (ყიფიანი 356; ჩხეტია 1947: 399).

<sup>1</sup> (გვ. 107) „ტაბარუკები და ბოგანოები არსებობენ“ – „ტაბარუკი“: უმიწო გლეხი, რომელსაც არ გააჩნია წარმოების საშუალებები (ქსე 1985: 634; სულხან-საბასთან: გლეხი-ახალ მოსული – ორბელიანი 1966: 130); „ბოგანო“: უვენახო, მცირემ-



ინიანი, ხელმოკლე გლეხი (ქსე 1977: 435-436; სულხან-საბასთან: **უგარაკო გლეხი** – ორბელიანი 1965: 111).

<sup>2</sup> (გვ. 108) „**უცხო და უცნობი იყო ძველი საქართველოსთვის**“ – ოციოდე წლით ადრე, მის მიერვე შედგენილ საგლეხო რეფორმის პროექტში დიმი. ყიფიანი ამბობს – ხიზნობა საქართველოში ძველ დროშიც არსებობდაო, თუმცა არ აკონკრეტებს, ჩვენი წარსულის რომელი მონაკვეთიდან იწყებს იგი ხიზნობის ისტორიას („ადგილმამული ჩვენს ქვეყანაში არც ეკლესიას აკლია და არც ხაზინას; არა თუ მათის უწყების კაცნი, საბატონო მამულებზედ ხიზნად მყოფნი, ბევრი იმათზედ უმრავლესნიც მოთავსდებიან თავისუფალს ადგილმამულებზედ. სახაზინო მამულების გამგებელთ მეცადინეობა არას დროს არ დაუკლიათ, რომ ხიზნები თავისი უწყების ადგილზედ დაებინავენინათ. მაგრამ ზემორე მოხსენებული რიცხვი ხიზნებისა მაინც საბატონო ადგილმამულებზედა რჩება და რიცხვი ესე უფრო და უფრო ჰმატულობს, და აქამომდე არც მაგალითი მომხდარა, რომ საქართველოში გაპროლეტარებულ იყოს ვინმე, ესე იგი, უბინადრო კაცი იპოვებოდეს სადმე, თუ არ რამდენიმე შინა ყმა ობოლი. ქართველი კაცი თავის ადგილიდამ ადვილად არ დაიძვრის: მშობელი ქვეყანა უყვარს, სალოცავს ტაძარს უერთგულებს და მამა-პაპის ძვლებს ვერ განეშორება, თუ საქმე დიდად არ უჭირს; და მრთელმა ჩვენმა ქვეყანამ იცის, რომ ხიზანს არც არა უჭირს რა და არცა რა სათაკილოა იმის ყოფა ცხოვრებაში; მამულის პატრონებსა და მათ შორის შეურყევლად არსებობს ხათრი და პატივი ერთმანეთისა, ორისავე მხრისათვის ძვირად დასაფასებელი. **ხიზნობა ძველთა დროთაგან არსებობს საქართველოში** (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.) და არა თუ თავისუფალნი, საბატონო კაცნიც მრავალნი ეტანებიან ამ მდგომარეობასა, რადგან საქმით სასარგებლო არის ორისავე მხრისათვის. სწორედ ამ გვარსავე მაგრამ უკეთესს მდგომარეობაში იქნებიან ყმანიცა ჩვენი შემდგომ განთავისუფლებისა; უკეთესში ამით, რომ საუკეთესო ადგილმამულები ექნებათ და ყოვლად შეჭველია, რომ ამითი მოისპობა ჩვენს შორის ყოველი მიზეზი ერთი ერთმანეთზედ დამდურებისადა და ჩვენს საშინაო საქმეებში მმართველობისაგან ყო-

ველდლე გამორევისაცა“ – ჩხეტია 1950: 229-230).

<sup>3</sup> (გვ. 108) „...თრიალეთის საზღვრებში 10 წელიწადი იცხოვრა, ამით თავისი წინანდელი პატრონისაგან თავისუფლებას მოიპოვებს“ – ვახტანგის კანონების მიხედვით, „თრიალეთის საზღვრებში“ მცხოვრებ გლეხს თავისუფლების მოსაპოვებლად 12 წელიწადი სჭირდებოდა („თრიალეთზე, ქართველის ბატონის სახასოში, თორმეტის წლის წასული რომ მოვიდეს, [ძველ ბატონს] აღარ მისცემენ“ – ვახტანგ VI 1963: 531). ეს რიცხვი (12 წელიწადი) თვითონ დიმ. ყიფიანს სხვა ტექსტებშიც აქვს დამონმებული (ჩხეტია 1950: 72, 103, 346; გლეხთა ეს ნაწილი ამგვარი შეღავათით იმიტომ სარგებლობდა, რომ თრიალეთი ქართლის განაპირა მხარე იყო და იქ გადახვენილი გლეხი შემოსეულ მტერს პირველი უხვდებოდა – ჩხეტია 1950: XVII). რაც შეეხება 10-წლიან ვადას, იგი საქართველოში რუსეთის ხელისუფლებამ *ტყვედ ნამყოფ* საბატონო გლეხებზე 1830-იან წლებში დაანესა (ჩხეტია 1950: 89-90).

### პასუხი ილია ჭავჭავაძეს (გვ. 114-128)

#### I

**ხელნაწერი:**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი, საქმე №855. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 4.

**ნაბეჭდი:** „ივერია“. 22 მაისი, 1886, №109.

**სათაური:** ბატონო რედაქტორო! (სარედაქციო სათაური – „წერილი რედაქტორის მიმართ“).

**თარიღი და ადგილი:** 16 მაისი 1886 წ. ქუთაისი.

**ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

#### II

**ხელნაწერი:**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი, საქმე №856. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 2 (ხელნაწერს ახ-

ლავს დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული მინაწერი: „კნ. ილ. ჭ-ძეს“).  
**ნაბეჭდი:** „ივერია“. 1 ივნისი, 1886, №116.

**სათაური:** ბატონო რედაქტორო! (სარედაქციო სათაური – „წერილი რედაქციის მიმართ“).

**თარიღი და ადგილი:** 26 მაისი 1886 წ. ქ. ქუთაისი.

**ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

### III

**ხელნაწერი:**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი, საქმე №857. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 8.

**ნაბეჭდი:** „ივერია“, 26 ივნისი, 1886, №136.

**სათაური:** ბატონო რედაქტორო! (სარედაქციო სათაური – „წერილი დიმიტრი ყიფიანისა“).

**თარიღი და ადგილი** [ცალკეული მონაკვეთებისა]: 28 მაისი 1886 წ. ქუთაისი; 29 მაისი 1886 წ. ქუთაისი; 15 ივნისი 1886 წ. ს. ქვიშხეთი.

**ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

გადმოგვაქვს პირველნაბეჭდი. **დასათაურება ჩვენია.**

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საკრედიტო პოლიტიკით გამოწვეული დაპირისპირება დიმ. ყიფიანსა და ი. ჭავჭავაძეს შორის ჯერ კიდევ 1883 წელს დაიწყო (ჭავჭავაძე 1883: 129-139; ჭავჭავაძე 1955<sup>ა</sup>: 260-269), განახლდა ილიას მიერ 1886 წლის მაისში გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილებით (იხ. ქვემოთ: კომენტ. 1) და ეს დაპირისპირება რამდენიმე თვეს გაგრძელდა [ი. ჭავჭავაძის ტექსტები, რომლებიც „ივერიაში“ ხანგამოშვებით, 24 მაისიდან 17 ივლისამდე (№№111-116, 136, 144-147, 150-152, 154) იბეჭდებოდა, იხ.: ჭავჭავაძე 1956<sup>ა</sup>: 349-371, 384-418; იმავე პერიოდში (კერძოდ, ივნისში) და იმავე „ივერიაში“ (№№120-123) დაიბეჭდა ილიას პოლემიკური წერილები აკაკი წერეთლის საბანკო შეხედულებების წინააღმდეგ (ტექსტები იხ.

ჭავჭავაძე 1956<sup>ა</sup>: 371-384)].

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად კამათის სიმწვავისა და პრინციპული, უკომპრომისო პოზიციისა, პოლემიკური წერილების მთელი ეს სერია ილიამ ასე დაასრულა:

„უსამართლობა, უმადურობა იქმნება ჩვენ მიერ, რომ არა ვსთქვამთ, რა სამსახური გაუნია ბ-მა დიმიტრი ყიფიანმა ჩვენს ქვეყანასა. პირველ მას მოუვიდა ფიქრად ბანკი დაეარსებინა და დიდი ღვანლი, დიდი მხნეობა, დიდი მეცადინეობა იხმარა ამ სასახელო ფიქრისა და აზრის განხორციელებისათვის. მან დაიყოლია ტფილისისა და ქუთაისის თავადაზნაურობა, რომ ფული შეეწირათ ბანკის დასაარსებლად. მან მარტომ იდვა ეგ კისრად და მარტომ შეასრულა თვისის სახელის სასიქადულოდ. იგი მაშინ იყო გუბერნიის მარშლად და უნდა ვალიართ, რომ, ჩვენის ფიქრით, არც ერთს მარშალს არც მანამდე, არც მერმედ ასეთი დიდი ღვანლი, ასეთი დიდი სამსახური არ გაუნევია ჩვენის ქვეყნისათვის რაც უნდა სთქვან იმათ, ვინც ბანკის დაარსებაში ბოროტსა ჰხედვენ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ბანკი დიდი საქმეა ჩვენის ქვეყნისათვის და ამ დიდის საქმის დამწყობი, მეთაური და შესაძლოდ მქმნელი ბ-ნი დიმიტრი ყიფიანია. სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელ იქმნება მის სახელთანა“ (ჭავჭავაძე 1886<sup>ა</sup>; ჭავჭავაძე 1956<sup>ა</sup>: 418; ვიმონებთ პირველნაბეჭდიდან).

დიმ. ყიფიანის საბანკო შეხედულებების, მათ შორის, ი. ჭავჭავაძესთან პოლემიკის შესახებ იხ.: ჯორჯაძე 1989: 490-506; ხუნდაძე 1936: 158-177; თელია 1989: 110-114, 120-127; უთურაშვილი 1989: 97-113; მანსვეტაშვილი 1936: 165-166, 188-190.

<sup>1</sup> (გვ. 114) „ივერიის“ ამ თვის 13-ისა და 14-ის ნომრებში დაბეჭდილი არის ორი დიდი მონინავე მუხლი“ – იგულისხმება ი. ჭავჭავაძის მონინავე წერილები, რომლებიც „ივერიის“ 1886 წ. მაისის ნომრებში დაიბეჭდა (ჭავჭავაძე 1886<sup>ა</sup>; ჭავჭავაძე 1886გ; ჭავჭავაძე 1956<sup>ა</sup>: 343-345; ჭავჭავაძე 1956<sup>ა</sup>: 345-348) და რომ-

ლებშიც ავტორი თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საკრედიტო პოლიტიკაზე მსჯელობის შემდეგ დაასკვნის: „ეს მამულების გაუსყიდველობა ბანკის საქმეში სიზმარია და ეგ სიზმარი, მართალია, სანატრელი და სასურველია, მაგრამ მაინც სიზმარია და ოცნება. კიდევ ვიტყვით: ნეტარ არიან მორწმუნენი და ჩვენ კი ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში მაგ ნეტარებას გამოკლებულნი ვართ“ (ჭავჭავაძე 1886<sup>ბ</sup>; ჭავჭავაძე 1956<sup>ბ</sup>: 348).

<sup>2</sup> (გვ. 114) „**მე გახლავართ ერთი ამ ბანკების დამფუძნებელთა-განი**“ – იდეა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსებისა დიმი. ყიფიანს საგლეხო რეფორმის პერიოდში დაებადა (იხ. აქვე, დიმი. ყიფიანის თხზულება „საზოგადოებისა და ქვეყნის მომავლისათვის“). ამ საქმის მოსაგვარებლად დიმიტრიმ, ი. მანსვეტაშვილის თქმით, „აილო ხელში ყავარჯენი, ფეხთ ჩაიცვა, როგორც ჩვენი ხალხი იტყვის, რკინის ქალამნები, და ასე per pedes apostolorum (ფეხით, მოციქულთა მსგავსად – **ავტ. შენიშენა**) გაუდგა გზას. გადადიოდა სოფლიდამ სოფელში, როგორც ძველ დროს ბერები დადიოდნენ სოფელ-სოფელ კალმასობაზე“ (მანსვეტაშვილი 1936: 165). 1867 წლის მაისში თბილისში ჩატარდა გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობა, რომელმაც სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების შესამუშავებლად შექმნა სპეციალური კომიტეტი, რომლის საპატიო პრეზიდენტად არჩეულ იქნა გრ. ორბელიანი, თავმჯდომარედ კი – დიმი. ყიფიანი (ყრილობის შესახებ, აგრეთვე „კომიტეტის“ წევრთა სია იხ. დროება 1867<sup>ბ</sup>; უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძე ამ „კომიტეტის“ წევრად შეიყვანეს, როგორც თელავის მაზრის წარმომადგენელი). ამის შემდეგ დიმი. ყიფიანის ხელმძღვანელობით ბანკის პროექტის ხუთი პროექტი შემუშავდა, რომელთაგან მეხუთე, საბოლოოდ ჩამოყალიბებული და დახვეწილი, წარედგინა რუსეთის ფინანსთა სამინისტროს, მაგრამ მაშინ პროექტის დამტკიცება ვერ მოხერხდა. 1870 წლიდან დიმიტრი ჩამოშორდა ბანკის დაარსების საქმეს (საკითხის შესახებ იხ.: ასათიანი 1979: 31-95; თელია 1989: 8-31).

რაც შეეხება ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკს, იგი დაარსდა 1876 წელს, განყოფილება ჰქონდა თბილის-

შიც და, გარდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისა, „ოპერაციებს აწარმოებდა აგრეთვე ბათუმის, სოხუმისა და ართვინის ოლქებში“ (ქსე 1986: 572). 1879 წელს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მორიგ ყრილობაზე ერთმა ჯგუფმა ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მმართველის კანდიდატად დიმიტრი ყიფიანი დაასახელა, მაგრამ ნიკ. ყიფიანმა განაცხადა – მამაჩემისაგან უფლებამოსილი ვარ, მოვხსნა მისი კანდიდატურა, რათა ამ საკითხის გარშემო არსებული განხეთქილება არ გაღრმავდესო. ამის შემდეგ დარჩა ნიკოლოზ ლოლობერიძისა და დავით ბაქრაძის კანდიდატურები. აირჩიეს ნიკ. ლოლობერიძე (ჭიჭინაძე 1879).

<sup>3</sup> (გვ. 114) „**თქვენ ბრძანდებით... ამ გამგებლების პირველთაგანი**“ – ილია ჭავჭავაძე, დღიდან დაარსებისა, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე (მმართველი) იყო (ილიამ მორიგი დაპირისპირების ფონზე ბანკი 1905 წლის 23 ივნისს დატოვა – ასათიანი 1994: 203-204; ).

<sup>4</sup> (გვ. 115) „**მეურნედ ჩვენ დაგაყენეთ თქვენ სამნი...**“ – უნდა ვიფიქროთ, დიმიტრი ყიფიანი სამეულში გულისხმობს ილიას (ბანკის მმართველს) და ბანკის ორ იმდროინდელ დირექტორს: ივანე მაჩაბელსა და ალექსანდრე ჩოლოყაშვილს.

<sup>5</sup> (გვ. 116) „**დახათრიჯამებულნი რომ არა ყოფილიყვნენ...**“ – აქ: დარწმუნებულნი რომ არ ყოფილიყვნენ (ხათრიჯამი: დარწმუნებული, იმედიანი, არხეინი... – ქეგლ 1964: 1317).

<sup>6</sup> (გვ. 120) „...**სოკოლოვსა და ნულუკიძეს, მიეცა, ყმობის გაუქმების წინეთ, უსამართლოდ განთავისუფლებული გლეხების სამაგიერო სულზედ თერთმეტი თუმანიო**“ – მაიორ სოკოლოვისთვის სენატის 1858 წ. ივლისის გადაწყვეტილებით მიცემულ „სამაგიეროზე“ დიმიტრი ყიფიანს უწერია მის მიერ 1863 წელს შედგენილ საგლეხო რეფორმის პროექტში „ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა შეკრებილებისადმი მოხსენება ბატონყმობის საქმეზედ“ (ჩხეტია 1950: 267).

<sup>7</sup> (გვ. 121) „**იმ ორმოცი თუ სამოცი ათასი თუმნის ტრიალი არ არის ამ სუმის წარმომადგენელი?**“ – „სუმა“ (რუს. сумма): თანხა,

ჯამი; „სუმის წარმომადგენელი“ – თანხის ნაწილი/თანხის საფუძველი.

<sup>8</sup> (გვ. 122) „**ძველმა ბერძნებმა შეჰბედეს თურმე თავისს ღმერთსა: „იუპიტერო! სტყუვი და იმიტომ სწყრებოი“** – ავტორი იყენებს „ფრთიან გამოთქმას“, რომელიც სათავეს იღებს ძვ. ბერძენი მწერლის, ლუკიანე სამოსელის, ერთ-ერთი სატირიდან და გამოხატავს ისეთ მდგომარეობას, როცა პოლემიკისას მოპაექრე მხარეს არგუმენტი არ აქვს და ამიტომ თავის პოზიციას ემოციური სიტყვით/მოქმედებით გამოხატავს.

<sup>9</sup> (გვ. 127) „**მე ვიყავ ერთხელ მენგრელიის მთავრის აპეკუნად**“ – დიმ. ყიფიანი „მენგრელიის მთავრის აპეკუნად“ იყო 1859-1867 წლებში (უფრო ვრცლად იხ. აქვე, კომენტ. 1 დიმ. ყიფიანის ტექსტისა – „პრინცესა ეკატერინე დადიანის შესახებ“).

<sup>10</sup> (გვ. 127) „**ერთმა ვინმე ბ. ბოროზდინმა... რჩევამ ყოველი მისი მოთხოვნილება სამართლიანად აღიარაო**“ – აქ ნახსენები „ვინმე ბ[ატონი] ბოროზდინი“ არის რუსი მწერალი და სახელმწიფო მოხელე კორნილი ბოროზდინი, რომელიც 1853-1867 წწ. საქართველოში მსახურობდა, სამეგრელოს სამთავროს საქმეებში ხელისუფლების ინტერესებს იცავდა და ამის გამო დიმ. ყიფიანთან შეტაკებები მოსდიოდა. ამის შესახებ კ. ბოროზდინს უწერია თავის მემუარულ თხზულებაში „სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი“ (თარგმანი თ. სახოკიასი; დედნისეული სათაური „Закавказские воспоминания. Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 г.“; დიმ. ყიფიანთან ურთიერთობის, პეტერბურგში დიმიტრის გამგზავრების, იქ „სახელმწიფო რჩევის [საბჭოს]“ მიერ საქმის განხილვისა და იმპერატორ ალექსანდრე II-ის გადაწყვეტილების შესახებ იხ. ბოროზდინი 1934: 159-160, 280-282, 290-292, 311-320, 322, 324-328). დიმ. ყიფიანის მიერ აქ ნახსენებ „ერთ რუსულ ჟურნალში“ იგულისხმება „Исторический вестник“, რომლის ფურცლებზეც (1885, №№1-6) გამოქვეყნდა თავდაპირველად კ. ბოროზდინის მემუარები სათაურით – „Упразднение двух автономий“.

დიმ. ყიფიანის მიერ ნახსენები „კავკასიის კომიტეტი“ („Кавказский комитет“), როგორც საგანგებო უწყებათაშორისი

ორგანო, კავკასიასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად პეტერბურგში ნიკოლოზ I-ის ინიციატივით 1840 წელს დაარსდა. „კომიტეტი“ კომპლექტდებოდა უშუალოდ იმპერატორის მიერ და მასში შედიოდნენ სამხედრო, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, სახელმწიფო ქონების, იუსტიციის მინისტრები, აგრეთვე, ტახტის მემკვიდრე („კომიტეტის“ თავმჯდომარეები სხვადასხვა დროს იყვნენ: ალ. ჩერნიშოვი, ვ. ბუტკოვი და სხვ.). აქ განიხილებოდა ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება ალემატებოდა როგორც კავკასიის ხელისუფლების, ისე იმპერიის ცალკეული სამინისტროების უფლებამოსილებას. სპეციფიკური დატვირთვა „კავკასიის კომიტეტმა“ შეიძინა კავკასიაში მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის მმართველობის დროს, როცა იგი არსებითად მ. ვორონცოვის წარმომადგენლობით ორგანოდ იქცა. 1882 წელს გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვლის ინსტიტუტი და შემოღებულ იქნა ადრე არსებული პოსტი მთავარმართველისა. ცვლილებას „კავკასიის კომიტეტიც“ შეეწირა – ამ წელს იგი გაუქმდა (მოკლე ცნობები „კავკასიის კომიტეტის“ შესახებ იხ. Комитет кавказский – ბროკჰაუზი-ეფრონი 1895: 838).

**ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი  
ნ ე რ ი ლ ე ბ ი**

**ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალება (გვ. 131-135)**

**ნაბეჭდი:** „Кавказ“, 9 ნოემბერი, 1846, №45.

**ხელმოწერა:** Д. Кипиани.

ტექსტი, რომელიც იწყება სიტყვებით „Весть, выходящая из круга обыкновенных...“ უსათაუროა, უთარილოა. იგი **დანერილი იქნე-**



**ბა 7 ან 8 ნომბერს** (ალ. ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ და გაზეთის გამოსვლამდე). **დასათაურება ჩვენია.**

დიმ. ყიფიანის ამ თხზულებასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ვინმე ალექსი მოზგოლვესკის მიერ სოლოვეცკის მონასტრიდან გამოგზავნილი და 1847 წლის 3 სექტემბრით დათარიღებული წერილი დიმ. ყიფიანისადმი, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმ. ყიფიანის არქივშია დაცული. ა. მოზგოლვესკი დიმ. ყიფიანს შეახსენებს, რომ ისინი ერთად მსახურობდნენ იმერეთში, შემდეგ კი სწერს: გაზეთში წავიკითხე თქვენი წერილი ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალების შესახებ და გთხოვთ გვიშუამდგომლოთ მისი ოჯახის წევრებთან, რომ მათ განსვენებულის სულის მოსახსენებლად სოლოვეცკის მონასტერს გარკვეული თანხა გამოუგზავნონო (საქ. №1491. რუსულ ენზე. ფ. 2; წერილს ახლავს დიმ. ყიფიანის მინაწერი: „მივიღე 29 ოქტომბერს 1847“).

<sup>1</sup> (გვ. 132) **„წამოიძახა ერევნის, ახალციხის, ერზურუმისა და ვარშავის ბრძოლების გმირმა, როცა მისი პატაკი წაიკითხა“** – „ერევნისა“ და სხვ. გმირში იგულისხმება კავკასიის მთავარმართებელი (1827-1831) და ჯარების სარდალი (1826-1831) ივანე პასკევიჩი, რომელსაც ერევნის ალებისათვის მოპოვებული ჰქონდა გრაფ ერივანსკის (Граф Эриванский; 1828 წ.), ხოლო ვარშავის დამორჩილებისათვის – უგანათლებულეს თავად ვარშავსკის (Светлейший князь Варшавский; 1831 წ.) ტიტულები.

<sup>2</sup> (გვ. 132) **„სამამულო ომში გამარჯვებისა და პარიზის ალებისათვის“** – იგულისხმება საფრანგეთ-რუსეთის 1812 წლის ომი, რომელიც ნაპოლეონის დამარცხებითა და 1814 წელს პარიზში მოკავშირეთა შესვლით დასრულდა. რაც შეეხება ალ. ჭავჭავაძეს, „1813 წლის 21 სექტემბრიდან 1814 წლის 6 ივლისამდე იგი ევროპაში ლაშქრობის მონაწილეა – რუსეთის პირველი არმიის რიგებში, რომელსაც ბარკლაი დე ტოლი მეთაურობდა. იგი მონაწილეობდა 1813 წლის 2 ოქტომბერს საკავალერიო ბრძოლებში მტერთან საქსონიაში; 4-6 ოქტომბერს გენერალურ ბრძოლაში

ლაიფციგთან; 9-10 ნოემბერს კაზენსკის-დეფილესთან; 1814 წლის 20 იანვარს ბრიენტან, 21 იანვარს საფრანგეთში – ვერსაერსთან, 3 მარტს არსიო-სიურ-ობერთან, ხოლო 13 მარტს პარიზთან, რის შემდეგ მოკავშირეების ჯარებთან ერთად იგი საფრანგეთის დედაქალაქში შედის“ (მეგრელიძე 1979: 56).

<sup>3</sup> (გვ. 133) „**კნინა სალომე ივანეს ასული**“ – იგულისხმება ალ. ჭავჭავაძის მეუღლე სალომე ივანეს (იოანეს) ას. ორბელიანი (1795-1847), რომელიც ქოლერისგან გარდაიცვალა თბილისში და აქვე, მთანმინდის მამადავითის ეკლესიაში, დაკრძალეს (მაჭარაშვილი 1895: 60). საერთოდ, დიმ. ყიფიანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალ. ჭავჭავაძესთან [„ალექსანდრე ჭავჭავაძე... დიდი მეგობარი იყო დიმიტრი ყიფიანისა, რომელიც იმის სახლში იყო მიღებული, როგორც ძმა“ (ყიფიანი 1894: 96; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 17); ორივე მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, ალ. ჭავჭავაძე წევრი იყო დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ (ჯოლოგუა 2002ა: 258) და სხვ.]. ამდენად, შემთხვევითი არ არის, რომ დაღუპული მეუღლის არქივის მონესრიგება სალომე ორბელიანმა სწორედ დიმ. ყიფიანს სთხოვა, რაზეც 1846 წ. 16 ნოემბერს გარკვეულ მოსაზრებათა გამო დიმიტრიმ დელიკატური უარით უპასუხა:

„დიდის გულსმოდგინებითა გთხოვთ სულგრძელობითს მოტყეებას ამ მოხსენებისათვის, რომელსაც მაბედვინებს მხოლოდ გულითადი, ჭეშმარიტი ერთგულება და განუსაზღვრელი პატივისცემა თქვენის სახლისა და წრფელი მეგობრობა თქვენის შვილის დავითისა. ამას წინათ მიბრძანებდით, რომ როდესაც დავით მოვიდოდა, მეც დამიბარებდით განსვენებულის ქალაღდების გადასარჩევად და მეც მაშინვე მოგახსენეთ უთუოდ გაიხლებით მეთქი. დღეს მომივიდა ამაზედ თქვენი კაცი და იმავე ერთგულებისა ჩემისა და დავითის მეგობრობის ვალად ვრაცხ მოგახსენოთ, რომ თქვენს შვილს დავითს გარდა, ან თუ არ თვით მისის მინდობით არა ვისა აქვს უფლება, რომ შეეხოს ვინმე, უმეტესადრე თქვენის

სახლის გარეშე კაცი, ვინც უნდა იყოს, განსვენებულის კნიაზის ქალღმერთს. ამაზედ ბრძანებთ და სხვანიც მოგახსენებენ, რომ იქნება იმ ქალღმერთში ზოგი ასეთი იყოს, რომ ახლავე უნდა მოხდეს განკარგულება რაიმე და იქნება საქმეც წახდეს რამე დავითის მოსვლამდის. მაგრამ სამსახურისა ჩემისა გამო, მრავალის ამ გვარის გარემოების მცნობი მოგახსენებთ, რომ რა კაცს სიკვდილი ეწევა, მისს საქმეთა წინაშე ყოველი კანონი სდუმდება, ვიდრემდის კანონიერად განირჩეოდნენ. კანონიერად და გარჩევა ეკუთვნის ან თვით მემკვიდრეს, თუ მემკვიდრე სრულ ასაკოვანი არის, ან აპეკუნებს თუ მემკვიდრე მცირე წლოვანია. და თუ უამისოდ შეუდგა ვინმე რჩევასა და ამასობაში ან დაიკარგა რაიმე, ან ასეთი რამ აღმოსჩნდა, რომელიც სახლისა ან თვით განსვენებულის საიდუმლოებას იცავდეს რასმე, რაც სახლს გარეთ არ უნდა გავიდეს, მაშინ ან განმრჩევი მიეცემიან კანონის წინაშე პასუხის გებაში, ან საიდუმლო გამოცხადდება და იქნება ამით მრავალი ევნოს განსვენებულის ხსენებასაცა და ოჯახის სარგებლობასაც. ვინ იცის იქნება დავითს მამის ქალღმერთა და ნივთთა შორის ეგულებოდეს რამე დიდად საჭირო, და თვით კნიაზს გაეცეს ან დაეხიოს ასე რომ სხვა არა ვისა ჰსცოდნოდეს; მაშინ დავითს ყოველი სიმართლე ექნება, რომ განმრჩევთ მოჰკითხოს და რას პასუხს მისცემენ? უმორჩილესად გთხოვთ ყოველივე ესე გულის სიტკბოებით მოიხსენოთ, იფიქროთ და მოხსენება მიანეროთ მხოლოდ ერთგულებასა ჩემსა“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №859; გურგენიძე 1969: 90-91; ვიმონმებთ ავტოგრაფულ ხელნაწერს).

<sup>4</sup> (გვ. 133) „**მოიპოვება საადის, ჰაფეზის, პუშკინის, ჰიუგოს, გოეთეს შესანიშნავი თარგმანები სპარსული, რუსული, ფრანგული და გერმანული ენებიდან...**“ – დასახელებულთაგან პუშკინისა და ჰიუგოს ალ. ჭავჭავაძისეული თარგმანები ცნობილია, რასაც ვერ ვიტყვით საადის, ჰაფეზისა და გოეთეს ნაწარმოებებზე. თავისთავად დიმ. ყიფიანის ცნობა, ვფიქრობ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. საქმე ისაა, რომ დიმ. ყიფიანი ახლო მეგობარი იყო ალ. ჭავჭავაძის

სა (იხ. წინა კომენტარი), იგი ალ. ჭავჭავაძეს მიიჩნევდა თვალსაჩინო ლიტერატურულ ფიგურად (იხ. აქვე, დიმ. ყიფიანის თხზულება „რამდენიმე მოსაზრება საქართველოს ისტორიის მასალებზე“ – გვ. 205), თვითონაც ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას (ნათარგმნი ჰქონდა ევალდის „ზნეობითისა აღზრდისათვის“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და სხვ.) და, უნდა ვიფიქროთ, თვალს ადევნებდა ქართველ მწერალთა მუშაობას ამ მიმართულებით. ასე რომ, ძნელი დასაჯერებელია, დიმ. ყიფიანს შეცდომა მოსვლოდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტის დასახელებისას, როგორცაა საკაცობრიო მნიშვნელობის ავტორთა თხზულებების თარგმნა თვალსაჩინო ქართველი პოეტის მიერ. ალ. ჭავჭავაძის არაერთ პოეტურ ტექსტს ახლავს მინაწერები: „ნათარგმნია“, „ნათარგმნია სპარსულით“ და სხვ. ორიგინალიდან მათი წარმომავლობის საკითხი კი ჯერჯერობით არ არის გარკვეული და, ამ მხრივ, დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი საინტერესო მასალას იძლევა (უფრო ვრცლად საკითხის შესახებ, აგრეთვე ლიტერატურა იხ.: ჯოლოგუა 2000: 10-14; ყიფიანი 2016: 425).

სხვათა შორის, ალ. ჭავჭავაძის დალუპვას გაზეთში „ზაკაკავაზსკი ვესტნიკ“ ხელმოუწერელი წერილით პლატონ იოსელიანიც გამოეხმაურა (იოსელიანი 1846). აქ ძირითადად საუბარია გარდაცვლილის სამხედრო დამსახურებებზე, ხოლო მისი შემოქმედების შესახებ ერთადერთი ფრაზითაა ნათქვამი: „დიდადაა დამწუხრებული მთელი საქართველო, რომელმაც მისი სახით ნიჭიერი (даровитый) პოეტი დაკარგა“.

<sup>5</sup> (გვ. 134) „ჩვენთვის მნიშვნელოვანი 1783 წლის 24 ივლისის ტრაქტატის გასაფორმებლად“ – იგულისხმება „გეორგიევსკის ტრაქტატი“, ხოლო დიმ. ყიფიანის ტექსტში ნახსენები ბაგრატიონ-მუხრანელი (Багратион-Мухранский) არის ივანე (იოანე) მუხრანბატონი (ბაგრატიონი, ბაგრატიონ-მუხრანელი; 1755-1800), მეუღლე ქეთევან ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილისა. იოანე ბაგრატიონი მეფე ერეკლეს მიერ გეორგიევსკში I ელჩის სტატუსით იყო წარგზავნილი (გარსევან ჭავჭავაძეს II ელჩის სტატუსი ჰქონდა – ტრაქტატი 1983: 18).

<sup>6</sup> (გვ. 134) „გამოვიდა იგი სახლიდან მაღალ საზოგადოებაში მიღებული ეტიკეტის შესასრულებლად“ – იგულისხმება ვიზიტი მეფისნაცვალ მ. ვორონცოვთან, რომელიც საქართველოში რამდენიმეთვიანი არყოფნის შემდეგ თბილისში ორიოდ დღის დაბრუნებული იყო (ბალახაშვილი 1966: 232). იონა მეუნარგიას თქმით, ალ. ჭავჭავაძე „...გაემზადა ვორონცოვთან წასასვლელად. რაღაც დღეობა იყო და მისალოცად წასვლა ურჩია მისმა მეუღლემ“ (მეუნარგია 1954ა: 24).

<sup>7</sup> (გვ. 135) „მატან ორს სხვებზე მეტად დაენვება გული... ისინი ველარ იხილავენ თავიანთ ძვირფას მამას!“ – ალ. ჭავჭავაძის ოთხი შვილიდან (ნინო, ეკატერინე, დავითი, სოფიო) ორნი (ნინო და დავითი) პოეტის გარდაცვალებისას მოსკოვში იმყოფებოდნენ (ბალახაშვილი 1966: 237-238; გურგენიძე 1969: 89).

<sup>8</sup> (გვ. 135) „ჯერ ტაძრისაკენ, შემდეგ კი – კახეთის საგუშაგომდე“ – „ტაძარში“ აქ თბილისის სიონი იგულისხმება, ხოლო „კახეთის საგუშაგო“ ქალაქის ბოლოში იყო – იქ, სადაც კახეთის საფოსტო გზა იწყებოდა. პ. იოსელიანის მიერ ალ. ჭავჭავაძის გასვენება ასეა აღწერილი: „გვესმოდა სამგლოვიარო სამხედრო მუსიკის ხმები. – ვხედავდით ბაირალებს, შავი მარმამით გარშემოვლებულს. – ქალაქის ქუჩებში, სიონის ტაძრისკენ, ნელი სვლით მიემართებოდა სამგლოვიაროდ მორთული, ჩირაღდნებით გარშემორტყმული ეტლი, რომელსაც თითქმის მთელი თბილისი უკან მოჰყვებოდა; სახურავები, აივნები, ფანჯრები ხალხით იყო მოფენილი; თითქმის ყველა სავაჭრო დაიხურა... ტაძარში პანაშვიდი გადაიხადეს მიცვალებულის სულის საოხად და ცხედარი იმავე დიდებულებით გააცილეს კახეთის საგუშაგომდე. სწორედ კახეთში ელოდებიან მას მამა-პაპათა საფლავები. – მშვიდობით, თავადო! ვინც დღეს დაგტირის, დიდხანს იგლოვებს, თუმცაღა ხილვას შენსას ველარ შესძლებს“ (იოსელიანი 1846). იონა მეუნარგიას თქმით, ალ. ჭავჭავაძის ცხედარს თბილისიდან კახეთის ახალი შუამთის მონასტრისაკენ, სადაც პოეტია დაკრძალული, „მთელი მოქალაქეობა თავისი ამქრებით და ბაირალებით გაჰყვა...“ (მეუნარგია 1954ა: 25).

## ჟურნალ „ცისკრის“ შესახებ (გვ. 136-137)

### ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი, საქ. №265. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2.

ხელნაწერი უთარილოა, ხელმოუწერელია; იქვეა პირი, გადანერილი კოტე ყიფიანის მიერ. ისიც უთარილო, ავტორის (Димит. Кипиани) მითითებით. **დათარილებულია (1854 წლის ნოემბერი) შ. გოზალიშვილის მიერ (გოზალიშვილი 1951: 57). დასათაურება ჩვენია.**

წინამდებარე ტექსტი ნაწილია ივ. კერესელიძის „ცისკრის“ (1857-1875) დაარსებისათვის ქართველ მოღვაწეთა დაახლოებით ოთხწლიანი ბრძოლისა, რომელშიც დიმ. ყიფიანი იმთავითვე არსებით მონაწილეობას იღებდა და ერთხანს მას როგორც ინიციატორთა ჯგუფის, ისე ხელისუფლებისგანაც ახალი ჟურნალის პროგრამის შედგენა ჰქონდა დავალებული. საბოლოოდ, დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილი ფართო პროფილისა და სიღრმისეული ინტერესების გამომხატველი პროგრამა სხვადასხვა მიზეზით არც ერთი მხარისთვის არ აღმოჩნდა მისაღები და დიმ. ყიფიანი არსებითად ჩამოაშორეს ამ საქმეს (ვრცლად საკითხის შესახებ, აგრეთვე წყაროები და ლიტერატურა იხ. ჯოლოგუა 2002<sup>ა</sup>: 107-120).

<sup>1</sup> (გვ. 136) „**კითხველი ქალები საქართველოში**“ – „საქართველოში“ აქ ქართლ-კახეთი იგულისხმება.

<sup>2</sup> (გვ. 136) „**შემეცნებითი**“ – დედანში: „...серьёзный“, რაც აქ „შემეცნებითს“ („სამეცნიეროს“) ნიშნავს. სხვა ტექსტში დიმ. ყიფიანი ამ ტიპის მასალას „**კილოშესამეცნებელს**“ უწოდებს (იხ. აქვე – „მიტჩელის წასაკითხავები“).

<sup>3</sup> (გვ. 136) „**ახლანდელი ომი**“ – იგულისხმება 1853-1856 წწ. ომი რუსეთსა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ინგლისის, საფრანგეთის, ოსმალეთისა და სარდინიის კოალიციას შორის („ყირიმის ომი“), რომლის ერთი ფრონტი საქართველოზე გადიოდა.

**წინათქმა თარგმანისა:**  
**ჟანლისი. „ზვიმა. ქინაქინის ანბავი“ (გვ. 138-139)**

**ნაბეჭდი:**

ზვიმა. ქინაქინის ანბავი (ჟანლისის თხზულებიდან გამოკრებილი). „ცისკარი“, 1858, №9 (სექტემბერი), გვ. 15-18 (თარგმანი სრულად – 15-55).

ზვიმა. ქინაქინის ამბავი (ჟანლისის თხზულებიდან გამოკრებილი). დიმ. ივ. ყიფიანის-მიერ (სერია – ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა №12). ქუთაისი: სტამბა ი. კილაძისა და ი. ხელაძისა. 1896, 45 გვ. (ცენზურის ნებართვა გაცემულია 1896 წ. 8 თებერვალს).

**სათაური:** ზვიმა. ქინაქინის ანბავი (ჟანლისის თხზულებიდან გამოკრებილი).

**თარიღი და ადგილი:** 19 ივლისი 1858. ქვენატკოცით.

**ხელმოწერა:** შენი ბაქარ ქართლელი.

ვიმეორებთ პირველნაბეჭდს. **დასათაურება ჩვენია.**

ფრანგი მწერლის, მადლენ ფელისიტი ჟანლისის (1746-1830), ტექსტში მოქმედება მიმდინარეობს სამხრეთ ამერიკაში, ესპანელების მიერ დაპყრობილი პერუს დედაქალაქ ლიმაში. დედააზრი ტექსტისა ის არის, რომ კაცთმოყვარე მმართველის ხელში სიკეთესა და სიყვარულს შეუძლია, დაანგრის მპყრობელ-პყრობილთა შორის აღმართული ბოროტებისა და სიძულვილის კედელი.

თარგმანის რაობისა და მიზანდასახულობის შესახებ, აგრეთვე წყაროები და ლიტერატურა საკითხის შესახებ იხ.: ხომერიკი 1961: 8-13, ჯოლოგუა 2002: 167-171, 176-177.

1 (გვ. 138) „საყვარელო ძმაო თეიმურაზ!“ – დიმ. ყიფიანს აქ გამოყენებული აქვს მის მიერ არაერთ თხზულებაში გამოყენებული ლიტერატურული ხერხი: მიმონწერა ბაქარ ქართლელსა და თეიმურაზს (ზოგან – თეიმურაზ ვაკელს) შორის (უფრო ვრცლად იხ. ყიფიანი 2016: 411-412). ამ შემთხვევაშიც როგორც „თეიმურაზი“, ისე „ბაქარ ქართლელი“ დიმ. ყიფიანის ფსევდონიმებია.

**„რომეო და ჯულიეტას“ თარგმანის ბეჭდვისას  
დაშვებული შეცდომების გამო (გვ. 140-144)**

**ნაბეჭდი:** „ცისკარი“, 1859, №12 (დეკემბერი), გვ. 361-366.

**სათაური:** უფალო რედაქტორო!

**ხელმოწერა:** დ. ყიფიანი

შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ დიმ. ყიფიანისეული თარგმანი გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკრის“ 1859 წლის მე-5 (მაისის) (შექსპირი 1859<sup>ბ</sup>: 5-81) და მე-6 (ივნისის) (შექსპირი 1859<sup>ბ</sup>: 121-201) ნომრებში, წინამდებარე ტექსტი კი – „ცისკრის“ მე-12 (დეკემბრის) ნომერში. ამ უკანასკნელ ნომერზე ცენზურის ნებართვა გაცემულია 1859 წ. 23 ნოემბერს (№12, გვ. 369) და, შესაბამისად, დიმ. ყიფიანის ეს ტექსტი დაიწერებოდა **1859 წ. ივნისსა და იმავე წლის ნოემბერს შორის. დასათაურება ჩვენია.**

<sup>1</sup> (გვ. 140) „**უფალო რედაქტორო!**“ – მიმართვის ადრესატია ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორ-გამომცემელი (1857-1875) ივანე კერესელიძე.

<sup>2</sup> (გვ. 140) „**რუქას ნათქვამად დავამატო**“ – აქ ავტორი ს.-ს. ორბელიანის ცნობილ პერსონაჟს უნდა გულისხმობდეს.

<sup>3</sup> (გვ. 144) „**დამატებაში...**“ – შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ დიმ. ყიფიანისეულ თარგმანს „ცისკარში“ დართული აქვს „**დამატება**“ (შექსპირი 1859<sup>ბ</sup>: 202-205), რომელიც აქ სრულად მოგვყავს:

„როდესაც ამ დრამასა ვჰთარგმნიდით, ვიცოდით, რომ უფ. იოსებ გიორგის ძე ზუბალოვი, თავისს დასავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის დროს, ვერონასაც ყოფილიყო და რადგან იმისს ცოდნათ მოყვარებასა და გამომძიებლობასა საკმაოდ ვიცნობთ, ვჰსთხოვეთ შეეტყობინებინა ჩვენთვის, არის რამე კიდევ ხსენება რომეო და ჯულიეტასი ვერონაში, ან როგორ იტყვიან იქ იმათს ანბავსა?

რაც პასუხი მივიღეთ, აქავე ვბეჭდავთ:



„ზემო იტალიაში, რომელსაც უწოდებენ ლომბარდო ვენეციის სამფლობელოს ანმყო კუთვნილს აუსტრიის იმპერატორისა, არის ქალაქი ვერონა, მდებარე იტალიის ტიროლის მთის ძირსა, სადაც ჩამოუდის მდინარე პო. ეს ქალაქი ყოფილა შუა საუკუნოებში სამთავრო საცხოვრებელი. აქ არის ღირს შესამჩნევნი ძველნი შენობანი, ამფითიატრი პირველს საუკუნოებში ჰრომაელებთაგან აღგებული და შუა საუკუნოებს დაშთენილნი შენობანი. მათ შორის ამ ქალაქის სიახლოეს მთაზედ ორი დიდი სასახლეა, ერთი მეორეზედ სამ ვერსზედ მოშორებით, პირ და პირ ერთს წვერზედ აღგებული ორივე მსგავსის არხიტექტორობისა, კოშკებით და დიდის გალავნებით შემოზღუდულნი, რომელთაც უწოდებენ დლესაც მონტეგის და კაპულეტის სასახლებს. ეს არიან სასახლენი რომეოსი და ჯულიეტასი, შიგ ქალაქშიაც არის დლესაც ჯულიეტას სასახლე, მაგრამ ეს შენობა შეუცვლია აუსტრიის იმპერატორს ახალის შენობით, რომელიც არის შერიცხული სახელმწიფოთ, მხოლოდ უბძანებია იმპერატორს შესავალი კარი დაუტეონ ხელშეუხებლად ჯულიეტას ანბის მოსახსენებლათ, საიდგანაც შესულა რომეო მასკით დაფარული სანახავათ ამ მშვენიერის ასულისა. ეს კარი არის მსგავსი საქართველოს ძველის ჩვეულების ალაკაფის კარისა, აგურის და ნათალის კლდით აღგებული. ამას გარდა არის ძველი სასაფლაო დიდის სივრცისა ქალაქის ნაპირის შუა საუკუნოების დროისა მაღალის გალავნით შემოვლებული, შიგ ბადათ გაკეთებული დლესაც მცენარებით სავსე, როგორც აქვსთ ჩვეულება იტალიაში სასაფლაოს გაკეთებისა. შიგ არის ის ძველი ეკკლესია ისევ ისე აღგებული და საცხოვრებელი მონასტერიც ბერებისა, ესკი დანგრეულია ზოგან და აღარ სცხოვრებენ ბერები. აქ ვნახე ეკკლესიის კარებთან ძველი ერთი დიდი კუბო წითელი მარმარილოსი ორის გვამის ჩასასვენებლათ გაკეთებული, სარქველი აღარ აქვს, რომელიც ძველს დროებში მოპარვით წაუღიათ უცხო თესლთა და ნამტვრევებათ გაუყიდათ. ამ კუბოსაც გარშემო ნაპირები ეხლაც აქვს

მომტკრეული წვრილ-წვრილათ, რომელსაც მოგზაურნი ყიდულობენ ერთი თეთრი შაურიანის სიდიდეს ხუთმანეთათ და მეტათ, როგორათაც მეც ვიყიდე მცირის სახსოვარის ანბის მოსაგონათ. ამას აკეთებინებენ ბეჭდათ ხელისთვის და აწერინებენ ზედ ორს ასოს ჯ. რ. ეს არის ის კუბო, რომელშიაც იყვნენ ვერონის მთავრის ბძანებით ორნივე გვამნი ერთათ ჩასვენებულნი: ჯულიეტა და რომეო; და ის ეკკლესია, საცა გადუხადეს დასაფლავებელი უკანასკნელი წირვა ჯულიეტასა და იმას გარე ახლო ადგილი, სადაცა ხის ძირზედ კუბო დადგმული ყოფილა როგორც აქვთ დღესაც შეძლებულთ ჩვეულება, ვიდრემდის მარმარილოს კუბოს გააკეთებინებდენ: რომეო, აქ ამ გალავნიტგან ჩამოხტომილი, რადგანც კარს ღამით ჰკეტამდნენ, აღსრულებულა ჯულიეტას საფლავთან. ამ ეკკლესიის შესავალთან მონასტრის კარიდორში არის კედელზედ იმ დროსვე დახატული შემთხვევა ესე. რა განკვირვებით გაცვიუნულან ბერები სანთლებ ანთებულნი ხმიანობის გაგონების გამო და წასდგომიან კუბო ახდილს გვამსა ჯულიეტასასა და მოხვეულს რომეოს, რომელნიც ყოფილან კიდეც ცოცხალნი და მათს თვალწინ აღსრულებულან. შემთხვევა ესე მომხდარი არის ყოვლის ეჭვისაგან გამოსული და არის ჭეშმარიტი ამბავი მიღებული მთელი იევროპიისაგან.

დღესაც ჰყიდიან ვერონაში ფერადით ლიტოგრაფიით ნახატს ჯულიეტას ფორთრეტსა, ღამე ბაღში სასახლიდგან ბალკონზედ გადმომდგარი ჩუმათ მისულა რომეოს ელაპარაკება; ყოველი მოგზაური გამვლელი ამ ქალაქში ყიდულობს თან წასაღებათ, ვითარცა ღირს სახსოვარს ფორთრეტსა. ვიდრემდის იტალია იქნება, სახელი მათი არ აღმოიფხვრება. ესოდენს ჟამს გაუვლია იქ მყოფს ეს ანბავი როგორც წინა დღით მომხდარიყოს ესრედ აქვსთ დაბეჭდილი გულზედ ყოველთ სულთ პატარიდგან მოხუცებულებამდინ.

**იოსებ ზუბალოვი“**

ავტოგრაფული ხელნაწერი იოსებ ზუბალაშვილისა, რომელშიც იგი დიმი. ყიფიანს სწერს, ქალაქ ვერონისა და შექსპირის ტრაგედიასთან დაკავშირებული ადგილების „აღწერილობას“ გიგზავნიო, დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (დიმი. ყიფიანის არქ., საქ. №1367, თარიღი და დაწერის ადგილი: „2 თებერვალს 1859. ტფილისს“), თუმცა „ცისკარში“ გამოქვეყნებული და ჩვენ მიერ ზემოთ დამონმებული „აღწერილობა“ საქმეში არ დევს. იქვეა დაცული კიდევ ხუთი წერილი ი. ზუბალაშვილისა დიმი. ყიფიანისადმი (№№1368-1372, გამოგზავნილი 1864-1879 წწ. პარიზიდან, ვენეციიდან, ვენიდან... ყველა – კერძო ხასიათისა). ამას გარდა, იქვე (ხეც. ნინო და ბარბარე ყიფიანების არქ., საქ. №766, ფ. 2) დაცულია კიდევ ერთი წერილი ი. ზუბალაშვილისა დიმი. ყიფიანისადმი, გამოგზავნილი 1879 წ. 16 ივნისს კარლსბადიდან (ამჟამად – კარლოვი-ვარი). წერილის ავტორისა და ადრესატის საერთო პატრიოტული სულისკვეთების დასადასტურებლად აქ ამ უკანასკნელი წერილის ფრაგმენტს დავიმონუმებთ: „ახალი დაწესება თქვენი ჩვენი დედა ენის სიცოცხლის დასაცავად (ჩანს, აქ ავტორი გულისხმობს მზადებას „ქმნ-კგ საზოგადოების“ დასაარსებლად – თ. ჯ.) არის დიდი სასიხარულო ამბავი. ყველა საქართველოს შვილმა უნდა დიდი მადლობა მოგახსენონ ამ ზრუნვისათვის, რომელიც იქნება საშუალება გაუქრობლობისა. ღმერთმა ხელი მოგიმართოსთ და მოიღოს მოწყალება დასაცუელად დედა ენისა“.

### **გრიგოლ დადიანის იამბიკო (გვ. 145-146)**

**ნახეჭდი:** „ცისკარი“, 1860, №2 (თებერვალი), გვ. 153-156.

**სათაური:** უფალო რედაქტორო!

**თარიღი და ადგილი:** 9 ფებერვალს. 1860 წელსა. ქვენატკოცა.

**ხელმოწერა:** თქვენი პატივისმცემელი ბაქარ ქართლელი.

### **დასათაურება ჩვენია.**

სამხედრო მოღვაწისა (გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი) და პოეტის, გრიგოლ დადიანის (1814-1901; ძირითადი ფსევდონიმი „კოლხიდელი“), ხელმოწერით ივ. კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნდა იამბიკო „სირაძე, ძველთა იმერთა მეჩანგურე, უგალობს დავით აღმაშენებელს“ (კოლხიდელი 1860: 151-153). პუბლიკაციას რედაქციის მიერ დართული აქვს სქოლიო: „ეს იამბიკო მივიღეთ რედაქციაში კოლხიდელისაგან, რომელთანაც ინერება წიგნს [წერილს – თ. ჯ.]. ამ მოწერილს წიგნს და პასუხს ბაქარ ქართლელისას, აქავე ვბეჭდავთ, ამ იამბიკოს ბოლოში“ (კოლხიდელი 1860: 151). „იამბიკოს ბოლოში“ კი დაბეჭდილია კოლხიდელის წერილი „ცისკრის“ რედაქტორ ივანე (იოანე) კერესელიძისადმი:

„გთხოვ საყვარელო იოანე! ბაქარ ქართლელს გაუგზავნო იამბიკო ესე ვიდრე დაბეჭდავდე სტანბაშიდ, რომ მან განიხილოს და, თუ ზოგი ერთი ადგილი ამისი მრუმეა, სარკმელი გაუკეთოს ისრე, რომ მზემ შეუჭვრიტოს. მეც მადლობელს მყოფს და ვითარცა ქართლელი ქართულსაც დაავალებს იგი.

შენი პატივის მცემელი **კოლხიდელი**

8-ს იანვარს. 1860 წ.

ტფილისს“ (კოლხიდელი 1860: 153).

დიმ. ყიფიანს გრ. დადიანთან პატივისცემა და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. შესაძლებელია, ამიტომაც მან შეასრულა იამბიკოს ავტორის თხოვნა და „ცისკრის“ რედაქციას გამოსაქვეყნებლად წინამდებარე ტექსტი წარუდგინა. უნდა ითქვას, რომ თავად ტექსტი – „სირაძე, ძველთა იმერთა მეჩანგურე, უგალობს დავით აღმაშენებელს“, როგორც მოგვიანებით გაირკვა, გრ. დადიანს აღებული აქვს თეიმურაზ ბატონიშვილის პიესიდან „სამსახეობა რაინდისა“ (რუხაძე 1949: 273-277; შარაძე 1974: 197-199). გრ. დადიანმა ეს იამბიკო 1901 წელს გამოცემულ თავის ლექსთა კრებულშიც შეიტანა, ოღონდ სხვა სათაურითა („სირაძის

სიმღერა“) და წყაროს მითითებით: „ეს ლექსი არის გადმოღებული თხზულებიდან „სამსახეობა რაინდისა“ (კოლხიდელი 1901: 67-68).

გრ. დადიანზე, ამ მამაც მეომარზე, დიდად საინტერესო მოღვაწესა და გულწრფელ პატრიოტზე, ამასთანავე, არქაიზებული ენით, ხელოვნურად გართულებული პოეტური სახეებითა და რიტორიკული მაღალფარდოვნებით მეტყველ პოეტზე იხ.: მეუნარგია 1954<sup>ბ</sup>: 295-338; აქტები 1885: XIX-XX; ცაიშვილი 1965: 217-239; ავალიანი 1967: 113-116; კალანდაძე 1986: 363-365; ქართული მწერლობა 2003: 480-483.

<sup>1</sup> (გვ. 145) „უფალო რედაქტორო!“ – მიმართვის ადრესატია ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორ-გამომცემელი ივანე კერესელიძე.

<sup>2</sup> (გვ. 145) „ანტონი ქათალიკოზმა რომ იამბიკოს შენებას საქართველოში მიჰყო ხელი...“ – სინამდვილეში იამბიკოს ქართულ მწერლობაში გაცილებით ძველი ისტორია აქვს და იგი ჰიმნოგრაფიაში იღებს სათავეს (დაახლ. VIII საუკუნიდან; საკითხის შესახებ, აგრეთვე ლიტერატურა იხ. ლომიძე 2016: 69-82).

<sup>3</sup> (გვ. 145-146) „არშაკუნის სახლის სანახავათ რომ შევიდეთ“ – იგულისხმება სომეხი მრეწველისა და ქველმოქმედის, თბილისის ქალაქის თავის (1858-1860), ვარდან არშაკუნის (გარდ. 1862), მიერ თბილისში აშენებული მდიდრული სასახლე, შემდგომში ევგენი (გენო) ქობულაშვილის (1856-1915) მიერ ნაყიდი და გადაკეთებული (ამჟამად – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შენობა).

<sup>4</sup> (გვ. 146) „ალექსანდრე თარხნის-შვილმა რომ თავისს სასახლეში შეგვიყვანოს“ – იგულისხმება ქართლის სოფელ გარიყულაში (კასპის მუნიციპალიტეტი, ახალქალაქის თემი) 1830-იან წწ. აგებული თარხნიშვილების – ე. წ. „მარშლიანთ“ – სასახლე (თარხნიშვილების სასახლეზე იხ. აღწერილობა 1990: 144-145). ტექსტში ნახსენები ალექსანდრე თარხნიშვილი (1812-1874) იყო შვილი 1832 წლის შეთქმულების მონაწილის, პოლკოვნიკ დავით თარხნიშვილისა (ბერძნიშვილი 1983: 31-32). ახალქალაქში მათ მამულები და სასახლე ჰქონდათ. 1827 წ. ალექსანდრე თარხნიშვილი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში დიმი. ყიფიანთან

ერთად სწავლობს (გოზალიშვილი 1970: 368).

<sup>5</sup> (გვ. 146) „ლექსთა-წმასენამ“ – აქ: ლექსთა თხზვამ („წმასნა, წმასნვა: თხზვა, ხლართვა...“ – აბულაძე 1973: 549).

<sup>6</sup> (გვ. 146) „ისე გამოუდაროს ჩვენს ცისკარსა“ – იგულისხმება ივ. კერესელიძის უურნალი „ცისკარი“ (1857-1875).

<sup>7</sup> (გვ. 146) „ბაქარ ქართლელი“ – დიმ. ყიფიანის ძირითადი ფსევდონიმი. ამას გარდა, დიმ. ყიფიანს თხზულებები სხვა ფსევდონიმებითაც აქვს გამოქვეყნებული: „თეიმურაზი“, „თეიმურაზ ვაკელი“, „მყურალა (ქართლელი)“, „ბ. ქ.“, „ერთი 126 შემდგენთაგანი“ (საკითხის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ყიფიანი 2016: 415-416).

### მიტჩელის წასაკითხავები (გვ. 147-149)

**ნაბეჭდი:**

„საქართველოს მოამბე“, 1863, №2 (თებერვალი). [განყ.] II. გვ. 1-3. საქართველოს მოამბე (ფაქსიმილური გამოცემა). გ. შარაძის შესავალი წერილით – „ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“.

I. თბილისი: ივერია. 1991, გვ. 259-261.

„დიმიტრი ყიფიანი – 200“. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 814-815.

**სათაური:** უფალო რედაქტორო!

**თარიღი და ადგილი:** დეკემბერი 1862. დაბა ზუგდიდი.

**ხელმოწერა:** თქვენი და სხვ. დიმიტრი ყიფიანი.

**დასათაურება ჩვენია.**

ტექსტი ამერიკელი ასტრონომის, **ორმსბი-მაქნაით მიტჩელის** (Ormsby MacKnight Mitchel; 1810-1862), თხზულების, „ზეციერი მნათობების“ (სრული ავტორისეული დასათაურება – „The planetary and stellar worlds: a popular exposition of the great discoveries and theories of modern astronomy“), დიმ. ყიფიანისეული თარგმანის წინათქმავა. მიტჩელის თხზულება დიმ. ყიფიანმა სპეციალურად „საქართ-

ველოს მოამბისთვის“ რუსული გამოცემიდან თარგმნა და გამოაქვეყნა (მიტჩელი 1863: 4-29). ამის თაობაზე 1862 წ. 25 დეკემბერს ნიკ. ყიფიანი სწერს დიმ. ყიფიანს (წერილი რუსულ ენაზეა): „მიტჩელის ლექციის შენეული თარგმანი იმავე დღეს მივუტანე ი. ჭავჭავაძეს. მას ძალიან გაუხარდა და მადლობელიც დარჩა“ (კალანდაძე 1985: 635; თარგმანის შესახებ ნიკ. ყიფიანის წერილები დიმიტრისადმი იხ. აგრეთვე: ყიფიანი №№14959-14963-ხ; აღწერილობა 2016: 262-266). ი. ჭავჭავაძეს თარგმანის გამოქვეყნება ჟურნალის პირველსავე ნომერში ჰქონია განზრახული, მაგრამ ეს ვერ მოუხერხებია. იგივე ნიკ. ყიფიანი 1863 წლის 5 თებერვალს სწერს დიმიტრის (წერილი რუსულ ენაზეა): „პირველი ნომერი „საქართველოს მოამბისა“ ჯერ არ გამოსულა: ცენზორმა დიდი ხნით შეაჩერა სტატიები, სტამბაშიც ასოთამწყობთა ნაკლებობა... როგორც ჩანს, პირველი ნომერი ხვალ უნდა გამოვიდეს (გამოვიდა 7 თებერვალს – თ. ჯ.). მეორე ნომერზე მუშაობა უკვე დაწყებულია, მაგრამ ეშინიათ, იმასაც ისევე დიდი ხნით არ დააგვიანდეს, როგორც პირველს დააგვიანდა. მიტჩელის ლექციის დაბეჭდვა, სამწუხაროდ, პირველ ნომერში ვერ მოასწრეს... არადა, რედაქციას თარგმანი მაინცადამაინც პირველსავე ნომერში გამოსაქვეყნებლად ჰქონდა მომზადებული“ (ყიფიანი 1878: ფ. 1).

ო.-მ. მიტჩელის „ზეციერი მნათობები“ (იხ. აქვე, კომენტ. 3) 10 ლექციისგან შედგება. აქედან დიმ. ყიფიანს I ლექცია („პირველი წასაკითხი“) უთარგმნია. პუბლიკაციას ბოლოში დართული აქვს – „მეორე წასაკითხი მასუკან“, თუმცა გაგრძელება მიტჩელის თხზულების თარგმანისა არც აქ და არც სხვაგან არ დაბეჭდილა. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, „ვარსკვლავთ მრიცხველის მიტჩელის თხზულება ვრცელი ტომია, ყიფიანს მთლათ სდომნია ამის თარგმნა, უთარგმნია კიდეც, მაგრამ ბეჭდვით-კი შეუჩერებია. დღეს ამის ხელთნაწერი დაუბეჭდავთ სძევს“ (ჭიჭინაძე 1892: 43-44). თარგმანის დაუბეჭდავი ნაწილები, თუ ასეთი რამ საერთოდ არსებობს, ჩვენ არ შეგვხვედრია და არც რაიმე სხვა ცნობა ამის შესახებ არ მოგვეპოვება, გარდა აღ. კალანდაძის მიერ წყაროს მიუთითებლად ნათქვამისა – დიმ. ყიფიანს მიტჩე-

ლის წიგნიდან „პირველი ათი ლექცია“ უთარგმნიაო (კალანდაძე 1985: 244). ვფიქრობთ, აქ შეცდომაა – მიტჩელის 430-გვერდიანი წიგნი, რომელიც, როგორც ითქვა, სულ 10 ლექციისგან შედგება, ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, დი. ყიფიანს სრულად კი არ უთარგმნია, არამედ – მხოლოდ I ლექცია („Изложение задачи, предлагаемой звездным небом для разрешения“ – გვ. 1-21).

<sup>1</sup> (გვ. 147) „უფალო რედაქტორო!“ – მიმართვის ადრესატია ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

<sup>2</sup> (გვ. 147) „თქვენი „მოამბის“ პროგრამმა რომ წავიკითხეთ...“ – „მოამბეში“ იგულისხმება ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (1863), ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების პირველი პერიოდული გამოცემა საქართველოში (სულ გამოვიდა 12 ნომერი; რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე). რაც შეეხება ჟურნალის „პროგრამას“, მისი ისტორია ასეთია:

1862 წლის დასაწყისში კავკასიის მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის საქართველოში არყოფნის გამო მის მოვალეობას გრიგოლ ორბელიანი ასრულებდა. ი. ჭავჭავაძემ ისარგებლა ამ გარემოებით და, საქმეს დიდი დაბრკოლებები რომ არ შეხვედროდა, ჟურნალის გამოცემისა და პროგრამის დამტკიცების ოფიციალური თხოვნა სწორედ გრ. ორბელიანს წარუდგინა. თხოვნა განიხილა კავკასიის საცენზურო კომიტეტმა, რომელმაც ძირითადად მონონა პროგრამა, თუმცა თავის პასუხში ისიც ჩაწერა, რომ ჟურნალში „არავითარი პოლიტიკური ცნობები და მსჯელობანი“ არ უნდა ყოფილიყო. იმავე წლის თებერვალში გრ. ორბელიანმა წესისამებრ თხოვნა პეტერბურგში გაგზავნა დასამტკიცებლად, მარტში გაიცა ჟურნალის დაარსების ნებართვა, ხოლო ოქტომბერში „საქართველოს მოამბის“ პროგრამა ივ. კერესელიძის „ცის-



კარში“ გამოქვეყნდა (ვიმონუმებთ სრულად):\*

„მომავალ 1863 წ. იანვრის თვიდგან გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.

ამ ჟურნალში მთელის წლის განმავლობაში შემოვლენ შემდგომნი ნაწილები:

1. **წმინდა სალიტერატურო:** ლექსები, მოთხრობაები, დრამები, კომედიები, ნამდვილები (ორიგინალურნი – თ. ჯ.) და ნათარგმანები.

2. **ისტორიული:** საზოგადო ისტორია; განსაკუთრებითი ყურადღება მიიქცევა საქართველოს და ერთობ კავკასიის ისტორიაზედ.

3. **საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომია:** აქ ვეცდებით გავაცნოთ ჩვენს საზოგადოებას ეს საგნები იმოდენად, რამოდენათაც დრო და საჭიროება მოითხოვს.

4. **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია:** აქ განირჩევიან უცხო ენებზედ დანერილი თხზულებები და ქართული წიგნები.

5. **სხვა და სხვა ამბავი.**

6. **დამატება:** ამ ნაწილში დაიბეჭდებიან ძველი ქართული თხზულებები, ანუ გამოჩენილნი უცხო ენებიდამ თარგმნილი რომანები.

ამ პროგრამას ამ ჟამად აღარაფერს არ ვუმატებთ; რაც შეეხება ჟურნალის ხასიათსა და მიმართულებასა, იმაზედ არაფერს ვიტყვით. ჩვენ ვარჩიეთ, რომ თითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჯობინება ყოველ წინა-სიტყვაობას. ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და

\* პროგრამას წინ უძღვის „ცისკრის“ რედაქტორის, ივ. კერესელიძის, წინათქმა – „რედაქციისაგან“: „ვახარებთ ჩვენის „ცისკრის“ მკითხველთა და ყოველს ქართველს, ვისაცკი უყვარს თავისი სამშობლო ენა, რომ მომავალის წლის იანვრიდგან, გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. – დარწმუნებულნი ვართ ჩვენი „ცისკრის“ მკითხველნი მიიღებენ გულმხურვალედ მონაწილეობასა ამ საზოგადოდ სასარგებლოს საქმეში. ამასთანავე ვებეჭადვთ ახალის რედაქციის გამოცემულს პროგრამასა“.

რედ. კერესელიძე].

გამოვადგეთ; ამისთვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა. სურვილი ჩვენი გულ წრფელია და ჭეშმარიტი. და, თუ ღონე შეგვეწევა და ცოტათი მაინც აღვასრულეთ ჩვენი სურვილი, ამისიც კმაყოფილი ვიქნებით. ჩვენის მხრით, რასაც ვი შევიძლებთ, არას დავზოგავთ; დანარჩენი თვით საზოგადოებაზე ჰკიდია.

ისტორიული ნაწილის რედაქტორობა იკისრა უფ. ნიკოლაოზ ლოლობერიძემ, სხვა და სხვა ამბავისა უფ. დავით ყიფიანმა და საპოლიტიკო და სოფლიურ ეკონომიისა უფ. ივანე სერებრიაკოვმა.

ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ თვე და თვე გამოვა სივრცით შვიდ თაბახიდამ, ათამდე, ანუ 112 გვ. 160 გვერდამდე; თუ შეგვეძლება ამაზედ მეტიც.

ფასი მთელის წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელად 9 მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიცა იმყოფება ტფილისში, გალავინის პროსპექტზედ, თ. ივანე მუხრანსკის სახლებში, №26.

### ილია ჭავჭავაძე

რედაქტორი „საქართველოს მოამბისა“

[ჭავჭავაძე 1862: 189-190; აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძის მიერ წარდგენილ და გრ. ორბელიანის ხელმოწერით პეტერბურგში გაგზავნილ პროგრამაში იყო კიდევ ერთი განყოფილება – „**იუმორისტული**“ (გუგუშვილი 1941: 302-303), თუმცა პროგრამის საბოლოო ვარიანტში ეს განყოფილება არ ჩანს].

<sup>3</sup> (გვ. 148) „**შარშანნი რომ მიტჩელის წასაკითხავები გამოვიდა ასტრონომიაზედ...**“ – ავტორს მხედველობაში აქვს გამოცემა: Небесные светила, или Планетные и звездные миры. Популярное изложение великих открытий и теорий новейшей астрономии. Сочинение О. М. Митчелля, директора Цинцинатской обсерватории. Перевод с английского языка Андрей Мин. Москва: типография Грачева и К°. 1859.

<sup>4</sup> (გვ. 148) „**ისეთი ლექსი არა შემომეპაროს რა...**“ – „**ლექსს**“ აქ

და სხვა არაერთ ნაწერში დიმი. ყიფიანი „სიტყვის“ მნიშვნელობით ხმარობს [ლექსი (ბერძ. Lexis – სიტყვა) ... ძვ. სიტყვა – ქეგლ 1955: 1524, 1525].

<sup>5</sup> (გვ. 149) „ბეჭდვაში არა შეიცვალოს რა, არც მართლ-წერა ჩემი...“ – დიმი. ყიფიანი თავის თარგმანში იყენებს ძველ, ე. წ. ფუნქციადაკარგულ, ასოებს: თქჷწნი, ჩჷწნი, ქჷწყანა, საკურველი და სხვ. (წინამდებარე პუბლიკაციაში ჩვენ ისინი, საერთო პრინციპიდან გამომდინარე, თანამედროვე ფორმებით შევცვალეთ). ი. ჭავჭავაძემ, როგორც რედაქტორმა, ამ შემთხვევაში დაუშვა მისთვის უჩვეულო კომპრომისი – არ ჩაერია თარგმანის ენაში და ტექსტი გამოაქვეყნა ისე, როგორც მთარგმნელის ხელიდან იყო გამოსული (საკითხის შესახებ იხ. ტაბიძე 1975: 69-70).

### **ჩჷწნი ნაცარ ქექიები (გვ. 150-164)**

**ნაბეჭდი:** „ცისკარი“, 1864 (იანვარი), №1, გვ. 60-80.

**სათაური:** ჩჷწნი ნაცარ ქექიები.

**თარიღი და ადგილი:** 1 იანვარს 1864 წ. სოფ. საყურის-გორა.

**ხელმოწერა:** მყურალა (ქართლელი).

ფსევდონიმი „მყურალა (ქართლელი)“ დიდხანს გაუხსნელი იყო. 1970 წელს ალ. კალანდაძემ სპეციალური კვლევის გარეშე იგი ალ. ორბელიანს მიაკუთვნა (კალანდაძე 1970: 153) და ეს მოსაზრება თავისი „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ II ტომში გაიმეორა (კალანდაძე 1984: 223). საკითხს ასევე გაკვირით შეეხო ჯ. ჭუმბურიძე, რომელსაც ალ. კალანდაძის შეხედულება კამათის საგნად არ უქცევია, თუმცა ერთი შენიშვნით მისი მართებულობა გარკვეულწილად ეჭვქვეშ დააყენა: „ჩვენი ნაცარქექიების“ ავტორი გარკვევით მიუთითებს, რომ „ჲ, ლ, ჳ საჭირონი არიან წერილში“, ა. ორბელიანი კი „ზოგიერთ შემცნევაში“ ჳ-ს ამოღებას მოითხოვს“ (ჭუმბურიძე 1974: 347). ჯ. ჭუმბურიძეს (ისევე, როგორც ალ. კალანდაძეს) აქ მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის

მიერ 1863 წლის 14 ივლისს დაწერილი და 1865 წელს „ცისკარში“ გამოქვეყნებული წერილი „ზოგიერთი შემცნევა“, რომლის ერთი მონაკვეთი ე. წ. ფუნქციონირებულ ასოებს ეხება (ორბელიანი 1865: 1-31). თუ ამ ორ ტექსტს („ჩუწნი ნაცარ ქექიები“, „ზოგიერთი შემცნევა“) დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ განსხვავება ავტორთა პოზიციებს შორის უფრო ღრმავა, ხოლო ზოგ შემთხვევაში – ურთიერთგამომრიცხავიც, მაგალითად, ჟ-სთან მიმართებით (როგორც ვნახეთ, სწორედ ეს აქვს შენიშნული ჯ. ჭუმბურიძეს). ალ. ორბელიანის აზრით, „[უ-]ბრჯგუ არის უბრალო რაღაც კობრჩხილა ასო, რომელსაცა არა რაჲ ხმა არა აქჷს, არც ავი და არც კარგი. მაშასადამე ვისაც ხმა არა აქჷს, იგიც უღირსია ადგილისა... მაშასადამე უნდა გაჰქრეს კიდეც“ (ორბელიანი 1865: 16).

ორი ავტორის [„მყრალა (ქართლელი)“, ალ. ორბელიანი] შეხედულებათა განსხვავებულობის ნათელსაყოფად ვიმონწმებთ მათი ტექსტების დასკვნით ნაწილებს:

„**წ, ა, უ, კ, ჰ, მ, ფ...** ჩემის აზრით, ეს შუდი ასო არას უშლის ჩუწნს წერასა. მხოლოდ ქართულის მწერალმაკი უნდა იცოდეს, რომ ეს ასოები თავის ადგილს მოიხმაროს ... ეს დახსომებული შუდი ასო: **წ, ა, უ, კ, ჰ, მ, ფ** წერას არ აძნელებს, არც დასაკლისს აძლევს რასმე. ჩემის აზრით არათუ აძნელებდეს ანუ დააკლებდეს – უფრო დააშუწნებს ქართულს წერას და ენის გამოლაპარაკებასაცა“ (ალ. ორბელიანი 1865: 17-19).

„**ჟ, მ, უ** საჭირონი არიან წერილში, **ფ** დროებით დარჩეს ჩუწნში, მანამ ლიტერატორები მაგის სარგებლობასა ანუ ურგებობას დაინახავენ, თუმცა **ა, კ** და **მ** საჭირონი აღარ არიან, როგორც თუთონვე ამბობენ, მაგრამ ესენი უნდა გამოირიცხუნენ ჩუწნის კრებიდამ მაშინ მხოლოთ, როდესაც ამათ სრულიად აღარ იხმარებენ სამლოთ და საერო წერილებში“ [„მყრალა (ქართლელი)“].

ასე რომ, „ჩვენი ნაცარ ქექიები“ არ ეკუთვნის ალექსანდრე ორ-

ბელიანს, ამ თავისდათავად უალრესად საინტერესო პიროვნებას, ისტორიკოსს, მწერალს, მემუარისტს, გულწრფელ პატრიოტსა და პრინციპების ერთგულ მოღვაწეს. მაგრამ რატომ ეკუთვნის მაინცადამაინც დიმიტრი ყიფიანს?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიმი. ყიფიანის თხზულებათა ერთი ნაწილისთვის („ჩემო გულითად საყვარელო თეიმურაზ!“; „უცნაური ნადირობა“, „სასაცილო ლაპარაკი“...) დამახასიათებელი არქიტექტონიკა (მარტივი სიუჟეტის აგება და პრობლემის გარშემო დიალოგური ფორმით მსჯელობა); ტექსტის ექსპოზიციურ ნაწილში გამოკვეთილი ზოგიერთი მსოფლმხედველობრივი ნიშანი (განათლების საგანგებო და პრიორიტეტული მნიშვნელობის აღიარება, ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ფორსირებული ევროპეიზაციის აუცილებლობა, ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესთა ჰარმონიზაციის საკითხი); ლიტერატურულ-ჟანრობრივი კომპოზიცია (ბელეტრისტიკის, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების თავისებური ნაზავი); ენობრივი პოზიცია 1860-იან წლებში (ერთი მხრივ, ენის დემოკრატიზაციის აუცილებლობა და, იმავედროულად, ძველი ასოების შენარჩუნების საჭიროება); მსგავსება ძირითად ფსევდონიმთან („ბაქარ ქართლელი“) ეჭვს არ უნდა ტოვებდეს, რომ თხზულების ავტორი დიმიტრი ყიფიანია. ამიტომაც თავის დროზე „ჩუენი ნაცარ ქექიების“ ერთი მონაკვეთი (ექსპოზიციური ნაწილი, რომელშიც ავტორი ევროპეიზაციის აუცილებლობაზე მსჯელობს) ჩვენ შევითვანეთ დიმი. ყიფიანის თხზულებათა კრებულში „რა ხალხია ქართველები?!“ (ყიფიანი 1995: 10-15; საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: ჯოლოგუა 2002<sup>ბ</sup>: 35-36).

თვითონ ტექსტის ისტორია კი ასეთია:

ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის მარტის ნომერში დავით ყიფიანმა გამოაქვეყნა წერილი „რიგიანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად“ (ყიფიანი 1863: 70-102). ავტორის თქმით, ქართულში „ენის ფორმები აირივნენ ბაბილონურად... ლიტერატურა არის ხალხის სიცოცხლე და იმ ხალხსა, რომელსაც სალიტერატურო ენა არა აქვს მტკიცედ დადგენილი,

იმ ხალხსა მეთქი ხალხოა არ ეთქმის“ (ყიფიანი 1863: 74-75). „ერთიანი ხალხის“ შექმნა, დავ. ყიფიანის შეხედულებით, პირველ რიგში, ერთიანი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების გზით უნდა განხორციელდეს: „საზოგადოდ ერთობა, მეტადრე ხალხის ერთობა და კიდევ განსაკუთრებით ქართველობის ერთობა XIX საუკუნის უმთავრესი მოთხოვნილება არის ჩვენგან, რომლის აღსრულებასაც ყოველივე ღონისძიებით უნდა ვემსახუროთ. ჩვენს დროში ეს სიტყვა „ერთობა“ ჩაინთქამს თავის მნიშვნელობაში ყოველს კეთილსა, რაც კი კერძობით კაცსა, თუ ხალხს საზოგადოდ ღირსებად მიენერება. ამ საუნჯის განმომცხადებელი, შემამტკიცებელი და შეურყეველად დამაფუძნებელი არის ერთობა ენისა“ (ყიფიანი 1863: 76). დავ. ყიფიანი მსჯელობს სალიტერატურო ქართულის დემოკრატიზაციის სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ („გრამმატიკის დამუშავებისათვის უპირველესი წყარო და საბუთიანობა უნდა იყოს – ცოცხალი ხალხის ენა“ – ყიფიანი 1863: 88), ხოლო სპეციალურ თავში „ასოები“ (ყიფიანი 1863: 91-102) საგანგებო ყურადღებას უთმობს ლიტერატურული პრაქტიკიდან ძველი, ე. წ. ფუნქციადაკარგული, ასოების ამოღების აუცილებლობის საკითხს. დასასრულ, დავ. ყიფიანი დასძენს: „რასაკვირველია, ჩვენი აზრები ბევრისგან მიუღებელი დარჩებიან, ამისთვის აუცილებელ საჭიროებათა და სასარგებლოთა ვრაცხთ, რომა, ვინც არ დაგვეთანხმება, თავისი უთანხმოების საბუთები გამოაცხადონ ან ჩვენსავე ჟურნალში [იგულისხმება „საქართველოს მოამბე“ – თ. ჯ.] ან „ცისკარში“, ან, თუ ვინცობაა ვინმემ თავისი აზრის დაბეჭდვა არ ისურვა, წიგნით მოგვწეროს“ [ყიფიანი 1863: 102; დავ. ყიფიანზე, მის ამ წერილზე, აგრეთვე ლიტერატურა საკითხის შესახებ იხ.: ჭუმბურიძე 1974: 229-232; კალანდაძე 1985: 89-96, 248-251, 264-267, 279-281; მეძველია 1959: 156, 240-244; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 253-254].

ფაქტობრივად, ეს იყო გამოწვევა და დიმიტრი ყიფიანმა ამ გამოწვევას წინამდებარე ტექსტით უპასუხა, თუმცა იგი დავით ყიფიანს (აგრეთვე დავით ჩუბინაშვილსა და ილია ჭავჭავაძეს) არსებითად მხოლოდ ერთი საკითხის – ხმარებიდან ძველი ასოების

ამოღების – გარშემო ეკამათება. ხოლო ის, რომ ენის ერთობა ხალხის ერთობის განმსაზღვრელია და რომ ენის დემოკრატიზაციას იმ დროისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, ეს დიმი. ყიფიანისთვის კამათის საგანი ვერ იქნებოდა. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 1840-1850-იანი წლებიდან დიმი. ყიფიანი თვითონვე პრაქტიკულად ამკვიდრებდა (თარგმანები) ახალ ქართულს და თეორიულადაც ასაბუთებდა ქართული სალიტერატურო ენის ხალხის მეტყველებასთან დაახლოების აუცილებლობას (საკითხის შესახებ, აგრეთვე წყაროები და ლიტერატურა იხ.: ჯოლოგუა 2002<sup>9</sup>: 131-133).

უნდა ითქვას, რომ დიმი. ყიფიანმა მალევე (60-იანი წწ. ბოლოს) დათმო პოზიცია, გაიზიარა „თერგდალეულთა“ მიერ დამკვიდრებული ახალი პრინციპები და ცოტა ხანში საკუთარ სამწერლობო პრაქტიკაში თვითონვე თქვა უარი ფუნქციონირებად კარგული ასოების გამოყენებაზე, ხოლო 1882 წელს გამოცემულ „ახალ ქართულ გრამმატიკაში“ თავისი პოზიცია მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად ასე ჩამოაყალიბა: „არა მგონია სხვა ხალხს ჰქონდეს ვისმე ისეთი ბუნებასთან დაახლოვებული, განმარტივებული და ადვილად სასწავლი ანბანი, როგორც ჩვენა გვაქვს. არათუ ასო არ გვაკლია, რომ ქართული ხმა სწორად გამოითქმოდეს, მე ამასაც გავბედავ და ვიტყვი, რომ რამდენიმე ასო მეტიც არის; მაგალითად: „წ, ძ, ჯ, კ, შ“. თუ არ ანგარიშისათვის,\* არას შემთხვევაში არც ერთი ამ ასოთაგან საჭირო არ არის და სულ რომ გამოირიცხებოდნენ, – ჩვენი ანბანის დიდღირსებას მიემატებოდა ასოთ რიცხვის შემცირება, და მართლწერის ძალიან გაადვილება“ (ყიფიანი 1882: 12).

დასასრულ, დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი იყო დიმიტრის ძმისწული, არსებითად მის ხელში გაზრდილი და მის მიერვე დაკვლიანიებული, რომლის მიმართ, სანამ მოგვიანებით საზოგადოებრივი საკითხების გამო ერთმანეთს არ დაუპირისპირდებოდნენ, დიმიტრი განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავ-

\* ავტორს აქ მხედველობაში აქვს ამ ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა (წ – 8; ძ – 60; ჯ – 7000; შ – 10000).

და. 1860-1861 წწ. რუსეთში (პეტერბურგში) მყოფი დიმ. ყიფიანი მეუღლისადმი გამოგზავნილ წერილებში იმჟამად პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ დავით ყიფიანს უწოდებს „ძვირფასს“, „საყვარელს“ და ა. შ. და გამახვილებულ ინტერესს ავლენს მის სწავლასთან დაკავშირებული გარემოებების მიმართ (იხ. ლსმ. №№14791-ხ, 14802-ხ, 14814-ხ, 14815-ხ და სხვ.). შესაძლებელია, დავით ყიფიანისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამოძახილი ჩანდეს კიდევაც ტექსტის „პერსონაჟ“ ჟეს საყვედურიან გულისტკივილში: „ვინ მოიფიქრებდა, რომ ჩემი გულითადი და თანაშენიერი მეგობარი მილალატებდა... ეჰ, საყურადლო! პირმოთნეობა არის სისუსტე ხასიათისა. რათ მილალატე! რათ ულალატე ჭეშმარიტებასა! ვისაც ძღუწნი უძღუწნი გულითა, განა ღირდა იმათ! რა შეიძინე? ისი, რომ დაიბეჭდა შენი ქმნილება? ვსთქვათ, და რა გამოვიდა? ისი, რომ შენმა ქმნილებამ ენა დამიგლიჯა?..“

*დიმ. ყიფიანის ათტომეულში, როგორც ეს ზემოთ (იხ. „ტექსტისათვის“) გვაქვს მითითებული, ავტორის ნაწერებიდან ძველი (ფუნქციადაკარგული) ასოები ამოღებული გვაქვს და ამ მხრივ მართლწერა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვითაა გამართული. „ჩუწნი ნაცარ ქექიები“ წარმოადგენს გამონაკლისს, რადგანაც ტექსტის რაობა და მიზანდასახულობა სწორედ ამ ასოების შენარჩუნების სურვილითაა განპირობებული.*

<sup>1</sup> (გვ. 151) „უ. ჯიმშერიძემ ეს მძინარობა ქართველისა გამოგვის-ატა „კაცია ადამიანში“ – მოთხრობა „კაცია, ადამიანი“ (სწორედ ასე – დეფისისა და კითხვა-ძახილის ნიშნის გარეშე) ი. ჭავჭავაძემ პირველად ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ (1863, №№4-6) „მ. ჯიმშერიძის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა (ამ ფსევდონიმით გამოაქვეყნა, სხვათა შორის, „საქართველოს მოამბეში“ ი. ჭავჭავაძემ „გლახის ნაამბობის“ პირველი თავებიც – ჭავჭავაძე 1863: 7-53).

<sup>2</sup> (გვ. 153) „საფუძვლიანათ და უთვალღებოთ“ – უთვალღებო: მიუფერებელი, მიუკერძოებელი, პირუთვნელი (ქეგლ 1960: 1458).

<sup>3</sup> (გვ. 153) „უ[ფალმა] ჩუბინოვმა, თ[ავადმა] ილია ჭავჭავაძემ



**და დავ. ყიფიანმა საფუძვლიანათ დაამტკიცეს...** – ავტორს მხედველობაში აქვს:

ა) დავით ჩუბინაშვილის „Краткая грузинская грамматика“ („მოკლე ქართული გრამატიკა“), რომელშიც ნათქვამია, რომ ასოების **ზ, ა, შ, ჟ, ჯ, კ, ჭ** აღფაბეტში შეტანის აუცილებლობა არ არსებობს, შესაძლებელია მათი ჩანაცვლება სხვა ასოებით და ამიტომაც ისინი საერო მწერლობაში ამჟამად იშვიათად თუ გამოიყენებო [„Следующие буквы: **ზ, ა, შ, ჟ, ჯ, კ, ჭ** внесены в алфавит без особенной надобности, светскими писателями редко употребляются и могут быть заменены другими...“ – ჩუბინაშვილი 1855: 2; დ. ჩუბინაშვილის „მოკლე ქართულ გრამატიკას“ ხელმოწერელი კრიტიკული რეცენზიით გამოეხმაურა ჟურნალი „ცისკარი“ (ცისკარი 1857: 39-45), რასაც დ. ჩუბინაშვილის ვრცელი პასუხი მოჰყვა (ჩუბინაშვილი 1857). საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: ჭუმბურიძე 1974: 191-192].

ბ) ილია ჭავჭავაძის ცნობილი პოზიცია, გამოხატული მის მიერ 1861 წელს დაწერილ და „ცისკარში“ (№6) გამოქვეყნებულ წერილში „პასუხი“ (ჭავჭავაძე 1861: 217-224; ჭავჭავაძე 1991: 42-46).

გ) დავით ყიფიანის შემოხსენებული წერილი „რიგიანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად“ (ყიფიანი 1863).

<sup>4</sup> (გვ. 154) „იქნება დაახლოვებით არ იციან ბუნება ქართულის ენისა“ – „დაახლოვებით“ აქ ნიშნავს: ახლოდან, საფუძვლიანად, ზედმიწევნით...

<sup>5</sup> (გვ. 154) „...არამედ მოკლებულებით“ – „მოკლებულება“, ჩანს, აქ სისულელეს (სიშტერეს, სიჩერჩეტეს) ნიშნავს („სტერი: შტერი, რომელ არს მოკლებული“ – ორბელიანი 1966: 112).

<sup>6</sup> (გვ. 156) „სიტყუა ბრანგული და ყორანული არ გამოვიდეს“ – „ბრანგული“ აქ ნიშნავს „დათვურს“ („ბრანგვი: დათვი“ – ორბელიანი 1965: 117; „ბრანგული: დათვური“ – ქეგლ 1950: 1128). ფრაზის შინაარსი: სიტყვების გამომთქმელი დათვივით არ ღმუოდეს და ყორანივით არ ყრანტალებდეს.

<sup>7</sup> (გვ. 157) „ნავიკითხოთ ზოგიერთების შანჭრაქული წერილები“ – „შანჭრაქული წერილები“ აქ მდაბიურ მეტყველებას ნიშნავს [„შანჭრაქი/სანჭრაქი... – შანჭრაქები არიან სომხეთში (ერევანში) მოსიარულე ბოშები... როგორც ლტოლვილები, ცხოვრობენ ავლაბრის ერთ-ერთ უბანში“ (გრიშაშვილი 1997: 248)].

<sup>8</sup> (გვ. 158) „ხელი“ (ასო) – „ასო“ აქ სხეულის ნაწილს ნიშნავს („ასო: კაცის ნახმოანი“ – ორბელიანი 1965: 73).

<sup>9</sup> (გვ. 159) „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ – ფრაზა „ვეფხისტყაოსნიდან“ („დათხოვნა ავთანდილისა როსტევეან მეფესთანა და ვაზირის საუბარი“ – რუსთველი 1988: 118).

<sup>10</sup> (გვ. 162) „მუზიკაში სალამურს უმთავრესი ადგილი უჭირავს, თანასწორათ სკრიპკისა“ – „სკრიპკა“ (რუს. скрипка): ვიოლინო; „სალამურში“ ავტორი, უნდა ვიფიქროთ, ფლეიტას გულისხმობს.

### წინათქმა თარგმანისა:

ჰიუგო. „ოთხმოც-და-ცამეტიდამ“ (გვ. 165-166)

#### ნაბეჭდი:

„ქართული ბიბლიოთეკა“, 1883, №11-12 (ნოემბერ-დეკემბერი), გვ. 13-14 (თარგმანი სრულად იქვე – გვ. 14-74).

ვიკტორ ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც და ცამეტიდამ“. თარგმანი დიმიტრი ივანესძე ყიფიანის მიერ. გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან. ტფილისი: 1892, 50 გვ.

სათაური: ვიკტორ ჰიუგოს ოთხმოც-და-ცამეტიდამ.

თარიღი და ადგილი: 27 ოკტომბერი 1883. ს. ქვიშხეთი.

ხელმოწერა: დიმიტრი ყიფიანი.

ტექსტი ვიკტორ ჰიუგოს ცნობილი რომანის „გამოკრებილი“ თარგმანის (არსებითად მოკლე შინაარსის) წინათქმამა. ვიმეორებთ პირველნაბეჭდს (თარგმანის შესახებ იხ. ტაბიძე 1986<sup>ბ</sup>: 40-41; 74-79; ჯოლოგუა 2002<sup>ბ</sup>: 177). დასათაურება ჩვენია.

დიმ. ყიფიანი თავის თარგმანს ასე ამთავრებს: „ლანტნაკს რა დაემართა, ვანდეველებს ომი როგორ გათავდა, [ჰიუგო] იმას აღარ მოგვითხრობს. ისტორიით კი ვიცით, რომ რევოლუციამ გაიმარჯვა მაშინ. ლანტნაკი და იმისი ვანდეა დროთა მდინარებამ დაჰფარა სამარადისოდ“ (პირველნაბეჭდი. გვ. 74).

**კიდევ რამდენიმე სიტყვა**  
**ა. პ. ბერჟეს ხსოვნისათვის (გვ. 167-169)**

**ხელნაწერი:**

პეტერბურგი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტი („პუშკინის სახლი“). ჟურნალ „რუსკაია სტარინას“ არქივი, №5498; ფონდი 265, აღწ. 2, №216. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 6.\*

**სათაური:** Ещё несколько слов памяти А. П. Берже.

**ხელმოწერა:** Дим. Кипиани.

ტექსტი დაუთარილებელია. აშკარად ჩანს, რომ იგი დაწერილია ა. ბერჟეს გარდაცვალებიდან (1886 წ. 31 იანვარი) ახლო ხანებში. ამ მონაცემზე დაყრდნობით, **ტექსტს 1886 წლით ვათარილებთ**. დიმ. ყიფიანის წერილი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჟურნალ „რუსკაია სტარინას“ („Русская старина“) არქივშია დაცული და იგი, უნდა ვიფიქროთ, სპეციალურად ამ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად დაიწერა – „რუსკაია სტარინას“ 1886 წლის III (მარტის) ნომერში (გვ. 727-744) ა. ბერჟეს გარდაცვალებასთან დაკავშირებული, მათ შორის, თბილისიდან გაგზავნილი, მასალებია დაბეჭდილი (ბიოგრაფიული ცნობები, მისი ნაშრომების ბიბლიოგრაფია, გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული და ჩვენ მიერ ქვემოთ მითითებული წერილი დ. კობიაკოვისა), თუმცა დიმ. ყი-

\* ხელნაწერის მოპოვებაში დახმარებისთვის მადლობას მოვასხენებთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორს, ბ-ნ ზაზა აბაშიძეს.

**თ. ჯ.**

ფიანის ტექსტი რალაც მიზეზით არც ამ და არც შემდგომ ნომრებში არ გამოქვეყნებულა.

მართალია, დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილში არ არის მსჯელობა ლიტერატურულ საკითხებზე, მაგრამ, ვინაიდან ტექსტი მეცნიერსა და ლიტერატორს ეხება, ჩვენ შესაძლებლად ჩავთვალეთ, იგი წინამდებარე ტომში შეგვეტანა.

რაც შეეხება თვითონ **ადოლფ ბერჟეს (1828-1886)**, იგი იყო ფრანგული წარმოშობის რუსი ისტორიკოსი (აღმოსავლეთმცოდნე, კავკასიოლოგი, არქეოგრაფი), მემუარისტი, ლიტერატორი, საიდუმლო მრჩეველი („Тайный советник“). 1851 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, იმავე წელს ჩინოვნიკად განაწესეს კავკასიის მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის კანცელარიაში, ასე მოხვდა თბილისში და სამუდამოდ აქ დარჩა. გამოაქვეყნა არაერთი სამეცნიერო სტატია თუ წიგნი კავკასიისმცოდნეობის საკითხებზე. 1864 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე თავმჯდომარეობა „კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიას“. მისი რედაქტორობით გამოიცა არქეოგრაფიული კომისიის „აქტების“ (Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. 1-12. Тифлис: 1866-1904) პირველი 10 ტომი (XI-XII ტომები გამოიცა დ. კობიაკოვის რედაქციით). ადოლფ ბერჟე გარდაიცვალა 1886 წლის 31 იანვარს თბილისში, ლუთერანულ ეკლესიაში გადახდილი წირვა-პანაშვიდის შემდეგ დაკრძალეს კუკიაზე, გერმანელთა სასაფლაოზე [ა. ბერჟეს შესახებ იხ.: კობიაკოვი 1886 (გამეორებულია გაზ. „კავკაზის“ (1886, 4.11, №32) პუბლიკაცია – „Похороны Адольфа Петровича Берже“); ბროკჰაუზი-ეფრონი 1891: 530-531; ტიტვინიძე 1997: 408-409; ჭიჭინაძე 1915]. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ა. ბერჟეს მოკლე ბიოგრაფია – შედგენილი მოსე ჯანაშვილის მიერ (მ. ჯანაშვილის არქ., საქ. №47, ფ. 2).

<sup>1</sup> (გვ. 167) „კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის მოვალეობას ვასრულებდი“ – დიმ. ყიფიანი მეფისნაცვალმა ნიკ. მურავიოვმა თავისი კანცელარიის დირექტორის მოვალეო-

ბის შემსრულებლად 1856 წლის თებერვალში დანიშნა, თუმცა იმავე წლის მაისში პეტერბურგიდან დამტკიცებაზე უარი მიიღო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 103). ამ ფაქტსა და მისგან გამონეულ საზოგადოებრივ რეზონანსზე ალ. ორბელიანს უწერია: „აი მურავიოვმა კიდეც რა კარგი საქმე ჰქმნა ქართულებისათვის, მაგრამ კიდეც გონება დაგვიბრმავდა; როგორც თვითონ ქართული, ისე ნამდვილი ქართულებისთვისა კეთილგამძრახველი დიმიტრი ყიფიანი თავის კანცელარიის გამგე[დ] თავად დააყენა (კანცელარიის პრაავიტელად), იმის მართუელადა, თავის მხედველობის ქვეშე. ეს ის ნიშანი იყო მურავიოვისაგან: აი ქართულები ასე მიყვარან, რომ ამისთანა ჩუენი დიდი კანცელარია ქართულს ჩავაბარო. სადაც ყოვლის მხრიდგან, სხუა საქმეებს გარდა, ყოველი საიდუმლოები იქ შედის და იქიდგანვე გადის. ეს იმისთანა ჩუენგნით მოულოდნელი და უფიქრებელი ადგილი ქართულს ჩააბარა, მაგრამ რა გითხრათ? – ასეთი ყიფინა შეიქნა ვარანცოვის დასისაგან ყიფიანზე, რომ რალა ვთქუა. – „მურავიოვი, ის ასეთი, ის ისეთი, ის ყიფიანი იმისთანა იმ დიდს ადგილზე როგორ დააყენაო?“ და სხუანი. ასე გეგონებოდათ: ერთი რალაც უბედურება მოსვლიათო. ასე ლავლავებდნენ მურავიოვზედ და ყიფიანზედ ისინი. ის იმათი ლავლავი იქამდისინ წავიდა, რომ პეტერბურლიდგან უარი მოუვიდა მურავიოვს იმის დანიშვნისა. მაინც კიდეც მეორეთ წარადგინა, ბოლოს მაინც სრულად დაითხოვეს ყიფიანი იქიდგან“ (ორბელიანი 1999: 61-62). სხვა ცნობებით, მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად დიმ. ყიფიანის დამტკიცება კავკასიის მომდევნო მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკისა და „კავკასიის კომიტეტის“ საქმეთა მწარმოებელ ვლადიმერ პეტრეს ძე ბუტკოვს (ცნობილი ისტორიკოსის შვილს) ჩაუშლიათ (ორჯონიკიძე 1992: 237). თვითონ დიმ. ყიფიანი კი თავის „მემუარებში“ წერს: „[ნიკ. მურავიოვს] მიართვეს პეტერბურგიდან ფოშტით მოსული უარი ყიფიანის დამტკიცებისა და ბრძანება დირექტორად კრუზენშტერნის დანიშვნისა ... რალა მეფის მოადგილე ვარ, თუ კი დირექტორის ამორჩევაც არ შემძლიანო, სთქვა მურავიოვმა ... ჩამომართვა მაგრა ხელი და დამაბრუნა უკან საბჭოს

კანცელარიაში“ (ყიფიანი 1990: 65; სანამ ნიკ. მურავიოვი დიმ. ყიფიანს თავისი კანცელარიის დირექტორად წარადგენდა, დიმიტრი მეფისნაცვლის საბჭოს კანცელარიის მმართველი იყო და პეტერბურგიდან მიღებული უარის შემდეგ ამ თანამდებობაზევე გააგრძელა სამსახური).

<sup>2</sup> (გვ. 168) „სამსახურში მხვდებოდა, როცა იქ მივდიოდი და რჩებოდა, როცა იქაურობას ვტოვებდი“ – ნიკ. მურავიოვის კანცელარიაში მუშაობის შესახებ დიმ. ყიფიანი თავის „მემუარებში“ წერს: „ის კი (საკუთარ თავზე ამბობს – თ. ჯ.) მუშაობს თავისთვის კანცელარიაში დილის 6 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდან ღამის 11 საათამდე ყოველთვის სამი თვის განმავლობაში“ და იქვე დასძენს: „ერთადერთი ა. პ. ბერჟე უხვდება მას კანცელარიაში, როცა მივა და იქვე სტოვებს, როცა წავა“ (ყიფიანი 1990: 65).

<sup>3</sup> (გვ. 168) „მეფისნაცვალი... საერთოდ არ იმყოფებოდა თბილისში“ – მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დიმ. ყიფიანის დანიშნვიდან ცოტა ხანში ნიკ. მურავიოვი „სტავროპოლის გუბერნიაში წაბრძანდა“ (ყიფიანი 1990: 65).

ს ა ი ს ტ ო რ ი ო  
თ ხ ზ უ ლ ე ბ ე ბ ი

თამარ მეფის საუკუნე (გვ. 173-176)

ნაბეჭდი: „Кавказ“, 17 აგვისტო, 1846, №33.

სათაური: Век царицы Тамары.

ხელმოწერა: Д. Кипиани.

ვათარილებთ პირველნაბეჭდის მიხედვით (ტექსტი დაინერგებოდა 1846 წ. 13 აპრილსა და 17 აგვისტოს შორის – ივ. ევლახოვის

ქვემოთ დასახელებული თარგმანის დაბეჭდვიდან დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილის გამოქვეყნებამდე).

დიმ. ყიფიანი ამ წერილით ეხმაურება იმ პოლემიკას, რომელიც 1846 წელს დავით ჩუბინაშვილსა და ივანე ევლახოვს შორის გაიმართა. კერძოდ, ივ. ევლახოვმა თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ მონაკვეთი (ნაწილი თავისა – „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“) და ეს თარგმანი გაზეთ „კავკაზში“ გამოაქვეყნა (ევლახოვი 1846ა; თარგმანის შესახებ იხ. ანდლულაძე 1968: 177-187). დ. ჩუბინაშვილმა იმავე „კავკაზში“ ივ. ევლახოვის თარგმანის მკაცრი კრიტიკა დაბეჭდა (ჩუბინაშვილი 1846). მთარგმნელმა კრიტიკას კრიტიკითვე უპასუხა და, სხვათა შორის, საპასუხო წერილში თამარის ეპოქის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება გამოავლინა (ევლახოვი 1846ბ; დ. ჩუბინაშვილისა და ივ. ევლახოვის ტექსტების ქართული თარგმანები იხ. ქრესტომათია 1954: 29-36; წყაროები და ლიტერატურა საკითხის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2002ა: 143-145). დროის ამ მონაკვეთშივე „კავკაზში“ გამოქვეყნდა მიხეილ მაისუროვის მოთხრობა „ვარდციხის ციხე-დარბაზი“, რომელსაც სიუჟეტურ საფუძვლად დაედო ერთი უხამსი გადმოცემა თამარ მეფისა და შოთა რუსთველის სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ (მაისუროვი 1846). დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი საქართველოს ისტორიის გაყალბებისა და ქართული კულტურის მიმართ ნეგატიური განწყობების წინააღმდეგ არის მიმართული.

<sup>1</sup> (გვ. 174) „აბდულ-მესია“ – „აბდულ-მესიაში“ აქ იგულისხმება იოანე შავთელი, XII–XIII სს. ქართველი მწერალი, რომელსაც სახოტბო ძეგლი „აბდულმესიანი“ მიეწერება.

<sup>2</sup> (გვ. 175) „არცთუ მრავალრიცხოვან მკითხველთა წრეში ცნობილმა...“ – ავტორი აქ, ჩანს, იმას გულისხმობს, რომ იმ დროისთვის „ვეფხისტყაოსანს“ საქართველოს ფარგლებს გარეთ არ იცნობდნენ.

<sup>3</sup> (გვ. 175) „იცავს რა საკუთარ თარგმანს ბ-ნი დ. ჩ-ს კრიტიკისაგან“ – „დ. ჩ.“ (Д. Ч.) დავით ჩუბინაშვილის (ჩუბინოვის) ინიციალებია.

<sup>4</sup> (გვ. 175) „უარყოფს თამარის ეპოქის სიღიადეს“ – ამის თაო-

ბაზე ივ. ევლახოვს უწერია: „ნუთუ უფ. რეცენზენტი ხუმრობის გარეშე იმ დროს ნათლავს დროდ „შმაღლესი კეთილმდგომარეობისა, სახალხო და სამოქალაქო სიდიადისა“ ... თუ თამარმა დააწყნარა საქართველო იმ ლეღვისაგან, რომელიც სამეფოს არყევდა მის ტახტზე ასვლამდე, თუ იგი განათლებისათვის იღვწოდა და საბერძნეთში მის მისაღებად გზავნიდა ახალგაზრდებს, – ეს ისტორიულის თვალსაზრისით მაინც არ იყო დროდ საქართველოს უმაღლესი კეთილმდგომარეობისა, მით უმეტეს, იმ დროს არ შეიძლება ეწოდოს საერთოდ ქართული ლიტერატურის, მეცნიერებისა და განათლების ოქროს საუკუნე, სხვაგვარად, ეს ოქროს საუკუნე არ იყო მეტად ბრწყინვალე ... ორი-სამი სახალხო ნაწარმოები, როგორც, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“ და სხვ., კიდევ არ შეიძლება საქართველოს განათლებულობის ფაქტად ჩაითვალოს იმ სახით, როგორც მას უფ. რეცენზენტი წარმოგვიდგენს“ (ქრესტომათია 1954: 32-33).

<sup>5</sup> (გვ. 175) **„ვეფხვის-ტყაოსანს საქართველოში ცოტანი კითხულობენ და ცოტას თუ გაეგება მისიო“** – ივ. ევლახოვის თქმით, რუსთველის პოემა, „როგორც საპატიო ძეგლი, როგორც ადგილობრივი გაღმერთების საუნჯის კიდობანი, ფასდებულია საქართველოში და ადგილობრივ მკვიდრთა სიამაყის საგანია – უდავოა. მაგრამ, სამწუხაროდ და უფ. რეცენზენტის შეხედულების საწინააღმდეგოდაც, კიდევ ცოტაა ბაგენი საქართველოში, რომელნიც ზეპირად მღერიან ამიერკავკასიის ილიადის ფურცლებს,\* არიან ისეთი პიროვნებანიც, რომელთაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ ამ ქმნილებაზე. უმთავრესი მიზეზი ამისა არის ხელმიუწვდომლობა ენისა, რომლითაც დაწერილია „ვეფხისტყაოსანი“ (ქრესტომათია 1954: 33). მოგვიანებით ივ. ევლახოვმა საკითხის

---

\* დ. ჩუბინაშვილი ხსენებულ წერილში „ვეფხისტყაოსანს“ „ამიერკავკასიის ილიადას“ უწოდებს: „...она написана до-того народно, что едва-ли найдутся Грузинские уста, не поющие наизусть несколько страниц Закавказской Иллиады“ (ჩუბინაშვილი 1846; „ეს წიგნი... იმდენად ხალხურადაა დაწერილი, რომ ძნელად იპოვება ქართული ბაგე, რომელიც ამიერკავკასიის ამ ილიადის რამდენიმე ფურცელს არ მღეროდეს“ – ქრესტომათია 1954: 30).



მიმართ ამგვარი დამოკიდებულება შეცვალა. კერძოდ, 1847 წ. იგი წერს: „ვეფხისტყაოსანი (Барсова кожа) ქართული ენის სრულყოფილების ნიმუშია. იმერეთში იგი **სახალხო ქმნილებად** მიიჩნევა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ძალიან ბევრისთვის გასაგებია („...доступна весьма многим“); მით უმეტეს, იქ მრავლადაა ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე და ისინი საქართველოს ისტორიისთვის მეტად ძვირფას მასალასაც ფლობენ“ (ველახოვი 1847).

<sup>6</sup> (გვ. 176) „**მას ისეთ ამბებს მიაწერს...**“ – მ. მაისუროვის მოთხრობაში აღწერილია ამბავი, თუ როგორ სთხოვა თამარ მეფემ რუსთველს სპარსული პოემის თარგმნა. მეფეზე გამიჯნურებული პოეტი დავალების შესრულების შემდეგ ჯილდოდ სატროფოსგან ხორციელ სიყვარულს მოითხოვს. თხოვნა შესრულდება, თუმცა ამის შემდეგ პოეტის თავმოკვეთილ ცხედარს მდინარეში იპოვიან (მოქმედება ხდება იმერეთში, ვარდციხეში, რომელიც, მოთხრობის მიხედვით, თამარის საზაფხულო რეზიდენციაა).

<sup>7</sup> (გვ. 176) „**რომელიმე მარგარიტა ბურგუნდიელსა და la tour de Nesle-ს რომ უკავშირდება**“ – ფოლკლორული წყაროებისა და მხატვრული ლიტერატურის (ალ. დიუმა, მ. დრიუონი...) მიხედვით, საფრანგეთის დედოფალი (1314-1315) მარგარიტა ბურგუნდიელი ნესლეს კოშკში (La tour de Nesle) ღამით ორგიებს აწყობდა, დილით კი ორგის მონაწილე მამაკაცებს აკვლევინებდა (მათ მდ. სენაში ახრჩობდნენ).

<sup>8</sup> (გვ. 176) „**ერთ ბნელით მოცულ პირს, გადმოცემის მიხედვით, იმ კოშკში რომ ცხოვრობდა...**“ – ჩვენ ვერ გამოვარკვევთ, რომელი „გადმოცემა“ შეიძლებოდა ჰქონოდა ავტორს მხედველობაში (გამორიცხული არ არის, ეს იყოს თითქოს თამარ მეფის დაზე, დარიაზე, არსებული, თუმცა წერილობით დაუდასტურებელი და დაუჯერებელი „გადმოცემა“, რომელიც ტრანსფორმირებული სახით საფუძვლად დაედო მიხ. ლერმონტოვის მიერ 1841 წელს დაწერილ ლექსს „Тамара“).

## ნინო – საქართველოს განმანათლებელი (გვ. 177-179)

ნაბეჭდი:

„Закавказский вестник“, 1849, №№12-18 (17 მარტი, №12; 24 მარტი, №13; 31 მარტი, №14; 7 აპრილი, №15; 14 აპრილი, №16; 21 აპრილი, №17; 28 აპრილი, №18).

სათაური: Нина просветительница Грузии.

ხელმოწერა: Димитрий Кипиани.

**ვათარიღებთ პირველნაბეჭდის მიხედვით.**

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმ. ყიფიანის არქივში (საქ. №226, ფ. 1) დაცულია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის, გ. ტოკარევის, წერილი დიმიტრისადმი, რომელშიც მოცემულია სია ბიბლიოთეკაში შესული წიგნებისა და ჩამონათვალში დასახელებულია: Кипиани, Св. Нина, просветительница Грузии. Тифлис: 1849. in 12<sup>o</sup>. ჩვენ ვერც ეს გამოცემა და ვერც სხვა რაიმე ცნობა ამ გამოცემის შესახებ ვერ მოვიპოვეთ. სავარაუდოდ, ეს იქნება გაზეთში „Закавказский вестник“ გამოქვეყნებული ტექსტი, გამოცემული ცალკე წიგნაკად.

წინამდებარე ტექსტი ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის“ დიმ. ყიფიანისეული რუსული თარგმანის წინათქმაა („Закавказский вестник“, 17.III, 1849, №12). თარგმანს დართული აქვს სქოლიოები – განმარტებები და კომენტარები. აქვე გადმოგვაქვს ეს სქოლიოები ტექსტისეული თანამიმდევრობით. ჯერ ვიმონუმებთ შესაბამის მონაკვეთს „ნინოს მიერ ქართლის მოქცევიდან“ (ვიყენებთ გამოცემას – ქართლის ცხოვრება 1955: 72-128), რასაც მოსდევს ამ მონაკვეთთან დაკავშირებული დიმ. ყიფიანისეული განმარტება თუ კომენტარი:

I. „და აღდგომილ იყვნეს მას ჟამსა ბრანჯნი ბრძოლად ჰრომთა...“ (ქართლის ცხოვრება 1955: 73) – ჩემთვის ცნობილ ისტორიკოსთა ნაშრომებში მე ასეთი ხალხი (Бранджи)

არ შემხვედრია. შეიძლება ქართველები ასე უწოდებდნენ გუთებს ან ბაქტრიელებს, შეიძლება ბრიტანელებს, ან კიდევ, უფრო მაღალი ალბათობით – ბარსელონელებს. (17.III, №12)

II. „და მოვიდეს ლტოლვილნი არეთა სომხითისათა, ადგილსა მას... რომელ არს დვინი“ (ქართლის ცხოვრება 1955: 82) – არზანოვების 1827 წლის „სომხეთის სამეფოს ისტორიის“ [Опыт начертания историй царства Армянского. М.: 1827] 118-ე გვერდის მიხედვით, დვინი ანუ ტვინი (Твин) ძველი დედაქალაქის, არტაშატის, მახლობლადაა და იგი ახალ დედაქალაქად აქცია ხოსროვ II-მ,\* თრდატის შვილმა. არზანოვები ტვინის დაარსებას ათარიღებენ ქრისტეს დაბადებიდან 344 წლის ახლოს. ეს მონაცემი კი აქ მოთხრობილ ამბავთან 30-40 წლის სხვაობას იძლევა. (24.III, №13)

III. „ხოლო კეისარი აღივსო მწუხარებითა და წარავლინნა კაცნი ყოველთა ადგილთა მოძიებად მათდა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 82) – ეს კეისარი ან კონსტანციუს ქლორუსია (Констанций Хлор), ან კონსტანტინე დიდი (Константин Великий), რამდენადაც, ვახტანგის გამოთვლით, მოქმედება IV საუკუნის დასაწყისში ხდება. ვახტანგი კი, თავის მხრივ, ეყრდნობა ქართულ ქორონიკონს ანუ მზის ციკლს („...основанному на Грузинском Хрониконе, т. е. солнечном цикле“), რომელიც 532 წელს შეიცავს. (24.III, №13)

IV. „წამომართა და მოინია მათა ჯავახეთისათა...“ (ქართლის ცხოვრება 1955: 85) – ვახტანგთან უკვე აღარ ჩანს, იყო თუ არა ნინო ეფესოში ელენეს მოქცევის მიზნით. (24.III, №13)

V. „წარემართა მდინარესა მას ტბისასა, და იყო დინება მისი დასავლეთით-კერძო“ (ქართლის ცხოვრება 1955: 87) – ახალქალაქისწყალი (Ахалкалакская речка), რომელიც სოფელ ხერთვისთან ერთვის მტკვარს და მასთან ერთად სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ უხვევს. (24.III, №13)

\* უნდა იყოს: ხოსროვ III კოტაკი – სომეხთა მეფე 330-339 წწ., ქალაქ დვინის დამაარსებელი.

VI. „...მიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი“ (ქართლის ცხოვრება 1955: 87) – ამჟამად სოფელი გორის მაზრაში. (24.III, №13)

VII. „წმიდამან ნინო შეუსწრო ციხედ არმაზად... და იხილა წმიდამან ნინო, რამეთუ დგა კაცი ერთი სპილენძისა...“ (ქართლის ცხოვრება 1955: 89) – არმაზის შესახებ ვახტანგ V-ის მატიანეში ნათქვამია: „პირველმა ქართველმა მეფემ, ფარნავაზმა, აღმართა სპილენძის უზარმაზარი კერპი და მას თავისი სახელი არმაზი უწოდა იმიტომ, რომ ფარსულად ფარნავაზს არმაზი ერქვა. ფარნავაზმა დაამკვიდრა ხალხში ამ კერპის თაყვანისცემა, მის პატივსაცემად დააწესა დღესასწაული და, ფარნავაზისავე ანდერძის მიხედვით, იგი ამ კერპის ფერხითი უნდა დაეკრძალათ“. იმავე მატიანის მიხედვით, ფარნავაზი მეფობას შეუდგა კავკასიის ქვეყნებში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან 24 წლის შემდეგ, და იმეფა 63 წელიწადი. შესაბამისად, არმაზისთვის თაყვანისცემის შემოღება ქრისტეს დაბადებამდე 420 წლის სიახლოვეს უნდა ვივარაუდოთ. (31.III, №14)

VIII. „მარჯუენით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი; და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვეცხლისა, და სახელი მისი გაიმ, რომელნი-იგი ღმერთად უწინდეს ერსა მას ქართლისასა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 89-90) – აქ ნახსენები არ არის მეოთხე ღვთაება – ზადენი (Заден), აგრეთვე, ქალღმერთი აფროდიტოსი (Афродите), თუმცა ქვემოთ მათზეც იქნება ნათქვამი. (31.III, №14)

IX. „[კერპთა შემუსვრის შემდეგ] წმიდა ნინო დარჩა მშუდობით ადგილსა მას, სადა პირველ შესრულ იყო“ (ქართლის ცხოვრება 1955: 91) – ამ მონაკვეთს დიმიტრი ყიფიანი თარგმნის ასე: „Под таким разрушительным явлением Нина оставалась невредимой свидетельницей уничтожения Армаза и его богов“ და ურთავს სქოლიოს: „თუ ასე თქმა შეიძლება – сибрат [თანამომე], сотоварищ [თანაამხანაგი], сожитель [თანამცხოვრები], მაშინ შეიძლება დავტოვოთ სიტყვა, რომელიც კალამს მოსწყ-

და: *Собо* [თანადმერთი]. (31.III, №14)

X. **„წმიდამან ნინო აუნყა და უთხრა ყოველი გზა და საქმე მისი, თუნერ ხოლო დედა-ძმათა მისთა არა აუნყა, რამეთუ ტყუედ უთხრა თავი თუხი“** (ქართლის ცხოვრება 1955: 93) – ინოკენტი თავის „ახალი აღთქმის ისტორიაში“ („История Нового Завета“) ნინოს უწოდებს „ტყვე ქალ ნონას“. აი, მისი სიტყვები: „ივერიაში ანუ საქართველოში ვინმე ტყვე ქალის, ნონას, ღვანლით მოხდა, თუ ქრისტიანობის შემოსვლა არა, რამდენადაც ქართველთა ნათლისღებას ზოგიერთი უფრო ადრინდელ ხანას უკავშირებს, გავრცელება მაინც. მან რამდენიმე წლის მოთმინების შემდეგ ლოცვით განკურნა ერთი ქალის ყრმა და შემდეგ იმავე საშუალებით განკურნა მეფის მეუღლე, რომელსაც იმდენად შთაენერგა მაცხოვრის რწმენა, რომ მეფე ბაკურმა იმპერატორ კონსტანტინეს ეპისკოპოსი და საქართველოს განათლებისთვის საჭირო მასწავლებლები გამოსთხოვა (გვ. 214, 215)“. უცნობია, რატომ არის ინოკენტის მიერ მირიანის ნაცვლად დასახელებული ბაკური (Вакурый), რომელსაც IV საუკუნეში საერთოდ არ უმეფია.\* ბაკურის შესახებ ქართული მატრიანებიდან ისლავ ცნობილი, რომ იგი 21-ე ქართველი მეფეა, მირიანი კი – 24-ე მეფე. (31.III, №14)

XI. **„და პოვა ჰურია ერთი მღვდელი, სახელით აბიათარ, და უქადაგა მას და ასულსა მისსა სიდონიას სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი...“** (ქართლის ცხოვრება 1955: 95) – აბიათარმა (Авиафоп) მალევე ირწმუნა ნინოს ქადაგებანი, რამდენადაც მას ანტიოქიელი მღვდლებისგან სმენოდა მაცხოვრის შესახებ და, ამდენად, სული მისი მომზადებული იყო სანეტარო სწავლა-მოძღვრების მისაღებად. (7.IV, №15)

XII. **„და მათ ჟამთა შინა იყო შესლვა მირიან მეფისა და ძმისნ ულისა მისისა, დიდისა სპარსთა მეფისა, საბერძნეთად...“** (ქართლის ცხოვრება 1955: 95) – ძე მირიანის უმცროსი ძმისა,

\* ჩანს, აქ ავტორი გულისხმობს ბაკურ I-ს, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით – იბერიის მეფეს III ს. II ნახევარში.

სპარსეთის მეფე ბარტამისა. (7.IV, №15)

**XIII. „...ღმრთისა ძალითა იქმ კურნებასა ამას, ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი“** (ქართლის ცხოვრება 1955: 106) – ზადენის შესახებ ვახტანგი ამბობს: „მეოთხე მეფე ფარნაჯომ ნებროთიანმა ფარნავაზის დინასტიიდან უმატა ქალაქთა და ციხეთა შენებას, ააგო ციხესიმაგრე ზადენი და აღმართა კერპი ზადენი იმავე სახელის მქონე მთაზე, იწყო შენება კახეთში ქალაქისა ნელქარი (რაც ნიშნავს ქარს, ნელა რომ უბერავს), რომელსაც ამჟამად ნეკრესი ჰქვია. გარდა ზადენისა, ვახტანგი ახსენებს აგრეთვე მეხუთე ღმერთს, უფრო სწორად, ქალღმერთ აფროდიტეს, რომლის პატივსაცემადაც სეფელია ლოლოთეთის ასულთან დაქორწინების შემდეგ კერპი აღმართა ქართველთა მე-19 მეფე რევმა, სომეხთა მეფის ძემ“. (14.IV, №16)

**XIV. „არამედ უცხოთა ამას სიტყუასა ნუ იტყუ, ჰრომთა მათ შეცთომილთა სჯულსა, ნუცა გნებავს ყოვლადვე თქმად“** (ქართლის ცხოვრება 1955: 106) – რომაელებში ქართველები ბერძნებსაც გულისხმობდნენ იმდენად, რამდენადაც ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ რომის იმპერიის სახელწოდებით ჩამოყალიბდა და რომის ერთმპყრობელობის (единодержавие) ნაწილი იყო. ამიტომაც ბერძნები რომაელებად იწოდებოდნენ. (14.IV, №16)

**XV. „ხოლო მეფემან მოვლო ყოველი სანახები მუხნარისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა მალალსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლისციხედ“** (ქართლის ცხოვრება 1955: 109) – კასპი ყოფილი ქალაქია, ამჟამად – სოფელი, რომელიც თავად ამილახვრებს ეკუთვნის. ამ შენიშვნის აუცილებლობა იმან წარმოშვა, რომ მკითხველს\* კასპი (თარგმანში: „...долины Каспия“ – თ. ჯ.) არ აერიოს კასპიის ზღვაში, რომელიც აქედან ისევე შორია, როგორც – შავი ზღვა. (21.IV, №17)

\* „მკითხველში“ აქ საქართველოს გეოგრაფიის არმცოდნე რუსულენოვანი მკითხველი უნდა ვიგულისხმოთ.

XVI. „ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ერი განვიდა მიგებებად მეფისა... და მიეგებოდეს ქინძარას და ლართას“ (ქართლის ცხოვრება 1955: 110) – ლართა (Гарт), სადაც ახლა ლართისკარის პოსტია, მდებარეობს მცხეთიდან 4 ვერსზე, ხოლო ქინძარა (Киндзара) ლართიდან ცოტა მოშორებითაა. (21.IV, №17)

XVII. „წარისუენით ორნი ჯუარნი და აღმართენით ერთი თხოთს... და ერთი მიეც სალომეს, მკევალსა ქრისტესსა...“ (ქართლის ცხოვრება 1955: 121) – სალომე, მეფისწულ რევის მეუღლე, იყო სომეხთა მეფე თრდატის ასული („дочь... Тиридата“). (28.IV, №18)

XVIII. „...და აღმართოს უჯარმას ქალაქსა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 121) – უჯარმა (Уджармо), ამჟამად თავად ჩოლოყაშვილთა (Челокашвы) კუთვნილი სოფელი მუხროვანის მახლობლად, მეფის ასულ სალომეს საუფლისწულო მამული იყო. (28.IV, №18)

XIX. „და შევედრა სული თუხი მეუფესა ცათასა, ქართლად მოსლვითგან მისით მეთოთხმეტესა წელსა, ქრისტეს ამალღებთგან სამას ოცდათურამეტსა წელსა, დასაბამითგანთა წელთა ხუთიათასრვაასოცდათურამეტსა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 127) – დიმ. ყიფიანი ამ მონაკვეთს თარგმნის ასე: „Так прошла Св. Нина земное поприще свое столь славное и столь достопамятное, по прибытий своем в Грузию в 14-е лето; по рождестве Христове в 371-е“ და სქოლიოში ურთავს შენიშვნას: „ზოგნი ამას მიაკუთვნებენ 310-320 წლებს, სხვები – 340-ს“ („...к 340-му“). (28.IV, №18)

<sup>1</sup> (გვ. 177) „...ან კიდევ ვახტანგ V-ისა“ – ადრინდელ წყაროებში, მათ შორის, თვითონ ვახტანგის ნაწერებში (სხვათა შორის, დავით გურამიშვილის „დავითიანშიც“) ვახტანგ VI ასე იხსენიება – ვახ-

\* მოგვიანებით, 1854 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „რამდენიმე მოსაზრება საქართველოს ისტორიის მასალებზე“, დიმ. ყიფიანი წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევას IV ს. მეორე ათწლეულით ათარიღებს (იხ. აქვე, გვ. 194).

თ. ჯ.

ტანგ მეხუთე („მეხუთე ვახტანგ“).

<sup>2</sup> (გვ. 177) „ეს გარემოება თხზულების ვახტანგისეულ დასათაურებაში ჩანს“ – დიმ. ყიფიანს მხედველობაში აქვს წინათქმა, რომელიც ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებს უძღვის წინ: „პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება განრყუნელ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო. ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისმან და ძმისწულმან სახელოვნის გიორგისმან, შეკრიბა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა, საცა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა, და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამონმეს, და რომელი განრყუნელ იყო, განმართეს. და სხუაცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხუნეს და ესრეთ აღწერეს“ (ქართლის ცხოვრება 1955: 024).

<sup>3</sup> (გვ. 179) „ჩაინერა ღვთისმოსავმა მეფის ასულმა...“ – დიმ. ყიფიანს მხედველობაში აქვს მონაკვეთი „ნინოს მიერ ქართლის მოქცევიდან“: „მაშინ მსწრაფლ მოიხუნეს სანერელნი სალომე უჯარმელმან და პეროჟავრი სივნიელმან: ინყო სიტყუად წმიდამან ნინო, ხოლო იგინი წერდეს. და წარმოუთხრა ყოველი, რომელი ზემოთ დავწერეთ, ცხოვრება მის წმიდისა და ნეტარისა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 127).

### რამდენიმე მოსაზრება საქართველოს ისტორიის მასალებზე (გვ. 180-221)

ნაბეჭდი:

„Кавказ“, 21 აპრილი, 1854, №30; 24 აპრილი, 1854, №31; 28 აპრილი, 1854, №32; 1 მაისი, 1854, №33; 8 მაისი, 1854, №35; 15 მაისი, 1854, №37; 22 მაისი, 1854, №39.

Несколько мыслей о материалах для истории Грузии. Статья Д. И. Кипиани. Тифлис: Типография Канцелярий Наместника Кавказского. 1854, 36 გვ. (ყდაზე გამოცემის თარიღად 1855 წელია მითითებული).



თ. ჯოლოგუა. დიმიტრი ყიფიანის ორი საისტორიო თხზულება. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2016, გვ. 69-103.

**სათაური:** Несколько мыслей о материалах для истории Грузии.

**ხელმოწერა:** Д. Кипиани.

თარგმანი აქიბექდება წიგნაკად გამოცემული ტექსტის მიხედვით. ტექსტი დაუთარიღებელია. **თარიღად ვიღებთ პირველნაბეჭდს.**

<sup>1</sup> (გვ. 180) „საქართველო საკუთარი მეფისა და ხალხის სურვილით შეუერთდა რუსეთის სახელმწიფოს“ – რუსეთთან საქართველოს შეერთების „ნებაყოფლობითი“ ხასიათის შესახებ მსჯელობისას აქ და სხვა ტექსტებში დიმიტრი ყიფიანი საფუძვლად იღებს გიორგი XII-ის „სათხოვართა პუნქტებს“, რომლითაც ქართლ-კახეთის უკანასკნელი კანონიერი („ღვთივეკურთხეული“, „მირონცხე-ებული“) მეფე თავის სამეფოს რუსეთს უშუალო გამგებლობაში გადასცემდა და მხოლოდ არსებითად ფიქციად ქცეული ტახტის მემკვიდრეობითი უფლებით შენარჩუნებას ითხოვდა: „უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელო ჩემი უზაკველითა და ქრისტიანებრითა ჭეშმარიტებითა მსხვერპლებითა და დაუდევით არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერთგან დაიდვას სამეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად წესითა მით, ვითარცა სხვანი იგი რუსეთსა შინა პყრობილნი პროვინციანი სარგებლობენ... სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფენი, გარდა ოდენ სამეფოს მემკვიდრითი მემკვიდრე ვითარცა წინაპარნი ჩემნი“ (იოსელიანი 1936: 92; იხ. აგრეთვე: დუბროვინი 1897: 162-164; უფრო ვრცლად საკითხის შესახებ იხ. წინამდებარე გამოცემის I ტომი, გვ. 407-409).

<sup>2</sup> (გვ. 180) „ეს ყველაფერი მოხსენიებული იქნება... ვლადიმირის, ივანე მრისხანის, ბორის გოდუნოვის, ალექსი მიხეილის ძის, პეტრე დიდის სახელებთან დაკავშირებული მოვლენების თხრობისას“ – ავტორი აქ ასახელებს რუსეთის იმ მონარქებს, რომლებთანაც ქა-

რთველ მეფეებს ამა თუ იმ ფორმითა და ინტენსივობით პოლიტიკური, დიპლომატიური თუ სამხედრო ურთიერთობები ჰქონდათ.

<sup>3</sup> (გვ. 180) „...რომელთა ფორმირება კაცობრიობის აკვნის მოსაზღვრე ქვეყნებში მოხდა“ – „კაცობრიობის აკვნის“ შესახებ ამავე ტექსტში (გვ. 201) დიმ. ყიფიანს უწერია: „ხალხები მსოფლიოში განიფანტნენ არარატის მიდამოებიდან – ჩვენი ბიბლიური აკვნიდან, ტიგრს, ევფრატს, არაქსსა და ორონტს შორის რომ მდებარეობს“.

<sup>4</sup> (გვ. 181) „მ. ი. ბროსემ...“ – მარი-ქსავიე ფელისიტე ბროსე რუსულ წყაროებსა და ლიტერატურაში უმეტესად მარი *ივანეს ძე* ბროსედ მოიხსენიება.

<sup>5</sup> (გვ. 181) „1849-1850 წლებში ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოსცა სანქტ-პეტერბურგში“ – სინამდვილეში ორივე გამოცემა (ქართულიცა და ფრანგულიც) 1849 წელს განხორციელდა – იხ. ბროსე 1849<sup>6</sup>; ბროსე 1849<sup>ბ</sup>.

<sup>6</sup> (გვ. 181) „...S-P. 1851“ – ბროშურაში გამოცემის წლად დიმ. ყიფიანს შეცდომით მითითებული აქვს 1854 წელი (ყიფიანი 1854<sup>ბ</sup>: 5), თუმცა პირველნაბეჭდში (ყიფიანი 1854<sup>ა</sup>: №30) გამოცემის წელი მას სწორად (1851) აქვს აღნიშნული.

<sup>7</sup> (გვ. 184) „თავისი სპარსული სახელი – არმაზი – უწოდა“ (გვ. ??) – სხვა თვალსაზრისით, სახელი „ფარნავაზ“ „წარმოსდგება მიდიური სიტყვიდან „ფარნა-ვაზდა“: „ფარნა – ბრწყინვალეობა, ბედნიერება, მეფური დიდება“ (ქართლის ცხოვრება 1994: 121).

<sup>8</sup> (გვ. 187) **Grave** (ინგლ.) – მაღალი ხარისხის მქონე გავლენიანი პიროვნება.

<sup>9</sup> (გვ. 188) „მაკედონელ მხედართმთავარ ალექსანდრე დიდს დაპყრობილი ქართლის მმართველად ჰყავდა დანიშნული“ – ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის დაპყრობა (საერთოდ მისი ქართლში ყოფნა) წყაროებით არ დასტურდება.

<sup>10</sup> (გვ. 188) „დახმარებისათვის ასურელებისთვის მიემართა, როგორც ეს ჩვენს მათიანებშია ნათქვამი?“ – ავტორს მხედველობაში აქვს ლეონტი მროველის ცნობა: „ამან ფარნავაზ წარავლინა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა

ძღუენი დიდძალი. და აღუთქუა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა. ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძღუენი მისი და უწოდა შვილად თესად, და წარმოსცა გურგენი. და უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა, რათა შეეწეოდინ ფარნავაზს“ (ქართლის ცხოვრება 1955: 23). აქ „ასურასტანში“ სელევიკიდების სახელმწიფო იგულისხმება (საკითხის შესახებ იხ. ქვეთარია 1999: 83-93).

<sup>11</sup> (გვ. 189) „საეკლესიო ანბანის შეთხზვა მიენერება წმ. მესროპს...“ – „საეკლესიო ანბანზე“ მსჯელობისას დიმ. ყიფიანი იმეორებს იმ დროს გავრცელებულ თვალსაზრისს, გამყარებულს მარი ბროსეს მოსაზრებით, რომლის მიხედვითაც, ფარნავაზმა შექმნა საერო, მხედრული, ანბანი, მესროპმა კი სასულიერო – ხუცური (ბროსე 1895: 65-66). სინამდვილეში „ცნობა ქართულ-ალბანური ანბანის შედგენაზე მაშტოცის ცხოვრების თავდაპირველს რედაქციაში არ ყოფილა და მერმინდელი ჩანართია“ (ჯავახიშვილი 1996: 196) და, ამას გარდა, „ირკვევა, რომ მ ე ს რ ო პ - მ ა შ თ ო ც ი თვით არ იყო დაუფლებული ქართულს, რაც სრულიად გა მ ო რ ი ც ხ ა ვ ს შესაძლებლობას მის მიერ ქართული ანბანის შექმნისას“ (გამყრელიძე 1989: 195). ამ მხრივ, სავსებით დამაჯერებელია ზ. ალექსიძის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, ივ. ჯავახიშვილისა და გ. წერეთლის პალეოგრაფიული კვლევების შემდეგ „**მაშტოცის საკითხი საერთოდ მოსწყდა ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემას და მხოლოდ ისტორიოგრაფიის საგნად დარჩა**“ (ალექსიძე 1968: 033; უფრო ვრცლად საკითხის შესახებ იხ. წინამდებარე გამოცემის I ტომი, გვ. 401-403).

<sup>12</sup> (გვ. 189) „**თუ ერთდროულად დავხედავთ, ერთი მხრივ, ქართულ საეკლესიო, ხოლო, მეორე მხრივ, სომხურ დამწერლობებს**“ – ქართულ ნუსხურსა და სომხურ ასოებს შორის გრაფიკულ ურთიერთმიმართებაზე ე. მაჭავარიანს უწერია: „IX საუკუნიდან მოყოლებული ნაწილი ქართული ასოებისა წრეს ხსნის და რკალურ ფორმებზე გადადის... ნუსხურ დამწერლობაში სწრაფი გამარტივებული წერისაკენ მისწრაფებამ ასოთა მოხაზულობანი მარჯვნივ გადახარა და მათ მიანიჭა კუთხოვანი ფორმა (ნუსხური დამწერლობა IX საუკუნიდან გვხვდება), როცა გაბმული წერის დროს

ხატოვანი ელემენტებისა და ჰორიზონტალური შვერილების თვალსაჩინოება, თუ შეიძლება ითქვას, ერთგვარად ნაიშალა, ქართული და სომხური ტექსტები დანერვილობის საერთო იერით დაემსგავსა ერთმანეთს. სავსებით შესაძლებელია, რომ სომხური ვერსიაც ქართული და სომხური ანბანების ერთი პირის შექმნის შესახებ სწორედ ამ მოგვიანო ხანაში გაჩნდა“ (მაჭავარიანი 1982: 77).

<sup>13</sup> (გვ. 189) „**ბარათაევმა ნუმისმატიკურ მასალაზე დაყრდნობით ეჭვმიუტანლად დაასაბუთა მხედრული დამწერლობის არსებობა ჯერ კიდევ VII საუკუნეში**“ – დიმ. ყიფიანს მხედველობაში აქვს მიხეილ ბარათაევის კაპიტალური ნაშრომი „Нумизматические факты Грузинского царства“ (СПб.: 1844; რუსულ და ფრანგულ ენებზე; მონეტების აღწერილობა ქართულ ენაზეცაა მოცემული). ავტორი VII ს. ქართულ მონეტებზე „პოულობს“ მხედრულად შესრულებულ წარწერებს, თუმცა მიხ. ბარათაევის ეს მოსაზრება არ არის გაზიარებული.

<sup>14</sup> (გვ. 190) „**მუბიდი აღმოჩნდა**“ – უნდა იყოს: **მობედი** – სასულიერო პირი ზოროასტრიზმში.

<sup>15</sup> (გვ. 192) „**კაციჭამიობაშიც კი სდებენ ბრალს...**“ – ავტორს მხედველობაში აქვს „ქართლის ცხოვრებისეული“ ცნობა, რომლის მიხედვითაც, ქართლში ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენამდე აქაურნი „...ყოველსა სულიერსა ჭამდეს, მკუდარსა შესჭამდეს, ვითარცა მკეცნი და პირუტყუნნი“ (ქართლის ცხოვრება 1955: 17); ვახუშტისთან: „რა მოკუდის ვინმე კაცი ანუ ბრძოლასა, – მეორე ივასხის და შესჭამდიან, ხოლო უკეთუ არა, თუთ შესჭამდიან, ვითარცა იტყუს: „კარსნელთა მართებს კოდმანელთა ხუთი მკუდარი დღემდე“ (ვახუშტი 1973: 15), „ოდითგან დაატევებინა ალექსანდრემ ჭამა მკუდართა...“ (ვახუშტი 1973: 25), „[ალექსანდრემ] მოსპო ჭამაცა მკუდართა“ (ვახუშტი 1973: 54).

ქართველთა კანიბალიზმის შესახებ წყაროთა ცნობებისა არ სჯეროდა მარი ბროსეს: „...სრულიად ვერ ვეთანხმებით, თუ მხედველობაში ივერიის მიწის ნაყოფიერებას და განათლებულ ერთა, ბერძნებსა და სპარსთა, მეზობლობას მივიღებთ. უფრო სარწმუნოა ის, რომ ივერიელებმა, ვითარცა სანახევროდ მთიულმა ხალხ-

მა, შეურაცხყოფისათვის მაგიერის გარდახდა და მტრისათვის სისხლის ზღვევა იცოდენ. ეს ისეთი ზნე-ჩვეულებაა, რომ ვერც ერთს მართებლობას ამდენს ხანს იმის მოსპობა კორსიკის კუნძულზე და კავკასიის ყველა ტომებში ვერ მოუხერხებია“ [ბროსე 1895: 17-18; საინტერესოა, რომ ვახუშტის ზემოხსენებულ ცნობას („კარსნელთა მართებს კოდმანელთა...“) მოგვიანებით ილია ჭავჭავაძეც „სისხლის აღებით“ ან „სისხლის ფასით“ ხსნის: „განა ეხლა-კი არ ამბობენ, მაგალითებრ, მთიელები, საცა სისხლის აღება ჯერ გადავარდნილი არ არის, რომ ჩვენი მკვდარი ამა და ამ თემსა ჰმართებსო. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთს თემს მეორის თემის კაცი მოუკლავს და ჯერ ან სისხლი არ აულიათ, ან სისხლის ფასი“ – ჭავჭავაძე 1955<sup>ბ</sup>: 101].

თეიმურაზ ბატონიშვილიც ამგვარ გადმოცემას უსაფუძვლოს უნოდებს, თუმცა მას სხვაგვარ ახსნას უძებნის: „ოდეს მოიქცა სრულიად ერი ქართლოსიანთა ქრისტეს საწმუნოებასა ზედა, მრავალთა მათგანთა კვალად მოქცევისაცა შემდგომად ეგრეთცა ახსომდათ კერპნი და ძნელად აღუჩნდებოდათ დავიწყება ჩვეულებათა, რომელიცა კერპთ-მსახურებისა ჟამთა აქვნდათ მათ; ამისთჳს ეკკლესიისა ჩვენისა მოძღვარნი უძაგებდეს მათ გარდავლილთა წინაპართა მათთა, და მათსა ეტყოდეს მრავალთა უწესოთა ქცევათა და არაწმინდათა და მკვდართა ჭამასა კორცთა კაცისათა, რათა ამით დაავიწყონ წინაპართა თჳსთა კერპთ-მსახურებისა საქმენი“ (თეიმურაზ ბატონიშვილი 1848: 54).

რაც შეეხება ვახუშტის ნათქვამს – კარსნელებს კოდმანელთა ხუთი მკვდარი მართებთო, ამას თეიმურაზი ასე ხსნის: „აქვნდათ ჩვეულება ქართლოსიანთა ჟამსა მამასახლისთასა, ოდეს წარვიდოდეს ლაშქარსა მრავალგზის შეხვედებოდათ ესე, რომელ მიზეზითა, რომლისამე საქმისათა რა ვერა ძალ-ედვა ერთსა, რომელსამე სოფელსა წარსვლა ლაშქარსა სთხოვდა მეზობლისა თჳსისა მეორისა სოფლისა კაცთა ნაცვლად თჳსსა, რაოდენიცა კაცი ხვდებოდათ, წარსულ იყვნენ იგინი და ესე ვალად დაედებოდა მთხოვნელთა მათ, რათა შემდგომსა ლაშქრობასა იგინი წარსულ იყვნენ ნაცვლად პირველთა და გარდებოდათ ვალი თჳსი

და რაოდენიცა კაცნი ბრძოლასა შინა დააკლდებოდათ მათ, ესე იგი პირის-პირ მტერთა მიერ მოიკვლოდის, ეგეოდენი რიცხვი მომკვდარისა დაედებოდათ მათ ვალად, რომელთაცა მაგიერად წარსრულ იყვნენ იგინი ბრძოლად მტერთა და შემდგომად სხვა-სა შემდგომსა ლაშქრობასა, ოდეს გარდაუხდიდეს სამაგიეროდ, მოვალენი იგი წარვიდოდეს ნაცვლად პირველთა მათ ამა მეორისა სოფლისა კაცნი ეგეოდენნი რიცხვით რაოდენიცა მართებდათ და ოდეს სრულ იქმნებოდა ბრძოლანი, მაშინ აღირიცხებოდნენ ამათნიცა მომკვდარნი და გამოიანგარიშიან მათ პირველთა მოკლულთაგან, ამა მეორესა ბრძოლასა შინა მოკლულთა, და რომლისაცა უმეტესი იქმნებოდა მკვდარი, ერთი სოფელი მეორეს დაავალებდა და ესე იყო დავალება ანუ მართება მკვდრისა, რომელ მის ჟამითგან დავალებულნი მკვდარნი ვიდრე ამა ჟამადმდე ჰმართებს კარსნელთა კოდმანელთი ხუთი მკვდარი“ (თეიმურაზ ბატონიშვილი 1848: 55).

<sup>16</sup> (გვ. 194) „საფუძვლად უდევს გამარჯვების გამომხატველი ქართული ყიფინა – ი! ვერიე!“ – „ივერიის“ ეს ეტიმოლოგია დიმ. ყიფიანს ვახუშტი ბატონიშვილისგან აქვს აღებული: „...სახელი, ივერია, ენითავე ქართულითა მიეცა, რამეთუ „იი“ არს შორისყრილი, რომელი არს სასიხარულო კმა ზახილისა, ხოლო „ვერიე“ – მოვერივე, არამედ წყობისათჳს შეთხზულად „ივერია“, რამეთუ ოდეს ი~ მეფემან ადერკიმ მოკლა არშაკ, მეფე ქართლისა, გოლიათობითა თჳსითა, მაშინ აღუტევა კმა სპათა მიმართ თჳსთა: „იი, ვერიე!“ და განკდა კმა ესე, და იტყოდიან ყოველნი სიმკნისა მისისათჳს; ამის გამო იწოდა ივერია...“ (ვახუშტი 1973: 39).

<sup>17</sup> (გვ. 195) „ნებაყოფლობით გადასცა... გვირგვინი“ – საკითხის შესახებ იხ. აქვე: კომენტ. №1.

<sup>18</sup> (გვ. 200) „ქართულ ენას ძველი სპარსული ენის დიალექტთა ჯგუფს მიაკუთვნებს“ – დიმ. ყიფიანი აქ გულისხმობს მარი ბროსეს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, „მხედრული ქართული ანბანი... შეთხზულია მიმზგავსებით ზენდურ ასოებისა, რომელთაც ჩრდილოეთ სპარსეთში ხმარობდენ. თვით სახელწოდება ახალ შეთხზულ აღფაბეტისა სრულიად უდრის *ფეხლეურს* ე. ი. საგ-

მირო ენას, რომლიდგანაც იგი წარმომდინარეობს და რომელსაც ძლიერ დაახლოვებული მნიშვნელობა აქვს ქართულ მხედრულთან“ (ბროსე 1895: 26).

მოგვიანებით ზენდურთან დააკავშირა ქართული ანბანი ილია ოქრომჭედლიშვილმაც, რომელმაც ეს თვალსაზრისი კატეგორიული ფორმით გამოხატა: „ფარნაოზმა შემოიღო ზენდური ანბანი სპარსელებისაგან... მხედრულსა და ზენდურს ანბანს შორის დღესაც კი საკვირველი მზგავსებაა“ (ოქრომჭედლიშვილი 1881: 101-102). სხვათა შორის, ქართული ანბანის წარმოშობასთან დაკავშირებული მსჯელობის შემდეგ ი. ოქრომჭედლიშვილი დაასკვნის: „1. საქართველოში ანბანი შემოღებულ იქმნა მეფე ფარნაოზისაგან, მეოთხე საუკუნის ბოლოს, ან მესამე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს წინადა; 2. ხუცური ანბანი იგივე მხედრული ანბანია, მხოლოდ შეცვლილი, და 3. მესროფმა, თუ მიიღო რამე მონაწილეობა ხუცურის ანბანის შემოღებაში, მიიღო მხოლოდ ესა, რომ არჩია მხედრულ ასოებში მრგვალის ხაზების მაგიერად სწორე ხაზებით ეწერათ“ (ოქრომჭედლიშვილი 1881: 112).

<sup>19</sup> (გვ. 200) „ქართული ენა მიეკუთვნება სანსკრიტული წარმომავლობის ინდოგერმანული ანუ ინდოევროპული ენების ოჯახს“ – ქართული ენის წარმომავლობის შესახებ ამ და სხვა ადრინდელ შეხედულებებზე იხ.: ბროსე 1895: 19-20; პატარიძე 1980: 27-46; უფრო ვრცლად – ჩიქობავა 2008: 105-173.

<sup>20</sup> (გვ. 202) „ქართულ მხედრულში 39 ასოა“ – აქ ავტორი თანამედროვე ქართული ანბანის 33 ასოს უმატებს 5 ძველ, ე. წ. ფუნქციადაკარგულ, ასოს: მ, ა, უ, კ, მ; აგრეთვე ფ-ს. [რაც შეეხება უ-ბრჯგუს (ჟ), იგი ძველ ქართულ ანბანში არ მოიპოვებოდა და სალიტერატურო ქართულში მოგვიანებით ანტონ I-ის გავლენით შემოიღეს].

<sup>21</sup> (გვ. 203) „მეცნიერული განსწავლულობით გამორჩეული ავტორი ამ უკანასკნელი შეხედულებისა“ – ჩანს, აქ იგულისხმება მარი ბროსე, რომლის მიხედვითაც, „სახელის ფორმები, დიდი ნაწილი ბრუნებისა, შედარებითი ხარისხის ფორმანტი და თითქმის ყველა ქართ[ული] ნაცვალსახელი სავსებით სანსკრიტული ანდა

ზენდურია“ (იოსავა 2008: 93; იხ. აგრეთვე: ჩიქობავა 2008: 143).

<sup>22</sup> (გვ. 203) **„დროთა განმავლობაში შეიძლება დავასაბუთო და წარმოვადგინო ქართული ენის ცალკეულ ფორმათა განსაცვიფრებელი მსგავსება...“** – რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დიმი. ყიფიანს შემდგომში ამ მიმართულებით **სპეციალური** კვლევა არ ჩაუტარებია.

<sup>23</sup> (გვ. 208) **„მშობლიურ ენაზე კითხულობდნენ ბიტ-პას“** – „**ბიტ-პა**“ (ბიდპაი, ბიტპაი; Bidhâpati): დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის ძველი ინდური თხზულება (იგავთა წიგნი), რომელიც იგავთა საყოველთაოდ ცნობილი კრებულების („პანჩატანტრა“, „ქილილა და დამანა“) პირველწყაროდ (ლიტერატურულ საფუძვლად) მიიჩნევა.

<sup>24</sup> (გვ. 210) **„შესაძლოა, ეკლესიას იგი თავისი ღვთისმოსაობისა და უმნიცვლო ზნეობის გამო წმინდანთა დასში ჩაერიცხა“** – თამარის წმინდანად შერაცხვის დრო და გარემოებები ბუნდოვანია. ჩანს, იმ დროს, როდესაც დიმი. ყიფიანის ეს თხზულება იწერებოდა, ქართველებისათვის საერთოდ არ იყო ცნობილი თამარ მეფის („კეთილმსახურის“) წმინდანად შერაცხვის ამბავი.

<sup>25</sup> (გვ. 211) **„ვანტანგ VI-ისა და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ისეთი მრავლისმეტყველი სათაური ეწოდა, როგორცაა „ქართლის ცხოვრება“** – ასეთი სათაური („ქართლის ცხოვრება“) გაცნობილებით უფრო ადრე გვხვდება („ნინოს ცხოვრების“ გადამკეთებელი არსენ ბერი, სომეხი მემატიანე სტეფანოს ორბელიანი... საკითხის შესახებ იხ. გრიგოლია 1954: 4-5).

კომენტ. – კომენტარი/კომენტარები.

ლათ. – ლათინური.

ლსმ – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

ნან. – ნანილი.

პერს. – პერსონაჟი.

ჟ. (ჟურნ.) – ჟურნალი.

რედ. – რედაქტორი/რედაქცია.

რუს. – რუსული.

საქ. – საქმე.

ტფ. – ტფილისი.

უ. (უფ.) – უფალი (=ბატონი – მოხსენიების თავაზიანი ფორმა);

- უფალო (=ბატონო – მიმართვის თავაზიანი ფორმა).
- უუ.** – უფალთა/უფალთ.
- ფ. (ფურც.)** – ფურცელი.
- ფრანგ.** – ფრანგული.
- ფსევდ.** – ფსევდონიმი.
- ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.
- ქსე** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
- „ქშნ-კგ საზოგადოება“** – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.
- ძვ.** – ძველი/მოძველებული.
- ნგნ.** – ნიგნი.
- ნმ.** – ნმინდა.
- ხ.** – ხელნაწერი.
- ხეც** – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- Кн.** – Книга.
- КОСХ** – Кавказское общество сельского хозяйства.
- М.** – Москва.
- СПб** – Санкт-Петербург.
- Тфл.** – Тифлис.
- in** – ინ-ფოლიო (ლათ. in folio) – გამოცემის ფორმატი.
- Н** – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდი.

## საძიებლები

### პირთა:\*

ა

**აბას I (შაჰ-აბასი) (1571-1629)** – ირანის შაჰი 1587-1629 წლებში.

ამიერკავკასიაში ირანის სამუდამო ბატონობის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა ქართლ-კახეთის გადაქცევას ყიზილბაშურ-მაჰმადიანურ სახანოებად და ამ მიზნით საქართველოში არაერთხელ მოაწყო გამანადგურებელი ლაშქრობა – 75, 181

**აბაშელი (ნამდვილი გვარი – ჩოჩია) ალექსანდრე (1884-1954)** – მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი), „აკადემიური მწერლობის კავშირის“ წევრი, ვაჟა-ფშაველას თხზულებათა პირველი სრული კრებულის შემდგენელ-გამომცემელი, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 397

**აბაშიძე გიორგი** – მსახიობი – 57, 269, 270

**აბაშიძე ვახუშტი** (გარდ. 1746) – ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, ვახტანგ VI-ის თანამებრძოლი და მისი პოლიტიკური კურსის მიმდევარი – 270

**აბაშიძე ზაზა** – ისტორიკოსი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი, საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო-საენციკლოპედიო ცენტრის ხელმძღვანელი – 363

**აბდულმესია (აბდულ-მესია)** – იხ. იოანე შავთელი

**აბიათარი** – მცხეთელ ებრაელთა მღვდელი, რომელიც ნინოს ხელით ქრისტიანად მოინათლა – 373; იხ. აგრეთვე: **Авиафар (Авиафоар)**

---

\* პირთა საძიებელში ბიბლიური, მითოლოგიური, საზღაპრო, ლიტერატურული პერსონაჟების სახელებიცაა შეტანილი.



**აბრამიძე** – გიორგი ერისთავის პროფესიული თეატრის (1850-იანი წწ.) მსახიობი – 208

**აბულაძე ილია (1901-1968)** – ქართველოლოგი, არმენოლოგი, პალეოგრაფი, ლექსიკოგრაფი, მის სახელს უკავშირდება კავკასიის ალბანელთა ანბანის აღმოჩენა – 266, 286, 350, 387, 402

**აბხაზი (აბხაზოვი) დიმიტრი** – კახელი (კარდანახელი) მემამულე. მამამისი, ივანე შერმაზანის ძე აბხაზი (გარდ. 1847), აქტიურად მონაწილეობდა კახეთის 1812 წლის აჯანყების ჩახშობაში, რის გამოც აჯანყებულებმა მას სახლ-კარი გადაუნვეს და ვენახები აუკაფეს. 1867 წ. დიმიტრი აბხაზმა და მისმა ვაჟმა, ალექსანდრემ, ვაჭარ გიორგი ფორაქაშვილისგან ვალი აიღეს, თავდებად კი დიმიტრი. ყიფიანი დაიყენეს, თუმცა ვალი ვერ გადაიხადეს და ამ ვალის გადახდა თავდებად მოუწია – 31

**აბხაზი (აფხაზოვი) ივანე** (დაახლ. 1784-1831) – გენერალ-მაიორი, ყარაბაღის, ნუხისა და შირვანის მმართველი (1829-1830), ვლადიკავკაზის კომენდანტი (1830-1831), თავის დროზე განთქმული მხატვრის, ნიკოლოზ აბხაზის, შვილი, 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრის, ანტონ აბხაზის (1806-1837), ძმა; შეთქმულების ხელმძღვანელობა აპირებდა, გამარჯვების შემთხვევაში ივ. აბხაზისთვის სამხედრო მინისტრობა შეეთავაზებინა, თუმცა მან იქამდე ვეღარ იცოცხლა – 1831 წელს ივ. პასკევიჩმა პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობისათვის გაიწვია, თუმცა 31 აგვისტოს ივ. აბხაზი გზაში (ბრესტ-ლიტოვსკში) გარდაიცვალა ქოლერისაგან. გრ. ორბელიანს თავის თხზულებაში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან ამ პეტერბურგამდის“ აღწერილი აქვს შეხვედრა ივ. აბხაზთან ვლადიკავკაზში და მასთან გამართული დიალოგი, რომლის მიხედვითაც, მკაფიოდ იკვეთება ივ. აბხაზის გულწრფელი პატრიოტიზმიც (გრ. ორბელიანი მას უწოდებს „ჭეშმარიტ ძეს მამულისას“), არსებული პოლიტიკური სისტემის მიმართ ლოიალობაცა და პოლიტიკური პრაგმატიზმიც. კერძოდ, ივ. აბხაზის შეხედულებით, საჭირო იყო ჯერ საქართველოს ფიზიკური გადარჩენა და მოლონიერება, პარტიკულარიზმის აღმოფხვრა, განათლების გავრცელებისა და კულტურის აღორძინების გზით საერთო-ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება და მხოლოდ ამის შემდეგ, ფიქრი სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე – 74

**ადამი** – ადამიანთა მოდემის ბიბლიური მამამთავარი – 206; იხ. აგრეთვე: Адам

- ადარნასე (ადრნერსე)** – ქართლის ერისმთავარი და კურაპალატი (VII ს. I ნახევარი), სტეფანოზ I ერისმთავრის ძე – 188
- ადერკი** – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის მეათე მეფე (ახ. წ. I ს.) – 382
- ავალიანი გიორგი** – მკვლევარი, ავტორი წიგნისა „რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან“ (თბ.: 1967) – 349, 387
- ავალიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (1844-1929)** – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „მნათობის“ (1869-1872) რედაქტორი, „ქართული კალენდრის“ (1867) შემდგენელ-გამომცემელი, თვალსაჩინო ფიგურა XIX ს. ქართული თეატრის ისტორიაში – 280, 281
- ავაროსი** – 186
- ავთანდილი (პერს.)** – 362
- აზატ-ხანი** (გარდ. 1760-იანი წწ. დასაწყ.) – ავღანური წარმოშობის ირანელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე (ნადირ-შაჰის სარდალი). 1751 წელს დაარბია ერეკლე II-ის მოხარკე ერევნის სახანო, რის გამოც იმავე წელს ერეკლემ სასტიკად დაამარცხა ერევნის მახლობლად (ყირხბულახში). 1760 წელს ერეკლე II-მ შეიპყრო ირანის ტახტზე პრეტენზიის მქონე აზატ-ხანი და გადასცა იგი ქერიმ-ხანს (გაგზავნა შირაზში, სადაც აზატ-ხანს თვალები დასთხარეს) – 214
- აზონი (აზო)** – ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი სარდალი და მის მიერ მცხეთაში გამგებლად დატოვებული („პირველი მეფე მცხეთას შინა...“ – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“). არიან-ქართლის მეფის ძე („მოქცევაჲ...“). აზონმა გააფართოვა თავისი სამფლობელო, თუმცა მას დაუპირისპირდა მცხეთის მამასახლისის, სამარას, ძმისწული ფარნავაზი. „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, „ათასი მკედარი რჩეული ჰრომთა მათგანი, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისაგან, განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა. მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს...“. გადამწყვეტ ბრძოლაში („ნაქალაქეცა თანა არტანისასა“) აზონი დაიღუპა – 188, 189
- აიერი** – სიყვარულისა და მოგზაურობის ქალღმერთი – 193
- ალექსანდრე** – ქართველ მეფეთა სახელი – 174, 210
- ალექსანდრე I (1777-1825)** – რუსეთის იმპერატორი (1801-1825; ტახტზე ავიდა სასახლის კარზე დაგეგმილი და განხორციელებული გადატრიალების შემდეგ). 1801 წ. 12 სექტემბრის

მანიფესტით დაარღვია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები და ქართლ-კახეთში რუსეთის უშუალო მმართველობა დაამყარა. 1820-იან წწ. იგი მისტიციზმმა შეიპყრო, რამაც წარმოშვა ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, იმპერატორი მართლაც 1825 წელს კი არ მოკვდა (ტაგანროგში), არამედ მალულად დატოვა ტახტი და ციმბირის ერთ-ერთ მონასტერში ბერად აღიკვეცა, მისი პეტერბურგში ჩამოსვენება და დაკრძალვა კი სინამდვილეში მისტიფიკაცია იყო – 51, 224, 256

**ალექსანდრე II (1818-1881)** – რუსეთის იმპერატორი (1855-1881), მსოფლმხედველობით კონსერვატორი, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, განეხორციელებინა ლიბერალური ხასიათის უმნიშვნელოვანესი (მათ შორის სამხედრო, სასამართლო, 1861 წ. საგლეხო, საცენზურო, თვითმმართველობის...) რეფორმები, რის გამოც რუსეთის ისტორიაში შესულია ეპითეტით – „განმათავისუფლებელი“. 1881 წ. 1 მარტს ალექსანდრე II მოკლეს „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით (მკვლელობის დღეს აპირებდა მსვლელობა მიეცა მიხ. ლორის-მელიქოვის მიერ შემუშავებული რუსეთის კონსტიტუციის პროექტისათვის) – 235-238, 243, 262, 264, 286, 287, 292, 335

**ალექსანდრე ივანეს ძე – იხ. ბარიატინსკი ალექსანდრე**

**ალექსანდრე მაკედონელი (ალექსანდრე დიდი)** (ძვ. წ. 356-ძვ. წ. 323) – მაკედონიის მეფე (336 წლიდან), არისტოტელეს მოწაფე, ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი კაცობრიობის ისტორიაში. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელმა თითქოს ქართლშიც ილაშქრა, გაიმარჯვა და აქ მმართველად არიან-ქართლიდან ჩამოყვანილი აზო დატოვა, თუმცა სხვა წყაროებით ეს არ დასტურდება – 188, 192, 372, 378, 380

**ალექსანდრე პავლეს ძე – იხ. ნიკოლაი ალექსანდრე**

**ალექსი მიხეილის ძე (1629-1676)** – რუსეთის მეორე მეფე რომანოვთა დინასტიიდან (1645-1676). დიდი წვლილი შეიტანა რუსეთის სახელმწიფოს ცენტრალიზაციის საქმეში – 180, 377

**ალექსიშვილი მესხი დავით – იხ. დავით რექტორი**

**ალექსიძე ზაზა** – ისტორიკოსი, ფილოლოგი, არმენოლოგი, კაპიტალური ნაშრომების ავტორი ქართველოლოგიაში, არმენოლოგიასა და კავკასიის ალბანოლოგიაში – 379, 387

**ალექს. ქორს. – იხ. ქორს. ალექს.**

**ალზირა** (პერს.) – 134

**ამაღლობელი რატი** – პოეტი, ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ რედაქტორი (2010-2011), ლიტერატურულ პრემია „საბას“ ლაურეატი (2006) – 288, 308, 321

**ამილახვარი (ამილახორი, ამილახვრები, ამილახვაროვები)** – თავადთა საგვარეულო ქართლში, საამილახოროს მფლობელი. გვარი წარმომდგარია ამილახორის სამოხელეო თანამდებობიდან. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: „...შიდა ქართლს ამილახორი, არამედ არა არს გვარი, განა წესი მეჯინიბეთხუცობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი, ხოლო გვარი ზედგინიძე არს და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით“ – 13, 43, 374

**ამილახვარი (ამილახვაროვი) გიორგი** – ქართლელი მემამულე გორის მახრიდან – 29, 30

**ამილახორი** – იხ. **ამილახვარი (ამილახორი, ამილახვრები, ამილახვაროვები)**

**ამირანი** – ქართული მითოლოგიის გმირი, ხალხურ ეპოს „ამირანიანისა“ და საგმირო-სარაინდო რომან „ამირანდარეჯანიანის“ მთავარი პერსონაჟი. მისი კვალი ძვ. წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის არქეოლოგიურ ძეგლებში დასტურდება. ახლო მსგავსება აკავშირებს ძველბერძნულ მითოლოგიურ გმირ პრომეთესთან. XIX ს. საქართველოში კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანი დაპყრობილი საქართველოს სიმბოლოდ იქცა (ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.) – 193, 204

**ანა** (წმ.) – მარიამ თვთისმშობლის დედა, წმ. იოაკიმეს მეუღლე. წმ. ანას ორდენს (გააჩნდა ოთხი ხარისხი) რუსეთში სახელმწიფო და სამხედრო დამსახურებისთვის ანიჭებდნენ – 132

**ანდრია პირველწოდებული** – იესო ქრისტეს პირველი მოწაფე, ძმა პეტრე მოციქულისა. ქრისტიანობის პირველი მქადაგებელი საქართველოში. გიორგი მთაწმიდლის მიხედვით, საქართველოს ეკლესიის დამფუძნებელი – 34, 193, 195; იხ. აგრეთვე: Андрей Первозванный

**ანდრონიკაშვილები (ანდრონიკოვები, ენდრონიკაშვილები)** – თავადური საგვარეულო. ლეგენდის მიხედვით – ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე კომნენოსის შთამომავალი, კახეთში XII საუკუნის II ნახევარში დამკვიდრებულნი. გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ნუსხაში **ენდრონიკაშვილი** კახეთის თავადთა ნუსხაშია შეყვანილი – 47

**ანდრონიკაშვილი იასე (1814-1892)** – სასამართლოს მაღალჩინოსანი. საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник). 1830-იან წწ. მონაწილეობდა თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა მიერ ხელნაწერი ჟურნალის „Цветок Тифлисской гимназий“ („თბილისის გიმნაზიის ყვავილი“) გამოცემაში (აქვეა შესული მისი რამდენიმე მცირე ზომის პროზაული ტექსტი), „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 1887 წელს თბილისში ზემით აღინიშნა მისი სამსახურებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი. თანამედროვეთა შორის ცნობილი იყო უმნიშვნელო პიროვნული და სამსახურებრივი რეპუტაციით („არც ერთხელ სასწორი სამართლისა მის ხელში არ გამრუდებულა!“ – ნათქვამია გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში). გარდაიცვალა თბილისში. ანდერძის თანახმად, დაკრძალეს ვერის წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის გალავანში – 105

**ანდრონიკაშვილი ივანე (იოანე) (1798-1868)** – სოლომონ II-ის დისწული, კავალერიის გენერალი. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს; სამხედრო განათლება მიიღო პეტერბურგში, ერთხანს სამხედრო სამსახურისთვის თავის დანებებას აპირებდა, მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილის რჩევით ხელი აიღო ამ განზრახვაზე, რისთვისაც დედამ, რუსეთის მოძულე მარიამ (მანა) არჩილ ბატონიშვილის ასულმა (1775-1854), დასწყევლა შვილი, დატოვა ოჯახი და ანჩისხატს შეაფარა თავი. 1849-1856 წწ. ი. ანდრონიკაშვილი თბილისის სამხედრო გუბერნატორი იყო. მის სამხედრო კარიერაში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ოსმალთა წინააღმდეგ ჩატარებული ბრწყინვალე ოპერაცია ახალციხესთან 1853 წ. 14 ნოემბერს – 301

**ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) სოლომონ** – კახელი მემამულე – 31

**ანდლულაძე ლია (1931-2010)** – ლიტერატურათმცოდნე, რუსთველოლოგი, ძირითადად იკვლევდა ძველ და ახალ ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას, საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი (1990-1991), უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-დან) – 367, 387

**ანთელავა ირაკლი (1912-1978)** – ისტორიკოსი, ძირითადად მუშაობდა XVII-XIX სს. საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე. ავტორი მონოგრაფიებისა: „სახელმწიფო გლეხები XIX საუკუნის საქართველოში“ (I-II. თბ.: 1962-1969), „საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და

საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში“ (თბ.: 1967) და სხვ. – 244, 387, 402

**ანტოქე I სოტერი** (ძვ. წ. 324-261) – სელევკიდების ელინისტური სახელმწიფოს, სირიის, მეფე, რომლისგანაც, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, აზოსთან მებრძოლმა ფარნავაზ I-მა დახმარება და სამეფო გვირგვინი მიიღო – 378, 379

**ანტონ I** (ერისკაცობაში – **თეიმურაზ ბაგრატიონი**) (1720-1788) – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1744-1755 და 1764-1788 წწ., საეკლესიო ცხოვრების რეფორმატორი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი (ევროპული ორიენტაციის მიმდევარი), მწერალი, მეცნიერი, თვალსაჩინო ფიგურა ქართული კულტურის ისტორიაში. დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში – 145, 146, 349, 383

**ანტონი კათალიკოზი (ანტონი ქათალიკოზი)** – იხ. **ანტონ I**

**ანუკა ბატონიშვილი** (1698-1746) – ვახტანგ VI-ის ასული. 1712 წ. მიათხოვეს ქართლის სამეფოს პოლიტიკურ მოღვაწეს ვახუშტი აბაშიძეს. შემორჩენილია მისი „მზითვის წიგნი“, რომელიც საინტერესო საისტორიო მასალას შეიცავს – 270, 395

**ანჩაბაძე მურზაყან** – იხ. **შარვაშიძე მურზაყან**

**არაგვის ერისთავი** – იხ. **ერისთავები**

**არზანოვი დავით** – დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტი; „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი, 1850-იან წწ. მსახურობდა კავკასიის სასწავლო ოლქის საცენზურო კომიტეტში ცენზორად, თავის ძმასთან, ი. არზანოვთან, ერთად 1830-იან წწ. თბილისში სურდა ქართულ ენაზე გამოეცა ჟურნალი „აღმოსავლეთის ფუტკარი“, მაგრამ ხელისუფლების ნებართვა ვერ მოიპოვა – 371

**არზანოვი იაკობ** – დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტი; თავის ძმასთან, დ. არზანოვთან, ერთად 1837 წელს თბილისში დააარსა კერძო სტამბა, სადაც უნდა დაბეჭდილიყო მათ მიერვე გამოსაცემად განზრახული ქართული ჟურნალი „აღმოსავლეთის ფუტკარი“, თუმცა ხელისუფლებამ ჩაშალა არზანოვების ეს ინიციატივა – 371

**არლოვი** – იხ. **ორლოვი**

**არმაზი** – „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იბერიული პანთეონის უზენაესი წარმართული ღვთაება, რომელიც მცხეთასთან იყო აღმართული; წარმოადგენდა სპილენძით

- შეჯავშნულ ოქროსმუზარადიან მეომარს. მისი კულტი ქართლში შემოიტანა და დაამკვიდრა ფარნავაზ I-მა. ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლებელია იგი ძველსპარსული აჰურამაზდას ნაირსახეობა იყოს. ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ არმაზის კულტის გაქრობა გამოიწვია, თუმცა მისი სახელი ტოპონიმულაში მაინც დარჩა – 184, 193, 372, 374, 378; იხ. აგრეთვე: Армаз (ღვთაება)
- არსენ ბერი** – XI-XII სს. სასულიერო მოღვაწე, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია (მიენერება არაერთი ტექსტი, მათ შორის, „ცხოვრება მეფეთ-მეფისი დავითისი“) – 384
- არშაკი** – „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის მეცხრე მეფე – 382
- აურმაზი** – იხ. **ორმუზდი (ორმუზდა, აურმაზი)**
- არღუთაშვილი (არღუთინსკი, არღუთინსკი-დოღგორუკოვი) მოსე (1797-1855)** – გენერალ-ლეიტენანტი და გენერალ-ადიუტანტი, სრულიად სომეხთა პატრიარქ იოსებ (ოვსეპ) არღუტეანის (არღუთინსკის) (1743-1801) შვილიშვილი, თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიის ომში“, მეთაურობდა გურიის 1841 წლის აჯანყების ჩახშობას; გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია სანანიის მონასტერში, საგვარეულო აკლდამაში – 74
- არღუთინსკები (არღუთაშვილები, არღუთაშვილ-მხარგრძელები, არღუთინსკი-დოღგორუკები)** – თავადური (1780-იან წლებამდე – აზნაურული) გვარეულობა; მამულები ჰქონდათ ლორეს ხეობაში, რეზიდენცია – ალავერდში. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „არღუთაშვილი ან აზნაური, გარნა მხარგრძელნი არიან“; იოანე ბატონიშვილის მიხედვით, „ესენი იყვნენ ძველად ჯუღელნი სომეხნი... უკანასკნელ დროსა იმპერატორის პავლესასა მიიღეს მხარ-გრძელისა გვარობა სომეხთა არქიერისა ოსეფასაგან შეწვევით“. გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ნუსხაში **არღუთასშვილი** ქართლის თავადთა ნუსხაშია შეყვანილი – 47, 91
- არშაკუნი ვარდან** (გარდ. 1862) – მდიდარი თბილისელი სომეხი მრეწველი და ქველმოქმედი, თბილისის ქალაქის თავი 1858-1860 წწ. – 145, 349
- არჩილ I (არჩილ მირდატის ძე)** – „ქართლის ცხოვრების“ (ჯუანშერი) მიხედვით, ქართლის მეფე V ს. 20-30-იან წწ.; იბრძოდა ირანელთა ბატონობისაგან ქვეყნის გასათავისუფლებლად – 189, 190



**არწრუნი გრიგოლ (1845-1892)** – თბილისში მოღვაწე თვალსაჩინო სომეხი ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, გაზეთ „მშაკის“ (1872-1920) დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი (1872-1892), ფილოსოფიის დოქტორი (დამთავრებული ჰქონდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი); თბილისში, იქ, სადაც ამჟამად გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის შენობაა, მდებარეობდა გრ. არწრუნის ქარვასლა, რომელშიც ქირით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებიც იყო განთავსებული: ქართული და სომხური თეატრები, „ქმნ-კგ საზოგადოება“ (1885 წლიდან) თავისი ბიბლიოთეკითა და წიგნების საწყობით და სხვ.; გრ. არწრუნის მამა, გენერალ-მაიორი და თბილისის ქალაქის თავი (1866-1868) იერემია არწრუნი (1804-1877), ქალაქის თავის 1875 წლის არჩევნებში დაუპირისპირდა დიმ. ყიფიანს, თუმცა ერთი ხმით დამარცხდა. გავრცელებული ცნობით, კენჭისყრისას გრ. არწრუნმა ხმა დიმ. ყიფიანს მისცა. გრ. არწრუნი თბილისის ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზეა დაკრძალული – 270, 393

**ასათიანი იოველ (1907-2002)** – მეცნიერი-ეკონომისტი, XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 333, 334, 387, 388

**ასათიანი ლევან (1900-1955)** – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. სალიტერატურო პროცესებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 397, 398

**ასქანაზი** – ბიბლიური იაფეტის (იაფეთის) შვილიშვილი, გომერის (ლამერის) ძე – 183

**აფროდიტოსი** – ლეონტი მროველის მიხედვით, წარმართული ღვთაება ქართლში, რომელიც აღმართა ქართლის მეცხრამეტე მეფე რევა („ამან რევ მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ასული ლოლოთეთისა, სახელით სეფელია. და ამან სეფელია მოიტანა თანა კერპი, სახელით აფროდიტოს, და აღმართა თავსა ზედა მცხეთისასა“) – 193, 372, 374; იხ. აგრეთვე: Афродита (Афродите)

**აფხაზოვი** – იხ. აბხაზი (აფხაზოვი) ივანე

**აფხაზოსი** – 186

**ალა-მაჰმად-ხანი (1742-1797)** – ირანის გამგებელი (1794-1796), შაჰი (1796-1797), დამაარსებელი ყაჯართა დინასტიისა. 1795 წ. ილაშქრა საქართველოზე, აიღო თბილისი, დაარბია და მიწასთან გაასწორა იგი – 11, 195



**ბ. ლ.** – იხ. **ლომინაძე ბესარიონ**

**ბ. ქ.** – დიმ. ყიფიანის ფსევდონიმი – 267, 350

**ბაგრატი** – ქართველ მეფეთა სახელი – 210

**ბაგრატიონები** – საქართველოს სამეფო დინასტია (IX ს.-1810), წარმოშობით სპერის მკვიდრნი ჭან-ლაზთა ტომიდან (სხვა ვერსიით – ფარნავაზიანთა დინასტიის განშტოება). ერთი შტო ბაგრატიონებისა, მუხრანბატონები, ჩამოყალიბდა ფეოდალურ საგვარეულოდ (XVI-XIX სს), რომელიც ფლობდა მუხრანს (სამუხრანოს, სამუხრანბატონოს) – 47, 91

**ბაგრატიონი დავით** – იხ. **დავით ბატონიშვილი**

**ბაგრატიონი ვახუშტი** – იხ. **ვახუშტი ბატონიშვილი**

**ბაგრატიონი თეიმურაზ** – იხ. **თეიმურაზ ბატონიშვილი**

**ბაგრატიონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი) ივანე (იოანე)** – იხ. **მუხრანბატონი (ბაგრატიონი, ბაგრატიონ-მუხრანსკი) ივანე (იოანე)**

**ბაგრატიონი პეტრე (1765-1812)** – ინფანტერიის გენერალი, რუსეთის ისტორიაში ცნობილი ბოროდინოს ბრძოლის (1812) გმირი (ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და მალევე გარდაიცვალა. დაკრძალეს ვლადიმირის გუბერნიის სოფ. სიმში, საიდანაც 1839 წელს მისი ყოფილი ადიუტანტის, მწერლისა და უმამაცესი მეომრის, გენერალ დენის დავიდოვის მონდომებით ბოროდინოს ველზე გადაასვენეს) – 74

**ბაკურ I** – „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის (იბერიის) 21-ე მეფე, ვაჩეს ძე – 373

**ბალახაშვილი იაკობ (1910-1982)** – ფილოლოგი. ძირითადად იკვლევდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის, კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას – 341, 388

**ბარათაევი მიხეილ (1784-1856)** – ქართული წარმოშობის (ბარათაშვილი) სახელმწიფო მოხელე, პოეტი, ისტორიკოსი, ავტორი კაპიტალური ნაშრომისა „საქართველოს სამეფოს ნუმისმატიკური ფაქტები“ (სანქტ-პეტერბურგი: 1844) – 189, 380

**ბარათაშვილები (ბარათოვები)** – თავადური საგვარეულო, რომლის ფუძემდებლად მიიჩნევა ბარათა ქაჩიბაიძე (XV ს.); სომხ-

ით-საბარათიანოს სარდლები; სამფლობელოს ცენტრი – სამშვილდე. გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ნუსხაში **ბარათაშვილები** ქართლის თავადაზნაურობის ნუსხაში არიან შეყვანილნი – 43

**ბარათაშვილი (ბარათოვი) ნიკოლოზ (1817-1845)** – პოეტი-რომანტიკოსი, წვერი თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა იმ ჯგუფისა, რომელიც 1835-1836 წწ. უშვებდა ხელნაწერ ჟურნალს „Цветок Тифлисской гимназий“ („თბილისის გიმნაზიის ყვავილი“), „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წვერი. გარდაიცვალა განჯაში, საიდანაც 1893 წ. ჩამოსვენეს სამშობლოში და დაკრძალეს დიდუბის ეკლესიის გალავანში. 1938 წ. გადაასვენეს მთაწმინდის პანთეონში – 205

**ბარდოსი** – ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიელთა ერთ-ერთი ეთნარქი, თარგამოსის ძე, კავკასიის ალბანეთის მთავარი ქალაქის, ბარდის (ბარდავის), დამაარსებელი – 183, 212

**ბარიატინსკი ალექსანდრე (1815-1879)** – კავკასიის მეფისნაცვალის და მთავარსარდალის (1856-1862), იმპერატორ ალექსანდრე მეორესთან დაახლოებული პირი. 1859 წლის 25 აგვისტოს დაატყვევა შამილი, რისთვისაც მიიღო გენერალ-ფელდმარშლობა და რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდო – ანდრია პირველწოდებულის ორდენი. 1862 წელს მძიმე ავადმყოფობის გამო გადადგა კავკასიის მეფისნაცვლობიდან. გარდაიცვალა ჟენევაში, საიდანაც გადაასვენეს სამშობლოში და დაკრძალეს საგვარეულო სამარხში, კურსკის გუბერნიის სოფელ ივანოვსკოეში. იქვეა დაკრძალული მისი მეუღლეც – ელისაბედ (ლიზიკო) დიმიტრის ას. ორბელიანი-ბარიატინსკაია (1836-1899; ელისაბედი იყო ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების ძმისწული) – 22, 71, 231, 234, 261, 352, 365

**ბარკლაი-დე-ტოლი მიხეილ (1761-1818)** – შოტლანდიურ-გერმანული წარმოშობის რუსი გენერალ-ფელდმარშალი და სამხედრო მინისტრი (1810-1812), 1812 წ. რუსეთის სამამულო ომის გმირი – 132, 337

**ბართლომეი (ბარტოლომეი) ივანე (1813-1870)** – რუსი სამხედრო პირი (გენერალ-ლეიტენანტი) და მეცნიერი (ენათმეცნიერი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ნუმისმატი; საქართველოდან გატანილი მდიდარი ნუმისმატიური კოლექცია გადასცა ერმიტაჟს), პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებთა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1856 წლიდან). წლების

- განმავლობაში მსახურობდა კავკასიაში (ჩაჩნეთი, აფხაზეთი, სვანეთი, თბილისი), ემსახურებოდა ზოგადად კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს რუსიფიკაციის იდეას და ამ საქმეში ჯანმრთობასაც არ თაკილობდა; „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ დავალებით შეადგინა „სვანური ანბანი“ („Лушну анбан. Сванетская азбука“ – ტფ.: 1864); „აფხაზური ანბანისა“ (ტფ.: 1866) და „ჩეჩნური ანბანის“ (ტფ.: 1866) შემდგენელი. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია სოლოლაკის ამაღლების ეკლესიაში – 89, 235
- ბარტამი** – ლეონტი მროველის მიხედვით, მირიან III-ის უმცროსი ძმა, სპარსეთის მეფე – 374
- ბაქარ ქართლელი** – დიმიტრი ყიფიანის ფსევდონიმი – 146, 267, 343, 347, 348, 350, 357, 404
- ბაქრაძე აკაკი (1928-1999)** – ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ლიტერატურული, თეატრალური და კინოკრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 238, 288, 308, 321, 405, 413
- ბაქრაძე დავით (1838-1918)** – იურისტი (დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტი), პუბლიცისტი (ფსევდ. „დ. ბძე“, „სეველი“ და სხვ.), პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ქუთაისში გამომავალ გაზეთ „შრომის“ (1881-1883) ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური თანამშრომელი, ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, „ქშნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 334
- ბაქრაძე დიმიტრი (1826-1890)** – ისტორიკოსი, თბილისის საეკლესიო მუზეუმის დაარსების ინიციატორი (1889), პეტერბურგის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, „ქშნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 412
- ბაქრაძე იოსებ (1850-1904)** – მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური მოღვაწე. თარგმნა ჯ. ბაირონის, ფ. შილერის, უ. სკოტის, კ. გუცოვისა და სხვ. ნაწარმოებები, თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან („დროება“, „ივერია“, „მნათობი“, „კვალი“ და სხვ.), აქვეყნებდა ორიგინალურ ლექსებს, თარგმანებს, პუბლიცისტურ წერილებს (ფსევდ.: „ი. ელაქიძე“, „ი. ოქრიაშვილი“, „გ. თენაძე“, „გ. ციმაკურიძე“...). დაკრძალულია თბილისში, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე – 280, 281
- ბაქრაძე ლაშა** – ისტორიკოსი, გერმანისტი, გ. ლეონიძის სახ-

ელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი (2010 წლიდან), ავტორი მონოგრაფიისა „გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს“ (თბ.: 2009) – 388

**ბებუთოვები (ბებუთაშვილები)** – სომხური წარმოშობის თავადები. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, „ესენი არიან მოსრულნი ანისა ქალაქიდგან, ოდეს სპარსთა ალაოხრეს ადგილი იგი და მოვიდენ გვარნი მათნი და დაეშენენ კახეთისა ნაწილსა შიგან ადგილსა, მახლობელ ტფილისისა, სოფელსა პირშავად წოდებულსა...“. გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ნუსხაში **ბებუთოვი** ქართლის თავადთა ნუსხაშია შეყვანილი – 47, 91

**ბებუთოვი ვასილ (1791-1858)** – ინფანტერიის გენერალი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიისა“ და „ყირიმის“ ომებში, ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი და მთავარი სამმართველოს საბჭოს თავმჯდომარე (1847-1856). დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზე – 47, 74, 90, 302

**ბებუთოვი (ბებუთაშვილი) მიხეილ** – თეატრალური მოღვაწე, „ქართული დრამატიული საზოგადოების“ პირველი გამგეობის წევრი, ქართული პროფესიული თეატრის რეჟისორი (1881 წლიდან; რეჟისორი უაღრესად რეზონანსული სპექტაკლისა „სამშობლო“); „ემბეს“ ფსევდონიმით თეატრალურ რეცენზიებს აქვეყნებდა გაზ. „დროებაში“ – 67, 280, 282

**ბებურიშვილი გიორგი (გარდ. 1894)** – სენაკის მაზრის უფროსი (1878-1894). აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-კულტურულ საქმეებში. მისი ინიციატივით ან მეთაურობით დაარსდა სენაკში ქალთა და ვაჟთა პირველდამწყებითი სასწავლებლები, ბიბლიოთეკა, უფასო სამკითხველო და სხვ. – 80, 87, 295, 296

**ბენდიანიშვილი ალექსანდრე (1926-2010)** – ისტორიკოსი. ძირითადად იკვლევდა XIX-XX სს. საქართველოს ისტორიის საკითხებს – 251, 388

**ბეჟიტაძე მარინე** – ლიტერატურათმცოდნე, შემდგენელი (ი. კიკნაძესა და ლ. მამულაიშვილთან ერთად) წიგნისა „ვაჟა-ფშაველას იდიომებისა და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა მცირე ლექსიკონი“ (თბ.: 2015) – 292, 388

**ბეჟუაშვილი ბეგო** – ფილოლოგი, საქართველოში დისიდენ-

- ტური მოძრაობის წევრი („ჰელსინკის ჯგუფის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და დამფუძნებელი წევრი), შემდგენელი (გ. მურღულიასთან ერთად) კრებულისა „მსოფლიო ლიტერატურა. რჩეული მოთხრობები“ (ტ. 1-11. თბ.: 2007-2017) – 4
- ბერიძე ივანე (1833-1890)** – მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი), ჟურნალისტი, თანამშრომლობდა ქართულ პრესაში (ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“), მსახურობდა ჯერ თერგის საოლქო სამმართველოში (1866-1870), შემდეგ – სენაკის მაზრაში მომრიგებელ მოსამართლედ (1870-1890). თავის დროზე პოპულარული იყო მისი მოთხრობები „ხანიზდექ“ („ცისკარი“, 1859, №№7, 9-11) და „უცნაური ნიშნობა ტფილისის საიდუმლოებისაგან“ („საქართველოს მოამბე“, 1863, №№7-9) – 80, 296
- ბერჟე ადოლფ (1828-1886)** – ისტორიკოსი, ლიტერატორი, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), „კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიის“ თავმჯდომარე, 1851 წლიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში; დაკრძალულია თბილისშივე, კუკიის სასაფლაოზე – 8, 167, 169, 363, 364, 366, 397, 404
- ბერძენიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (1894-1965)** – ისტორიკოსი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1951-1957), ძირითადად იკვლევდა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიას. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 225, 388
- ბერძენიშვილი მაქსიმე (1889-1967)** – ისტორიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე (სოციალისტ-ფედერალისტი). მისი თაოსნობით დაარსდა პერიოდული ბიბლიოგრაფიული გამოცემები: „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, „ნიგნის მატთანე“, „გაზეთის მატთანე“. იკვლევდა საქართველოს როგორც ძველ, ისე XIX ს. ისტორიას – 349, 388
- ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი) (1750-1791)** – პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე, ქართულ პოეზიაში ახალი საზომის, ბესიკურის, დამამკვიდრებელი – 205
- ბიბილეიშვილი ცისანა** – მკვლევარი, მთარგმნელი, პედაგოგი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი – 257, 258
- ბობილევი (ბობილიოვი) ფედოტ (ფადეი) (1819-1866 წ. შემდეგ)** – რუსი პოეტი, ჟურნალისტი, ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკოსი, გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი (1857-1863; დაითხოვეს ფინანსური დარღვევებისათვის), ლიტ-

ერატურულ აღმანახ „ფეშქეშის“ გამომცემელი (თბ.: 1857; რუსულ ენაზე), ავტორი ლექსების ციკლისა „იმერული მელოდიები“ („Имеретинские мелодии“) – 33, 233, 389

**ბორის გოდუნოვი (1552-1605)** – რუსეთის ფაქტობრივი მმართველი (1587-1598), მეფე (1598-1605). განახორციელა ეფექტური პოლიტიკა სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და ახალი ტერიტორიების შემომტკიცების მიმართულებით. გააძლიერა რუსეთის პოზიციები კავკასიაში. კავშირი გააბა კახეთის მეფე ალექსანდრე მეორესთან, რის შედეგადაც 1587 წელს დაიდო მოსკოვ-კახეთის მფარველობითი ხელშეკრულება („ფიცის წიგნი“); ალექსანდრე II-ის თხოვნითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის თანახმად, ბორის გოდუნოვი იბრძოდა დაღესტნელთა წინააღმდეგ – 180, 377

**ბოროზდინი კორნილი (1828-1896)** – რუსი მწერალი, მემუარისტი, სახელმწიფო მოხელე, საქართველოში მსახურობდა 1853-1867 წლებში: ჯერ ეკატერინე დადიანის მდივნად და შვილების აღმზრდელად (1853-1856), შემდეგ – სენაკისა (1856-1861) და თელავის (1861-1865) მაზრების უფროსად, საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს წევრად (1865-1867). ამის შემდეგ კ. ბოროზდინმა დატოვა საქართველო; ცხოვრობდა ჯერ მოსკოვში, 1870 წლიდან კი – პეტერბურგში, სადაც გარდაიცვალა; დაკრძალულია იქვე, წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში – 127, 286, 287, 302, 335, 389

**ბოცვაძე იოსებ (1914-1981)** – ფილოლოგი, XIX ს. ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი. შეადგინა, წინასიტყვით, შენიშვნებითა და კომენტარებით გამოსცა სერგეი მესხის „თხზულებანი“ (I-III. თბ.: 1962-1964) – 325, 389, 394, 398, 399

**ბრაჰმა** – ინდუიზმის სამების უმაღლესი ღვთაება, რომელსაც სამყაროს შემოქმედად მიიჩნევდნენ. მისი კულტის წარმოშობას უკავშირებენ გვიანდელ ვედურ პერიოდს (ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარი) – 193

**ბროკჰაუზი ფრიდრიხ არნოლდ (1772-1823)** – გერმანელი გამომცემელი, რომელმაც დააარსა საგამომცემლო ფირმა „ბროკჰაუზი“ და რომლის მიერ გამომცემული „ბროკჰაუზის ენციკლოპედია“ საფუძვლად დაედო ბროკჰაუზ-ფრონის რუსულ ენციკლოპედიას (1890-1907) – 235, 239, 336, 364, 389

**ბროსე მარი-ქსავიე ფელისიტე** (რუსულ წყაროებსა და ლიტერატურაში – მარი ივანეს ძე) (1802-1880) – ფრანგი ორიენ-

ტალისტი, ქართველოლოგი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1838 წლიდან); საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ქართველოლოგიას ევროპაში, ფრანგულ ენაზე თარგმნა და მეცნიერული კომენტარებით 1849-1858 წწ. შვიდ ტომად გამოსცა „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის „ისტორიის“ გეოგრაფიის ნაწილი, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის საისტორიო თხზულებები. არსებობს სერიოზული საფუძველი ვიფიქროთ, რომ მარი ბროსე 1832 წლის შეთქმულების მინიმუმ საქმის კურსში იყო – 181, 182, 216, 378-383, 389, 395

**ბუდა** – ინდოელთა ერთ-ერთი ტომის (შაკიების) უფლისწული გაუტამას გვარიდან, რომელმაც მოგვიანებით ბუდას („გასხივოსნებული“) სახელი მიიღო (თქმულების მიხედვით, ცხოვრობდა ძვ. წ. 623-543); საფუძველი ჩაუყარა ახალ რელიგიურ მოძღვრებას – ბუდიზმს (ძვ. წ. VI-V სს.) – 193; იხ. აგრეთვე: **შიგემუნი**

**ბუტკოვი ვლადიმერ (1818-1881)** – სახელმწიფო მდივანი (სტატს-სეკრეტარი), სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა კომიტეტის წევრი; სენატორისა და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, კავკასიის ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორის, გენერალ-ლეიტენანტ პეტრე გრიგოლის ძე ბუტკოვის (1775-1857), შვილი; პეტერბურგში არსებული „კავკასიის კომიტეტის“ საქმეთა მმართველი (1845 წლიდან) და ხელმძღვანელი 1860-1865 წწ. – 336, 365

## ბ

**გაბაევი ბესიკ** – იხ. **ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი)**

**გაიმი** – იხ. **გაცი და გაიმი**

**გალავინი** – იხ. **გოლოვინი ევგენი**

**გამეზარდაშვილი დავით (1920-1985)** – ლიტერატურათმცოდნე, XIX ს. ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი. შეადგინა და გამოსცა ნ. ნიკოლაძის, ვ. აბაშიძის, ვ. კოტეტიშვილისა და სხვ. თხზულებათა კრებულები. დამაარსებელი და რედაქტორი სამეცნიერო პერიოდული გამოცემისა „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკ-



ითხები“ (I–VIII. 1968-1981) – 267, 278, 389, 401

**გამყრელიძე თამაზ** – ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, ძირითადად იკვლევს ძველი აღმოსავლური ენების, ინდოევროპული, სემიტური და ქართველური ენების სტრუქტურასა და თეორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას – 379, 390

**გარდაბოსი** – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი, ქართლოსის ძე – 183

**გაჩიოსი** – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი, ქართლოსის ძე – 183

**გაცი და გაიმი** – „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართული წარმართული პანთეონის ღვთაებები, რომელთა ოქროსა და ვერცხლის კერპები მცხეთაში იყო აღმართული და ისინი წმ. ნინოს ლოცვის შემდეგ სასწაულებრივად შეიმუხრნენ – 193, 372

**განერელია აკაკი (1910-1994)** – ლიტერატურათმცოდნე, მწერალი. გამოირჩეოდა მეცნიერული ინტერესების მრავალმხრივობით. დიდი ამაგი დასდო XIX ს. ქართველ მწერალთა (ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი...) თხზულებების (მათ შორის, ეპისტოლური მემკვიდრეობის) შესწავლისა და გამოცემის საქმეს – 385, 396

**გეგეჭკორი იოანე** – იხ. **იოანე გეგეჭკორი**

**გერსამია სერგო (1892-1969)** – თეატრმცოდნე, ჟურნალისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების დამფუძნებელი წევრი და პასუხისმგებელი მდივანი. შეადგინა (თუმცა გამოუქვეყნებელი დარჩა) წიგნი „ქართული თეატრის მოღვაწენი“ – 267, 281, 282, 390

**გერცენი ალექსანდრე (1812-1870)** – რუსი მწერალი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი (ფსევდ. – „ისკანდერი“). მხარს უჭერდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცვლილებებს რევოლუციური გზით, რის გამოც ხანგრძლივად მოუწია ემიგრაციაში ცხოვრება (მონაწილეობდა საფრანგეთის 1848 წ. რევოლუციაში. გარდაიცვალა პარიზში). 1835-1836 წწ. გადასახლებული იყო ვიატკაში, სადაც ურთიერთობა ჰქონდა 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დასჯილ ს. დოდაშვილსა და ი. მამაცაშვილთან – 251, 253

**გილიოტენი (გიოტენი) ჟოზეფ იგნას (1738-1814)** – ანატომიის პროფესორი (დამთავრებული ჰქონდა პარიზის უნივერსიტეტი), მასონი, გილიოტენის გამომგონებელი (1789); ზოგადად წინააღმდეგი იყო სიკვდილით დასჯისა, თუმცა ადამი-



ანის მოკვდინების იმდროინდელ სხვა ფორმებთან შედარებით (ჩამოხრჩობა, ოთხად განკვეთა, კოცონზე დანვა) საკუთარ გამოგონებას უფრო ჰუმანურად მიიჩნევდა – 165

**გიორ. აბაშ.** – იხ. **აბაშიძე გიორგი**

**გიორგი** – ქართველ მეფეთა სახელი – 174, 210

**გიორგი (ნმ.)** (დაახლ. 275-303) – კაპადოკიელი დიდმონამე, საქართველოს მფარველი წმინდანი – 194

**გიორგი V ბრწყინვალე** (გარდ. 1346) – საქართველოს მეფე 1318-1346 წწ.; დიპლომატიური ნიჭისა და პოლიტიკური მოქნილობის მეშვეობით მონღოლთა ბატონობის ქვეშ მყოფი, ეკონომიკურად დაუძღვრებული და პოლიტიკურად დაშლილი ქვეყნისგან ძლიერი, გამთლიანებული და ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფო შექმნა – 384

**გიორგი VI მცირე** – საქართველოს მეფე 1308-1318 წწ.; დავით VIII-ის ძე – 213, 384

**გიორგი XI** (გარდ. 1709) – ქართლის მეფე (1676-1688, 1703-1709), ვახტანგ V შაჰნავაზის ძე; იბრძოდა ქართლში ირანელთა ბატონობის აღმოფხვრისათვის, საამისოდ ეძებდა პოლიტიკურ კავშირებს ოსმალეთთან და რუსეთთან, თუმცა ეს მცდელობები უშედეგოდ დასრულდა. ირანის შაჰის მიერ ავღანეთში აჯანყების ჩასახშობად გაგზავნილი გიორგი XI იქვე (ავღანეთში) ლაღატი იქნა მოკლული – 376, 385

**გიორგი XII (გიორგი XIII)** (1746-1800) – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე [ძე ერეკლე II-ისა და ანა დედოფლისა (ზაალ აბაშიძის ასულის)]. 1800 წელს ფიზიკური დაუძღვრებით, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო სისუსტიითა და სამეფო კარზე აშლილობით განამებულმა რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს მიმართა „სათხოვართა პუნქტებით“, რომლითაც თმობდა გეორგიევსკის ტრაქტატით განსაზღვრულ დამოუკიდებლობას საშინაო ცხოვრებაში და ქვეყანას ფაქტობრივად რუსეთის უშუალო გამგებლობაში გადასცემდა, ოღონდ იმ პირობით, რომ რუსეთი არ გააუქმებდა ქართლ-კახეთის არსებითად ფიქციად ქცეულ ტახტს და არ მოსპობდა მასზე გიორგი XII-ის პირდაპირ შთამომავალთა უფლებას – 134, 214, 228, 256, 377, 385, 396

**გოგებაშვილი იაკობ** (1840-1912) – მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი (მატერიალურად ეხმარებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მოსწავლე ახალგაზრდო-

ბას, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებსა და სხვ.) „ქმნ-კგ საზოგადოების“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი (თავისი ქონება და საავტორო უფლებები „ქმნ-კგ საზოგადოებას“ უანდერძა), ავტორი „დედა ენისა“ და „ბუნების კარისა“, რომლებითაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო არაერთი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 295, 298, 303, 390, 391

**გოგია რევაზ** – ფილოლოგი, ისტორიკოსი, მთარგმნელი (გ. კ. ჩესტერტონი, ვ. გარშინი...), ავტორი ნაშრომისა „პონტოელი ბერძნები საქართველოში“ – 4

**გოგიჯანოვი** – იხ. **გორგიჯანიძე (გიორგიჯანიძე) ფარსადან გოეთე იოჰან ვოლფგანგ (1749-1832)** – გერმანელი მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი), ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე – 133, 339

**გოზალიშვილი გიორგი (1900-1988)** – ისტორიკოსი (ძირითადად იკვლევდა საქართველოს ძველი ისტორიის საკითხებს), ავტორი წიგნისა „1832 წლის შეთქმულება“ (ტ. I-III. თბ.: 1935-1976) – 350, 390

**გოზალიშვილი შალვა (1909-1993)** – ფილოლოგი, ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზრის ისტორიას – 225, 271, 342, 390

**გოლოვინი ევგენი (1782-1858)** – ინფანტერიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი და კავკასიის ცალკე კორპუსის სარდალი (1837-1842). 1840-იან წწ. მისი სახელი ეწოდა თბილისის მთავარ ქუჩას, რომელიც 1918 წლიდან რუსთაველის სახელობისაა – 354

**გომართელი ივანე (1875-1938)** – მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ექიმი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, „მესამე დასის“ წევრი (შემდგომში – მენშევიკი), საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და პარლამენტის წევრი. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ჯეჯილი“, „მოამბე“, „კვალი“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მოგზაური“, „თეატრი და ცხოვრება“, „ახალი გზა“, „ცისარტყელა“, „მინის მუშა“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, კრიტიკულ-ლიტერატურულ წერილებს, სამეცნიერო-პოპულარული და მემუარული ხასიათის ტექსტებს და სხვ.; 1920 წ. რედაქტორობდა ყოველკვირეულ გაზეთს „სოფლის მუშა“ (სულ გამოვიდა 15 ნომერი). დაკრძა-

- ლულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე – 281, 391
- გომერი – იხ. ლამერი**
- გორგიჯანიძე (გიორგიჯანიძე) ფარსადან (1626-XVII ს. ბოლო წლები) –** ისტორიკოსი, მწიგნობარი (მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი), ავტორი თხზულებისა „საქართველოს ისტორია“, რომელიც მოიცავს პერიოდს ქართლის გაქრისტიანებიდან XVII საუკუნის მიწურულამდე – 182
- გრაჩოვი –** რუსი გამომცემელი – 354
- გრიბოედოვა ნინო – იხ. ჭავჭავაძე-გრიბოედოვა ნინო**
- გრიბოედოვი ალექსანდრე (1795-1829) –** პოლონური წარმოშობის (გრჟიბოვსკი) რუსი მწერალი და დიპლომატი, მასონური ლოჟის „Du Bien“ ერთ-ერთი დამფუძნებელი (1817), რუსეთის ელჩი (მინისტრ-რეზიდენტი) ირანში (1828-1829), მეუღლე ნინო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძისა; 1829 წ. 30 იანვარს რუსეთის პოლიტიკით აღშფოთებულმა ბრბომ თეირანში რუსეთის საელჩოს თანამშრომლები ამოხოცა და გრიბოედოვიც ამ თავდასხმას შეენირა. დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდაზე – 133, 388
- გრიგოლ დადიანი (1770-1804) –** ოდიშის (სამეგრელოს) მთავარი (1788-1804; რამდენჯერმე დაკარგა ტახტი, თუმცა ყოველ ჯერზე ისევ იბრუნებდა), მეუღლე ნინო გიორგი XII-ის ასულისა; 1803 წლის დეკემბერში შეზღუდული ავტონომიის უფლებით რუსეთთან დადო „მფარველობითი ხელშეკრულება“ (იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ დამტკიცდა 1804 წლის ივლისში) – 51
- გრიგოლია კონსტანტინე (1904-1982) –** ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევდა ქართული ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხებს – 384, 391
- გრიშაშვილი იოსებ (1889-1965) –** პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, ლექსიკოგრაფი, ბიბლიოფილი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 362, 391
- გროსმანი ალექსანდრე (1836-1890) –** გენერალ-ლეიტენანტი, თბილისის გუბერნატორი (1883-1887; მანამდე ჯერ თერგის ოლქში მსახურობდა, შემდეგ ყარსის ოლქის გუბერნატორი იყო); 1887-1890 წწ. – ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი – 328, 406
- გუგუშვილი პაატა (1905-1987) –** მეცნიერი (ეკონომისტი, სოციოლოგი, ქართული წიგნისა და ჟურნალისტიკის ისტორიის

მკვლევარი), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ავტორი მონოგრაფიისა „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.“ (ტ. I-VII, თბ.: 1949-1984) – 229, 231, 232, 354, 391

**გურამიშვილი დავით (1705-1792)** – პოეტი, ავტორი „დავითიანისა“ – 375

**გურამიშვილი ეკატერინე** – იხ. **სტაროსელსკაია ეკატერინე გურამიშვილი (გურამოვი) თადეოზ** (გარდ. 1875) – საგურამოელი მემამულე, ი. ჭავჭავაძის სიმამრი, ავტორი ლექსისა „საყვარელო მამულო“ (ჟ. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1832, №5); დამთავრებული ჰქონდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი და თავის წრეში კარგ ორატორად ითვლებოდა; ტიპური ქართველი არისტოკრატი, რომლის შეგნებაში უმტკივნეულოდ თანაარსებობდა გულწრფელი ქართველი პატრიოტი და რუსეთის მონარქიული ტახტის უერთგულესი ქვეშევრდომი [იხ. ზედაზნის მონასტერში ეგზარქოს ისიდორეს სტუმრობის დროს წარმოთქმული მისი სიტყვა, რუსულ და ქართულ ენებზე, გამოქვეყნებული გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“ (1849, №20)]. თ. გურამიშვილმა ხანდაზმულობაშიც შეინარჩუნა ინტერესი ლიტერატურული ცხოვრებისადმი – 1859 წ. იგი სტამბის გასაუმჯობესებლად მატერიალურად ეხმარება ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორ-გამომცემელ ივ. კერესელიძეს – 31

**გურგენიძე ნანა** – მკვლევარი, ავტორი წიგნისა „ძველი წიგნსაცავები საქართველოში“ (თბ.: 1969) – 339, 341, 391

**გურგენიძე სოლომონ** – მემამულე, თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან (ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „გუთნის-დედა“), აქვეყნებდა წერილებს სოფლის მეურნეობის (ძირითადად – მევენახეობის) საკითხებზე – 29

**გურგინბეკოვი ა. ე.** – მემამულე სომხიტიდან (ქვემო ქართლი). შესაძლებელია, ეს იყოს **აბელ ეგორის ძე გურგინბეკოვი**, სამხედრო პირი, რომელიც კავკასიის ცალკე კორპუსში მსახურობდა და რომელსაც 1855 წ. პოდპოლკოვნიკის ჩინი აქვს – 31

## დ

**დ. ყ.** – დიმიტრი ყიფიანის ინიციალები – 18, 94, 126, 161, 165; იხ. აგრეთვე: **ყიფიანი დიმიტრი**

**დ. ჩ.** – იხ. **ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი) დავით**

**დ. ზურაბისშვილი** – დავით (დათა) მიქელაძის ფსევდონიმი – 270  
**დადიანები** – სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს გამგებლები – 50, 302

**დადიანი გრიგოლ (კაცია II-ის ძე)** – იხ. **გრიგოლ დადიანი**

**დადიანი (კოლხიდელი) გრიგოლ (1814-1901)** – ოდიშის მთავარ ლევან V დადიანის (1791-1846) ძე, საზოგადო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 და 1877-1878 წწ. ომებში, აგრეთვე, „კავკასიის ომში“, მათ შორის, ღუნების აღებაში (სადაც შამილი დაატყვევეს), ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ომებს სამეგრელოში შემოჭრილი ომერ-ფაშას წინააღმდეგ; პოეტი (ფსევდ.: „კოლხიდელი“, „იონე გეგეჭკორი“, „კ.“, „გ. დ.“, „მეგრელი“...), „ქშნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, მონაწილეობდა 1880 წ. დაარსებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში, დიდი ამაგი დასდო პოემის ი. ბარტდინსკისეულ რუსულ თარგმანს; ქველმოქმედი – სიკვდილის წინ ქონება და მდიდარი ბიბლიოთეკა უანდერძა „ქშნ-კგ საზოგადოებას“, შესწირა ფული სხვადასხვა სასკოლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, დაანესა პრემია „საუკეთესო თხზულებისათვის ქართულ ენაზე“, საგანგებოდ დატოვა თანხა ქუთაისის ღარიბ მოსახლეობაში დასარიგებლად... სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა ლეჩხუმში, სადაც, საზოგადოებას გარიდებული, განმარტოებით ცხოვრობდა სოფ. სურამუში, მამისეულ სასახლეში. გარდაიცვალა 1901 წ. 24 დეკემბერს ქუთაისში, დაკრძალულია მარტვილის საკათედრო ტაძარში – 8, 145, 146, 302, 347-349, 397, 399; იხ აგრეთვე: **იონე გეგეჭკორი**

**დადიანი ეკატერინე** – იხ. **ეკატერინე დადიანი**

**დადიანი-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო) (1847-1903)** – სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი (1867 წ. იანვარში ნებაყოფლობით თქვა უარი მთავრის უფლებებზე, რასაც სამეგრელოს სამთავრო ტახტის გაუქმება მოჰყვა), სამხედრო და საზოგა-

დო მოღვაწე, ქველმოქმედი, ბიბლიოფილი, დამფუძნებელი წევრი „ქმნ-კვ საზოგადოებისა“, რომელსაც 1885 წელს უმდიდრესი და უძვირფასესი ბიბლიოთეკა შესწირა; 1886 წ. მისი კანდიდატურა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის მიერ წარდგენილი იყო ბულგარეთის მთავრის თანამდებობაზე, მაგრამ იმ დროს ბულგარეთში გავრცელებული ანტი-რუსული სულისკვეთების გამო ეს იდეა ვერ განხორციელდა. 1859-1867 წწ. არასრულწლოვანი ნიკო დადიანისა და სამეგრელოს სამთავრო ქონების მეურვე („ოპეკუნი“) იყო დიმ. ყიფიანი, მაგრამ ეს ურთიერთობა ნ. დადიანის საჩივრით დასრულდა, რის საფუძველზეც დიმიტრის სამეგრელოს ყოფილი მთავრის სასარგებლოდ 113 ათასი მანეთის გადახდა დაეკისრა, რაც საბოლოოდ 50 000 მანეთამდე დაუყვანეს. ნ. დადიანი-მინგრელსკი გარდაიცვალა პეტერბურგში, საიდანაც ჩამოასვენეს სამშობლოში და მარტვილის ტაძარში დაკრძალეს – 51, 69, 70, 261-263, 283, 284, 286, 327

**დავით IV** აღმაშენებელი (1073-1125) – საქართველოს მეფე 1089-1125 წლებში; განახორციელა სასიცოცხლო მნიშვნელობის რეფორმები სახელისუფლებო, საეკლესიო, ეკონომიკურ, სამხედრო სფეროებში, აღადგინა და გააერთიანა თურქ-სელჩუკთაგან დაქცეული და დამცრობილი ქვეყანა; გელათის აკადემიის დამაარსებელი – 75, 174, 209, 210, 348, 397

**დავით რექტორი (დავით ალექსის ძე მესხიშვილი; დავით ალექსი-მესხიშვილი)** (1745-1824) – მწერალი, მეცნიერი-ბიბლიოგრაფი, ლექსიკოგრაფი, პედაგოგი, კალიგრაფი, მდივან-მწიგნობარი ერეკლე II-ის კარზე, თელავის სასულიერო სემინარიის რექტორი (1780-1801), ავტორი სახოტბო იამბიკოებისა. დაკრძალეს თბილისში, მამადავითის ეკლესიაში (ამჟამად საფლავი დაკარგულად ითვლება) – 146

**დავითი** – იხ. **ჭავჭავაძე დავით**

**დავინყებუი მწერალი** – ვლადიმერ მიქელაძის ფსევდონიმი – 284

**დანიბეგაშვილი რაფიელ** (1778-XIX ს. 30-იანი წწ.) – მოგზაური, დიპლომატი, ვაჭარი, სხვადასხვა მისიით 1795-1827 წწ. ხუთჯერ იმოგზაურა ინდოეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში – 385, 386, 391, 392

**დანტონი ჟორჟ** (1759-1794) – თვალსაჩინო ფიგურა საფრანგეთის 1789-1794 წწ. რევოლუციაში (როიალისტთა წინააღმდეგ

- ბრძოლის მეთაური, იუსტიციის მინისტრი, კონვენტის წევრი, საზოგადოებრივი ხსნის პირველი კომიტეტის ფაქტობრივი ხელმძღვანელი), ბრწყინვალე ორატორი, იაკობინელი, თუმცა შემდგომში რევოლუციური ტერორის შერბილების მოთხოვნით დაუპირისპირდა მ. რობესპიერის ფრთას, რასაც შეეწირა კიდეც (გასამართლა რევოლუციურმა ტრიბუნალმა და 1794 წლის 5 აპრილს გილიოტინაზე აიყვანეს) – 165
- დარახველიძე მიხეილ** – ქუთაისელი ადვოკატი – 271, 272
- დარეჯანი** – პერსონაჟი საგმირო-სარაინდო რომანისა „ამირან-დარეჯანიანი“ – 204
- დარია** (პერს.) – 369
- დარიოს III** კოდომანი (დაახლ. ძვ. წ. 380-330) – სპარსეთის აქემენიდათა სახელმწიფოს უკანასკნელი მეფე (ძვ. წ. 336-330). მისი ტახტი, სიცოცხლე და სპარსეთის აქემენიდათა იმპერიაც ალექსანდრე მაკედონელთან დაპირისპირებას შეეწირა – 187, 201
- დალესტანოსი** – 186
- დევი** – ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟი, გოლიათური აღნაგობის ავსული (ეშმაკეული) – 193
- დეანაძე გიორგი (1829-1886)** – გიორგი ერისთავის პროფესიული თეატრის (1850-იანი წწ.) მსახიობი, პოეტი, დრამატურგი; 1876 წ. მკვლელობის ცრუ ბრალდებით გაასამართლეს და კატორღაში გაგზავნეს. პატიმრობიდან გათავისუფლებული გზაში (ხარკოვი) გარდაიცვალა – 208
- დიასამიძე დავით** (გარდ. 1849) – გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1830-იანი წწ.), გამოირჩეოდა ხელისუფლების მიმართ უალრესად პრინციპული, გლეხობისადმი ლმობიერი დამოკიდებულებით; იყო მდიდარი და გავლენიანი მემამულე, ამასთანავე, მწიგნობრობის მოყვარული და ბიბლიოფილი – 27, 28
- დიდებულიძე ოლღა** – რუსი მათემატიკოსისა და პედაგოგის, ვასილ ევტუშევსკის, არითმეტიკის სახელმძღვანელოს მთარგმნელი ქართულ ენაზე – 86, 298, 299, 392, 394
- დიმიტრი** – ქართველ მეფეთა სახელი – 174
- დიმიტრი (დემეტრე) II (თავადადებული)** (დაახლ. 1259-1289) – საქართველოს მეფე 1271-1289 წლებში. პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა, მონაწილეობა მიეღო მონღოლთა დინასტიურ დაპირისპირებაში. ქვეყნის აოხრების შიშით გამოცხადდა საილხანოში, სადაც თავი მოჰკვეთეს. შთამომავლობამ დემე-



ტრეს „თავდადებული“ უნოდა, ხოლო საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა – 210

**დიუმა ალექსანდრე (მამა) (1802-1870)** – ფრანგი მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი, მემუარისტი), 1850-იანი წწ. ბოლოს იმოგზაურა კავკასიაში და თავისი შთაბეჭდილებები ასახა წიგნში „კავკასია (მოგზაურობის შთაბეჭდილებანი)“ (თბ.: 1970) – 369

**დოლიძე ისიდორე (1915-1982)** – იურისტი, სამართლის ისტორიკოსი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი (1957-1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1960-1966), სამეცნიერო აპარატის თანდართვით შეადგინა „ქართული სამართლის ძეგლების“ რეკტომეული (თბ.: 1963-1985) – 225, 394, 403

**დრიუონი მორის (1918-2009)** – ფრანგი მწერალი, ფრანგული აკადემიის წევრი (1967 წლიდან) – 369

**დუბროვინი ნიკოლოზ (1837-1904)** – სამხედრო ისტორიკოსი, გენერალ-ლეიტენანტი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და მდივანი; მიუხედავად წინასწარგანზრახული ტენდენციისა (ამართლებდა რუსეთის ბატონობას კავკასიაში), მისი ნაშრომები დღემდე ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას ზოგადად კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ახალი ისტორიისათვის – 377, 393

## ე

**ეგროსი** – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი, ეგრისის სამეფოს დამფუძნებელი, თარგამოსის ძე – 183, 213

**ევალდი იოჰან-ლუდვიგ (1748-1822)** – გერმანელი მწერალი, მქადაგებელი, საღვთისმეტყველო თხზულებათა ავტორი. დიპ. ყიფიანმა თარგმნა მისი თხზულება „ზნეობითისა აღზრდისათვის“, რომელიც არ გამოუქვეყნებია (ხელნაწერი თარგმანისა – II-2780. ავტოგრაფი დათარიღებულია 1832 წ. 31 მაისით. ფ. 18. ბოლონაკლული) – 340

**ევლახიშვილი (ევლახოვი) ივანე (1825-1888)** – მწერალი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი, მუსიკოსი, ჟურნალისტი; 1857 წელს



სასამართლოს მოხელედ მსახურობს შემახაში და იქიდან მადლობის წერილს სწერს დიმ. ყიფიანს – შენი სარეკომენდაციო წერილი ძალიან გამომადგაო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1311. რუსულ ენაზე. ფ. 2) – 175, 176, 366-369, 393

**ვეტუშევსკი ვასილ (1836-1888)** – რუსი მათემატიკოსი, პედაგოგი და მეთოდისტი, მათემატიკის სახელმძღვანელოების ავტორი – 86, 298, 299, 394

**ეკატერინე II (1729-1796)** – რუსეთის იმპერატორი 1762-1796 წწ., „განათლებული აბსოლუტიზმის“ მიმდევარი; რამდენჯერმე დაამარცხა ოსმალეთი, რამაც კავკასიაში რუსეთის დამკვიდრება განაპირობა, 1783 წ. ერეკლე მეორესთან გააფორმა მფარველობითი ხელშეკრულება („გეორგიევსკის ტრაქტატი“) – 45

**ეკატერინე დადიანი (1816-1882)** – სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, ნ. ბარათაშვილის ტრფობის საგანი (პოეტმა უძღვნა რამდენიმე ლექსი, აგრეთვე, თავისი ლირიკული შედევრებისა და „ბედი ქართლისას“ ორი ავტოგრაფული კრებული, რომელთაგან ერთი დაკარგულად ითვლება); სამეგრელოს სამთავროს გაუქმებით დაინტერესებულმა რუსეთის ხელისუფლებამ 1857 წელს ეკატერინე დადიანი „მიიწვია“ პეტერბურგში, საიდანაც მხოლოდ 1868 წელს, სამთავროს გაუქმების შემდეგ, შეძლო დაბრუნება. „ქშნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში. 1859-1867 წწ. მისი ქონება-მამულებისა და მცირეწლოვანი ძის, სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრის, ნიკო დადიანის (მინგრელსკის) (1847-1903), მეურვე იყო დიმ. ყიფიანი – 7, 50, 51, 133, 257-261, 286, 287, 335, 341

**ელენე დედოფალი (დაახლ. 250-330)** – რომის იმპერატორ კონსტანტინე I დიდის დედა, მოციქულთასწორი – 371

**ელე. დიმ-ის ასული** – იხ. **ლორთქიფანიძე ელენე**

**ელისა (ელიშა)** – ბიბლიური ნოეს შვილიშვილი, იაფეტის ძე – 183

**ერეკლე** – ქართველ მეფეთა სახელი – 210

**ერეკლე II (1720-1798)** – კახეთისა (1744-1762) და ქართლ-კახეთის (1762-1798) მეფე. საქართველოს ისტორიული მტრებისაგან უკიდურესად შევიწროებულმა, მას მერე, რაც ევროპაში ვერ იპოვა მოკავშირე, სამეფოს ბედი დაუკავშირა რუსეთს – 1783 წელს გააფორმა „გეორგიევსკის მფარველობითი ტრაქტატი“.

- დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში – 45, 134, 180, 214, 215, 340, 385, 386
- ერთი 126 შემდგენთაგანი** – დიმ. ყიფიანის ფსევდონიმი – 303, 350
- ერთი ამხანაგთაგანი** – გაუხსნელი ფსევდონიმი – 282, 394
- ერივანსკი** – იხ. **პასკევიჩი ივანე**
- ერისთავები (ერისთოვები)** – სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გამგებლობიდან ტრანსფორმირებული თავადური გვარი, რომელიც გავრცელდა როგორც აღმოსავლეთ (ქსნისა, არაგვისა...), ისე დასავლეთ (გურიისა, რაჭისა...) საქართველოში – 13, 43, 47
- ერისთავი (ერისთოვი) გიორგი დავითის ძე (1813-1864)** – მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, პროფესიული ქართული თეატრის (დაარსდა 1850 წ.) პირველი ხელმძღვანელი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორ-გამომცემელი (1852-1853), 1832 წლის შეთქმულების წევრი. დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – 205, 208, 267, 268, 389, 390, 394
- ერისთავი გიორგი იასეს (იესეს) ძე (1759-1863)** – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, სენატორი, უმამაცესი მეომარი, პოეტი და ორატორი, ავტორი ლექსებისა და თეოლოგიურ-მორალისტური ხასიათის თხზულებისა – „მამისაგან შვილის დარიგება“ („ცისკარი“, 1862, №10). სხვა გიორგი ერისთავებისგან რომ განესხვავებინათ, მეტსახელად „სენატორს“ უწოდებდნენ. დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – 74
- ერისთავი გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე (1812-1891)** – საზოგადო და სამხედრო მოღვაწე (კავალერიის გენერალი), ქველმოქმედი, ერეკლე II-ის შვილიშვილი (ანასტასია ბატონიშვილის ძე), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს არხანგელსკში. სამშობლოში დაბრუნდა 1840 წ.), ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი 1858-1861 წწ. (იმ დროის სხვა გიორგი ერისთავებისგან რომ განესხვავებინათ, „ატამანს“ უწოდებდნენ – 1852 წელს კავკასიის ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანი იყო) – 287
- ერისთავი (ერისთოვი) გ. რ.** – ? [შესაძლებელია, **გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავი** იყოს] – 31
- ერისთავი დავით (1847-1890)** – მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, გიორგი ერისთავის (1813-

1864) შვილი; თანამშრომლობდა როგორც ქართულ („დროება“, „კრებული“, „ივერია“...), ისე რუსულ პრესაში („ტიფლისკი ვესტნიკ“, „ფალანგა“ და სხვ., აგრეთვე, „კავკაზ“, რომელსაც 1882-1884 წწ. რედაქტორობდა კიდეც), აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, თარგმანებს, მონაწილეობდა „ქმნ-კვ საზოგადოებისა“ და „ქართული დრამატიული საზოგადოების“ დაფუძნებაში, გადმოაკეთა ფრანგი დრამატურგის, ვ. სარდუს, პიესა „სამშობლო“ („მატრიე“), რომლის დადგმას შთაბეჭდავი რეზონანსი მოჰყვა. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 280, 281, 310-312, 407

**ერისთავი (ერისთავი) დიმიტრი (1805/1811-1854)** – დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის საარტილერიო სასწავლებელი, 1832 წლის შეთქმულების წევრი (მონაწილეობდა „პირველი ღამის განკარგულების“ შედგენაში), საგამომძიებლო კომისიამ გადასცა სამხედრო სასამართლოს, რომელმაც მას ჯერ ჩამოართვა თავადის წოდება, სამხედრო ჩინი და მიუსაჯა ოთხად განკვეთა, შემდეგ კი სასჯელი შეუცვალა და „არტილერიის მე-10 ბრიგადაში“ განაწესა; 1840-იან წწ. თავის ძმასთან, ელიზბარ ერისთავთან, ერთად ატენის ხეობის სოფ. ღვარებში მინის ქარხნის დამაარსებელი – 28

**ერისთავი (ერისთავი) ელიზბარ (1809-1871)** – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური (თავიდან მიუსაჯეს სიკვდილი – „ოთხად განკვეთა“, თუმცა შემდეგ სასჯელი შეუცვალეს და ფინეთში გაგზავნეს რიგით ჯარისკაცად), „ტიფლისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი. მრეწველი (1840-იან წწ. ძმასთან, დიმიტრი ერისთავთან, ერთად ატენის ხეობის სოფ. ღვარებში დააარსა მინის ქარხანა, რომელშიც ბოთლები და სხვა ჭურჭლეული მზადდებოდა და რომელიც ელიზბარ ერისთავის გარდაცვალების შემდეგ მალე დაიხურა); სიცოცხლის ბოლო წლებში იყო გორის მაზრის უფროსი. დაკრძალულია გორში (ამჟამად მისი საფლავი დაკარგულია) – 28

**ერისთავი ივანე (ოქრო) (1818-1858)** – ლიტერატორი, გიორგი დავითის ძე ერისთავის ძმა. რუსული და ფრანგული ენებიდან თარგმნიდა და გ. ერისთავის „ცისკარში“ აქვეყნებდა უცხოელ ავტორთა ნაწარმოებებს. ქართულ ენაზე პირველმა თარგმნა მოლიერი, კერძოდ, „ძალად ექიმი“ (ივ. ერისთავის თარგმან-

ში – „უნებურათ ექიმი“), რომელიც თბილისში დაიდგა 1853 წელს – 267

**ერისთავი (ერისთოვი) კ. მ.** – ქართლელი მემამულე – 31

**ერისთავი (ერისთოვი) მიხეილ (1817-1870)** – გურული თავადი. ჩაის კულტურის პიონერი საქართველოში (გურიაში, კერძოდ, გორაბერეჟოულში), მისდევდა აგრეთვე მეფუტკრეობას. დიმიტრი ყიფიანთან დაახლოებული პირი და მძახალი (ნიკო ყიფიანის სიმამრი). გაურკვეველი მიზეზით მოკლეს საკუთარ სახლში. მიხეილის მიერ წამოწყებული მეჩაიეობის საქმე გააგრძელა მისმა შვილმა ანდრია ერისთავმა (1855-1932; გარდაიცვალა ემიგრაციაში – პარიზში. იქვეა დაკრძალული) – 31

**ერისთავი ოქრო** – იხ. **ერისთავი ივანე (ოქრო)**

**ერისთავი (ერისთოვი) რ. ი.** – ქართლელი მემამულე – 31

**ესქილე** (ძვ. წ. 525-ძვ. წ. 456) – ძველი ბერძენი დრამატურგი, მიიჩნევა „ევროპული ტრაგედიის მამად“; ავტორი 90-მდე ნაწარმოებისა, რომელთაგან ჩვენამდე მოღწეული მხოლოდ შვიდი ტრაგედიის ავტორობა არ ინვეს დავას („ორესტეა“, „სპარსელები“, „მავედრებელი ქალები“ და სხვ.) – 208

**ეფრონი ილია** (დაბ. 1847) – გამომცემელი, დამაარსებელი საგამომცემლო ფირმისა „ბროკჰაუზი-ეფრონი“, რომელმაც რუსულ ენაზე გამოსცა „ბროკჰაუზი-ეფრონის ენციკლოპედია“ (1890-1907) – 235, 239, 336, 364, 389

### 3

**ვაჟა-ფშაველა (1861-1915)** – მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი, თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია“, „თეატრი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „კვალი“, „სახალხო გაზეთი“, „განათლება“ და სხვ.), აქვეყნებდა ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, თარგმანებს (ფ. შილერი, ე. პო, ჰ. ჰაინე, მ. ლერმონტოვი...), პუბლიცისტურ თხზულებებს, წერილებს ლიტერატურულ, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ და სხვ. საკითხებზე – 292, 388

**ვარანცოვი** – იხ. **ვორონცოვი მიხეილ**

**ვარშავსკი** – იხ. **პასკევიჩი ივანე**

**ვახანია ნინო** – ლიტერატურათმცოდნე, ძირითადად იკვლევს

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას – 402

**ვახტანგ ბატონიშვილი** – იხ. **ვახტანგ VI**

**ვახტანგ I გორგასალი** (დაახლ. V ს. 40-იანი წწ.-502) – ქართლის მეფე, დიდი სარდალი და რეფორმატორი, იღვწოდა ირანელთა ბატონობისაგან ქართლის გათავისუფლების, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ცენტრალიზაციისათვის, რასაც შეეწირა კიდეც – 75, 174, 209-211, 215, 375

**ვახტანგ VI (ვახტანგ სჯულმდებელი)** (1675-1737) – ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) (1703-1714), ქართლის მეფე (1716-1724), პოეტი, მეცნიერი. იბრძოდა ირანის გავლენის შესუსტებისა და ქვეყნის მმართველობითი ცენტრალიზაციისათვის. 1708-1709 წწ. თბილისში დააარსა პირველი ქართული სტამბა. მისი თაოსნობით შეიქმნა სამართლის ნიგნთა კრებული, რისთვისაც „სჯულმდებელი“ ეწოდა. 1724 წელს დახმარების იმედით გაემგზავრა რუსეთში, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. გარდაიცვალა ასტრახანში. დაკრძალულია იქვე, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. ადრინდელ წყაროებში ასეც იხსენიება: ვახტანგ მეხუთე („მეხუთე ვახტანგი“) – 13, 15-17, 75, 108, 177-179, 182, 198, 211, 225, 226, 288, 330, 371, 372, 374, 384, 394, 403

**ვახტანგი** – იხ. **ვახტანგ VI**

**ვახუშტი ბატონიშვილი** (1696-1757) – ისტორიკოსი, გეოგრაფი, კარტოგრაფი, ვახტანგ VI-ის შვილი, ავტორი ნაშრომისა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც წარმოადგენს საქართველოს გაბმულ ისტორიას უძველესი დროიდან („დასაბამიდან“) XVIII საუკუნის I ნახევრამდე და გამსჭვალულია ქართველთა ეთნიკური და პოლიტიკური ერთიანობის იდეით. 1724 წელს მამას გაჰყვა რუსეთში, იქვე დამკვიდრდა და იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში – 177, 178, 181-183, 211, 380-382, 384, 394

**ვისი** – პერსონაჟი სპარსული პოემისა „ვისი ო რამინ“ – 204

**ვიტე იული** (1814-1868) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის დირექტორი (1857-1868), რუსეთის ისტორიაში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწისა და რეფორმატორის, სერგეი ვიტეს (1849-1915), მამა – 231

**ვლადიმირი** (წმ.) – ვლადიმირ I სვიატოსლავის ძე **დიდი** (958-1015), კიევის რუსეთის დიდი მთავარი, რომელმაც 988 წელს

ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა. ეკატერინე II-მ 1782 წელს წმ. ვლადიმირის სახელობაზე დააარსა ორდენი (IV ხარისხისა), რომელიც სამხედრო (პოდპოლკოვნიკის ჩინსა და ზემოთ) და საშუალო რანგის ჩინოვნიკებს ენიჭებოდათ (გაუქმდა 1917 წ.) – 132, 377

**ვლადიმირ II მონომახი (1053-1125)** – კიევის რუსეთის დიდი მთავარი. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, დავით აღმაშენებელს საქართველოში ყივჩაღთა გადმოსახლებასთან დაკავშირებითა და „სარწმუნო კაცთა“ მეშვეობით მოლაპარაკება უნდა ჰქონოდა ვლადიმირ მონომახთან – 180

**ვლ. კულაშელი** – ვლადიმერ მიქელაძის ფსევდონიმი – 284

**ვოლნეი (ვოლნე) კონსტანტენ ფრანსუა (1757-1820)** – ფრანგი განმანათლებელი, ფილოსოფოსი, ორიენტალისტი, მოგზაური, პოლიტიკური მოღვაწე – 215

**ვოლტერი (1694-1778)** – ფრანგი მწერალი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, განმანათლებელი – 134, 205

**ვორონოვი ნიკოლოზ (1832-1888)** – ეთნოგრაფი, ჟურნალისტი, პროზაიკოსი, პედაგოგი, დამთავრებული ჰქონდა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტი (1853), 1860-იანი წლებიდან მსახურობდა კავკასიაში, გაზეთის „Кавказ“ რედაქტორ-გამომცემელი (1875-1880), 1880 წ. თავი დაანება სამსახურს, ხოლო 1882 წ. დასახლდა წებელდაში, გარდაიცვალა იქვე – 278

**ვორონცოვი მიხეილ (1782-1856)** – გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი („ნამესტნიკი“) და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1844-1854; კავკასიის მართვას პრაქტიკულად 1845 წლის გაზაფხულიდან შეუდგა). მიიჩნევა, რომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება იმპერიის ძლიერების წყარო იყო და არა – მისი სისუსტის მაჩვენებელი. ამიტომაც, თუ ერთი მხრივ, ზრუნავდა რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასიმილირებაზე, იმავდროულად, ხელს უწყობდა ევროპეიზაციის გზით ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას – 42, 43, 88, 229, 230, 232, 247, 248, 251, 336, 341, 364, 365

**ვრანგელი ალექსანდრე (1804-1880)** – ინფანტერიის გენერალი, ბარონი, „კავკასიისა“ (ჩაჩნეთი, დალესტანი...) და 1853-1856 წწ. რუსეთ-ოსმალეთის („ყირიმის“) ომების მონაწილე, განმსაზღვრელი მნიშვნელობის როლი შეასრულა 1859 წ. შამილის დატყვევებაში; გარდაიცვალა პეტერბურგში – 88

## ზ

### **ზ. ჭ. – იხ. ჭიჭინაძე ზაქარია**

**ზადენი** – ძველი ქართული წარმართული ღვთაება. ლეონტი მროველის მიხედვით, „ამან ფარნაჯომ მეფემან... ალაშენა ციხე ზადენი, და შექმნა კერპი სახელით ზადენ, და ამართა ზადენს“. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებით კი, „[იალონის] მთის თხემსა ზედა, მჭვრეტელი არაგვისა, მუხრანისა, ხერკისა, მცხეთისა და ტფილისისა, ალაშენა ციხე მეფემან ფარნაჯომ და აღმართა მუნ კერპი ზადენი, და ამითი ეწოდა მთასა ამას ზედაზენი“ – 193, 372, 374

**ზარდალიშვილი გრიგოლ (1914-1979)** – გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე – 386, 392

### **ზაქარია მხარგრძელი – იხ. მხარგრძელი ზაქარია**

**ზევსი** – უზენაესი ღვთაება ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში, ღმერთთა და ადამიანთა მბრძანებელი – 193

**ზევიმა (პერს.)** – 8, 138, 343

**ზუბალაშვილი (ზუბალოვი) იოსებ** – ქველმოქმედ ზუბალაშვილთა ცნობილი გვარის წარმომადგენელი, „ქმნ-კვ საზოგადოების“ წევრი (1879 წლიდან), ახალგაზრდობიდანვე ევროპაში წავიდა საცხოვრებლად, იქვე დაცოლშვილდა და იქვე (ვენაში) გარდაიცვალა – 344, 346, 347

### **ზურაბისშვილი – იხ. დ. ზურაბისშვილი**

**ზურაბისშვილი ილია (1872-1955)** – მწერალი (პროზაიკოსი, მთარგმნელი, მემუარისტი), პუბლიცისტი, თეატრალური, მუსიკალური, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 403

## თ

**თ. ჯ.** – 113, 224, 227, 228, 231, 233, 237, 261, 266, 280, 291, 292, 295, 297, 322, 329, 347, 348, 353, 358, 359, 363, 366, 371, 373-375; იხ. აგრეთვე: **ჯოლოგუა თამაზ**

**თავამაისვილი გიორგი (1914-1999)** – ისტორიკოსი, არქივმ-



ცოდნე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში საგამომცემლო, პოლიგრაფიული და საარქივო საქმის განვითარებაში – 268, 323, 394

**თავბერიძე ელგუჯა** – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურულ პრემია „საბას“ ლაურეატი (2013 წ.) – 271, 394

**თავზიშვილი გიორგი (1902-1963)** – მეცნიერი, პედაგოგი. ძირითადად იკვლევდა საქართველოში სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზრის ისტორიას. ი. გოგებაშვილის, ეკ. გაბაშვილის, ს. მგალობლიშვილისა და სხვათა თხზულებების გამომცემელი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 241, 394

**თავისუფალი სვანი** – იხ. ნიჟარაძე ბესარიონ

**თათუა** (პერს.) – 268

**თამაზ I (შაჰ-თამაზი) (1513-1576)** – ირანის შაჰი (1524-1576); 1541-1554 წწ. ოთხჯერ დალაშქრა საქართველო – 195

**თამარი** (დაახლ. 1160-1213) – საქართველოს მეფე 1184 წლიდან (გიორგი III-ის თანამოსაყდრე 1178-1184 წწ.) – 8, 75, 173-176, 197, 206, 210, 211, 213, 366-369

**თამარი** (პერს.) – 369, 384

**თარგამოსი** – ბიბლიური იაფეტის (იაფეთის) შვილიშვილი, გომერის (ლამერის) ძე, კავკასიის ხალხთა ეთნარქი („სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა, ამათ თვისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს“ – ლეონტი მროველი) – 183, 187, 211

**თარხან-მოურავი (თარხნიშვილი) გიორგი (1841-1911)** – რუსეთის არმიის გენერალი და ქართველი საზოგადო მოღვაწე (თვალსაჩინო ფიგურა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში, 1890-იან წწ. იყო ბანკის თანადირექტორი). გარდაიცვალა ქართლის სოფ. ახალქალაქში, დაკრძალულია ერთაწმინდის ტაძრის გალავანში – 323

**თარხნიშვილები (თარხან-მოურავები)** – ქართლის თავადური სახლი, რომლის სამფლობელო თემის ახალქალაქსა და მიმდებარე ტერიტორიას მოიცავდა. სათავადოს ცენტრი იყო ქალაქი ახალქალაქი (ამჟამად სოფელი კასპის რაიონში) – 349

**თარხნიშვილი (თარხნის-შვილი) ალექსანდრე (1812-1874)** – ძე 1832 წლის შეთქმულების მონაწილის, დავით თარხნიშვილისა, გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“), დიპ. ყიფიანთან ერთად სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში – 146, 349



**თარხნიშვილი გიორგი** – იხ. **თარხან-მოურავი (თარხნიშვილი) გიორგი**

**თარხნიშვილი დავით (1762/1765-1839)** – პოლკოვნიკი, გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს). დაკრძალულია ერთაწმინდის ტაძარში – 349

**თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846)** – გიორგი XII-ის ძე, მწერალი, მეცნიერი, ბიბლიოფილი, პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, პარიზის სააზიო და კოპენჰაგენის სამეფო ანტიკვართა საზოგადოებების წევრი, პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ფუძემდებელი. 1810 წელს გადაასახლეს პეტერბურგში, იქვე გარდაიცვალა, დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. თედორეს ეკლესიაში – 348, 381, 382, 394, 408

**თეიმურაზ ვაკელი** – დიმ. ყიფიანის ფსევდონიმი – 343, 350

**თეიმურაზი** – დიმ. ყიფიანის ფსევდონიმი – 138, 139, 343, 350, 357

**თელია ავთანდილ** – მკვლევარი. ავტორი წიგნისა „ქართული სა-თავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე“ (თბ.: 1989) – 243, 324, 332, 333, 394

**თემურლენგი (1136-1405)** – გათურქებული მონღოლი, მხედართ-მთავარი, ემირი (1370-1405). 1386-1403 წლებში საქართვე-ლომ რვაჯერ იწვნია თემურლენგის დამანგრეველი ლაშქრო-ბა – 75, 181, 195

**თვალავაძე თეა** – მკვლევარი, გ. ლეონიძის სახელობის ქართუ-ლი ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ოტია პაჭკორიას თხზულებათა ოთხტომეულის შემდგენელი (თბ.: 2015) – 388

**თვარაძე რევაზ (1928-2006)** – ლიტერატურათმცოდნე, მთარგ-მნელი (მ. ლერმონტოვი, ა. ბლოკი, უ. ფოლკნერი და სხვ.), ჟურნალისტი (გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი 1967-1968 წწ.), მემუარისტი – 238, 288, 308, 321, 405

**თირასი** – ბიბლიური ნოეს შვილიშვილი, იაფეტის ძე – 183

**თმოგველი** – იხ. **სარგის თმოგველი**

**თობელი (თუბალი)** – ბიბლიური ნოეს შვილიშვილი, იაფეტის ძე – 183

**თოდუა გრიგოლ** – ეკონომიკურ მოძღვრებათა და ქართული სა-ზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის მკვლევარი,

ავტორი მონოგრაფიისა „XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები“ (ნაწ. I. თბ.: 1983; ნაწ. II. თბ.: 1987) – 224, 232, 394

**თრდატ III** (გარდ. 330) – სომხეთის მეფე არშაკიდთა დინასტიიდან, 301 წელს სომხეთში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა – 179, 371, 375

**თუბალი** – იხ. **თობელი (თუბალი)**

**თულაშვილი ვახტანგ** (1834-1910) – პუბლიცისტი, პედაგოგი, ქველმოქმედი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამაარსებელთაგანი (1904 წლიდან – საპატიო წევრი), თვალსაჩინო ფიგურა იმ მოძრაობაში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში პატრიოტული მიზანდასახულობის კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების აღორძინებასა და განვითარებას (ჟურნალისტიკა, თეატრი, სასტამბო-საგამომცემლო საქმე და სხვ.) – 264, 265, 295-297, 395

**თუმანიშვილი (თუმანოვი) გიორგი** (1854-1920) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, იურისტი, საზოგადო მოღვაწე, „ქართული დრამატიული საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ თანარედაქტორი (ვ. და კ. თუმანიშვილებთან ერთად; 1891-1904), მიხ. თუმანიშვილის (1818-1875) შვილი. დამთავრებული ჰქონდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1875), ქართულ ენაზე გამოსცემდა არაპერიოდულ გამოცემას სახელწოდებით „ალმანახი“ (1878-1879), აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის თხზულებებს როგორც ქართულ („დროება“, „ივერია“ და სხვ.), ისე რუსულ („კაკვაზ“, „ტიფლისსკი ვესტნიკ“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ვესტნიკ ევროპი“, „ფალანგა“, „ბაკუ“ და სხვ.) პრესაში. დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზე – 280, 281, 323

## o

**იავანი** – ბიბლიური ნოეს შვილიშვილი, იაფეტის ძე – 183

**იანოვსკი კირილე** (1822-1902) – უკრაინული წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე (რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი), ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი

- (Действительный тайный советник), „მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების“ წევრი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი (1878-1899), უკიდურესი რეაქციონერი, კავკასიაში ცარიზმის ასიმილაციონური პოლიტიკის ერთ-ერთი ბურჟი. გარდაიცვალა სოხუმში, იქვეა დაკრძალული – 7, 72, 73, 75, 77, 78, 80, 81, 83, 84, 86, 87, 288, 290-296, 299, 395, 398
- იაფეტი (იაფეთი)** – ბიბლიური ნოეს ძე, მსოფლიოს ხალხთა მამამთავარი ძმებთან, სემთან და ქამთან, ერთად – 183, 187
- იესო ქრისტე** – ძე ღვთისა, ქრისტიანული რელიგიის ფუძემდებელი – 35, 184, 186, 187, 199, 202, 204, 211, 228, 371, 372, 373, 375, 381, 383, 385, 389
- ივანე IV მრისხანე (1530-1584)** – მოსკოვის დიდი მთავარი, რუსეთის მეფე (1547-1584), გააერთიანა, განავრცო და განამტკიცა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო, მისი საგარეო პოლიტიკის ინტერესთა სფეროში კავკასიაც იყო მოქცეული, დიპლომატიური და სამხედრო კავშირი ჰქონდა კახეთის მეფე ლევანთან (1518/1520-1574) – 180, 377
- ივანე (იოანე) მხარგრძელი – იხ. მხარგრძელი ივანე (იოანე)**
- იზმაილოვი პავლე (1852-1895)** – საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, ნ. ნიკოლაძესა და დავ. მიქელაძესთან ერთად გაზ. „დროშის“ გამომცემელი (1873. პარიზი), თბილისის ქალაქის თავი (1893-1895); გარდაიცვალა პეტერბურგში, დაკრძალულია თბილისში, ვანქის სომხური ეკლესიის გალავანში – 61, 62, 270, 276
- ილია – იხ. ილია ჭავჭავაძე**
- იმერელი** – გაუხსნელი ფსევდონიმი – 301, 395
- ინგოროყვა პავლე (1893-1983)** – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (შემდგომში – პარლამენტის) წევრი – 411
- ინოკენტი არქიეპისკოპოსი (საერო ცხოვრებაში – ივანე ბორისოვი) (1800-1857)** – ხერსონის არქიეპისკოპოსი (1848 წლიდან), რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის წევრი – 373
- იოანე [არჩილის ძე] – იხ. იოვანე (იოანე)**
- იოანე-აბდულმესია – იხ. იოანე შავთელი**
- იოანე ბერი (პერს.) – 143**
- იოანე გეგეჭკორი** – გრიგოლ დადიანის ფსევდონიმი – 410; იხ. აგრეთვე: **დადიანი (კოლხიდელი) გრიგოლ**

**იოანე ზედაზნელი** – თორმეტ მონაფესთან ერთად VI ს. შუაწლებში სირიიდან მისიონერული მიზნით საქართველოში ჩამოსული სასულიერო მოღვაწე, რომელმაც ზედაზნის მთაზე დააარსა მონასტერი, იქვე აღესრულა და იქვეა დაკრძალული (ასურელ მამათა საქართველოში ჩამოსვლის მოტივაციის, თარიღის, მათი რაოდენობის, საქართველოში ყოფნის ხანგრძლივობისა და სხვ. არსებითი მნიშვნელობის საკითხები დღემდე რჩება კამათის საგნად) – 195

**იოანე პეტრინი** – XI-XII სს. ქართველი ფილოსოფოსი-ნეოპლატონიკოსი, მწერალი, მთარგმნელი. მწირი ბიოგრაფიული ცნობების მიხედვით, განათლება მიუღია მანგანის აკადემიაში (კონსტანტინოპოლი); მოღვაწეობდა პეტრინონის (ბაჩკოვო) მონასტერში, შავ მთაზე, გელათის აკადემიაში – 75, 174, 211, 292, 384

**იოანე შავთელი (აბდულმესია, იოანე-აბდულმესია)** – თამარის ეპოქის (XII-XIII სს.) ქართველი მწერალი, მიეწერება ქართული ლიტერატურის კლასიკური სახოტბო ძეგლი „აბდულმესიანი“. მისი სახელითაა მოღწეული აგრეთვე რამდენიმე სასულიერო ხასიათის ტექსტი (მათ შორის, „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“) – 174, 205, 206, 211, 367

**იოვანე (იოანე)** – VIII ს. პოლიტიკური მოღვაწე, ძე არაბთაგან წამებული არჩილ სტეფანოზის ძისა. „მატიანე ქართლისაის“ მიხედვით, მამის სიკვდილის შემდეგ გადავიდა დასავლეთ საქართველოში და დაეუფლა ეგრისს, სვანეთს, თაკვერს, არგვეთსა და გურიას – 188

**იორდანიშვილი სოლომონ (1898-1953)** – ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, რუსთველოლოგი, მთარგმნელი (ე. ორბელიანთან ერთად ფრანგულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“), მეცნიერულად გამოსცა „დავითიანი“ (ალ. ბარამიძესთან ერთად), ს.-ს. ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, რ. დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“ და სხვ. – 386, 392

**იოსავა ნელი** – ენათმეცნიერი, ავტორი წიგნისა „პრაქტიკუმი სინტაქსში“ (თბ.: 2003) – 384, 395

**იოსელიანი ი.** – „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ მდივანი, შემდგენელი წიგნისა „Обзор деятельности Императорского Кавказского общества сельского хозяйства за пятьдесят лет (1850-1900)“ (Тиф.: 1901.) – 231, 232, 396

**იოსელიანი პლატონ (1809-1875)** – მეცნიერი (ისტორიკოსი, ფილოლოგი, ფოლკლორისტი), ჟურნალისტი, გამომცემელი,

ათენის არქეოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი. ლიტერატურული და მსოფლმხედველობრივი პრინციპებით ეკუთვნოდა „მამების“ თაობას – 228, 229, 340, 341, 377, 385, 395, 396

**ისიდორე** (ერისკაცობაში – **იაკობ ნიკოლსკი**) (1799-1892) – საქართველოს ეგზარქოსი 1844-1858 წწ.; საქართველოში ყოფნისას ენერგიულად იღვწოდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ისლამის შევიწროებისა და მართლმადიდებლური ქრისტიანობის გავრცელებისათვის. 1849 წ. მისი ინიციატივით შეიქმნა ბიბლიის ქართული თარგმანის შემსწორებელი პირველი კომიტეტი. 1858 წ. გადაიყვანეს კიევის მიტროპოლიტად. დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში – 234

**ისმაილ I (შაჰ-ისმაილ სოფი)** (1487-1524) – ირანის სეფიანთა სამეფოს დამაარსებელი, პოეტი (ფსევდ. „ხათაი“); ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდების მიზნით XVI ს. დასაწყისში რამდენჯერმე დალაშქრა საქართველო და აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები და სამცხის მთავარი ირანის ვასალებად აქცია – 195

**იუპიტერი** – რომაულ მითოლოგიაში ცის, სინათლის, ჭექა-ქუხილის ღმერთი, რომის სახელმწიფოს მფარველი, ძვ. ბერძნული ზევსის რომაული ანალოგი – 122, 193, 335

## კ

**კავკასოსი** – ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიელთა (სავარაუდოდ, ჩეჩენ-ინგუშთა) ეთნარქი, თარგამოსის ძე – 183, 212

**კალანდაძე ალექსანდრე** (1916-1996) – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა პოლონელებისა და ფრანგების წინააღმდეგობის მოძრაობაში. ავტორი კაპიტალური ნაშრომისა „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ (I-V. თბ.: 1977-1987) – 349, 351-353, 355, 358, 396

**კაპულეტი** (პერს.) – 345

**კასტელა** (გარდ. 1828) – ფრანგი ნეგოციანტი და მენარმე, რომელმაც 1820-იან წწ. დასაწყისში საფრანგეთიდან ჩამოტ-

ანილი მანქანა-დანადგარებით თბილისში დააარსა აბრე-  
შუმსახვევი ფაბრიკა, თუმცა წამოწყებამ ვერ გაამართლა,  
1841 წ. კასტელას მიერ დაარსებული ფაბრიკა დაიხურა,  
ხოლო მანქანა-დანადგარები კერძო პირებმა შეიძინეს – 25

**კატკოვა სოფიო (1832-1913)** – რუსი ჟურნალისტისა და ლიტ-  
ერატორის, მიხეილ კატკოვის, მეუღლე, მ. კატკოვის თხზუ-  
ლებათა გამომცემელი, წარმოშობით ქართველი – შალიკოვა  
[მამამისი – პეტრე შალიკოვი (1767/1768-1852) – იყო მწერ-  
ალი, ჟურნალისტი და გამომცემელი, ხოლო და – ნატალია  
შალიკოვა (1815-1878) – მწერალი და პირველი ჟურნალისტი  
ქალი რუსეთში] – 396

**კატკოვი მიხეილ (1818-1887)** – რუსი ჟურნალისტი და პუბლი-  
ცისტი, მთარგმნელი (პ. ჰაინე, ე. ჰოფმანი, უ. შექსპირი და  
სხვ.), გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორი (1851-  
1856; 1863-1887), დედით ქართველი (თულაევა/თულაშვილი),  
გავლენიანი ფიგურა რუსეთის პოლიტიკურ წრეებში, მათ  
შორის – საიმპერატორო კარზე. უკიდურესი შოვინისტი –  
რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ასიმილაციის იდე-  
ოლოგი. თავის გაზეთში კარი გაუღო ქართველთა ეროვნული  
ღირსების შემლახველ პუბლიკაციებს, რასაც ქართველ მოლ-  
ვანეთა (დიმ. ყიფიანი, ნ. ნიკოლაძე, ი. ჭავჭავაძე, ლ. მაღალ-  
აშვილი და სხვ.) მწვავე რეაქცია მოჰყვა – 39, 43, 91, 244, 251-  
255, 302, 312, 320, 396

**კახოსი** – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი  
ეთნარქი, ქართლოსის ძე – 183

**კეკელიძე კორნელი (1879-1962)** – ლიტერატურათმცოდნე, თბი-  
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი.  
ფასდაუდებელი ამაგი დასდო ძველი ქართული მწერლობის  
მეცნიერულ კვლევას. საქართველოს გასაბჭოებამდე იყო  
სასულიერო მოღვაწე (დეკანოზი, თბილისის სასულიერო სემ-  
ინარიის რექტორი). დაკრძალულია ივ. ჯავახიშვილის სახ-  
ელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში  
– 1, 415

**კეკელიძე მიხეილ (1911-1996)** – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლი-  
ცისტი, პედაგოგიკის ისტორიის მკვლევარი – 292, 396

**კერესელიძე ივანე (1829-1892)** – მწერალი, ჟურნალისტი, პუბ-  
ლიცისტი, პედაგოგი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე,  
ჟურნალ „ცისკრისა“ (1857-1875) და გაზეთ „ცისკრის“ (1887)  
რედაქტორ-გამომცემელი. „ცისკრის“ რედაქციაში მასთან

სტუმრობა აღწერილი აქვს ალ. დიუმას თავის „კავკასიაში“.  
დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 342, 344, 348-352, 354,  
407

**კვინტუს კურციუსი** – იხ. **კურციუსი რუფუს კვინტუს**

**კიკნაძე** – ქვიშხეთის სცენისმოყვარეთა წრის წევრი – 57, 269

**კიკნაძე ვასილ (1929-2016)** – თეატრმცოდნე, პედაგოგი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის (ამჟამად – თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის) პრორექტორი (1973-2005) – 281, 397

**კიკნაძე ნანა** – გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი – 388

**კილაძე ი.** – ქუთაისელი გამომცემელი – 343

**კლაპროთი ჰაინრიხ იულიუს ფონ (1783-1835)** – გერმანელი ლინგვისტი და ორიენტალისტი. 1807-1808 წწ. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით იმოგზაურა კავკასიაში, მათ შორის, საქართველოში. 1812-1814 წწ. ორ ტომად გამოსცა „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში“ („Reise in den Kaukasus und Georgien in den Jahren 1807 und 1808“: Halle: 1812-14; ფრანგულად ითარგმნა და პარიზში გამოიცა 1823 წ.). დანყებული ჰქონდა ბეჭდვა „ქართული გრამატიკისა“, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მარი ბროსემ დაასრულა – 185

**კლუშინი პავლე (1814-1886)** – რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1877 წლიდან), სენატორი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник); 1875-1876 წწ. იყო კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი – 286

**კობაძე ბონდო** – პროექტის ავტორი და შემდგენელი კრებულებისა: „აკაკი წერეთელი – 170“ (თბ.: 2010), „გალაკტიონი – 120“ (თბ.: 2011), „დიმიტრი ყიფიანი – 200“ (თბ.: 2014) და სხვ. – 238, 289, 308, 321, 350

**კობიაკოვი დიმიტრი (1841-1892)** – რუსი ისტორიკოსი, გეოგრაფი, სტატისტიკოსი, „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის“ თავმჯდომარე (1886-1892), ეკუთვნის არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი კავკასიისმცოდნეობის სფეროში, მათ შორის, წიგნი: Театр в Тифлисе с 1845-1856 год (Тифлис: 1888). გარდაიცვალა თბილისში – 363, 364, 397

**კოზლოვსკი კ.** – თბილისელი მესტამბე და გამომცემელი. მისი სტამბა გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტზე მდებ-



ბარეობდა – 396, 508

**კოლიუბაკინი ნიკოლოზ (1810-1868)** – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი და სენატორი; ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი და სამეგრელოს მმართველი (1857), ერევნისა (1858-1861) და ქუთაისის (1861-1862) სამხედრო გუბერნატორი. 1862 წელს გაიწვიეს კავკასიიდან. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა მოსკოვში, სადაც იყო ვლ. ოდოევსკის ლიტერატურული წრის წევრი. ნ. კოლიუბაკინი იყო სხვადასხვა წლებში სამეგრელოს მმართველის, ქუთაისის ვიცე-გუბერნატორისა და ბაქოს გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტ მიხეილ კოლიუბაკინის (1806-1872), ძმა – 286

**კოლუმბი (კოლომბი) ქრისტეფორე (1451-1506)** – იტალიური (გენუა) წარმოშობის ესპანელი მეზღვაური და მკვლევარი, ამერიკის აღმომჩენი – 138

**კოლხიდელი** – იხ. დადიანი (კოლხიდელი) გრიგოლ

**კონსტანტინე I დიდი (272-337)** – რომის იმპერატორი (306-337), რომელმაც ქრისტიანობა იმპერიის ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა; კონსტანტინოპოლის დამაარსებელი, მოციქულთასწორი – 371, 373

**კონსტანციუს I ქლორუსი (250/264-306)** – რომის იმპერიის კეისარი (293-305), იმპერატორი (305-306) – 371

**კორნელი პიერ (1606-1684)** – ფრანგი მწერალი, ფრანგულ დრამატურგიაში ტრაგედიის ჟანრის დამამკვიდრებელი, საფრანგეთის აკადემიის წევრი – 134

**კორტესი (კორტეზი) ერნან (1485-1547)** – ესპანელი კონკისტადორი, დაიპყრო მექსიკა და გაანადგურა აცტეკთა სახელმწიფოებრიობა (1519-1521) – 139

**კრავესკი ანდრეი (1810-1889)** – რუსი ჟურნალისტი და გამომცემელი, რედაქტორ-გამომცემელი ჟურნალისა „Отечественные записки“ (1839-1867) და გაზეთისა „Голос“ (1863-1883) – 312

**კრუზენშტერნი ალექსი (1813-1887)** – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების ჩახშობისა და რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. (ყირიმის) ომის მონაწილე, 1850 წლიდან – კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი, 1856-დან – დირექტორი, 1858 წლიდან ასრულებდა ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობას. სახელმწიფო სამსახური შეწყვიტა საკუთარი ნებით (1863) მთავარსამართველოს უფროსის თანამდებობაზე – 365



- კულაშელი (I)** – დავით მიქელაძის ფსევდონიმი – 270
- კულაშელი (II)** – იხ. ვლ. კულაშელი
- კურციუსი რუფუს კვინტუს** – დაახლოებით I საუკუნის რომაელი ისტორიკოსი, ავტორი ვრცელი თხზულებისა „ალექსანდრე მაკედონელის ისტორია“ – 208
- კუსრაშვილი რუსუდან** – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის თხზულებათა, აგრეთვე დ. გურამიშვილის „დავითიანის“ სიმფონია-ლექსიკონის შემდგენელ-გამომცემელი – 391
- კურჩავეი მიხეილ (1835-1893)** – კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრი, კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის თავმჯდომარე, 1860-იან წწ. მონაწილეობდა ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის განხორციელებაში, „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ ვიცე-პრეზიდენტი (ნებაყოფლობით გადამდგარი ზაქარია ჯორჯაძის ნაცვლად აირჩიეს 1887 წ.). გარდაიცვალა რიგასთან ახლოს, მაიორენგოფში – 61
- კუნოსი** – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი, ქართლოსის ძე – 183

## ლ

- ლაზარევი ივანე (1763-1803)** – გიორგი XII-ის მოწვევით 1799 წ. ნოემბერში საქართველოში შემოსული რუსეთის ლეგიონის მეთაური, გენერალ-მაიორი. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ცოტა ხნით ფაქტობრივად მართავდა ქვეყანას, ხოლო 1801-1802 წწ. სათავეში ედგა ადგილობრივ დროებით მმართველობას. 1803 წლის 19 აპრილს რუსეთში ძალადობრივად გადასახლების მცდელობისათვის მოკლა ქართლ-კახეთის უკანასკნელმა დედოფალმა მარიამ გიორგი ციციშვილის ასულმა (სხვადასხვა წყარო ლაზარევის მკვლელად ასახელებს ნიკოლოზ ხიმშიაშვილს, იოსებ ყორღანოვს, ჯიბრაილ ბატონიშვილს). დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 228
- ლანგ თემური** – იხ. თემურლენგი
- ლავრენტი** (პერს.) – 142
- ლანგ თემური** – იხ. თემურლენგი
- ლანტენაკი (ლანტნაკი)** (პერს.) – 363

**ლარაძე პეტრე (1770-1837)** – პოეტი, კალიგრაფი, მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში, 1803-1810 წწ. ახლდა სპარსეთში გადახვენილ თეიმურაზ ბატონიშვილს, შემდეგ ცხოვრობდა პეტერბურგში, მაგრამ საბოლოოდ (1820-იანი წწ.) საქართველოში დაბრუნდა. ავტორი ლირიკული და ეპიკური ნაწარმოებებისა (მათ შორის, პოემისა „დილარიანი“) – 146

**ლაროში ბენჟამენ (1797-1852)** – ფრანგი მწერალი, უ. შექსპირის, ვ. სკოტის, ჩ. დიკენსისა და სხვათა მთარგმნელი ფრანგულ ენაზე – 408

**ლასხიშვილი გიორგი (1865-1931)** – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მემუარისტი, საზოგადო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე (სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი), საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი (განათლების მინისტრი), 1895-1896 წწ. – წამყვანი ფიგურა „ივერიის“ რედაქციაში, 1900-იანი წწ. – „ცნობის ფურცლის“ ფაქტობრივი რედაქტორი, 1905 წ. – პარიზში გამომავალ გაზეთ „საქართველოს“ თანარედაქტორი (ა. ჯორჯაძესა და თ. სახოკიასთან ერთად), ქართულ და რუსულ პრესაში („ივერია“, „მოამბე“, „კვალი“, „ნოვოე ობოზრენიე“ და სხვ.) აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის (ძირითადად პუბლიცისტურ) წერილებს (ფსევდ. „ლალი“). პოლიტიკური საქმიანობისათვის რამდენჯერმე ციმბირში იყო გადასახლებული. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 271, 285, 397

**ლევოსი** – ლეონტი მროველის მიხედვით, ლეკების ეთნარქი, თარგამოსის ძე – 183, 212

**ლევან (ლეონ) ბატონიშვილი (ბაგრატიონი)** (გარდ. 1709) – ვახტანგ V-ის შვილი, მამა ვახტანგ VI-ისა; 1675-1677 და 1703 წწ. ძმის, გიორგი XI-ის, ირანში ყოფნის გამო დანიშნული იყო ქართლის ჯანიშინად (გამგებლად). ცნობილია აგრეთვე შაჰ ყული-ხანის სახელით (1678 წ. ირანში გაამაჰმადიანეს); 1708 წ. რომის პაპს უცხადებს მორჩილებას – 376

**ლევანი** (პერს.) – 56

**ლევაშოვი ვლადიმერ (1834-1898)** – არტილერიის გენერალი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი (1867-1874), მხილებულ იქნა ქართული ეკლესია-მონასტრების ძარცვასა და განძის საქართველოდან გატანაში, რის გამოც ხელისუფლება იძულებული გახდა, იგი კავკასიიდან გაეწვია – 89, 90

**ლეონი** – იხ. **ლევან ბატონიშვილი**

**ლეონიძე გიორგი (1899-1966)** – მწერალი, მეცნიერი, ჟურნალ-

- ისტ, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „საფირონისა“ (1916; გამოვიდა ერთი ნომერი) და გაზეთ „ბახტრიონის“ (1922-1923) რედაქტორ-გამომცემელი. მისი ინიციატივით დაარსდა ქართული ლიტერატურის მუზეუმი (ამჟამად გიორგი ლეონიძის სახელობის), ი. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი, პერიოდული გამოცემა „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ და სხვ. – 1, 324, 414
- ლენტიევი ნიკოლოზ (1739-1824)** – რუსი მწერალი, რუსეთის აკადემიის წევრი, სენატორი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник) – 267
- ლენტი მროველი** – XI ს. სასულიერო პირი (რუისის ეპისკოპოსი) და მემატიანე, რომელსაც „ქართლის ცხოვრებაში“ შესული რამდენიმე თხზულება მიეწერება – 370, 378
- ლერმონტოვი მიხეილ (1814-1841)** – რუსი მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი). 1837 წ. პუშკინის მკვლელობასთან დაკავშირებით ხელნაწერის სახით გავრცელდა მისი ანტირეჟიმული სულისკვეთების ლექსი „პოეტის სიკვდილი“, რის გამოც საქართველოში გადმოსახლეს. მონაწილეობდა „კავკასიის ომში“. მის შემოქმედებაში უხვადაა კავკასიური თემატიკა. დაიღუპა დუელში – 369
- ლივენი ანდრეი (1839-1913)** – სახელმწიფო მდივანი (სტატს-სეკრეტარი) და სენატორი, ასტრონომი, რუსეთის სახელმწიფო ქონებათა მინისტრი (1877-1881); 1880-1881 წწ. დანიშნული იყო ნიკო დადიან-მინგრელსკის მაიორატის საქმეთა გამომრკვევი დროებითი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ – 286
- ლომათიძე ქეთევან (1911-2007)** – ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი 1953-1963 და 1975-1987 წწ. – 403
- ლომინაძე ბესარიონ** – ახალსენაკის სკოლის მასწავლებელი, სასწავლებლის ზედამხედველი, ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „მოამბე“, „ჯეჯილი“...) აქვეყნებდა თხზულებებს სახალხო განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე თარგმანებს (ფსევდ.: „ბ. ლ.“, „სალომინაველი“, „ლძე ბ.“, „სა-ლი ბეს.“...) – 292, 295, 296, 397
- ლომიძე თამარ** – ლიტერატურათმცოდნე (ლექსთმცოდნეობა, ლინგვისტური პოეტიკა, სემიოტიკა, ქართული ლიტერატურის ისტორია), მთარგმნელი – 349, 397
- ლორთქიფანიძე ანტონ (1847-1894)** – ვექილი, ბიბლიოფილი,

საზოგადო მოღვაწე, ელენე დიმიტრის ას. ყიფიანის მეუღლე. დამთავრებული ჰქონდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ცხოვრობდა ქუთაისში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. 70-იანი წლებიდან მონაწილეობდა თეატრალურ წარმოდგენებში – იყო წევრი დიმ. ყიფიანისა და ი. მამაცაშვილის მიერ ჩამოყალიბებული თეატრალური წრისა. ხალხოსნური მოძრაობის მონაწილე (შედიოდა ხალხოსანთა ქუთაისის წრეში), რის გამოც პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და ერთხანს დაპატიმრებულიც იყო. დაკრძალულია ქუთაისში, წმ. გიორგის ეკლესიაში (გორის უბანი) – 268

**ლორთქიფანიძე ელენე (1855-1890)** – მწერალი, ჟურნალისტი, ქველმოქმედი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, დიმ. ყიფიანის ქალიშვილი. მოღვაწეობდა ქუთაისში, სადაც გათხოვილი იყო საზოგადო მოღვაწესა და ბიბლიოფილ ანტონ ლორთქიფანიძეზე. დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიმღერებისა და სასულიერო საგალობლების შეკრებასა და ნოტებზე გადატანას. მისი ინიციატივით გამოიცა „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ (1872), აგრეთვე თარგმანთა კიდევ ორი კრებული – „მოთხრობანი“ (1880, 1882), აღმანახ „ქართული ბიბლიოთეკის“ (გამოდიოდა ქუთაისში 1883 წ.) ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქციის წევრი. თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან („დროება“, „ივერია“, „მნათობი“, ნობათი“ და სხვ.), აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის თხზულებებს (ძირითადად, თარგმანებს: მოლიერი, მოპასანი, დოდე და სხვ.). გარდაიცვალა ქუთაისში, დაკრძალულია იქვე, წმ. გიორგის ეკლესიაში (გორის უბანი) – 56, 267-269

**ლორის-მელიქოვები (ლორის-მელიქიშვილები)** – სომხური წარმოშობის აზნაურული გვარეულობა. იოანე ბაგრატიონის მიხედვით, „ესენი არიან ძველადვე თავადის მელიქის შვილის სახლთა კაცთაგანნი... და არიან ან მოსახლენი, რომელნიმე ლორის ხეობაშია, რომელნიმე ტფილისს და რომელნიმე რუსეთსა შინა“. გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ნუსხაში **ლორის-მელიქისშვილი** ქართლის აზნაურთა ნუსხაშია შეყვანილი. 1878 წ. გენერალმა მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვმა მიიღო გრაფის ტიტული და საფუძველი ჩაუყარა გრაფ ლორის-მელიქოვების შტოს – 47, 91

**ლორის-მელიქოვი მიხეილ (1825-1888)** – გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1880-1881 წწ. – რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმთა ფაქტობრივი შეფი (სარგებლობდა ალექსანდრე II-ის განუსაზღვრელი ნდობით, რამაც მეფის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების ცენტრალურ ფიგურად აქცია); „ქშნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ქართული ლიტერატურის ისტორიაში შესულია, როგორც ი. ჭავჭავაძისა („კიდევ გამოცანები“) და ა. წერეთლის („ჩვენი მიხაკა“) გამანადგურებელი სატირის ობიექტი. ალექსანდრე II-ის მკვლელობის (1881) შემდეგ გადადგა თანამდებობიდან, საერთოდ ჩამოშორდა სახელმწიფო სამსახურს და დარჩენილი წლები ძირითადად უცხოეთში გაატარა; გარდაიცვალა საფრანგეთის ქ. ნიცაში, დაკრძალულია თბილისში, ვანქის ეკლესიის გალავანში – 74

**ლუარსაბ [თათქარიძე] (პერს.)** – 152

**ლუი XVI** დე ბურბონი (1754-1793) – საფრანგეთის მეფე 1774-1792 წწ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ კონვენტმა გაასამართლა და 1793 წ. 21 იანვარს გილიოტინაზე სიკვდილით დასაჯა – 165

**ლუკა (პერს.)** – 56

**ლუკიანე სამოსელი** – ძვ. ბერძენი მწერალი-სატირიკოსი (II ს.) – 335

## მ

**მაგოგი** – ბიბლიური ნოეს შვილიშვილი, იაფეტის ძე – 183

**მადაი** – ბიბლიური ნოეს შვილიშვილი, იაფეტის ძე – 183

**მაისუროვი მიხეილ** – მწერალი, ჟურნალისტი, გაზეთების „კავკაზისა“ და „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ თანამშრომელი – 175, 176, 367, 369, 397

**მამაცაშვილი (მამაცოვი) კონსტანტინე (1818-1900)** – სამხედრო (გენერალ-ლეიტენანტი) და საზოგადო მოღვაწე, „კავკასიის ომის“ მონაწილე, „ქშნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, მემუარისტი (გამოქვეყნებული აქვს მოგონებები სიყრმის მეგობარზე – ნ. ბარათაშვილზე). თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან („დროება“, „ივერია“ და სხვ.). დაკრძალუ-

ლია დიდუბის პანთეონში – 105, 275

**მანვეტაშვილი იაკობ (1855-1939)** – მწერალი, მემუარისტი, პუბლიცისტი, ნავთობის მსხვილი მრეწველი (ბაქოში), ქველმოქმედი, ი. ჭავჭავაძესთან დაახლოებული საზოგადო მოღვაწე. დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან („ივერია“, „ჯეჯილი“, „მოამბე“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიცისტურ და მხატვრულ თხზულებებს (ფსევდ.: „დონ-იაგო“, „ბარელი“, „ალექსანდრიძე“, „შერმადინი“ და სხვ.). იყო „ქმნ-კგ საზოგადოების“ მდივანი, ბიბლიოთეკის გამგე, 1912 წლიდან – „საზოგადოების“ საპატიო წევრი. გარდაიცვალა თბილისში და იქვე (ვაკის სასაფლაოზე) დაკრძალეს – 332, 333, 397

**მან. ქოჩ. ასული** – იხ. [ყიფიანი] მან[ანა(?)]

**მარ. ივა-ს ას.** – იხ. ყიფიანი მარიამ (მაშო)

**მარ. ტატ-ს ასული** – იხ. ტატ[იშვილი] მარ[იამ]

**მარატი ჟან პოლ (1743-1793)** – თვალსაჩინო ფიგურა საფრანგეთის 1789-1794 წწ. რევოლუციაში (პარიზის კომუნის სამეთვალყურეო კომიტეტისა და კონვენტის წევრი, იაკობინელთა ერთ-ერთი მეთაური მ. რობესპიერთან ერთად, ჟირონდისტების დაუძინებელი მტერი), მეცნიერი (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ფიზიკოსი), ჟურნალისტი, პუბლიცისტი... მძიმედ დაავადებული მარატი მისსავე სახლში ხანჯლით მოკლა რევოლუციური ტერორით შეძრწუნებულმა შარლოტა კორდემ (1768-1793) – 165

**მარგარიტა ბურგუნდიელი (1290-1315)** – საფრანგეთის დედოფალი (1314-1315), ლუი X-ის (1289-1316) მეუღლე, ოჯახური ლალატის გამო გამოამწყვდიეს ციხეში, სადაც სავარაუდოდ მოკლეს – 176, 369

**მარვან II იბნ მუჰამადი (მურვან ყრუ) (688-750)** – არაბთა უკანასკნელი ხალიფა ომაიანთა დინასტიიდან (744-750). 735-736 წწ. დალაშქრა და ააოხრა საქართველო (როგორც აღმოსავლეთი, ისე – დასავლეთი). გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით, რის გამოც ქართულ წყაროებში „მურვან ყრუს“ სახელითაა შესული – 195

**მარი (მარი-მონტეგეიუ) იაკობ (1793-1874)** – შოტლანდიელი სწავლული აგრონომი, რომელმაც მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა, ცხოვრობდა ოდესაში, ხოლო 1820-იან წწ. საქართველოში დამკვიდრდა, აქ კომერციას მოჰკიდა ხელი, თუმცა წარუშე-

ტებლად. ამის შემდეგ გადავიდა გურიაში (სოფ. დაბლაცხე) და სიცოცხლის ბოლომდე აგრონომიულ საქმიანობას ეწეოდა დასავლეთ საქართველოში (გურია, იმერეთი...); მის სახელთანაა დაკავშირებული მეჩაიეობის დამკვიდრება საქართველოში. მამა გამოჩენილი მეცნიერის, ნიკო მარისა, რომელიც ეყოლა მეორე მეუღლის, ალათი შარაშიძე-მალულარიასგან. იაკობ მარი დაკრძალულია სოფ. ბუკისციხის ეკლესიის გალავანში პირველი მეუღლის, ფაკუნდა ანტონიოს, გვერდით – **31**

**მარია ალექსანდრეს ასული (1824-1880)** – რუსეთის დედოფალი („Императрица“), იმპერატორ ალექსანდრე II-ის მეუღლე (იქორწინეს 1841 წ. 16 აპრილს), დედა იმპერატორ ალექსანდრე III-ისა; გარდაიცვალა ტუბერკულოზისაგან. დაკრძალულია პეტერბურგში, პეტრე-პავლეს ტაძარში – **34**

**მარიამ ღვთისმშობელი** – დედა იესო ქრისტესი, „ყოვლადნიდა“, „მარად ქალწული“, დედობისა და შვილიერების მფარველი, კათოლიკური ეკლესიის მიერ „ეკლესიის დედად“ შერაცხილი – 177, 193, 194

**მარი-ანტუანეტა (1755-1793)** – საფრანგეთის დედოფალი, მეუღლე ლუი XVI-ისა (იქორწინეს 1770 წ.), საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ითვლებოდა კონტრრევოლუციის ერთ-ერთ სულისჩამდგმელად, რის გამოც კონვენტმა გილიოტინაზე სიკვდილი მიუსაჯა (თავი მოჰკვეთეს 1793 წ. 24 ოქტომბერს) – 165

**მარსოვი ვასილ** – საქართველოში დაბადებული რუსი პედაგოგი, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი (1878-1880) – 73, 87, 299-301, 397

**მარუაშვილი ლევან (1912-1992)** – გეოგრაფი (გეომორფოლოგი, პალეოგეოგრაფი, სპელეოლოგი, გლაციოლოგი...), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე – 392

**მატინოვი ალექსანდრე (1843-1909)** – იურისტი (1862 წ. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი), თბილისის ქალაქის თავი (მოურავი) 1879-1891 წწ.; მის ხელში თბილისის თვითმმართველობა აქტიურად უპირისპირდებოდა ქართულ ბურჟუაზიას და იცავდა სომხური ბურჟუაზიის ინტერესებს. 1891 წ. ზედიზედ მეოთხედ აირჩიეს თბილისის ქალაქის თავად, მაგრამ ორიოდ თვეში ოპოზიციამ აიძულა, გადამდგარიყო. გარდაიცვალა პარიზში (თავისი ქონება უანდერძა თბილისს, თვითონ კი უშვილოდ გადაეგო), ჩამოასვენეს თბილისში და ვანქის ტაძრის გალავანში, სომხ-



ურ სასაფლაოზე დაკრძალეს – 61, 62

**მალრაძე ელგუჯა (1927-1999)** – მწერალი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ჟურნალების „ნიანგისა“ და „მნათობის“ მთავარი რედაქტორი, ავტორი რომანებისა: „გრიგოლ ორბელიანი“, „გოდება ანუ ცხოვრება დავით გურამიშვილისა“ და სხვ.; ინგლისური ენიდან თარგმნა და გამოსცა ტ. მაინ რიდის, ჯ. გოლზუორთისა და სხვ. ნაწარმოებები – 271, 397

**მაჩაბელი ივანე (1854-1898)** – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ივერიის“ თანარედაქტორი (1882-1883; ი. ჭავჭავაძესთან ერთად), „დროების“ რედაქტორი (1883-1885), „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის „ქართველიშვილისეული“ გამოცემის ფაქტობრივი რედაქტორი, ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკისა, „ქმნ-კგ საზოგადოებისა“, „ქართული დრამატიული საზოგადოებისა“. უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა პეტერბურგის, ჰოპენჰაიმის, სორბონის უნივერსიტეტებში. კონგენიალურად თარგმნა უ. შექსპირის პიესები („ჰამლეტი“, „ოტელო“, „იულიუს კეისარი“ და სხვ.). 1890-იან წლებში ი. ჭავჭავაძესთან ჰქონდა საბედისწერო პოლემიკა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე („ბანკობიადა“), რომელშიც დამარცხდა და ამ დამარცხებამ გამოიწვია მისი გარიყვა საზოგადოებრივ-კულტურული ასპარეზიდან. 1898 წლის 26 ივნისს გავიდა სახლიდან და დღემდე გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა – 280, 281, 322, 325, 326, 334

**მაჭავარიანი ელენე** – ისტორიკოსი, ფილოლოგი, ხელოვნებათმცოდნე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი სპეციალისტი – 379, 380, 398

**მაჭავარიანი თამარ (1895-1979)** – ბიბლიოგრაფი, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში კავკასიოლოგიის (ამჟამად – ქართველოლოგიის) განყოფილების დამაარსებელი – 279, 398

**მაჭარაშვილი ნესტორ (1856-1931)** – სასულიერო პირი (დეკანოზი). ათეული წლების განმავლობაში წინამძღვრობდა მთაწმინდის მამა დავითის ეკლესიას. ავტორი წიგნისა „აღწერა მთაწმინდის ეკლესიისა და წმ. მამა დავითის ცხოვრებისა“, რომლის ერთი მონაკვეთი დიმ. ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობას ეთმობა. ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლი (დახვრიტეს 1931 წელს) – 338, 398



**მაჭარაძე ვალერიან** – ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევდა XVI-II-XIX სს. რუსულ-ქართულ ურთიერთობებთან დაკავშირებულ პრობლემატიკას – 404

**მგალობლიშვილი სოფრომ (1851-1925)** – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მემუარისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ხალხოსნური იდეების აქტიური პროპაგანდისტი მწერლობაში და პრაქტიკული საქმიანობითაც, რის გამოც 1876 და 1878 წწ. დაპატიმრებული იყო, გაზეთების „ჩვენი დროება“ (1912-1913; 1915 წ. გამოვიდა ერთადერთი ნომერი) და „თემის“ (1912) რედაქტორი, პრესაში („დროება“, „ივერია“, „იმედი“, „მომამბე“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ.) აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, მოთხრობებს, დრამატულ სცენებს, მემუარებს... დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 268, 292, 398

**მეგრაბოვი ავაქ-ხან** – თბილისელი მიწის მესაკუთრე – 26

**მეგრელიშვილი ლამარა** – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი – 411

**მეგრელიძე შამშე (1922-1989)** – ისტორიკოსი, ავტორი ნაშრომებისა: „აჭარის წარსულიდან“ (მუჰაჯირობა 1878-1882 წლებში)“ (თბ.: 1964), „ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები“ (თბ.: 1979) და სხვ. – 338, 398

**მეველე** – დავით (დათა) მიქელაძის ფსევდონიმი – 270, 397

**მელიქიშვილები (მელიქოვები)** – თავადური გვარეულობა. გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ნუსხაში მელიქიშვილი (მელიქისშვილი) ქართლის თავადთა ნუსხაშია შეყვანილი – 47, 91

**მელიქიშვილი (მელიქოვი) ლ.** – მემამულე სომხიტიდან – 31

**მელიქიშვილი ლევან (1817-1892)** – გენერალ-ლეიტენანტი და კავალერიის გენერალი, რუსეთის უმაღლესი ჯილდოს, ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი, თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიის ომში“ (1859 წლის 25 აგვისტოს მონაწილეობდა შამილის უკანასკნელი თავშესაფრის, აულ ღუნბის, ალებასა და იმამის დატყვევებაში), დაღესტნის ოლქის მმართველი (1877-1880; თემირ-ხან-შურაში დააარსა სკოლა პანსიონითურთ), კავკასიის მეფისნაცვლისა და მთავარსარდლის მოადგილე (1880 წლიდან), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1882 წლიდან); ნ. ბარათაშვილის გიმნაზიელი მეგობარი, თბილისის გიმნაზიელთა იმ ჯგუფის წევრი, რომელიც 1835-1836 წლებში უშვებდა ხელნაწერ ჟურნალს

„Цветок Тифлисской гимназий“ („თბილისის გიმნაზიის ყვავილი“), „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842) და „ქმნ-კვ საზოგადოების“ (1879) დამფუძნებელი წევრი – 74

**მელიქიშვილი სტეფანე (1841-1887)** – გაზეთ „დროების“ გამომცემელი (1866-1883), პუბლიცისტი, მესტამბე. მთელი თავისი ავლადიდება შესწირა „დროების“ გამოცემას და, მატერიალურად უკიდურესად შევიწროებული, კომერციული მიზნით წავიდა შუა აზიაში, სადაც თვითმკვლევლობით დაამთავრა სიცოცხლე (აშხაბადში) – 407

**მესროპ (მესროფ) მაშტოცი (361-440)** – სომეხი განმანათლებელი, სომხური ანბანის შემქმნელი (405-406), სირიულიდან სომხურად ბიბლიის ნაწილის მთარგმნელი. ზოგიერთი სომხური წყაროს (კორიუნი, ხორენაცი...) მიხედვით, მანვე შექმნა ქართული ანბანი, თუმცა ეს თვალსაზრისი მოკლებულია რეალურ საფუძველს – 189-191, 202, 383

**მესხი სერგეი (1845-1883)** – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, კულტურისა და განათლების პოპულარიზატორი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი (1869-1883; 1880-1881 წწ. ილია ჭავჭავაძესთან ერთად იყო „დროებისა“ და „ივერიის“ გაერთიანებული რედაქციის თანარედაქტორი). თვალსაჩინო ფიგურა XIX ს. ქართული კულტურის ისტორიაში. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ რიონში – 72, 73, 76-78, 80, 81, 87, 289-298, 303, 304, 306, 325, 389, 398, 399

**მეტრეველი ელენე (1917-2003)** – ფილოლოგი-ლიტერატურათმცოდნე, ძირითადად იკვლევდა VIII-XIX სს. ქართულ მწერლობას, ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების ისტორიას; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამად – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) დირექტორი (1968-1988) – 413

**მეუნარგია იონა (1852-1919)** – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართულ მწერლობაში ბიოგრაფიული ჟანრის დამამკვიდრებელი, „ქმნ-კვ საზოგადოების“ მდივანი, „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის (ე. წ. ქართველიშვილისეული) გამოცემის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესასთან („დროება“, „ივერია“, „Кавказ“, „Новое обозрение“ და სხვ.). ფრანგულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (თარგმანი დაკარგულად ითვლება). დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ცაიში – 341, 349, 399

**მეშექი – იხ. მოსოხი**

- მეძველია კონსტანტინე (1907-1974)** – ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი (1965-1973) – 358, 399
- მილერი ალექსანდრე (გარდ. 1886)** – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, ელისავეტგრადის სამხედრო-საკავალერიო სასწავლებლის უფროსი (1873-1878; ამ დროს პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა) – 260, 261, 261
- მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)** – იხ. **დადიანი-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)**
- მინი ანდრეი** – რუსი მთარგმნელი – 354
- მირიან III** – ქართლის მეფე (IV ს.), მის სახელთანაა დაკავშირებული ქართლში ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად – 186, 194, 373
- მიტჩელი (მიტჩელლი) ორმსბი-მაქნაით (1810-1862)** – ამერიკელი ასტრონომი, მათემატიკოსი, ინჟინერი და სამხედრო პირი (მონაწილეობდა ამერიკის 1860-იანი წლების სამოქალაქო ომში, სადაც გენერალ-მაიორის ხარისხით იბრძოდა სამხრეთელთა რიგებში, თუმცა მალე ციება შეეყარა და ამას გადაჰყვა კიდევ), ცინცინატის (აშშ) ობსერვატორიის დირექტორი, ასტრონომიული ცოდნის პოპულარიზატორი – 8, 147, 148, 342, 350-352, 354, 399; იხ. აგრეთვე: Mitchel Ormsby MacKnight, Митчел Ормсби Макнайт
- მიქაძე გივი (1924-2008)** – ლიტერატურათმცოდნე, ბიბლიოგრაფი, პედაგოგი, ავტორი წიგნებისა „მამუკა ბარათაშვილი“ (თბ.: 1958), „ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში“ (თბ.: 1998) და სხვ. – 285, 399
- მიქელაძე ალექსანდრე (1818-1881)** – პოლკოვნიკი, ყირიმის ომის (1853-1856) მონაწილე, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1864-1867 წწ.; გამოირჩეოდა გლეხობისადმი ლოიალური დამოკიდებულებით, „მარშლად“ ყოფნისას საგანგებო ყურადღებას აქცევდა სწავლა-განათლების საკითხებს – 274, 275
- მიქელაძე დავით (დათა) (1843-1918)** – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე – 7, 59, 270-274, , 282-285, 397, 399, 400, 410; იხ. აგრეთვე: მეველე, დ. **ზურაბის შვილი, კულაშელი**
- მიქელაძე ვლადიმერ (1856-1926)** – პოეტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე – 7, 69, 70, 395, 399, 412; იხ. აგრეთვე: **დავინყებული მწერალი, ვლ. კულაშელი**

**მიმო ჟოზეფ-ფრანსუა (1767-1839)** – ფრანგი ისტორიკოსი, ფრანგული აკადემიის წევრი, ავტორი წიგნებისა ჯვაროსანთა ლაშქრობების შესახებ – 215

**მიხეილ ნიკოლოზის ძე (რომანოვი) (1832-1909)** – რომანოვთა სამეფო ოჯახის წევრი (დიდი მთავარი), გენერალ-ფელდ-მარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი და ჯარების სარდალი (1862-1881), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1881-1905; კავკასიის მეფისნაცვლობიდან ოფიციალურად გათავისუფლდა 1881 წ. 23 ივლისს, ხოლო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ მანამდე, 14 ივლისს, დაინიშნა. 1905 წ. გადადგა პოსტიდან, თუმცა სიკვდილამდე დარჩა სახელმწიფო საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ). მისი მმართველობის დროს დამთავრდა რუსეთის იმპერიის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი სისხლისმღვრელი ბრძოლა ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად (1817-1864 წლების „კავკასიის ომი“). შედარებით ლოიალურად იყო განწყობილი ქართველთა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების განვითარების მიმართ, თუმცა დაბეჯითებით ცდილობდა სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის მაქსიმალურ რუსიფიკაციას – 251, 269, 277, 281

**მოზიდანი (მუშიდომი)** – ქართლის მთავარეპისკოპოსი (V ს. 30-იანი წწ.). მანიქეიზმის ფარული მიმდევარი. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „ესე იყო ნათესავად სპარსი, და აჩუენებდა იგი მართლ-მადიდებლობასა. ხოლო იყო ვინმე მოგუ უსჯულოჲ და შემშლელი წესთაჲ... ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა, რომელი შემდგომად მისსა დანუა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ“ (ჯუანშერი) – 190, 203

**მოდზალევსკი ლ. ნ. – იხ. მოძალევსკი ლევ**

**მოვაკანოსი** – ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიის ალბანელთა წინაპარი, თარგამოსის ძე – 183, 212

**მოზგოლევსკი ალექსი** – დიმ. ყიფიანის თანამშრომელი იმერეთში (1830-იანი წწ. ბოლო) – 337

**მოლიერი (1622-1673)** – ფრანგი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე – 54-57, 267, 268

**მონტეგი (პერს.)** – 345

**მოსოხი (მეშექი)** – ბიბლიური ნოეს შვილიშვილი, იაფეტის ძე – 183

**მოძალევსკი ლევ (1837-1896)** – პედაგოგი, პოეტი, პედაგოგიკის

ისტორიკოსი; დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1870-იან წწ. კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი იყო და, ფაქტობრივად, განათლების მზრუნველის მოადგილის ფუნქციას ასრულებდა – 61, 276, 297

**მურავიოვი ნიკოლოზ (1794-1866)** – გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, კავკასიის მეფისნაცვალი და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1854-1856); მტრულად იყო განწყობილი თავისი წინამორბედის, მ. ვორონცოვის, ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო კურსისადმი, სურდა კავკასიაში ჯერ კიდევ ეროლოვის დროინდელი ნახევრად გასამხედროებული მმართველობის აღდგენა, მაგრამ ამ განზრახვის განხორციელება არ დასცალდა (1856 წლის ივლისში ალექსანდრე II-მ გადააყენა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობიდან და გაიწვია კავკასიიდან) – 364-366

**მურვან ყრუ** – იხ. მარვან II იბნ მუჰამადი

**მურზაყან** – იხ. შარვაშიძე მურზაყან

**მუშიდომი** – იხ. მობიდანნი

**მუხრანბატონი (ბაგრატიონი, ბაგრატიონ-მუხრანსკი) ივანე (იოანე) (1755-1800)** – პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეთა სახლთუხუცესი, მეუღლე ქეთევან ერეკლე II-ის ასულისა; როგორც ერეკლე II-ის სრულუფლებიან წარმომადგენელს, ხელი აქვს მოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატზე. 1795 წ. კრწანისის ბრძოლაში მეთაურობდა ბრძოლას მტკვარ-სეიდაბადის აღმოსავლეთ კალთებზე. დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 31, 134, 340

**მუხრანბატონი (მუხრანსკი) ივანე (1812-1895)** – სამხედრო (გენერალ-ლეიტენანტი) და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე II-ის შთამომავალი (ქეთევან ბატონიშვილის შვილიშვილი), გავლენიანი მემამულე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“; 1885-1891), „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი და რიგით მეორე თავმჯდომარე (1882-1885). დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 354

**მევირაღა (ქართლელი)** – დიმ. ყიფიანის ფსევდონიმი – 350, 355, 356, 413

- მცხეთოსი** – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი, ქართლოსის ძე – 183, 185-187
- მხარგრძელი ზაქარია** (გარდ. 1212) – თვალსაჩინო სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე თამარ მეფის კარზე, ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი – 211
- მხარგრძელი ივანე (იოანე)** (გარდ. 1227) – თამარის კარის წარჩინებული სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, მსახურთუხუცესი, ამირსპასალარი და ათაბაგი – 211
- მხარგრძელი სარგის** (გარდ. 1187) – ზაქარია და იოანე (ივანე) მხარგრძელების მამა. ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი თამარ მეფის კარზე – 211
- მ. ჯიმშერიძე (ჯიმშერიძე)** – ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი – 151, 360, 410

## 6

- ნადირ-შაჰი (ნადირშა)** (1688-1747) – ირანის შაჰი 1736-1747 წწ.; ქართლ-კახეთში დაამყარა რეჟიმი, რომელიც ჩვენს ისტორიაში „ყიზილბაშობის“ სახელითაა შესული – 75, 385
- ნანა** – ქართლის დედოფალი, მირიან III-ის მეუღლე – 375
- ნანიტაშვილი ლეილა** – მკვლევარი, ლიტერატორი, გამომცემელი. ძირითადად იკვლევს XIX-XX სს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას – 298, 304, 306, 400
- ნაპოლეონ I ბონაპარტი** (1769-1821) – ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, საფრანგეთის რესპუბლიკის პირველი კონსული (1799-1804), საფრანგეთის იმპერატორი (1804-1815) – 42, 249, 337
- ნაცარქექია** – ქართული ზღაპრის პერსონაჟი – 8, 150, 152, 220, 355-357, 360, 408
- ნევეროვი იანუარი** (1810-1893) – რუსი პედაგოგი და მწერალი-მემუარისტი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი (1864-1878). იყო თანამიმდევრული რუსიფიკატორი და ენერგიულად მოქმედებდა კავკასიის სასწავლებლებში რუსულის გასაძლიერებლად და ადგილობრივი ენების დასაცინებლად. ს. მესხის შეფასებით, „პოლიტიკოსმა დასძლია იმაში პედაგო-

გი. ნაციონალურ ვიწრო ინტერესების დევნამ დაავიწყა იმას ხალხის განათლების საქმე“. კავკასიიდან წასვლის შემდეგ ი. ნევეროვი ერთხანს იყო რუსეთის განათლების მინისტრის საბჭოს წევრი – 297

**ნიკოლაი ალექსანდრე (1821-1899)** – შვედური წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ბარონი, სენატორი და სახელმწიფო მდივანი (სტატს-სეკრეტარი). სხვადასხვა წლებში იყო მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის სალაშქრო კანცელარიის დირექტორი, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და სასწავლო ოლქის მზრუნველი, კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, განათლების მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარე; მთავარი ფიგურა იმ რეფორმების პრაქტიკული განხორციელებისას, რომლებიც მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ (1862-1881) კავკასიაში გაატარა; მეუღლე სოფიო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძისა. აღ. ნიკოლაი გარდაიცვალა ბეთანიაში, საკუთარ მამულში; მეუღლესთან ერთად დაკრძალულია მშობლიურ ქ. ვიბორგში – 23, 26, 31, 33, 71, 231-233, 400

**ნიკოლაი სოფიო – იხ. ჭავჭავაძე-ნიკოლაი სოფიო**

**ნიკოლაძე ნიკო (1843-1928)** – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „კრებულის“ (1871-1873) ფაქტობრივი რედაქტორი, გაზეთის „Обзор“ (1878-1880) დამაარსებელი და რედაქტორი, გაზეთის „Новое обозрение“ რედაქტორი (1887-1891), ფოთის ქალაქის თავი (1894-1912), საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917-1918) და დამფუძნებელი კრების (1919-1921) წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 7, 63-66, 231, 251-254, 270, 277-279, 281, 282, 284, 398, 400, 401; იხ. აგრეთვე: Николадзе Н. Я., Рио-Нели.

**ნიკოლოზ I (1796-1855)** – რუსეთის იმპერატორი (1825-1855). სახელმწიფოს მართვაში აბსოლუტური მონარქიის მიმდევარი, თუმცა მის მიერვე წახალისებულმა ბიუროკრაციამ იმპერატორის აბსოლუტიზმი ბიუროკრატიული ტირანიით შეცვალა. თანამიმდევრული რუსიფიკატორი. გარდაიცვალა პეტერბურგში 1855 წლის 18 თებერვალს [მისი სიკვდილის ოფიციალური ვერსია ბანალურია – გაციება, რომელიც მწვავე ფორმის ციებ-ცხელებითა და იმპერატორის სიკვდილით დას-



რულდა. თუმცა გავრცელებული იყო არაოფიციალური ვერსიაც – „ყირიმის ომში“ (1853-1856) განცდილი კატასტროფული მარცხით დათრგუნვილი იმპერატორის დაბეჯითებული მოთხოვნით პირადმა ექიმმა, ნიკ. მანდტმა, შხამი დააღვეინა] – 229, 232, 262, 336

**ნიკოლოზ იაკობის ძე** – იხ. **ნიკოლაძე ნიკო**

**ნიკ. ყიფ.** – იხ. **ყიფიანი ნიკოლოზ (ნიკო)**

**ნიკ. ხუდ.** (**ნიკ. ხუდად**) – იხ. **ხუდადოვი ნიკოლოზ**

**ნინო** (წმ.) – ქართველთა განმანათლებელი (დაახლ. IV ს. პირველი მესამედი), მოციქულთასწორი, წარმოშობით კაპადოკიელი. აღესრულა სოფელ ბოდინში/ბოდში (ამჟამად ბოდბე). იქვეა დაკრძალული – 8, 34, 75, 177-179, 194, 195, 197, 370-373, 375, 376, 384

**ნიჟარაძე ბესარიონ (1852-1919)** – პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი (ძირითადი ფსევდ. „თავისუფალი სვანი“; აგრეთვე: „სვანი“, „ბესარიონ სვანი“, „ვინმე სვანი“, „თ. ს.“ და სხვ.), სასულიერო და საზოგადო მოღვაწე; დაკრძალულია უშგულის ლამარიას ეკლესიის გალავანში – 235, 401

**ნოე** – ბიბლიური პატრიარქი, ადამის პირდაპირი (მეათე) შთამომავალი, ლამექის შვილი, სემის, ქამისა და იაფეტის მამა, წარღვნისას კაცობრიობის გადამრჩენელი – 183, 185-187

**ნონა** – იხ. **ნინო** (წმ.)

## ო

**ოგარიოვი ნიკოლოზ (1813-1877)** – რუსი პოეტი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი, რევოლუციური მოღვაწეობისთვის არაერთხელ იყო რეპრესირებული, ცხოვრების ერთი ნაწილი გაატარა ემიგრაციაში, ძირითადად, დიდ ბრიტანეთში (გარდაიცვალა ლონდონში, დაკრძალულია მოსკოვში) – 253

**ოლგა თეოდორეს ასული (ოლგა ფეოდოროვნა) (1839-1891)** – დიდი მთავრის, კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის, მეუღლე (იქორწინეს 1857 წ.), საქართველოში ცხოვრებისას დიდი ამაგი დასდო ქალთა განათლების საქმეს, იყო „ცხოველთა დაცვის ტფილისის საზოგადოების“ საპატიო თავმჯდომარე; გარდაიცვალა ქ. ხარკოვში; მეუღლესთან ერთად



დაკრძალულია პეტერბურგში, პეტრე-პავლეს ტაძარში – 61, 277

**ომერ-ფაშა (მიხაილ ლატასი) (1806-1871)** – სერბული წარმოშობის ავსტრიელი ოფიცრის შვილი, რომელმაც ისლამი მიიღო და შთამბეჭდავი კარიერა შეიქმნა ოსმალეთის სამხედრო ძალებში... 1868 წ. დატოვა სამხედრო სამსახური. გარდაიცვალა სტამბოლში. ომერ-ფაშა მთავარი პერსონაჟია ნობელიანტი ივო ანდრიჩის რომანისა „ომერ ფაშა ლატასი“ – 90, 91, 302

**ორბელიანები (ორბელიანოვები, ორბელიშვილები, ყაფლანიშვილები, ჯამბაკურ-ორბელიანები)** – ფეოდალური საგვარეულო აღმოსავლეთ საქართველოში (გვარის ფუძემდებლად ითვლება ორბელ ბარათაშვილი – XVI ს. I ნახევარი) – 14, 31, 43, 47, 91

**ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) ალექსანდრე (1802-1869)** – მწერალი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე II-ის შვილიშვილი (თეკლა ბატონიშვილის უფროსი ვაჟი), 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გადაასახლეს ორენბურგის გუბერნიაში, საიდანაც 1838 წელს „კავკასიის ხაზზე“ გადმოიყვანეს, ხოლო სამშობლოში 1840 წელს დააბრუნეს. გამოირჩეოდა მკაფიოდ გამოკვეთილი ანტირუსული სულისკვეთებით. საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზზე მისი სახელი დაკავშირებულია ივ. კერესელიძის „ცისკართან“, რომლის დაარსებასა და გამოცემაში არსებითი ხასიათის მონაწილეობა მიიღო. აქვე აქვეყნებდა ლექსებს, დრამატულ ნაწარმოებებს, საისტორიო თხზულებებს, რეცენზიებს, ნაშრომებს ქართული სასაუბრო თუ სალიტერატურო ენის შესახებ, მემუარებს. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 355, 356, 365, 402, 410

**ორბელიანი გრიგოლ (1804-1883)** – პოეტი-რომანტიკოსი, სამხედრო, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიის ომში“, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოს, ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს საბჭოს თავმჯდომარე (ხანგამოშვებით ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეობას), თბილისის გენერალ-გუბერნატორი, „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, „მამებისა“ და „შვილებ-

ის“ ბრძოლის მონაწილე (იცავდა „მამების“ პოზიციას), 1832 წლის შეთქმულების წევრი [მიესაჯა გადაყვანა „პირველი ლინიის“ (მოიცავდა ტერიტორიას ყუბანიდან თერგის შესართავამდე) ქვეით კორპუსში რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით]. დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში – 74, 205, 244, 251, 333, 352, 354

**ორბელიანი დიმიტრი ვახტანგის ძე (1808-1882)** – ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების ძმა. სამხედრო სასწავლებელი ჰქონდა პეტერბურგში დამთავრებული. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. დაკავშირებული იყო შეთქმულთა როგორც თბილისის, ისე პეტერბურგისა და მოსკოვის წრეებთან (გადაასახლეს კალუგაში). დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში – 30, 31

**ორბელიანი დიმიტრი თამაზის (თომას) ძე (1797-1868)** – გენერალ-ლეიტენანტი (მონაწილეობდა რუსეთ-ირანის 1826-1828 და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომებში, მათ შორის, ახალქალაქის, ახალციხისა და ხერთვისის აღებაში; თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიის ომში“ (მეთაურობდა ქართულ მილიციას). ამ ფაქტს უძღვნა ნ. ბარათაშვილმა ლექსი – „ომი საქართველოს თავადაზნაურ-გლეხთა პირის-პირ დაღისტნისა და ჩენელთა, წელსა 1844-სა, მძღვანველობასა ქვეშე ღუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა“), 1832 წლის შეთქმულების წევრი (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი 1839-1855 წწ. – 74

**ორბელიანი სტეფანოს** (დაახლ. 1250-1304) – სომეხი ისტორიკოსი, სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე – 384

**ორბელიანი სულხან-საბა (1658-1725)** – მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, განმანათლებელი, სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე. 1713-1716 წწ. ვახტანგ VI-ის დავალებით (მოკავშირეთა მოპოვების დიპლომატიური მისიით) იმოგზაურა ევროპაში (საფრანგეთი, იტალია...), თუმცა ეს მისია უშედეგოდ დამთავრდა. ევროპაში ყოფნისას მიიღო კათოლიკობა, რამაც მის მიმართ საქართველოს სასულიერო წრეების მწვავე აგრესია გამოიწვია. გარდაიცვალა მოსკოვში და იქვეა (ვსესვიატსკოეში) დაკრძალული – 269, 306, 328, 329, 344, 361, 362, 402

**ორბელიანი-ჭავჭავაძე სალომე (1795-1847)** – აღ. ჭავჭავაძის მეუღლე. დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდის მამადავითის ეკლესიაში – 133, 338

**ორბელიშვილი** – იხ. ორბელიანები (ორბელიშვილები, ყაფლანიშ-

- ვილები, ჯამბაკურ-ორბელიანები)**
- ორლოვი დ.** – ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლების დირექტორი 1880-იან წწ.; საქართველოში განათლების რუსიფიკაციის მიმდევარი – 300
- ორლოვსკი კონსტანტინე (1810-1876)** – პოლონური წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე, თვალსაჩინო ფიგურა ამიერკავკასიის ადმინისტრაციაში. 1860 წ. დანიშნეს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორად და ამ თანამდებობაზე დაყო სიცოცხლის ბოლომდე; დიპ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი. ახლო მეგობრობა აკავშირებდა ქართველ მოღვაწეებთან (დიპ. ყიფიანი, ელიზბარ ერისთავი და სხვ.). გარდაიცვალა თბილისში 1876 წ. 8 მარტს – 251
- ორმუზდი (ორმუზდა, აურმაზი)** – იგივეა, რაც ძველსპარსული მითოლოგიის უზენაესი ღვთაება აჰურამაზდა – 184
- ორჯონიკიძე ეთერ (1927-2007)** – ისტორიკოსი, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომებისა „რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში. XIX ს. პირველი ნახევარი“ (თბ.: 1992), „ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები“ (თბ.: 1999) – 286, 302, 365, 402
- ოსტენ-საკენი მაქსიმილიან (გარდ. 1884)** – ბარონი, თბილისის გუბერნატორი 1876-1877 წწ.; ალ. ჭავჭავაძის შვილიშვილის, სალომე დავითის ას. ჭავჭავაძის (1848-1919), მეუღლე – 277
- ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ივანე (1833-1868)** – აგრონომი, ჟურნალისტი. დამთავრებული ჰქონდა გორიგორეცკის სამინათმოქმედო ინსტიტუტი. მნიშვნელოვანი ფიგურა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში“ (1850-1918). ჟურნალ „გუთნის-დედის“ დაარსების სავარაუდო ინიციატორი და გარდაცვალებამდე – მისი ფაქტობრივი რედაქტორი. იქვე აქვეყნებდა აგრონომიული ხასიათის ორიგინალურ თუ ნათარგმნ წერილებს (ფსევდ. „ი. ს.“) – 354
- ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ილია (1838-1898)** – მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მრეწველი, ქველმოქმედი. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო-საისტორიო ნაშრომები, მნიშვნელოვან ფულად შემწეობას აძლევდა „ქმნ-კგ საზოგადოებას“, ქართულ თეატრს, სასწავლე-

ბლებს, ჰყავდა სტიპენდიანტები რუსეთსა და საზღვარგარეთ, გამოსცემდა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს და სხვ.; დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 383, 402

**ოდრხოსი** – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი, მცხეთოსის ძე – 183

### პ

**პავლე I (1754-1801)** – რუსეთის იმპერატორი (1796-1801). გიორგი XII-ის „სათხოვართა პუნქტებზე“ დაყრდნობით 1800 წლის 18 დეკემბერს გამოსცა მანიფესტი, რომლის თანახმადაც, უქმდებოდა ბაგრატიონთა ტახტი და ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის უშუალო მმართველობაში გადადიოდა, თუმცა ეს განზრახვა პრაქტიკულად ვერ განახორციელა (1801 წლის 12 მარტს სასახლის კარის შეთქმულებას ემსხვერპლა) – 256

**პანტიუხოვი ივანე (1836-1911)** – რუსი ექიმი, ანთროპოლოგი და პუბლიცისტი. დამთავრებული ჰქონდა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი; როგორც სამხედრო ექიმი, მონაწილეობდა „კავკასიის ომში“ (1862 წლიდან), რომელშიც მძიმედ დაიჭრა. ხანგამოშვებით მსახურობდა რუსეთში, უკრაინასა და კავკასიაში. ავტორია არაერთი წიგნისა მედიცინისა და ანთროპოლოგიის საკითხებზე (მათგან რამდენიმე თბილისში გამოსცა). სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა კიევში და იქვე გარდაიცვალა – 255, 256, 402

**პასკევიჩი ივანე (1782-1856)** – უკრაინული წარმოშობის (პოლტავიდან) რუსი გენერალ-ფელდმარშალი (1829 წლიდან), კავკასიის მთავარმართებელი (1827-1831) და ჯარების სარდალი (1826-1831). 1831 წ. ნიკოლოზ I-ის მიერ პოლონეთის აჯანყების ჩასახშობად გაგზავნილმა ი. პასკევიჩმა აიღო ვარშავა და ჯილდოდ პოლონეთის სამეფოს მეფისნაცვლის თანამდებობა მიიღო. იგი თვალსაჩინო ფიგურა იყო რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომში, ხოლო მანამდე, უნგრეთის 1848-1849 წწ. რევოლუციის ჩახშობისას, რუსეთის არმიას სარდლობდა. რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ ი. პასკევიჩი წინ აღუდგა ქართველი მაჰმადიანებისაგან დაცლილ ჯავახეთში დასავლეთ საქართ-

- ველოდან ქართული მოსახლეობის გადმოყვანის ინიციატივას და იქ ოსმალებიდან გადმოსული სომხები ჩაასახლა. გარდაიცვალა ვარშავაში. ანდერძის თანახმად, დაკრძალეს სოფელ ივანოვსკოეში (ყოფილი დემბლინი) – 337
- პატარიძე რამაზ** – ფილოლოგი, ისტორიკოსი, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომისა „ქართული ასომთავრული“ (თბ.: 1980) – 383, 402
- პატრიცი** – იხ. **იოანე პეტრიწი**
- პაულუჩი ფილიპ** (1779-1849) – მარკიზი, რუსეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე (წარმოშობით იტალიელი), გენერალ-ლეიტენანტი და ინფანტერიის გენერალი, კავკასიის მთავარმართებელი 1811-1812 წწ.; კახეთის 1812 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ მზად იყო მნიშვნელოვანი დათმობებისთვის, რის გამოც კავკასიიდან გაიწვიეს. გარდაიცვალა ნიცაში, დაკრძალულია იტალიის ქალაქ მირანდოლაში – 132
- პეპო** (პერს.) – 270
- პეროჟავრი სივნიელი** (წმ.) – ქართლის ერისთავის დედა, სალომე უჯარმელთან ერთად ჩაინერა წმ. ნინოს ცხოვრება – 376
- პეტრე I დიდი** (1672-1725) – რუსეთის უკანასკნელი მეფე (1682-1721) და პირველი იმპერატორი (1721-1725). განახორციელა უმნიშვნელოვანესი რეფორმები რუსეთის პოლიტიკური, სოციალური, სამხედრო და კულტურული ცხოვრების ევროპეიზაციის მიზნით – 180, 377
- პეტრიწი** – იხ. **იოანე პეტრიწი**
- პეშჩუროვი პეტრე** (1829-1898) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), კავკასიაში მსახურობდა 1866 წლიდან გარდაცვალებამდე. სხვადასხვა წლებში იყო განჯის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, თბილისის სასამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე, მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი, მთავარმართებლის საბჭოს წევრი (1883 წლიდან) – 269
- პისარო (პიზარო) ფრანსისკო** (დაახლ. 1475-1541) – ესპანელი კონკისტადორი, პერუს დამპყრობი, ქალაქ ლიმას დამაარსებელი – 139
- პლატონოვი ალექსანდრე** – სასულიერო პირი, მისიონერი, თბილისში გამოძვავალი სასულიერო-მისიონერული და სალიტერატურო ჟურნალის „Кавказский благовестник“ („კავკასიის მახარებელი“; 1911-1915) გამომცემელი – 235, 236, 402

- პლინიუს უფროსი** (ახ. წ. 23/24-79) – რომაელი სწავლული და სახელმწიფო მოღვაწე, ავტორი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომისა „ბუნების ისტორია“ (37 წიგნად) – 185
- პომპეუსი გნეუს მაგნუს** (ძვ. წ. 106-48) – რომაელი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. ძვ. წ. 65 წელს დალაშქრა იბერია და კოლხეთი, იბერიის მეფე არტაგი აიძულა რომაელთა „მოკავშირისა და მეგობრის“ ტიტული მიეღო, რაც არსებითად რომისადმი იბერიის ვასალურ დამოკიდებულებას ნიშნავდა – 195
- პოტიომკინი (პოტიომკინ-თავრიზელი) პავლე** (1743-1796) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გრაფი, გენერალ-ანშეფი (1782-1787 წწ. იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში ჩეჩენთა და ნოღაელთა წინააღმდეგ), რუსეთის ისტორიაში ცნობილი გენერალ-ფელდმარშლის, გრიგოლ პოტიომკინ-თავრიზელის (Потёмкин-Таврический; 1739-1791), ნათესავი. 1783 წ. 24 ივლისს (4 აგვისტოს) ციხესიმაგრე გეორგიევსკში ივანე მუხრანბატონთან და გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად ხელი მოაწერა რუსეთ-საქართველოს („გეორგიევსკის“) ტრაქტატს. ჰქონდა ლიტერატურული ინტერესები [წერდა ლექსებს, მასვე ეკუთვნის ნაშრომები: „История пугачевского бунта“ („პუგაჩოვის ამბოხების ისტორია“) და „Описание кавказских народов“ („კავკასიის ხალხთა აღწერილობა“; ეხება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს]. 1796 წელს ბრალი დასდეს, რომ მონაწილეობდა სპარსეთის პრინცი მკვლელობასა და გაძარცვაში, რასაც გადაჰყვა კიდეც – 134
- პრომეთე** – ბერძნული მითოლოგიის გმირი; ღმერთებთან მებრძოლი და ადამიანთა ინტერესების დამცველი (მათ შორის, ადამიანთათვის ცეცხლის მომპოვებელი). მითი პრომეთეს შესახებ გავრცელებული იყო კავკასიაშიც, სადაც იგი არაერთი მსგავსების გამო ამირანის შესახებ თქმულებას შეერწყა – 193
- პტოლემეაიოსი კლავდიოს** (ახ. წ. 100-178) – რომაელი (ალექსანდრიელი) გეოგრაფი, მათემატიკოსი და ასტრონომი – 185
- პტოლომეები** – ელინისტური ეპოქის ეგვიპტის მმართველი დინასტია (ძვ. წ. IV-I სს.) – 215
- პუშკინი ალექსანდრე** (1799-1837) – რუსი მწერალი. ითვლება ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებლად – 133, 339, 363

## შ

**ჟანლისი მადლენ ფელისიტე (1746-1830)** – ფრანგი მწერალი ქალი, ავტორი პროზაული, დრამატული, საბავშვო, ლიტერატურულ-კრიტიკული, დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის თხზულებებისა – 8, 138, 343

**ჟვანია ლუკა** – ახალსენაკის საქალაქო დეპუტატი – 80, 296

## რ

**რ.** – იხ. **რომეო** (პერს.)

**რამინი** – პერსონაჟი სპარსული პოემისა „ვის ო რამინ“ – 204

**რასინი ჟან (1639-1699)** – ფრანგი დრამატურგი, ავტორი პიესებისა: „ანდრომაქე“, „იფიგენია“, „მითრიდატე“ და სხვ.; ალ. ჭავჭავაძემ 1840-იან წწ. თარგმნა რასინის ტრაგედიები „ფედრა“ და „ესთერი“ – 134

**რეე I მართალი** – იბერიის (ქართლის) მეფე – 374

**რეე II (IV ს.)** – ქართლის მეფე მირიან III-ის ძე (მირიანის მეფობისას მართავდა კახეთსა და კუხეთს, რეზიდენცია ჰქონდა უჯარმაში), მეუღლე სალომე თრდატ III-ის ასულ უჯარმელისა – 179

**რიფათი** – ბიბლიური იაფეტის (იაფეთის) შვილიშვილი, გომერის (ლამერის) ძე – 183

**რობესპიერი მაქსიმილიან (1758-1794)** – ერთ-ერთი მთავარი ფიგურა 1789-1794 წლების საფრანგეთის რევოლუციისა (იაკობინელთა დიქტატურის იდეოლოგი და მეთაური), პარიზის რევოლუციური კომუნისა და საფრანგეთის კონვენტის წევრი, საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის ფაქტობრივი ხელმძღვანელი. 1794 წ. 28 ივლისს, იაკობინელთა დიქტატურის დამსობისთანავე, გაუსამართლებლად მიუსაჯეს სიკვდილი და რამდენიმე უახლოეს თანამებრძოლთან (მათ შორის, ძმასთან – ოგიუსტენ რობესპიერთან) ერთად გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს – 165

**რომანოვი მიხეილ** – იხ. **მიხეილ ნიკოლოზის ძე**

რომანოზი – იხ. ფავლენიშვილი რომანოზ (რომან)  
 რომეო (პერს.) – 8, 140, 340, 344-346, 408, 409  
 რომ. ფავლ. – იხ. ფავლენიშვილი რომანოზ (რომან, რამან)  
 როსტევეანი (პერს.) – 362  
 რუსთველი (რუსთაველი) შოთა – პოეტი, ავტორი „ვეფხისტყა-  
 ოსნისა“ – 75, 140, 174, 205, 211, 362, 367-369, 402  
 რუქა (პერს.) – 140, 344  
 რუხაძე ტრიფონ (1910-1979) – ფილოლოგი, ძველი ქართული  
 ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი, ავტორი წიგნები-  
 სა: „ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში“  
 (თბ.: 1939), „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია (თბ.:  
 1949) და სხვ. – 348, 403

## ს

ს. მ. – იხ. მესხი სერგეი  
 ს-ძე – ფსევდონიმი (ჩვენი აზრით, სერგი გორგაძის) – 404  
 საადი (XIII ს. დასაწყისი-1292) – პოეტი, სპარსული ლიტერა-  
 ტურის კლასიკოსი – 133, 339  
 საბა – იხ. ორბელიანი სულხან-საბა  
 სავარსამიძე (სევერსამიძე) ლეონტი (1778-1838) – გენერ-  
 ალ-მაიორი, მონაწილეობდა რუსეთ-ირანის 1826-1828 წწ.,  
 რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ., აგრეთვე „კავკასიის  
 ომში“. გამოირჩეოდა უჩვეულო სიმამაცით. 1836 წ. ასრულებ-  
 და ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსის მოვალეობას; წმ. ანას, წმ.  
 ვლადიმირის, წმ. გიორგის სხვადასხვა ხარისხის ორდენების  
 კავალერი; ცოლად ჰყავდა ი. ჭავჭავაძის სიმამრის, თადეოზ  
 გურამიშვილის, და – სალომე (სალომე გურამიშვილი-სავარ-  
 სამიძე მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიაშია დაკრძალუ-  
 ლი) – 74  
 სალომე ივანეს ასული – იხ. ორბელიანი-ჭავჭავაძე სალომე  
 სალომე უჯარმელი (სალომე უჯარმელი) – სომხეთის მეფე თრ-  
 დატ III-ის ასული, რევ II მირიანის ძის მეუღლე, წმ. ნინოსთან  
 დაახლოებული დიდებული და მისი მოწაფე, საქართველოს  
 ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი – 179, 375, 376  
 სალტიკოვ-შჩედრინი მიხეილ (1826-1889) – რუსი მწერალი, ჟურ-



- ნალისტი (1868-1884 წწ. იყო ნ. ნეკრასოვის თანარედაქტორი ჟურნალში „Отечественные записки“), პუბლიცისტი. ქართულ პრესაში მისი ნაწარმოებებიდან პირველად გამოქვეყნდა მოთხრობა „გეგემონიევი“ („ცისკარი“, 1866, №9; მთარგმნელი არ არის მითითებული) – 311, 403
- სანაძე მანანა** – ისტორიკოსი, თურქოლოგი, ავტორი ნაშრომისა „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე)“ (თბ.: 2001) – 405
- სარაჯიშვილი ალექსანდრე (1851-1914)** – მწერალი, მეცნიერი, პუბლიცისტი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა პეტერბურგის, ყაზანის, კიევის უნივერსიტეტებში, საბოლოოდ კი ფენევის უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტი დაასრულა (1876). იყო „ქმნ-კგ საზოგადოებისა“ და „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი (1902-1903) და გამომცემელი (1902-1905), „ვისრამიანის“ გამომცემელი (1884; ი. ჭავჭავაძესა და პ. უმიკაშვილთან ერთად), მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის განვითარებაში – 281, 306, 307
- სარაჯიშვილი (სარაჯოვი) დავით (1848-1911)** – საზოგადო მოღვაწე, ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი, ქველმოქმედი, ქიმიისა და ფილოსოფიის დოქტორი, სწავლობდა პეტერბურგის, მიუნხენის, ჰაიდელბერგის, ჰალეს უნივერსიტეტებში, კონიაკის წარმოებას დაეუფლა საფრანგეთში. დაკრძალეს დიდუბის პანთეონში, საიდანაც ჯერ ვაკის სასაფლაოზე (1938), მოგვიანებით კი (1995) ქაშვეთის ტაძრის გალავანში გადაასვენეს – 280
- სარაჯიშვილი ვასილ (გარდ. 1888)** – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), კანდიდატის ხარისხით დამთავრებული ჰქონდა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური სიტყვიერების განყოფილება (1850), 1850-იან წწ. თარჯიმნად მსახურობდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის (попечитель) კანცელარიაში, შემდეგ – საკანცელარიო მოხელედ ჭარ-ბელაქნისა და დაღესტნის მმართველობაში, კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში, „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ წევრი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალეს კალოუბნის ეკლესიის გალავანში – 225

**სარგის თმოგველი** – XII-XIII სს. მიჯნის ქართველი მწერალი, მეცნიერი, ფილოსოფოსი, რიტორი. ტრადიცია მიაწერს ჩვენამდე მოუღწეველი პოემის, „დილარგეთიანის“ („დილარიანის“), ავტორობას („...დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენადაუშრომელსა“ – „ვეფხისტყაოსანი“). მასვე მიეწერება პროზაული ქართული თარგმანი სპარსული პოემისა „ვის ო რამინ“ („ვისრამიანი“) – 174, 205, 211

**სარგის მხარგრძელი** – იხ. **მხარგრძელი სარგის**

**სახოკია თედო (1868-1956)** – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე; სხვადასხვა დროს სწავლობდა ჟენევისა და პარიზის (სორბონის) უნივერსიტეტებში, პარიზის უმაღლეს ანთროპოლოგიურ სასწავლებელში (იყო პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრი). 1903-1905 წწ. რედაქტორობდა (ა. ჯორჯაძესა და გ. ლასხიშვილთან ერთად) პარიზში გამოქვეყნებულ სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთ „საქართველოს“; დიდი ამაგი დასდო ქართულ ენას, ლიტერატურას, ზოგადად ეროვნულ კულტურას თავისი ეთნოგრაფიული და სამოგზაურო ხასიათის თხზულებებით, მემუარებით, ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა შეკრებითა და გამოცემით, თარგმანებით (ბოკაჩო, ვოლტერი, ზოლა, მოპასანი და სხვ.) – 335, 389

**სგანარელი (პერს.)** – 268

**სევარსამიძე ლეონტი** – იხ. **სავარსამიძე (სევარსამიძე) ლეონტი**

**სემიონოვი დიმიტრი (1834-1902)** – პედაგოგი (განათლება მიღებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტში), სახელმძღვანელოების ავტორი რუსულ ენასა და გეოგრაფიაში, გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიის დირექტორი (1878-1883), 1883 წლიდან ისევ პეტერბურგშია, 1888-1891 წწ. რედაქტორობდა ჟურნალს „Детское чтение“ – 73, 291, 292, 398, 403

**სერებრიაკოვი ივანე** – იხ. **ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ივანე**

**სეფელია ლოლოთეთის ას.** – ლეონტი მროველის მიხედვით, ბერძენი წარჩინებულის ასული, რევ I მართალის მეუღლე – 374, 375

**სვიმონა (პერს.)** – 102, 104

**სვიმონ (სიმონ) კანანელი** – იესო ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული. ქართული ტრადიციით, ანდრია პირველწოდებულთან ერ-

- თად ქრისტეს მოძღვრებას ქადაგებდა შავიზღვისპირეთის ქვეყნებში, მათ შორის, აფხაზეთში, სადაც წარმართთა ხელით მოწამებრივად აღესრულა და იქვე (დღევანდელ ახალ ათონში) დაკრძალეს – 193, 195
- სიგუა ალექსანდრე** – მკვლევარი, ავტორი წიგნებისა „ქართული ხელოვნების მოღვაწენი“ (თბ.: 1985), „ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე“ (თბ.: 1996) და სხვ. – 285, 403
- სიდონია** (წმ.) – და მცხეთელი ებრაელის, ელიოზისა, რომელიც უფლის ჯვარცმას დაესწრო და იქიდან ქრისტეს კვართი მცხეთაში ჩამოიტანა. სიდონიამ ძმას კვართი გამოართვა, გულში ჩაიხუტა და მოთქმა-გოდებით სული განუტევა – 186, 373
- სინა** (პერს.) – 134
- სირაძე** (პერს.) – 348, 397
- სიტოვსკი ნიკოლოზ** (1829-1890) – „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ მდივანი. ავტორი წიგნისა „Очерк двадцатипятилетней деятельности Кавказского общества сельского хозяйства (1850-1875)“ (Тиф.: 1875) – 231, 403
- სმირნოვი თედორე** – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), ნიკო დადიან-მინგრელსკის მაიორატის საქმეთა გამომრკვევი დროებითი სახელმწიფო კომისიის მდივანი – 283
- სოკოლოვი** – იმერეთში მცხოვრები სამხედრო პირი (მაიორი) – 120, 334
- სოლოგუბი ვლადიმერ** (1813-1882) – რუსი მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური მოღვაწე, მემუარისტი, რუსეთის საიმპერატორო კარის ისტორიოგრაფი. 1850-იან წწ. ცხოვრობდა თბილისში, სადაც ეწეოდა ლიტერატურულ და თეატრალურ მოღვაწეობას, თანამშრომლობდა გაზ. „კავკაზთან“ – 180
- სოფ. ტატ. ასული** – იხ. **ტატ[იშვილი] სოფ[იო]**
- სტარიცკი ეგორ** (1825-1899) – რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1879 წლიდან), სენატორი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник), თბილისის კომერციული სასამართლოს თავმჯდომარე (1850-1870), კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი (1862 წელს, როცა დიმ. ყიფიანი სამსახურიდან დაითხოვეს, მის ადგილზე ე. სტარიცკი დანიშნეს); აქტიურად მონაწილეობდა კავკასიის მხარის სასამართლო რეფორმების შემუშავება-განხორციელებაში; სიცოცხლის ბოლო წლებში იყო რუსეთის სახელმწიფო საბჭოს საკანონმდებლო დეპარტამენტის თავმჯდომარე – 286

**სტაროსელსკაია** (ქალიშვილობის გვარი – **გურამიშვილი**) **ეკატერინე** – ილია ჭავჭავაძის ცოლისდა, გენერალ დიმ. სტაროსელსკის მეუღლე, საზოგადო მოღვაწე – „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 313

**სტაროსელსკი დიმიტრი (1832-1884)** – გენერალ-ლეიტენანტი, სენატორი, კავკასიაში ჩამოვიდა 1857 წელს და სამუდამოდ აქ დარჩა. სხვადასხვა წლებში იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტი, ბაქოს გუბერნატორი, თერგის ოლქის მმართველ მის. ლორის-მელიქოვის თანაშემწე (მოადგილე), 1877-1884 წწ. ეჭირა მეფისნაცვლის (შემდგომში – მთავარმართებლის) მთავარსამმართველოს უფროსის პოსტი; ილია ჭავჭავაძის ქვისლი – ცოლად ჰყავდა ეკატერინე თადეოზის ას. გურამიშვილი-სტაროსელსკაია (1834-1901); დიმ. სტაროსელსკის, როგორც გავლენიან ფიგურას კავკასიის ხელისუფლებაში, მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი „ქმნ-კგ საზოგადოების“ დაარსების საქმეში. დაკრძალულია საგურამოში – 312, 313, 319, 406

**სტეპანოვი (სტეფანოვი) ალექსანდრე (1845-1887)** – რუსი იურისტი (წარმოშობით პერმის გუბერნიიდან; საქართველოში მოღვაწეობდა 1869 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე), თბილისის საოლქო სასამართლო პალატის ნაფიცი ვექილი, 1873 წლიდან – ადვოკატი, ჟურნალ „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ („Юридическое обозрение“. 1881-1886) რედაქტორ-გამომცემელი, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ („Новое обозрение“; 1884-1906) დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი (1884-1887). გარდაიცვალა მანგლისში, დაკრძალეს ამაღლების ეკლესიის (სოლოლაკი) გალავანში – 311, 320, 395

**სტეფანოზ ერისმთავარი** – ქართლის ერისმთავრებიდან რამდენიმე სტეფანოზია ცნობილი: **სტეფანოზ I** (დაახლ. 590/591-604/605) – გუარამ კურაპალატის ძე; **სტეფანოზ II** (VII ს. შუა წლები და II ნახევარი) – დაასრულა მცხეთის ჯვრის მონასტრის მშენებლობა; **სტეფანოზ III** (711-739) – ატენის სიონის წარწერის მიხედვით, „ქართუელთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალი“; **სტეფანოზ IV** (VIII ს. 80-იანი წწ.) – ნერსე ერისმთავრის დისწული – 188

**სტეფანსონი** – ებრაელი სწავლული – 310

**სტრაბონი** (ძვ. წ. 64/63-ახ. წ. 23/24) – ძველი ბერძენი ისტორიკოსი, გეოგრაფი, მოგზაური, ავტორი თხზულებებისა „საისტორიო ნარკვევები“ და „გეოგრაფია“, რომლებიც წარმოადგენს

- უძვირფასეს და სანდო წყაროს ანტიკური ხანის, მათ შორის, საქართველოს (იბერია, კოლხეთი) ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის შესასწავლად – 185
- სუდრაკი (შუდრაკა)** – ძველი ინდოეთის ლეგენდური მეფე, დრამატურგი, ავტორი სანსკრიტზე დაწერილი პიესისა „ვასანტასენა“ („ვასანტაზენა“) – 208
- სულთანუმიანი იაკობ** – იხ. **შამირ-ალა შამირიანი**
- სუმბათაშვილი (სუმბათოვი) ვასილ** – ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძე (სოფიო ბარათაშვილის მეუღლე). გენერალი. სამსახურიდან გასვლის შემდეგ მშობლიურ ქვიშხეთში ცხოვრობდა – 54
- სუნდუკიანი (სუნდუკიანცი) გაბრიელ (1825-1912)** – სომეხი დრამატურგი და სახელმწიფო მოხელე (ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი), დაიბადა და ცხოვრობდა თბილისში, აქვე გარდაიცვალა, დაკრძალულია ხოჯავანქის პანთეონში – 270
- სციპიონი (პუბლიუს კორნელიუს სციპიონ აფრიკელი)** (ძვ. წ. 235-ძვ. წ. 183) – რომაელი მხედართმთავარი, მეორე პუნიკური ომის (ძვ. წ. 218-ძვ. წ. 202) გმირი (204 წ. 30-ათასიანი არმიით გაანადგურა კართაგენელთა და ნუმიდიელთა ჯარები, ხოლო 202 წ. დაამარცხა ჰანიბალი) – 42

## ტ

- ტაბიძე ნოდარ (1930-2016)** – მეცნიერი, ლიტერატორი, ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის, აგრეთვე, ჟურნალისტიკის თეორიის საკითხებს, მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორი გალაკტიონოლოგიაში – 271, 355, 362, 404
- ტატიშვილი მარ[იამ]** – ქვიშხეთის სცენისმოყვარეთა წრის წევრი – 57, 269
- ტატიშვილი სოფ[იო]** – ქვიშხეთის სცენისმოყვარეთა წრის წევრი – 57, 269
- ტიტინიძე მერი** – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი (მ. დეუნამუნო, ა. მაჩაღო, ხ. კორტასარი, ლ. პირანდელო და სხვ.) – 364, 404
- ტიკარევი გაბრიელ (1796-1854)** – მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი), მკვლევარი (ისტორიკოსი, ეთნოგრაფი),

ბიბლიოგრაფი; მ. ვორონცოვის მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა 1846 წელს; თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის პირველი დირექტორი; „კავკასიის მუზეუმის“ მდივანი, დიდი ამაგი დასდო თბილისში წიგნის მაღაზიების ქსელის ჩამოყალიბებას; უბედური შემთხვევით გამონწვეულ ავადმყოფობას ემსხვერპლა 1854 წლის აგვისტოში; დაკრძალულია თბილისში (სავარაუდოდ, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში) – 370

**ტოლსტოი ლევ (1828-1910)** – რუსი მწერალი, ფილოსოფიური, რელიგიური, ლიტერატურულ-ესთეტიკური, პუბლიცისტური თხზულებების ავტორი – 271

## უ

**უთურაშვილი იოსებ (1915-1999)** – ისტორიკოსი, ავტორი მონოგრაფიისა „დიმიტრი ყიფიანი“ (თბ.: 1989) – 224, 232, 295, 332, 404

**უმიკაშვილი პეტრე (1838-1904)** – მწერალი, ჟურნალისტი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე (ფსევდ.: „ანჩისხატელი“, „ანჩისხატისუბნელი“, „მ. პეტრიძე“ და სხვ.); დ. გურამიშვილის, ს.-ს. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის, გრ. და ვახტ. ორბელიანების, ნ. ბარათაშვილისა და სხვათა თხზულებების გამომცემელი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 281

**უსლარი პეტრე (1816-1875)** – რუსი ენათმეცნიერი (ძირითადად იკვლევდა კავკასიის ხალხთა ენებს), ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სამხედრო პირი (გენერალ-მაიორი; „კავკასიისა“ და სხვ. ომების მონაწილე); 1864 წ. ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა მოსაზრება იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ – 89-91

**უფლოსი** – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი, მცხეთოსის ძე – 183, 186, 187

**უშაკოვი დიმიტრი (1873-1942)** – რუსი ენათმეცნიერი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მისი საერთო რედაქციით გამოიცა „რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ოთხტომეული (1935-1940 წწ.) – 311, 326, 404

## ფ

**ფავლენიშვილი იასე** – ბორჯომის დიამბეგი (მსაჯულ-მოსამართლე) მ. ვორონცოვის მმართველობის წლებში („ივერია“, 1886, №21) – 268

**ფავლენიშვილი რომან (რომანოზ, რამან)** (გარდ. 1877) – რევოლუციონერი-ხალხოსანი, სწავლობდა პეტერბურგის სამედიცინო აკადემიაში, რომელიც დაპატიმრებისა და ავადმყოფობის გამო არ დაუსრულებია – 55, 268

**ფარესოვი** – პატრონი სახლისა, რომელშიც ერთხანს „ქმნ-კგ საზოგადოება“ მდებარეობდა – 305

**ფარნავაზ I** (ძვ. წ. IV-III სს.) – ქართლის (იბერიის) პირველი მეფე, ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი. ტრადიციის მიხედვით, ქართული დამწერლობის შემომღები („ამან განავრცო ენაჲ ქართული და არღარა იზრახებოდა სხუაჲ ენაჲ ქართლსა შინა თუნიერ ქართულისა, და ამან შექმნა მნიგნობრობაჲ ქართული“ – ლეონტი მროველი) – 84, 185, 187-189, 192, 193, 201, 204, 372, 374, 378, 379, 383, 404

**ფარნაჯომი (ფარნაჯომ ნებროთიანი)** – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის (იბერიის) მეფე (II ს.) – 374

**ფარსმან VI** – იბერიის მეფე (დაახლ. VI ს. 30-იან წწ.). „ქართლის ცხოვრების“ (ჯუანშერი) მიხედვით, ფარსმანი იყო ქართლის ოცდამეჩვიდმეტე მეფე და მისი მმართველობის პერიოდის ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ასურელ მამათა გამოჩენა საქართველოში („ფარსმანის-ზე მოვიდა იოვანე შუა-მდინარით, რომელსა ეწოდა ზედაზადნელი, განმანათლებელი ქართლისა და განწმენდელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა, რომელმან ქმნა სასწაულები და ნიშები მრავალი, მან და მოწაფეთა მისთა...“) – 194

**ფედრა** (პერს.) – 134

**ფეიე (ფელიეტი; ფელიეტი) ოკტავ** (1821-1890) – ყორჟ სანდის სკოლის ფრანგი მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი), ფრანგული აკადემიის წევრი (1862 წლიდან). დიმ. ყიფიანმა ფრანგული ენიდან თარგმნა და 1860 წელს „ბაქარ ქართლელის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა ო. ფეიეს მიერ 1858 წელს გამოცემული „რომანი ღარიბის ყმანვილი-კაცისა“ – 223, 224, 404; იხ. აგრეთვე: **ფეიე (ფელიეტი; ფელიეტი) ოკტავ, Фёйе (Фёлье), Feuillet**



**ფერია** – მითოლოგიური პერსონაჟი, სილამაზით გამორჩეული ზებუნებრივი ყმანვილი ქალი (ზოგჯერ – ფროთოსანი), რომელსაც აქვს გრძნეულის თვისებები – 193

**ფეშანგი (ფეშანგი ფაშვიბერტყაძე; ფერშანგოვი; ნამდვილი გვარი – ხითარიშვილი)** – XVII ს. პოეტი, მეფეთა (არჩილ II, ვახტანგ V შაჰნავაზი) მდივან-მწიგნობარი, ავტორი საისტორიო პოემისა „შაჰნავაზიანი“. მასვე გაუღებეს სპარსული საგმირო-სამიჯნურო რომანი „ფირმალიანი“ (ფეშანგის ეს უკანასკნელი თხზულება დაკარგულად ითვლება) – 205

**ფიოლა (ფულიე, ფურიკი)** – იხ. **ფეიე (ფელიეტი; ფელიეტი) ოკტავ**

## ქ

**ქავთარია გრანი** – ისტორიკოსი, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომებისა „ჰანიბალი“ (თბ.: 1979), „ძმები გრაკუსები“ (თბ.: 1990), „ფარნავაზი“ (თბ.: 1999) და სხვ. – 379, 404

**ქართლოსი** – ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ეთნარქი, თარგამოსის ძე – 183-185, 187, 211

**ქაჯი** – ადამიანის მსგავსი, თუმცა მის მიმართ მტრულად განწყობილი ზღაპრული პერსონაჟი. გვხვდება გამონაკლისები (განსაკუთრებით, წყლის ქაჯთა შორის), რომლებიც მფარველობენ ადამიანებს – 193

**ქეთევან ბატონიშვილი (1764-1840)** – ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ასული, სახლთუხუცეს ივანე (იოანე) მუხრანბატონის მეუღლე, პოეტი. მონაწილეობდა 1804 წ. მთიანეთის აჯანყებაში, რის გამოც დააპატიმრეს, შემდეგ კი ერთხანს შვილებითურთ რუსეთში იყო გადასახლებული. მოღწეულია მისი ერთადერთი ლექსი „ჰოი, ვითარ ვსტყვა განსაკრთომელი“, რომელშიც ალეგორიული ფორმით გამოხატულია ჭმუნვა სამშობლოს დამხობის გამო. მეუღლესთან ერთად დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში – 340

**ქეთევან დედოფალი (წმ.) (გარდ. 1624)** – კახეთის მეფე დავით I-ის მეუღლე, აშოთან მუხრანბატონის ასული, თეიმურაზ I-ის დედა. 1614 წლიდან მძევლად იმყოფებოდა შაჰ-აბას I-ის კარზე; გამაჰმადიანებაზე უარი თქვა და 1624 წლის სექტემ-



- ბერში შირაზში მონამებრივად აღესრულა – 197
- ქობალავა იზაბელა** – ენათმეცნიერი. შემდგენელი წიგნისა „ქართული ენა. ენციკლოპედია“ (თბ.: 2008) – 395
- ქობულაშვილი ვეგენი (გენო) (1856-1915)** – კახელი (კისისხეველი) თავადი, ალ. ორბელიანის (1802-1869) შვილიშვილი, ნინო ელიზბარის ას. ერისთავის (1860-1935 წ. შემდეგ) მეუღლე. გარდაიცვალა ოლთისში, სადაც ომში მოქმედ სანიტარულ რაზმში მსახურობდა – 349
- ქორს. ალექს.** – ქვიშხეთის სცენისმოყვარეთა წრის წევრი – 56, 269
- ქორქაშვილი ლევან (1801-1879 წ. შემდეგ)** – იმერელი მემამულე, დიმიტრი ყიფიანთან დაახლოებული პირი (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმ. ყიფიანის არქივში, დაცულია ლ. ქორქაშვილის პირადი წერილები დიმ. ყიფიანისადმი) – 31
- ქრისტე – იხ. იესო ქრისტე**
- ქსნის ერისთავი – იხ. ერისთავები**
- ქუთათელაძე არისტო (არისტიდ) (1850-1912)** – პედაგოგი, მწერალი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე; დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი (1874). 1880 წელს მუშაობდა ნიკო ნიკოლაძის გაზეთ „ობზორის“ რედაქციაში, სხვადასხვა წლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა გორისა (1880-1882) და ხონის (1882-1883) საოსტატო სემინარიებში, თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში (1885-1906); ავტორი სახელმძღვანელოებისა: „პირველ-დანწყებითი ქართული გრამატიკა“, „კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან“, „საზოგადო გეოგრაფია“... სიცოცხლის ბოლო წლებში, მძიმედ დაავადებული, საცხოვრებლად გადავიდა მშობლიურ ხონში და იქვე გარდაიცვალა – 281

## ფ

- ლაღუა ია** – მკვლევარი, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი – 388
- ლამერი (გომერი)** – ბიბლიური ნოეს შვილიშვილი, იაფეტის ძე, მამა კავკასიელთა ეთნარქ თარგამოსისა – 183

**ღვთისმშობელი – იხ. მარიამ ღვთისმშობელი**

**ღლონტი ალექსანდრე (1912-1999)** – ენათმეცნიერი, ფოლკლორ-ისტი, იკვლევდა ქართული ენისა და მისი დიალექტების, ლექსიკოლოგიის, ონომასტიკის, ფოლკლორის საკითხებს – **409**

**ლოლობერიძე ნიკოლოზ (1839-1911)** – საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი (ფსევდ. „რგანელი“), გაზეთ „დროების“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ქველმოქმედი (ჭიათურის შავი ქვის წარმოებით მოპოვებული ქონების დიდი ნაწილი ანდერძით ქართულ საგანმანათლებლო ორგანიზაციებს დაუტოვა) – **273, 334, 354, 389**

**ლოლობერიძე სიმონ (1842-1914)** – ისტორიკოსი, ფილოლოგი, პედაგოგი, პუბლიცისტი (ფსევდ. „ვაკელი“), საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – **389**

## ყ

**ყაუხჩიშვილი სიმონ (1895-1981)** – ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ქართული ბიზანტინოლოგიური სკოლის დამაარსებელი – **394, 405**

**ყაფლანიშვილები – იხ. ორბელიანები**

**ყვირილის-პირელი – ფსევდონიმი** (ჩვენი მონაცემებით, ეს ფსევდონიმი გაუხსნელია) – **271, 406**

**ყიფიანი ბარბარე (ვარია, ვარა, ვარო) (1879-1965; თ. პაპავას ცნობით, ვარო [ბარბარე] ყიფიანი გარდაიცვალა 1950 წელს და დაკრძალულია მონაკოში)** – მეცნიერი (ფსიქოფიზიოლოგი), პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, დიპ. ყიფიანის შვილიშვილი (ნიკ. ყიფიანის ასული); დამთავრებული ჰქონდა ბრიუსელის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი; მოღვაწეობდა იქვე, სადაც, გარდა სპეციალური ფსიქოფიზიოლოგიური დისციპლინებისა, კითხულობდა ქართული სიტყვიერების კურსს; დიდი ამაგი დასდო ევროპაში საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციას, **1910 წ.** ბრიუსელის საერთაშორისო მუზეუმში მისი ინიციატივით დაარსდა ქარ-

